780
1930

# ცისკარი

6

1980

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ISSN 0134-9848

# საუნჯე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგია

## შინაარსი

უილიამ ფოლკნერი. ხმაური და მრისხანება. რომანი.
დასასრული. ინგლისურიდან თარგმნა ზაურ კილაძემ 5
ალექსანდრ გრინი. ცხენის თავი. მოთხრობა.
თარგმნა ნათელა ლორთქიფანიძემ 69
ჟაკ პრევერი. ლექსები. ფრანგულიდან
თარგმნა მანანა გოგოლაშვილმა 81
ერვე ბაზენი. მეხსიერებადაკარგული კაცის მოგონებანი.
მოთხრობა. ფრანგულიდან თარგმნა ჭაბუკა ცეცხლაძემ 84
ფრიდრიხ ჰოლდერლინი. ლექსები.
გერმანულიდან თარგმნა ბესიკ ადეიშვილმა 99
ედგარ ალან პო. ყორანი. ლექსი. ინგლისურიდან
თარგმნა გიორგი ნიშნიანიძემ 113
ემანუილ ფეიგინი. ლურჯი ყვითელზე. რომანი.
დასასრული. თარგმნა თამაზ გოდერძიშვილმა 117
ლევ კონდირევი. ლექსები.
თარგმნა ოუდო ბექიშვილმა 138
აღასი აივაზიანი. წმინდა ჭეშმარიტება. მოთხრობა.
სომხურიდან თარგმნა ზეზვა მედულაშვილმა 141

მთავარი რედაქტორი შოთა ნიშნიანიძე

სარედაქციო კოლეგია: მზია ბაქრაძე, ბაჩანა ბრეგვაძე, გურამ გოგიაშვილი, ნანა დარჩია (პ. მგ. მდივანი), მაგალი თოდუა, ნოდარ კაკაბაძე, მიხეილ კვესელავა, ზურაბ კიკნაძე, ვახუშტი კოტეტიშვილი, რომან მიმინოშვილი, ოთარ ნოდია, ნიკო ყიასაშვილი, თამაზ ჩხენკელი, დავით წერედიანი

6 1980
(39)
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მწერალთა კავშირი
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური
ალმანახი

## შინაარსი

ერნი კრუსტენი. ბრმა სიყვარული. მოთხრობა.
თარგმნა ირინე უშვერიძემ 146

მიურიელ სპარკი. მოთხრობები.
თარგმნეს ზურაბ გუმაზაშვილმა და გიორგი ნოდიამ 154

ჟიულ რენარი. რაგოტი. მოთხრობა.
ფრანგულიდან თარგმნა მერი მიქაძემ 175

ფრანსუა დე ლაროშფუკო. მაქსიმები.
ფრანგულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ 189

ლამარა ნაროუშვილი. ხე და ფრინველი რილკეს პოეზიაში 216

ანატოლ იმერმანისი. დარჩება კი ბევრი ქარვა ქვიშაზე?
თარგმნა ზაზა კვირცხიშვილმა 226

ვალდის კიკანსი. წყალს რომ არ გადავაყოლოთ!
თარგმნა ანდრო ბუაჩიძემ 235

გარეკანზე: მ. თოთიბაძე. აკაკი წერეთელი

«САУНДЖЕ»
ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ АЛЬМАНАХ
НА ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ № 6 1980
ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ
ХУДОЖЕСТВЕННОГО ПЕРЕВОДА И ЛИТЕРАТУРНЫХ ВЗАИМОСВЯЗЕЙ
ТБИЛИСИ, УЛИЦА ШАЛВЫ ДАДИАНИ, 2



მხატვარი: ტარიელ ბართაშვილი

# უილიამ ფოლკნერი

## ხმაური და მრისხანება

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომანი*

ინგლისურიდან თარგმნა ზაურ კილაძემ

16504

•

შინ შესულმა პირდაპირ სამზარეულოს მივაშურე და დილზის გავძახე, ჩქარა სადილი გააწყვე-მეთქი.

— კვენტინა ჯერ არ მოსულა, — მითხრა დილზიმ.

— მერედა, რა ვქნა, — მივუგე მე, — შენ, მგონია, იმასაც კი მეტყვი, ჯერ ლასტერსაც არ უჭამიაო. კვენტინამ იცის, როდის უნდა მოვიდეს სადილად. აბა, ჩქარა ახლა.

დედა თავის ოთახშია, წერილი მივეცი. გახსნა და ჩეკი ამოიღო. ზის და ის ქაღალდი ხელში უკავია. წავედი და იქვე კუთხეში მიყუდებული აქანდაზი ავიღე და ასანთთან ერთად მივუტანე. — ნუღარ აყოვნებთ, — მე ვუთხარი, — სწრაფად, თორემ ცრემლი მოგერევათ ისევ ამ წუთას.

ასანთი აიღო, მაგრამ არ გაკრა. ზის და ჩეკს დაცქერის. სწორედ ასეც ვიცოდი.

— გული კი მეთანაღრება, — თქვა მან, — კვენტინაც ხომ შენი საპატრონოა...

— გავიტანთ როგორმე თავს, — მე მივუგე. — ნუღარ აყოვნებთ. ჩქარა-მეთქი.

მაგრამ ზის ისევ და ხელში ჩეკი უკავია.

— ეს სხვა ბანკისაა, — ასე თქვა, — ადრე რომ აგზავნიდა, ისინი ინდიანაპოლისის ბანკისა იყო.

— დიახ, — ვუთხარი, — ქალებს ამის ნებაცა აქვთ.

— რისი ნება? — მკითხა.

— ორ სხვადასხვა ბანკში ჰქონდეთ ფული, — ვუთხარი მე.

— ჰოი, — ამოიოხრა და ისევ დაცქერის ჩეკს, — კი მიხარია, რომ ეს გოგო... ამდენი რომ აქვს... ღმერთია მოწმე, მე მართალი ვარ, — ასე დასძინა.

— ნუღარ აყოვნებთ-მეთქი, — ვეუბნები, — გაათავეთ. მორჩით თამაშს.

— თამაშს? — ასე თქვა, — როცა კი ვფიქრობ...

* დასასრული. დასაწყისი იხ. „საუნჯე", №№ 4 — 5.

— მე კი მგონია, თვეში ორას დოლარს თამაშ-თამაშით წვავს-მეთქი, ასანთი მე აგინთოთ?

— კი გავტყდებოდი და ავიღებდი ამ ფულს, — მითხრა მან. — ჩემი შვილების გულისთვის. მე არა ვარ ამაყი ქალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხოდა, კიდევაც დაკარგავდით სამუდამოდ სიმშვიდეს, — ვუთქვი მე, — სხვანაირად არ შეგიძლიათ და ეს თქვენც იცით. ერთხელ თქვით და სიტყვას ნუღარ გადახვალთ. როგორმე გავიტანთ თავს.

— თუკი შენ ასე გსურს, — მითხრა, — მაგრამ ხანდახან ასე მგონია, ვაითუ იმას გაკარგვინებთ, რაც წესით თქვენ გეკუთვნით. ხოდა, შეიძლება ამის გულისთვის დამსაჯოს კიდეც ღმერთმა. შენ თუ უარს არ იტყვი, ჯანდაბას ჩემი თავი, ავიღებ ამ ფულს.

— თხუთმეტი წელიწადი ხევდით და წვავდით ამ ფულს და ახლა რაღა დროსია? — მე ვუთხარი, — თუკი მერეც ასე იზამთ, არაფერს წააგებთ, მაგრამ ახლა და შემდეგაც ფული რომ აიღოთ, ორმოცდაათი ათასი დოლარი გექნებათ დაკარგული. კი ვცხოვრობდით უამფულოდაც, ხომ არა გვიშავდა? — ვეუბნები, — ჯერჯერობით გლახაკთა თავშესაფარში, მგონია, არავის გაუგზავნიხართ.

— დიახ, — ასე მითხრა, — სამოწყალო ჩვენ რა გვაქვს, ბესკომებს, მით უმეტეს ზნედაცემული ქალისაგან.

გაკრა ასანთს, ცეცხლი წაუკიდა ჩეკს და აქანდაზზე დააგდო, შემდეგ კონვერტიც მიაყოლა. დასცქეროდა, როგორ იწვის.

— შენ რას გაიგებ, — დასძინა, — მადლობა ღმერთს, ვერც ვერასდროს ჩახვდები დედის განცდებს.

— ქვეყანაზე მაგისთანა ქალი ბევრია, — ვუთხარი მე.

— მაგრამ ჩემი შვილები არ არიან ისინი, — მიპასუხა, — ჩემს თავს არ ვდარდობ, — მეუბნება, — ცოდვილი კი არის, მაგრამ ჩემი სისხლი და ხორცია და გულითა და სულით დავაბრუნებდი შინ. კვენტინას გულისთვის ვიზამდი ამას.

კი, ბატონო, შემეძლო მეთქვა მისთვის, კვენტინას ეს ამბავი ჭკუაზე მაინც ვერ მოიყვანს-მეთქი. მაგრამ აკი ვამბობ, ბევრს არაფერს მოვითხოვ, შინ მშვიდად ვჭამო და დავისვენო მინდა, ამდენი ქალის ჩხუბი და ტირილი არ გავიგონო.

— შენი გულისთვისაც, — თქვა მან, — მე ხომ ვიცი, რასაც განიცდი იმ გოგოს დანახვაზე.

— დაბრუნდეს მერე, — მე ვუთხარი, — ჩემთვის სულ ერთია.

— არა, — ასე თქვა, — მამაშენის ხსოვნას მე ვერ შევბღალავ.

— ჰერბერტმა რომ გამოაგდო, მამა სულ ამას არ გეუბნებოდათ, დავაბრუნოთო? — ვეუბნები.

— შენ ვერ გაიგებ, — მითხრა, — ვიცი, შენ არ გინდა კიდევ უფრო მეტკინოს გული. მაგრამ შვილებისათვის ტანჯვა-წამება ჩემი ვალია, — ასე დასძინა, — მე ამ ვალს მოვიხდი.

— მე მგონია, თქვენი ტანჯვა-წამება თქვენივე მოგონილია მეტწილად, — მივუგე მე. ქაღალდები დაიწვა. წავიღე და ფერფლი ბუხარში შევყარე. — ცოდვა-ბრალია ამდენი ფულის ნაცრად ქცევა, — ვეუბნები.

— ჩემი შვილების ცოდვა-ბრალს ნუ მომასწრობს ღმერთმა, — მითხრა დედამ, — სჯობს ეწინამც მიწამ პირი გიყოს, შვილო.

— თქვენი ნებაა, ვუთხარი მე, — სადილზე ხომ ჩამობრძანდებით? — ვკითხე, — თუ არადა, მე ჩქარა უნდა დავბრუნდე. დღეს აუარება სამუშაო მაქვს. — წამოდგა. — კი მოვახსენე იმ ქალს, მაგრამ კვენტინას თუ ელოდება. ახლა კიდევ ვიღაცას ელოდება, მგონია. დაიცადეთ, მე დავუძახებ, — მაგრამ თავად გავიდა კიბის თავზე და დაუძახა.

— კვენტინა ჯერ არ მოსულა, — ამოსძახა დილზიმ.

— მაშ მე წავალ, — ვთქვი მე, — სადმე ბუტერბროდს შევჭამ. დილზის აქ თავისი წესრიგი აქვს და მე ხელს არ შევუშლი, — ვეუბნები. დედა კი სულ აინთო და დაინთო. კოჭლა-კოჭლაობითა და ბუზღუნით წინ და უკან მოჰყვა სიარულს. დილზიმ ასე თქვა:

— კი, ბატონო, კი, ბატონო. ახლავე მოგართმევთ.

— სულ ვცდილობ, არავის ვაწყენინო, — წარმოთქვა დედამ, — სულ ვცდილობ, არავინ შევაწუხო და მეტი რა ვქნა?

— მე ხომ არაფერი მითქვამს? — ასე მივუგე, — სამსახურში უნდა დავბრუნდე-მეთქი, მეტი რა ვთქვი?

— ვიცი, — თქვა მან, — სხვებსავით შენ იმდენი საშუალება არა გქონია. ვიცი, ათასად იჯრები ამ მიყრუებული* ქალაქის პატარა მაღაზიაში. შენს მომავალზე ყოველთვის ვფიქრობდი. მამაშენს არასდროს ესმოდა, რომ მხოლოდ შენ ერთს შეგეძლო საქმისთვის თავი დაგედგა. მე ესეც ვიცი. და როცა ბედმა გვიმუხთლა, ასე მეგონა, აი, იმ გოგოს გავათხოვებ და ჰერბერტი... ამდენს რომ გვპირდება-მეთქი...

— შეიძლება სულაც გატყუებდა, — ვუთხარი მე. — იქნებ არც არასდროს ჰქონდა ბანკი, და რომც ჰქონოდა, არა მგონია, მისისიპიდან ამ სიშორეზე იქ კაცი წაეყვანა სამუშაოდ.

ვზივართ და ვსადილობთ. სამზარეულოში ბენი ზმუის, ლასტერი აჭმევს მას. კი ვამბობდი ყოველთვის, თუ კიდევ ერთი მუქთამჭამელი შეგვემატა და თანაც დედა იმ ქალს ფულს არ ართმევს, მოდით და ბენი ჯექსონში გავაგზავნოთ, თავის მსგავსებს შორის ლაღად იგრძნობს-მეთქი თავს. ღმერთია მოწმე, ჩვენი ოჯახის ღირსება რა სახსენებელია, ანკი საამაყო რა გვაქვს, როცა გაიხედავ და ხედავ, ოცდაათი წლის კაცი ზანგის ბიჭთან ერთად ღობე-ღობე დარბის და გოლფის თამაშს დაიწყებენ თუ არა, იმ წუთას ძროხასავით აზმუვლდება. ესეც კი ვთქვი, პირველადვე ჯექსონს რომ გაგვეგზავნა, ამ დღეში არ ჩავცვივდებოდით-მეთქი; კი, ბატონო, ცხადმოსილი ხართ ამ ბიჭის წინაშე, არაფერი დაგიკლიათ, რაც შეიძლებოდა ყველაფერი გაუკეთეთ, სხვა ამის ნახევარსაც არ იზამდა, მაგრამ რაღატომ არ გააგზავნეთ. ამდენ გადასახადებს ვიხდით და რაღაცით მაინც გვეხეირა-მეთქი. დედამ ასე მიპასუხა მაშინ, სულ მალე მოგშორდებით, კი ვიცი, შენი სატირევი რომ ვარო. მე ვუთხარი, იმდენჯერ გითქვამთ ეს ჩემთვის, მგონი, მართლა დამარწმუნოთ-მეთქი. მერე ასე დავსძინე, როცა დააპირებთ ამ ამბავს, მე ნულარ შემატყობინებთ, თორემ იმ ღამესვე დავსვამ ამ ბიჭს მეჩვიდმეტე მატარებელზე და გზას გავუყენებ. მე ვიცი ისეთი ადგილი, სადაც ამ გოგოს გამწესებაც შეიძლება, ოღონდ ის ად-

გილი მილკის ქუჩაზე ან ჰანის გამზირზე * არ გეგონოთ-მეთქი. დედამ ცრემლი გადმოყარა და მე ვუთხარი, კარგი, კარგი, თუმცა არ ვიცი, ზოგი ჩემი ნათესავი საიდან გამოტყვრა, მაგრამ სხვაზე ნაკლებ არც მე მესმის, ჩემიანების პატივისცემა როგორ უნდა-მეთქი.

სადილი არ დაგვიმთავრებია ჯერ, დედამ დილზის უთხრა, [illegible] ხედე, კვენტინა თუ მოდისო.

— მე ხომ გითხარით, ის სადილზე არ მოვა-მეთქი, — ვეუბნები.

— იმან ხომ კარგად იცის, — თქვა დედამ, — იმ გოგომ ხომ იცის, ქუჩა-ქუჩა ხეტიალს არ დავანებებ და სადილად თავის დროზე უნდა მოვიდეს. ხომ გაიხედე, დილზი?

— ხოდა, ნუღარ ანებებთ მაშინ, — მივუგე.

— რა ვქნა, — თქვა მან, — ჩემი ნათქვამი სიცილადაც არ გყოფნით. ყოველთვის ასე იყო.

— აი, თქვენ რომ არ ჩამერეოდეთ ხოლმე, ჭკუაზე მოვიყვანდი იმ გოგოს, — მე ვუთხარი, — ჩემთვის ერთი დღეც იქნებოდა საკმარისი.

— ძალიან უხეშად ექცევი ამ ბავშვს, — მითხრა დედამ, — სულ ბიძაშენის, მორის ხასიათი გაქვს.

ამ სიტყვებმა წერილი წამომაგონა. ამოვიღე და დედას გავუწოდე, ასე ვუთხარი, შეიძლება არც კი გახსნათ, ბანკი გამცნობთ, ამჯერად რამდენი დასჭირდა-მეთქი.

— შენს სახელზეა გამოგზავნილი ეს, — თქვა მან.

— მიდით და გახსენით, — მე მივუგე. გახსნა, წაიკითხა და მერე მე გადმომცა.

ჩემო ძვირფასო დისწულო, ასე იწყებოდა.

ვიცი, გაგიხარდება ჩემი ახლანდელი ამბავი და უნდა მოგწერო. ერთი კარგი შესაძლებლობა მაქვს ამჟამად და ამის შესახებ, გარკვეული მიზეზების გამო, გამოწვლილვით ვერ მოგწერ, სხვა დროს, უფრო შესაფერის პირობებში გაგიცნობ ამ საიდუმლოს. საქმეთა გაძღოლის გამოცდილება არ მაკლია და ჯერ არს საიდუმლო ცნობები უშუალო საუბრისას გაანდო ვინმეს. მეტისმეტად კი ვფრთხილობ ახლა და რამდენადმე მაინც ჩახვდები ხსენებული შესაძლებლობის მნიშვნელობას. თქმა არ უნდა, უკვე ყოველმხრივ ავწონ-დავწონე ყველაფერი და ეჭვიც აღარ მეპარება, პირდაპირ შემიძლია გითხრა, ცხოვრებაში ასეთი ბედი ერთხელ თუ გაუჩნდება კაცს და ცხადლივ ვხედავ იმ ნათელ მიზანს, რომლისკენაც ასე დიდხანს და შეუსვენებლივ ვისწრაფოდი. ე. ი. ჩემს საქმეებს დაშლა მოვიყვან საბოლოოდ და ავგრე აღვადგენ სათანადო მდგომარეობას ჩემი გვარისას, რომლის მამრობითი სქესის ერთადერთ წარმომადგენლადაც პატივი მაქვს ვიყო; იმ გვარისას, რომელსაც სულმუდამ ვაკუთვნებდი დედათქვენს და მის შვილებს.

მაგრამ მე ისე ვარ, რომ, მგონია, მთლიანად ვერ შევძლო გამოვიყენო ეს შესაძლებლობა, ხოლო ოჯახის გარეთ გატანა ამ ამბისა არ მინდა. დღესდღეობით პირველი შესატანის წასამატებლად მცირეოდენიღა მჭირდება იმ თანხიდან, დედათქვენის სახელზე რომაა ბანკში. ასე რომ აქვე გიგზავნით წლიური

* ამ წინადადების სიტყვასიტყვითი თარგმანი ასეთია: „ის ადგილი რძის ქუჩაზე ან თაფლის გამზირზე...“

შემოსავლის რვაპროცენტიან ვექსილსაც. თუმცა ფორმალური ამბავი კია ეს ნამდვილად, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის დედათქვენის გამო ვიქმ ამას, რაკილა ვინ არ იცის, საწუთრო რა ხრიკიანია. ცხადია, თითქოს საკუთარი იყოს, მე ამ თანხას ისე დავაბანდებ და აგრე დედათქვენსაც ექნება წილი იმ სარგებლიდან, რასაც გამოიღებს ეს შესაძლებლობა და რომლის [illegible] ვით კვლევა-ძიებამ წარმომიჩინა — შენი ნებართვით, ვულგარულად რომ ვთქვა — თვალი პატიოსანი, ლალი სავსე, ჯერ არნახული.

კარგად მოგეხსენება, ყველაფერი საიდუმლოა, რასაც ერთი საქმის კაცი ეტყვის მეორეს; ჩვენი საქმნელისა ჩვენვე უნდა ვიცოდეთო, ხომ ასეა? მე ვიცი დედათქვენის ნაზი ჯანმრთელობის ამბავი და ის კდემამოსილება, იმთავითვე რომ დაჰყვებათ სამხრეთში სათუთად აღზრდილ ქალებს და რაც აგრე ცხადლივ გამოჩნდება ხოლმე საქმის წარმოებისას, აგრეთვე კიდევ ერთი მომხიბლავი თვისება მათი — საუბრისას შეიძლება სრულიად უნებურად წამოსცდეთ რაიმე საიდუმლო და ამიტომ აჯობებს, მგონი, სულაც არ უხსენო ეს წერილი. კიდევ ვფიქრობ ამ საკითხზე და გირჩევ, სიტყვას ნულარ დასძრავ მასთან. უკეთესს გეტყვი, შერმე იქნება დავაბრუნო ბანკში ეს თანხა, ვთქვათ, სხვა, ადრე აღებულ პატარ-პატარა სესხთან ერთად, ისე რომ მან ვერც ვერასდროს გაიგოს ეს ამბავი. მოვალენი ვართ შეძლებისდაგვარად დავიცვათ იგი ამ ბრიყვი მატერიალური სამყაროს ხელყოფისაგან.

სიყვარულით შენი ბიძია
მორი ლ. ბესკომი

— აბა რას იტყვით? — ვკითხე მე და წკიპურტი ვკარი მაგიდაზე წერილს, მისკენ გავაცურე.

— მივცემ და, ვიცი, გეწყინება. — თქვა მან.

— თქვენია ეს ფული, — მე ვუთხარი. — თუ გინდათ წყალს გაატანეთ. მე ვინ მეკითხება.

— ჩემი ღვიძლი ძმაა მორი, — მითხრა დედამ, — ბესკომთაგან უკანასკნელი. დავიხოცებით და აღარავინ დარჩება ჩვენი გვარისა.

— მგონია, კი იქნება დიდი დანაკლისი. — მივუგე მე. — კარგი, კარგი, — ვეუბნები, — თქვენია ეს ფული და რასაც იზამთ, ნება თქვენია. ბანკს მისთვის ფული გადავარიცხვინო?

— ნაწყენი დარჩები, ვიცი, — ასე თქვა, — კი მესმის, შენი საპატრონო ვართ ყველანი. მაგრამ აი, მალე მომელება ბოლო და სულსაც მოვითქვამ.

— სულის მოთქმა მე ახლაც შემიძლია, — ვუპასუხე, — კარგი, კარგი, აღარაფერს ვიტყვი. თუგინდ საგიჟეთად გადააქციეთ მთელი სახლი.

— თუმცა ბიჩავია, — მითხრა მან, — მაგრამ ხომ შენი ღვიძლი ძმაა.

— თქვენს საბანკო წიგნაკს ავიღებ, — ვუთხარი მე, — ფული უნდა შევიტანო დღეს.

— კი მაგრამ, ექვსი დღე რად დააგვიანა, — ასე თქვა, — ცუდად ხომ არა აქვს საქმე? სწორედ საკვირველია, გადახდისუნარიანი დაწესებულება ხელფასს თავის დროზე არ აძლევდეს თავის თანამშრომლებს.

— დარდი ნუ გაქვთ, — მე მივუგე, — ბორჯგადგმული კაცია. თავად მე

ვეჩიჩინები, ვიდრე მთელი თვის ნისიას არ ამოილებთ, ნუ იჩქარებთ-მეთქი. ხოდა, ფულს ამიტომაც მიგვიანებს ხანდახან.

— შენ თუ იმ ცოტაოდენსაც დაკარგავ, რაც მე შენი გულისთვის დავაბანდე, ნამდვილად ვერ გადავიტან, იცოდე, — მითხრა დედამ. — ხშირად მიფიქრია, ერლი ვერ არის-მეთქი მარჯვე საქმის კაცი. ვიცი, თავის საქმეში შენ არ ჩაგახედებს, თუმცა კი გაქვს იმდენი წილი შეტანილი, აგრე არ მოგექცეს. ერთი უნდა მიხვიდე და მოელაპარაკო.

— არა, თავი დაანებეთ, — ვუთხარი მე, — მისი საქმეა.

— შენი წილი ხომ ათასი დოლარია.

— თავი გაანებეთ-მეთქი, — ვეუბნები, — თვალყური მიჭირავს, აკი თავად მომეცით მინდობილობა. გვარიანად იქნება ყველაფერი.

— შენ არც კი იცი, რა ნუგეში ხარ ჩემთვის, — მითხრა, — შენ ყოველთვის იყავი ჩემი იმედი და თვალისჩინი, მაგრამ როცა თქვი, დედაჩემო, შენს სახელზე ყოველთვიურად ბანკში ჩემი ჯამაგირი უნდა შეიტანონო, მაშინ კი გავიფიქრე, თუ ბედმა აქე გამწირა, მადლობა ღმერთს, რომ სწორედ შენ დამრჩი და არა ისინი.

— ყველა კარგი იყო, — ასე ვუპასუხე, — რაც შეეძლოთ, ღირსეულად გააკეთეს, მგონია.

— როცა ასე მეუბნები, კი ვხვდები, მამაშენის ხსოვნას პატივს არა სცემ, — თქვა დედამ, — ვფიქრობ, გაქვს კიდეც ამისი უფლება. მაგრამ ვისმენ ამ შენ სიტყვებს და გულზე ცეცხლი მეკიდება.

ავდექი. — ტირილი თუ მოგესურვებათ, — მივუგე, — უჩემოდაც შეგიძლიათ. მე უნდა დავბრუნდე. საბანკო წიგნაკს კი წავიღებ.

— ახლავე მოგიტან, — შემაჩერა მან.

— ნუ სწუხდებით, — ვთქვი, — მე ჩამოვიტან. — კიბეზე ავედი, საბანკო წიგნაკი გამოვიღე მისი მაგიდის უჯრიდან და ქალაქში დავბრუნდი. იქ ჩეკს და აგრეთვე იმ გამოგზავნილ ფულს ათი დოლარიც დავუმატე და ბანკში შევიტანე. მერე ტელეგრაფსაც შევაკითხე. პირველანდელთან შედარებით ერთი ხაზი მომატებოდა. ცამეტი ხაზი განიმარჩა უკვე, სულ იმ ქაჯანა გოგოს ბრალია, თორმეტ საათზე მობრძანდა და იმ წერილის გულისთვის ერთი ამბავი დაიწყო.

— ეს ცნობები როდისღა მიიღეთ? — ვკითხე მე.

— დაახლოებით ერთი საათის უკან, — მიპასუხეს.

— ერთი საათის უკან?! — გამიკვირდა, — კი მაგრამ, ფულს რაღატომ გვახდევინებთ? — ვეუბნები, — ერთი კვირის ცნობები ვიღას სჭირდება? მთელი ბირჟა თავდაყირა დადგეს და ჩვენ კი ვერაფერი შევიტყოთ! ასე ვინ რას გახდება?

— რაღა უნდა შეიტყოთ, — მითხრა მან, — ბამბის ბირჟაზე მოთამაშე ხალხისთვის კანონი გაუქმებულია.

— რას ბრძანებთ! — მე ვუთხარი, — არ ვიცოდი. ამ ახალ ამბავს „ვესტერნ იუნიონი“ შეგატყობინებდათ, მგონია.

მაღაზიაში დავბრუნდი. ცამეტი ხაზი. წყეული ვიყო, თუ ამ გაწამაწიაში ვინმემ რამე იცოდეს იმათ გარდა, ვინც ნიუ-იორკს მოკალათებულა და უთვალთვალებს, პროვინციელი წვრილფეხობა როგორ იხვეწება, ფული შეგვატანინეთო. მაგრამ არც ის კაცი ვარგა, ვისაც თავისა არ სჯერა. მე თუ მკი-

თხავთ, რჩევას თუ ყურს არ დაუგდებ, მაშ რაღატომ იხდი ამისთვის ფულს. კიდევ ესეცაა, ის ხალხი ზის თავის ადგილას და კარგადაც იცის ყველაფერი. მე კი მქონდეს ეს დეპეშა ჯიბეში. კი უნდა დავუმტკიცო, ნამდვილად [illegible]-დიათ იმათ სატელეგრაფო კომპანია და გვატყუებენ სუყველას. [illegible] ამბა-ვია ეს. ბევრი თავის მტვრევა არ დამჭირდება ამისთვის. ვინ [illegible]-რებს, რომ „ვესტერნ იუნიონი“ — ასეთი დიდი და ასეთი მორჭმული კომპა-ნია — თავის დროზე ვერ ახერხებს ცნობების გადმოცემას. თქვენი ანგარიში დახურულია — აბა ერთი ეს იყოს გადმოსაცემი, იმ წუთას შეგატყობინებენ. ფეხებზე არ ჰკიდიათ იმათ ხალხი. სწორედ იმ ნიუ-იორკელ ბანდასთან უნდა ჰქონდეთ პირი შეკრული. ამას ბრმაც კი დაინახავს.

მივედი თუ არა, ერლმა საათს დახედა. მაგრამ ვიდრე მუშტარი არ წავი-და, არაფერი თქვა. მერე კი მკითხა:

— შინ ისადილე?

— კბილის ექიმთან ვიყავი, — ვუპასუხე მე. მართალია, მისი საქმე არაა, სადაც ვისადილებ, მაგრამ შესვენების დამთავრებისთანავე დახლში უნდა ჩავ-დგე. მთელი დღე ისედაც ფეხზე ვარ და ახლა ეს არახუნდება მოშლილი წის-ქვილივით. აკი მითქვამს, პროვინციელი ვაჭრუკანები, რომლებსაც ხუთასი დოლარის ქონებაღა თუ ექნებათ, ისეთ დიდგულზე არიან, თითქოს ორმოც-დაათი ათასის პატრონნი მეგონენ.

— გეთქვა მაინც, — მითხრა მან, — მეგონა, იმ წუთსავე დაბრუნდება-მეთქი.

— თქვენი იყოს ეს კბილი და ათ დოლარსაც წაგიმატებთ, — მე ვუთხა-რი — სადილზე წასასვლელად ერთი საათი დრო მაქვს, — ვეუბნები. — ხოლო ჩე-მი საქციელი თუ არ მოგწონთ, თქვენი საქმისა თქვენ იცით.

— კარგა ხანია ვიცი, — ასე თქვა, — დედათქვენის ხათრით, თორემ კიდე-ვაც ვიზამდი იმას, რაც საჭიროა. დედათქვენის მე დიდი რიდი მაქვს, ჯეისონ, და დიდადაც თანავუგრძნობ. ნეტავი ზოგი ჩემი ნაცნობთაგანი ეტყოდეს ამას.

— გაქვთ და გქონდეთ, — ვუთხარი მე, — დაგვჭირდება ეგ თქვენი თანა-გრძნობა და წინასწარ შეგატყობინებთ.

— მთელი ეს ხანი მაგ შენს საქმეებზე არავისთვის მითქვამს, ჯეისონ, — მითხრა.

— რას ამბობთ? — მე მივუგე. ვინემ ჩავაჩუმებდე, ერთი ვაცლი-მეთქი, რას იტყვის.

— დედათქვენზე უფრო მეტი ვიცი, მგონია, საიდანაც გაქვს მანქანა.

— მართლა ასე გგონიათ? — ვთქვი მე, — მერედა, რაღატომ არ ამბობთ, დედამისს ფული მოპარა და მანქანა იმით იყიდაო?

— მე არაფერსაც არ ვამბობ, — მიპასუხა, — დედათქვენმა მინდობილობა მოგცათ, ეს მე ვიცი. მაგრამ ისიც ვიცი, დღემდე ასე ჰგონია, ის ათასი დოლა-რი კიდევ აქვსო დაბანდებული საქმეში.

— მაშ კარგი, — მე ვუთხარი, — რაკი ყველაფერი ასე კარგად გცოდნიათ, ბარემ ამასაც გეტყვით, მიდით ბანკში და იკითხეთ, ეს თორმეტი წელიწადი ყოველი თვის პირველ რიცხვში ვის სახელზე შემაქვს ას სამოცი დოლარი.

— მე არაფერსაც არ ვამბობ, — მითხრა მან, — ამასღა გთხოვ, დღეიდან ცოტა წესიერად იარო სამსახურში.

პასუხი აღარ გამიცია, მაინც ვერაფერს გავხდები. განა არ ვიცი, კაცი რომ რაიმეს აიჩემებს, თავი უნდა გაანებო. ხოლო თუ ისიც ჩაიჭედა გონებაში, რომ შენთვის აჯობებს, სხვამაც გაიგოს ის, რაც მან შენზე იცის, სულ ტყუილად გაირჯები, მაინც არაფერი გამოვა. დიახაც სინდისი მეც მაქვს, მაგრამ უსუსური ლეკვივით სულმუდამ ვერ ველოლიავები ნამდვილად. ამ კაცის ნაცვლად მე ვერ მოვიკლავ თავს, ვაითუ ჩემმა საქმემ რვა პროცენტზე მეტი მოგება მომცეს-მეთქი. ჰგონია, ასე ფიქრობს, რვა პროცენტზე მეტი მოგება თუ ვნახე, მევახშეს დამიძახებენ და შეიძლება კიდევაც დამიჭირონო. ასეთი ქალაქისა და ასეთი პატრონის გადამკიდე მე რას გავხდები. ნეტავი ერთი წელი იყოს ჩემი ეს საქმე და მთელი ცხოვრება მზა სუფრა ექნებოდა ამ კაცს, ოღონდ სულ ერთია, მაინც გასცემდა მონაგარს, ეკლესიას ან სხვა რამეს გამონახავდა ამისთვის. ამ შეჩვენებულ ფარისევლებზე უფრო არაფერი მძულს ამქვეყნად. გამოვა კაცი, წესიერად ვერც ჩახვდება ვერაფერს და მაშინვე — ყალთაბანდობააო, იძახის, თავს დასდებს პატიოსნებაზე და ყველაფერს ეტყვის იმას, ვინც ამ ამბისა არაფერი არ უნდა იცოდეს. კიდევაც ვუთხარი, ვთქვათ და, მე მომივიდეს ასე და კაცის რაღაც ვერ გავიგო, იმას მაინც არ ვიზამ, იმავე წუთს ყალთაბანდი დავარქვა მას, დავჯდე და სულ გავუქექო დავთრები, მერე გავიქცე და იმათ ჩავუკაკლო რაღაც-რაღაცები, ვინც იმთავითვე ჩემზე უკეთ მიხვდება ყველაფერს ან შესაძლოა სულაც არაფერი იცის ამ საქმისა, მე რა მრჯის, ვინ რას მეკითხება-მეთქი. იმან კი ასე მიპასუხა, ჩემი დავთრების მოჩხრეკა ყველას შეუძლია. ყველას, ვისაც წილი უდევს ან ასე ჰგონია, რომ წილი უდევს ჩემს საქმეში. აი, იმ ოთახში შებრძანდეს და ნახოს, კიდევაც გამიხარდებაო.

— დიახ, თქვენ თავად არაფერს ეტყვით, — მე ვუთხარი. — სინდისი არ დაგანებებთ იმას. თქვენ მხოლოდ თქვენს დავთრებს მოაქექინებთ იმ ქალს, მაგრამ თავად კი არაფერს ეტყვით.

— სულაც არ მინდა შენს საქმეში ჩავერიო, — ასე მიპასუხა, — ვიცი, კვენტინს შენზე მეტად შეუწყვეს ხელი. მაგრამ დედათქვენსაც ხომ უმუხთლა ბედმა. და თუ ეს ქალი ჩემთან მოვა და მკითხავს, თავისი წილი უკან რად წაიღოო, მე ყველაფერს ვეტყვი. ოღონდ იმ ათასი დოლარის გამო არა, შენც კარგად იცი. კაცი ვერაფერს გახდება, თუ საქმე კარგად არ ექნება აღნუსხული. გინდ ჩემი, გინდ სხვისი გულისთვის ტყუილს მე არ ვიტყვი.

— დიახ, — მივუგე მე, — მგონია, ჩემზე უფრო ძვირფასი მსახურია თქვენთვის ეგ თქვენი სინდისი, შესვენებაზე შინ წასვლა და სადილობა არ სჭირდება. ოღონდ ჩემს მადასთან ვის რა ხელი აქვს, — ვეუბნები. აბა ამ ჯოჯოხეთში მე რას გავხდები, ამისთანა დაწყევლილი ოჯახის პატრონმა რა გავაწყო? დედაჩემმა ხომ ყველა მიუშვა თავის ნებაზე, ის გოგოც და სხვებიც. ერთხელ შემთხვევით თვალი მოჰკრა, კედის კოცნიდა ვიღაცა და მეორე დღეს შავი კაბა ჩაიცვა, შავი პირბადე აიფარა და ასე დილიდან საღამომდე დაბორიალობდა, ტიროდა და მოთქვამდა. მამამაც ვერაფერი ათქმევინა, გარდა იმისა, დაიღუპაო ჩემი პატარა გოგო. იმხანად კედი თხუთმეტი წლისღა იყო. სამი წლის მერე კი რაღა უნდა ექნა დედაჩემს, რა უნდა ჩაეცვა — ფლასები ან ზუმფარასგან შეკერილი კაბა? როგორ ფიქრობთ, ქალაქში ჩამოსულ ყველა კომივოიაჟერთან ქუჩა-ქუჩა თრევა დამენებებინა ამ გოგოსთვის, რომ მერე იმათ თავისი ძმაკაცებისთვის ემცნოთ ყველა გზაგასაყარზე, ჯეფერსონში ერთი

ძუკნა ცხოვრობს და შეგიძლიათ მოინახულოთო. გულამაყი კაცი მე არა ვარ, სამაგიერო რა მაქვს, როცა საშზარეულო მშიერი ზანგებით მაქვს სავსე და ყოველ-ქო საგუეთის ვარსკვლავი და წშვენება შინ მიზის. კი, გუბერნატორებისა და გენერლების სისხლი გვაქვს, ბატონო, ასე ვუთხარი, კიდევ კარგი, [illegible] ან პრეზიდენტი არ გვყოლია, თორემ, ვინ იცის, ყველანი ახლა იქნებ [illegible]-ში პეპლებს ვსდევდეთ-მეთქი. ესეც ვუთხარი, კი იქნებოდა ცუდი ამბავი, თავად მე რომ ვიღაცასთან გამეჩინა ბუში, მაგრამ ის მაინც მეცოდინებოდა, ვინც არის. ეს გოგო კი ვისი ნაგლახაკევია, ღმერთმა უწყის-მეთქი.

ცოტა ხნის მერე ორკესტრის ხმა გავიგონე. მუშტრებიდან ყველამ თავი აიღო და იქით გაიქცა. ჭკუას კარგავენ წარმოდგენის გულისთვის. ტვინს ამოგილებენ, როგორმე იაფად რომ იყიდონ ოცცენტიანი მოსართავი, თხუთმეტი ცენტი გადაინახონ და მერე ჩაუჯიბონ იმ იანკების ბრბოს, რომლებიც ქალაქს ნაძარცვი შემოსავლიდან ათ დოლარს გადიხდიან მხოლოდ. უკანა ეზოში გავედი.

— რას შვრები, — მე ვუთხარი, — ვეღარ დაგიმთავრებია? მალე, მგონია, შენს ხელისგულზე ტოტებს ამოიყრის ეგ ჭანჭიკი და მაგის ამოსაჩეხად ნაჯახი დაგჭირდება. მოსავალს აიღებენ და მერე რა თავში იხლიან მაგ გრძელცხვირა კულტივატორებს? — ვეუბნები, — ხარისვარდას ხომ არ მიადგებიან მოსამკელად!

— რას უკრავენ იმათი საყვირები! — თქვა ჯობმა, — ვიღაცა ჭყავთო, ასე მითხრეს, თითქოს ბანჯო იყოს, ისე ამღერებსო ხერხს.

— კი, ბატონო, — მივუგე მე, — მაგრამ შენ თუ იცი, იმათ რამდენი ფული დაეხარჯებათ ამ ქალაქში? ათი დოლარია, — ვეუბნები, — აი, ის ათი დოლარი, ბაკ ტერპინს რომ აქვს ახლა ჯიბეში.

— ბ-ნმა ბაკმა ათი დოლარი რისთვისღა გადაახდევინა? — მკითხა.

— რისთვისღა და წარმოდგენის დადგმის ნებართვა მისცა მათ, — მე ვუთხარი, — მაგ ათი დოლარის გარდა ნიორის ნაქურჩალიღა ექნებათ გადასახდელი.

— კი მაგრამ, წარმოდგენას ისინი დგამენ და ფულსაც ისინი იხდიან? — მეუბნება.

— ათ დოლარს მარტო, — ვუპასუხე, — იცი კი რამდენს...

— რას ბრძანებთ, — თქვა მან, — ფულის გადაუხდელად აქ წარმოდგენას აღარ დაადგმევინებენ? ერთი იმ ხერხზე დამკვრელი კაცი მანახა და იმ ათ დოლარს იქით მივცემ. ასე რომ ხვალ იმათი ვალი მექნება — ცხრა დოლარი და სამოცდათხუთმეტი ცენტი.

ხოდა, ამის მერე მოვა ვიღაც იანკი და ყურებს გამოგიჭედავს, ზანგთა წინსვლა აუცილებელიაო. კი, ბატონო, აგრე იყოს-მეთქი, ვიტყოდი მე — ისემც წასულან წინ, ლუისვილის სამხრეთით სანთლითაც ვეღარ მოძებნონ. ვეუბნები, დღეს და შაბათ საღამოს, სულ ცოტა, ათას დოლარს მაინც ამოიღებენ აქ, ჩვენს ოლქში-მეთქი, ის კი მპასუხობს:

— ღმერთმა შეარგოთ იმათ ჩემი ორი გროში.

— რის ორი გროში, — მე ვუთხარი, — მაგას დასჯერდებიან, ხომ იცი კიდევ ათი ან თხუთმეტი ცენტი უნდა იანგარიშო, ორცენტიან კანფეტებში ან და სხვა რამეში რომ დაგაყაჭინებენ. კიდევ ისიც უნდა გახსოვდეს, იმათი მსმენელი კარგაძალ დროს დაკარგავ.

— იქნებ მართალი იყოს, — თქვა მან, — მაგრამ საღამომდე თუ სული არ ამომძვრა, ამ ქალაქიდან ჩემს გროშებსაც წაიღებენ ისინი ნამდვილად.

— შენ ჭკუა ვინ მოგცა, — ასე მივუგე.

— კარგი, — მითხრა, — არც მაგაზე შეგედავები. ოღონდ თუ ეგ დანაშაულია, მარტო ზანგები არ მოხვდებოდნენ ციხეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემთხვევით გავიხედე ამ დროს და ვხედავ, მოსახვევში მოდის ის გოგო, ბიჭი კი ვინაა, ვერ გავარჩიე, რადგან მაშინვე კარის უკან მივდექი და საათს დავხედე. ზუსტად სამის ნახევარია, უკანასკნელი ზარი ორმოცდახუთი წუთის შემდეგ დარეკავს. ჩემ გარდა ყველას ჰგონია, სკოლაში, მერხს უზის ახლა. კარიდან გავიჭყიტე და იმ ბიჭის წითელი ჰალსტუხი მომხვდა თვალში. ეს წითელჰალსტუხიანი ვინღა ოხერია-მეთქი, ასე გავიფიქრე. ჩემს კარს მოსჩერებია გოგო, უნდა ჩქარა გასხლტეს აქედან. მე კი უფრო სხვა საფიქრალმა შემაწუხა; მცირეოდენი პატივისცემა როგორ არა აქვს ჩემი — დღევანდელი ჩვენი საუბრის შემდეგ მარტო სკოლა კი არ გააცდინა, სწორედ ჩემ თვალწინ. ამ მაღაზიის გვერდზე ჩამოვლაც კი გაბედა. ვერ მხედავს, მზე პირდაპირ კარს მოსდგომია, ისე, როგორც მანქანის ფარების შუქის ბრდღვიალში ვერ გაარჩევ ვერაფერს. მე კი ყველაფერს ვხედავ, სახე ცირკის მასხარასავით მოუთხუპნავს, თმა ერთიანად გადაუგრიხავს და გადაუკვანძავს, კაბა ისეთი ჩაუცვამს, რომ ჩემს ბიჭობაში ასე ბარძაყმოშიშვლებული ქალი თუგინდ გეისოუს ან ბილის ქუჩებზე* ენახათ, მაინც იმ წუთას ციხეში ამოაყოფინებდნენ თავს. წყეული ვიყო, თუ ესენი ასეთნაირად იმიტომ არ ირთვებიან, ყოველმა გამვლელმა მამაკაცმა ხელი მოუფათუროს. ვდგავარ და ვფიქრობ, ნეტა ვინ ოხერმა ჩამოკიდა ყელზე წითელი ჰალსტუხი. უცებ თავში დამკრა, ეს იმ მსახიობთაგანი უნდა იყოს-მეთქი. თითქოსდა თავად ამ გოგოს ეთქვას ეს ამბავი. ბევრი მოთმენა შემიძლია; ასე რომ არ იყოს, ცოდვაა ტრიალი იქნებოდა ნამდვილად, ხოლო, გადაუხვიეს თუ არა, გარეთ გამოვიჭერი და გამოვეკიდე. მე, აგრე თავშიშველი, დღისით-მზისით ქუჩა-ქუჩა უნდა ვიწოწიალო, რათა დედაჩემი შერცხვენას გადავარჩინო. განა არ მითქვამს მისთვის, ვისი შვილია ეს გოგო, სისხლი თავისას იზამს, თქვენ რას გახდებით-მეთქი. სხვა გზა არ არის, უნდა მიუშვათ, წავიდეს, თავისნაირები ნახოს და იქ იცხოვროს-მეთქი.

ქუჩაში გამოვედი, აღარსად ჩანან. ვდგავარ ასე თავშიშველი, თითქოს მეც შერეკილი ვიყო. რა ლარი და ხაზი უნდა ამას, ყველას ასე ეგონება, ერთი გიჟი ჰყავთ, ერთმა წყალში თავი დაიხრჩო, ერთი ქმარმა გამოაგდო და რაღა გასაკვირია, დანარჩენებიც ისეთივე შერეკილები გახლდნენ. განა სულმუდამ ასე არა ვგრძნობ, ქორივით მითვალთვალებენ, უნდათ რამეში გამომიჭირონ და თქვან, საკვირველი რა არის, ჩვენ სწორედ ამას ველოდით მარადღე, მთელი ოჯახი შერეკილია. მიწა გავყიდეთ და ის ჰარვარდს გავგზავნეთ. შტატის უნივერსიტეტის გადასახადსაც სულ ვიხდით, თუმცაღა ორჯერ მაქვს ნანახი ეს უნივერსიტეტი — ბეისბოლის საყურებლად ვიყავი წასული იქ. დედამ ღვიძლი ასულის სახელის ხსენებაც კი აკრძალა ჩვენსას. ამის მერე მამამ სულ დაანება თავი ქალაქსა და მუშაობას, მთელი დღეები შინ იჯდა შტოფით ხელში და ღამითაც რამდენჯერ დამინახავს მისი პერანგის კალთები და შიშველი ფეხები და რამდენჯერ გამიგონია წკარუნი იმ შტოფისა და ბოლოს ესეც რომ ვეღარ შეს-

* გასართობი სახლებით ცნობილი ქუჩები ქალაქ ჯეფერსონში.

ძლო ტ. პ.-ი უსხამდა ჭიქაში ხოლო მერე გამოვა ეს ქალი და მეტყვის — მამაშენის ხსოვნა გულში უნდა გქონდეს ჩაჭდეულიო მე ვეუბნები — რა ვიცი იმ ჩაჭდეულს რაღა წაახდენს ისე აქვს არაყი გამჯდარი-მეთქი მეც თუ შერეკილი ვარ მაშინ ეშმაკმა უწყის რაზე უნდა შემეტყოს — წყლის დანახვაზე ცუდად ვხდები და დალევით კი არყის დალევას ბენზინის დალევა მირჩევნია ლორეინმა ასე უთხრა იმათ — კი ბატონო დალევა არ უყვარს მაგრამ მისი მამაკაცობა თუ არა გჯერათ მაშინ მე გეტყვით კბილი როგორ უნდა გაუსინჯოთო. მერე მე ჩოჩიბრუხდა და ასე განაცხადა — თუ რომელიმე აქაურ ძუძუთაგან წაგასწარი, იცი რას ვიზამ, რას ვიზამ, და თმით დავითრევ იმას და მათრახით ავაჭრელებო მე მივუგე — ეგხი რა საქმეა მე ესვამ თუ არა მაგრამ შენ კი უნდა იყო ჩემი კმაყოფილი მგონია-მეთქი მერე დავსძინე შენ თუ გინდა ლუდში გაბანავებ კი ბარ ამისი ღირსი მართლაც აბრეშუმ-ხამუსზე ადამიანმა ხელი აქაც არ უნდა აცლოს-მეთქი... დედაჩემის ჯანმრთელობის ამბავი რომ იცის ჩვენი ოჯახისთვის რას არ ვაკეთებ რომ იცის სიკეთე წყალში როგორ ჩამიყარა ასე უპატიოდ როგორ ნაქცევა მთელი ქალაქის ყბადასაღები როგორ გახადა თავისი სახელი ჩემი სახელი დედაჩემის სახელი.

სადღაც გასხლტნენ და დაიმალნენ. გარეთ გამოსულს თვალი მომკრა და რომელიღაც მოსახვევში გავარდა, წავიდა და ქუჩა-ქუჩა დაეთრევა იმ წითელჰალსტუხიან მსახიობთან ერთად. ვინც კი დაინახავს, ყველა მიხვდება, რა შვილიც ბრძანდება ეს წითელჰალსტუხიანი. ბიჭი კი მომყვება და თავს არ მანებებს, დეპეშა ისე გამოვართვი, არც დამიხედავს. ხელი მოვაწერე და მაშინღა გამოვერკვიე, უგულოდ გავხსენი. განა სულმუდამ არ მოველოდი ამ ამბავს. ესღა მაკლდა და აჰა, მოხდა კიდეც. იმ ჩეკით თანხა რომ შევიტანე წიგნაკზე, მერე გამომიგზავნეს ეს დეპეშა.

ვფიქრობ და ვერ მივმხვდარვარ, ნიუ-იორკის ოდენა ქალაქმაც კი როგორ დაიტია ეს ბრბო, ჩვენნაირ პროვინციელ წვრილფეხობას აგრე ფულს რომ სცინცლავს-მეთქი. ყოველდღე წელებზე ფეხებს იდგამ, ფულს უგზავნი და სამაგიეროდ ფირატინა ქაღალდს მოგართმევენ — 20.62 კურსის გამო თქვენი ანგარიში დახურულია. თავს გიქონავენ, ყასიდად, ისიც ქაღალდზეღა ცოტამატას მოგაგებინებენ და უცებ — 20.62-ის გამო თქვენი ანგარიში დახურულიაო. უფრო მეტიც, ყოველთვე უხდი ათ დოლარს იმას, ვინც თავისი რჩევით სულ ცოტა ხანში ყველაფერს დაგაკარგვინებს, საქმეში ჩაუხედავია და იმიტომ, ან სულაც სატელეგრაფო კომპანიასთან წილში გადის. მორჩა, რაც იყო — იყო. მეტს ველარ მომატყუებენ. ებრაელები თუ ტვინს არ აურევდნენ, ყოველი ჭკუადათესილიც კი მიხვდებოდა, ნამდვილად აიწევდა კურსი. რაკიღა ამ დელტაში მთელი ბამბა გასული წლის მსგავსად კინაღამ წყალმა არ წალეკა. წლიდან წლამდე წყალდიდობა ბამბის მოსავალს უნადგურებს ხალხს და იქ, ვაშინგტონს კი ყოველდღე ორმოცდაათ ათას დოლარს ხარჯავენ არმიის შესანახად ნიკარაგუაში თუ სხვაგან სადმე კიდევ. თქმა არ უნდა, წყალი ახლა ისევ ადიდდება და ერთ ფუნტ ბამბას ოცდაათ ცენტად დააფასებენ. ჩემი ფულიღა მინდა ამოვიგო და ერთხელ მაინც მოვარტყა მიზანში. პროვინციელი მოთამაშეების დარად მე თავს არ მოვიკლავ, გინდა თუ არა აეშენდეთ, მხოლოდ ეს მაწუხებს, ჩემი ფული ამოვიგო, იმ შეჩვენებულმა ებრაელებმა თავიანთი უტყუარი ცნობების საშუალებით რომ დამცინცლეს. მერე მე ვიცი. თუმცა ფეხებს თუ დამიკოცნიან, კი შეიძლება გადავუგდო ერთი გროში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქმის ოთხის ნახევარზე დავბრუნდი შალაზიაში. ცოტა დროღა დამრჩა და რას მოესწრებ. მაგრამ მე ვიცი, რასაც ვიზამ, თუმცა ბარეარდში [illegible]-ლებლად არავის გავუგზავნივარ. მუსიკის ხმა გავიგონე, წარმოდგენა უკვე და-იწყო. ყველა იქ არის, საქმე გაუჩნდათ. ერლმა თქვა:

— განა იმ ბიჭმა? ამ ცოტა ხნის უკან აქ იყო. მე მეგონა, [illegible]

— დიახ, — მე ვუთხარი, — მნახა. სადამომდე მაინც გაათრიეს დრო. პატა-რაა ჩვენი ქალაქი. შინ უნდა გავიქცე ერთი წუთით, — დავსძინე, — თუ გნე-ბავთ, ხელფასიდან დამიქვითეთ.

— წადი, — მითხრა მან, — ახლა მე ვიქნები აქ. ცუდი ამბავი არ უნდა იყოს, მგონია, არა?

— თავად უნდა წახვიდეთ ტელეგრაფში და გაიგოთ, — ასე მივუგე, — იქ დრო აქვთ და ყველაფერს გეტყვიან. მე კი არა მცალია ახლა.

— მე მხოლოდ გკითხე, — მიპასუხა, — ჩემი იმედი ყოველთვის ჰქონდეს დედათქვენს.

— კიდევაც გიფასებთ ამას, — ვუთხარი მე, — მოვრჩები ჩემს საქმეს და იმ წუთას დავბრუნდები.

— ნუ იჩქარებ, — თქვა მან, — ახლა მე ვიქნები აქ. წადი.

დავჯექი მანქანაში და შინ წავედი. დილას ერთხელ; შუადღისას მეორედ; და ახლა კიდევ მთელ ქალაქში უნდა ვსდიო ამ გოგოს, მოვალ აქ და, თითქოს ყველაფერი ჩემი ნაყიდი არ იყოს, ხვეწნა-მუდარა მჭირდება, იქნებ მასადი-ლოთ-მეთქი. ხანდახან ვფიქრობ, ნეტა წლებზე ფეხს რას ვიდგამ-მეთქი. მაგ-რამ თავს ვერ ვანებებ და მეც გიჟი ვარ ნამდვილად. ახლაც სწორედ დროზე შევალ შინ, კიდევ რაღაცა სჭირდებათ ალბათ და კარგა ხნით გამგზავნიან სა-სეირნოდ სადღაც გადასაკარგავში, აბა პამიდორს ან სხვა რამეს ვინ მოიტანს. ქალაქს დაბრუნებული კი ქაფურის ქარხანაში ნამყოფივით ვიქნები აყროლე-ბული — არადა, ხომ გამისკდა თავი მანქანაში. სულ ამას ვეუბნები დედაჩემს, დასწყევლოს ღმერთმა, ეს ასპირინი წყალი და ფქვილია მარტო, ვითომ ავად-მყოფებს თუ უშველის-მეთქი. ვეუბნები, ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, ამ მანქანას ახლოსაც არ გავეკარები, სულელი კი არა ვარ-მეთქი, უმანქანოდაც გავძლებ, სულაც რომ არაფერი მქონდეს, არ ვიდარდებ, მაგრამ თავს სას-წორზე ვერ შევაგდებ თქვენსავით და კოფოზე შემოსკუპულ ზანგის ბიჭს ძველ, მიღრინკულ ეტლში ვერ ჩავუჯდები. კი, ბატონო, ბენისთანებს ღმერთი სწყალობს. აბა მთლად ხომ არ გასწირავს, მაგრამ თუ თქვენ გგონიათ, ათას-დოლარიან სათუთ მექანიზმს პატარა ზანგის ბიჭს ან თუგინდ დიდსაც ანდობსო ჯეისონი, ისა სჯობია, თქვენ იყიდოთ მანქანა, რაკიღა, ასე ვუთხარი, რა დასა-მალია და, გიყვართ იმით სეირნობა.

დედა შინ არისო, მითხრა დილზიმ. შევედი და ჰოლში ყური მივუგდე, არაფერი ისმის. კიბეზე ავედი და როგორც კი იმის კარს ჩავუარე, იმ წუთას დამიძახა.

— ვიფიქრე, ვინ მოვიდა-მეთქი, — თქვა მან, — სულ მარტოდ ვარ ხოლ-მე და ფაჩუნიც მესმის.

— მერედა, ვინ გრჯით, — ასე ვუთხარი, — თქვენც შეგიძლიათ სხვა ქა-ლებივით სტუმრად იაროთ, თუ გნებავთ. — კართან შედგა.

— დღეს ისეთ გაწამაწიაში ისადილე, — მომიგო, — ცუდად ხომ არ გახდი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა მიშავს, — ვთქვი მე, — გნებავდათ რამე?

— რამე ხომ არ მოხდა? — მკითხა.

— რა უნდა მომხდარიყო, — მე ვუთხარი, — დღისით ფეხი ვერ შემოდგამს, აუცილებლად მთელი სახლი უნდა შეაწრიალოთ.

— კვენტინა ხომ არ გინახავს? — მკითხა.

— სკოლაშია, — ასე მივუგე.

— ოთხი დაიწყო, — თქვა მან, — ნახევარი საათი მაინც იქნება გასული, რაც საათმა დაჰკრა. ახლა უკვე შინ უნდა იყოს.

— შინ უნდა იყოსო? — ვუთხარი მე, — შებინდებამდე შინ როდის დაბრუნებულა ეგ გოგო.

— ახლა შინ უნდა იყოს-მეთქი, — ასე მითხრა, — მე რომ გოგო ვიყავი...

— თქვენ პატრონი გყავდათ, — ვუპასუხე, — ამ გოგოს კი ასეთი არავინ ჰყავს.

— მე ვერაფერს გავხდი ამ გოგოსთან, — ასე მომიგო, — კი ვცდილობდი, სულ ვცდილობდი.

— მე კი რატომღაც არ მანებებთ ჩარევას, — მე ვუთხარი. — ხოლო, ახლა კიდევაც კმაყოფილი უნდა იყოთ. — ჩემს ოთახში შევედი. ჩუმად კარი ჩავკეტე და იქვე დავდექი, ვიდრე სახელური არ გადატრიალდა. შემდეგ დამიძახა:

— ჯეისონ.

— რა გნებავთ? — ასე ვუპასუხე.

— ცუდად ხომ არ გახდი-მეთქი.

— გეშლებათ რაღაცა, — მივუგე მე, — რა უნდა მომივიდეს!

— შენი შეწუხება არ მინდოდა, — თქვა მან.

— ამ თქვენმა სიტყვებმა გამახარა, — მე ვუთხარი, — კი მეპარებოდა ეჭვი, რაღაც-რაღაცეებში ხომ არ ვცდები-მეთქი. გნებავდათ რამე?

ცოტა ხნის მერელი გამცა პასუხი, არა, არაფერიო. წავიდა. გადმოვიღე ყულაბა და ფული გადავითვალე. ყულაბა ისევ თავის ადგილას დავდგი, კარი გავაღე და გავედი. ქაფური გამახსენდა, მაგრამ ასე გავიფიქრე, რაც არის, არის, გვიანღაა-მეთქი. დღეს ერთხელ უნდა გავიდე ქალაქში. თურმე თავის კართან იდგა და მელოდებოდა.

— მივდივარ და რამე ხომ არ გნებავდათ? — ვკითხე მას.

— არა, — მიპასუხა, — შენს საქმეებში არ მინდა ჩავერიო. მაგრამ შენ რომ რამე მოგივიდეს, არ ვიცი, რას ვიზამ, ჯეისონ.

— რა უნდა მომივიდეს, — ვუთხარი მე, — თავი მტკივა და მეტი არაფერი.

— ასპირინი დალიე და ისე წადი, — მითხრა მან, — რაკილა უმანქანოდ ერთ ნაბიჯსაც არ გადადგამ, ვიცი.

— მანქანა რა შუაშია? — მე მივუგე, — მანქანა კაცს თავს რას აუტკივებს?

— ბენზინის სუნი ყოველთვის გწყენდა, შენც ხომ იცი, — მითხრა, — ბავშვიც რომ იყავი, მაშინაც. მინდა ასპირინი დალიო და ისე წახვიდე.

— ნდომა თქვენი ნებაა, — ასე ვუთხარი, — ნდომას არავინ მოუკლავს.

დავჯექი მანქანაში და ქალაქს გამოვსწიე. ქუჩას დავადექი თუ არა, ჩემკენ გამოქანებული „ფორდი“ დავინახე. უცებ დაამუხრუჭა, ჭრიალი მოიღო

ბორბლებმა, მერე მანქანა მოტრიალდა და უკან გაქანდა, ამის გაფიქრებაც მოვასწარი, ეს რა ამბავია-მეთქი, რომ წითელ ჰალსტუხს მოცკარი თვალი სარკიდან მომშტერებოდა და ვიცანი ის გოგო, წითელჰალსტუხიანს რომ უჯდა გვერდით. მანქანა მოსახვევში შევარდა, და მერე კიდევ მიუხვია, მერე რომ მივატანე იმ ქუჩას, ჯოჯოხეთური სიჩქარით მიქროდა და მალე გაქრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელმა ჰალსტუხმა რომ გამოიარა, ყველაფერი დამავიწყდა იმ ქვეყანაზე, რამდენი ვეჩიჩინე და სულ ამაოდ-მეთქი. თავის ტკივილიც არ გამხსენებია, ვიდრე პირველ გადასახვევთან არ მივედი და არ გავჩერდი. გზის გადასახადს იხდი, და წყეული ვიყო, თუ გოფრირებული თუნუქით მოგებულს არ ჰგავდეს ეს გზა. დროგი რა არის, ასეთ გზაზე კაცი იმასაც ვერ დაეწევა. ვდგავარ და ვფიქრობ, მანქანა კარგი ფასი დამიჯდა, ხომ არ უნდა დავლეწო-მეთქი. განა იმათი „ფორდია", სულაც მიპარული ექნებათ და ფეხებზეც არ ჰკიდიათ. აკი ვუთხარი, სისხლი თავისას იზამს, ასეთი სისხლის პატრონს თქვენც ადარაფერი გეშველებოდათ-მეთქი. თუ თქვენ ფიქრობთ, შვილიშვილის წინაშე მოვალე ვარო, მაშინ იცოდეთ, ეს ვალი უკვე მოიხადეთ-მეთქი. ასეც ვუთხარი, დღეიდან მხოლოდ თქვენ იქნებით დამნაშავე, რაკილა, თავად მოგეხსენებათ, ყოველი ჭკუათამყოფელი ადამიანი გამოსავალს უთუოდ ნახავდა-მეთქი. ესეც ავუხსენი, თუ ნახევარი დრო ამ გოგოს ძებნაში უნდა გავატარო, ბარემ წავალ და იქ ვიმსახურებ, სადაც ამისთვის ფულს მომცემენ-მეთქი.

ვდგავარ ასე გადასახვევთან. მერედა ვიგრძენი, თითქოს თავში ვიღაცა ჩაქუჩს მირტყამდეს. ვეუბნები, სულ ვცდილობ, იმ გოგოს გულისთვის თქვენ არ შეგაწუხოთ-მეთქი, ვეუბნები, დარდი არა მაქვს, ჯანდაბამდისაც გზა ჰქონია და რაც უფრო მალე ინებებს-მეთქი იქ წასვლას, მით უკეთესი. ვეუბნები, ეს გოგო თქვენ რა ხეირს დაგაყრით, როცა ამ ქალაქში ჩამოსულ ყოველ კომივოიაჟერთან და ვიგინდარა მსახიობთან დაეთრევა, რაკილა აქაური დარდიმანდები უკვე ზედაც აღარ უყურებენ-მეთქი. თქვენ არ იცით, რა ხდება, ვეუბნები მე, თქვენ არ ისმენთ, რასაც მე ვისმენ და, თუ დამიჯერებთ, იმათ ხმასაც ვაკმენდინებ-მეთქი. ხალხო, გაიგეთ, ვეუბნები იმათ, ჩემს მამა-პაპას საკუთარი მონები ჰყავდით მაშინ, როცა თქვენ სოფლად ძველძველებისა და საწვრილმანოების დუქნები გქონდათ, ანდა სულაც იმისთანა მიწაში იჩიჩქნებოდით, რომ თქვენთან წილს ზანგიც არ დაიდებდა-მეთქი.

სწორედ რომ იჩიჩქნებოდნენ. კიდევ კარგი, ღმერთს ნოყიერი მიწა გამოუმეტებია ამ არემიდამოსთვის, ცხოვრობს ხალხი და ჩხირის გადაბრუნებაც არ სჭირდებათ. შუა პარასკევია და აქედან სამ მილზე რომ გაიხედო, დაინახავ, ხელუხლებელია მიწა, ოლქის ყველა ჯანიანი მამაკაცი კი წარმოდგენაზეა ქალაქში. მგონია, აქ ვიღაც უცხო რომ მოვიდეს და შიმშილით კვდებოდეს, სულიერს ვერავის ნახავს — ვერავინ მიასწავლის ქალაქის გზას. ეს ქალი კი ასპირინს მაჩეჩებს. მე ვეუბნები, პურეულს მხოლოდ სუფრაზე გეახლებით-მეთქი. ვეუბნები, სულ ასე გაიძახით, თქვენი გულისთვის რამდენ მსხვერპლს ვწირავო, მაგრამ იმ რაღაც ოხრობა პატენტირებულ წამლებში იმდენ ფულს რომ ატანთ ქარს, იმ ფულით წელიწადში ათ ახალ კაბას იყიდდით-მეთქი. ჩემი წამალი ის იქნება, რომ ცოტა მოსვენება მქონდეს. დღეში ათ საათს ვმუშაობ, სარჩენი მყავს ამდენი ზანგი, რომლებიც წარმოდგენაზე დაბრძანდებიან ოლქის სხვა ზანგებთან ერთად. მაგრამ აი, ამას კი, მგონი, დააგვიანდა. ვიდრე ის მივა, წარმოდგენაც დამთავრდება.

მანქანას დაუახლოვდა და ვკითხე, აქეთ ორის „ფორდით" ხომ არ გამოუვლიათ-მეთქი. ძლივსღა მიხვდა, რას ვეუბნებოდი. კი, მიპასუხა. წავედით იქით და შუკას რომ მივატანე, იმათი მანქანის ბორბლების ნაკვალევი დავინახე, თავის ნაკვეთშია ეს რასელი, მაგრამ იმას ხომ ვერ ვკითხავ რამეს. გზა განვაგრძე და მთლად რომ მიეფარა თვალს მისი ახორი, „ფორდიც" გამოჩნდა [illegible] როგორ იმალებიან იაინი. სწორედ ასეთი მარიფათიანია ეს გოგო ყველაფერში. კი მიოქვამს, მაინცდამაინც ეგ ამბავი არ მაწუხებს, იქნებ ამ გოგოს თავის მოთოკვა მართლაც არ შეუძლია, მაგრამ საკუთარი ოჯახის პატივს რად არ სცემს, ყველას თვალწინ აგრე როგორ უნდა დაგვასახას-მეთქი. კიდევაც სულ მეშინია, შუა ქუჩაში ან მოედანზე, ფურგონის ძარაში ძაღლებისნაირად გადაბმულებს არ გადავეწყდე.

მანქანა დავაყენე და გადმოვედი. ხნული უნდა გავიარო, გზას იქითა მხრიდან ვერ მოვუვლი, ქალაქა რომ გამოვცილდი, გადახნული ნაკვეთი ეს ერთილა შემხვდა. მივდივარ და ასე მგონია, თითქოს ვიღაცა მომსდევს და ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ყურის ძირტყამს თავში. ვფიქრობ, მივალ ტყისპირას, მერე ვაკე იქნება და აგრე შლაგუნი აღარ დამჭირდება-მეთქი. მაგრამ ტყეში შევედი თუ არა, ისეთ ბუჩქნარს მივატანე, რომ კარგა ხანს ვიხანხალე, ვიდრე ეკალბარდით ჩაფენილ ხევხუვთან არ გამოვედი. კი გამოვყევი ამ ხევხევს, მაგრამ სულ უფრო და უფრო გადაბურული ეკალჯაგით აქაურობა. ალბათ ერლი უკვე დამეძებს და შინ რეკავს და დარდით აღარაა დედაჩემი.

დაბოლოს გამოვაღწიე ამ ეკალბარდში. თავზა ამებია ამდენი ხეტიალის შემდეგ, შევჩერდი და ვფიქრობ, საით წავიდე. ის მანქანა რომელ მხარეს დგას-მეთქი. კი ვიცი, აქედან შორს არ იქნებიან, სადღაც აქვე ჩიმალულან ბუჩქის ძირას. გამოვტრიალდი და გზისკენ წამოვედი. მაღიმაღ ეჩერდები, ეგებ სულ ახლოს არიან-მეთქი. ვაყურადებ და მაშინ სისხლი ისევ ამივარდება თავში, ასე მგონია, ამ წუთას გავსკდება-მეთქი. მზეც დასავლისკენ გადახრილა და სხივები პირდაპირ თვალებში მცემს, ყურებში ისეთი შუილ-ზუზუნი მაქვს, აღარაფერი მესმის. მივდივარ, ვცდილობ არ ვიხმაურო. ძაღლმა თუ რაღაცამ გაიშლიგინა, სუნი თუ აიღო, ერთ ამბავს ატეხს და მერე იმათ რაღას ნახავ.

გლახა-მოხოვარასავით ტანსაცმელი ნარ-ეკალითა მაქვს სავსე, ფეხსაცმლებითაც მთელი ნაგავი მომიხვეტია. ვხედავ, ხელი სწორედ შხამიანი თუთუბოსთვის წამივლია. კი მიკვირს, ხელი რადა მაინცდამაინც ამ შხამიან თუთუბოს ეტაცე-მეთქი და არა გვიმრს, თუ კიდევ სხვა ამდაგვარ რამეს. ჯანდაბას, ხელი აღარ გამიშვია, ვიდრე ძალლი არ მიყუჩდა. მერე კი ისევ გამოვსწიე.

მაინც საითაა ის მანქანა? ჩემი თავილა მადარდებს ახლა, მეტი აღარაფერი. შევდგები და ამ წუთას ეშვი მეპარება, ნამდვილად თუ ვნახე ის „ფორდი". სულაც აღარ მაწუხებს ეგ ამბავი. ხომ ვამბობ, თავში ქვა უხლია, მიდი, გაუშვი, თუ უნდა მთელი დღე და ღამე ეგდოს ყოველ მარვლიანთან ქალაქში. თავს რას ვილევ, ამ გოგოს ჩემი პატივისცემა არა აქვს; ისე წავიდა ხელიდან, რომ ვიღაცას ჩაუჯდა მანქანაში, მთელი უბანი თავს მაძებნინებს. ამასობაში კი ერლი დედაჩემს თავის ოთახში გაიყვანდა და იმ დავთრებს გადააქექინებდა, მეტისმეტად პატიოსანია ეს კაცი ამ ქვეყნისთვის და რა ქნას. მე ვეუბნები, თქვენთვის სასურველი ჯოჯოხეთი იქნება, რაკი ვიღაცის ჩარევით საქმეში. მაგრამ ილოდე, ღმერთმა ნუ ქნას, წაგასწრო-მეთქი. ვეუბნები, ბევრ რამეს ვითმენ ბებიაშენის გულისთვის, მაგრამ ეგი შენი ბრალი, ერთხელაც

რომ დავიჭირო ამ საქმეზე ამ არემიდამოში, სადაც დედაჩემი ცხოვრობს-მეთქი. ის ვიგინდარა ბიჭბუჭები ასე ფიქრობენ, ესაო და ყველაფერი შეგვეძლოთო. მე იმათ ვუჩვენებ სეირს. მაშინ ვნახოთ, რასაც შეძლებენ, მე თქვენც გიჩვენებთ სეირს. მე იმ წითელჰალსტუხიანს ბაწარს შევაბამ კისერზე და ჯანდაბაში ამოვაყოფინებ თავს. თუ ჰგონია, ასე ადვილად შეუძლია ჩემი [illegible] ტყეში თრევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზე პირდაპირ თვალებში მცემს, ყურებს ისეთი შუილი გააქვს, ასე მგონია, ახლა კი ნამდვილად გამისკდება თავი და ამით ყველაფერი გათავდება-მეთქი. მივდივარ, ტანისამოსზე ეკალბარდი მასხია. შემდეგ ქვიშოვან ხნარცვში ჩავედი, სწორედ აქ იყვნენ ეს წუთია. ხე ვიცანი, სადაც მათი მანქანა იდგა. ხნარცვიდან ამოვედი და გამოვქენთე, ძრავა აგუგუნდა და სწრაფად გაქანდნენ. საყვირი კი გაუთავებლივ ბღაოდა, თითქოს ასე ჩამესმა — ყრო. ყრო. ყროოოუ-როოოუ. გზაზე ამოვირბინე და ერთიღა მოვკარი თვალი იმ მანქანას.

ვინემ ჩემს მანქანასთან მივირბინე, კვალიც გაქრა იმათი, საყვირის ხმა კი ისევ მესმის. ხოდა, იმ წუთას ვერც მივხვდი, ისე ვთქვი ჩემთვის, გაიქეცი, გაიქეცი-მეთქი ისევ ქალაქში. გაიქეცი და ბებიაშენი დააჯერე, რომ იმ მანქანაში მე არ მინახიხარ. უთხარი, რომ მე ის ბიჭი არ მიცვნია. აბა სცადე და დაარწმუნე, რომ ხუთიოდე ნაბიჯი არ აკლდა, იმ ხნარცვში თავზე რომ წამოგდგომოდით. უთხარი, რომ ძირს კი არ ეგდეთ, ზეზე იდექით.

ისევ მესმის: ყროოოოუ, ყროოოოუ, ყროოოოუყროოოოუ. მაგრამ თანდათან ნელდება უკვე ეს ხმა, მერე შეწყდა და რასელის ახორიდან ძროხის ზმუილი გავიგონე. ვერც მაშინ მივხვდი ვერაფერს. მივედი მანქანასთან, კარი გამოვაღე და ფეხი შევდგი. კი გავიფიქრე, გზა აქ არც ისე დამრეცია და მანქანა ასე რომ დაიღერღა-მეთქი. მაგრამ ყიდრე არ ჩავჯექი და არ დავძარი, აზრზე არ ვიყავი.

ხოდა, დავრჩი ასე მანქანაში. მზე სადაცაა ჩავა, ქალაქამდე კი ხუთი მილია. იმათ იმდენი გამბედაობა ვინ მისცა, საბურავი გაეხვრიტათ. მხოლოდ ჰაერი გამოუშვეს. ვდგავარ აქ და ვფიქრობ, ჩემი სამზარეულო ზანგებითაა გაჭედილი და ერთიც არ გაისარჯა სათადარიგო საბურავი თავის ადგილას შეედგა და ორიოდე ორი ჭანჭიკით დაემაგრებინა-მეთქი. ცოტა კი გამიკვირდა, ეს გოგო ამდენს როგორ მოისაზრებდა და ტუმბოსაც ამომაცლიდა. თუ იქნებ მაშინ მოაფიქრდა, როცა ის ბიჭი საბურავთან იყო ჩაცუცქული. მაგრამ, მგონია, უფრო სწორი უნდა იყოს, ვიღაცა ამოიღებდა და ბენს მისცემდა სათამაშოდ საშხეფურის მაგივრად. ოღონდ მოინდომოს და მანქანას თუნდაც ნაწილ-ნაწილ დაშლიან. დილსი კი მეუბნება, თქვენს მანქანას არავინაც არ გაკარებია, ვის რად უნდაო. მე ვუთხარი, ზანგი ხარ და არც კი იცი, შენთვის ეს ამბავი რა ბედნიერებაა-მეთქი. მერე დავსძინე, ნეტავ შენს ადგილას მე ვიყო, თეთრი კაცის მეტი გულს ვინ გამოიჭამს და ამ გომბიოს მწყემსვას ვინ დაუწყებს-მეთქი.

ჩამოვედი და რასელთან მივედი. თურმე კი აქვს ტუმბო. მგონია, ეს ამბავი იმათ აღარ გაუთვალისწინებიათ. მაინც არ მჯერა, ეს გოგო ასე როგორ წახდებოდა-მეთქი. ვფიქრობ და ვერ მივმხვდარვარ. [illegible] ვერა და ვერ ვისწავლე, რას არ იკადრებს ქალი. ვფიქრობ, კი, ბატონო, გულზე არც შენ მეხატები და არც მე გეხატები, მაგრამ ერთი წუთით ეს ამბავი დავივიწყოთ და განვსაჯოთ, შენნაირად მე არ მოვიქცეოდი. რაც უნდა გეწყინოს, თავისი სისხლი და ხორცი ასე არავინ არ უნდა გაიმეტოს. ხუმრობა რვა წლის ბავშვსაც შეუძლია, მერედა რა მოხდა, მაგრამ ღვიძლი ბიძია სასაცილოდ როგორ უნდა

აიგდო ვიღაც წითელპალსტუხიანის თვალწინ. ქალაქიდან ჩამოეთრევიან და ესაათ, გლეხუჭები არიან აქ და რასაც გვინდა, იმას ვიზამთო. მაგრამ ნურას უკაცრავად, ყმაწვილო, და შენც ასევე, ჩემო დისშვილო. მე თუ არაფრად ჩამაგდებ, მაშინ თავში ქვა გიხლია და სადაც გინდა, იქ წაბრძანდი.

მანქანა გავაჩერე, რასელს ტუმბო დავუბრუნე და ქალაქში გავბრუნდი. კოკა-კოლა დავლიე აფთიაქში, მერე ტელეგრაფის კარს მივადექი და შევედი. მთელი ორმოცი ხაზით, 12.21-მდე დაცემულიყო კურსი. ორმოცი ხუთ დოლარზე გაამრავლე და, თუ ჭკუა გეყოფა, წყალში არ გადაყრი ამ ფულს. ეს გოგო გამიბავს კიდევ. მჭირდება, ძალიან მჭირდება და რა ვქნათ. ვეუბნები, ძალიან ვწუხვარ, ეგებ სხვას ათხოვო ვინმეს, მაგდენი ფული მე არა მაქვს, არ მეცალა და ვერ ვიშოვე-მეთქი.

შევცქერი ამ კაცს.

— ახალი ამბავი თუ იცით, — მე ვუთხარი, — კი გაგიკვირდებათ ნამდვილად, ბამბის კურსი მინდა გავიგო. — ვეუბნები, — აბა ამას არ იფიქრებდით, არა?

— მოვიდა თუ არა ეს ცნობა, იმ წუთას მინდოდა შემეტყობინებინა თქვენთვის, — ასე მითხრა, — ორჯერ გამოვაგზავნე ბიჭი მაღაზიაში, შინაც დავირეკეთ, მაგრამ არავინ იცოდა თქვენი ასავალ-დასავალი. — მეუბნება ამას და რაღაცას ეძებს უჯრაში.

— რაო, უნდა შეგეტყობინებინათ? — ვეუბნები მე. ლენტში გამომიწოდა. — რა დროს მოვიდა? — ვკითხე.

— ასე, ოთხის ნახევარი იქნებოდა, — მიპასუხა.

— ახლა კი ექვსის ათი წუთია, — მე ვუთხარი.

— მინდოდა შემეტყობინებინა, მაგრამ ვერსად გნახეთ, — თქვა მან.

— ამაშიც მე ვარ დამნაშავე, — მე მივუგე. — გავხსენი, აბა ახლავე რას მოჩმახავდნენ-მეთქი. კარგი დღე არ ადგიათ, თვეში ათი დოლარისთვის თავს არ იკლავენ და ამ სიშორეზე, მისისიპში მოძვრებიან. გაყიდეთო, ასე გირჩევენ. კურსი უმტკიცოა და საერთოდ მისი შემცირებაა მოსალოდნელი, მთავრობის ანგარიშმა გული არ გაგიტეხოთო.

— მაინც რამდენი დაჯდებოდა ამ ცნობის გამოგზავნა? — მე ვკითხე და მან მიპასუხა, უკვე გადახდილიაო.

— დიდი მადლობელი ვარ, — მე ვუთხარი, — ისედაც ვიცოდი ყველაფერი. აი, ეს გაუგზავნეთ, ფულს მიმღები გადაიხდის. — ბლანკი ავიღე. ასე მივწერე, იყიდეთ-მეთქი. საბირჟო კურსი მაგრად აიწევა. მისი მერყეობა კიდევ უფრო მეტი სოფლელი წვრილფეხობის გასაბმელად დაგებული მახეა, ამ ხალხმა ხომ იმათი ტელეგრაფის ამბავი არ იცის. გულს ნუ გაიტეხთ. — აი, ეს გააგზავნეთ, ფულს მიმღები გადაიხდის-მეთქი, — გავუმეორე მე.

გადაიკითხა და მერე საათს შეხედა. — ბირჟა ერთი საათის უკან დაიხურა, — თქვა მან.

— მერედა რა ჩემი ბრალია, — ვუთხარი მე, — ჩემი მოგონილი ხომ არაა ეს ამბავი. რაღაც ორიოდე გროში კი გავიმეტე ამ საქმისთვის და იმედი მქონდა, სატელეგრაფო კომპანია დროზე შემატყობინებდა ყველაფერს.

— ცნობას იმ წუთას, მოსვლისთანავე გამოვაკრავთ ხოლმე, — ასე მიპასუხა.

— რას ბრძანებთ, — მივუგე მე, — მემფისში ასეთი ცნობები ყოველ ათ

წამში აქეთ დაფაზე, — ვეუბნები, — სამოცდაშვიდი მილიდან მოვდივარ, აქამდე, სულ ცოტა დამაგვიანდა დღეს.

ისევ გადაიკითხა. — მაშ ეს გავაგზავნო? — მითხრა.

— ჯერ მე ჩემს სიტყვას არ გადავსულვარ, — ვუთხარი, — მერე დეპეშა დავწერე და ფული გავუწოდე. — ესეც გააგზავნეთ და არ შეგეშალოთ. აქ წერია — იყო-დე-თი.

მაღაზიაში დავბრუნდი. ქუჩის ბოლოდან ორკესტრის ხმა მესმის. კარგი რამაა ეს მშრალი კანონი. ადრე იყო და შაბათობით წყვილი ფეხსაცმლის ანაბარა ჩამოდიოდა ფერმერის მთელი ოჯახი ქალაქში, რაც თქმა უნდა, ეს ფეხსაცმელი ოჯახისთავს ამშვენებდა. მაშინ, ჩამოვიდოდნენ ხოლმე ასე საფოსტო განყოფილებასთან თავისი ბარგიბარხანის წამოსაღებად. ახლა კი ყველანი ფეხშიშველები გარბიან წარმოდგენაზე, ოღონდ საკუთარ კარებში მდგომ ვაჭრებს ჩაუვლიან ჯერ, ორ რიგად ჩამწკრივებულ გალიებში ჩამწყვდეული ვეფხვებივით ან ამის მსგავსი ცხოველებივით რომ გააყოლებენ მათ თვალებს. ერლმა თქვა:

— რამე ხომ არ შეგემთხვა?

— რაო? — მე ვუთხარი. საათს დახედა. შემდეგ კართან მივიდა და სამრეკლოს საათს გახედა. — დოლარიანი საათი უნდა გქონდეთ, — ვეუბნები, — მაშინ გული აღარ დაგწყდებოდათ, ყოველ წამს რაღა უნდა ამოწმებდეთ.

— რაო? — თქვა მან.

— არაფერი, — ასე მივუგე, — უჩემობამ ხომ არ შეგაწუხათ?

— ბევრი სამუშაო არ გქონია, — მიპასუხა, — წარმოდგენაზე იყვნენ ყველანი და იმიტომ. არაფერი მომხდარა.

— თუ რამე იყო, — ვთქვი მე, — თქვენი საქმისა თქვენ იცით.

— არაფერი მომხდარა მეთქი, ხომ გითხარი, — ასე მითხრა.

— გავიგონე, — ვეუბნები, — თუ რამე იყო, თქვენი საქმისა თქვენ იცით-მეთქი.

— წასვლა ხომ არ მოგსურვებია აქედან? — მკითხა მან.

— ნება თქვენია, — ვუპასუხე, — მე ვინ მკითხავს. ოღონდ არ იფიქროთ, თქვენი წყალობა მჭირდებოდეს.

— მუშაობა კარგი შეგიძლია, თუ მოინდომებ, ჯეისონ, — მომიგო მან.

— ყოველ შემთხვევაში, ჩემს საქმეს მე ვაკეთებ და სხვისაში არ ვერევი, — ვუთხარი.

— და მაინც არ ვიცი, რატომ გინდა დაგითხოვო, — ასე თქვა, — კი, ბატონო, როცა მოისურვებ, მაშინვე შეგიძლია წახვიდე. და ნურც ერთი დავრჩებით ნაწყენი.

— სწორედ ამიტომაც არ მივდივარ აქედან, — მივუგე მე, — ჯერჯერობით ვმუშაობ, ასე რომ ტყუილად არ მაძლევთ ჯამაგირს. — უკან ოთახში გასულმა წყალი დავლიე და გარეთ გავედი. ჯობი, როგორც იქნა, მორჩა იმ კულტივატორებზე ჯახირს. სიწყნარე იყო და სულ მალე ცოტაოდნავი შვება ვიგრძენი. სიმღერა მომესმა, მერე ისევ დაუკრა ორკესტრმა. ჯანდაბას მაგათი თავი, ასეც უქნიათ, სულ გაუტყავებიათ აქაური ხალხი, ჩემთვის სულ ერთია. მე ჩემი ვალი მოვიხადე, ჩემი ხნის კაცმა უნდა იცოდეს თავის დაჭერა, თორემ სულელს დაუძახებენ. მით უმეტეს, მე ვინ რას მეკითხება. ჩემი შვილი რომ იყოს, სხვა ამბავია, მაშინ ასეთი რამეებისთვის დროს ვინ მისცემდა; საქმეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გამოვუშვებდი. აბა ამდენ საჰყარს, ჭკუანაკლულსა და ზანგს ჭამა არ უნდა. დიახაც შემრცხვებოდა ამისთანა ოჯახში ცოლის შეყვანა. ადამიანს მე დიდ პატივს ვცემ. კაცი ვარ და უნდა გავუძლო, ჩემი სისხლი და ხორცი არიან ისინი და რა ექნა. აბა ერთი ვინმემ გაბედოს აუგის თქმა ქალ[illegible] ჩემს მეგობრად ნინაშინია. სწორედ ეს წყეული წესიერი ქალები [illegible]ზეა. ნეტავი ერთი ქალი მაინც მანახვა, ვინც კარგი ოჯახისაა, ეკლესიაშიც დადის, და თუნდაც სანახევროდ გაუტოლდეს ლორეინს. სადაა სამართალი. დედაჩემს ერთხელ ვუთხარი, ცოლის შერთვა გიხსენით და ხომ ავარდ-დავარდით-მეთქი. იმან კი მომიგო, შენი ბედნიერება მინდა, ოჯახს უნდა მოეკიდო, მთელი ცხოვრება ჩვენი მონა ხომ არ დარჩები, მალე ამომძვრება სული და შენც ცოლს შეირთავ; ოღონდ შენი ღირსი რომ იყოს, ისეთს თუ ნახავო. ასე ვუთხარი, კი, ბატონო, მაგრამ მე თუ ცოლს მოვიყვან, თქვენ საფლავში გადაბრუნდებით, ხომ ასეა-მეთქი. ესლა დავსძინე, გმადლობთ, არ მინდა, იმ ქალებისთვისაც ვერ მოვიცლია, ვინც შინ მიზის, მოვიყვან ცოლს და ისიც, მგონია, თირიაქის მსმელი ან კიდევ რაღაც ამდაგვარი იქნება, ჩვენს ოჯახს მარტო ეგღა აკლია-მეთქი.

მეთოდისტთა ეკლესიას მიეფარა მზე. მტრედები დაფრინავენ სამრეკლოს გარშემო, დადუმდა ორკესტრი და მათი ღუღუნი გავიგონე. ქრისტეშობის დღიდან ჯერ ოთხი თვე იქნება გასული და ეს ფრინველები აქ მაინც იმდენივეა. ამას შემხედვარე ჩვენს მღვდელს, უოლტჰოლს, ხათელი ჩიოდება გულში. თითქოს ხალხს ცხოვრებით, ერთი ამბავი ატეხა, ამას ნუ იზამთო, ერთ კაცს თოფზეც კი წაეტანა და ხელი არ გაუშვა, ვიდრე არ გაფრინდნენ. აქაოდა, მშვიდობა უნდა სუფევდეს ამქვეყნად, ერთი ბეღურაც არ უნდა მოიკლასო. იმისი დარდი კი არა მაქვს, რომ უკვე იმდენია ესენი აქ, მაღლა ახედვაც აღარ შეიძლება, ანდა რაც უნდა, დროის ცოდნას რას აქნევს ეს კაცი. გადასახადებს არ იხდის, მისი არც არაფერი იხარჯება ყოველ წელიწადს კოშკის საათის გასაწმენდად და ასამუშავებლად. ამ ბოლოს მთელი ორმოცდაათი დოლარი დაუჯდათ მისი გაწმენდა. დავითვალე და ასზე მეტი ახალშებუმბლული მტრედი იქნებოდა მიწაზე. ჭკუა რომ ჰქონდეთ, ამ ქალაქში რა გააჩერებთ. კიდევ კარგი, მეც თავისუფალი ვარ ამ მტრედებივით.

ორკესტრმა ისევ იგრიალა, წარმოდგენის დამთავრებისას ხომ უნდა დააყრუონ კაცი. მგონია, კი იქნებიან ახლა კმაყოფილები. კი უნდა ეყოთ ეს მუსიკა და გართობა, ვინემ შინამდე იხანჩალებენ თოთხმეტ, თხუთმეტ მილს, მერე ბინდბუნდში ცხენს გახსნიან, თივას დაუყრიან, ძროხას მოწველიან. მერე ახორში თავიანთ პირუტყვს შეუძლიათ უსტვინონ იმ სიმღერების ჰანგები, უამბონ ის სკეტჩები და დასცდნენ და გამოითვალონ, საქონელი რომ შინ დატოვეს და წარმოდგენაზე არ წაიყვანეს, რამდენი მოიგეს ამით. გამოითვლიან და გამოვა, რომ კაცს, ვისაც ხუთი ბავშვი და შვიდი სახედარი ჰყავს და თავისი ოჯახითურთ წარმოდგენაზე ბრძანდებოდა, დოლარის მეოთხედიღა წმინდა მოგება დარჩა. ასეთი ანგარიში ახალი არ იქნება მათთვის. ერლი შემოვიდა, ხელში შეხვეულები უკავია.

— რამდენი შეკვეთაა აქ, — მითხრა მან, — ბიძია ჯობი კი სადაა?

— წარმოდგენაზე გახლავთ ალბათ, — მე მივუგე, — ერთი წუთითაც ვერ მოაცილებ თვალს.

— დაუკითხავად არსად წავა, — ასე მიპასუხა, — ამ კაცის იმედი კი მაქვს.

— რასაც, მგონი, ჩემზე ვერ იტყვით, — მე ვუთხარი.

ერლი კართან მივიდა და გაიხედა, ყური მიუგდო.

— კარგი ორკესტრია, — თქვა მან, — მგონი, მალე დამთავრდება ბალი.

— ღამის გათევას თუ არ აპირებენ იქ, კი უნდა მორჩნენ, — ვუთხარი მე. მერცხლებმა სრიალი დაიწყეს ჰაერში, სასამართლოს ეზოს ხეებში ერთი ამბავი ატეხეს ბეღურებმა. დროდადრო ჯგუფ-ჯგუფად წამოიშლებიან, გაიფრთქიალებენ, გადაევლებიან სახურავს და ისევ ჩაიმალებიან სადღაც. ბეტრედებზე უარესი უნდა იყვნენ ეგენი, ჩემი აზრით. სასამართლოს ეზოში ვერც კი დაჯდები მაგათ გამო. მეხვალ და იმ წუთას პირდაპირ ქუდზე დაგასკინტლავენ. მაგრამ მილიონერი უნდა იყო, რომ ესროლო, ხუთი ცენტი ღირს თითო ტყვია. მოწამლული საკენკი უნდა დაყარო მოედანზე და ერთ დღეში აქაურობა სულ გაიწმინდება. იმიტომ რომ, თუ ვაჭარს თავისი ქათმებისთვის ვერ მიუხედავს და მოედანზე თავის ნებაზე ჰყავს გაშვებული, მაშინ ის კაცი ქათმებს კი არა, გუთნებს ან ხახვს უნდა ჰყიდდეს, ამით საკენკი არ სჭირდებათ. ასევე პატრონი თავის ძაღლს შინ თუ ვერ გააჩერებს, მაშინ ამ ოთხფეხს რაღას აქნევს ან სულაც თავად არ კარგა და ესაა, გინდევაც გამბობ, ქალაქში საქმეებს თუ სოფლურად აკეთებ, მაშინ სოფლად უნდა იგულო-შეთქი თავი და არა ქალაქად.

— თუნდაც რომ მორჩეს, თქვენ რა დახლი დაგიდგებათ, — მე ვუთხარი, — ცხენებს შეაბამენ იმ წუთას და შუაღამეს თუ იქნებიან შინ.

— სამაგიეროდ, — მიპასუხა, — დრო გაატარეს. ხანდახან ოროოდე გროშს თუ დახარჯავენ გასართობად, მერე რა მოხდა. გორაკებზე ათენებს და აღამებს ჩვენი ფერმერი და გული რაღაცას ხომ უნდა გადააყოლოს.

— მერედა ვინ ეხვეწება, — მივუგე მე, — გორაკებზე ან ვაკეზე ღამისთევას ვინ სთხოვს.

— ჩვენ კი რას ვიზამდით უფერმეროებოდ? — ასე მკითხა.

— შინ ვიქნებოდით ახლა, — ვუთხარი, — წამოწოლილს თავზე ყინული მედებოდა მე.

— ძალიან კი შემოგეჩვია ეგ თავის ტკივილი, — ასე თქვა, — კბილები თუ გაასინჯვინე? რა არისო, დილას რა გითხრა?

— ვინ რა მითხრა? — გამიკვირდა მე.

— კბილის ექიმთან არ იყავი ამ დილას?

— სადარდებელი გაგიხდათ სამუშაო საათებში ჩემი თავის ტკივილი, — მე ვუთხარი, — ხომ ასეა? — წარმოდგენა დამთავრდა და ხალხი ქუჩაში გამოეფინა.

— მოდიან, — მითხრა მე, — სჯობს დახლში გავიდეთ. — გავიდა. სასაცილო კია სწორედ, რაც უნდა გჭირდეს, კაცი კბილის ექიმთან წასვლას გირჩევს, ქალი — ცოლის თხოვას. მუდამ ასეა, თავად ხელიდან არაფერი გამოსდის და შენ შეუას გასწავლის. კოლეჯის იმ პროფესორისა არ იყოს, თავად გროში რომ არ აბადია და შენ გეუბნება, ათ წელიწადში ასე და ასე უნდა გახდეო მილიონერი. უქმრო დედაკაცი კი სულ გეჩიჩინება, როგორ გმართებს ოჯახის მოვლა.

ბებერი ჯობი შემოხრაგუნდა ფორნით, ალვირი ჭალზე შემოახვია.

— რას იტყვი, — ვუთხარი მე, — როგორი წარმოდგენა იყო?

— მე ჯერ იქ არ ვყოფილვარ, — ასე მიპასუხა, — და თუ ჩემს დასაჭერად მოვლენ, იმ ტენტის ქვეშ მნახავენ ამაღამ.

— რაებს მეუბნები, — მე მივუგე, — სამ საათს მერე სადღაც ხომ გადაკარგული, ბ-ნი ერლი სწორედ ახლა იყო უკან ეზოში გამოსული და გეძებდა.

— საქმეზე ვიყავი, — მითხრა მან, — ბ-ნმა ერლმა იცის, სადაც ვიყავი.

— შეგიძლია მაგას აუბა თვალები, — ასე ვთქვი, — თუმცა ჩემთვის არ გაგითქვამ.

— მის მეტს აბა ვის ავუბავ თვალებს, — მომიგო, — იმას ხომ არა, ვისაც შაბათ საღამოს შეხვდები ან არ შეხვდები? აი, თქვენი თვალების აბმას არც შევეცდები, თქვენთან მე რას მოვალ, ეშმაკი კაცი ხართ, ასეა ნამდვილად, — მეუბნება და, თითქოს საქმეს ქაფს ადენსო, ისე შეაწყო ფორანზე ხუთი თუ ექვსი ფუთი. — თქვენთან მე რას მოვალ. თქვენნაირი ეშმაკი კაცი ამ ქალაქში არავინაა. თქვენ ყველაზე ჭკვიანსაც კი გააცურებთ, — მეუბნება, დაჯდა ფორანზე და ადვირი მოიმარჯვა.

— ვინაა ასეთი კაცი? — მე ვკითხე.

— ბ-ნი ჯეისონ კომპსონი გახლავთ, — მიპასუხა მან, — აბა გასწი, ცხენო!

ერთი ბორბალი ჰა და ჰა მოსძვრება. ნეტავი თუ მოასწრებს მოსახვევიდან გასვლას. ზანგს რომელი ჭკუათამყოფელი ანდობს რამე ეტლის მაგვარს. ვეუბნები, ეს ძველი ჯაბახანა რა გამოსაჩენია და მაინც მთელი საუკუნე გიდგათ სადგომში იმის გულისთვის, რომ ის ჩვენი ბიჭი კვირაში ერთხელ სასაფლაოზე ატაროთ-მეთქი. ვეუბნები, პირველი და უკანასკნელი ეგ არ არის, ვინც თავის ქეიფზე ვერ ივლის-მეთქი. მე იმას მანქანაში ჩავსვამდი — დღეს ხალხი ასე დადის, ანდა სულაც შინ ვამყოფებდი. ვითომ ისიც ხვდება რამეს, სად წაიყვანთ ან რით წაიყვანთ — სულ ერთი არ არის-მეთქი მისთვის. კვირა შუადღით მხოლოდ იმის გასასეირნებლად გვჭირდება ეტლი და ცხენი.

ბიძია ჯობს სულაც არ აქვს იმ ბორბლის დარდი, ოღონდ კი შორიდან არ მოუხდეს უკან დაბრუნება. აკი ვამბობ. იმათ აქ რა დარჩენიათ, ღილა-ბნელა მინდორში გაყარე და დაღამებამდე მიწას უნდა ჩაჰყურებდნენ. კარგი ცხოვრება და იოლი სამუშაო აწყენთ მაგათ. თეთრ ხალხთან აცხოვრებ და მერე გროშია მათი ფასი. სამუშაოს უხსენებ და თვალსა და ხელს შუა გაგიქრება. ჩვენი როსკუსისა არ იყოს, მხოლოდ ერთხელ შეეშალა, თავისდა უნებურად გადაბრუნდა და მოკვდა. ცუღლუტი და ქურდი ხალხია ესენი, არაფერს ეტყვი და ცოტ-ცოტაობით შეგაჩვენებენ და შეგაჩვევენ ენას, ვიდრე ბოლოს ხელს არ წამოავლებ ფიცრის ნაგლეჯს ან სხვა რამეს და თავში არ ჩასცხებ. მე რომ ერლი ვიყო, ჩემს საქმეს ამ ქალაქში ასეთ რეკლამას არ გავუკეთებ, გადამღრძვალ ზანგს საქონელს არ გადავატანინებ ისეთი ფორნით, ყოველ წამს რომ შეიძლება ნაწილ-ნაწილ დაიშალოს პირველსავე მოსახვევში.

მზემ აკრიფა თავისი სხივები და შიგ შემოატანა ბინდმა. წინკარში გავედი. მოედანზე აღარავინაა. ერლი სეიფს კეტავს უკანა ოთახში და მერე გავიგონე, საათმა დაჰკრა.

— უკანა კარი ჩაკეტე, — დამიძახა მან. გავედი, კარი ჩავკეტე და გავბრუნდი. — შენ, მგონია, ამ საღამოს წარმოდგენაზე მიდიხარ, — მეუბნება, — გუშინ ხომ საშვი მოგეცი?

— დიახ, — მე ვუთხარი, — დავიბრუნოთ?

— არა, არა, — ასე მიპასუხა, — აღარ მახსოვდა, მოგეცი თუ არა. ტყუილად არ დაიკარგოს-მეთქი.

კარი დაკეტა, ღამე მშვიდობისაო, მითხრა და წავიდა. ბელურებს ისევ გააქვთ ჟივჟივი ხეებში, მოედანზე კი სულ რამდენიმე მანქანაა. ვიღაცას „ფორდი" დგას აფთიაქის წინ, მაგრამ არც კი გამიხედავს იქით. დღეს მორჩა, მეტი არ შემიძლია. ვცადე, ეს გოგო გზაზე დამეყენებინა და მერე [illegible]. მგონია, სჯობს ლასტერს ვასწავლო მანქანის ტარება და [illegible] მთელი დღეები უკან სდიონ ამ გოგოს, მე შინ დავჯდები და ბენს ვეთამაშები.

შევედი და ორი სიგარა ვიყიდე. მერე ვიფიქრე, ხარჯი ნაქნარია, თავი მაინც მტკივა, მეტი რაღა მომივა-მეთქი, დავდექი და საუბარი [illegible] იქ.

— ხოდა, — თქვა მაკმა, — შენ, მგონია, წლეულს „იანკის" იმედით ჩამოხვალ ფულს.

— ვითომ რადაო? — მე ვუთხარი.

— პირველი გუნდია, — ასე მომიგო, — მთელ ლიგაში იმათი მჯობნი არავინაა.

— რას ბრძანებ, — ვთქვი მე, — ძალა აღარ შესწევთ, — ვეუბნები, — სულმუდამ გაუმართლებიათ. ასე ხომ არა გგონია?

— მე ამას გამართლებას არ დავარქმევდი, — მიპასუხა მაკმა.

— მე იმ გუნდის იმედით ფულს როგორ ჩამოვალ, სადაც ის ვაჟბატონი, რუთი* თამაშობს, — ვუთხარი მე, — თუნდაც რომ ვიცოდე, სულ გამარჯვებული იქნებიან.

— ვითომ რადაო? — მითხრა მაკმა.

— ჩვენს ლიგებში იმაზე უკეთესს თორმეტიოდეს დავისახელებ თუ გინდა, — ვეუბნები.

— კი მაგრამ, რუთს მაინც რას ერჩი? — გაუკვირდა მაკს.

— არც არაფერს, — მივუგე მე, — მისი სურათის დანახვაც კი არ მინდა. გამოვედი. ფარნები აინთო და ყველა შინ მიდის. ხანდახან ბელურები დაღამებამდე აღარ გაათავებენ ჟივჟივს. სასამართლოს ეზოში ახალი ფარნები რომ აანთეს, იმ საღამოს დაფრთხნენ და მთელი ღამე ფრთქიალებდნენ სინათლის შუქზე. ორი თუ სამი ღამე იყო ასე და მერე ყველანი სადღაც გაფრინდნენ. ორი თვის შემდეგღა დაბრუნდნენ უკან.

შინ გავოვსწიე მანქანით. ჯერ კიდევ არ აუნთიათ ჩვენს სახლში სინათლე, მაგრამ ყველა ფანჯარასთან მომდგარა და მითვალთვალებს, დილსი კი სამზარეულოში ჯუჯღუნებს, ვახშამი — თითქოს მისი იყოს — რაღას ივარგებსო იმის ლოდინში, ყური რომ დაუგდო, ასე გეგონება, ეს ვახშამი არის, რაც არის და ჩემი გულისთვის რამდენიმე წუთი თუ დააგვიანდა, ქვეყანა დაიქცევა. მაინც როგორი მოხდა, შინ მოვედი და ჭიშკართან არ დამხვდნენ ბენი და ზანგის ბიჭი, გალიაში გამომწყვდეული დათვისა და მაიმუნის მსგავსად რომ თამაშობენ აქ სულმუდამ. მოსაღამოვდება თუ არა, საბალახოდან ახორის დაბრუნებული ძროხისნაირად მოადგება ჭიშკარს, მიეპოტინება თავის ქიცინით და გმინავს და კუთავს თავისთვის. ღორი ლაფში მოსვრას არ მოიშლის. კი ნახა სეირი იმ ღია ჭიშკრის გამო მაშინ. მე რომ მომსვლოდა ეს ამბავი, იმ ადგილს ახლოსაც არ გავეკარებოდი. მიკვირს და ვერ გამიგია, ჭიშკართან რას დგას და რას ფიქრობს, როცა სკოლიდან შინ მიმავალ გოგოებს უთვალთვალებს; ლამობს უნდოდეს რაღაც, რაც არ შეუძლია, რასაც ვერ იხსენებს და

---

* სახელგანთქმული ბეისბოლელი.

რაც არც ენდომება არასდროს. ანდა მაშინ რაღას ფიქრობს, როცა ქვით გახდიან, ლოგინში ჩააწვენენ და უცებ თავის სხეულს თვალს მოჰკრავს და ბღრიალდება, თითქოსდა იმასვე უკეთებენ. მაგრამ მე ვამბობ, ამ ბიჭის გარდა კარგი იყო ეგ სხვისთვისაც გაეკეთებინათ-მეთქი. სწორედ ასე ვუთხარი ამ გოგოს, მე ვიცი, შენ რაც მოგიხდება, შენ ის მოგიხდება, რაც ბენს მოუხდა, ჭკუას მაშინ ისწავლი, და თუ ჩემს ნათქვამს ვერ ხედები, წადი და დილზის ჰკითხე, ის გეტყვის-მეთქი.

დედაჩემის ოთახში შუქი ანთია. მანქანა დავაყენე და სამზარეულოში შევედი. იქ არიან ლასტერი და ბენი.

— დილზი სადაა? — მე ვკითხე, — სუფრას აწყობს?

— მისს კაროლაინთან არიდა, — ლასტერმა თქვა. — ჩხუბია იქ. მისს კვენტინა მოვიდა და მაშინვე დაიწყეს. დილზის იმათი დაწყნარება უნდა. ბ-ნო ჯეისონ, წარმოდგენისაა ამ საღამოს, ხომ?

— დიახ, — მე ვუთხარი.

— ვიცოდი, ისინი უკვე ჰოგავდნენ, — თქვა მან, — როგორი მინდოდა მენახა, — შეუბნება, — ოი, ოცდახუთი ცენტი რომ მომცა.

დილზი შემოვიდა. — მობრძანდით? — ასე მითხრა, — მაინც სად იყავით ამ საღამოს? თვისაც ვიჭირეში ქალი, ხომ იცით, თქვენ კი შინ დროზე რად არ მოდიხართ?

— იქნებ წარმოდგენაზე ვიყავი, — მე მივუგე. — ვახშამი მზადაა?

— როგორი მინდოდა მენახა, — თქვა ლასტერმა, — ოი, ოცდახუთი ცენტი რომ მომცა.

— შენ იმ წარმოდგენას რას აქნევ, — უთხრა დილზიმ, — თქვენ სასადილო ოთახში შედით და იქ დაბრძანდით, — შეუბნება, — მაღლა კი ნუ ახვალთ, თორემ ისევ დაიწყებენ თავიდან.

— რაო, რა მოხდა? — ვეკითხები.

— კვენტინა მოვიდა ამ ცოტა ხნის უკან და ასე თქვა თქვენზე, მთელი საღამო დამსდევდაო, მისს კაროლაინი სულ აინთო და დაინთო. თავს რად არ დაანებებთ ამ გოგოს? ღვიძლ დისშვილთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრება არ შეგიძლიათ უჩხუბრად?

— როდისღა უნდა მეჩხუბა იმასთან, — მე ვუთხარი, — დილის მერე არ მინახია. რაო, მაინც რას ამბობს? სკოლაში წამიყვანაო? საცოდავი, — ვეუბნები.

— თქვენ თქვენს საქმეს მიხედეთ და ამ გოგოს თავი დაანებეთ, — მითხრა დილზიმ, — მე თავად მოვუვლი, მაგრამ რა ვქნა, თქვენ და მისს კაროლაინი ხელს მიშლით. დაბრძანდით იქ წყნარად და მე სუფრას გავშლი.

— ოცდახუთი ცენტი რომ მომცა, — თქვა ლასტერმა, — წარმოდგენაზე წავიდოდი მაშინ.

— ფრთები რომ გქონდეს, ცაშიაც გაფრინდებოდი, — მიუგო დილზიმ, — სიტყვა აღარ დაძრა იმ წარმოდგენაზე, იცოდე.

— კინაღამ დამავიწყდა, — ასე ვთქვი, — ორი ბილეთი მომიტანეს, — ხელი ჩავიყავი ჯიბეში და ბილეთები ამოვიღე.

— თქვენ წახვალთ ხომ? — მკითხა ლასტერმა.

— მე არა, — ასე ვუთხარი, — ათი დოლარიც რომ მომცენ, მაინც არ წავალ.

— ერთი მომეცით რა, ბ-ნო ჯესონ, — შემეხვეწა.

— ერთს მოგყიდი თუ გინდა, — ასე ვუთხარი, — რას იტყვი?

— ვაი, ფული რომ არა მაქვს, — თქვა მან.

— ვერ არის კარგი ამბავი, — ასე მივუგე. ფეხზე წამოვდექი.

— ერთი მომეცით რა, ბ-ნო ჯესონ, — ისევ შემეხვეწა, — სანამ არ დაგჭირდებათ.

— ხმა ჩაიკმინდე, — უთხრა დილზიმ, — ეგ უფულოდ არაფერს მოგცემს.

— რამდენად მომყიდით? — შემეკითხა.

— ხუთ ცენტად, — ვუთხარი მე.

— ამდენი რომ არა მაქვს, — თქვა მან.

— რამდენი გაქვს? — ვეუბნები.

— სულ არა მაქვს, — ასე მიპასუხა.

— რას იზამ, — ვთქვი და კარისკენ წავედი.

— ბ-ნო ჯესონ! — დაიძახა.

— ენას არ გააჩერებ? — უთხრა დილზიმ, — განგებ გაღიზიანებს. თავად სჭირდება ეს ბილეთები. ჯესონ, წადით და ამას თავი გაანებეთ.

— არაფერიც არ მჭირდება, — მე ვუთხარი, გამოვტრიალდი და ღუმელთან მივედი. — ამათ დასაწვავად შემოვედი აქ. მაგრამ ხუთ ცენტად მოგცემ თუ გინდა, იცოდე? — ვეუბნები და თვალებში შევყურებ, ღუმელის კარი გამოვაღე.

— არა მაქვს და რა ვქნა, — თქვა ლასტერმა.

— რას იზამ, — ვთქვი მე, ჯერ ერთი შევაგდე ღუმელში.

— ჯესონ-მეთქი, — დაიძახა დილზიმ. — როგორ არა გრცხვენიათ!

— ბ-ნო ჯესონ, — შემეხვეწა ლასტერი, — გთხოვთ, მთელი თვე ყოველდღე საბურავს გავიბერავთ.

— ფული უნდა მომცე, — ასე ვუთხარი, — ხუთ ცენტად გაძლევ, მეტი რა გინდა.

— გაჩუმდი, ლასტერ, — უთხრა დილზიმ და უკან გამოათრია. ღუმელს მოაცილა, — მიდით და ბარემ ჩააგდეთ. მიდით-მეთქი, გაათავეთ მალე.

— ხუთ ცენტად გაძლევ-მეთქი, — მე ვუთხარი.

— ბარემ ის მეორეც ჩააგდეთ, — თქვა დილზიმ, — არა აქვს ეს ხუთი ცენტი. ბარემ ჩააგდეთ და მორჩით.

— რას იზამ, — ვთქვი მე, ჩავაგდე მეორეც და დილზიმ ღუმელის კარი მიკეტა.

— ამხელა კაცი ხართ, — მითხრა მან, — გადით ახლავე ჩემი სამზარეულოდან. შენ კი გაჩუმდი, — მიუბრუნდა იგი ლასტერს, — გინდა ბენჯიც აღრიალდეს. ფრონის გამოვართმევ ამაღამ ოცდახუთ ცენტს და ხვალ გაგიშვებს წარმოდგენაზე. ახლავე გაჩუმდი-მეთქი.

სასტუმრო ოთახში გავედი. ჩამიჩუმი არ ისმის ზემოდან. გაზეთი გავშალე. ცოტა ხნის შემდეგ ბენი და ლასტერი შემოვიდნენ. ბენი კედლის იმ ჩამუქებულ ადგილთან მივიდა, სადაც სარკე ეკიდა, ხელებით ეპოტინება დუჟმორეული და მკვნესარე. ლასტერმა ცეცხლის გაჩაღება მოინდომა ბუხარში.

— რას შვრები? — მე ვუთხარი, — ცეცხლი ამაღამ სულაც არ გვჭირდება.

— ცეცხლს რომ შეხედავს, გაჩუმდება-მეთქი, — ასე მიპასუხა, — აღდგომაზე ყოველთვის ცივა.

— მერედა, აღდგომა როდისაა, — ვთქვი მე, — თავი გაანებე.

დილი ასტამი თავის ადგილას, დედაჩემის სავარძლიდან ბალიში აიღო და ბენს მისცა. ისიც მიიკუნჭა ბუხართან და გაჩუმდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთს ვკითხულობ. ზემოთ ისევ მდუმარება სუფევს. დილზი შემოვიდა და ლასტერს ბენი სამზარეულოში წააყვანინა, მე მითხრა, ვახშამი მზადააო.

— კარგი, — მივუგე მე. დილზი გავიდა. ვზივარ და ისევ გაზეთს ვკითხულობ. კარმა გაიჭრიალა, დილზიმ შემოიჭვრიტა.

— სავახშმოდ რად არ მოდიხართ? — მკითხა მან.

— ვახშამს ველოდები, — მე ვუთხარი.

— გაშლილია უკვე, — ასე თქვა, — რომ გითხარით.

— მართლა? — ვუპასუხე მე, — მაპატიე, მაგრამ დაბლა რომ არავინ ჩამოსულა.

— არც ჩამოვლენ, — მითხრა, — თქვენ მიდით და ივახშმეთ, იმათ კი მაღლა ავუტან რამეს.

— ავად გახდნენ თუ, — ასე შევეკითხე, — რაო, ექიმმა რა თქვაო? ჩუტყვავილი ხომ არ შეეყარათ.

— წადით აქედან, ჯეისონ, — თქვა მან, — არა მცალია.

— კარგი, — ვუთხარი, მე და ისევ გაზეთი მოვიმარჯვე. — მე ახლა ვახშამს ველოდები.

კარიდან შემომცქერის, ვგრძნობ, გაზეთს ვკითხულობ.

— მაინც რა არის? — ასე თქვა, — მოსვენება არა მაქვს იმედაც, ხომ იცით.

— დედა თუ ახლა უფრო ცუდადაა, რას იზამ, თუმცა სადილზე კი ჩამოვიდა დაბლა, — მე ვუთხარი, — მაგრამ ჩემზე უფრო ახალგაზრდები რაკილა ჩემს პურს ჭამენ, დაბლა უნდა ჩამოვიდნენ და სუფრაზე მეახლონ. ვახშამი მზად რომ იქნება, მითხარი, — დავსძინე და გაზეთის კითხვა განვაგრძე. მესმის, დილზი კიბეზე მიათრევს ფეხებს, ისე კვნესის და ბუზღუნებს, თითქოს სამი ფუტი სიმაღლის ყოფილიყოს ყოველი საფეხური. დედაჩემის ოთახის კართან მისი ხმა გავიგონე, მერე კვენტინას შესძახა. როგორც ჩანს, თავის ოთახშია ჩაკეტილი ეს გოგო. მერე ისევ დედაჩემის ოთახთან დაბრუნდა, მერე დედაჩემი გამოვიდა და კვენტინას დაუძახა. მერე ყველანი ჩამოვიდნენ კიბეზე. მე გაზეთს ვკითხულობ.

დილზი შედგა კართან. — შემოდით, — თქვა მან, — თორემ კიდევ რაღაცას მოიგონებთ. ერთი დავიდარაბა გაქვთ ყველას.

სასადილო ოთახში შევედი. თავჩაღუნული ზის კვენტინა, სახეშეღებილია ისევ. ფაიფურის იზოლატორივით უქათქათებს ცხვირი.

— მიხარია, დაბლა ჩამოსვლა რომ შესძელით, — ვუთხარი დედას.

— ასეთი მცირედი რამ თუ გასიამოვნებს, — ასე მიპასუხა, — ჩემი ავადმყოფობა რა სახსენებელია. ვიცი მე, მთელი დღე ნაჯაფ კაცს სუფრასთან თავისიანებში უნდა ჯდომა. ვცდილობ ყველანაირად. შენ კი კვენტინა ერთმანეთში კარგად რომ იყოთ, მე ესღა მინდა. აი, მაშინ ვიგრძნობდი შვებას.

— ჩვენ კარგად ვართ ერთმანეთში, — მე ვუთხარი, — ხმასაც არ ამოვიღებ, თუ უნდა, მთელი დღე იყოს თავის ოთახში ჩაკეტილი. მაგრამ საჭმელზე

აქ ჩამოვიდეს ხოლმე და ნუ იბღვირება. ვიცი, მეტისმეტსა ვთხოვ, მაგრამ ჩემს სახლში ასეთი წესია. თქვენს სახლში-მეთქი, მინდოდა მეთქვა.

— შენია ეს სახლი, — მომიგო დედამ, — ოჯახის უფროსი ახლა შენა ხარ.

კვენტინა ისევ თავჩაღუნული ზის, თეფშებზე კერძი ჩამოვარიგე და ჭამას შევუდგა.

— ხორცის ნაჭერი ხომ კარგი შეგხვდა? — მე ვუთხარი, [illegible] უკეთესს შეგირჩევ.

არ მიპასუხა.

— გეკითხები, კარგი ნაჭერი თუ შეგხვდა-მეთქი, — გავუმეორე.

— მე მითხარით? — თქვა მან, — კარგი ნაჭერია.

— ბრინჯი ხომ არ გინდა დაგიმატო? — შევეკითხე.

— არა, — მიპასუხა.

— ცოტას კიდევ დაგიმატებ, — ვეუბნები.

— მეტი არ მინდა, — ასე თქვა.

— არაფრის, — ვუთხარი მე, — ღმერთმა შეგარგოს.

— თავი აღარ გტკივა? — მითხრა დედამ.

— თავით? — ვთქვი მე.

— მე კი ვშიშობდი, ვაითუ ასტკივდეს-მეთქი, — დასძინა, — აი, მაშინ, შუადღით რომ მოხვედი.

— ჰო, — მე მივუგე, — გადავრჩი. შუადღით ისეთ გაწამაწიაში ვიყავი, აღარც გამხსენებია.

ხოდა, ამიტომ დაიგვიანე? — თქვა დედამ. ყურები დავცქვიტა კვენტინამ. შევხედე, დანა-ჩანგალს ისევ ატრიალებს, მაგრამ მზერა მაინც მესროლა, შემდეგ ისევ თეფშში ჩარგო თავი. ასე ვუთხარი:

— არა. ასე, სამი საათი იქნებოდა, რომ მანქანა ვათხოვე ერთს და ველოდებოდი, ვიდრე უკან არ მომიყვანა. — ჭამა არ შემიწყვეტია.

— ვის ათხოვე? — მკითხა დედამ.

— მსახიობია ერთი, — მივუგე, — მისი დის ქმარი, მგონია, ვიღაც აქაურ ქალთან ერთად წავიდა ქალაქგარეთ და ის კი უკან გამოუდგა.

კვენტინა გაირინდა, ოღონდ კი ღეჭავს მაინც.

— ასეთ ხალხს მანქანა არ უნდა ათხოვო, — თქვა დედამ, — მაგრამ მე ვიცი შენი კეთილი გულის ამბავი და, თუ ძალიან არ დამჭირდა, არცა გთხოვ ხოლმე.

— შემეშინდა, რამე ხომ არ შეემთხვა-მეთქი, — ვუთხარი, — მაგრამ მშვიდობით დაბრუნდა. ვისაც ვეძებდი, ვნახეო, ასე მითხრა.

— ის ქალი ვინ იყო? — მკითხა დედამ.

— მერე გეტყვი, — მე ვუთხარი, — მაგისთანა ამბებს კვენტინამ არ უნდა მოუსმინოს.

კვენტინამ ჭამა შეწყვიტა. წყალს მოსვამს ცოტა და ნამცხვარს ფშვნის თითებით, თავი თეფშში აქვს ჩარგული.

— დიახ, — თქვა დედამ, — ჩემნაირად შინ გამოკეტილი ქალი ქალაქის ამბებს რას შეიტყობს.

— დიახ, — მე ვუთხარი. — ეგ მართალი თქვით...

— მთელი ჩემი სიცოცხლე თავი შორს მეჭირა ასეთი რამეებისაგან, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბობს დედა, — მადლობა ღმერთს, ამ გარყვნილობისა არაფერი ვიცოდი. არ ვიცოდი და არც მინდა ვიცოდე. სხვებს არა ვგავარ.

არაფერი მითქვამს. კვენტინა ზის და ნამცხვარს ფშვნის თითებში. დავამთავრე ვახშამი და იმან თქვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თუ შეიძლება წავალ, — თავი არც აუწევია.

— რაო? — ვთქვი მე, — კი, ბატონო. ჩვენ რატომ უნდა დაგვიცადო.

შემომხედა. მთელი ნამცხვარი დაფშვნა, მაგრამ ისევ ისე კი ამოძრავებს თითებს. თვალები კუთხეში თუ კიდევ სადღაც მიმწყვდეულ ვირთხასავით გაუნდა და მერე უცებ სულ დაიჭამა ტუჩები, თითქოს იმ წითელ პომადაში შხამიანი ტყვია ყოფილიყოს გარეული.

— ბებია, — დაუძახა, — ბებია!..

— კიდევ შეჭამ რამეს? — მე ვუთხარი.

— რას მერჩის, ბებია? — თქვა მან, — რა დავუშავე?!

— მხოლოდ ის მინდა, ნუ ეჩხუბებით ერთმანეთს, — თქვა დედამ, — თქვენღა დამრჩით, და მინდა თქვენ მაინც იყოთ კარგად ერთმანეთში.

— სულ იმისი ბრალია, — ასე უთხრა, — თავი გამანებოს და მეც აღარაფერს ვიტყვი. ჩემი გაჩერება თუ არ უნდა აქ, მაშინ გამიშვას და...

— კმარა, — მიაძახე, — სიტყვა აღარ დაძრა!

— მაშინ თავი გამანებოს, — ეუბნება, — რას... რას...

— ჯერ კიდევ ჩვილს გზრდიდა, მამად გეკუთვნის ეგ შენ, — უთხრა დედამ, — მაგის პურს ვჭამთ შენ და მე. მისი გამგონე უნდა იყო, ამას მოელის ის შენგან.

— სულ მისი ბრალია, — თქვა და წამოხტა, — მაგან მაიძულა. მაგას რომ... შემომცქერის, თვალებს აცეცებს, გვერდებზე მკლავები უძაგძაგებს როგორღაც.

— რა მაგას რომ? — მე ვუთხარი.

— თუ რამეს გავაკეთებ, სულ მისი ბრალია, — წამოიძახა, — ცუდი თუ ვარ, ეგაა დამნაშავე. ნეტავ მოვკვდებოდე. ნეტავ ყველანი დავიხოცებოდეთ, — გაიქცა. მესმის, როგორ არბის კიბეზე. მერე კარმა გაიჯახუნა.

— აი, ერთი ჭკვიანური კი თქვა ამ გოგომ, — დავსძინე მე.

— დღეს სკოლაში არ ყოფილა, — მითხრა დედამ.

— რა იცით? — ვეკითხები, — ქალაქში იყავით თუ?

— ვიცი, — მომიგო მან, — ცოტა უფრო კარგად უნდა მოექცე.

— მაშინ დღეში ერთხელ არ უნდა ვხედავდე ამ გოგოს, — ვეუბნები, — უთხარით, სადილსა და ვახშამზე ჩვენთან დაჯდეს. მაშინ ყოველთვის მივცემ ზედმეტ ნაჭერ ხორცს.

— მხოლოდ ეგ არ კმარა, — ასე თქვა.

— მაშინ არად ჩავაგდო თქვენი თხოვნა და მივცე გაკვეთილების გაცდენის უფლება? — მე ვუთხარი.

— დღეს ის სკოლაში არ ყოფილა, — თქვა დედამ, — ვიცი. ასე მითხრა, შუადღით ერთ ბიჭთან გაესეირნე მანქანით და ჯეისონი სულ უკან დამსდევდაო.

— ამას როგორ იზამდი? — ვუთხარი მე, — შუადღით ჩემი მანქანა სხვას ჰყავდა. გააცდინა თუ არ გააცდინა გაკვეთილები დღეს, ეს უკვე წარსულია, —

ვეუბნები, — სჯობია ეგ საღარდებელი მომავალი ორშაბათისთვის შემოინახოთ.

— ერთმანეთს ნუ ეჩხუბებით. მე ეს მინდა, — ასე მიპასუხა, — მაგრამ თავნებობა მემკვიდრეობით დაჰყვა მას. კვენტინსაც ჰგავს ეს გოგო. სულ ვფიქრობ, იმის დისშვილს ეს სახელი რაღად დავარქვით-მეთქი. ხანდახან სულ მგონია, ის ბავშვი კედისა და კვენტინის ცოდვების საზღვე[illegible]-მეთქი.

— ღმერთო ჩემო, — მე ვუთხარი, — რა საამური აზრები გქონიათ. სულ რომ ავადმყოფობთ, რაღა გასაკვირია.

— რაო? — ჩამეკითხა, — ვერ გავიგე.

— კიდევ კარგი, — მე ვთქვი, — წესიერ ქალებს ბევრი რამ არ ესმით და ასე სჯობს ნამდვილად.

სხვანაირები იყვნენ ორთავე, — ასე თქვა, — ვეტყოდი რამეს და იმ წუთას მამას მიაშურებდნენ. სულ ასე მეუბნებოდა ეს კაცი, შენი მეურვეობა არ სჭირდებათ ამათ, რაკიღა უკვე იციან, რა არის სისუფთავე და პატიოსნება, მთავარი კი ეს არისო სწორედ. ხოლო, ახლა კი უნდა იყოს კმაყოფილი.

— ბენი დაგრჩათ საზრუნავად, — მე ვუთხარი, — გიხაროდეთ.

— თავიანთ ცხოვრებაში მე არასოდეს მრევდნენ, — თქვა მან, — სულმუდამ ასე იყვნენ ის გოგო და კვენტინი. სულმუდამ მეწინააღმდეგებოდნენ. ასევე იყვნენ შენთანაც, მაგრამ შენ პატარა იყავი და ვერ ხვდებოდი ამას. მე და შენ იმათთვის მუდამ უცხონი ვიყავით, ისევე როგორც ბიძია მორი. სულ მუდამ ვეუბნებოდი მამაშენს, მეტისმეტ თავისუფლებას აძლევ, ერთმანეთის გარდა არავის სცნობენ-მეთქი. სწავლა დაიწყო კვენტინმა და მეორე წელს იმ გოგომაც გაგვაშვებინა თავი სკოლაში, იმასთან უნდა ყოფილიყო აუცილებლად. პატივმოყვარე იყო, პატივმოყვარე და უკუდო ამპარტავანი. ხოლო, ის ამბები რომ გადახდა, ვიფიქრე, არც ეს ბიჭი ჩამორჩება, იმაზე უარესს გააკეთებს-მეთქი. მაგრამ ის კი არ მეგონა, თუ ასეთი თავკერძა იქნებოდა და... სიზმრადაც ვერ წარმოვიდგენდი, რომ...

— მგონია, იმ ბიჭმა იცოდა იმთავითვე, გოგო გაჩნდებაო, — მე ვუთხარი, — ხოლო, მიხვდა, კიდევ ერთ იმისთანას ვერ გავუძლებო.

— მხოლოდ მისი სჯეროდა იმ გოგოს, — თქვა დედამ, — ერთადერთი ადამიანი იყო ის ბიჭი, ვისაც კედი ცოტა მაინც პატივსა სცემდა. მაგრამ ღმერთმა აქაც გაწირა.

— დიახ, — მე მივუგე, — კი არის გულდასაწყვეტი. სჯობია მის მაგივრად მე დავმხრჩვალიყავი, მაშინ ბევრად უკეთესად წავიყვანდით საქმე.

— კი გაქვს სასაყვედურო, — მითხრა მან, — კიდევაც დაიმსახურე ეგ საყვედური. კვენტინის ჰარვარდში გასაგზავნად მიწის გაყიდვა რომ დააპირეს, მე მაშინ ვუთხარი თქვენს მამას, რომ შენი წილიც იმდენივე უნდა ყოფილიყო. მერე ჰერბერტმა ბანკში სამსახური შეგთავაზა და ვიფიქრე, ჯეისონს კარგი მომავალი ექნება-მეთქი. მაგრამ მერე, ყველაფერი რომ აირ-დაირია და იძულებული ვიყავი ავეჯი და ის დარჩენილი მიწაც გამეყიდა, წერილი მივწერე იმ გოგოს, შენ და კვენტინს მეტი გერგოთ და ჯეისონს თავისი წილი უნდა დაუბრუნო-მეთქი. ასე მეგონა, მამამისის ხათრით მაინც იზამდა ამას. მაშინ მჯეროდა კიდევ, რომ ადამიანმა თავისი სისხლი და ხორცის გულისთვის რაღაცაზე უნდა თქვას უარი. სწორედ ესაა ჩემი დანაშაული. მართალი ხარ ნამდვილად.

— თქვენ გგონიათ, გზის გასაკაფავად ვინმეს დახმარება მჭირდება? — მე ვუთხარი, — მეტადრე იმ ქალისაგან, რომელსაც თქმაც კი უჭირს, ვინ არის მისი შვილის მამა.

— ჯეისონ! — შეჰყვირა.

— კი, ბატონო, — ვთქვი მე, — წამომცდა. ნაპატიეთ, ამისი თქმა არ მინდოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემი ამდენი ტანჯვა-ვაების შემდეგ ნუთუ ესეც უნდა გაიგონ ჩემმა ყურებმა.

— მაპატიეთ, — ვუთხარი მე, — წამომცდა-მეთქი.

— ნუთუ ეს მწარე ფიალაც უნდა შევსვა, — თქვა მან.

— ნამდვილად, — მე მივუგე, — ორივეს მეტისმეტად ჰგავს ეს ბავშვი, რაღაა აქ საეჭვო.

— გავთავდები და ის იქნება! — ასე წამოიძახა.

— მაშინ არაზე ნუღარ ფიქრობთ, — მე დავსძინე. — ამ გოგომ ასე აგაფორიაქეთ. რათ, საღამოობით შინ ვეღარ ჩერდება?

— არა. სულ ასე ვეჩიჩინები, შენდა სასიკეთოდაა ეს ყველაფერი და მერე როდესმე მადლობას მეტყვი-მეთქი. თავისი წიგნები შეიტანა და მეცადინეობს, ჩაკეტილი ჰყავს. ხანდახან თერთმეტ საათამდეც კი უნთია სინათლე.

— თქვენ რა იცით, რომ მეცადინეობს? — ვკითხე მე.

— აბა რაღა უნდა გააკეთოს იქ მარტოკამ, — ასე მიპასუხა, — სხვა წიგნებს ეგ არ კითხულობს.

— დიახ, — მე ვუთხარი, — საიდან უნდა იცოდეთ. ბედის მადლობელი უნდა იყოთ, რომ არ იცით. — დავსძინე გუნებაში, თორემ ისევ მოჰყვება ტირილს და საფერებელი გამიხდება.

მესმის, კიბეზე ადის. მერე კვენტინას დაუძახა, იმან გამოსძახა, რა გნებავთო? ძილი ნებისაო, უთხრა დედამ. მერე გავიგონე, გასაღები გადაატრიალა და თავის ოთახში შევიდა.

სიგარის წეწვა რომ დავამთავრე და მაღლა ავედი, სინათლე ისევ ენთო იმ გოგოს ოთახში. გასაღების ჭუჭრუტანიდან კი გამოდიოდა შუქი, მაგრამ ბაიბური არ ისმოდა იქიდან. მთლად გასუსული მეცადინეობს. შესაძლოა სკოლაში გაიწაფა ასე. დედას ვუთხარი, ღამე მშვიდობისა-მეთქი. შევედი ჩემსა, ყულაბა გადმოვიღე და ისევ დავითვალე. გვერდით ოთახში ეს ჩვენი დიდი ამერიკელი ლაფშა ხვრინავს-ხრიალებს სახერხი ქარხნისნაირად. სადღაც წამიკითხავს, ქალის ხმა ეძლევათო მამაკაცებს გარკვეული ოპერაციის შემდეგ. მგონია, ვერც კი ხვდება, რა გაუკეთეს, თავს რა გადახდა, ანუ ბ-ნმა ბერჯესმა რად დაჰკრა და მიაგდო ღობის ძირას. პირდაპირ იქიდან რომ ჯექსონს გაეგზავნათ ქირურგებს, მაინც სულ ერთი იქნებოდა მისთვის, რას შეამჩნევდა. მაგრამ კომპსონებს ასეთი მარტივი აზრი როგორ მოუვა თავში, პატარა სირთულეც რა მოსატანია. სანამ არ ილონეს არაფერი, ვიდრე ქვემოთ, ქუჩაში არ გაიჭრა და ციცქნა გოგოს არ გამოენთო მამამისის თვალწინ. კი ვამბობდი, იმ ექიმებს ჭრა-კერვა ადრე უნდა დაეწყოთ და გვიან უნდა დაემთავრებინათ-მეთქი. სულ ცოტა ორს ვიცნობ, რომლებსაც ნამდვილად სჭირდებათ რაღაცა ამისი მსგავსი. აქედან ერთი შორს საძებნი არაა. თუმცა აღარც ეს უშველის მგონია, ახლა. ხომ ვამბობ, კახპა ყოველთვის კახპაა-მეთქი. მხოლოდ ოცდაოთხ საათს ნუ გამაგონებენ თავიანთ რჩევა-დარიგებას ის წყეული ნიუ-იორკელი ებრაელები და მერე მე ვიცი. დიდ მოგებას მე არ დაგიდევთ, ეგ საკენკი

წვრილფეხა მოთამაშეებს დაუყვირონ. ჩემი ფული ამომაგებინე როგორმე და დარდი არა მაქვს, გინდ მთელი ბილის ქუჩა* და მთელი საგიჟეთი შემოასახლეთ შინ; მობრძანდნენ, ორმა ჩემს ლოგინში ინებივროს და მესამემ ჩემი ადგილი დაიჭიროს სუფრაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 1928 წლის 8 აპრილი

ცივი და მოღუშული დილა გათენდა, ლეგა ნათელი მოიწევდა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და ოქორი კი არა, თითქოს მტვერივით წვრილი და შხამნარევი წვეთები მოჰქონდა თან. დილზიმ კარი გამოაღო და გადმოაბიჯა თუ არა თავისი ქოხის ზღურბლზე, იმავ წამს გვერდით დასუსხა. ძვალსა და რბილში დაჟარა ამ ოქორმა უსიამოვნო, ყინვადაკრული ზეთისნაირმა სისველემ. დოლბანდით შეკრულ თავზე დაეკოსებინა დილზის ჩალის ხეშეში შავი ქუდი. წითელი აბრეშუმის კაბაზე მოესხა კიდეებგაზინზლული, გაქუცული და გაურკვეველი წარმომობის ბეწვშემოვლებული წაბლისფერი ხავერდის მოსასხამი. კართან იდგა, მთლად დამჭკნარი, ღრმულებჩაცვივნული სახე და თევზის მუცლისმაგვარი ფერმილეული ხელისგული შეაგება ტაროსს, მერე მოსასხამი უკან გადაიგდო, მკერდზე დაიხედა და კაბა ჩაათვალიერა.

მიმქრალი, მეფური შარავანდედით დაფენილი ეს სამოსელი კეც-კეცად ჩამოცურებოდა მხრებსა და ჩავარდნილ მკერდზე, მუცელზე კი შემოსალტულა და კეც-კეცადვე ეშვებოდა დაბლა, ზემოთ კი, წელთან, მცირეოდენ გამოებერა ქვედატან კაბებს, გაზაფხულიდან მოყოლებული თბილი დარების კვალობაზე რომ თანდათან მცირდებოდა. ჩონჩხადქცეულიყო ახლა ერთ დროს მოსული ქალი, წამოზრდილი მუცლის გარდა კანი მთელ სხეულზე დანაოჭებოდა, თითქოს მისი კუნთებიცა და მყესებიც მოწმობდა იმ უდრეკელობას და გულოვნობას, დღეებსა თუ წლებს რომ შეემუსრა და ამ ნამუსრევში შეუპოვრად ამართულიყო ჩონჩხი, როგორც მთვლემარე და განუჭვრეტელი წიაღიდან ამოზიდული ნანგრევი ან ნიშანსვეტი, რასაც სახე ამოეწვდინა. თითქოს ძვალი და რბილი ცალ-ცალკე იყო ამ სახეზე და ამ უქმური დილის დანახვისას მორჩილებასთან შერთული ბავშვური გულისწყრომა გამოეხატა. ცოტა ხანს იდგა ასე, მერე შეტრიალდა, შინ შევიდა და კარი მიიხურა.

კარის ახლოს მიწა მოტიტვლებული იყო. თითქოს მრავალი თაობის შიშველ ფეხებს ისეთი ელფერი დაემჩნიათ, როგორსაც ნახავთ ძველ ვერცხლსა თუ მექსიკური ქოხმახების შელესილ კედლებზე. ზაფხულობით სამი თუთის ხე ჩრდილავდა აქაურობას. ბრტყლად ლივლივებდა ქარში მათი პაწაწინა ფოთლები, მერე რომ ხელისგულის ოდენა შეიქნებოდა. ქარმა ორი ჩხიკვი მოატრიალა საიდანღაც და ჭრელაჭრული ჩვარისა თუ ქაღალდის ნაგლეჯის მსგავსად შეაგდო და აქანავა ხეზე, მათი ამზრზენი ჩხავილი ჩვრისა თუ ქაღალდის მსგავსადვე გაიტაცა და გააქანა საღაც. მერე სამიც მოფრინდა კიდევ და ახლა ყველანი ჩხავილით ფრთხიალებდნენ დარხეულ ტოტებზე. ქოხის კარი გაიღო და ისევ გამოვიდა დილზი. ქეჩის ქუდი ეხურა ახლა, ლურჯი ნარ-

* სამეძავო სახლებით განთქმული ქუჩა ქ. მემფისში.

თის კაბაზე სამხედრო ფარაჯა გადაეცვა, ფეხებში ედებოდა და ებურძგებოდა კაბის კალთები, როცა ეზო გადმოჭრა და სამზარეულოში შევიდა.

ცოტა ხნის მერე იქიდანაც გამოვიდა, გახსნილი ქოლგა ეჭირა [illegible]-ვებინა და შეშასთან მისულმა ქოლგა ასევე გახსნილი დადო [illegible] მაგრამ ქარმა არ გააჩერა და იმ წუთას ხელი სტაცა, მიმოიტაცა. ქარს [illegible] დადო, შეშა მკლავებზე დაიწყო, მკერდზეც მიაშველა, ქოლგა აიღო, როგორც იქნა, გახსნა, გადრიალდა და იმდენი მოახერხა, რომ ასე, შეშიანად, საფეხურებზეც ავიდა, ქოლგაც დაკეცა და კარს უკან, კუთხეში მიაყუდა. შეშა იქვე ღუმელის ახლოს ყუთში ჩაყარა, ფარაჯა გაიძრო და ქუდი მოიხადა, კედელზე დაკიდებული ჭუჭყიანი წინსაფარი ჩამოიღო, აიკრა და ღუმელის გაჩაღებას შეუდგა, აჭრიალა კარები, აახმაურა თავსახურავები. ქალბატონმა კომპსონმა დაუძახა ამ დროს კიბის თავიდან.

იდგა იქ და ცალი ხელით ყელთან იკავებდა შავი ატლასის დალიანდაგებულ სალოპს, მეორე ხელში წყლიანი რეზინის სათბური დაეკავებინა და ქვემოთ იმზირებოდა, ჩაბნელებული კიბის თავზე მდგომი. „დილზი“, იძახდა ხოლმე დროის თანაბარ და უინტონაციო მონაკვეთებში, ხმა ჩაჰყვებოდა ჩაბნელებულ კიბეს და იქ აღწევდა, სადაც მკრთალი ნათელი ეფინებოდა სარკმლიდან. „დილზი“, იძახდა უინტონაციოდ, ჩუმი, გაცვეთილი ხმით, თითქოსდა არც კი ჰქონდა პასუხის იმედი. „დილზი“.

დილზიმ შეწყვიტა ღუმელთან ბრაგაბრუგი, გაეხმიანა, ვიდრე სამზარეულოდან გავიდოდა, ქალბატონმა კომპსონმა ისევ დაუძახა. ხოლო სასადილო ოთახი რომ გაიარა და ის იყო იმ სარკმლიდან ჩამოშვებულ მკრთალ ნათელში შედგა ფეხი, კვლავ მოესმა მისი ძახილი.

— მესმის, — აძახა დილზიმ, — აქა ვარ, მესმის. გაცხელდება და იმ წუთას ჩავისხამთ წყალს. — კაბის კალთები აიწია და კიბეს აუყვა, სულ მთლიანად ჩამოეფარა იმ მკრთალ ნათელს. — დაბლა დადევით და დაწექით.

— და მაინც რა მოხდა, არ ვიცი, — თქვა ქალბატონმა კომპსონმა, — ერთი საათი იქნება მღვიძავს და სამზარეულოდან ჩამიჩუმი არ ისმის.

— დაბლა დადევით და დაწექით-მეთქი, — უთხრა დილზიმ. კოჭლაკოჭლობით აიტანა კიბეზე მოძრავი სხეული, მძიმედ სუნთქავდა. — წუთი უნდა ღუმელის გაჩაღებას, წყლის გაცხელებას კი — ორი.

— ერთი საათი კი იქნება, რაც აქ ვწევარ ასე, — მიუგო ქალბატონმა კომპსონმა, — მერე გავიფიქრე, იქნებ მე მელოდება, ავდგე და ღუმელი თვითონ დავანთო-მეთქი.

კიბის თავზე ასულმა დილზიმ სათბური აიღო. — ცხელი იქნება ამ წუთას, — თქვა მან, — წუხელ შუაღამემდე წარმოდგენაზე იყო ლასტერი და ამ დილას ვერაო ადგა. ცეცხლს მე დავანთებ. მანამ კი შედით თქვენს ოთახში და სხვებს ნუღარ გააღვიძებთ.

— თუ ლასტერს ამის უფლებას აძლევ, მაშინ რაც მოგივა, შენს თავს დააბრალე, — გააფრთხილა ქალბატონმა კომპსონმა, — ჯეისონს არ მოეწონება ეს ამბავი, შენც იცი.

— ჯეისონის ფულით არ წასულა იმ წარმოდგენაზე, ერთხელ ხომ უნდა ენახა, — მოუჭრა დილზიმ და ისევ კიბეზე დაეშვა. ქალბატონი კომპსონი თავის ოთახში შევიდა, ლოგინში რომ წვებოდა, ჩაესმა, რა კოჭლაკოჭლობითა

და გულისგამაწვრილებლად ნელა ეშვებოდა დილზი, მაგრამ აგერ მიჯახუნდა სამზარეულოს კარი და ეს მტანჯველი ხმაურიც გაილია.

სამზარეულოში მიბრუნებულმა დილზიმ ცეცხლი გააჩაღა და საუზმის მომზადებას შეუდგა. უცებ ყველაფერს თავი მიანება, მივიდა და ფანჯრიდან ქოხს გაჰედა, მერე კარს მიადგა, გააღო და ამ ავდარში გასძახა:

— ლასტერ! — დაიყვირა, ყური მიუგდო და თან თავი მოარიდა ქარაშოტს. — ლასტერო-მეთქი! — ისევ მიუგდო ყური და ის იყო კიდევ უნდა დაეძახნა, რომ სამზარეულოს კუთხიდან ლასტერი გამოტყვრა.

— დიახ, — მიუგო უზაკვველად ლასტერმა, ისე უზაკველად, რომ დილზიმ დახედა თუ არა, გაშეშდა გაოცებისაგან, ოღონდ მარტო გაოცებული არ იყო ეს ქალი.

— სად ბრძანდებოდი? — ასე ჰკითხა.

— არსად, — უთხრა ლასტერმა, — სარდაფში ვიყავი.

— მერედა, სარდაფში რა გინდოდა? — თქვა დილზიმ, — წვიმაში რას დგახარ, შე სულელო, — დასძინა.

— არაფერიც არ მინდოდა, — უპასუხა მან და კიბეზე ამოვიდა.

— ფეხი არ ამოადგა აქ უშეშოდ, — ჩასძახა ქალმა, — დღეს შეშა მე ამოვიტანე და ღუმელიც მე დავანთე შენ მაგივრად. წუხელ აკი გითხარი, შეშა ჩააწყვე ყუთში და წარმოდგენაზე ისე წადი-მეთქი.

— ხოლა, მეც ჩავაწყვე, — მიუგო ბიჭმა, — სულ გავავსე ის ყუთი.

— მერედა, სად არის, თუ მოიტანე?

— აბა რა ვიცი. ხელიც არ მიხლია მე.

— კარგი. შეშა ამოიტანე და ის ყუთი სულ გაავსე, — ისე თქვა, — მერე ადი და ბენჯის მიხედე.

კარი გაიკეტა. ლასტერი შეშის მოსატანად წავიდა. ხუთიოდე ჩხიკვმა — ჩხა, ჩხიო, — დასძახა და სახლს ზემოთ აიჭრნენ, შემდეგ ისევ ჩაიმალნენ თუთის ხის ტოტებში. თვალი გააყოლა ლასტერმა, წამოავლო ხელი ქვას და გაუქნია. — აქშა! — შიაყვირა, — აბა ისევ ჯოჯოხეთში დაბრუნდით, ორშაბათამდე გაქვთ კიდევ ვადა.

მთასავით შეიხოხოლავა ხელებზე შეშა, ვეღარაფერს ხედავდა და ასე ბანცალ-ბანცალით ავიდა კიბეზე, ბრმად მიაწყდა კარს, რამდენიმე შეშა ჩამოუვარდა კიდეც. დილზიმ კარი გაუღო და ასევე ბრმად გაიარა ბიჭმა სამზარეულო. — ლასტერო! — მიაძახა დილზიმ, მაგრამ მან უკვე გრგვინვა-გრიალით ჩაახვავა შეშა ყუთში. — უჰ, — ამოიხვნეშა.

— გინდა მთელი სახლი გააღვიძო? — უთხრა დილზიმ. ხელისგული გაჰკრა კეფაზე. — აბა ახლა ადი და ბენჯის ჩააცვი.

— დიახ, — ასე უპასუხა. ისევ კარისკენ გატრიალდა.

— სადღა მიდიხარ? — დაუძახა დილზიმ.

— სჯობს სადარბაზოს კარით შევიდე, ასე აღარც მისს კალაინს გავაღვიძებ და აღარც სხვებს.

— მე გეუბნები, უკანა კიბით ადი და ბენჯის ჩააცვი-მეთქი, — უთხრა დილზიმ, — აბა ჩქარა.

— დიახ, ღიდედ, — მიუგო ლასტერმა. დაბრუნდა და რაკილა სასადილო ოთახიდან უნდა ასულიყო მაღლა, კარი გააღო და იქ შევიდა. ცოტა ხანს ქანქარებდა კარი ამის შემდეგ და გაჩერდა. ცოში უნდა მოეზილა დილზის. ფქვი-

ლის გასაცრელი მანქანა დაამაგრა პურის დაფის ზემოთ და გულისმომწყვლელი, სევდიანი და უსიტყვო სიმღერა წამოიწყო დაბალ ხმაზე, ფქვილი კი თხლად, თანაბრად, თოვლივით ეფინებოდა პურის დაფას. ღუმელი გახურდა, ოთახი გათბა და აჩურჩულდა ცეცხლის ენები. უფრო ხმამაღლა მღეროდა ქალი, თითქოსდა ხმა მოულბო სიცხემ, და უცებ სახლის სიღრმიდან ქალბატონმა კომპსონმა ჩამოსძახა ისევ. დილზიმ მაღლა აიხედა, თითქოს უხილავ კედლებსა და ჭერში გაეჭვრიტა და დაენახა ღილიანდაგებული ხალათწამოსხმული მოხუცი ქალი, მის სახელს რომ იძახდა ავტომატივით დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში.

— ღმერთო ჩემო, — თქვა დილზიმ, საცერს თავი გაანება, წინსაფრის კალთაზე ხელები შეიწმინდა, სკამიდან სათბურა აიღო და წინსაფრის კალთითავე შეფუთნული ხელით მცირეოდნავ ორთქლადენილი ჩაიდნის ჩამოდგმა მოინდომა. — ახლავე, — ასე ასძახა. — წყალი ეს წუთია გაცხელდა.

მაგრამ სათბურა აღარ სჭირდებოდა თურმე ქალბატონ კომპსონს. დილზიმ მაინც სტაცა ხელი და დაკლული ქათმისნაირად კიბესთან მიაბრონწიალა, მაღლა აიხედა.

— კი მაგრამ, იმ ბიჭთან არ მისულა ლასტერი? — ჰკითხა.

— ლასტერი აქ არ არის. ვწევარ და ყურს ვუგდებ, ჩამიჩუმი არ ისმის. ვიცი, იმისი თავი არა აქვს ლასტერს. მაგრამ მე კი მეგონა, აი, ამოვა ახლა, ბენჯამინს მოუვლის და ჯეისონი კვირაში ერთ დღეს მაინც გამოიძინებს-მეთქი.

— ვიღას დაეძინება, დილას აქეთ დგახართ კიბის თავში და გაჰყვირით, — მიუგო დილზიმ. ქოშინით მძიმედ აუყვა კიბეს. — ჯერ კიდევ ნახევარი საათის უკან ამოვაგზავნე ის ბიჭი.

ქალბატონმა კომპსონმა გადმოხედა მას, ნიკაპთან ხელით ჭმუჭნიდა ხალათს. — კი მაგრამ, ახლა შენ რას იზამ? — ასე ჩამოსძახა.

— ჩავაცმევ ბენჯის და სამზარეულოში ჩამოვიყვან, თორემ გააღვიძებს ჯეისონსა და კვენტინას, — უთხრა დილზიმ.

— საუზმე კი როდისღა იქნება?

— მალე, — მიუგო დილზიმ, — სჯობს დაწვეთ ისევ. მე ვეტყვი ლასტერს და ცეცხლს დავგინთებთ. ცივა ამ დილას.

— ვიცი, რომ ცივა, — თქვა ქალბატონმა კომპსონმა, — სალესი ქვასავით მაქვს ფეხები. სწორედ ამან გამომაღვიძა, — გამოხედა ისევ დილზის, ძლივსღა რომ ადიოდა კიბეზე. — შენც იცი, საუზმის დაგვიანებაზე როგორ ჯავრობს ჯეისონი, — ასე დასძინა.

— რა ვქნა, ათასად ვერ გავიჭრები, — უთხრა დილზიმ, — სჯობს ისევ დაწვეთ, თორემ თქვენ მოვლას მოვუნდები დილიდანვე.

— ბენჯამინის ჩასაცმელად მოდიხარ და ყველაფრისთვის თავი გაგინებებია. მაშ მე ჩავალ და საუზმეს მოვამზადებ. შენც კარგად იცი, როგორ აინთება და დაინთება ჯეისონი.

— თქვენ გაკეთებულ საუზმეს ნეტავ ვინ შეჭამს? — თქვა დილზიმ, — შედით-მეთქი თქვენს ოთახში, — ქალბატონი კომპსონი კი დგას და უცქერის კიბეზე ამომავალ დილზის, ცალი ხელით კაბის კალთა რომ უჭირავს, მეორეთი კედელს ებჯინება და ასე ამოდის აქოშინებული.

— უნდა ჩააცვა და ამიტომ აღვიძებ ამ ბიჭს? — უთხრა ქალბატონმა კომპსონმა.

დილზი შეჩერდა, ზედა საფეხურზე აქვს შედგმული ფეხი, ხელით კედელსაა მიბჯენილი, სხეულმოღრეცილი და გარინდებული ძლივსღა ჩანს, მქრქალი ნათელი ეფინება მის უკან სარკმლიდან.

— ჯერ კიდევ სძინავს? — იკითხა მან.

— მე რომ შევიხედე, ეძინა, — წიუგო ქალბატონმა კომპსონმა, — მაგრამ უკვე დროა, რის ნახევარზე ყოველთვის იღვიძებს, შენც ხომ [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილზის აღარაფერი უთხრა. ფეხი არ ამოუდგამს მაღლა და, თუმცა მრგვალად და ბუნდოვნად ჩანდა მისი სხეული, ქალბატონმა კომპსონმა იცოდა — წვიმაში მდგომი ძროხასავით მსგავსად მცირეოდნავ თავდახრილი იქნებოდა. მართლაც ასე იდგა აქ, კიბეზე, ცარიელი სათბურისათვის ყელზე წაეველო ხელი.

— შენ რა გიჭირს, — თქვა ქალბატონმა კომპსონმა, — შენი სადარდებელი არაა ეგ. შეგიძლია კიდევაც გაგეცალო. მაგრამ ეს ჭირ-ვარამი მე უნდა ვზიდო ყოველდღე. შენ ჩვენი რა გმართებს, ახლა ბ-ნ კომპსონის ხსოვნას პატივს რად უნდა სცემდე. ჯეისონი არასდროს გეხატებოდა გულზე, ესეც ვიცი, და ამას არც არასდროს მალავდი.

დილზიმ აღარაფერი უთხრა. ნელინელ მიტრიალდა და ჩაუყვა კიბეს. ხელით კედელს ეყრდნობოდა და პატარა ბავშვივით ძლივსღა ჩადიოდა. — თქვენს ოთახში შედით და იმას ნუ გააღვიძებთ. — მიუგო მერე, — ვნახავ ლასტერს და ამ წუთის ამოვაგზავნი, ოღონდ იმ ბიჭს ჯერ ნუ გააღვიძებთ.

სამზარეულოში დაბრუნდა. ღუმელში შეიხედა, შემდეგ გადაიძრო წინსაფარი, ფარაჯა მოისხა მხრებზე. კარი გააღო და გარეთ გაიხედა, ეზო მოათვალიერა. ძვალსა და რბილში დაუარა სიცივემ, ნწვარილ დაასუსხა, მაგრამ სულიერი რამ ახლომახლო არავინ ჩანდა. მაშინ კიბე ჩაიარა და, თითქოს მდუმარების შეშფოთება არ უნდაო, ფეხაკრეფით შემოუარა სამზარეულოს კუთხეს. სარდაფის კარიდან უზაკველი სახით უცებ ლასტერი გამოვარდა.

დილზი შეჩერდა. — რას შვრები? — ასე მიაძახა.

— არაფერს, — უთხრა ლასტერმა, — ბ-ნმა ჯეისონმა თქვა, წადი, გაიგე, იმ სარდაფში წყალი საიდან ჩადისო.

— როდისო? შეეკითხა როდის? მიუგო დილზიმ, — ჯერ კიდევ ახალი წელი იყო მაშინ.

— ხოდა, ვიფიქრე, ვიდრე სძინავთ, ვნახავ-მეთქი, — ასე თქვა. დილზი სარდაფის კართან მივიდა. გზა უტია ლასტერმა და იმანაც ჩაიხედა სარდაფში, საიდანაც სინესლე, რეზინის, მიწისა და სინესტის სუნი მოვიდა.

— ჰმ, — დილზი კვლავ დააკვირდა ლასტერს. ამანაც ამოხედა აუღელვებლად, უზაკველად და პირდაპირ, — რაღაცას კი აპირებდი ახლა, მაგრამ არ გაბედო, იცოდე. დილიდანვე წოსვენება არა მაქვს და შენღა მაკლდი. ახლავე ადი, ბენჯის წიხედე, ხომ გაიგონე?

— დიახ, დიდედე, — მიუგო ლასტერმა, კიბისკენ გაიქცა.

— დაიცადე, — მიაძახა დილზიმ, — ვიდრე ისევ სადმე დაიკარგებოდე, კიდევ აიტანე შეშა.

— დიახ, — ასე უპასუხა, გვერდით ჩაუარა. შეშასთან მივიდა. ცოტა ხნის მერე ისევ ზრძად მიადგა კარს, წინანდებურადვე შეეხოხოლოვებინა ხელებზე შეშა და რაღას დაინახავდა. დილზიმ კარი გაუღო, მაგრად მოკიდა ხელი და ასე გამოატარა სამზარეულოში.

— იცოდე, წელანდელივით არ ჩაახვავო, — უთხრა, — არ გაბედო.

— აბა რა ვქნა, — ბიუგლ აქოშინებულმა, — სხვანაირად როგორ-ღა ჩავ-ყარო?

— მაინც დალიე და ხელი არ გაუშვა, — თქვა დილზიმ. თითო-თითო ააცა-ლა. — მაინც რა გჭირს ამ დილას? ქვეყანა რომ დაქცეულიყო, [illegible] ორჯერ შეშაზე მეტს როგორ მოიტანდი. გულში რა ჩაგიდვია, რა უცხო [illegible] წარ-მოდგენა რომ აღარაა ამ ქალაქში?

— დიახ, აღარაა.

დილზიმ უკანასკნელი შეშა ჩალო ყუთში. — ახლა ადი და ბენჯის ისე მი-ხედე, როგორც გითხარი, — თქვა მან, — იცოდე, აღარავინ დამჭყივლოს მაღ-ლიდან, ყველაფერი უნდა მოვასწრო, გესმის?

— დიახ, დიდედ, — უთხრა ლასტერმა, მივიდა კართან და გავიდა. დილ-ზიმ ისევ შეუკეთა ღუმელში შეშა და პურის ტაფას მიუბრუნდა. მალე ისევ წამოიწყო სიმღერა.

ოთახში ჩამოცხა. მალე დილზის თვლმა აუბრჭყვიალა კანი. მანამდე კი ფერ-ფლისფერი ჰქონდა ლასტერივით. დილზი სამზარეულოში ტრიალებდა. ბუ-ფეტის ზემოთ, კედელზე ტკაცუნა გაჰქონდა საათს, რომლის შემჩნევა საღამო ხანს, ლამპის შუქზეღა შეიძლებოდა. და მაშინაც რაღაც იდუმალება დაჰკრავ-და, რაკი ერთი ისარი ჰქონდა მხოლოდ. საათმა გაიხრიალა, თითქოსდა ხახუნე გაიწმინდაო, და ხუთჯერ დარეკა.

— რვა საათია, — დილზიმ თქვა. შეჩერდა, მაღლა აიხედა, ყური მიუგდო. მაგრამ სახლში არაფერი ისმოდა საათის ტკაცუნისა და ცეცხლის გუგუნის გარდა. ფურნაკის კარი გამოაღო და გასაოცრობად შეწუხებილ პურებს დახედა, გადირბნდა უცებ ასე თავდახრილი — ვიღაცა ჩამოდიოდა კიბეზე. მერე სასადი-ლო ოთახიდანაც მოისმა ფეხის ხმა და კარი გაიღო. ლასტერი შემოვიდა, მას შემოჰყვა ტანმსხვილი ქამაკაცი, რომელსაც თითქოს ცალ-ცალკე მოჰქონდა შეუერთებელი თუ ტანზე ასხმული ყოველი ასო სხეულისა. ზაფრანისფერი და ფუმფულა კანი მთლად შემოფუფებოდა და გაწურთნილი დათვივით მობაჯბა-ჯებდა. თხელი, ფერადი თმა შუბლზე ჩამოლესოდა, ბავშვებს რომ აქვთ ფოტო-სურათებზე, ისე. გამოწმენდილი, ფერმილეული ღიღილოსფერი თვალები ჰქონდა, ნერწყვმორეული სქელი ბაგეები დაღო.

— ხომ არ სცივა? — იკითხა დილზიმ. ხელები წინსაფარზე შეიმშრალა და ისე შეახო.

— მაგისი არ ვიცი და მე კი მცივა, — თქვა ლასტერმა. — აღდგომაზე ყოველთვის უნდა ციოდეს. სხვანაირად არ იქნება. მისს კაროლაინმა შემოთვალა, თუ არ სცალია, იყოს, სათბურა აღარ მინდაო.

— ღმერთო ჩემო, — წამოიძახა დილზიმ. სკამი მიაჩოჩა კუთხეში, ღუმელ-სა და შეშის შესანახ ყუთს შორის. მივიდა ის კაცი და დაჯდა მორჩილად. — მიდი და ნახე, სადღაც იქ, სასადილო ოთახში დამრჩა სათბურა, — უთხრა დილზიმ. ლასტერმა სასადილო ოთახიდან გამოიტანა სათბურა, დილზიმ წყალი ჩაასხა და მისცა. — აბა ჩქარა, — ასე დასძინა, — და ნახე, ჯეისონმა ხომ არ გაიღვიძა. საუზმე მზადაა-თქო, ასე უთხარი.

ლასტერი გავიდა. ბენი ღუმელთან იჯდა, მოშვებული და გაშეშებული,

მხოლოდ თავს აკანტურებდა შეუჩერებლივ და უაზრო, ჩამტკბარ თვალებს დილზის აყოლებდა. ლასტერი დაბრუნდა.

— უკვე ადგა, — ასე უთხრა, — მისს კალაინმა შემოთვალა, საუზმე გააწყოსო. — მივიდა ღუმელთან და ხელისგულები მიუფიცხა, — [illegible] ცუდ ფეხზე უნდა იყოს ამდგარი, მგონია.

— ნეტავი რა მოუვიდა? — თქვა დილზიმ, — იქით გადი, ღუმელთან ვეღარ მივსულვარ.

— მცივა, — მიუგო ლასტერმა.

— იმ სარდაფში რაღას დაძვრებოდი, — გაუწყრა დილზი, — ჯესონს რა მოუვიდა-მეთქი?

— შენ და ბენჯი გატეხლით სარკმელს ჩემს ოთახშიო.

— სარკმელს გატეხლითო? — გაუკვირდა დილზის.

— სწორედ ასე ამბობს, — უპასუხა ლასტერმა, — შენი ბრალიაო, იძახის.

— კი მაგრამ, სარკმელს როგორღა გატეხდი, როცა თავისი ოთახი დღე და ღამე დაკეტილი აქვს.

— ქვას მოარტყამდითო, — თქვა ლასტერმა.

— მართლა მოარტყი?

— არა, — უთხრა ლასტერმა.

— არ მომატყუო, ბიჭო, — თქვა დილზიმ.

— ჩელიც არ მიხლია, — მიუგო ლასტერმა, — ბენჯის ჰკითხეთ, თუ გინდათ, პირველად ესმლავ სარკმელს თუ.

— კი მაგრამ, მაშინ ვინღა გატეხა? — იკითხა დილზიმ, — კვენტინის გალვიძება უნდა და იმიტომ აუტეხავს ერთი ამბავი, — ასე დასძინა და ფურნაკიდან გამოხსნილი პურები გამოალაგა.

— არა რა იქნება, — უთხრა ლასტერმა, — ჭკუაზე მწყრალადაა ეს ხალხი. კიდევ კარგი, მეც იმათთაგანი არა ვარ.

— რაო, არა ვარო? — მიაძახა დილზიმ, — იცი, რას გეტყვი, ზანგის ბიჭო, კომპალონთა ეშმაკები შენცა გქავს შემჯდარი, იცოდე. მართალი მითხარი, შენ გატეხე თუ არა ის ფანჯარა?

— რად უნდა გამეტეხა ნეტავი?

— ეშმაკობა შენს მოგონილია და მე მეკითხები? — უთხრა დილზიმ, — ლაღმი აქ და ასეს უყურე, ხელი არ დაიწვას. მე კი მაგიდას მივხედავ.

დილზი სასადილო ოთახში გავიდა და მალე იქიდან მოისმა მისი ხმაური, მერე შემოვიდა, სამზარეულოს მაგიდაზე ბენს თეფში დაუდგა და კერძი დაუსხა, ბენი თვალს არ აშორებდა, მოუთმენლად კრუსუნებდა ნერწყვმორეული.

— აჰა, ჩემო ბიჭო, — უთხრა დილზიმ, — მზადაა შენი საუზმე. მისი სკამი მოუტანე, ლასტერო, — სკამი მიუჩოჩა ლასტერმა და ბენი დაჯდა სლუკუნითა და ნერწყვის დენით. დილზიმ ნაჭერი შემოახვია ყელზე და მისი ბოლოთი ტუჩები შეუმშრალა. — ერთხელ მაინც ნუღარ დაუსვრი ტანისამოსს, — თქვა და კოვზი გაუწოდა ლასტერს.

სლუკუნი შეწყვიტა ბენმა. უყურებს, როგორ უახლოვდება კოვზი მის ტუჩებს, თითქოსდა სულწასულობაც შებოჭილა მასში და შიმშილსაც ვეღარ ხვდება, ღარიც შიმშილისა იცის რამე. ლასტერი დახელოვნებული იყო მის ჭმევაში და თავს არ იწუხებდა. თუმცა ხანდახან კი შეიწუხებდა თავს — ბენის პირთან უცებ კოვზს გასწევდა და ასე ატყუებდა ხოლმე, მაგრამ, ეტყობა, სხვა-

გან ქროდა მისი გონება. მეორე ხელი სკამზე გადაედო, ნაზად ათამაშებდა თითებს მის უსიცოცხლო ზედაპირზე, თითქოს ამ უსიცოცხლო სიცარიელეს რაღაც უხმო ჰანგი უნდა გამოაღებინოსო. ერთხანს ბენის წვალებაც კი გადაავიწყდა და ისევ უხმოდვე ათამაშა თითები ამ უსულო ხეზე, გეგონებოდათ, არპეჯიოს უკრავსო, ოღონდ ბენი ასლუკუნდა მალე და შეახსენა თავი.

სასადილო ოთახში დილზი ტრიალებდა. ცოტა ხნის შემდეგ ზარი აწკრიალა და სამზარეულოში გაიგონა ლასტერმა, ქალბატონი კომპსონი და ჯეისონი ემზადებოდნენ კიბეზე. ჯეისონის ხმაც მოესმა, და მაშინ იქით გაექცა თვალების თეთრონი, ყური მიუგდო.

— რაღა თქმა უნდა, ისინი როგორ გატეხდნენ, — თქვა ჯეისონმა, — რაღა თქმა უნდა, ამინდი შეიცვალა და მუშა იმან გატეხა.

— მაინც როგორ უნდა გამტყდარიყო, — მიუგო ქალბატონმა კომპსონმა. — მთელი დღე ხომ დაკეტილი გაქვს შენი ოთახი ქალაქში წასვლის. მხოლოდ კვირას შედიხარ იქ მისალაგებლად. ნუ ფიქრობ, თითქოს მე შევსულიყავი იმ ოთახში, არც არავის დავანებებ აქეს.

მერედა, მე ხომ არ მითქვამს, თქვენ გატეხეთ-მეთქი, — ასე უპასუხა.

— მე შენს ოთახში არ შევდივარ, — უთხრა ქალბატონმა კომპსონმა, — სხვის საქმეებში ჩარევა არ მიყვარს. გასაღებიც რომ მქონდეს, ფეხსაც არ შევადგამ იქ.

— დიახ, — თქვა ჯეისონმა, — თქვენი გასაღები ჩემს კარს ვერ გააღებს, ვიცი. მაშინ საკეტს რაღატომ გამოვცვლიდი. მე მხოლოდ ის მინდა ვიცოდე, ვინ გატეხა ფანჯარა.

— ლასტერმა თქვა, მე არ გამიტეხიაო, — უთხრა დილზიმ.

— ეს მე უიმისოდაც ვიცი, — მიუგო ჯეისონმა, — კვენტინა კი სადღაა? — იკითხა მან.

— სადაც კვირაობით არის ხოლმე, — უპასუხა დილზიმ, — თქვენ რა ღმერთი გიწყრებათ ეს რამდენიმე დღეა?

— დიახ, ჩვენ დღეიდან შევუცვლით ამ წესს, — თქვა ჯეისონმა, — ადი და უთხარი, მზად არის-თქო საუზმე.

— თავი გაანებეთ ახლა, ჯეისონ, — თქვა დილზიმ, — მთელი კვირა ადრე დგება და საუზმეზე ჩამოდის, მისს კალაინმა კვირადღეს მისცა ლოგინში წოლის უფლება. თქვენც ხომ იცით ეს.

— ხოდა, ამდენი ზანგი სამზარეულოში იჯდეს და ელოდებოდეს, ამ გოგოს რა მოეპრიანებაო? — განაცხადა ჯეისონმა, — ახლავე ადი და უთხარი, საუზმეზე ჩამოვიდეს.

— არც არავინ ელოდება იმას, — მიუგო დილზიმ, — მისი საუზმე ფურნაკში შევდგი და...

— გესმის თუ არა?! — დაუყვირა ჯეისონმა.

— მესმის, — უპასუხა დილზიმ, — თქვენ რომ შინ ხართ, ყველას ესმის. კვენტინას თუ არა, დედათქვენს ეხსურებით, აღარც ლასტერი და ბენი გავიწყდებათ. იქნებ თქვენ უთხრათ რამე, მისს კალაინ?

— სჯობს ის გააკეთო, რასაც გეუბნებიან, — თქვა ქალბატონმა კომპსონმა, — ოჯახისთავი ეს არის ახლა და უფლებაც აქვს მოითხოვოს. სურვილი უნდა აუსრულოთ. რაკი მე ვცდილობ, შენც უნდა გახსოვდეს ეს ამბავი.

— გუნებაზე არ არის და ამიტომ უნდა კვენტინა ადგეს და აქ ჩამოვი-

დეს, — ასე თქვა დილზიმ, — თუ იქნებ ასე გგონიათ, ფანჯარა ამ გოგომ გატეხა?

— კიდევაც იზამს ამას, თუკი მოაფიქრდება. — მიუგო ჯეისონმა, — წადი და ის გააკეთე, რაც მე გითხარი.

— რომც გატეხა, მაინც არ იქნებოდა მისი ბრალი, — უთხრა დილზიმ, — ყოველთვის გაწამებულია, როცა კი თქვენ შინ ხართ.

— იყუჩე, დილზი, — თქვა ქალბატონმა კომპსონმა, — ჭკუის სასწავლებელი კაცი არ არის ჯეისონი. ხანდახან მეც ვფიქრობ, კი ცუდება-მეთქი, მაგრამ თქვენი, ყველა თქვენგანის გულისთვის ვცდილობ მისი სურვილის ასრულებას. მე მყოფნის ძალა, დაბლა ჩამოვიდე და სუფრასთან დავჯდე, კვენტინსაც შეუძლია ამის გაკეთება.

დილზი გავიდა. კიბეს აუყვა. ველარ და ველარ ააღწია კარგა ხანს.

— ჯილდო გეკუთვნით, ისეთი მსახურები გყავთ, — უთხრა ჯეისონმა. საჭმელი გადაიღო დედისთვისაც და თავისთვისაც. — რაც თავი მახსოვს, ყველა მკვლელი ჩვენ გვყავდა აკიდებული.

— რა ვქნა, ვეფერები, — თქვა ქალბატონმა კომპსონმა, — უიმათოდ ვერაფერს გავხდები. ღონე რომ მერჩოდეს, მაშინ კი ვიცი, ნეტავი შემეძლოს, მთელ ოჯახს მე მოვუვლიდი და შენც ამდენი ხარჯებისგან სულს მოითქვამდი.

— კარგ საღორეში კი ვიცხოვრებდით, — უთხრა ჯეისონმა, — აბა ჩქარა, დილზი, — დაძახა.

— ვიცი, რაზედაც ხარ გაბრაზებული, — თქვა ქალბატონმა კომპსონმა, — ეკლესიაში რომ გავუშვი დღეს სუყველანი.

— სადაო? — ჩაეკითხა ჯეისონი. — ის წარმოდგენა თუ რაღაც ჯანდაბა კიდევ არის დღეს?

— ეკლესიაში-მეთქი, — თქვა ქალბატონმა კომპსონმა, — აღდგომა ღამის წირვა აქვთ ზანგებს დღეს საღამოს. ჯერ კიდევ ორი კვირის უკან დავპირდი დილზის, გავუშვებ-მეთქი.

— ხოდა, მშრალზე გადავალთ დღეს — თქვა ჯეისონმა, — თუ საერთოდაც არაფერი იქნება, ჩვენია.

— ვიცი, ჩემი ბრალია, — მიუგო ქალბატონმა კომპსონმა, — ვიცი, კი ხარ ჩემზე გაბრაზებული.

— ვითომ რატომ? — უთხრა ჯეისონმა, — ქრისტე მკვდრეთით თქვენ აღადგინეთ?

დილზი უკვე ასულიყო და კოჭლაკოჭლაობით გაიარა მაღლა.

— კვენტინა, — აქ აძახა. პირველივე დაძახებაზე ჯეისონმა დანა-ჩანგალი დადო და ორივე, ერთმანეთის პირისპირ მჯდომარე დედა და შვილი ერთნაირად გაირინდნენ. კაცი გულცივი და ცბიერი ჩანდა, ორად გაყოფილი ხშირი თმა ჯიუტად ჩამოხვეოდა შუბლზე და ბარმენის კარიკატურას დაემსგავსებინა იგი, ხოლო მისი თაფლისფერი თვალების მარმარილოსებრ გუგებს შავად მბრწყინავი რგოლი შემოვლებოდა; დედამისსაც გულცივი და ნიადაგ მოწყენილი წუწუნა ქალის სახე ჰქონდა, მთლად გაჭაღარავებულიყო და თავგზააბნეული იმზირებოდა, უპეები ჩაწითლებოდა, ჩაშავებოდა და უპეებს კი არა, თითონწართმეულ თვალებს მოგაგონებდათ.

— კვენტინა, — დაიძახა დილზიმ, — ადექი, შვილო, საუზმეზე გელოდებიან.

— და მაინც არ მესმის, ფანჯარა როგორ უნდა გატეხილიყო, — თქვა ქალბატონმა კომპსონმა, — მართლაც გუშინ გატყდა, თუ იცი? იქნებ კარგა ხანია გატეხილია და ვერ შეამჩნიე ამ თბილ ამინდებში. თანაც ზემოთ, ფარდის უკანაა ჩატეხილი.

— უკანასკნელად გეუბნებით, გუშინ გატყდა-მეთქი, — მიუგო ჯეისონმა, — თითქოს მე არ ვცხოვრობდე იმ ოთახში, თითქოს შეიძლება ... იყოს იქ კაცი და ვერ დაინახოს მუშტისოდენა ნახვრეტი... — უცებ ხმა ჩაუწყდა, გაელია, დედამისს მიაცქერდა, იმ წუთას აზრის ნატამალსაც ვერ დალანდავდით მის თვალებში, თითქოს სუნთქვა შეეკრაო მისმა თვალებმა. დედამაც შეხედა, სახეშეშუპებულმა და დაღვრემილმა, და ეს გამოხედვა იყო ცივი, ნათელმხილველი და არაფრისმთქმელი ამავე დროს.

— კვენტინა, შვილო, გეყოფა თამაში, საუზმეზე ჩამოდი, გელოდებიან-მეთქი, შვილო.

— აღარ ვიცი, — თქვა ქალბატონმა კომპსონმა, — თითქოს ვიღაცას სახლის გატეხვა უნდოდა... — ჯეისონი წამოხტა, ზრახაბრუნით გადავარდა სკამი. — რა... — ამის თქმაღა მოასწრო ქალბატონმა კომპსონმა, რომ გვერდით ჩამოუქროლა ჯეისონმა და კიბეზე აიჭრა, იქ დილზის შეხვდა, ჩრდილი ეფარებოდა მის სახეს. დილზიმ უთხრა:

— გაბუტულია. დედათქვენს ჯერ კიდევ არ გაუღია... — მაგრამ ჯეისონმა ჩაურბინა, დერეფანში გავიდა და კარს მივარდა, არ დაუძახია. სახელურს ეცა და გადაატრიალა. ხელი არ გაუშვია სახელურისთვის, თავი მცირეოდნავ დახარა, მიაყურადა — თითქოსდა იმის გაგონება კი არ უნდოდა, რაც ამ ოთახში ხდებოდა, სადღაც შორეულს გადასწვდა მისი გონება და კიდევაც ჩაესმა მის ყურს იქ მომხდარი. სწორედ თავმომტყუარის იქნება და სწორად ვერ გავიგე, იქნებ ისეთი რამე იგრძნო, ამას მეტყველებდა კართან მდგომის სახე. ქალბატონი კომპსონი ამოდიოდა კიბეზე და ეძახდა. მერე ამ ქალმა დილზის მოჰკრა თვალი და მოჰყვა, დილზი, დილზი.

— მე ხომ გითხარით, კარი ჯერ კიდევ დაკეტილია-მეთქი, — თქვა დილზიმ. გაიგონა თუ არა ჯეისონმა მისი ხმა, მოირბინა და, რაკილა ასე სწრაფდებოდა ისე, ხმადაბლა ჰკითხა — თან აქვს? აქ ამოიტანდა თუ ისევ ქვემოთ...

— დილზი! — კიბიდან ამოსძახა ქალბატონმა კომპსონმა.

— რაო? — ვერ მიხვდა უცებ დილზი, — ჯერ უნდა...

— გასაღები-მეთქი, — სიტყვა გააწყვეტინა ჯეისონმა, — აი, იმ ოთახისა. თან დააქვს ხომ დედას? — მერე თვალი მოჰკრა ქალბატონ კომპსონს და მასთან ჩაირბინა, — გასაღები მომეცით, — ასე მიაძახა და მოუჩხრიკა გახუნებული შავი ხალათის ჯიბეები. მოხუცი გაუძალიანდა.

— ჯეისონ, — უთხრა მან, — ჯეისონ-მეთქი, ისევ ლოგინად უნდა ჩამაგდოთ შენ და დილზიმ? — ეუბნებოდა და თავიდან მის მოცილებას ლამობდა. — კვირასაც არ მასვენებთ, ხომ?

— გასაღები-მეთქი, — მიუგო ჯეისონმა. ჯიბეები ამოუტრიალა. — მომეცით, — და კარისკენ მიიხედა ისევ, თითქოს ელოდა, იქნებ თავისით გაიღოსო, ვიდრე თავად მივიდოდა იმ გასაღებით, ჯერ რომ არ ჰქონდა ხელში.

— დილზი-მეთქი! — დაიძახა ქალბატონმა კომპსონმა, ჯიბეზე ხელი იტაცა.

— გასაღები მომეცი, შე გადაყრუებულო! — დაუყვირა უცებ ჯეისონმა, ჯიბიდან ამოაცალა რკინის რგოლზე ასხმული შეკვრა აურაცხელი ჟანგმოკიდებული გასაღებისა, შუა საუკუნეების მეციხოვნეებს დაჰქონდათ ასეთი. შემდეგ ისევ მაღლა აირბინა და ორი ქალიც მას მიჰყვა.

— ჯეისონ-მეთქი! — ასძახა ქალბატონმა კომპსონმა, — იმ [illegible] გასაღებს შენ ვერ მიაგნებ, — მერე დილზის მიუბრუნდა, — შენც ხომ იცი, დილზი, მე არავის ვაძლევ იმ გასაღებებს, — დასძინა ცრემლჩამომდინარმა.

— იყუჩეთ, — უთხრა დილზიმ, — ვერაფერს დაუშვებს. მე არ დავანებებ.

— ეს ყველაფერი კი კვირადღეს ხდება, ჩვენს საკუთარ სახლში, — თქვა ქალბატონმა კომპსონმა, — რა არ ვიღონე, ქრისტიანებად მინდოდა მათი აღზრდა. მე გიპოვნი იმ გასაღებს, ჯეისონ! — ასე მიაძახა მერე. მკლავზე ხელი წაავლო. შემდეგ ეჭიდა, გამოეჭიდა, მაგრამ ჯეისონმა იდაყვი გაკრა და მოიცილა. ერთი მოავლო ცივი თვალები და სწრაფად მიუბრუნდა კარს გასაღებების ჩხრეკით.

— იყუჩეთ, — უთხრა დილზიმ, — ჯეისონ-მეთქი!

— ეს რა საშინელი ამბავი დამემართა, — ცრემლები გადმოყარა ქალბატონმა კომპსონმა. — მე ვიცი, ჯეისონ, — ისევ წაეტანა შვილს. — ჩემი სახლის ოთახის გასაღების პოვნასაც არ მანებებ?

— კარგი, კარგი, — თქვა დილზიმ, — მერედა, რა მოხდება? აქ არა ვარ. იმ ბიჭს მე არ დავანებებ. კვენტინა, — გასძახა მან, — ნუ გეშინია, შვილო, მე აქა ვარ.

კარი გაიღო. ჯეისონი შეჩერდა, თვალი მოავლო ოთახს, მერე კი გვერდზე მიდგა. — შემოდით, — ხმაჩახლეჩილმა ამოთქვა გაურკვევლად. შევიდნენ. გოგოს ოთახი არ იყო, აღარც არავისი იყო ეს ოთახი. სუსტი სუნი იდგა იაფფასიანი კოსმეტიკისა და ქალის რამდენიმე საგანსღა ნახავდით აქ. ცხადლივ ჩანდა — გაუწაფავი ხელი ამაოდ ცდილა ქალურობისთვის მყუდროება მიენიჭებინა, ამ ცდას უფრორე წარმოეჩინა უღიმღამობა მთელი ოთახისა, რომელიც საპაემნო სახლების იმ უსიცოცხლო და ერთფეროვან ნომრებს დამსგავსებოდა, ხანმოკლე შეხვედრებისთვის რომაა გამიზნული. ლოგინი ხელუხლებელი იყო, იატაკზე ეგდო ჭუჭყიანი პერანგი, კარადის ნახევრად გამოღებულ უჯრას ცალი წინდა გადმოკიდებოდა. ფანჯარა ღია იყო. მსხლის აყვავებული ტოტები აწყდებოდნენ კედლებს, ჭრაჭაჭრუჭი გაჰქონდათ და ღია ფანჯარაში თქორვასთან ერთად ყვავილების სულდამოლეული სურნელება შემოდიოდა.

— ხომ გეუბნებოდით, — თქვა დილზიმ, — რა უნდა მოსვლოდა?

— რა უნდა მოსვლოდაო?! — თქვა ქალბატონმა კომპსონმა. დილზი ოთახში შეჰყვა მას. ხელი მოკიდა.

— წამოდით და დაწექით ახლა, — ასე უთხრა, — ათ წუთში მოვნახავ.

ქალბატონმა კომპსონმა დილზი მოიცილა. — ბარათი მოძებნე, — თქვა მან, — კვენტინსაც დატოვა ბარათი, ვიდრე ამას იზამდა.

— კარგი, — მიუგო დილზიმ, — მოვძებნით. თქვენ კი თქვენს ოთახში წადით.

— დავარქვით ეს სახელი და გულმა იმ წუთას მიგრძნო, ვიცოდი, ეს ამბავი რომ მოხდებოდა, — თქვა ქალბატონმა კომპსონმა. კარადასთან მივიდა და

ყველაფერი მოჩხრიკა — საუნამოს ბოთლები, საპუდრე კოლოფი, ფანქრის ნაგლეჯი, დამტვრეული ცალპირა მაკრატელი, ნათ ქვეშ დაკემსილი, პუდრიანი და ფერუმარილით მოსვრილი შარფი. — ბარათი მომძებნე-მეთქი, — ისე დასძინა.

— კარგი, — უთხრა დილზიმ, — თქვენ კი წადით: მე და ჯეისონი მოვძებნით. თქვენს ოთახში შედით.

— ჯეისონ, — დაიძახა ქალბატონმა კომპსონმა, — სად წავიდა? გარეთ გავიდა. დილზიც გაჰყვა, ორივემ გაიარა დერეფანში და მერე კართან მივიდნენ. დაკეტილი დახვდათ. — ჯეისონ! — დაიძახა მან. არავინ უპასუხა. სახელური გადაატრიალა და ისევ გასძახა. მაინც არავინ გაეხმიანა, ამისთვის არ ეცალა ჯეისონს — კედლის კარადიდან ყრიდა ტანისამოსს, ფეხსაცმლებს, პატარა ჩემოდანს. დაშლილი თავად გადმოიღო კარადიდან, გამოიტანა გამოხერხილი ფიცრის ნაჭერი, დადო, ისევ შეტრიალდა კარადაში და რკინის ყულაბა გამოიტანა ამჯერად. ლოგინზე დადგა, მისი გატეხილი საკეტი მოათვალიერა, ჯიბე ჩაიჩხრიკა და რგოლი ამოიღო გასაღებებით, ცოტა ხანს გარინდებული დაცქეროდა გატეხილ საკეტს, მერე გასაღებები ისევ ჯიბეში შეინახა, ფრთხილად გადმოაპირქვავა ლოგინზე ყულაბა. გადაარჩია ქაღალდები, თვითეული გულდასმით ნახა და შეარჩია, გადმოპირქვავებული ყულაბა აიღო და ისიც ჩამობერტყა, მერე ნელინელ ჩაალაგა ყველა ქაღალდი და გაირინდა. ასე ეკავა ერთხანს ხელში ყულაბა, გატეხილ საკეტს დასცქეროდა თავჩაქინდრული. გარეთ ჩხიკვებმა გაიფრთქიალეს და მათი ხმა ქარმა გაიტაცა, დანთქა შორეთში, მანქანამ გაიარა სადღაც და ყოველივე მიჩუმდა. კარს იქიდან დედა ეძახდა და ის კი აქ იდგა გაქვავებული. მერე გაიგონა, დილზიმ რომ წაიყვანა ქალბატონი კომპსონი და დერეფნის კარი გაიხურა. კარადაში შედგა ისევ ყულაბა, ტანისამოსი ჩაყარა და დაბლა ჩავიდა ტელეფონთან. ყურმილი მოიმარჯვა და დაელოდა. დილზი ჩამოვიდა, გამოხედა ერთი და შეუჩერებლივ ჩაუარა გვერდით.

ტელეფონზე უპასუხეს და მან თქვა: „ჯეისონ კომპსონი ვარ მე“, ძლივსღა ამოიხრიალა და გაიმეორა, კარგად ამოთქვა ამჯერად — „ჯეისონ კომპსონი“. მერე დასძინა: „მანქანა მოამზადეთ ათ წუთში. თქვენი თანაშემწე იყოს, თუ თქვენ არ იქნებით. შინ ვარ მე... რაო? გამქურდეს. ჩემს სახლში. ვიცი, ვინც არის... გამქურდეს-მეთქი, ხომ გეუბნებით. მანქანა გაამზადეთ... რაო? კანონის დაცვა თქვენი ვალია და ჯამაგირსაც ამიტომ გაძლევენ... დიახ, ხუთი წუთი მჭირდება. თქვენი მანქანა მზად უნდა იყოს. მაშინვე წავალთ. თუ არადა, გუბერნატორთან მივალ, იცოდეთ“.

ყურმილი დაავდო თავის ადგილას და სასადილო ოთახი გაიარა, მაგიდაზე გაცივებულიყო თითქმის ხელუხლებელი საუზმე, სამზარეულოში შევიდა. ცხელ წყალს ასხამდა დილზი სათბურაში. ბენი იჯდა, აზრდახშული და წყნარი, აღუშფოთველი. ლასტერი გვერდით ეჯდა ყურდაცქვეტილი და რაღაცას ჭამდა. ჯეისონმა სამზარეულო გაიარა.

— უჭმელი მიდიხართ? — ჰკითხა დილზიმ. ხმა არ გაუცია მისთვის ჯეისონს. — მიდით და ისაუზმეთ, ჯეისონ, — გარეთ გავიდა იგი და კარი გაიჯახუნა. ფანჯარაში გაიხედა ლასტერმა.

— ოჰო, — თქვა მან, — ნეტავ რა მოხდა? მისს კვენტინა ხომ არ უცემია?

— ენას კბილი დააჭირე, — უთხრა დილზიმ, — ბენჯი არ აატირო, თორემ ცემა მაშინ ნახე. ვიდრე დავბრუნდებოდე, წყნარად იჯექი აქ, — სათბურას ხუფი მოუჭირა და გავიდა. ოთახში მყოფთ ჩაესმათ, როგორ ავიდა კიბეზე.

დილზი. მერე ჯეისონმა მანქანა აამუშავა და სახლს ჩაუარა. შემდეგ არაფერი ისმოდა აქ, ჩიტებიც შეშინებულა და საათი ხმიანებდა მხოლოდ.

— გინდა დაგენძილავთ? — თქვა ლასტერმა. — დაგენძილავდი, თავში ჩაარტყამდა და ახლა ექიმის მოსაყვანად წავიდოდა. დაგენძილავდი [illegible] — მრავლისმეტყველი, საზეიმო ტიკტიკი გაჰქონდა საათს. თითქოს [illegible] ფეთქვა იყო დაქცეული გზაზე შემდგარი ოჯახის მაჯისა, ცოტა ხნის მერე ხრინწი გაიღო, ყელი ჩაიწმინდა და ექვსჯერ დაჰკრა. ბენმა ახედა, შემდეგ ლასტერის ნესვისნაირი თავის ლანდი დაინახა სარკეში, ღუჯი მოადგა. ამზმუკუნდა.

— გაჩუმდი, შე ლენჩო, — არც მოტრიალებულა, ისე უთხრა ლასტერმა. — ჰგონია, ისეთი ამბავია, რომ ჯექსონში გინდა წაგიყვანონ. — სკამზე იჯდა ბენი, ჩვენეშოდა, მუხლებს შორის ჩამოეშვა ვეებერთელა ფაფუკი ხელები. უცებ ატირდა — გაუთავებლივ, უაზროდ ზმუოდა. — გაჩუმდი, გაჩუმდი, — მიუბრუნდა ლასტერი და ხელი მოუღერა. — მაგრამ მოგინდა შეგინდა. — ბენი შესცქეროდა და ყოველ ამოხვნეშას ზმუილი ანთაყოლებდა ხოლმე. მივიდა ლასტერი და შეანჯღრია. — ახლავე გაჩუმდი, — იცოდე, — დაუყვირა. — აბა მოდი, — დასძინა, სკამიდან გადმოათრია და მერე ის სკამი ღუმელთან მიაჩოჩა, დადგა, კარი გამოაღო და ბრჭყვიალი მოიღო ცეცხლის ენებმა. სკამთანვე მიაგდო ბენი. ყველაფერი ისე გააკეთა, თითქოს ბუქსირის უზარმაზარი გემი შემოიყვანოს ვიწრო დოკში. ბენი დაჯდა და ალისფერ ლიბს დააცქერდა. გაჩუმდა. საათის ტიკტიკი და კიბეზე ჩამომავალი დილზის ფეხის ხმა ჩაესმოდა. შემოვიდა ეს ქალი და ისევ დაიწყო ზმუკუნი ბენმა, უფრო და უფრო აუწია ხმას.

— რა უყავი? — უთხრა დილზიმ, — ისედაც ასეთი ამბებია აქ დღეს და შენ შენსას არ იშლი?

— არაფერი არ მიქნია, — მიუგო ლასტერმა. — ბ-ნმა ჯეისონმა შეაშინა და ამიტომ ტირის. ცემით ხომ არ მოუკლავს მისს კვენტინა?

— იყუჩე, ბენჯი, — თქვა დილზიმ. მერე ფანჯარასთან მივიდა და გარეთ გაიხედა. — აღარ წვიმს? — იკითხა.

— აღარ, — უპასუხა ლასტერმა, — რამდენი ხანია უკვე.

— ხოდა, წადით და გარეთ იარეთ, აქ ნუღარ გაჩერდებით, — უთხრა დილზიმ, — მისს კეროლაინი ძლივს დაეძინა ახლა.

— ეკლესიაში ხომ მივდივართ? — ჰკითხა ლასტერმა.

— მერე გეტყვი მაგას. სახლიდან მოშორებით გყავდეს, ვიდრე არ დაგეძახებ.

— მინდორზე გავიყვანო? — თქვა ლასტერმა.

— გაიყვანე, ოღონდ შინ არ გყავდეს. ქანცი მაქვს გაწყვეტილი.

— დილ, — უთხრა ლასტერმა. — ბ-ნი ჯეისონი სადღა წავიდა?

— ესეც შენი საქმეა, ხომ? — მიუგო დილზიმ. სუფრის ალაგება დაიწყო. — იყუჩე, ბენჯი, ახლა ლასტერი სათამაშოდ წაგიყვანს.

— და მაინც რა უყო მისს კვენტინას? — ჰკითხა ლასტერმა.

— არაფერიც არ უყო. წაბვალ თუ არა აქედან?

— ნაძლევს ჩამოვალ, კვენტინა შინ არაა, — თქვა ლასტერმა.

დილზიმ შეხედა: — მერედა, შენ რა იცი?

— მე და ბენჯიმ დავინახეთ, ფანჯრიდან გადაძვრა ამ ღამეს. ხომ ასეა, ბენჯი?

— დაინახეთ? — დილზიმ თვალი აღარ მოაშორა მას.

— ყოველღამ ვხედავთ ჩვენ, — უთხრა ლასტერმა, — გადახვა ხოლმე იმ მსხალზე და დაბლა მიძვრება.

— შენც მატყუებ ხომ, ზანგის ბიჭო? — თქვა დილზიმ.

— არ გატყუებთ. ბენჯის ჰკითხეთ, თუ გინდათ.

— მაშინ რატომ არაფერი მითხარი?

— რა ჩემი საქმეა, — უპასუხა ლასტერმა, — სულელი ვარ, თეთრი ხალხის საქმეში ჩავერიო? წამოდი, ბენჯი, გარეთ გავიდეთ.

გავიდნენ. ერთხანს მაგიდასთან იდგა ისე დილზი, მერე მაგიდა გადაწმინდა. ისაუზმა და სამზარეულოც მიალაგა. წინსაფარი მოიხსნა და დაკიდა, კიბესთან მივიდა და ყური მიუგდო. ჩამიჩუმი არ ისმოდა. ფარაჯა მოისხა მხრებზე, ქუდი დაიხურა და თავისი ქოხისკენ გასწია.

აღარ წვიმდა. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ქროდა ახლა ქარი. ღრუბლები აიშალა და უკვე ცის ლაჟვარდი იჭვრიტებოდა აქა-იქ. ხეების, სახურავებისა და სამრეკლოების თავზე მზის სხივები ფერმიხდილი სამოსელივით ჩამოეფინოდა მთის წვერის. ზარის ხმაც მოიტანა და, თითქოს ნიშანი ყოფილიყოს, ზარების რეკვა ატყდა მთელ ქალაქში.

ქოხის კარი გაიღო და დილზი გამოვიდა,- ისევ ის წაბლისფერი მოსასხამი ეცვა წითელ კაბაზე, თეთრი, ზოლზოლგამჭვირვალე ხელთათმანები იდაყვებს უფარავდა მთლიანად, თავსაბური აღარ ჰქონდა ამჯერად. ეზოში გამოსულმა ლასტერს დაუძახა, ცოტა ხანს შეიცადა, სახლისკენ გასწია, კედელს გაჰყვა და სარდაფის კარს მიადგა, ჩაიხედა. საფეხურებზე იჯდა ბენი. ლასტერიც ჩაცუცქულიყო იქვე, ნესტიან იატაკზე, რაზედაც მარცხენა ხელით ხერხი დაებჯინა ისე, რომ ხერხს პირი მცირეოდნავ გაზნექოდა, ხოლო მეორეში ხის ჩაქუჩი მოემარჯვებინა და დაჰკრა კიდევაც ამ ხერხს. ოცდაათ წელზე მეტი იყო, რაც დილზი ნამცხვრის გასაკეთებლად ხმარობდა ამ ხის ჩაქუჩს. ძლივსღა გაიღო ზრიალი ხერხმა და მყისვე მიჩუმდა, დარჩა ასე ოდნავ გაღუნული ლასტერის ხელსა და იატაკს შორის. მერე კი გაიმართა შეუცნობელი და მუნჯი.

— სწორედ ასე შვრებოდა, — თქვა ლასტერმა, — კარგად ვერ დავკარი, მგონია.

— აი, თურმე რით ერთობი შენ, — ჩასძახა დილზიმ. — აქ მომე ეგ ჩაქუჩი!

— არ გავაფუჭებ რა, — შეეხვეწა ლასტერი.

— მომეცი-მეთქი, — უთხრა დილზიმ, — ოღონდ ჯერ ხერხი მიიტანე თავის ადგილას.

ხერხი წაიღო ლასტერმა და ხის ჩაქუჩიც დაუბრუნა დილზის. და ისევ გაისმა ბენის ყრუ და გაუთავებელი ღრიალი, სხვა არაფერი, ხმაური მხოლოდ. თითქოსდა პლანეტების წამიერი შეერთების მეშვეობით ენა ამოედგა მარადიულ უსამართლობასა და ტანჯვა-წამებას.

— ხომ გესმით, — თქვა ლასტერმა, — სულ ასეა, რაც სახლიდან გამოვედით. რა მოუვიდა, არ ვიცი.

— წამოიყვანე მერე, — უთხრა დილზიმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წამოდი, ბენჯი, — თქვა ლასტერმა. ჩავიდა და ბენს მკლავზე წაეტანა. მორჩილად გამოჰყვა, გემის საყვირივით ღმუოდა, თითქოსდა არც არასდროს ჰქონია დასაწყისი და დასასრული ამ ხმას.

— აბა გაიქეცი და ქუდი მოუტანე, — თქვა დილზიმ, — [illegible]ურო, მისს კოლაინი იქ არის. ჩქარა წადი, თორემ გვაგვიანდება.

— თუ არ გააჩერებთ, მაინც ყურს მოჰკრავს ამის ხმას, — უთხრა ლასტერმა.

— გავალთ აქედან და გაჩერდება, — მიუგო დილზიმ, — გული ეუბნება რაღაცას. ხოდა, ამიტომაც ტირის.

— გული რაღას ეუბნება? — ჰკითხა ლასტერმა.

— წადი და ქუდი მოუტანე-მეთქი, — გაუმეორა დილზიმ. ლასტერი წავიდა. სარდაფის კართან დარჩნენ ისინი, ერთი საფეხურით დაბლა იყო ბენი. ღრუბლის ნაგლეჯები ისევ დაქროდა ცაზე და მათი ჩრდილები წამისწამ ეფინებოდა მოუვლელ ბაღს, გარღვეულ ღობესა და ეზოს. დილზი ნელა უსვამდა თავზე ხელს, შუბლზე მილესილ ქოჩორს ულამაზებდა ბენს. ეს კი ტიროდა თავისთვის, აუჩქარებლად და წყნარად. — იყუჩე, — უთხრა დილზიმ, — იყუჩე-მეთქი. — მაინც ტიროდა წყნარად და ერთ ხმაზე.

ლასტერი დაბრუნდა, ტილოს ქუდი მოიტანა, თავად კი ჭრელი ბაფთებით დამშვენებული ახალი ჩალის ქუდი დაეხურა. თითქოსდა ძალუმი შუქი მიენათებინოთ, ისე გამოეკვეთა ლასტერის თავის ქალა ამ უცნაური მოყვანილობის ქუდს. კაცს ეგონებოდა, ლასტერს კი არა, ვიღაც სხვას, მის უკან მდგომს ახურავსო ეს ქუდი. დილზიმ თვალი შეავლო და ჰკითხა:

— შენი ძველი ქუდი რა უყავი?

— ვერ ვიპოვნე.

— ვითომ კი ეძებე. ვითომ წუხელსვე არ გადამალე. ახლა ამასაც გინდა ბოლო მოუღო.

— ჰოი, — უთხრა ლასტერმა, — არ გაწვიმდება.

— მერედა, შენ რა იცი? წადი და ის ქუდი დაიხურე, ეს კი შინ დატოვე.

— ჰოი, დიდედ!

— ან არადა, ქოლგა მოიტანე.

— ჰოი, დიდედ!

— აბა რომელი გინდა, — თქვა დილზიმ, — ძველი ქუდი თუ ქოლგა, ჩემთვის სულ ერთია.

ლასტერი ქოხში დაბრუნდა. ბენი ისევ წყნარად ტიროდა.

— წამოდი, — უთხრა დილზიმ, — ისინი წამოგვეწევიან. წავიდეთ და ვნახოთ, როგორ მღერიან. — სახლს შემოუარეს და ჭიშკრისკენ გასწიეს. — იყუჩე, — დროდადრო ეუბნებოდა დილზი, ქვემოთ მიჰყვებოდნენ სავალს. ჭიშკართან მივიდნენ. დილზიმ გამოაღო. ლასტერი მოდის და თან ქოლგა მოაქვს. ქალი მოჰყვება მას. — აჰა, ესენიც წამოგვეწივნენ, — თქვა დილზიმ და ჭიშკრიდან გავიდნენ. — ხომ ხედავ, — ბენი გაჩუმდა. ლასტერი და დედამისი დაუახლოვდნენ. ცისფერი აბრეშუმის კაბა აცვია, ყვავილებიანი ქუდი ახურავს ფრონის, გამხდარი სასიამოვნო ბრტყელი სახე აქვს ამ ქალს.

— შენი ექვსი კვირის ნამუშევარი ღირს ეგ კაბა, — უთხრა დილზიმ, — წვიმა რომ წამოვიდეს, მერე რაღას იზამ ნეტავი?

— დავსველდები, მგონია, — მიუგო ფრონიმ, — წვიმის გაჩერება ჯერ არ მისწავლია.

— სულ წვიმისა ეშინია დიდედას, — თქვა ლასტერმა.

— მე რომ არ მეშინოდეს, ვიღას შეეშინდება, — ასე თქვა დილზიმ. — წამოდით, თორემ დაგვაგვიანდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ღირსი შეგოგი გვიქადაგებს დღეს, — განაცხადა ფრონიმ.

— ვინა? — დილზიმ იკითხა, — სადაურია?

— სენტ-ლუისელია, — უთხრა ფრონიმ, — ტოლი არა ჰყავს თურმე.

— ჰმ, — თქვა დილზიმ, — ჩვენ ისეთი მოძღვარი გვინდა, ღვთის შიშს რომ ჩაუნერგავს ამ შარახვეტია ახალგაზრდა ზანგებს.

— ღირსი შეგოგი გვიქადაგებსო დღეს, — გაიმეორა ფრონიმ, — ასე თქვეს.

ქუჩას მიუყვებოდნენ. სიწყნარე სუფევდა აქ და მთელ სიგრძეზე ჩანდა ნაირფერად გამოწყობილი თეთრი ხალხიც, ეკლესიაში მიდიოდნენ ქარით აღძრული ზარების ხმაზე. აქა-იქა იჭვრიტებოდა მზე. თბილი დღეების შემდეგ ახლა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ქროდა ცივი ქარი.

— მგონია კი ჯობდა, — თქვა ფრონიმ, — ეკლესიაში არ წამოგვეყვანა ეგ. რას იტყვის ხალხი.

— ვინ ხალხი? — ჰკითხა დილზიმ.

— კი მომისმენია და, — თქვა ფრონიმ.

— ვიცი, ვინცაა, — მიუგო დილზიმ, — საქმედალეული თეთრი ხალხია, აი, ვინ არიან ისინი. ასე ფიქრობენ, თეთრების ეკლესიაში არ წაიყვანენო, ზანგთა ეკლესია კი არ ეკადრებაო.

— კი ლაპარაკობენ და რა ვიცი, — თქვა ფრონიმ.

— ხოდა, ჩემთან გამოუშვი ისინი, — უთხრა დილზიმ, — ასე მოახსენე, ღმერთი არას დაგიდევს, ჭკუა აქვს თუ არა ამას. არც არავისი საქმეა ეს, უქნარა თეთრი ხალხისთვისაც აქვს ამ ამბავს მნიშვნელობა.

მოსახვევში გავიდნენ უცებ და ტალახიან თავდაღმართს დაადგნენ. ამ გზის ორივე მხარეს, დაბლობზე აუარება ქოხი იყო გაბნეული და მათი დაძველებული სახურავი გზის სიმაღლეზე მოდიოდა. ყოველ ქოხს ერთი ბეწო ნაკვეთი ეკრა, ოღონდ ბალახი არსად ჩანდა და აქაურობა გავსო აგურის, ფიცრების, ჭურჭლისა და სხვა საგნების ნამუსრევს. ყველაფერი ეკალჯაგს გადაებურა, რამდენიმე ხეც იდგა — აკაცია, თუთა, ჭადარი და იმათაც სახლებისნაირადვე სიბეჩავე დასტყობოდათ. ამ ხეთა ფოთლებიც კი სევდას გვრიდა მნახველს და სექტემბრის სამახსოვროდ შთენილიყო, თითქოს გაზაფხულს ისე ჩაევლო, მათ საზრდოდ ზანგთა ამ არემიდამოს მძიმე და წარუვალი სუნი დაეტოვებინა მხოლოდ.

ქოხების კარიდან ზანგები ესალმებოდნენ მიმავალთ, მეტწილად დილზის.

— გიბსონ, ჩემო დაო, როგორ გიკითხოთ?

— კარგად. თქვენ ხომ კარგად?

ქოხებიდან გამოსულები მიწაყრილით ადიოდნენ გზაზე. კაცებს სადა, მკვიდრი ყავისფერი ან შავი ტანისამოსი ეცვათ, საათის ოქროს ძეწკვიც უჩანდათ ჯიბიდან, ზოგს ხელჯოხი დაეკავებინა; ვაჟები კი იაფფასიან ცისფერ ან ზოლებიან კოსტიუმებში გამოწყობილიყვნენ, ქუდი გვერდზე მოეგდოთ; შარიშური გაჰქონდა ქალების კაბებს; ბალღები კი თეთრი ხალხისგან ნაყიდ გამო-

ნაცვლებში მორთულიყვნენ, შეფარვით უთვალთვალებდნენ ბენს ღამის პატარა ცხოველთა დარად.

— დაგენიძლავები, აბა თუ მიხვალ და ხელს მოკიდებ.

— ვერ მივალ თუ?

— დაგენაძლავები, ვერ მიხვალ. შეგეშინდება.

— ხალხს არ ერჩის. სულელია მარტო.

— მერედა, სულელები ხალხს არ ერჩიან ვითომ?

— ეს არას ერჩის. მე მომიკიდია მისთვის ხელი.

— დაგენიძლავები, ახლა ვერ მოკიდებ.

— მისს დილზი გვიყურებს და რა ვქნა.

— მაინც ვერ მოკიდებდი.

— ხალხს არაფერს ერჩის. სულელია-მეთქი მარტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩირში შესულები გამოელაპარაკებოდნენ დილზის ხანდახან, მაგრამ ეს ქალი მხოლოდ წთლად მოხუცებს პასუხობდა და დანარჩენს ფრონის შეატოვებდა.

— დედა რაღაც დილიდანვე ვერ არის კარგად.

— რას მეუბნები. მაგრამ ღირსი შეგოგი უშველის, შვებას მისცემს, სულს მოათქმევინებს.

ისევ დაიწყო აღმართი, დეკორაციის მსგავსი არემიდამო გამოჩნდა. გზა უცებ მოიჭრა, პატარა მუხნარში გამოსულ წითელთიხოვან ფლატეს მიებჯინა. იქით კი ავდრებისაგან დაძველებული ეკლესია ჩანდა მიჯრინკული სამრეკლოთურთ, ნახატი გეგონებოდათ ეს შენობა და თითქოს ბრტყელი, პერსპექტივის უქონელი იყო მთელი არემარე, თითქოსდა ისიც ავეჯე მუყაოზე დაეხატათ და ეს მუყაო ამ ადგილის პირას დაედგათ ზარების ხმაურით აღვსილი ქარიანმზიანი დილის ფონზე. ნელინელ ქუჩდებოდა აქ საზეიმოდ განწყობილი ხალხი. ქალები და ბავშვები ეკლესიაში შედიოდნენ, ხოლო მამაკაცები ერთმანეთში საუბრობდნენ, ვიდრე ზარმა რეკვა არ შეწყვიტა. მერე აღარავინ დარჩა გარეთ.

ეკლესია თავიანთი ბაღჩა-ბაღიდან მოტანილი ყვავილებით, ნაირფეროვანი შეჭმუჭნილი ქაღალდების ბაფთებით მოერთოთ. კათედრაზე ჯერ არავინ ჩანდა, თუმცა ქოროს თავისი ადგილი კი დაეკავებინა. სიგრილე იყო და მისი წევრები მაინც ინიავებდნენ მარაოს.

მეტწილი აქ მოსული ქალებისა დარბაზის ერთ კუთხეში შექუჩდა სამუსაიფოდ. მერე ზარმა დაჰკრა და იმავე წამს სუჯველა დაიშალა, თავიანთ ადგილებზე დასხდნენ. კიდევ ერთხელ დაჰკრა ზარმა. ქორო წამოდგა და გალობა დაიწყო. ყველამ ერთდროულად მიაბრუნა თავი — კიკინებიანი და ბაფთებიანი ოთხი პატარა გოგო და ორი ბიჭი შემოვიდა, ყვავილები და თეთრი ზონრები ესხათ ექვსივეს და ასე ერთ გუნდად შეერთებულებმა გაასვლელი გამოიარეს. ორნი შემოჰყვათ მათ, ერთიმეორის უკან მომავალნი. ვეებერთელა იყო ის მეორე, წარმოსადეგი, ღია ყავისფერი სახე ჰქონდა, სერთუკსა და თეთრ ჰალსტუხში გამოწყობილიყო, დიდებული, მკვიანური თავი ედგა მხრებსა და საყელოში გამოწყვეტულ დაბალიან კისერზე. მაგრამ ის აქაური მღვდელი იყო და ყველას ისევ მიტრიალებული დარჩა თავი. ჩაელო ამ კაცმა, ქორომ გალობა დაამთავრა და მაშინღა მიხვდნენ, რომ ჩამოსული მღვდელი უკვე შემოსუ-

ლიყო; და როცა ნახეს, აჭაურ მოძღვარის კათედრაზე აუძღვა ის კაცი, აჩოჩქოლდნენ, ხვნეში ამოხდათ გაოცების და იმედის გაცრუებისა.

ჩამოსული ჩია ტანის იყო; დაძველებული, ალპაკის პიჯაკი ეცვა, პაწაწკა მაიმუნისამებრ დამანჭოდა შავი სახე. ქორომ ისევ დაიწყო გალობა და ის ექვსი ბავშვიც აჰყვა, მაგრამ რაკილა შიშით აღარ იყვნენ, თავიანთ წვრილ[illegible] შეუწყობელი ჩურჩული გამოუვიდეს. მთელი შეკრებილობა მის[illegible] ამ [illegible]ჩავ კაცს, მთლად გალეული რომ ჩანდა აჭაური წარმოსადეგი მოძღვრის გვერდით. კვლავ გაოგნებული შეჰყურებდნენ მას და როცა მასპინძელი წამოდგა და ხალხს წარუდგინა ეს კაცი ბოხი, მქუხარე ხმით, კიდევ უფრო ცხადლივ წარმოაჩინა ჩამოსულის სიბეჩავე ამ საზეიმო სიტყვებმა.

— სენტ-ლუისიდან ეს კაცი რამ ჩამოაყვანინათ, — ჩაიჩურჩულა ფრონიმ.

— ღვთის მსახური უფრო საკვირველიც მინახავს მე, — მიუგო დილზიმ, — ჩუმად იყავი, — უთხრა მან ბენს, — გალობას ისევ გაიგონებ ამ წუთას.

ჩამოსული ადგა და ლაპარაკი დაიწყო. თეთრი კაცისა გეგონებოდათ მისი ხმა — მშვიდი, ცივი და ბოხი, მისთვის სრულიად შეუფერებელი. გაოცდა ხალხი, ყური მიუგდო, თითქოსდა მაიმუნს ამოედგას ენა. ბაგირზე მოსიარულე მუშაითივით დაუწყეს ყურება, მისი ბეჩავი შესახედაობაც კი გადაავიწყდათ, ისე მშვენიერი სანახავი იყო ეს წონასწორობადაუკარგავი, მალი რბოლა მისი მეტყველების ცივ მავთულზე. დაბოლოს, როდესაც მოძღვრის ხმა ფიცხლავ ჩამოსრიალდა ქვემოთ და დადუმდა, კათედრაზე მკლავი ჩამოაყრდნო ამ კაცმა; მაშინ აღმოჩნდა, რომ მხარი სწორედ კათედრის სიმაღლეზე ჰქონდა და მუმიასებრ, ანუ დაცლილი ჭურჭლივით გამეშდა მაიმუნის მსგავსი მთელი სხეულით. სული მოითქვეს შეკრებილებმა, თითქოს ყველა სიზმარში იყო და ახლაღა გამოერკვა, თავიანთ ადგილებზე შეწრიალდნენ. კათედრის უკან ქოროს წევრები შეუსვენებლივ ინიავებდნენ მარაოს. დილზი აჩურჩულდა:

— გაჩუმდი, ისევ დაიწყებენ ამ წუთას გალობას!

— მერე ხმა გაისმა: — ძმანო!

მოძღვარი ისევ იდგა. ხელი არც კი აუღია კათედრიდან, თითქოს ქვად ქცეულიყო, ვიდრე მისი ხმა არ გაილია დარბაზის სივრცეში. წინანდელისაგან ისე განსხვავდებოდა ეს ხმა, როგორც დღე ღამისაგან. ალტჰორნის ტემბრის მქონე ხმა გულში სწვდებოდა ხალხს და გულის ძგერასთან ერთად იქ უფრო ძალუმად გაისმოდა მაშინაც კი, როცა დარბაზში უკვე მინელებულიყო მისი ნაზმევი.

— ძმანო და დანო! — გაისმა ისევ. მოძღვარმა კათედრიდან მკლავი ჩამოიღო და საწივნეს წინ დაიწყო სიარული, ხელები ზურგზე შემოიჭდო ამ გაძვალტყავებულმა, თვალდ მოკეცილმა კაცმა, თითქოსდა რომ ჩაეკირა ხანგრძლივ ბრძოლასა და ჭიდილს ამ შეუბრალებელ მიწასთან. — გვახსოვდეს ჩვენ სისხლი კრავისა ღვთისა! — კვლავ შეუსვენებლივ დადიოდა წინ და უკან ზარისა და ხვეული ქაღალდების ქვეშ. წელში მოხრილი და ზურგზე ისევ ისე ხელებგადაჭდობილი. პატარა სალი კლდის მსგავსად ზედ ეცლებოდა საკუთარი ხმის მობობქარი ტალღები. თითქოსდა თავისივე სხეულით კვებავდა ამ ხმას, რომელიც ვეებემაპისამებრ ასო-ასო ღრღნიდა მის ხორცს და შეკრებილები ცხადლივ ხედავდნენ ამ ღრღნას. დაბოლოს გაქრა ყოველივე, აღარაფერი დარჩა, აღარც ის კაცი იყო, აღარც ისინი, აღარც მისი ხმა, ახლა მათი ამღერებული გულებით მეტყველებდნენ ერთმანეთში, და სიტყვა აღარც იყო საჭი-

რო. ხოლო, როცა კათედრასთან დაბრუნდა, ზე აღაპყრო მაიმუნისეული სახე, თითქოსდა უკვე ჯვარცმულმა, წმინდა წამების ნათლითმოსილმა ბოლოს ძლია თავის სიგლახაკესა და სიბეჩავეს. ხანგრძლივი გმინვა აღმოხდა ხალხს და ვიღაც ქალის სოპრანოც გაისმა ამ დროს: — ჭეშმარიტად, იესუ!

მტვრიან სარკმლებს მიღმა ქარი დააქროლებდა ღრუბლებს და [illegible] ხან განათდებოდა, ხან დაიჩრდილებოდა. მანქანამ ჩაიარა სადღაც, ბორბლები აუცურდა ქვიშოვანზე და მიჩუმდა. წელგამართული იჯდა დილზი, ბენის მუხლებზე დაედო ხელი. ამდენი ტანჯვა-ვაების, მსხვერპლის გაღების, თავმოწყლულებისა და წლების გამოისობით ჩაცვივნულ ლოყებზე ორი კურცხალი ჩამოუგორდა.

— ძმანო! — მკვეთრი ჩურჩულით წარმოთქვა გაუნძრევლად მღვდელმა მოძღვარმა.

— ჭეშმარიტად, იესუ! — გაისმა იმ ქალის ჯერ შეკავებული ხმა.

— ძმანო და დანო! — კვლავ დაიქუხა საყვირისამებრ, ხელები აღმართა და ასე გაშეშდა ხელებაწეული. — სისხლი გვახსოვდეს კრავისა ღვთისა! — შეკრებილებმა ვერც კი შენიშნეს, როდის გაუხდა კილო-გამოთქმა ზანგური, ნელ-ნელა ირწეოდნენ თავიანთ ადგილებზე და მთლიანად დაეუფლათ მათ ეს ხმა.

— ოდეს მრავალი ხანი და სუსხიანი... ჰოი, გესმისთ, ძმანო, ოდეს მრავალი ხანი და სუსხიანი... მე ცოდვილმა აღვიხილენ თვალნი და ვიხილე სიტყვა! მტვრად გარდაქცეულან ახლა ის ეტლნი, ეგვიპტეს რომ რბოდნენ ოდესღაც, მტვრად გარდაქცეულან მრავალნი თაობანი. იყო კაცი მდიდარი — სადღა არს იგი, ჰოი, ძმანო? იყო კაცი უპოვარი — სადღა არს იგი, ჰოი, დანო? ო, გესმისთ, უკეთუ რძე არსად იპოვება და ცვარი, რაღას ცხოვნდება ძველთა-უძველესი, ოდეს გაივლის მრავალი ხანი, გაირბენს სუსხიანი წლები!

— ჭეშმარიტად, იესუ!

— ისმინეთ, ძმანო, ისმინეთ, დანო, დადგება ჟამი, უპოვარი იტყვის, მიმიშვით, დამაწვინეთ უფლისა გვერდით, მიმიშვით, მოვიხსნა მე ეს ტვირთი. მაშინ რაღას გვეტყვის იესუ ჩვენ. ჰოი, ძმანო? ჰოი, დანო? ისევე გვამცნობს: გახსოვთო თქვენ კრავი ღვთისა და სისხლი მისი? რამეთუ არა ჯერ არსო დაგამძიმოთ სასუფეველი ჩვენი!

თავისი პიჯაკის უბე მოიჩხრიკა და ცხვირსახოცი ამოიღო, სახე შეიმშრალა. ჩუმი გუგუნი მოიდო დარბაზმა: — მმმმმმმმმმმმ!

ქალის ხმა გაისმა: — ჭეშმარიტად, იესუ! იესუ!

— ძმანო! ხედავთ იქით მჯდომარე ყრმებს. ოდესღაც იესუც ასეთი იყო. მისი დედაც ხარობდა და იტანჯებოდა. შესაძლოა ის ქალიც ხელით ატარებდა მას საღამოხანს და იავნანას უმღეროდნენ ანგელოზები; შესაძლოა გამოიხედავდა გარეთ და დაინახავდა რომაელ პოლიციელებს. — წინ და უკან დადიოდა მოძღვარი, სახეს იმშრალებდა. — გესმისთ, ძმანო! მე ვხედავ იმ დღეს. მარიამი ზის და მუხლებზე იესუ ჰყავს, ყრმა იესუ, აი, იმ ბავშვების მსგავსი ყრმა იესუ. მესმის, ანგელოზები იავნანას უმღერიან მას, ვხედავ იმ ნათელს. ვხედავ, აი, დახუჭა თვალი: ვხედავ, მარიამი წამოიჭრა სახემორღვეული. ვხედავ ჯარისკაცებს: „სიკვდილი მაგას! სიკვდილი მაგას! ჩვენ უნდა მოვკლათ ყრმა იესუ!“ მესმის საწყალი დედის მოთქმა-ტირილი, აღარსად არის ხსნა და სიტყვა ღვთისა.

— მმმმმმმმმმმმმმმმმ! იესუ! ყრმა იესუ! — გაისმა. ვიღაცამ კი ამოიგმინა:

— ვხედავ, ჰოი, იესუ! ო, მე ვხედავ! — კიდევ სხვა ხმა მოისმა, უსიტყვო, მსგავსი მღუღარე წყლისა.

— მე ვხედავ, დაჰკრეს, ძმანო! ვხედავ, დაჰკრეს, თვალებმა რომ აღარ დამიბრმავებია! ვხედავ გოლგოთას, წმინდა ძელებზე გასმულ ქურდს და კაცისმკვლელს და კიდევ მესმის, მესმის ხოტბა და ლანძღვა: „იესუ თუ ხარ, რად არ ჩამოხვალ..." მესმის გოდება ქალებისა მწუხრის ჟამს; მესმის და ვხედავ ღვთის მიტრიალებულ სახეს: „იესუ მოიკლეს, შვილი მოიკლეს!"

— მმმმმმმმმმმმმმმ! იესუ! მე ვხედავ, ჰოი, იესუ!

— ჰოი, ბრმაო, ცოდვილო! ძმანო, გესმისთ, დანო, გესმისთ, ოდესაც მოაბრუნა ღმერთმა თავისი ძლიერი სახე, ასე თქვა მან, სასუფეველს არ დავამძიმებ ამა საქმით. ვხედავ, მოიჭრნენ ღელენი მძვინვარეუმისანი; ვხედავ სიკვდილის სახლს, რომელი ჰგიებს უკუნეთი უკუნისამდე. მაგრამ ეს რაღაა! ძმანო! დიახ, ძმანო! ამას რაა ვხედავ? მე, ცოდვილი, ამას რას ვხედავ? ვხედავ ნათელსა აღდგომისასა; მშვიდ იესუს, ასე გვეუბნება იგი: „თქვენ რომ აღმამაღლოთ, იმიტომ მომკლეს მე; მოკვდინებული ვიყავი მე, რამეთუ იგი, ვინც ხედვიდეს და იწამებდეს, უკვდავი იყოს". ძმანო, ჰოი, ძმანო! ვხედავ მე საუკუნო სამსჯავროს, მესმის ოქროს საყვირთა ხმა, ზევითგან დიდების წარმწყებელი, ვხედავ აღმდგართ, რომლებსაც არ დავიწყებიათ კრავი ღვთისა და სისხლი მისი.

ბენი იჯდა დილზის გვერდით ამ ხმაურსა და აწეულ ხელებს შორის, ცისფერი თვალებით უაზროდ მიცქერალი. გარინდებული დილზი წელში გამართულიყო და მისი გაქვავებული სახე ცრემლებით დაელტოდა სისხლდანთხეული ღირსსახსოვარი კრავის ამბავს.

მზიანი შუადღე იყო, როცა გარეთ გამოვიდნენ და ქვიშიან გზას დაადგნენ, მიდიოდნენ და გამხიარულებული ხალხი ერთმანეთში საუბრობდა, მხოლოდ დილზის არ ესმოდა არაფერი, ქვითინებდა თავისთვის.

— მოძღვარიც ასეთი უნდა! პირველად არ ჩანდა ასეთი, თურმე მერე ნახე.

— სწორედ ის ხედავდა იმ ძალასა და დიდებას.

— დიახ. სწორედ ხედავდა და ის იყო.

ჩუმად ტიროდა დილზი, ოღონდ ნაკვთიც არ შეტოკებია სახეზე, მიკლაკნილ-მოკლაკნილი ნაოჭების ღარებს კი მოჰყვებოდა ცრემლები, თავაწეული მიდიოდა და არც ცდილობდა მათ შემშრალებას.

— რად არ გაჩერდები, დედი? — უთხრა ფრონიმ, — ხალხი გვიყურებს. მალე თეთრების სახლებს ჩავუვლით.

— ვხედავ პირველთ და უკანასკნელთ, — მიუგო დილზიმ, — მე ნუღარ მაქცევ ყურადღებას.

— ვინ პირველთ და უკანასკნელთ? — გაუკვირდა ფრონის.

— ყურადღებას ნუ მაქცევ-მეთქი, — უპასუხა დილზიმ, — ვხედავ დასაწყისს და ვხედავ დასასრულს.

თუმცა ქუჩას რომ მიაღწიეს, შეჩერდა და კაბის კალთით თვალები ამოიმშრალა. მერე გზა განაგრძო. ბენი დილზის გვერდით მიბაჯბაჯებდა, ლასტერს გაჰყურებდა — თითქოს ჰქვიან გოშიას უთვალთვალებდეს უჭკუო ბომბორა ძაღლი. ლასტერს ხელში დაკეცილი ქოლგა ეკავა და წინ მიისწრაფოდა, ძველ-

ბიჭივით გვერდულად დაეკოსებინა თავზე ახალი, მზისსხივებდაფენილი ჩალის ქუდი. ჭიშკართან მივიდნენ და გაიარეს. ფეხი შედგეს თუ არა, ბენი ისევ აზმუკუნდა, ერთხანს სუყველა შეჰყურებდა საღებავგახუნებულ, მომჩვლეულ სვეტებიან სახლს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დღეს იმათ რა მოუვიდათ? — იკითხა ფრონიმ, — რაღაც ამბავი უნდა იყოს.

— არაფერიც არაა, — უთხრა დილზიმ, — შენ შენს საქმეს მიხედე და თეთრ ხალხს თავი დაანებე.

— კი, რაღაცა ამბავი უნდა იყოს, — ისევ თქვა ფრონიმ, — დილიდანვე რაღაცას ჩხუბობდა ის კაცი. თუმცა ნე ვინ მკითხავს.

— მე კი ვიცი, რაცაა, — წამოიძახა ლასტერმა.

— იმდენი იცი მართლა, რომ გაწყენს მგონია, — უთხრა დილზიმ, — ფრონიმ რა თქვა, თუ გაიგონე. შენი საქმე არაა ეგ, იცოდე. ბენჯი უკან გაიყვანე და გაართე, ვიდრე სადილს არ გავაწყობ.

— მე კი ვიცი, მისს კვენტინა სადაცაა, — თქვა ლასტერმა.

— სიტყვა არ დაძრა, იცოდე, — მიუგო დილზიმ, — კვენტინას თუ დასჭირდები, მოგახსენებ. აბა ახლა უკან გადით და იქ ითამაშეთ.

— ბურთის თამაშს დაიწყებენ და ერთ ამბავს ატეხს. ხომ იცით, — უთხრა ლასტერმა.

— ჯერ კიდევ არ დაუწყიათ. ანასობაში ტ. პ.-ი მოვა და ცხენით გაასეირნებს. დაიცადე, აბა ერთი ეგ შენი ახალი ქუდი მომე.

ლასტერმა მისცა ქუდი და უკანა ეზოში გაიყვანა ბენი. ეს კი ისევ ზმუკუნებდა, თუმცა ამჯერად ხმადაბლა. დილზი და ფრონი ქოხში შევიდნენ. ცოტა ხნის შემდეგ დილზი გამოვიდა იქიდან, ისევ ის ჩითის გახუნებული კაბა ჩაეცვა, სამზარეულოში შევიდა. კარგა ხნის ჩამქრალი იყო ღუმელი. ჩამიჩუმი არ ისმოდა სახლში. წინსაფარი გაიკეთა და კიბეზე ავიდა. მდუმარება სუფევდა აქაც. კვენტინას ოთახიც ისე დახვდა, როგორც დატოვეს. დილზიმ პერანგი აიღო, წინდა უჯრაში ჩადო და შესწია. დაკეტილი იყო ქალბატონ კომპსონის კარი. დილზი შედგა ცოტა ხნით და ყური მიუგდო. შემდეგ გამოაღო და შევიდა ქაფურის სუნით გაჟღენთილ ოთახში. ფარდები ჩამოეშვათ და სუყველაფერს მქრქალი ნათელი ეფინა. საიბაყსო ქალბატონ კომპსონს. პირველად ასე გაიფიქრა დილზიმ და კარი უნდა გაეკეტა, რომ მისი ხმა გაიგონა.

— რაო? — იკითხა მან, — რა მოხდა?

— მე ვარ, — მიუგო დილზიმ, — გნებავდათ რამე?

ქალბატონმა კომპსონმა არაფერი უპასუხა. ცოტა ხნის მერე თავის მოუბრუნებლად ჰკითხა: — ჯეისონი სადღაა?

— ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა, — თქვა დილზიმ, — რამე ხომ არ გინდოდათ-მეთქი?

სიტყვა არ დაძრა ქალბატონმა კომპსონმა. გულცივი, ულონო ხალხის მსგავსად ეს ქალიც, საცხადო უბედურობის პირისპირ რომ დარჩა ბოლოს, ჩვეულებისამებრ ცდილობდა რაღაც მხნეობისა და ძალის მოკრებას. მოსახდენი უნდა მომხდარიყო, ნტკიცედ იწამა ახლა ამ ქალმა და სწორედ ამ რწმენამ მისცა ღონე. — ჰო, — ისე ამოთქვა ჯერ და მერე დასძინა, — იპოვეს?

— იპოვეთ? რაზე მეუბნებით?

— ბარათი. სულ მთლად არ დაკარგავდა უფროსების პატივისცემას და ბარათს დატოვებდა ის გოგო. კვენტინსაც კი არ დავიწყებია მაშინ ეს.

— რას ამბობთ? — უთხრა დილზიმ, — ყველაფერი კარგად იქნება, თქვენც ხომ იცით. ნიძლავს ჩამოვალ, სწორედ ამ კარში შემოვა ის გოგო დაღამებამდე.

ბიბლიოთეკა

— ნუ სულელობ, — მიუგო ქალბატონმა კომპსონმა. — სისხლმა თავისი გაიტანა. ისეთია, როგორიც ბიძამისი იყო, ანდა დედამისი რომ არის, ვეღარც კი ვხვდები, რა შეიძლება იყოს უარესი. თუმცა აღარაფრის დარდი მაქვს.

— ამას რად ამბობთ? — თქვა დილზიმ, — ის გოგო როგორ იზამდა ამას?

— არ ვიცი. კვენტინმა როგორ ქნა? მიზეზი რა იყო, მითხარი, ღვთის გულისთვის. მასხრად აგდება უნდოდა ჩემი, თუ გულის მოკვლა, ნუთუ მხოლოდ ამიტომ იზამდა ამას? ვინც არ უნდა იყოს ღმერთი, ამის უფლებას არ მისცემდა, რაკიდა კეთილშობილთა გვარისა ვარ მე. ჩემი შვილების შემხედვარე ამას ვერ იტყვი, მაგრამ ხომ ვარ მაინც.

— დაიცადეთ და მოვა ის გოგო, — უთხრა დილზიმ, — თავის ლოგინში იქნება ამ საღამოს. — ქალბატონმა კომპსონმა არაფერი უპასუხა. ქაფურში დასველებული ნაჭერი ედო შუბლზე, შავი ხალათი იქვე ფეხებთან, ლოგინზე დაეგდო გარდიგარდმო. დილზი იდგა და კარის სახელურისთვის მოეკიდა ხელი.

— კარგი, — თქვა ქალბატონმა კომპსონმა, — აქ რაღა გინდა? ჯეისონი და ბენჯამინი გინდა უსადილოდ დატოვო?

— ჯეისონი ჯერ არ მოსულა, — მიუგო დილზიმ. — წავალ ახლავე. რამე ხომ არ გინდათ? სათბურა კიდევაა ცხელი?

— ბიბლიას თუ მომაწოდებ, კარგი იქნება.

— ამ დილას მოგიტანეთ, ვიდრე წავიდოდი.

— სადღაც ლოგინის კიდეში დავიდევი. სანამდის უნდა იყოს იქ?

დილზი ლოგინთან მივიდა, მოჩხრიკა მისი კიდე და ჩაპირქვავებული ბიბლია ნახა. გადაკეცილი ფურცლები გაასწორა და ისევ ლოგინზე დადო წიგნი. ქალბატონ კომპსონს თვალი არ გაუხელია. ბალიშის ფერისავე ჰქონდა თმა, თეთრი იყო ის ქაფურიანი ნაჭერიც და ბებერ მოლოზანს ჰგავდა ეს ქალი.

— აქ ნუღარ დადებ, — უთხრა მან, თვალი არ გაუხელია. — წეღან არ იყო მანდ? შენ, მგონია, ლოგინიდან გინდა წამომაყენო; ისე როგორ ავიღებ?

დილზი წიგნს გადასწვდა, აიღო და გვერდით დაუდო. — წაკითხვას კი მაინც ვერ შეძლებთ, — ასე თქვა, — მაშინ ფარდას აგწევ ცოტათი მაღლა.

— არა. თავი დამანებე. წადი და ჯეისონს რამე მოუმზადე.

დილზი გავიდა. მიკეტა კარი და სამზარეულოში დაბრუნდა. თითქმის გაციებულიყო ღუმელი. ცოტა ხანს შეყოვნდა იქ და ამ დროს ბუფეტის ზემოთ საათმა ათჯერ დარეკა. — პირველი საათია, — ხმამაღლა თქვა დილზიმ. — ჯეისონი კი ჯერ არ მოსულა. ვხედავ პირველთ და უკანასკნელთ, — დასძინა და გაციებულ ღუმელს დახედა. — ვხედავ პირველთ და უკანასკნელთ. — ცივი საჭმელი გამოიღო და მაგიდა გააწყო. უკან რომ ბრუნდებოდა, საგალობლის ორი სტრიქონი წაიმღერა. მერე კი ამ ორი სტრიქონის სიტყვებით მთელი საგალობელი დაამღერა. კართან მივიდა და ლასტერს გასძახა. ცოტა ხნის მერე ლასტერი და ბენი შემოვიდნენ. თითქოსდა თავისთვის ზმუკუნებდა ბენი.

— სულ ასეა, — უთხრა ლასტერმა.

— მოდით და ჭამეთ, — თქვა დილზიმ, — ჯეისონი რაღაც არ მოდის სადილზე. — მაგიდას შემოუსხდა ყველა. წყნიანი ამჯერად არ ჰქონდათ და ბენი მშრალ საჭმელს თავად ჭამდა, მაგრამ დილზიმ მაინც შემოახვია ყელზე ნაჭერი. სადილობდნენ ის და ლასტერი, დილზი კი ისევ სამზარეულოში ფუსფუსებდა და საგალობლის იმ ორ სტრიქონს მღეროდა, რაკი დანარჩენი ვერ მოეგონებინა. — სულ ჭამეთ, — თქვა მან, — ჯეისონი ახლა შინ აღარ დაბრუნდება.

ჯეისონი კი იმ დროს აქედან ოც მილზე იყო. სახლიდან რომ წავიდა და სასწრაფოდ ქალაქისკენ გასწია, სადღესასწაულოდ გამოწყობილი, ნელინელ, ჯგუფ-ჯგუფად მიმავალ ხალხს და ღრუბლებამოლილ ცის ქვეშ ზარების თანაბარი რეკვის ხმას გამოუსწრო. ცარიელი მოედანი გაიარა. პატარა ქუჩაზე გადაუხვია და უცებ წყნარ უბანში ამოჰყო თავი. ფიცრული სახლის წინ გააჩერა მანქანა და ყვავილებში ჩაფლული ბილიკით აივნისკენ წავიდა.

ბადიან კარს მიღმა ლაპარაკი ისმოდა. ხელი აწია ჯეისონმა, დააკაკუნებო, რომ ფეხისხმა გაიგონა და ასე ხელაწეული დარჩა, ვიდრე ვეებერთელა კაცმა კარი არ გაუღო. შავი შარვალი, უსაყელო, გახამებულ გულისპირიანი თეთრი პერანგი ეცვა მას. ხშირი, გაბურძგნილი ჭაღარა უბრიალებდა და ბიჭისნაირად უბრწყინავდა მრგვალი თვალები. ხელი გულითადად ჩამოართვა ამ კაცმა ჯეისონს და შინ შეიპატიჟა.

— მობრძანდით, — ასე უთხრა, — შინ მობრძანდით.

— მზადა ხართ წამოსასვლელად? — ჰკითხა ჯეისონმა.

— შემოდით-მეთქი, — მიუგო მან, მკლავზე ხელი წაავლო და ოთახში შეიყვანა. კაცი და ქალი ისხდნენ აქ. — თქვენ იცნობთ ჩემი მერტლის ქმარს? ჯეისონ კომპსონი, ვერნონი.

— დიახ, — უთხრა ჯეისონმა. იმ კაცს არც კი შეხედა და, როდესაც შერიფმა ოთახის მოლოდან სკამი აქეთ წამოიღო, ვერნონმა თქვა:

— ჩვენ გავალთ და ხელს აღარ შეგიშლით. წამოდი, მერტლ.

— არა, არა, — შეაჩერა შერიფმა, — მანდ იჯექით, თქვენი ჭირიმე, ცუდი ამბავი ხომ არაა, ჯეისონ? დაბრძანდით.

— გზაში მოგიყვებით, — უთხრა მან, — აიღეთ თქვენი ქუდი და პიჯაკი.

— წავედით ჩვენ, — თქვა ვერნონმა და წამოდგა.

— მანდ იჯექით-მეთქი, — მიუგო შერიფმა, — აივანზე მიამბობს ყველაფერს ჯეისონი.

— აიღეთ-მეთქი თქვენი ქუდი და პიჯაკი, — გაუმეორა ჯეისონმა, — თორმეტი საათი იქნება უკვე, რაც ისინი წავიდნენ. — შერიფმა აივანზე გაიყვანა ჯეისონი. კაცმა და ქალმა ჩამოიარეს ქუჩაზე, მიესალმნენ. გულითადად დაუქნია ამანაც ხელი. ზარების ხმა ისევ მოისმოდა იმ არემიდამოდან, ზანგთა დაბლობს რომ ეძახიან.

— ქუდი დაიხურეთ-მეთქი, შერიფო, — უთხრა ჯეისონმა. ორი სკამი მოაჩოჩა შერიფმა.

— დაჯექით და მიამბეთ, ასე რამ შეგაწუხათ.

— ტელეფონში ხომ გითხარით, — მიუგო ჯეისონმა. არ დაჯდა, — მეგონა, დროს მოვიგებდი. მაშინ წავალ და მოვითხოვ, თქვენი მოვალეობა რომ შეასრულოთ, თქვენ ხომ ფიცი გაქვთ დადებული!

— დაბრძანდით აქ და ყველაფერი მიამბეთ, — თქვა შერიფმა. — მერე მე მოვუვლი თქვენს საქმეს.

— მოუვლით კი? — უპასუხა ჯეისონმა, — ამას ეძახით თქვენ მოვლას?

— სწორედ თქვენი ბრალი იქნება, თუ დავიგვიანებთ, — მიუგო შერიფმა, — დაბრძანდით აქ და ყველაფერი მიამბეთ-მეთქი.

ჯეისონმა ყველაფერი მოუთხრო და საკუთარმა ხმამ უფრო გაუღვივა შეურაცხყოფისა და უილაჯობის გრძნობა. ისე რომ ცოტა ხნის შემდეგ აღარც ახსოვდა, რომ უნდა ეჩქარა, ისე გაიტაცა თავისმა სიმართლემ და წყენამ. შერიფი არ აშორებდა მას ცივად მოელვარე თვალებს.

— მაგრამ დარწმუნებული ხართ, რომ ისინი არიან დამნაშავენი, — უთხრა მან, — იქნებ მხოლოდ თქვენ ფიქრობთ ასე.

— დარწმუნებული ხარო? — ჯეისონმა თქვა, — მთელი ორი დღე ქუჩა-ქუჩა დავდევდი იმ გოგოს, იმ ბიჭს მოვაცილებ-მეთქი, ასე ვფიქრობდი. კიდევაც ვუთხარი, იმასთან რომ დაგინახო, შენს თავს დააბრალე-მეთქი. და თქვენ გგონიათ, რომ იმ უასაკო კახ...

— კარგი, — გააწყვეტინა შერიფმა, — საკმარისია უკვე. მეტს ნუღარაფერს მეტყვით. — ქუჩის გადაღმა გაიხედა ჯიბეში ხელჩაწყობილმა.

— და ახლა თქვენთან მოვსულვარ, კაცთან, ვისაც კანონის დაცვა ევალება, — უთხრა ჯეისონმა.

— ამ კვირას მოტსონში აქვთ წარმოდგენა, — თქვა შერიფმა.

— დიახ, — უთხრა ჯეისონმა, — ასეთი პასუხისმგებელი პიროვნება რომ მეხადა, ვინც დაიცავდა ხალხს, რომელმაც ის აირჩია, მე უკვე იქ ვიქნებოდი. — შემდეგ გამწარებულმა მოკლედ შეაჯამა თავისი გასაჭირი, თითქოსდა კიდეც სიამოვნებდა ამ თავისი შეურაცხყოფისა და უილაჯობის წარმოჩენა. შერიფი ყურს აღარ უგდებდა მას.

— ჯეისონ, — უთხრა მან, — სამი ათასი დოლარი შინ რატომ გქონდათ შენახული?

— რატომ? — თქვა ჯეისონმა, — ჩემს ფულს სადაც შევინახავ, ჩემი საქმეა. თქვენი ვალია დამეხმაროთ, ფული რომ დავიბრუნო.

— დედათქვენმა იცოდა, შინ რომ გქონდათ ამდენი ფული?

— მე გეუბნებით, — მიუგო ჯეისონმა, — საკუთარ სახლში გამძარცვეს-მეთქი. ვიცი, ვინც გამძარცვა და სადაც არის ახლა, ისიც ვიცი. თქვენთან მოვედი, თანამდებობის პირთან, და გიმეორებთ, წამოხვალთ, ჩემს საკუთრებას დამაბრუნებინებთ თუ არა?

— ვთქვათ და დაიჭირეთ ისინი, იმ ბავშვს რაღას უზამთ?

— არაფერს, — უთხრა ჯეისონმა, — არაფერსაც არ ვუზამ. თითსაც არ დავაკარებ იმ უნამუსოს, რომელმაც სამუშაო დამაკარგვინა და ამით მომავლის ერთადერთი იმედი გადამიწურა, მამა მომიკლა, დღითიდღე სიცოცხლეს უსწრაფებს დედაჩემს და ჩემი სახელიც იგავად დააგდო ამ ქალაქში. არაფერსაც არ ვუზამ, — ასე დასძინა, — არაფერს.

— თქვენ გააქციეთ ის გოგო, ჯეისონ, — უთხრა შერიფმა.

— თქვენ არ უნდა ერეოდეთ ჩემი ოჯახის საქმეში, — თქვა ჯეისონმა, — დამეხმარებით თუ არა?

— თქვენ გააქციეთ ის გოგო სახლიდან, — ასე მიუგო შერიფმა, — კი მაქვს ეჭვი და ვგრძნობ, ვისიცაა ის ფული, მაგრამ მგონია, ვერც ვერასდროს გავიგებ სინამდვილეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯეისონი იდგა იქ და ნელინელ წიწკნიდა თავისი ქუდის კიდეს. მერე ჩუმად თქვა: — მაშ იმათ აღარ დამაჭერინებთ?

— ჩემი საქმე არაა ეს, ჯეისონ, რამე ხელჩასავლები საბუთი რომ გქონდეთ, კი, ბატონო. ისე მე არაფერი შემიძლია.

— ესაა თქვენი პასუხი? — უთხრა ჯეისონმა, — კარგად დაუფიქრდით.

— დიახ, ეს არის, ჯეისონ.

— კარგი, — თქვა ჯეისონმა. ქუდი დაიხურა. — ინანებთ. ნურც აგრე უპატრონო გგონივართ. ჩამოუკიდია რკინის ბალთა და ვინ რას დამაკლებსო, ჰგონია. — ჩამოვიდა კიბეზე, მანქანაში ჩაჯდა და აამუშავა. შერიფმა დაინახა, მანქანამ სახლს ჩაუარა და მოედნისკენ გაქანდა.

ზარები ისევ რეკდა. მზის ბრწყინვაში ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოისმოდა მათი ხმა მაღლიდან. ბენზინის წერტთან გააჩერა მანქანა, უთხრა, საბურავები შეამოწმე და ავზი გამივსეთ.

— სასეირნოდ გაგიწევიათ? — ჰკითხა ზანგმა. პასუხი არ გასცა. — მგონია, გამოიდარა ბოლოს და ბოლოს, — ასე დასძინა.

— გამოიდარა კი არა, — მიუგო ჯეისონმა, — თავსხმა იქნება თორმეტი საათისთვის. — ცას ახედა და ფიქრი აეშალა. თქეში წამოვა, მოილიპება გზები და სადღაც, ქალაქიდან შორს გაიჩხირება. მერე კი როგორღაც გული მოუფონა ამ ფიქრმა, უსადილოდ წავა ახლავე, დაყოვნება აღარ შეიძლება და შუადღე რომ მოაღწევს, თანაბარი მანძილით იქნება დაცილებული ორივე ქალაქს, და სწორედ ამან, ამ გარემოებამ ასე აფიქრებინა იმ წუთას — იქნებ ჩემკენ შემოტრიალდეს ბედი; მაშინვე მიაძახა ზანგს:

— ვეღარ მოათავე, რა ღმერთი გიწყრება? ფულს იმიტომ კი არ გაძლევენ, რომ მანქანა მთელი დღე გააჩერო აქ?

— საბურავი დაეშვა და დატუმბვა დასჭირდა, — მიუგო ზანგმა.

— წადი იქით და მე თავად მოვუვლი, — უთხრა ჯეისონმა.

— მზადაა უკვე, — თქვა ზანგმა და წამოდგა, — გზა მშვიდობისა.

ჯეისონი ჩაჯდა მანქანაში, ძრავა აამუშავა და წაიყვანა. მეორე სიჩქარით მიდიოდა ჯერ. მანქანა თუხთუხებდა და ხმა უწყდებოდა. ბოლომდე დააჭირა ფეხი ექსელერატორის სატერფულს. დროსელის სახელურს ხელი სტაცა და ამოსწია გაავთრებულმა. ბრუხვა მოუმატა ძრავამ. „წვიმა წამოვა, — თქვა მან თავისთვის, — სწორედ შუაგზაზე მომისწრებს თავსხმა“. მიდიოდა და უკან რჩებოდა ზარების რეკვა და ქალაქი. ლაღდით აღარ იყო ახლა, ლაფში ჩავეფლობი სადმე და ხარების მოძებნა მომიხდება. „ამ არემიდამოში ერთ კაცსაც ვერ ნახავ, ყველა ეკლესიაშია“. ფიქრის ძაფი აღარ გაუწყდა, ხოლო, აი, ნახა კიდეც ეკლესიასთან ხარები, აუშვა და, პატრონმა რომ მოირბინა, დაუღრიალა ერთი, მუშტი უთავაზა, ძირს დასცა ეს კაცი. „ჯეისონ კომპსონი გახლავართ. აბა მოდი, თუ ბიჭი ხარ. არა მოვიდეს, თუ ბიჭია, თქვენ რომ შერიფად აგირჩევიათ“. ასე წარმოიდგინა კიდეც, სასამართლოში შედის ორი ჯარისკაცითურთ, შერიფი გარეთ გამოათრევინა ამ ორს. „მე სამუშაოს ვკარგავ და ეს კი აქ ზის და ხელები ჯიბეში ჩაუწყვია. მე ამას ვუჩვენებ სეირს, ვასწავლი მუშაობას“. აღარც თავის დისშვილზე ფიქრობდა, აღარც ფულის ამბავი აწუხებდა ახლა. უკვე ათი წელი იქნებოდა, რაც პირველიცა და მეორეც ერთ ცნებად და სიმბოლოდ ჩაწნულიყო მის სულსა და გულში. — სამუშაო დააკარგვინა იმ ბანკში, სადაც ერთი დღეც არ ემუშავა.

ცა იწმინდებოდა, ღრუბლის ჩრდილები უკვე აქა-იქლა ეფინებოდა არემიდამოს. გადაიკარა და ამ ამბავში ჯეისონმა მტრის კიდევ ერთი ახალი მზაკვრობა, ახალი ბოროტის გარდუვალობა და ამისდა კვალად თავისი ძველი ჭრილობების გაახლება დაინახა. დროდადრო გზაზე ეკლესიებს ხვდებოდა — თუნუქის სახურავიან და სამრეკლოებიან ხის შენობებს. იქვე ხარებით, ცხენებით და ჯაბახანა მანქანები დაეყენებინათ. და მან ასე წარმოიდგინა, ყველაფერი ეს წინა სადარაჯოებია, საიდანაც ბედისწერა უთვალთვალებს მას. „ვითომ შენ ვინ ხარ, — ჯერ ასე ამოთქვა, — შენ ფერს ვერ შემაცვლევინებ“. მერე გაიფიქრა, როგორ შემოეჭყვება ის ორი ჯარისკაცი, ხელებგაკოჭილი გამოუყვანენ შერიფს და, თუ დასჭირდება, ყოვლისა მპყრობელსაც გადმოუთრევენ ტახტიდან; და აი, ჯოჯოხეთისა და ზეცის ბჭანიც გაარღვია და ბოლოს ლტოლვილ დისშვილს სტაცა ხელი.

სამხრეთ-დასავლეთიდან ქროდა და ლოყაზე ეცლებოდა გაუთავებელი ნაკადი ქარისა, ასე ეგონა, თავის ქალას გამიპობსო მისი კვეთება, და უცებ აგრე ხშირად განცდილი გრძნობა დაეუფლა. მუხრუჭს ფეხი დააჭირა, მანქანა გააჩერა და გაირინდა. შემდეგ ყელთან მიიტანა ხელი და გინება დაიწყო. ხრინწმორეული ჩურჩულით იგინებოდა; სადმე გამგზავრებას თუ დააპირებდა მანქანით, ქაფურში დასველებული ცხვირსახოცი მიჰქონდა თან, ქალაქიდან გასვლისას ყელზე შემოიხვევდა იმ ცხვირსახოცს და მისი სუნი შველოდა ხოლმე. გადმოვიდა მანქანიდან და საჯდომი ამოატრიალა, იქნებ ცხვირსახოცი ჩარჩენილი იყოსო სადმე აქვე. უკანა საჯდომიც მოჩხრიკა და გინება-გინებითვე შედგა ცოტა ხანს. ასე გაიფიქრა, ჰმ, აგრე გინდათ შენ. თვალი დახუჭა, კარს მიეყრდნო. შინ უნდა დაბრუნებულიყო და ქაფური წამოეღო ან გზა გაეგრძელებინა. გინდ ასე ექნა და გინდ ისე, მაინც თავის ტკივილი მოუღებდა ბოლოს. სახლში წასული კი ნახავდა ქაფურს უსათუოდ. მაგრამ გზაზე იქნებ ვერსად ეშოვა, კვირადღე იყო და იმიტომ. თანაც შინ დაბრუნებისას მთელი საათნახევრით დააგვიანდებოდა მოტსონში ჩასვლა. „თუ ნელა ვივლი, — თქვა მან, — თუ ნელა ვივლი და სხვა რამეზე ვიფიქრებ...“

მანქანა დაძრა. „სხვა რამეზე ვიფიქრებ“, გაიმეორა თავისთვის. ლორენი გაახსენდა ახლა. წარმოიდგინა, ვითომ ამ ქალს უწვა ლოგინში და ეხვეწებოდა, მიშველე რამეო. მერე ის ფულიც წამოაგონდა, ასე როგორ მიატოვა დიაცმა, გოგომ. იმ წითელჰალსტუხიანს რომ გაჰქცეოდა, მაშინ ასე არ იდარდებდა. მაგრამ გაძარცვეს, წაართვეს ფული, რაც იმ დაკარგული სამსახურის სანაცვლო უნდა ყოფილიყო. თავი რამდენჯერ შეუგდია საფრთხეში იმ ფულის გულისთვის, რამდენი იწვალა, ძლივს დააგროვა და ბოლოს წაართვა იმან, ვინც ნიადაგ თვალწინ ედგა დაკარგული სამსახურის სიმბოლოდ, იმ კახპამ. მანქანას მიაქროლებდა, პიჯაკის საყელო აეფარებინა და აგრე ცდილობდა ქარისგან თავი დაეცვა. ურთიერთდაპირისპირებული ორი ძალა დაინახა ცხადლივ — თავისი ბედი და თავისი სიმტკიცე, ერთმანეთის შესახვედრად რომ მიექანებოდნენ საბედისწერო გზაჯვარედინისკენ, საიდანაც უკან დასაბრუნებელი გზა აღარ არის; ჭკუით უნდა იყოს. ფიქრებს მიეცა, შეცდომა არ უნდა მოუვიდეს. სხვა არჩევანი არა აქვს, ერთხელ უნდა დაჰკრას და ზუსტად: საქმნელი უნდა ჰქნას. დაინახავენ თუ არა, ორივე იცნობს მას, თვითონ კი იმედი ჰქონდა, პირველად იმ გოგოს მოჰკრავდა თვალს, ის კაცი ხომ საერთოდაც უცნობია მისთვის, წითელი ჰალსტუხი თუ ექნება, ხომ კარგი, თუ არა და რას გახდება. თავიდა-

თავი მოსალოდნელი უბედურებისა ის იყო, რომ იმ წითელი ჰალსტუხის იმე-დითაც უნდა ყოფილიყო; გული უთქვამდა ამ უბედურებას, ამასვე ამცნობდა თავში მოწოლილი სისხლი.

უკანასკნელ გორაზე გადავიდა. ბოლო გართხმულიყო დაბლობზე ... ვები, ორიოდე სამრეკლოც გამოჩნდა ხეების ზემოთ. გორიდან ... ლაქში შევიდა, სიჩქარე შეანელა, გულში ამბობდა, სიფრთხილე მმართებს, პირველად მათი კარავი უნდა ვნახოო. თვალი უბნელდებოდა და ხინდა. მისი მოლოდინება უნდა აზლაც უბედურებას — გზიდან უნდა გადაეხვია წამლის საშოვნელად. ბენზინის წერტილთან ასე უთხრეს, კარავი ჯერ არ დაუდგამთ, მაგრამ მათი ვაგონები კი არიან სადგურში. იქ გაეშურა.

ნაირ-ნაირი საღებავებით აჭრელებული ორი ვესტრომელი ვაგონი დაინახა და მანქანიდანვე დაზვერა ვითარება. ღრმად ჩასუნთქვას ცდილობდა, სისხლი ისე ძალუმად აღარ მოაწვებოდა თავში. ჯერ გამოვიდა და სადგურის კედლის გასწვრივ გაიარა, ვაგონებს უთვალთვალებდა. რამდენიმე დაჭმუჭნული ჩასაცმელი გადმოეკიდათ სარკმლებიდან, გამოსაშრობად ეკიდა. ტალახის სამი სკამი იდგა ერთი ვაგონის კიბესთან, მიწაზე. მაგრამ სიცოცხლის არავინ იყო ირგვლივ, ვიდრე ერთი წინსაფარაფარებული კაცი არ გამოჩნდა კარში, ტაშტი მოიქნია და ბინძური წყალი გადმოღვარა, მზის სხივებზე გაიელვა ტაშტის ძი-რმა; მერე ვაგონშივე შებრუნდა ის კაცი.

მოულოდნელად უნდა მივიდე, ისე, რომ აზრზეც ვერ მოვიდნენ, თორემ იქნებ ადრევე გააფრთხილოთ ისინი, გაიფიქრა მან. თავშიაც არ მოსდიოდა, შესაძლოა ისინი არც იყვნენ აქ, ამ ვაგონში. დიახ, ნამდვილად უნდა ყოფილიყვნენ აქ და პირველად ან თვითონ დაინახავდა მათ, ან ისინი შენიშნავდნენ თვალს, სწორედ ეს გარემოება უნდა ყოფილიყო წარმატების ან მარცხის მიზეზი, სხვანაირად არ შეიძლებოდა, სწორედ ასე იქნებოდა ეს ამბავი. ჯერ თვითონ დაინახავს ლტოლვილებს და ყურსაც დაიბრუნებს, მერე, თუ გინდათ, თავში ქვაც ეხლიათ; სიტყვას აღარ დაძრავს, თორემ შეიყვანა გავიგებს, რომ ის, ჯეისონ კომპსონი გამარტივე კვენტინამ, მისმა კაცმა დისშვილმა.

კვლავ დაზვერა ვითარება, შემდეგ ვაგონთან მივიდა. ჩუმად და სწრაფად აირბინა საფეხურები და კარში შეჩერდა. გასასვლელში სამზარეულოს მკრთალი სუნი იდგა და ბნელოდა. თეთრ ლანდად მოჩანდა ის კაცი, თავისთვის მღეროდა ხრინწმორეული, აკანკალებული ტენორით. მოხუცია და ჩემზე უფრო პატარა ტანისაა, ასე გაიფიქრა, შევიდა ვაგონში. დაინახა ამ კაცმა, სიმღერას თავი გაანება.

— ჰეი?! — მოაძახა.

— სად არიან ისინი? — დაიყვირა ჯეისონმა, — ჩქარა-მეთქი, საძინებელ ვაგონში არიან, ხომ?

— ვინ ისინი? — მოუგო კაცმა.

— არ მომატყუო, იცოდე, — თქვა ჯეისონმა და ბორძიკ-ბორძიკით მიაშურა მას ამ სიბნელეში.

— რაო?! — შეჰყვირა იმან, — შენ ვის ეძახი მატყუარას! — და როდესაც ჯეისონი მხრებზე წაეტანა, დაიყვირა, — ჭკუით იყავი, კაცო!

— არ მომატყუო, იცოდე, — გაუმეორა ჯეისონმა, — სად არიან-მეთქი!

— გადი იქით, შე ნაბიჭვარო! — ასე უთხრა და გამხდარი, გაძვალტყავე-

ბული მხარი გაიქნია, გასხლტომა მოინდომა, მაგრამ რომ ვერაფერს გახდა, მიტრიალდა და რაღაცას ძებნა დაუწყო არეულ-დარეულ მაგიდაზე.

— ჩქარა მითხარი, — აღარ ეშვებოდა ჯეისონი, — სად არიან-მეთქი?

— სადაც არიან, ახლავე გეტყვი, — იჭყივლა იმ კაცმა, — ერთი ის ჩემი დანა ვიპოვო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაიცადეთ, — მიუგო ჯეისონმა და უფრო მაგრად ჩაებღაუჭა, განა შეკითხვა არ შეიძლება?

— შე ნაბიჭვარო! — ისევ იჭყივლა იმან და მაგიდაზე ხელი მოაფათურა. ჯეისონი ახლა ორივე ხელით დაეტაკა და ამ უილაჯო მრისხანების მოთოკვას შეეცადა. მოხუცი მთლად დაჩაჩანაკებული და ღონემიხდილი ჩანდა, მაგრამ ახლა ერთი ავბედითი მიზანილა ამოძრავებდა მას და ჯეისონმა პირველად იხილა ცხადლივ ის ბედისწერა, რომლისკენაც ასე სულმოუთქმელად მიექანებოდა.

— დამწყნარდით! — ასე მიაძახა, — ნუ ღელავთ, ნუ ღელავთ. წავალ ახლავე. გამიშვით და წავალ ახლავე.

— შე ვერ მატყუარა! — იყვირა იმან, — ხელი გამიშვი. ამ წუთასვე ხელი გამიშვი-მეთქი! მე შენ გიჩვენებ სეირს!

გულგადაბრუნებულმა ჯეისონმა მიმოიხედა, ხელი არ გაუშვია. გარეთ ახლა ნათელი, მზიანი დღე იყო — სწრაფწარმავალი, ნათელი და ცარიელი, და იმავე წამს გაუელვა, საზეიმოდ გამოწყობილი ხალხი შინ მიდის საკვირაო სადილზე, თვითონ კი საბედისწერო ხელჩართული ბრძოლა აქვს ამ ძვალტყავა განრისხებულ მოხუცთან და ხელსაც ვერ უშვებს, ვაითუ მიტრიალდება და გაქცევა ვერ მოვასწრო.

— დამწყნარდებით თუ არა, მივდივარ-მეთქი, ხომ გითხარით! — ეუბნებოდა, — დამწყნარდით-მეთქი! — მაგრამ აღარ ეშვებოდა ეს კაცი და ცალი ხელი განთავისუფლა ჯეისონმა, თავში ჩაარტყა. ამ სიბნელეში დარტყმა უღონო და უხეირო გამოდგა, მაგრამ მისი მოწინააღმდეგე იქვე, იატაკზე ჩაიკეცა ტაშტებისა და ქვაბების გრიალში. ჯეისონი თავზე დაადგა, სულშეხუთულმა ყური მიუგდო, მერე მიტრიალდა და გაიქცა. კართან მისულმა თავს სძლია, ნელა ჩამოდგა ფეხი კიბეზე, დაბლა ჩამოვიდა და გაჩერდა. ხშირად სუნთქავდა — ჰუუ, ჰუუ, ჰუუ. სული უნდოდა მოეთქვა და კიდეც შეყოვნდა, შეშფოთებული იხედებოდა აქეთ-იქით. ზურგს უკან რაღაც ხმაური მოესმა, მიიხედა და რას ხედავს, პატარა ჟანგიანი ცული მოემარჯვებინა ხელში იმ ბერიკაცს და, გააფთრებულმა, მოულოდნელად ისკუპა ბაქნიდან.

ცულს წაეტანა და თუმცა დარტყმა არ უგრძნია, თავში გაუელვა, ვეცემი, ყველაფერი ასე თავდება თურმე. კიდევაც ირწმუნა. სიკვდილამდე აღარაფერი დამრჩაო და, როდესაც კეფაში რაღაცა მოხვდა, ასე გაიფიქრა, აქ კი როგორღა მომწვდაო? თუმცა ადრე დამკრავდა თავში და გრძნობით კი ახლა ვიგრძენიო. და რაკიღა იგრძნო, ესღა უნდოდა ახლა, ჩქარა, ჩქარა გათავდესო ყველაფერი. მაგრამ იმავე წამს მოიცვა სიცოცხლის საშინელმა წყურვილმა და გაიბრძოლა. ჩახრინწიანებული ხმა ჩაესმა, იგინებოდა და ყვიროდა ის მოხუცი კაცი.

მაშინაც კი განაგრძობდა ბრძოლას, როცა ხელი მოკიდეს და ფეხზე დააყენეს, მაგრამ გააკავეს და გაჩერდა.

— სისხლისგან ვიცლები, ხომ? — იკითხა მან, — სისხლი მდის კეფიდან? —

სულ ასე იძახოდა. მერე იგრძნო, ვიღაცამ სწრაფად წამოიყვანა იმ ადგილიდან, სადაც მის უკან გაილია მოხუცის ყვირილი. — თავზე შემომხედეთ აბა, — ასე თქვა, — შეიცადეთ, მე...

— შეიცადეთო? — უთხრა იმ კაცმა, ვისაც იგი მოჰყავდა, — ეს წყეული გადამძრევალი ბერიკაცი გაგათავებთ, იცოდეთ. წამოდით. სიარული შეგიძლიათ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დამკრა ხომ? — ასე ჰკითხა. — სისხლისგან ვიცლები, არა?

— წამოდით-მეთქი, — მიუგო მან. სადგურის კუთხეს შემოატარა და ბაქანზე გაიყვანა, საბარგო მანქანა იდგა და ჯოყარს დაეფარა აქაურობა, მაგრამ გზის გასწვრივ ჯოყარის მსგავსივე ბალახყვავილები დაერგოთ და ელნათურებით გაწყობილი ნიშანიც დაედგათ: „თვალი* გექროს მოტსონზე". ელნათურისავე იყო ადამიანის თვალის გუგა. ხელი გაუშვა იმ კაცმა.

— აბა, — ასე თქვა, — გასწით აქედან მალე. აქ რას ეძებდით? სიკვდილი მოგენატრებიათ?

— ორს ვეძებდი მე აქ, — მიუგო ჯეისონმა, — მხოლოდ ვკითხე, სად არიან-მეთქი.

— ვის ეძებთ თქვენ?

— გოგოა ერთი, — უთხრა ჯეისონმა, — და კაცი. თქვენი მსახიობი უნდა იყოს, წითელი ჰალსტუხი ეკეთა გუშინ, ჯეფერსონში. გამძარცვეს.

— ოჰო, — თქვა კაცმა. — მაშ თქვენა ხართ? ისინი რომ აქ აღარ არიან!

— მეც ასე ვფიქრობდი, — კვერი დაუკრა ჯეისონმა. კედელს მიეყრდნო, ხელი მოისვა კეფაზე და მერე ხელისგულზე დაიხედა. სისხლისგან ვიცლები-მეთქი, მეგონა, — ასე დასძინა, — ის ცული დამკრა-მეთქი, მეგონა.

— ლიანდაგს დაეჯარით თქვენ თავი, — თქვა იმ კაცმა, — სჯობს წახვიდეთ აქედან. ისინი აქ აღარ არიან-მეთქი.

— დიახ. იმანაც ასე მითხრა. მე კი მეგონა, მატყუებდა.

— თქვენ გგონიათ, მეც გატყუებთ? — ჰკითხა იმან.

— არა, — მიუგო ჯეისონმა, — მეც ვიცი, აქ აღარ არიან.

— თავიდან მომცილდი და გინდა ჯანდაბამდეც წასულხარ იმ გოგოსთან ერთად, ასე ვუთხარი მე იმას, — თქვა მან. — ჩემს დასში რა უნდათ. ჩემთან წესიერი ხალხი მუშაობს.

— დიახ, — უთხრა ჯეისონმა, — სად წავიდნენ, ხომ არ იცით?

— არა. და არც მინდა ვიცოდე. ჩემმა ხალხმა ასეთი რამ არ უნდა ჩაიდინოს. თქვენ იმ გოგოს ძმა ხართ?

— არა, — თქვა ჯეისონმა, — მთავარი ეგ არაა. იმათი ნახვა მინდა მხოლოდ. იმ ბერიკაცს ჩემთვის არ დაუკრავს? სისხლი არ მდის, ხომ?

— სისხლის დენას მაშინ ნახავდით, რომ არ მომესწრო. აქ ნუღარ გაჩერდებით. თორემ ის კაცუნა გაგათავებთ და ის იქნება. თქვენია ის მანქანა?

— დიახ.

— ხოდა, დაჯექით და ჯეფერსონში დაბრუნდით. იმათი ნახვა თუ გინდათ, სხვაგან უნდა ეძებოთ სადმე. მე წესიერი ხალხი მყავს. რაო, რა მითხარით, გაძარცვესო?

— არა, — მიუგო ჯეისონმა, — თუმცა სულ ერთია ახლა. — მივიდა მან-

* დედანში ამ სიტყვის ნაცვლად მართლაც თვალი ხატია.

ქანასთან და ჩაჯდა. რაღა ვქნათ, გაიფიქრა. მერე გაახსენდა. მანქანა აამუშავა და ნელა დაძრა, ისევ გაუჩერებია, ვიდრე აფთიაქი არ დაინახა. დაკეტილი იყო. ცოტა ხანს შედგა იქ წვირეოდნავ თავდახრილი, აფთიაქის კარის სახელურს ჩასჩერებოდა. მოტრიალდა და ვიღაც კაცს ჰკითხა, დღეს აქ რომელიმე აფთიაქი თუ მუშაობსო. არაო, ასე უპასუხა იმან. მერე გაიგო, რომ ჩრდილოეთის მატარებელი სამის ნახევარზე გადიოდა ამ ქალაქიდან. ქუჩაზე გადავიდა, ისევ მანქანაში ჩაჯდა. ცოტა ხნის მერე ორმა ზანგის ყმაწვილმა ჩამოიარა. დაუძახა.

— მანქანის მართვა თუ იცით რომელიმემ?

— დიახ, ბატონო.

— რამდენად ჩამიყვანთ აქედან ჯეფერსონში?

ერთმანეთს შეხედეს, აჩურჩულდნენ.

— დოლარს მოგცემთ, — უთხრა ჯეისონმა.

კვლავ აჩურჩულდნენ. — ცოტაა, — მიუგო ერთმა.

— აბა რამდენი გინდათ?

— შენ არ წამოხვალ? — ჰკითხა ერთმა მეორეს.

— არა მცალია, — უთხრა იმან, — მიდი და შენ წაიყვანე. საქმე მაინც არაფერი გაქვს.

— როგორ არა მაქვს.

— რა საქმე გაქვს?

ისევ აჩურჩულდნენ, იცინიან.

— ორ დოლარს მივცემ იმას, ვინც წამიყვანს, — თქვა ჯეისონმა.

— მეც არა მცალია, — მიუგო პირველმა.

— კარგი, — უთხრა ჯეისონმა, — გასწით აქედან.

ისევ იჯდა აქ. ჩაესმა, საათმა ნახევარი დაჰკრა. საკვირაოდ და სააღდგომოდ გამოწყობილი ხალხი გამოჩნდა. კიდევაც გამოხედეს მანქანის საჭესთან მჯდომარეს, ვისაც დაბურდღოდა თვალთუჩინარი ცხოვრება ძველი ძაფის გორგალისნაირად. სამუშაო სამოსიანი ზანგი მოვიდა რამდენიმე წუთის შემდეგ.

— ჯეფერსონში თქვენ მიდიხართ? — ჰკითხა.

— დიახ, — მიუგო ჯეისონმა, — რამდენს გადამახდევინებ?

— ოთხ დოლარს.

— ორს მოგცემ.

— ნაკლებად არ იქნება. — მანქანაში მჯდომი კაცი არ განძრეულა. არც შეუხედავს მისთვის. ზანგმა თქვა: — თანახმა ხართ თუ არა?

— აგრე იყოს, — უთხრა ჯეისონმა.

გადაჯდა და ზანგს ადგილი დაუთმო. თვალი დახუჭა ჯეისონმა. მანქანის ხანჩალს რომ არ შეეჭირვებინა, სხეული მოადუნა. ასე გაიფიქრა, ჯეფერსონამდე მივაღწიო და იქ რამეს მოვახერხებო. ქუჩებში გამოფენილი ხალხი შეუშფოთებლივ მიეშურებოდა შინ საკვირაო სადილზე. ქალაქიდან გავიდნენ. ჯეისონი იჯდა და იმ სადილზე კი არ ფიქრობდა, სადაც ბენი და ლასტერი სამზარეულო მაგიდას უსხდნენ და ცივ სადილს ჭამდნენ, თავის ფიქრს ფიქრობდა. ბოროტება კი არის მარადიული, მაგრამ უბედურება, საფრთხე აღარ მოელოდა და შესაძლოა ამ ამბავმა დაავიწყებინა ნამდვილი ჯეფერსონი, სადაც აქამდე იყო და სადაც უნდა განახლდეს მისი ცხოვრება.

ბენმა და ლასტერმა ისადილეს და დილზიმ გარეთ გაუშვა ისინი, თვალი არ მოაშოროთ ოთხ საათამდე ამ ბიჭს, ვიდრე ტ. პ.-არ დაბრუნდებაო.

— დიახ, — უთხრა ლასტერმა, დილზიმ ისადილა და სამზარეულო მიალაგა. შემდეგ კიბესთან მივიდა და ყური მიუგდო, ჩამიჩუმი არ ისმოდა მაღლიდან. მერე მიბრუნდა, კარი გააღო და გარეთ გაიხედა. ბენი და ლასტერი არ ჩანდნენ, მაგრამ სარდაფის მხრიდან ჟღრიალი გაიგონა, იქით გაეშურა და ჩაიხედა. დილანდელი სურათი იხილა კვლავ.

— ზუსტად ასე შვრება ის კაცი, — თქვა ლასტერმა, ყურებჩამოყრილი მისჩერებოდა ხერხს. — დასარტყმელი ვერ ვნახე ისეთი, — ასე დასძინა.

— აი, იქ. ქვემოთ კი იპოვი, მგონია, — ჩასძახა დილზიმ. — ამოდი, მზეზე ამოიყვანე ბენი, ფილტვებიც ანთებას აიკიდებთ ორივე მაგ ცივ იატაკზე.

დაელოდა, თვალი არ მოუცილებია, ვიდრე ეზო არ გაიარეს და კედრების ძირში, ღობესთან არ მივიდნენ. მერე კი თავის ქოხში შევიდა.

— აბა ახლა არ დაიწყო შენებურად, — უთხრა ბენს ლასტერმა, — მთელი დღე აღარ მომაბეზრო. — კედრების ძირში საკასრე ტკეჩებისაგან გაკეთებული ჰამაკი იყო გაბმული გადაგრეხილ მავთულზე. ლასტერი ჩაწვა შიგ, ბენმა კი გზა გააგრძელა უმიზნოდ და ბრმად. კვლავ აზმუვლდა. — გაჩუმდი ახლავე, — წამოიწია ლასტერი, — მათრახი მოგხვდება, იცოდე, — ისევ ჩაწვა ჰამაკში. ბენი იქვე შედგა, მაგრამ ზმუილი განაგრძო. — გეუბნები, გაჩუმდი-მეთქი, — კვლავ მიაძახა, მერე წამოდგა და წავიდა. მიწის პატარა გროვასთან ჩაცუცქულ ბენს წამოადგა თავზე. გროვის კიდეებზე, მიწაში, ორი ცისფერი ბოთლი იყო ჩარჭობილი. შხამს ინახავდნენ ასეთ ბოთლებში. დამჭკნარი ბანგის ყვავილი მოჩანდა ერთი ბოთლის ყელიდან. დაბალი, გაბმული ხმით კვნესოდა იმის წინ ჩაცუცქული ბენი. ბრმად მოაფათურა ირგვლივ ხელი, ტოტი იპოვა და მეორე ბოთლში ჩადო მკვნესარემ. — რატომ არ გაჩუმდები? — უთხრა ლასტერმა, — მაინც კვნესი და გმინავ და ბარემ გქონდეს რამე მიზეზი. კი, ბატონო, — დაიხარა, წამის უმალესად ბოთლი ამოაძრო და დამალა. ბენმა კვნესა შეწყვიტა. ჩაცუცქული დაჰყურებდა პატარა ღრმულს, სადაც ბოთლი იყო, მერე ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი, მაგრამ ლასტერმა დაასწრო და ბოთლი გამოაჩინა. — გაჩუმდი! — დაუსისინა მან, — არ აღრიალდე, იცოდე, ხმა-მეთქი, ხმა! ხედავ? აი, აქაა. მაგრამ აქ რას გაჩუმდები. წამოდი და ნახე, უკვე ბურთს თამაშობენ იქ. — მკლავზე ხელი მოკიდა და წამოაყენა, ღობესთან მივიდნენ ორივენი და გაიჭვრიტნენ ჯერ კიდევ უყვავილო ცხრატყავას ფოთლების ტევრში.

— გაიხედე, — უთხრა ლასტერმა, — აქ მოდი, ხედავ?

დადგნენ და უყურებენ, ოთხნი თამაშობენ აქ მწვანეზე და იქით — სამიზნე ნიშანთან და მოშორებითაც. ბენი შეცქერის, ზმუკუნებს დორბლმორეული. გასწიეს ოთხივემ და მაშინ მიიჭრა, კვნესით მიაწყდა ღობეს. ერთმა დაუძახა ჩოგნიან ბიჭს·

— მოდი აქ, კედ, ჩოგანი მომაწოდე.

— გაჩუმდი, ბენჯი, — უთხრა ლასტერმა, მაგრამ ბენი გაიქცა ბაჯბაჯით, ღობეს ეპოტინებოდა, ღრიალებდა ხრინწნარევი, უსასოო ხმით. კაცი თამაშ-თამაშით მიდიოდა, ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ბენი და ღობის კუთხესთან რომ მიაღწია, მიიკუნჭა იქვე და თვალი გააყოლა მიმავალთ.

— გაჩუმდი-მეთქი, ხომ გეუბნები, — მიაძახა ლასტერმა, — გაჩუმდი-მეთქი, ხომ გეუბნები! — მკლავზე ხელი მოკიდა და შეანჯღრია. ბენი ღობეს წა-

ეპოტინა, ხმაჩახრინწული ზმუოდა. — აღარ გაჩერდები? — უთხრა ლასტერმა. — ჰო, თუ არა? — ბენი თვალმოუცილებლივ იყურებოდა ღობეში. — კარგი ბატონო, — დასძინა ლასტერმა, — რაღაც სატირელი ხომ უნდა გქონდეს! — თავი მიატრიალა და სახლს გახედა. შემდეგ აჩურჩულდა: — კვდი! მიდი, იღრიალე ახლა. კვდი! კვდი! კვდი!

ცოტა ხნის მერე აღრიალებულმა ბენმა ერთი წამით სული მოითქვა, შემდეგ გაიგონა ლასტერმა დილზის ძახილი და იმ წუთას ხელი მკლავზე წაავლო ბენს, ეზოს გადაატარა და მას მიუყვანა.

— თამაშს დაიწყებენ თუ არა, ვეღარ გავაჩუმებ-მეთქი, ხომ გითხარით, — თქვა ლასტერმა.

— არამზადა ხარ შენ, — უთხრა დილზიმ, — რა დაუშავე?

— არაფერი. აკი ვთქვი, თამაშს დაიწყებს თუ არა ის ხალხი, იმ წუთას აღრიალდება-მეთქი.

— აქ მომიყვანე, — ასე მიუგო დილზიმ, — გაჩუმდი, ბენჯი, გაჩუმდი ახლა. — მაგრამ ის არ გაჩუმდა. სწრაფად გადაიარეს ეზო და ქოხთან მივიდნენ. — გაიქეცი და ის ქოში მოიტანე, — თქვა დილზიმ, — ოღონდ მისს კაროლაინს არ შეაწუხო, იცოდე. თუ რამეს გეტყვის, უთხარი, რომ ჩემთანაა ეს ბიჭი. წადი და ქოშს კი იპოვი, მგონია. — ლასტერი წავიდა. დილზიმ ლოგინთან მიიყვანა ბენი, გვერდით დაისვა, ტანის რწევით ჩაიხუტა და თან კაბის კალთით სწმენდდა პირზე გადმოსულ დუჟს. — გაჩუმდი, — ასე ეუბნებოდა და თავზე უსვამდა ხელს. — ჩუ, ხომ შენთანაა დილზი. — მაგრამ ის მაინც ზმუოდა ნელა, უცრემლოდ, საწყალობლად, და ენით გამოუთქმელი მთელი ტანჯვა-ვაება მზისქვეშეთისა ამ უსახოო ხმაურს წარმოეჩინა. ლასტერი დაბრუნდა და თეთრი ატლასის ქოში მოიტანა — გაყვითლებული, დამსკდარი, დასვრილი და როცა ბენს ხელში ჩაუდო, ცოტა ხანსღა გააჩუმა. მალე მისი ზმუკუნი ღრიალში გადაიზარდა.

— ტ. პ.-ი გვენახა იქნებ, — თქვა დილზიმ.

— გუშინ მითხრა, ქალაქგარეთ მივდივარო. დღეს უნდა დაბრუნდეს ოთხი საათისთვის.

დილზი ისევ ირწეოდა და ბენს თავზე უსვამდა ხელს.

— ღმერთო ჩემო, ოთხამდე ბევრი ხანია კიდევ, — თქვა მან, — ბევრი უქლია.

— ცხენის წაყვანა მეც ვიცი, — უთხრა ლასტერმა.

— ეტლს გადააბრუნებ, — მიუგო დილზიმ. — ეშმაკის ფეხი ხარ შენ და დაიმტვრევით. კი შეძლებდი, მეც ვიცი. მაგრამ ვერ გენდობი. გაჩუმდი ახლა, — ბენს მიუტრიალდა, — გაჩუმდი, გაჩუმდი-მეთქი.

— არ გადავაბრუნებ, — თქვა ლასტერმა, — ტ. პ.-იც მანებებს ხოლმე. — ბენისთვის ჩაეჭიდა ხელი და ირწეოდა დილზი, — მე თავად ჩამოვალ და მოვუვლი მაგ ბიჭს, თუ თქვენ არ შეგიძლიათ, მისს კაროლაინმა თქვა.

— გაჩუმდი, შენი ჭირიმე, — მიუბრუნდა დილზი ბენს და თავზე ხელი გადაუსვა, — ლასტერ, — ასე უთხრა, — დიდედაშენის ნათქვამი ხომ გემახსოვრება, არ იეშმაკებ, ორივალას კარგად წაიყვან?

— დიახ, — მიუგო ლასტერმა, — ტ. პ.-ისნაირად წავიყვან მეც!

დილზი თავზე უსვამდა ხელს და ირწეოდა მასთან ერთად. — რაღა ვქნა, — თქვა მან, — ღმერთია მოწმე. წადი და ცხენი შეაბი. — დასძინა და წამოდგა.

ლასტერი კარში გავარდა. ბენს ქოში ეკავა ხელში და ღრიალებდა, — გაჩუმდი ახლავე; ლასტერი სასაფლაოზე წაგიყვანს ორთვალათი. ქუდი შინ დაგრჩა, მაგრამ არა უშავს, — ჩითის ფარდით ჩამოფარებულ ოთახის კუთხეში შევიდა და ის თავისი ქეჩის ქუდი გამოიტანა: — არა უშავს, აი, ხალხმა ჩვენი ნამდვილი გასაჭირი რომ იცოდეს... — თქვა მან. — ღვთის შვილი ხომაა და ამიტომ უნდა ეცვას და ეხუროს, სულ ერთია. მე კი ორი პარასკევიღა მაქვს დარჩენილი, მადლობა ღმერთს. აი, ეს დაიხურე. — ქუდი დაახურა და ქურთუკის ღილები შეუკრა. გაუთავებლივ ღმუოდა ბენი. დილზიმ მას ქოში გამოართვა და შეინახა, გამოვიდნენ. ლასტერმა ბეხრეკი, თეთრი ცხენით შებმული მიღრინკული ჯაბახანა ორთვალა მოიყვანა.

— ხომ ფრთხილად იქნები, ლასტერ? — უთხრა დილზიმ.

— დიახ, — მიუგო ლასტერმა. დილზი შეეშველა და ორთვალაში ჩასვა ბენი. ცოტა ხანს კი გაჩუმდა იგი, მაგრამ მერე ისევ აზმუვლდა.

— ყვავილი უნდა, — თქვა ლასტერმა. — აბა დამიცადეთ, ახლავე მოვიტან.

— მანდ იჯექი, — მიაძახა დილზიმ, მივიდა და ლაგამს მოკიდა ხელი. — აბა ახლა გაიქეცი და მოიტანე. — ლასტერმა სახლს შემოურბინა და ბაღისკენ გაიქცა, მალევე დაბრუნდა. ყუნწმოტეხილი ნარცისი ეკავა ხელში.

— ეს რა მოგიტანია, — უთხრა დილზიმ, — მთელი ვერ აარჩიე?

— ეს ერთიღა იყო იქ, — მიუგო ლასტერმა, — სუყველა დაწყვიტეს პარასკევს ეკლესიაში წასაღებად. აბა დამაცადეთ, ახლავე გავასწორებ. — ვიდრე დილზის ცხენი ეჭირა, ლასტერმა ყვავილის ყუნწს ლაფანი დაადო, ორ ადგილას ძაფით გახასკვა და ბენს მიაწოდა. შემდეგ კოფოზე დაჯდა და ალვირი მოიმარჯვა. მაგრამ დილზი ხელს არ უშვებდა ლაგამს.

— გზა თუ იცი? — ჰკითხა მან, — ქუჩას აუყვები, მოედანს შემოუვლი და სასაფლაოსკენ გასწევ, მერე იქიდან პირდაპირ შინ დაბრუნდები.

— დიახ, — მიუგო ლასტერმა, — აჩუ, ქვინი.

— ხომ ფრთხილად იქნები ახლა? — გაუმეორა დილზიმ.

— დიახ. — დილზიმ ლაგამს ხელი გაუშვა.

— აჩუ, ქვინი, — დაიძახა ლასტერმა.

— დაიცადე, — უთხრა დილზიმ, — აბა ერთი ეგ მათრახი მომეცი.

— ჰოი, დიდედ! — წამოიძახა ლასტერმა.

— მომეცი-მეთქი, — ასე თქვა დილზიმ. მიუახლოვდა ორთვალას კოფოს. ძალიან კი გაუჭირდა ლასტერს მათრახის დათმობა.

— აბა ახლა ქვინის რაღას დაძრავ.

— დარდი ნუ გაქვს, — მიუგო დილზიმ, — ქვინიმ შენზე უფრო კარგად იცის, რაც უნდა. შენ მანდ იჯექი და ალვირი ხელში გეჭიროს. ახლა ხომ იცი გზა?

— დიახ. ყოველკვირა არ დადის ტ. პ.-ი ამ გზით?

— ხოდა, შენც ასე წადი ამ კვირას.

— დიახ. ორასჯერ არ ვიყავი ამ გზაზე. ტ. პ.-ისთან ერთად?

— ხოდა, ახლაც ისე წადი, — უთხრა დილზიმ, — აბა გასწი. მაგრამ თუ ბენს რამე დაუშავე, ზანგის ბიჭო, რას გიზამ, არ ვიცი. ბორკილებს რომ არ

ასცდები, კია ცხადი, მაგრამ იცოდე, ამ საღამოსვე მაქვს მზად შენთვის ბორკილები.

— დიახ, — თქვა ლასტერმა, — აჩუ, ქვინი!

ალვირი დაჰკრა ქვინის ფართო ზურგზე, ჯერ გვერდზე გადაქანდა ორთვალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ლასტერ-მეთქი! — დაიძახა დილზიმ.

— აჩუუ! — დაუყვირა ცხენს ლასტერმა, კვლავ დაჰკრა. ფაშვის ბუყბუჩით ნელა დაიძრა ქუჩისკენ ქვინი. იქ ლასტერმა თოხარიკზე გადაიყვანა ცხენი და ეს სიარული კი არა, გაუთავებლივ წინ დაცემას უფრო ჰგავდა.

ბენი აღარ ტიროდა. შუა სკამზე იჯდა, შეკვრებული ყვავილი აწომართულიყო მისი მუშტიდან, მშვიდი და არაფრისმთქმელი ჰქონდა თვალები. მანამ ატრიალებდა ლასტერი თავის ჩესვევით თავს და წამდაუწუმ უკან იხედებოდა, ვიდრე სახლი თვალს არ მიეფარა. მერედა ორთვალა ქუჩის კიდეში მიაყენა, ჩამოხტა, ცოცხალ ღობეს ტოტი წაატეხა, ფოთლები შემოაცალა, ბენი კი ზემოდან დასცქეროდა მას. ქვინიმ ბალახის წიწკნა დაიწყო. მაგრამ ლასტერი ისევ შესკუპდა კოფოზე, მოქაჩა ალვირი, თავი მაღლა აიღებინა ცხენს და ჩქარი ნაბიჯით წაიყვანა, თავად კი, იდაყვებგაჩაჩხულს, ერთ ხელში წკეპლა მოემარჯვებინა, მეორეში — ალვირი და აქეთ-იქით მედიდურად იყურებოდა, თუმცა არ შეეფერებოდა ამას ქვინის ფლოქვების აუჩქარებელი ბაკუნი და ორღანის მსგავსი ბუხბუხი მისი ფაშვისა. მანქანებმა ჩაუარეს, ქვეითად მოსიარულენიც შეხვდნენ, ზანგის ბიჭებმაც დაინახეს ისინი.

— შეხედე ამას, საით გაგიწევია, ლასტერ, სანაგვეზე?

— კი, — მიაძახა ლასტერმა, — სწორედ სანაგვეზე. თქვენ რომ უნდა მოინახულოთ მალე. აჩუ, შე სპილო!

მოედანს დაუახლოვდნენ, სადაც თვალდავსებული ჯარისკაცი კონფედერაციისა თავისი მარმარილოს მკლავიდან სივრცეს მისჩერებოდა. ლასტერი კიდევ უფრო ამაყად გაიმართა წელში და ნირშეუცვლელ ქვინის წკეპლა გადაუჭირა, თვალი მოავლო მოედანს. — აგე ბ-ნი ჯეისონის მანქანა, — თქვა მან და მერე ზანგების სხვა ჯგუფიც დაინახა. — აბა მოდი და ვაჩვენოთ ამათ, ეტლით სეირნობა როგორ უნდა. ბენჯი, — უკან მოიხედა, — რას იტყვი, ჰა? — ბენი იჯდა, ყვავილი ისევ ეჭირა მჯიღში, იცქირებოდა უაზრო, შეუშფოთველი თვალებით. ლასტერმა წკეპლა გადაჰკრა ქვინის და ძეგლს მარცხნიდან შემოუარა.

ბენი წამით გაქვავდა. მერე აღრიალდა. უმატა და უმატა ხმას, გადააქუხა აქაურობა, თითქოსდა აღარც ჩასუნთქვა სჭირდებოდა. შეჩქვიფება კი არა, შეძრწუნება ისმოდა ამ ხმაში. თვალით უხილავი, ენით უთქმელი ტანჯვა-ვაება — ხმაური სწორედ. თეთრად იელვა ლასტერის თვალის თეთრონმა. — ღმერთო, — დაიყვირა მან, — გაჩუმდი! გაჩუმდი! ღმერთო, ღმერთო! — მოტრიალდა და ისევ გადაჰკრა ქვინის წკეპლა, გადაუტყდა, მოისროლა, ბენის ხმა კი ამაღლდა, გასაოცარ კრეშჩენდოზე გადავიდა და ლასტერმა ალვირის ბოლოს ხელი სტაცა, წინ გადაიხარა. ამ დროს ჯეისონმა რამდენიმე ნახტომით გადმოჭრა მოედანი და ორთვალას საფეხურს შეახტა.

ჯერ ხელუკუღმა გაჰკრა ლასტერს და გვერდზე მიაგდო. მერე ალვირი ჩაბღუჯა ხელში, მოატრიალა ქვინი, ალვირის ბოლო გადაკეცა და გადაუჭირა გავაზე. ორთვალა გაქანდა და თან მიჰყვებოდა ხრინწმორეული ტანჯვა-ვაებით

სავსე ღრიალი. მარჯვენა მხრიდან ჩაუარეს ძეგლს. შემდეგ ჯესონმა მუშტი ჩაარტყა ლასტერს თავში.

— მარცხნივ რომ გაგახვევია, სხვა გზა ვერ ნახე, — ასე დაუყვირა. მერე უკან გადიხარა და ბენსაც გაარტყა. ხელახლა გადაუმტვრია ყვავილის ყუნწი. — ხმა გაიწყვიტე! — მიაძახა, — ხმა გაიწყვიტე-მეთქი! — ქვინი გააჩერა და თავად დაბლა ჩამოხტა. — აბა გასწი და შინ წაიყვანე. ქუჩაში თუ კიდევ გამოგიყვანია როდისმე, მოგკლავ, იცოდე!

— დიახ! — თქვა ლასტერმა. აღვირი აიღო და იმისი ბოლო დაჰკრა ცხენს. — გასწი! გასწი! ბენჯი, ღმერთი იწამე!

ხაფად ღრიალებდა ბენი. ქვინი დაიძრა, კვლავ თანაბრად აბაკუნა ფლოქვები და ბოლოს ბენიც მიჩუმდა. ლასტერმა მხრებს ზემოდან გამოხედა მას და გზა განაგრძო. ბენს მჯიღში ჩაებღუჯა ყუნწგადატეხილი ყვავილი და თვალები ისევ უაზრო, ცისფერი და მშვიდი გახდომოდა. სახლების წინა მხარე და ლავგარდნები მარცხნიდან მარჯვნისკენ ილტვოდა ხელახლა; ბოძები, ხეები, კარ-ფანჯრები და აბრები თავის ადგილას იყო ყველა.

□

# ალექსანდრ გრინი

## ცხენის თავი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოთხრობა

თარგმნა ნათელა ლორთქიფანიძემ

იგი ბოლმამ გალეტანა....

შატობრიანი

I

სამუშაოზე პულტთან რომ ჩამოვიდა, ფილცროის ზოგ-ზოგი ძა-ქებში დახვდა. ლოზის ყმაწვილი ცოლი კონხიტა, დედამისი და „აქაური წყვილი“, როგორც საკუთარ თავს ეძახდა ამ მიდამოების მოხე-ტიალე დიოგენი, მონადირე ენოხ ტვილი, ისე შეცვლილიყვნენ, თითქოს სა-ხადი მოეხადოთ: ღიმილსა და ხმამაღლა ლაპარაკს გადაჩვეოდნენ.

სახეგაჭარხლებული პულტი ჩაჩუთულ კარავში იჯდა და გაბმით სვამდა. ჭუჭყიან ტილოს ხალათის საყელოზე სამგლოვიარო შავი ნაჭერი ეკერა. მთვრალს მწუხარებაც ეტყობოდა. „იცით, რა მოხდა აქ?! — შეაგება ფილ-ცროის და გამშრალი ენა მრგვალად გამოეჩარა პირიდან: — დობი უფსკრულ-ში გადავარდა“.

ისე თქვა ეს, თითქოს ახლახან დაწყებულ საუბარს განაგრძობდა. პულტის დროებითი ბინა — კარავი ფილცროის ისეთივე არეულ-დარეული დაუხვდა, რო-გორიც ამ თერთმეტი დღის წინ დატოვა. მაგიდიდან ხვია-ხვიად ჩამოკონწია-ლებულ ნახაზებს შორის იგივე ქოლოსფერი ბოთლი და ალუმინის თეფში ელაგა, ერთადერთი განსხვავება ის იყო, რომ მაშინ ამ თეფშზე ცივი მაკარონი იდო. თეფშის დანახვაზე ფილცროის თავში გაუელვა: „მინდა თუ არა, ის მაკა-რონი ახლაც ზედ იდოს?“ ეს ხომ იგივეს ნიშნავდა, მხიარული, ცოცხალი დო-ბი დაენახა, მაგრამ ფილცროი ჯერ კიდევ ვერ გარკვეულიყო საკუთარ გრძნო-ბებში და რატომღაც არც ჩქარობდა გარკვევას.

სანამ დარდით გაქვავებულ ქვრივ ქალთან შეიხედავდა, ფილცროიმ უკვე ყველაფერი შეიტყო მუშებისაგან. „მეხივით დამეცა ეს ამბავი“, — უთხრა მან პულტს, თუმც კარგად იცოდა, რომ ცრუობდა. „დიახ, აბა ვინ იფიქრებდა! — შეჰყვირა პულტმა. — გარდა იმისა რომ მებრალება, ჩემი მარჯვენა ხელიც იყო“.

— მშვენიერი, მარჯვე მუშაკი! — გულფიცხად იცრუა ფილცროიმ ერთხელ კიდევ და საკუთარი თავი შეეზიზღა. — „განა ახლა სულ ერთი არ არის ყვე-ლაფერი, — გაიფიქრა მან, — მე კი არ მიკრავს ხელი მისთვის, თუმცა მინდო-

და, მომკვდარიყო. განა უფლება არა მაქვს, რაც მსურს ის ვიფიქრო!“ — და მან *თითქმის* სიმართლე თქვა: — დობი მოკვდა. საშინელი სიკვდილია ეს. მაგრამ დამალა ამაზე ფიქრმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაო?! — შეუბრუნა კითხვა პულტმა. — აიღეთ და გადამკარით, რაღაცას ურევთ, ეს კი გონებას გაგიხსნით.

— ხომ იცით, რა შეიძლება დაემართოს კაცს აქაურ სიცხეში ბევრი სპირტის სმით?

— დიახ, სული ამოხდება. რა უშველის აბა?

— სველი პირსახოცი, — მკაცრად მიუგო ფილროიმ, — ზანაობა და რძე.

პულტმა თვალები გადმოკარკლა და გადაიხარხარა. მის იდაყვს ქვემოთ ყველაფერი აცახცახდა.

— შე უხიაკო, ნასო მასხარავ! — უთხრა მან და ულვაში შეიწმინდა. — მეცა ვსვამ, მაგრამ... მეტს კი აღარ მოგალთ ამქვეყნად. თქვენ A 31-ში გაემგზავრეთ, ქინაქინაც იქ არის და ექიმიც.

ფილროიმ თვალები დახარა. წინანდელი კონხიტა დაუდგა თვალწინ. ვერ მოშორებოდა ამ ქალსა და კიდევ რაღაცას, გაურკვეველი ფორმისას, ცხენის თავის მინამგვანს.

— სამი დღე მადრიოვეთ მხოლოდ, პულტ, — თავშეკავებით წარმოთქვა მან. — ბოლოს და ბოლოს, რა საშინელი ჩვევა გვქონდა თავად დალოთოლოთ მთები ისე, რომ თითქმის ფეხიც არ მოიცვალოთ ადგილიდან...

— თუმცა, — დაბნევით შეაწყვეტინა პულტმა, — ჯერჯერობით დობებთან დარჩით, მათ *ძალზე* უმძიმთ.

— მეც მიმძიმს, — თქვა გამოსვლისას ფილროიმ. ახლა აღარ ცრუობდა. არც მაშინ იტყუებოდა თავს, როცა ცხენის სადავეს ხელჩაჭიდებული დაყინებით, მკაცრად და ნაღვლიანად *მაღლიდან* ათვალიერებდა კარიერთა ყრილებით, შახტების ბოძებით და თხრილებით დახაზულ ვრცელ ხეობას. სამუშაოები, რაც პულტის ორიგინალური გეგმით დაიწყეს თერთმეტი დღის წინ, ფილროის სხვა დროს ალბათ ჩააფიქრებდა ადამიანის გონების ცლევამოსილებაზე, ახლა კი ფოლადის ეს ნაკვალევები უდაბურ პეიზაჟზე, მუხის ფიცარზე ბლაგვი დანით განაფხაჭს ჰგავდა. ფილროიმ ისიც შეამჩნია, რომ არ მოწიებია, თუმცა დილაადრიან იყაუზმა. მზის სხივების მხურვალება ისე აღიზიანებდა, თითქოს ჩხვლეტია ბეწვი ეხებოდა.

იგი სწორად აბამდა ფიქრს ფიქრზე, აქაოდა, იქნებ შურისძიებით ან სიხარულით დავიამოო გული. „დობი მოკვდა. თავადაც მოვკლავდი მას, სამართლის შიში რომ არ მქონოდა. და მაღლიდან გადავხედავდი, როგორ ჩაინთქმებოდა ყვირილით სიცარიელეში ეს ხალისიანი, *საყვარელი* სხეული. თუმცა სულ ერთია, გინდაც თვალით მენახოს ყველაფერი. ეს არის ჩემი შავი ბედნიერება. მისი ფერის სამოსს კონხიტა ატარებს ამიერიდან. მე ავსული ვარ, ავსული, ავსული; ტკბილია მისი სიკვდილი“.

ამ სიტყვებს, ამ ფიქრებს დროდადრო უწყინარ სატრფიალო სიტყვებსაც ურთავდა. თავადაც ვერ გაეგო, ბოროტებას როგორ უთავსდებოდნენ ალერსი, რითაც სავსე იყო მისი არსება, ნათელი სევდა მიუწვდომლობისა და მუდარა ამ ქალისადმი. ფიქრობდა და სიხარულს არ გრძნობდა გული.

## II

თავის ბინაში რომ შევიდა, ფიცროიმ იგრძნო, ამ ნახევრად ლამქრალ გარემოსაც, ხელუხლებლად რომ დახვდა, სამუდამოდ გამოაკლდა განუყოფელი შთაბეჭდილების რაღაც ნაწილი. მალე მიხვდა, რაც იყო იგი, „დობის მოსვლა", — დობი ხომ აღარასოდეს მოვიდოდა აქ, აღარც ცოლსა და დედას მოაკითხავდა. თავის სიცოცხლეში პირველად იგრძნო, რა ბევრი რამ ქრება ადამიანის სიკვდილთან ერთად, ის ხომ ნაწილია ცხოვრებისა, გინდაც საძულველი ნაწილი. ფიცროი დაყურსებულ სიცარიელეს ხედავდა იქ, სადაც კი მის ფიქრში შეეძლო ცხოვრება და ყოფნა დობის: მთებში, შახტებში და ყველგან, რა ადგილსაც კი აზრით მისწვდა.

რაკი იცოდა, ვერავინ დაინახავდა და თუ დაინახავდა, ვერასოდეს ჩასწვდებოდა, რა ზიზღისა და გამოწვევის ნარევი გრძნობა ჰქონდა საკუთარი თავისადმი, — ვერ მიხვდებოდა, რამ აიძულა აქ მისვლა, — ფიცროი სარკესთან გაჩერდა და საჩქაროდ ჩახედა საკუთარ თვალებს. თავის სახეს რომ უცქეროდა, მაშინაც კი უძნელდებოდა საკუთარი ბუნების შეთავსება სარკეში არეკლილი ორეულის ნაკვთებთან, — ნაკვთები ლამაზი ჰქონდა და ნაღვლიანი. სიფერმკრთალე და შუბლდაკრულობა ამ სახეზე ერთმანეთში არეულიყო და ისე მოსჩანდა, როგორც გამჭვირვალე ბინდბუნდში. გამომეტყველება არც ფლიდისა ჰქონდა და არც გაიძვერისა, მხოლოდღა თვალებში თუ გაიელვებდა და გაქრებოდა რაღაც მეყსეულად აქნეული მელიის კუდის დარად. „ეს ჩემი სახეა. ბოროტი ვარ, ულმობელი. მიხარია".

— მე გიხარია ზალიან, — თქვა ზანგმა და ყავადანი შემოიტანა. — შენი მოვიდა, ავად არ გახდა.

— გიხარია? — შეუბრუნა კითხვა ფიცროიმ, მოიღუშა და ჩააშტერდა.

— ზალიან გიხარია, ყოფილხარ კარგი, ჯანმრთელი.

— ცრუობ, შავო ძაღლო, — უთხრა ფიცროიმ და უცებ ბოღმისა და ნაღველისაგან ლურჯი ფერი დაედო.

ზანგი მოიკუნტა და უკან დაიხია. მისმა საწყალობლად დაღრეჯილმა პირმა და შიშისაგან მოჭუტულმა თვალებმა ცეცხლზე ნავთი გადაასხა ფიცროის.

— ტყუი, — გაიმეორა მან. — ძალიანაც გაგიხარდებოდა, მტვერსა და სიდამპლეში რომ ვეგდო.

— უუფ! — თქვა ზანგმა და უკან-უკან დაიწია. — ზალიან ავადაა. შენი ყავა დალევს, ცხელია, მოუხდება.

დაბნეულმა ფიცროიმ ზურგი შეაქცია. „ყველანი ასე ვლაპარაკობთ", ჩაიბურტყუნა მან. მერე რამდენიმე წუთი გამოტვინებული იდგა, ბოლმით გაოგნებულიყო ცხოვრების წინაშე, ასე ნაზად და სამძიმოდ რომ უყვარდა. მოეჩვენა, ყავას რკინის გემო დაჰკრავსო. ძალისძალად შესვა ნახევარი ჭიქა და მერე დობის ქვრივისაკენ გაემართა.

ჭასთან ეზოს ტყილში გადაუჭრა გზა, ხელს უქნევდა, მორბოდა, მაგრამ მიახლოებისას ნაბიჯი შეანელა და მისალმებისას ისე მსუბუქად სუნთქავდა, თითქოს სკამიდან წამომდგარიყოს მხოლოდ. ლაღ მიხრა-მოხრაზე ეტყობოდა, მოხუცს მუხლჩაუხრელად გაელია თავისი სიცოცხლე მთებში. ჭაღარა თმა, დაქანებულ შუბლზე შეკრეჭილი, მის ლოყებჩაცვივნულ, ცხვირწაწვეტებულ სახეს ბანჯგვლიან ოთხკუთხედად შემოკვროდა, მოჭუტული ყვითელი თვალები

სამოცწლიანი მზითა და ქარით აბრწყინებოდა, წითელ ბლუზაზე მუქი ჟილეტი შემოეცვა და თავზე წითურა ციყვის ბეწვის წაწვეტებული ქუდი ეხურა. ფიცროის რომ დაეწია, ტვილი შეჩერდა, თავისი განუყრელი თოფი იდაყვის [illegible]ზე მიიკრა და პაპიროსს მოუკიდა. ქვეშ-ქვეშიდან თვალი თვალში გაუყარა ფიცროის:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაბრუნდით, არა? ხედავთ, რა დაგვემართა. ხომ ყველაფერი იცით? ეს ამბავი ბილიკზე, მოსახვევთან მოხდა, სწორედ რომ „თავის“ პირდაპირ. წინადღით დათვის კვალს გავდევნებოდი, მაგრამ მხოლოდ ბილიკით თუ გავღწევდი. რაღა თქმა უნდა, ცოცხალი არ გავვიდოდა იქ და ორჯერ. მე უკან მივყვებოდი. როცა შევჩერდი, გვიანღა იყო, თუმცა იმწამსვე მივხვდი, რაც მოხდა. მერე დავათვალიერე ის ადგილი. ნიაღვრებს ლორღი მოეზიდათ და ისიც ისე გასრიალდა ზედ, როგორც ციგურებზე. ჩემს იქ ყოფნაშიც ჩამოიყარა ცოტაოდენი ქვიშა, ქვემოთ კი უფრო მეტი სიწყნარე იყო, ვიდრე სხვა დროს. კარგა ხანს დავყავი იმ ადგილას. ყველაზე დიდი საშინელება ისაა, რომ იგი იმ წუთის გადავარდნილი იყო.

— იმ წუთის? — გაიმეორა ფიცროიმ.

— დიახ. იდგა და ფანქრით წერდა კლდეზე. თუმცა ეს არ წამოგცდეთ მის ცოლთან. ქალმა ვერ შეძლო იმ ადგილას წასვლაყო და ქვემოთ გადაეხედა, მაგრამ ყინმაც რომ უთხრას — იქნებ წავიდეს კიდეც და მაშინ ლოდი მეორეჯერ მოუკვდება.

— ო! — ფიცროის გაეღიმა. — ლობმა რაღა დაწერა?

— ისეთი არაფერი. ეტყობა წამოუხუმრებია. ცოლიანობა არ გამომიცდია, მაგრამ გულით მესმის მისი; ისე, სასიყვარულო სიტყვები უწერია.

— იზამდა მაგას, — თქვა ფიცროიმ. მოაგონდა ლობის ლექსები და მისი სახის გამომეტყველება, როცა წარმოთქვამდა ხოლმე: „კონხიტა“. — ახლა მასთან მივდივარ. მის ცოლთან.

— მიყვარდა ეს ჭაბუკი, — ტვილი ქუდს იწვალებდა თავზე, ულვაშს იკვნეტდა, — ისეთი იყო, გეგონებოდა, ასი წელი იცხოვრაო აქ. თანაც... როგორ მღეროდა... მშვიდობით.

ტვილმა ოდნავ მოუჭირა ფიცროის ცივ ხელს თავისი ცხელი, ბებრული ხელი და მისი მიქნილი, მოხრილი ზურგი თანდათან მიეფარა მზერას. ფიცროიმ თვალი გააყოლა; პირველად იყო, რომ შეფარული დაცინვის მოტკბო, მწკლარტე სიმწვავემ მთელი გულით აიათახრებინა. „ყველას გიყვარდათ იგი, მეც მიყვარდა, იქნებ თქვენზე მეტადაც კი. ყოველ შემთხვევაში მუდამ მახსოვდა. — ფიცროიმ უფრო ღრმად ჩაიხედა საკუთარ გულში: — და აი, გაქრა მშვენიერი სასიყვარულო ფუსფუსი, აღარ მომესმება მსუბუქი და მხიარული სუნთქვა, აღარც გამიღიმებენ... ყოველივე ეს კი არ უნდა მომხდარიყო“. — გაცხარებულმა ფიცროიმ მუშტები შეკრა, თუმცა უხაროდა ბოლოს მოზღვავება, გულბოლმიანს აღარ გაუჭირდებოდა კონხიტასთან შესვლა.

მაგრამ, როგორც კი თვალი მოჰკრა ამ ქალს, რაც კი რამ კარგი გააჩნდა სულში, შეეძრა და თანაგრძნობით განემსჭვალა. თუმცა დროებითსა და საკუთარი სიყვარულის ძალამ იმავ წამს მაინც წაშალა ეგოისტური ანგარიშიანობის მთელი სურათი, ამ კედლებში შემოსვლისას დამწუხრებულ ფიცროის მაინც თვალწინ წარმოუდგა წარსული. მაგრამ უბრალოდ ვერ გამოეხატა სათ-

ქმელი, სიტყვებს არჩევდა საამისოდ, პირზე უნებლიედ ულაზათო, არაფრის-მთქმელი სიტყვები ადგა, კაცი ვერ მიუხვდებოდა ნათქვამს.

ფიცროიმ ტრაგედია გულშემაღონებელ, თეატრალურ სურათად წარმოიდგინა, თუმცა ნამდვილად ყველაფერი უბრალოდ მოხდა, რამეთუ უბრალოა თავად სიკვდილიც. აქაურობა არ შეცვლილიყო, მხოლოდ დობის სურათის წინ ეწყო ტყის ალისფერი ყვავილები. ოთახში ფარდები ჩამოეშვათ და ამ ყვავილების ათინათზე დობის სახე ვარდისფერი მოჩანდა.

— დედას სძინავს. ძალიან დაუძლურებულია, ბოდავს. ჩუმად ვილაპარაკოთ, — ყმაწვილმა ქალმა მკაცრად გაუსწორა თვალი. ასე ხდება შერიგების შემდეგ, როცა ყველაფერი ვერ დალაგდება ხოლმე და ძნელი, მწარე სათქმელი კიდევ არის შემონახული.

ფიცროი ჩააშტერდა ქალს, ცდილობდა ჩასწვდომოდა მის მწუხარებას. ეს ქალი ფიცროიზე მუდამ ახდენდა, ცოტა არ იყოს, გულისამაჩუყებელ შთაბეჭდილებას; ასეთი ქალის დამნახავ კაცს ჰგონია, ვინმემ რომ აწყენინოს ან მწუხარებით აუვსოს გული, ეს გულმაგარი, ლამაზი ქალი უეჭველად კისერზე ჩამოეკიდება პირველსავე შემხვედრს და მის მკერდზე ქვითინით ბავშვივით აჩივლდება. ახლა ასე რომ მომხდარიყო, ფიცროი ყველაფერს მიუტევებდა ორთავეს. მაგრამ ცხადზე უცხადესი იყო, რომ ისინი ახლა უფრო განუზომლად დაშორებულიყვნენ ერთმანეთს, ვიდრე იმ დღეს, როცა კონხიტამ ბოლომდე არ ათქმევინა სათქმელი. ფიცროის ხელზე ხელი მოუჭირა და სასოწარკვეთით უთხრა: „მე მხოლოდ ერთი გული მაქვს. იგი თქვენმა მეგობარმა დობიმ დაისაკუთრა უკვე. მეორე გული რომ მქონოდა, იქნებ დამეთმო თქვენთვის“.

ქალს შავი კაბა ეცვა. სადღა იყო ის ბედნიერი სახე, ფიცროის რომ გულში ჩარჩენოდა; სახე, ახლა რომ დაინახა, ელდით დანისლულიყო და საზარლად, სულის გაყინვამდე დაძაბულს აქამდე განუცდელი მწუხარების დაღი აჩნდა. საუბრისას ქალი ნერვიულად ისვამდა სახეზე ხელს ან კიდევ შეუცნობლად ჩამოიწევდა ვიწრო სახელოს კიდეს და შეძრწუნებულივით აკანკალებული ჰმუჭნიდა, ნაღვლიან თვალებში ცრემლი არ უჩანდა, მაგრამ მზერა უკრთოდა, ერთთავად ერთი აზრით შეპყრობილი. ეს აზრი იმავე წამს გადაედო ფიცროისაც და თვალწინ დაუდგა ღრმა წყვდიადში გადაშვებული სხეული.

კაცს არ შეეძლო ხმისამოუღებლად მდგარიყო ამ ქალთან. ამას მხოლოდ დობის მეგობარი ან ნაცნობი თუ შესძლებდა. ფიცროი ხომ იდუმალი მტერი იყო. ამიტომაც მან წარმოთქვა:

— საშინელებაა! საშინელება, კონხიტა, ამის მეტი არაფერი შემიძლია გითხრათ.

ქალი ცოტათი გამოცოცხლდა, დაიჯერა კაცის გულწრფელობა, რადგან ესაჭიროებოდა ეს გრძნობა, თუმცა კვლავ დაჟინებით და ეჭვით მისჩერებოდა მის გულჩათხრობილ სახეს.

— დიახ. ამ დღეებში მივემგზავრებით. დღესვე გავეცლებოდი აქაურობას, მაგრამ დედა მეცოდება. ჯერაც ლუკმა არ ჩაუკარებია პირში და ძალიან სუსტადაა.

— შეიძლება კი ამაზე ლაპარაკი?

— თქვენთვის საჭიროა.

— მე თქვენ მოგისმენთ. იყავით იქ?

— ვერ შევძელი. იცით რა, — ქალი ფიცროისაკენ დაიხარა, თვალები უცნაურად უელავდა. — სულთქვაშეკრულმა მხოლოდ მასზე რომ ვიფიქრო, იქნებ შევძლო და წამით მაინც დავინახო ლობი. მერე რაც იქნება — იქნეს.

— იქ წყვდიადია, ცარიელი წყვდიადი. — შესძახა ფიცროიმ. — თავიდან ამოიგდეთ ეს აზრი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იქნებ არსებობს ს ხ ვ ა წუთისოფელი, ფიცროი. ჩვენ ხომ ვერასოდეს გავიგებთ. წინა კვირაში, პარასკევს, ტვილი მოვიდა. როცა მის სახეზე ამოვიკითხე ყველაფერი, ადგა და პირდაპირ მითხრა, რაც მომხდარიყო.

— საშინელებაა, — თქვა ფიცროიმ. — ნეტა იცოდეთ, როგორ მებრალებით.

— ერთთავად დავდივარ და ვფიქრობ. მაგრამ საფიქრალიც აღარა მაქვს რა. იგი აღარ არის. რა უცნაურია, არა?

— გამაგრდით, კოხხიტა! — ფიცროი ცხარე, მგზნებარე და მტკიცე სიტყვებს ეძებდა, მაგრამ ვერ იპოვა. — თანდათანობით გაივლის ეს, გულს მოგეშვებათ.

— არა, არა. ხომ იცით, რომ სისასტიკეა ასე ლაპარაკი.

ფიცროი გაჩუმდა, სურდა ქალის სიტყვების აზრს ჩასწვდომოდა, რამაც ღვარძლის სიმები შეურხია. თავი ველარ შეიკავა, რომ შორეული, გაუმჩხლელი ნართაულით თავისი ნაღვლილი გრძნობები არ გამოემჟღავნებინა.

— სისასტიკეა, — დაეთანხმა იგი, — მაგრამ სიმართლეც არის. ყველაფერი კვდება, ყოველივე თავისსავე ჩრდილში იშრიტება.

— ალბათ მართალს ამბობთ, მაგრამ ახლა არ მინდა ამაზე ვიფიქრო; ასე ვიფიქრო.

— მაპატიეთ. — მორჩილად თქვა ფიცროიმ.

ქალი დამშვიდდა. ფიქრობდა და ცხვირსახოცს კვნეტდა, მერე საწერი მაგიდის უჯრიდან კუს ბაკნის სათუთუნე ამოიღო და ჩუმი ღიმილით გაუწოდა ფიცროის.

— ალბათ ძ ა ლ ზ ე გეამებათ ეს ნივთი, — ჩაიჩურჩულა მან. — აიღეთ მის სახსოვრად, ოღონდ ცუდს ნუ გაივლებთ გულში და, თუ ღმერთი გწამთ, ნუ დაკარგავთ ამ სათუთუნეს.

ფიცროიმ ხელი გაუწოდა. მაგრამ უცებ მთელი არსება განუდგა, შეურიგებელმა ღელვამ აიტანა, — იმოდენა გულუბრყვილო დაუნდობლობა იყო ამ გულისამაჩვილებლად მირთმეულ საჩუქარში, რომ კაცს მწვავე ტკივილმა დაუსერა გული, თავი ველარ შეიკავა, აღშფოთდა. თავდაცვის უფლება თავისას ითხოვდა. და ფიცროის არ სურდა ეცრუა ასე ა შ კ ა რ ა დ, როგორც ახლა იყო საჭირო. მწუხარებით გამოწვეული ეს ხელები ართმევდნენ მას ერთადერთ შორეულ, ბნელ ნუგეშს, ხელჰყოფდნენ მისი გულის საიდუმლოს, ცდილობდნენ შეერყვნათ იგი.

— მაგრამ... — ფიცროიმ დაძაბულად გაიღიმა, — არ ვიცი... იქნებ მერე ინანოთ.

— ეს თქვენია, — უთხრა ქალმა, არა გაეგებოდა რა მისი ყოყმანისა.

მაშინ ფიცროიმ მტკიცედ დაადო ხელი სათუთუნეს და ქალის თითებს, ორივე მოთრთოლვარე გუნდად შეკრა და წყნარად მოიშორა, გულისნადები კი თვალებით გაანდო. მთლად სასოწარკვეთილმა კაცმა თანდათან იგრძნო კმაყოფილება, როცა დაინახა ქალის უმწეოდ გაფითრებული სახე.

— რას ნიშნავს... ეს? — კონხიტამ გამოგლიჯა ხელები და ზურგს უკან დამალა, — თქვით.

— საჩუქარს არ ავიღებ, — ფიცროის უხაროდა, რომ უკანდასახევი გზა მოჭრილი ჰქონდა. — არ შემიძლია ავიღო. თქვენ არა გაქვთ უფლება შემომთავაზოთ, ან დამაძალოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ო, მე არ გაძალებთ. შემიძლია თუ არა, ხმამაღლა გამოვთქვა, რა გაწერიათ სახეზე?

— დიახ, მე არც ვმალავ.

— მაშინ... თქვენ მოატყუეთ დობი. თქვენ მტერი ხართ.

— მე მტერი ვარ, — თქვა თითქოს ნისლით შემობურულმა ფიცროიმ. — მტერი ვარ და მუდამ ვიქნები ამ კაცის ხსოვნის მტერი. მაგრამ თქვენი მტერი არა ვარ.

— კიდევ ერთი უბედურება, — ქალი რისხვით როდი უცქეროდა, წარბები აეზიდა მხოლოდ და ფეხსაცმლის წვერით იატაკზე აკაკუნებდა. — მადლობა ღმერთს, ეს უბედურება არაფერია იმ უბედურებასთან შედარებით.

ფიცროიმ ქუდი აიღო.

— ალბათ არაფერი დამრჩენია, — ჩაფიქრებით ჩაილაპარაკა. — არ ვიცი, მეცოდებით თუ არა ამ წუთას. საჩუქარი არ უნდა შემოგეძლიათ, მაშინ არაფერს გატყობდით. იქნებ გაიგოთ, რაც თავად საკმაოდ ცუდად მესმის საკუთარი თავისა. ყველაზე ძნელი ის იქნება, თუ ჩემს ადგილას წარმოიდგენთ თავს. ჩემი იცით, არც მე ვარ დალხინებული. თუმცა, მაპატიეთ. თქვენზე უნდა გველაპარაკა და ჩემზე გავაბი მუსაიფი. არ მინდოდა, ასე მომხდარიყო.

— რა სულმდაბლური, ბილწი ზიზღია! — კონხიტას მთრთოლვარე სახეზე მსხვილი, მძიმე ცრემლები ჩამოუგორდა. — ფიცროი, არ გაბედოთ მისი შეზიზღება!

— შეზიზღება, — ნაღვლიანად, მტკიცედ და გულიდან ამომხდარი ხმით უთხრა ფიცროიმ და კარი გამოაღო. — მაგრამ ასევე ძლიერ შემიძლია სიყვარულიც. მშვიდობის სასუფეველი დამკვიდრებოდეს! მე გულწრფელად ვამბობ. თქვენც, თქვენც უსურვეთ, კონხიტა, ჩემს ზიზღს, მშვიდობის სასუფეველი.

ქალმა უწყინარედ ჩაიქნია ხელი, სავარძელში ჩავარდა, სახით ბალიშს მიეკრო და ფიცროის ხელით ანიშნა, წადითო.

ფიცროი გავიდა და ფრთხილად გაიხურა კარი.

## III

საით მიდიოდა, არც ფიქრობდა, ბარაკებისაკენ მიჰყავდათ ფეხებს, დროდადრო ქუდს იხდიდა და ცხვირსახოცით იწმენდდა უხვად დასხმულ ცივ ოფლს. თავს ისე გრძნობდა, თითქოს მკერდი სილით ჰქონოდეს გამოტენილი და რამდენიმე დღე სუნთქვაშეგუბებულს ეცოცხლოს. ეს-ეს არის დამთავრებული საუბარი გაბმულ ყვირილად ჩაესმოდა, მისი ექო ჯერაც უზუზუნებდა ყურში. ახლად ნაზიარებივით საოცრად დამშვიდებული იყო. ეზიზღებოდა თავისივე ნათქვამი სიტყვები, მაგრამ ისღა ამშვიდებდა, სიმართლე რომ ერია შიგ, თუმცაღა გაფითრებულს დასცდა.

ტყის პირს რომ მიაღწია, მწვანე კამლით შემობურულ მთების ძირში, ფილცრომ თვალი მოჰკრა ტყის პატარა მდელოებთა მკრთალ ჩრდილებს და ადამიანთაგან მოშორებულ ამ წყნარ სიწმინდეში, თითქოს ნავედული ფახრილიყოს, უცხო თვალით დაინახა თავისივე ბუნება ისეთი, როგორიც ეჩვენა ამ რამდენიმე წუთის წინ გულისტკივილითა და მწუხარებით შეპყრობილ ქალს — თითქოს დანა რომ ჩასცა. სირცხვილზე უფრო მეტი სირცხვილი იგრძნო და მღელვარებაც დაუცხრა. ფილცრომ კბილი კბილს დააჭირა, თვალები დახუჭა და თავის ფიქრში სილა შემოჰკრა სახეში. რაღა თქმა უნდოდა. ქალს ამიერიდან მისი აღარავითარი პატივისცემა აღარ ექნებოდა, — და ველარასოდეს ნახავდა მას. მაგრამ სირცხვილით ღონემიხდილი, თითქოს ნისლში გახვეული ფილცრო ჩამწყდარი ხმით ჩურჩულებდა ყველა საალერსო სიტყვას; ამით ავსებდა იგი დღემდე თავის ცხოვრებას ისე, რომ ხმამაღლა წარმოთქმას ვერც კი ბედავდა. ოღონდაც იგი პატიოსნურად ებრძოდა თავს, რა აღარ გამოსცადა დასამშვიდებლად: სასიკვდილოდაც გადადო თავი, მსჯავრსაც გაიღო, იმოგზაურა კიდეც; მაგრამ დობისაღები მის ალალ გრძნობებს მაგარი ხელი მართავდა, დრო-დადრო დამშვიდებული, კვლავ რომ მტკიცე ხდებოდა. საშინლად პირველი დღიდანვე მოვლო. ხშირად ეფიქრა, ნეტა ამ კაცს ისეთი და ისეთი საშინელი, მტანჯველი სიკვდილით ამოეღოს სული, რათა მთელი სიცოცხლე აღარ ვაებებოდეს ამ მეხის მოლოდინში, რაც ბოლოს და ბოლოს მიიხნის ბოლომდით და საშინელი სიყვარულით, ავადმყოფობად ქცეული სიყვარულით შებოჭილს.

გრძნობათა შორის გაელვებულმა და ბევრჯერ ამოტრიალებულ სალარ გუშინ რომ ჩაუფიქრდა, ფილცრომ გაოცებით მიაპყრო მას ყურადღება, ეს კი არადა, შეუძლია კიდეც, თუმცა, ბიჭი რომ მიუჩნდა, უკვე მთლად მშვიდად განაგრძობდა ფიქრს, როგორც წყალდიდობაში წაპოტივებული ფიქრობს, ვინ იცის, იქნებ წინ კატასტროფები მაქვს ახალგაზრდა, მაგრამ გზის მაინც განაგრძობს. ჩვეი იყო და ეს გრძნობა შეპირისპირების ცნობისწადილმა მიიჩნია და სხვაგვარად ასაფრენად. არც უარყოფა შეეძლო, არც შემოწმება. არც დამტკიცება თავის საკუთარ გაწყურებისა და ღობის დალუპვის შორის კავშირისა, არ ჰქონდა აზის საბაბი, თუმცა ჯიუტი დამთხვევა თვალწინ უტრიალებდა ყოველი მხრით და რას აღარ აფიქრებინებდა. „უნდა ვთქვათ, რომ... — თქვა ფილცრომ. — საოცარი სამყაროა აზრი და დიდია ძალა მისი. მაშინ... სულ ერთია, — ფ ი ქ რ ი თ რამდენჯერ მომიკლავს იგი, რაღა განსხვავებაა".

ამას რომ ფიქრობდა, ზურგში თითქოს ვიღაცამ უბიძგა და მიატრიალა. მდელო ქვემოთკენ მიუყვებოდა; ქვემოდან, ტყის კალთის გადაღმა, ბერობა გაშლილიყო თავისი მიწაყრილებით, კარვებით და ნაგებობებით; მილებიდან კვამლი იკლაკნებოდა. ეს სურათი პოლტის ახროვნების ნაყოფი იყო, თავად კი, ფილცრო, იქ ინჟინრად მსახურობდა, რომ პოლტმა განსაჯა ასე. თვალისწამზე უფრო მცირე დროში ფილცროისათვის ნათელი გახდა რაღაც, ამოცანათა ამოცანის ამოხსნის დარი რამ. ჯერ ამან გაუარა და ახლა გული აუჩქროლდა ხმაურით. აქამდე ფილცროს მტკიცედ არც სჯეროდა, რომ უფსკრულიან მივიდოდა, ახლა კი არ შეეძლო არ მისულიყო. სურვილმა აიტანა — შეეკრა წრე. გუნება ცოტათი გამოუკეთდა, მით უმეტეს, რომ უკვე გამოჩნდა არც ისე მაღალი, კედორმოდებული კლდოვანი გორაკები. მათ იქით, მარცხნივ, ტყის გზა გაწოლილიყო, ზედ ფლატის თავზე დაკიდებული ბილიკისკენ მიმავალი.

ზენიტს გადაცილებულმა მზის მხურვალებამ მის ფეხსაცმელებშიც შეატა-

ნა და ფეხები დაჰწვა. ნისლ და შუქმოფენილი კლდეები, მთების მწვერვალები, მორეული ზვავნები ყველაზე უფრო ბუმბერაზი ნისლების ფონზე, ცას უძრავ, ლილისფერ კამარის კიდეზე რომ შერწყმოდა, ღრუბლიან ქვეყანას ... ნებლედით, საოცნებო აქ ზვერი რამ იყო, რაც უზღვრელად ადამიანსაც კი გა-აბედნიერებდა, მაგრამ ამ თვალუწვდენელ ...ებში სამყაროს ... რის წილი არ ჰქონდა. იგი წინვან ისე ნათელ შეგრძნებას ... სა და საწუთროდ დაკარგულ ქალს შორის კავშირი გაქრა. მხოლოდ მ ი ს ი თ ა-და თუ ბოლოდღე ყოფილიყო, შერწყმული ერთ საწუთროდ. ფიცრონი ისე იყურებოდა, თითქოს გატეხილ საათს შესცქეროდა. მთვარის შუქზე ფოლო-ლისფრად შეფერილი გრეხილი ქედები მარჯვე ხაფანგი ვერ იყო მისი სული-სათვის — მეორე ხარისხისა გახლდათ, ჭიანი ვაშლი, ლატაკია სამოთხე. ფიც-როი მიდიოდა გახლეჩილ კლდესთან, რომლის ვიწრო ჩამონამზღვლევზე, რომელიც, კაცმა არ იცის, რით კავდებოდა, ილოოჩილოო, კოლბოხებმოყრილი ტერასები გაშიშვლოყო: მარჯვნივ, ნაპრალში, ერთიდერთ, შედარებით ნაკლე-ბად ღრმა სიცარიელეში, თანდათანობით რომ ფართოვდებოდა რაც უფრო უახლოვდებოდა „ცხენის თავის" უფსკრულს, ვერცხლისფერ შხეფებს აფრ-ქვევდა დაკიდული წყარო. იგი ჰგავდა სადღაც, კლდეში განხმული ონკანიდან გადმოჩქეფარე წყალს, — ხან რომ მოისწრაფვოდა, ხან კიდევ უძრავ, ნათელ ხაზად იყინებოდა იმიტომ ჩინებულად, თვალს აყოლებდი მის ვარდნას თუ ერთ წერტილზე მისჩერებოდი; იგი მონოტონურად ხმაურობდა ქვემოთ და იქ რომ ჩაიხედა, ფიცროის თითქოს გულს მოეშვა კიდეც, როცა თვალი მოჰკრა ასი-ასოციოდე ფუტის ჩრდილოვან სიღრმეს, რომელსაც მარჯვე მცოცავი სულ ოთ-ლად ჩაიდგებოდა და რომლის შავ, მწვანე ქვებს შორის მარაოსავით გაშლი-ლიყო ქაფი.

ამ ადგილას გზა კლდეებს შიგნითა მხრიდან ევლებოდა და ადამიანსა და რგოლა-რგოლა პატარ-პატარა უფსკრულებს შორის გრანიტის ურჩხ კედელს ტოვებდა, რაზედაც თითქმის არავითარი მცენარე არ ხარობდა. ხვლიკები და ობო-ბები ქსელავდნენ ქვებს ამ მოწითალო ორმოების უძრავ მხუთვარებასა და დაბ-რეცილ ჩრდილთა მოჩვენებით კიბეებს შორის, კედლის ზემოთა კიდეებს ფეხისხმის ჩქამით ავსებულ ძირთან რომ აერთებდა. ფიცროის წაღებქვეშ ხრა-შუნობდა ღორღი; ეს სიცოცხლეჩამკვდარი, ნათელი ადგილი გავარვარებული დუმილივით აღაგზნებდა კაცს. ბოლოს ფიცროიმ მარჯვნივ თვალი მოჰკრა ოკ-რობოკროდ გაწეულ-გამოწეულ სივრცეს, ჯანღიანი მაღლობებით რომ იყო დასერილი, და კიდეზე გამოვიდა.

IV

ფიცროი აქ ორჯერ იყო ნამყოფი — წინათ — ახალი შთაბეჭდილების მო-სალებად, რისგანაც მას ერთი-ორი ეული აზრიღა შემორჩა, — ალბათ ვერ მო-ახერხებდა მათ გამოთქმას. ტვილი ამბობდა, ამ ადგილას დიდხანს ქვემოთ ყუ-რება არ შეიძლება, თუ ვერ მოახერხე და უფრო იქით თოხზე არ გაცოცდი, რადგან გულისრევა გეწყება კაცსაო. მაგრამ ფიცროიმ პირველადაც და მეო-რედაც მოიარა აქაურობა ჰიპნოზური შთაბეჭდილებებისათვის არცთუ მაინც-დამაინც განწყობილმა, უხალისო გუნებაზე მყოფმა, როცა სული კაცისა ჰგავს

წყლის ბურთულას, გათეთრებამდე გავარვარებულ რკინაზე მგორავს, — მოძრაობს და არ ორთქლდება. თანაც წინასწარ მზადმყოფი ადამიანი ბევრ რასმე სხვანაირად იტანს. მაგრამ მაინც ფიცროი მაშინ თითქოს მისკენ მომარჯვებული თოფის ლულის წინ იდგა.

წინ მაცქერალი კაცი იფიქრებდა, ტბის ნაპირას ვდგავარ, [illegible]ბაში უძრავი წყლის გამჭვირვალე წყვდიადით დასახიჩრებულ-ჩამუქებული ნაპირთა ანარეკლები ტორტმანებენო, მაგრამ საკმარისი იყო მზერა ჩნარცვის მაცდუნებელ ზედაპირში ჩაძირულიყო, რომლის მოპირდაპირე კიდე მასზე მოძრავ მხედრის ფიგურას თვალით გაურჩეველ პაწაწა არეულ ლაქადღა თუ გამოაჩენდა, ჰორიზონტალური პერსპექტივა, მყისეულად რომ კარგავდა სულის გაფრთხობის მომლოდინესათვის ყოველგვარ მნიშვნელობასა და ზომას, ილანდებოდა ღრუბლისებრ ჩრდილად და ერთმანეთის პირისპირ ტოვებდა უფსკრულსა და მისი მაცქერლის შიშშეპარულ სახეს.

იმ ადგილას, სადაც ფიცროი შეჩერდა, უფსკრულის მოხაზულობა სიგრძით ერთნახევარ მილსა და სიგანით ნახევარ მილამდე აღწევდა. კედლები მისი ყოველი მხრიდან და ყოველი მიმართულებით მთლად ფრიალო იყო და გაუნათებელ სიღრმეში ქრებოდა ღამეულ ვაკისებრ ვეება ჩრდილებს, თვალუწვდენელ ვერტიკალურ სივრცეს რომ ფარავდა. ეს მიწისქვეშა წყვდიადი თითქოს შავი ცის ანარეკლი იყო, როგორსაც ხედავენ აერონავტები საჰაერო საზღვართა სულშემხუთველ სიმაღლეზე ასვლისას. თუ თვალების ატკივებამდე ჩააშტერდებოდი, შეიძლებოდა მხოლოდღა ნეზობელი ცისაბოს ნაკეცებით გაგერჩია, რა სიმაღლით ეშვებოდა იგი. აქ კედლები, ქვემოთკენ რომ ქრებოდნენ, ეცლებოდნენ სხივებს, თანდათან უფრო და უფრო მქრქალად კაშკაშებდნენ. მერე კი პირქუში სიბნელე საშინელ სიღრმეში განფენილი წყვდიადით გაიძულებდა შეგეწყვიტა თვალიერება.

სახიფათო გადაადგილებათა საუკუნეებმა დატკეპნა და გაასწორა ნაწყვეტ-ნაგლეჯები ბუნებრივ ლავგარდანთა, კლდეთა, მარცხენა მხარეს რომ იყვნენ გაწელილები და შექმნა ვიწრო ბილიკი, რომელზედაც უფსკრულის მხარეს ორიოდ ნაბიჯზე ფეხდაცდენილი კაცი ფრთებსღა თუ ინატრებდა. ამ ბილიკზე რომ შეაბიჯა, ფიცროიმ უნებლიეთ უფრო ღრმად და ნელ-ნელა დაიწყო სუნთქვა, როგორც პირქარში ვითქვამთ ხოლმე სულს, — საკუთარი სხეულის შეგრძნებამ თვითშთაგონების ძალა შესძინა; თავისსავე შეუცნობლად მისი მხარი ერთთავად კლდეს ეხებოდა და იგი ძალღატანებით იცდენდა ქანქარის რხევასავით მშვიდ, განუწყვეტელ შეგრძნებას — თითქოს ქვემოდან უხმობდა ვიღაც, ჩამოიხედეო, თანაც ნერვები ამ დროს ისე ჰქონდა დაძაბული, როგორც დიდ ფულზე მოთამაშეს.

მან ნელ-ნელა შემოუარა შვერილს, ღრმულს და მიუახლოვდა ნაპრალს, რომლის თავს გადაღმა ბილიკი კიდევ სამასიოდე ფუტის სიგრძეზე იჭიმებოდა და მერე უცებ ხეობაში უხვევდა. აქამდე ფიცროის გზა არ ემორჩილებოდა ვისიმე ან რისიმე მითითებას, აქ არც იყო საჭირო მისწავლება, რაკი ბილიკს ჯერჯერობით თუმცა უცნაური, მაგრამ სულმთლად მყარი ზედაპირი ჰქონდა. ყოველი შემთხვევისათვის ფიცროიმ გულდაგულ დაათვალიერა კლდეები, მაგრამ წარწერას, ტვილი რომ ამბობდა, ვერსად წააწყდა.

ამ წარწერამ მაშინ შეაჩერა, როცა ნაპრალი გადაიარა.

V

ფიცროიმ ქვები ფეხებით მიისროლ-მოისროლა, რათა თავადაც არ დაცურებულიყო ამ ქარ-წვიმით წიდასავით გაპრიალებულ გამობურცულ ლოდგარდახზე და წაიკითხა ღობის წვრილი ხელით ცოლისადმი მიწერილი [illegible]ცნელი სიტყვები: „ვდგავარ აქ და ვფიქრობ შენ...“. „შენზე“, — [illegible] დაასრულა ფიცროიმ.

ამ სიტყვებით ყველაფერი იყო ნათქვამი ამ საზარლად გამქრალ კაცზე, თანაც ისე სრულად, რომ უფრო სრულად თავად ღობიც ვერ გადმოსცემდა იმ წუთში განცდილ თავის გრძნობებს. ფიცროი რომ გვერდით ჰყოლოდა. ღობი, ალბათ, შთაბეჭდილების სიღრმე-სიმწვავემ შეაყენა აქ; გაბრწყინებულმა მთის სამყარომ აუჩქროლა გული, საკუთარი ბედნიერება მთელი ძალით შეაგრძნობინა და მარტოდმარტო კაცს მოუნდა მხიარულად შეეძახა მისთვის, ვინც ვერ გაიგონებდა მის ძახილს, მაგრამ განუყრელად მასთან კი იყო. ეს სიტყვები აღტყინებულმა დაწერა, ბიჭბუჭელა რომ დაიყვირებს ტყეში, ისე, — უაზროდ, მაგრამ მიამიტური ღიმილივით ადვილად მისახვედრად.

— მაშ, ფანქარი და უფსკრული გვერდიგვერდ გქონია. ისე მყუდროდ, ისე განუყრელად გადაწნულიყვნენ ისინი ერთურთში, რომ ვერც მოასწარი ამის შეცნობა, — თქვა ფიცროიმ, მობრუნდა და ზურგით კლდეს მიეყრდნო. თავიდან ვერ მოეშორებინა, საოცრად ნათლად ჰქონდა ყოველივე წარმოდგენილი. იგი ხედავდა ქვას, რომელზედაც ღობის ფეხი დაებიჯებინა და მოხრილი მუხლის მსუბუქ მოძრაობას, რის გამოც ქვა დაიძრა, უკან გაწეული ფეხით ნაბიძგები. მყისიერმა სიახლის მოწოლამ გულსა და თავში წაშალა ყველა აზრი; იმძლავრა ქარაშოტმა, რასაც გადავარდნა მოჰყვა. ქარაშოტმა და ყვირილმა, თავისივე უგნური აღმა მიმავალ კვალს ჩაბღაუჭებულმა, ერთ ხანს კიდევ ატარა კოშმარის ილუზიით, ვიდრე კლდეზე მიხეთქებულს ცნობიერება არ დაუბრუნდა. წამით მისთვის ნათელი მოეფინა ყოველივეს, გასაგები გახდა და ენით უთქმელი ტანჯვით წამსვე მოეღო ბოლო. დუმილის იდუმალი ზღვარი გადაილახა და ამით ყველაფერი დასრულდა.

ფიცროი გაუნძრევლად იდგა, ქვევით იყურებოდა და ნერვიულად ეხებოდა სულის საზარელი სხივით წყვდიადს, უსიტყვოდ რომ შემოსცქეროდა მორევიდან ვეება თვალით.

წინათ არასოდეს ასე დიდხანს და ასე დაჟინებით არ ჩაუხედავს ამ უზარმაზარ მილში, რომლის გარდიგარდმო ჭრილი შორს მაღალ კლდედ დაწურულიყო და ცისკენ აზიდულ ცხენის თავს ჰგავდა. მასში, როგორც ღრუბლიან ფანტომებში, იყო გაურკვეველი, ჩახშული ზეიმი ბრმა ფორმისა, რაც ჩვენში სულგანაბული ცოცხლობს გრძნობათა ჩრდილისებრ, განსაცვიფრებლად, მავზოლეუმივით. თუ ყურადღებას საიმისოდ მომართავდით, შეიძლებოდა კლდის კუთხეთა შეერთება მიგემსგავსებინათ ყალყზე შემდგარი და უფსკრულის სიცარიელეში პირუკულმა დაბინადრებული გიგანტური ცხენის წინა ტორებისათვის.

ფიცროიმ თავს ძალა დაატანა, თვალი მოსწყვიტა წყვდიადს, რამაც გაარინდა, მძიმე მზერა შორს, ნათლად გამოსახულ ამ ქვის ფიგურას მიაპყრო და წარმოიდგინა, რა ფანტასტიური სურათი იქნებოდა, ეს გარინდებული ფიგურა რომ უფსკრულში გადავარდნილიყო. მერე განაგრძო ეს სურათი. მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინ ყოველივე ფიცროის ირგვლივ ნარნარი ბიძგით შეირხა, როგორც მოძრაობს ნავმისადგომი და სანაპირო გემის დაცურების დროს, — მთის ჰორიზონტმა ქვემოთკენ იწყო ჩაძირვა. ფიცროის მკერდში რკინა დაეტრიალა, [illegible]-და გული. შიშმა ფეხები დაუკრუნჩხა, ზედვე დაეცა, სახეს იმალავდა. ახლა დედამიწის მყარი ზედაპირი ფიცროისათვის მოლივლივე კუნძულის ქერქი იყო, თვალწარმტაც საფარველად გაწვენილი შავბნელ ა რ ა რ ა ზ ე. ფიცროი გრძნობდა, რომ თუ დაიძვროდა, ფეხები უცნაურად, უთავბოლოდ აუკანკალდებოდნენ და რომ ტილლმა მართალი თქვა მაშინ, თხით ბობღვაზე რომ ლაპარაკობდა. შეეშინდა, თითქოს მშრალი თოვლი შეისუნთქა, სუნთქვა შეეკრა, ყველაფერს მიხვდა და თვალები დახუჭა. გული ყელთან მისცემდა, რომ ეგონა, ახლა თავის ადგილს დაუბრუნდა, ისე უხმოდ გაჰქონდა დუგადუგი, ფიცროიმ ხელი მიიშვირა ზედ: „გაიცინე, ფიცროი!“

მაგრამ საზეიმოდ ძალა აღარ შესწევდა. ფიცროი შეეცადა იძულებით გამოეწვია იგი, კბილებში მოკლე გინება გამოსცრა და ბუნდოვანი გაოცების მეტი არა უგრძნია რა. წინანდებურად, ისე ჰქონდა ჩაჭედილი ტვინში, დობი ჩამოკარდნილიყო კლდიდან და მის თვალწინ ძირს მიფრინავდა, მაგრამ ეს ზმანება ისე ელანდებოდა და უქრებოდა, შურისძიებით აღფრთოვანებას არ გვრიდა. ფიცროი კი დღემდე ამით ცოცხლობდა. მან თვალი გაახილა, სივრცით მოქანცულობას გრძნობდა, უხალისოდ გაჰხედა დობის ნაწერს. ახლა აღარ ღირდა მომავლის გაქვავებულ სიცარიელეში დაბრუნება. მაგრამ ფიცროის ეს აზრდაუტანებლად, ბუნდოვანი შეგრძნებით ესმოდა. ახლა აღარც თავი აღარდებდა, აღარც სხვა, აღარც უფსკრული, და, თითქოს ხელით ენიშნებინოს ვინმეს, ისე უყოყმანოდ გადაალაჯა, — უცებ მოეშვა ყველა სადავე და საწევი, მის სახეზე შემშრალ ცივ ღიმილზე ნათლად ეწერა: „სულ ერთიაო“.

ფიცროიმ უგულისყუროდ დაალტო ენით ისეთივე ფანქარი, რომლითაც დობს დაეწერა, ნაღვლიანად გაიღიმა, სიტყვა „შენზე“-ს უკანასკნელი, სიკვდილისაგან წართმეული ასო მიუმატა, და ქვემოთაც ასე მიაწერა: „ვფიქრობ და მიყვარხარ. და ვკვდები, რადგან ბოლომს ვატარებდი გულში“.

მერე არც მეტი, არც ნაკლები, ფრენის გრძნობა დაეუფლა და ამ გრძნობამ უფსკრულისაკენ უბიძგა სხეული. ფიცროი მოწყდა კლდეს და წამიერად ჩაქროლებულ სიცარიელეში იწყო ჩაფლვა, — წყვდიადში, ასე ულმობლად რომ მიისწრაფვოდა ქვემოთკენ და უფრო და უფრო ღრმად რომ მალავდა თავის ნამდვილ სახეს. ფიცროის მასზე მიტყორცნილი ჰაერის ტალღა სცემდა და არხევდა. „ვაითუ აღარ დასრულდეს?“ — გაუელვა და სულიც განუტევა. სხეულმა მისმა მიაღწია უკანასკნელ ზღვარს, ჩვენთვის უცნობს, მარად უძიროს, სადაც დობი ელოდა.

□

# ჟაკ პრევერი

## ლექსები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრანგულიდან

თარგმნა მანანა გოგოლაშვილმა

* *

მე დავიბადე დედაჩემის ტკივილთან ერთად,
მე დავიბადე ცივ ზამთარში, თებერვლის ღამეს,
თუმცა სიცოცხლე გაზაფხულის თვეებმა მომცა,
იმ მშვენიერმა გაზაფხულის თბილმა თვეებმა,
როცა
დაინთო დიდი ცეცხლი, დიდი სინათლე,
და სიცოცხლის მზე აბრიალდა მშობელთა შორის
და მე დავიწყე არსებობა მათ სიყვარულში.
პატარა სხეულს გადმომისხეს მდუღარე სისხლი,
სისხლი კი არა, უძველესი, უკვდავი ღვინო.
არა სარდაფის, უკვდავების ღვინო ნამდვილი.
. . . . . . . . . . . . .
გავლიან წლები და გავქრები ისე ადვილად,
როგორც ისინი ადვილად გაქრნენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სამაისო სიმღერა

ვირი, მეფე და პოეტი,
ალბათ მოვკვდებით ხვალე:
ვირი შიმშილით მოკვდება,
მეფე მოკვდება მოწყენით,
მე სიყვარული დამღლევს.

დღეთა დაფაზე ჩვენს სახელს
დაწერს თითები ცარცის,
მერე ძლევების შრიალით
ხმამაღლა იტყვის ნიავი —
ვირი, მეფე და კაცი.

ჩვენი სახელი იშლება,
სხვა ყველაფერი დარჩება,
ვარდის კვირტები დაჩნდება,
სამთვრის წყარო გაჩნდება,
მზე ღრუბლით გადალურჯული,
ქვიშის საათის ჩურჩული,
მოწაფეების გზა
და უამრავი სხვა.

ვირსაც, მეფესაც, პოეტსაც
სიკვდილის შიში გვბორგავს.
ვირი შიმშილით მოკვდება,
მეფე მოკვდება მოწყენით,
ამ აყვავებულ მაისში
მე სიყვარული მომკლავს.

ასეა წუთისოფელი —
ცხოვრება ალუბალია,
სიკვდილი მისი კურკაა,
სიყვარული კი ხე არის,
ხე სუყველაფრის მშობელი.

□

# ერვე ბაზენი

## მეხსიერებადაკარგული კაცის მოგონებანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოთხრობა

ფრანგულიდან თარგმნა მამუკა ცეცხლაძემ

წელს, ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის დღეებში, მშვიდობის დაცვისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო ლენინური პრემია მიენიჭა ფრანგ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ერვე ბაზენს. ამასთან დაკავშირებით მკითხველს ვთავაზობთ მის ერთ მოთხრობას.

სამი „ავე მარიათი" ზარი ანგარიშით რომ გაასწორა, ქალბატონმა ლაგრიფულმა პირჯვარის ნიშნად ჯერ მარცხენა მხარში იტაკა სამი თითი, მერე მარჯვენაში, ჩაიცუცქა და შეუტია ისევ იმ მისი ლოცვით სავსე ბაბუაწვერას, ყოველ ცისმარე წელს რომ წამოჰყოფდა ხოლმე გამწვანებულ თავს ფილებს შორის გაჩენილ პატარ-პატარა ნაპრალებში და სასაფლაოს სიმარისებურ სიჩუმეში ჯიუტად რეკდა ჰაერში სით. ქალბატონი ლაგრიფული კრიზანთემით — მეტწილად თეთრი კრიზანთემით — მიაგებდა ხოლმე პატივს საოჯახო საფლავს, სადაც მისი მშობლები და ქმარი განისვენებდნენ. აი ამ საფლავთან კი — თუ ამას საფლავი ეთქმოდა, — სადაც არ განისვენებდა მისი მეუღლე, რადგან საფლავის ქვაზე ასეთი წარწერა იყო ამოკვეთილი: „უგზოუკვლოდ დაკარგული საყვარელი ადამიანის მოსაგონრად" და სადაც ეულად თავად დაიკრძალებოდა მარტო, ისევე როგორც მარტოკამ იცხოვრა მთელი ეს წლები, ქალბატონ ლაგრიფულის ყვავილები არასოდეს მიუტანია. ეგ იყო მხოლოდ, საფლავს არ ამშვენებდა სიახლოვეს, ორი თითის წვერით გლეჯდა ხოლმე ყოველ წელიწადს ბაბუაწვერას.

ახლაც, მორჩა თუ არა ამ საქმეს, წამოდგა, ხელზე კვლავ წამოიცვა თავისი თეთრი ხელთათმანები და საათს დახედა. თორმეტს თხუთმეტი წუთი აკლდა. ხრეშმა ოდნავ გაიხრჭიალა ქალბატონი ლაგრიფულის ფეხქვეშ. თავაწეული, მაგრამ ცოტა არ იყოს მღელვარე მოწიწებით გაეცალა იქაურობას. ირგვლივ, როგორც ყოველთვის, ხალხი ირეოდა — დაფუსფუსებდნენ თავიანთ საფლავებთან. ფეხაკრეფით მიჰყვებოდნენ თავიანთ მკვდრებს, ცდილობდნენ უხმაუროდ ემოძრავათ და კეთილმოწყობილებული აპარტამენტების მსგავსად ერთობ ღირსეულად ანიცვლებდნენ ნაბიჯს ბრიყმწოვარალ გზაზე. აქა-იქ იყვნენ ამგვარი მოყვარულნიც. ამ ულამაზეს ნოემბერთან[1] რომ სიკვდილობდნენ და ლანდა. უფრო კი მოიისფერო ლურსმნების შუქში ხამხარ კიპარისებს შორის მიიწევდნენ ნება-ნება. თავისი პირველი ქმრის საფლავიდან, — ამა ღვთის რომ გამიგონია შემცდარი! — მიტოვებული მეორის მერე — რომელიც მემკვიდრეთ ყველა ღირსებით შემკული კაცი იყო — ქალბატონი შადიუ, ყოფილი ქალბატონი პრივენი და ყოფილი კოლეილი ქალიშვილობაში — მეფრინის ქალი, პირთამდე ქვი-

1 ყველა წმინდის დღესასწაული საფრანგეთში ამ დღეს საფლავზე ვადიან.

ში სავსე ლარნაკში პლასტმასის ყოვლად უგვანო ტიტებს ტენიდა. ქალბატონმა ლაგრიუელმა მას მხოლოდ ნიკაპი გაუტოკა სალამის ნიშნად. ცოტა მოშორებით ბატონ განს, ბიბლიოთეკარის თანაშემწეს, ორი უშველებელი კალათით გეორგინები მოეტანა და ფლორალიებისთვის[1] აბაზირებული მებაღე-ხელოვანის გულმოდგინებით თითო-თითოდ აწყობდა კარგ თექვსმეტი წლის წინათ, იმ თავისი საძაგელი ავადმყოფობით — ეს ყველამ იცის! — გარდაცვლილი ქალბატონი განის საფლავზე. ქალბატონი ლაგრიუელი ბატონ განსაც მიესალმა, მაგრამ თავისთვის გაიფიქრა: ამას კი უკვე მეტისმეტი მოსვლია. ყველაფერში ზომიერებაა საჭირო, ტრადიციული სინანული და ორიოდე წყება საფლავის ქვაზე წარწერილი სიტყვები და ასე ხანგრძლივად ამ შესამოსელის ტარება, თუ უკაცრავად არ ვიყო, ფარისევლობას ჩამოგავს. ვინ-ვინდა ქალბატონმა ლაგრიუელმა კი იცოდა ეს.

დიდ ჭიშკარში რომ გამოდიოდა, ანაზდად მთელი ტანით შეიგრძნო ეს საწუხარო გამოცდილება. უკვე კარგა ოცდაორი წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც იგი ყოველ პირველ ნოემბერს მუხლს იყრიდა ამ ცარიელ საფლავთან. შორს აღარ იყო ის დღე, როცა უგზოუკვლოდ დაკარგული პირის დავიწყების უფლება[2] ყველაზე საწუხარი უფლებათაგან — საბოლოოდ მიაკუთვნებს ხოლმე მემკვიდრეებს მის დანატოვარს. ქალბატონმა ლაგრიუელმა ფეხს აუჩქარა, სიმხიარულე შემატა იმის გაფიქრებამ, რომ სულ რაღაც რამდენიმე თვეში, ამ გაუთავებელი ფორმალობისაგან მაინც განთავისუფლდებოდა, თავისი გაორებული მდგომარეობისაგან თუ არა. „ნოტარიუსს უნდა დავურეკო", — გაიფიქრა ბოლოს, ვიდრე იმ რამდენიმე მეტრსაც გაივლიდა, თავისი წაბლისფერი „ფრეგატისაგან" რომ აშორებდა. წაბლისფერი მისი კოსტუმის ფერი იყო, საბურავები კი მანქანას თეთრი ჰქონდა, გაქათქათებული, როგორც მისი საყელო და სამაჯურები. კარი უცებ, მოწყვეტით გამოაღო და მძღოლს შინაურულად მიუჯდა გვერდით. მისი აზრით ასეთი მოპყრობა კარგ გავლენას ახდენდა მოსამსახურეებზე:

— შინისაკენ, ჟორჟ! — ზედ არ შეუხედავს, მაგრამ არც ხმა აუმაღლებია, ისე წარმოთქვა ეს სიტყვები.

თუმცა ხმის ამაღლება არც შეეძლო. ეს შუა ხმა, არც დაბალი რომ იყო და არც მაღალი, მუდამ ზედაპირზე რომ ლივლივებდა და მსმენელზე ყოველთვის დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა, ზოგჯერ პატარა ღიღინსაც გაირევდა ხოლმე და სასაფლაოდან გამოსულისა, ყოველ წელიწადს ბამბასავით მსუბუქი და ფაფუკი ხდებოდა. ერთია ხსოვნა, განუსჯელად რომ ინახავს მხოლოდ ამა თუ იმ ამბავს ან მოვლენას, მეორეა მოგონება, რომელსაც ისე არ შეუძლია ამავე ამბების გახსენება, თუ ხელმეორედ არ განიცადა ყოველივე. კიდევ კარგი, ადამიანი ისეა მოწყობილი, რომ ცუდს უფრო ეგუება. ხშირად სწორედ ის მოგიღებს ბოლოს, რასაც ფლობდი. ანგარიშში არ გამოდის, ჯამი თავდაყირა დგება. გავიწყდება უცებ, რას ნიშნავს საყოველთაო პატივი და დიდება — შენი, შენ მიერვე მოპოვებული ადგილი საზოგადოებაში; გავიწყდება, რა მკაცრად ექცეოდი საკუთარ თავს, რათა გემრავლებინა მემკვიდრეობით მიღებული ქონება სრულიად მარტოხელა ქალს, ვისაც, კაცმა რომ თქვას, ათასი გასამართლებელი საბუთი გაგაჩნდა — ახალგაზრდობა, საქმეში ჩაუხედაობა, სიხარბე კონკურენტებისა, არას დიდებით რომ არ უნდოდათ შენთვისაც მოეხადათ ქუდი, შენკენაც გამოეხედათ იმ ფრთხილი და უნდო გამოხედვით, მათის მხრივ რომ უმდაბლესი თაყვანისცემის ნიშანიც არის. დიახ, გავიწყდება ყოველივე ეს ერთი საათით და მარტო იმაზედა ფიქრობ, თუ რა დაგიჯდა ეს გამარჯვება, ფიქრობ ოცდარვა წლის მარტოობაზე, გულისგამაწვრილებელ ავტორიტეტზე, მრავალგზის უარყოფილ, ერთიმეორეზე უკეთეს ბედ-იღბალზე, ჩვეულებრივ ქალურ ყოფაზე, იმ უსაზღვრო მადლზე, ჩვენს სიცოცხლეში რომ დაახლოებით იგივეა, რაც ცოდვების მონანიებაა ჩვენს სიკვდილში.

უცებ, თითქოს ბუზი მოიგერიაო, ისე გაიქნია ხელი ქალბატონმა ლაგრიუელმა. მძღოლი, ამ მანძილის გავლისას ყოველთვის მიღებული სიჩქარის ერთგული რომ რჩებოდა, გააკვირვა მისი ხელის ამ უჩვეულო მოძრაობამ. უეჭველი იყო, პატრონს თავისი ყოველწლიური უქეიფობის კვირა ეწყებოდა. წარსული კვირა, ნაძვის ხის კურსის უეცარი დაცემით რომ იყო მოშხამული, ამ კვირასთან, ჩანდა, მონაგონი იქნებოდა. მისი გუნება-განწყობილება რომ მოესინჯა, მძღოლი ფრთხილად დააწვა აქსელერატორს, მაგრამ ქალბატონ ლაგრიუელს მისთვის

---

[1] ყვავილების ქალღმერთის — ფლორას დღესასწაული. განსაკუთრებით იმართებოდა რომში.

[2] უგზოუკვლოდ დაკარგულ პირთა ქონების მემკვიდრეებისათვის საბოლოოდ გადაცემის ვადა საფრანგეთში 30 წელიწადია.

არავითარი ყურადღება არ მიუქცევია, არ უთქვამს თავისი ტრადიციული: „ორმოცით, ჟორჟ!“ პირმოკუმული და თვალებმოჭუტული ქალბატონი ლაგრიუელის მკერდი გამალებით ადი-ჩადიოდა, ის უკვე ოცდამეორედ ცდილობდა ბოლომდე ჩასწვდომოდა „საქმის“ ვითარებას. ვითომ მართლა ასე კარგი იყო ეს ლამაზი ოჯახი, დღეს რომ აღარავის ახსოვს? ვითომ მართლა ასე ძალიან გაზიარდა საცოდავი ანრის დაკარგვა, კაცმა არ იცის, რა შემთხვევის წყალობით შეუძლია შეჯერებლად? იქნებ სასოწარკვეთილებამ, რაიც საშინელმა სისაძაგლემ გამოიწვია — იმსხვერპლა, რომ უარი ეთქვა ოჯახურ კერაზე, იძულებული გახადა, რაღაც არ უნდა დასჯდომოდა, განთავისუფლებულიყო ამ სისაძაგლისაგან. მეორე ცხოვრებით?.. თვითმკვლელობით?.. თავის დროზე ვითომ მართლა ასე გულდასმით აწონ-დაწონეს ყოველივე საეჭვო და უეჭველი, რათა უტყუარად დაედგინათ ამდგვარი მსხვერპლის ვინაობა? ასე იყო თუ ისე, „საცოდავი“ მაინც, მეტი რომ არა ვთქვათ: ძალიან გაუფრთხილებლად მოიქცა, გაუფრთხილებლობაც არის და გაუფრთხილებლობაც! არ გინდა მოახერხო, დღისით, მზისით, ამ გაქანებულ მეოცე საუკუნეში, ამდენი ქაღალდების, შემოწმებისა და შემმოწმებლის ხელში, ვიზების, ფოტოების, თითის ანაბეჭდებისა და რა ვიცი, კიდევ მილიონ სხვა მონაცემის მიუხედავად ისე გაქრე ამ ქვეყნიდან, რომ ვერავითარმა პოლიციამ ვეღარ მიაგნოს შენს კვალს? როგორი წერილები გაზეთებში? „გასულ კვირას, მონრეალში, მას შემდეგ, რაც ყველა თავისი საქმე გაარიგა და პარიზში დასაბრუნებელი ბილეთი უკვე ჯიბეში ედო, „გაუჩინარდა“, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ცნობილი ფრანგი ნეგოციანტი ანრი ლაგრიუელი“.

— მანქანა დავაყენო, ქალბატონო? — იკითხა მძღოლმა.

— კი... დააყენე, დააყენე... დღეს არსად არ წავალ! — გამოერკვა უცებ ქალბატონი ლაგრიუელი და გაოცებულმა, როდის გავიარეთ ნეტა კარკასონიო, თვალი მიაპყრო ქუჩის ბოლოს მაღალი კედლების, კოშკებისა და საგუშაგოების თვალწარმტაც ანსამბლს, დიდხანს რომ ემსახურა ფოსტის ცხენებს სადგურად და სადგომად და ახლა, აგერ მალე ერთი საუკუნე იქნებოდა ხელ-ტყუილ საწყობად იყენებდნენ. კომპანიის მანქანებით დღისით ღამემდე ამუშავებდნენ და აქედან უგზავნიდნენ მუშტარს ხე-მასალას.

მანქანამ სვლა შეანელა და ქარხნის ზორაკლის, ერთი დიდი შენობასთან გაჩერდა. შენობის ფასადს ჯერ კიდევ ამშვენებდა ქვაში ნაკვეთი მედალიონი ცხენის გამოსახულებით. ამ სახლში ოდესღაც მეეტლეები ათევდნენ ღამეს, მეორე იმპერიის დამდეგს კი იგი კერძო ბინად გადაკეთდა. ქალბატონმა ლაგრიუელმა, ხელთათმანებს რომ იხდიდა, მისდა უნებურად მაღლა აიხედა ოქროს წარწერის გვერდით — „ლაგრიუელი და ს-ი (ძ.)“ — რომელიც სანახევროდ უკვე დაეფარა კედელზე შეცოცებულ სუროს, ახალი, სულ ამ ერთი თვის წინათ, თავმჯდომარე-განმკარგულებლის განკარგულებით გამოკრული აბრა ბრჭყვიალებდა: „თანამედროვე საშენი მასალა — ხე, რკინა და ცემენტი“. გაცდიმა: დაუძახე შენ ანას დედაკაცის ხელში გადასული მეპატრონეობა! ცალი თვალით რომ ჩამოახედა ახლა აქ ანრი ლაგრიუელს, რას იტყოდა ნეტავ? ვერ იცნობდა ალბათ აქაურობას: ყველაფერი შეცვლილია ირგვლივ — მომწოდებელიც სხვაა და მუშტარიც, მასალაც და მისი დამუშავების წესიც. ასე იყო, არაფერს არ ეპუებოდა ქალბატონი თავმჯდომარე — არც ზოგიერთი ხის გადაგვარებას შეუშინებია, არც ტროპიკული ჯიშების მოზიდვისას, არც რკინა-ბეტონისათვის ცეცხლის საჭირო, ფოლადის კურსის შეუნელებელ ზრდას, ყოველთვის და ყველაფერში ცდილობდა სიმხნევე არ დაეკარგა და გარემოების ბატონ-პატრონი თავად ყოფილიყო. ჰოდა, როგორც იტყვიან, გაუძლო კიდეც ცხოვრების დაწოლას, გაიმარჯვა.

— თავისუფალი ხართ, ჟორჟ! — გადმოვიდა ქალბატონი ლაგრიუელი მანქანიდან. გასაღები ამოიღო, კარს ოდნავ მიაწვა და მისაღებში რომ აღმოჩნდა, იმწამსვე ხრაკის სუნი ეცა ცხვირში. ხორცი დასწვიათ, მოახლე გოგოს კი ამჯერადაც ღიად დაუტოვებია სამზარეულოს კარი.

— მარი-ჟოზეფ! — მწყრალად, მაგრამ ხმადაბლა დაუძახა მოახლეს ქალბატონმა ლაგრიუელმა.

სამჯერ — ეს უნდოდა ახლა?! — სამჯერ მოუხდა დაძახება. მესამეჯერ რომ დაუძახა, უკვე ყვირილს არაფერი უკლდა და კაი გვარიანი მუქარაც გაისმა მის ხმაში. როგორც იქნა, გაიგონა. მარი-ჟოზეფი მაღლიდან, — არაფერი რომ არ ესაქმებოდა იქ, — სხვენში გამავალი კიბიდან გამოეპასუხა შეშინებული. სახასხეპით ისროდა სიტყვებს, თითქოს ესაა, სახლი იწვებაო:

— ქალბატონო! ქალბატონო! ჩვენ აქა ვართ...

— რაო? ვინ თქვენ? — ქალბატონი ლაგრიუელის ხმაში, როგორც ყოველთვის, შეშფოთებაც იგრძნობოდა, ხუმრობის წადილიც და საკუთარ ღირსებაზე ზრუნვაც. მაინც, ცოტა არ

იყოს შეწუხებული ოჯახი კიბეს. სულ ბოლო საფეხურს რომ მიაღწია, კნაჭა მარი-ჟოზეფმა, ათივე თითი რომ ჩაფრენოდა მოაჯირს, ყურში ჩასჩურჩულა:

— ქალბატონო, ქალბატონო! ის ციდილ ბატონი მოვიდა... თუ მორი... [illegible] სხვენში გელოდებათ. ათი წუთი იქნება უკვე, იქ არის და...

— სასტუმრო ოთახში ვერ შეიყვანეთ? — მშვიდად იკითხა ქალბატონმა [illegible].

— შევიყვანე, ქალბატონო, როგორ არ შევიყვანე, მაგრამ არ გაჩერდა [illegible] რომ გავბრუნდი, ცხადად გავიგონე მისი ფეხის ხმა, კიბეზე ამოდიოდა. ვიფიქრე, სამზარეულოში თუ ეძებს-მეთქი და გამოვედი ფეხზე, რა გნებავთ ბატონო-მეთქი... რა მიპასუხა იცით? მე აქ უცნაური ვარ, სად რა არის, ქალბატონს გადაეცით, ვარსკვლავის ქვეშ დაველოდები.

— ვარსკვლავის ქვეშო? — წამოიძახა ქალბატონმა ლაგრანჟმა — შინაური... როგორია იქვე, ბიჭო?.. მორი... არა, არ ვიცი. ადამიანის გვარის დამახსოვრებას რა უნდა, ამასაც რომ ვერ მოახერხებს ქალი! წადით, თქვენს ხელსაქმეს მიხედეთ, სანამ სულ არ ჩამოხშობილხართ!

კაბის ერთი აწევით [illegible] და მარი-ჟოზეფი უკვე კიბის მეორე ბოლოში მიირბინებოდა. მოხუცი [illegible] ყველა ქალს ხნიერობა [illegible] და მძიმე, [illegible] ლარსენის მუშ-ნაწილით [illegible] ნაბიჯებით გაუყვა გზას ქერიდოს გასწვრივ გამავალ ბნელ დერეფანში, მერე კიბეზე კიდევ რამდენიმე საფეხურით აიარა მაღლა, თავის საძინებელ [illegible] მიუახლოვდა და სხვენში გადავიდა. სხვენი კი არა, ნამდვილი სამყარო სარკმელი იყო — თავისი დაბალი ჭერით, სარკმლებზე აფარებული ასწლოვანი ბინდბუნდით, კუთხეებში გახვეული [illegible] ფართო დროში გამხმარი ხავსის [illegible] [illegible] კედლებზე ეკიდა ჩარჩოებში ჩასმული [illegible] ერთი კაცის მერიქიფე, [illegible] მაქმანი ლარ[illegible] სკივრზე იყო დაწყობილი [illegible] ... თავის დროზე [illegible] რომ ყოფილა და ზაფხულის [illegible] გასაფენად [illegible], ახლა კი [illegible] სამკლავურები ხაზი თვალ, [illegible]. ქალბატონმა ლაგრანჟმა სხვენი გაიარა, კიდევ ერთხელ გადაიარა სიბნელე და თავისი [illegible] სარკმლიდან სახურავზე გადაიხედა. აქედან უკვე მეორე სხვენი იწყებოდა, უფრო [illegible], [illegible]. [illegible] სხვენი იყო ეს, ნახევრად დაშლილი ხე-ტილანის საწყობად [illegible] და ფეხის ხმა [illegible] ამიტომ შიგ. იქ მეტრში კი, ძველის [illegible] ქვეშ, სახურავის კედელზე — ერთ გადახურულზე, იწვენ მაღლა. აქედან იწყებოდა [illegible] ხარისხებისა და ამ საფეხურზე სიწყნარე დაწყობილი, [illegible] ლამფების [illegible], ეზარებოდა ძველის ვარსკვლავისაკენ რომ მიემართებოდა და ამავე დროს შემაღლებული ნაწილიც იყო მისი. სუროთი [illegible] საფუძვლის რომელიღაც [illegible] ამ შენობისა, [illegible] საძირკველზე რომ იდგა და ამავე საკრეფებით [illegible] გაწელვებულ ოთხ ორლუ[illegible] იყო მიმაგრებული, ამ სახლის ემბლემას წარმოადგენდა და ქალბატონი ლაგრანჟის სახლეულ კედელზე იყო გამოსახული.

ქალბატონი ლაგრანჟი წამით გაუშტერდა ერთ ადგილზე. თქმა არ უნდა, ვერც ათი წლის წინათ ისე უცნაურად გასარჩევი ხის ეს ერთადერთი განათებული ნაგებობა და ვერც ამ [illegible] ქმნილების საფარქვეშ მოქცეული [illegible], ჯერ კიდევ ნახევრად [illegible] ხე-მასალა ვერ მიიპყრობდა მის ყურადღებას. [illegible] უკვე კარგა ხნის შეჩვეული იყო მისი თვალი. ქალბატონ ლაგრანჟს ამ ბინდბუნდში თვალებს სულ სხვა რამე ელანდებოდა... უნდოდა, შორიდანვე დაეძახა „ის კაცი“, გული მისცემოდა მის [illegible], [illegible] მისი [illegible] მეზობელი იქვეყნიურ მხოლოდ მთელი კვირა [illegible] არ ჩამოდიოდნენ და ბოლოს მაინცდამაინც კვირაობით [illegible] ხოლმე [illegible] [illegible] მოთხრობების [illegible]. ყველგან და ყველაფერში [illegible] [illegible] და [illegible] „არ იქნება — კი იქნება“ [illegible] ერთ [illegible] [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] ერთიანს თვალები სიბნელეში ქალბატონმა ლაგრანჟმა, [illegible] და ბოლოს [illegible] შეიქმა [illegible] [illegible] ადგილზე. არც ახლა [illegible], [illegible]-მოიხედა, ჩაიცუცქა და ცალ მუხლზე წამოიწყო საუბარი:

— ხომ არ ანგრევთ...

— აქა ვარ, აქა ვარ, ძვირფასო ჩემოვ! — გაისმა [illegible] ხმა.

ქალბატონ ლაგრანჟს გული გადაუქანდა მოულოდნელობისგან. ხმა ძველი სამტრედედან მოდიოდა. ეს იყო თავისებური როტონდა, სახუროვანი და სახურავს ზემოთ, კედლის ქვეშ რომ იყო მოქცეული და ვიწრო [illegible] უკავშირდებოდა სახლის ფანჯრებს ნა-

წილს, ათასში ერთხელ, სახურავის შესაკეთებლად, ან სათოთხმეტივლისოდ[1] მეზობრიდზე დროშის გამოსაკიდებლად თუ აგზავნიდნენ ვინმეს იქ, თორემ ისე, კაი ხანი იყო უკვე, არარავის ახსოვდა ეს კიბე.

— სწორია... ყველაფერი სწორია... აი, ზუსტად აქ... — ლაპარაკობდა ჩალიცეს თავისთვის უცნობი.

სიბნელეში — ამ ადგილას თითქმის სულ არ აღწევდა დღის სინათლე — ქალბატონმა ლაგრიოელმა ჯერ ორი ფეხი გაარჩია კიბეზე ჩამომდგარი კაცისა, მერე — ზურგი და კეფა, საგულდაგულოდ დავარცხნილ-გაპრიალებული. შიშმა იტანა უცებ. ახირებულმა სტუმარმა ლაგრიოელის სახლის ბიჭების ძველი ჩვეულება გაახსენა, აი ორმოცი წლის წინათ, ჭოგრიტებით შეიარაღებულნი რომ ამოდიოდნენ ხოლმე აქ, ჭანდარაზე, თავიანთ სათვალთვალო კოშკში და შორიახლოს მდებარე გოგონათა სასწავლებელში ტანვარჯიშის გაკვეთილებს ადევნებდნენ თვალს.

ამასობაში უცნობმა ბოლო საფეხურიც ჩაიარა და მძიმედ დაეშვა იატაკზე თავისი კა-[illegible] ფეხსაცმელებით. თავი მხრებში ჩარგო, თითქოს ეშინოდა, არ დაანახვებოდა ან თავად არ დაენახა ის შემზარავი თვალები მას რომ მიშტერებოდნენ. არ შემოტრიალებულა, ისე წაიბუტბუტა:

— უკაცრავად, მაგრამ მე ყველაფერი [illegible]... ღმერთო შემიწყალე. თქვენ ხომ ბატონი ლაგრიოელი ბრძანდებით? ქალიშვილობაში სოლანჟი, არა?

— ქალიშვილობაში სოლანჟი, დიახ, — მძიმედ მიუგო ქალბატონმა ლაგრიოელმა და ცდილობდა თავაზიანობის საზღვარს არ გადასულიყო. — მეც ბოლოში ვხედი, ბატონო, რომ გეცოდინებათ... სასადილოში გაბრძანდით.

— თქვენი სასადილოს სადილებზე, [illegible] მითხრა.

კაცს [illegible] ნერვიულად [illegible], უცებ შემოტრიალდა. ქალბატონ ლაგრიოელს [illegible] დაღლილობილი იყო, წარმოუდგენელი. მკვდარი [illegible] რომ [illegible] გადგონება, არადა, ეს მელოტი კაცი, თავისი მამამთილი, თვალის უპეები ჯიბეებივით რომ ეკიდა და მომჩვარულ ლოყებს [illegible] წვერი ფარავდა, ნამდვილად დიდი ხნის დამარხული ჩანდა. [illegible] რომ მეტყობა. დარწმუნებული იყო, რომ ამ კაცის სახელი, ჯერ კიდევ ცოცხლებში ჩაწერილი ანრის სახელის გვერდით იკითხებოდა ბატონი მლასის ლოდსაფლავზე და სულ მალე ელოდა იმ დღეს, როდესაც უფროსი ლაგრიოელის ამოვარდნილ ანრის ნაცვლად მას წაუკითხავდნენ.

— ვერ მიცანით? — ჩურჩულით იკითხა სტუმარმა.

— ვერა, — გამოსცრა კბილებში ქალბატონმა ლაგრიოელმა და კიდევ ერთი ნაბიჯით დაიხია უკან.

კაცი დაბნეული ჩანდა, [illegible] და გულდაწყვეტილი. ამ ჩასუქებული, მამაკაცური გარეგნობის ქალის შეხედვაზე, კიდევ უფრო მოიკუნტა და ერთიანად შეიმალა თავის ნაცრისფერ კოსტიუმში. [illegible] შეეხებოდა ამ ქალს იმ ახალგაზრდა ქალისა, ვისაც [illegible] სასტუმრო ოთახში [illegible] კედლებზე, არა, კაცმა რომ თქვას, [illegible] არასოდეს ყოფილა, ერთი ჩვეულებრივი გოგო იყო, მაგრამ...

— დიახ, ნაცნობებით... — ამოიხვნეშა კაცმა. — მეც გამიჭირდა თქვენი ცნობა.

კიდევ კარგი, ქალბატონი ლაგრიოელი [illegible] გამოშვერილი და იმას მიეყრდნო, თორემ წონასწორობას ვერ დაიცავდა ალბათ. საოცარია, მაგრამ ყველაზე უფრო [illegible] და [illegible] მაინც ეს შეურაცხყოფა შეიქმნა მისთვის. საკუთარი ყურით მოისმინა, [illegible] რომ [illegible] შენს ყმაწვილქალობასთან! [illegible] რა [illegible] ქალისთვის? [illegible] და სწორედ მაშინ, როცა [illegible]! [illegible] ისე გამოდიოდა, რომ თვითონვე გამოსტყუა კაცს ეს შეურაცხყოფა. [illegible] აზრი აღარ ჰქონდა — მკვდარი თუ არ უნახავს [illegible], დაკარგულის დაბრუნება ხომ უნახავთ?! მხოლოდ შვილი თუ [illegible] თავის [illegible] მამას. ასეა, დაიკარგება კაცი ერთ მშვენიერ დღეს, მერე — დიდი ხნის მერე — ისევე მოულოდნელად ბრუნდება შინ, როგორც მოულოდნელად გაუჩინარდა თავის დროზე და თავისივე თაობის ადამიანთა თვალში წინანდელივით გამოიყურება. [illegible], კაცმა რომ თქვას, აქ არაფერი იყო, გაუგებარი ის იყო მხო-

[1] თოთხმეტი ივლისი, ბასტილიის აღების დღე — საფრანგეთის უდიდესი ეროვნული დღესასწაული.

ლოდ, რად გადაიკარგა ამდენი ხნით, ან რად გამოჩნდა ასე მოულოდნელად ამდენი ხნის მერე. მისი გამოჩენა ახლა ხომ ყოვლად შეუწყნარებელი ამბავი იყო, სრულიად დაუშვებელი. უკვე ყველა ვადა ამოწურული გახლდათ.

— მესმის, ყველაფერი მესმის... — დამნაშავე უძრავად იდგა ერთ ადგილზე, თავი ჩაექინდრა და იატაკს მიშტერებოდა.

ქალბატონ ლაგრიფულს უნდოდა ეყვირა, არაფერიც არ გესმითო, მაგრამ — ალბათ — შეიკავა თავი. გამალებული ფიქრობდა: არას დიდებით არ შეიძლებოდა, გაეცა თავი, ელაარებინა, რომ იცნო ეს პიროვნება, წარმოეთქვა მისი სახელი. უნდა გარუმპებულიყო, დაეცადა, თავად კაცი ელაპარაკებინა ჯერ, აუცილებლად უნდა დაეტოვებინა საკუთარი თავისათვის მხრების აჩეჩვის, ყვირილის, გულის წასვლის უფლება. ამ ვითარებაში სხვანაირად ნამდვილად ვერ მოიქცეოდა. ყველაფერი ისედაც ნათელი იყო. მეტიც — გულის სიღრმეში ეს კაცი ქალბატონ ლაგრიფულს სხვას არც არაფერს სთავაზობდა, ან კი რა უნდა შეეთავაზებინა ამ ლაჩარს, ლაჩრობაშიაც რომ იყო ბოლომდე სიმამაცე. ნეტავი რომ ბრძანდებოდა, ამისი ყველაზე უტყუარი საბუთი ხომ ისევ მისი დაბრუნება იყო! ქალბატონ ლაგრიფულს მსაჯულის როლი ხვდა წილად და სულიერი სიმტკიცე და ღეთილი იფარა. მაგრამ კაცმა ამ დროს ანაზდად თავი მაღლა ასწია, თვალი ერთ წერტილს გაუშტერა და ქოშად ალაპარაკდა:

— მე, რა თქმა უნდა, არ ველოდი შინცდამაინც გულითად შეხვედრას. თუ მართალია ის, რაც მე მგონია, რომ ვიცი, თქვენ თქვენი ხვედრის მომლოდინე არ უნდა ბრძანდებოდეთ და, საფიქრებელია, რომ ჩემს აქ გამოჩენას ახლა ურჩხულის გამოჩენა გერჩივნოთ, მაგრამ... მე რომ მართლა არაფერში არა ვარ დამნაშავე?.. მე ხომ უბედური შემთხვევის მსხვერპლი ვარ!

— უბედური შემთხვევის? — წამოსცდა ქალბატონ ლაგრიფულს თითქმის უნებლიეთ.

ამ წამოძახილით ყველაფერი ითქვა: მის გამოხედვაში დაცინვაც იგრძნობოდა, სიყვარულიც და ზიზღიც, ეჭვის საბურველში გახვეული. თვითონვე გაუკვირდა, წამოწითლდა კიდეც ცოტა არ იყოს ამის გამო, ძალიან უადგილოდ გამომივიდაო ნათქვამი. წარსულს გამოეყო კაცი, ოდესღაც რომ იყო და კანონისა და ღვთის წინაშე ახლაც მის ქმრად ითვლებოდა, ქალბატონ ლაგრიფულს კი სულ არაფერი არ იზიდავდა მისკენ, არც ერთი სიმი არ შეირხეოდა მის სულში, არც შებრალება, არც სინანული... არაფერი! ეს იყო მხოლოდ, რაღაც აუხსნელი და არგასაგები შიში, იმთავითვე რომ დაეუფლა, არ ტოვებდა მის გონებას, ეს შიში კიდევ უფრო უძლიერდებოდა ამ ერთიერთმანეთზე შეხორხლავებული ხარისხეობისა და ხარიხების შემყურეს. მაგრამ ამას უკვე კარგა ხნის შემდეგ გახლდათ, იქაურობის შიში მას ნათელი თავისი ცხოვრების გზაზე სიცოცხლე თან; თუმცა, ცხადია, თავის თავსაც არ უტყდებოდა და სხვასთან ხომ სულაც რად დასჭირდებოდა ამის გამხელა? ბერიკაცის თვალებში, აკანკალებული ქუთუთოების მიღმა, უცებ რაღაც ნაპერწკალმა იელვა:

— ძალიან გთხოვთ, ნერვიულობად ნუ... თავმჯდომარეობთ. მე აქ თავმჯდომარის სანახავად არ მოვსულვარ, ამ ქალბატონი ლაგრიფულის ნახვა მინდა, ქალბატონი ლაგრიფულისა, ვისაც, ღმერთმანი, არაფერი აქვს საგანგაშო და საშიშარი. ახლავე ყველაფერს აგიხსნით...

ქალბატონმა ლაგრიფულმა პირი დააღო, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს. უცნაურად, ძალიან უცნაურად უქცევდა ეს კაცი: გააკვირვა და იმედი ჩაუსახა გულში მისი გამოთქმის ამ თავისებურებამ: ინგლისური აქცენტი დაჰყვნილი იყო ხმაზე, რომელსაც ამდენი ხნის მერე დიდი ძალდატანებით თუ მიამსგავსებდით ანრისას. ბოლოს და ბოლოს რაღაცა მაინც ხომ უნდა შერჩენოდა მის გამოთქმას საფრანგეთული? ოცდაათი წლის თავზეც კი ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ასე ძირფესვიანად შეეცვალა კაცს კილო. „იყო ხალხი, — გაიფიქრა ქალბატონმა ლაგრიფულმა, — ნორმანდიის ბუნებრივ გერმანულ გამოთქმას რომ თავგანს სცემდა, აქაოდა, რაც არის, ეს არისო, არაფერს არ თამაშობს და არ ცდილობს დამალოს თავისი ხანგრძლივი გადასახლების შედეგებიო. არა, ბატონო, ჩვენ არა ვართ ასეთი არიფები! ესეც არ იყოს, ანრის ხომ წაბლისფერი პალტო ეცვა მაშინ, სახლიდან რომ გავიდა, — ეს ისე კარგად მახსოვს, რომ... არ ვიცი! — ეს ცისფერი პალტო საიდან გაჩნდა?“

— ახლავე ყველაფერს აგიხსნით... — გაიმეორა ბერიკაცმა — ეჭვი ნუ გაქვთ, მე ვარ, ნამდვილად მე ვარ...

ყველაფერი ხდებოდა, პირუტყვე! დაუბრკოლებლად კითხულობდა მის ფიქრებს. არა, რაღა თქმა უნდა, ამ ხნის განმავლობაში ჩრჩილი ბარემ პალტოს შეუჭამდა, აშკარა იყო, ამ არგუმენტზე ხელი უნდა აეღო. მაგრამ აი, ის ნაიარევი რაღა იყო შუბლზე, ცოლზე უკეთ ვინ შეიძლება იცოდეს, ჰქონდა თუ არა ანრი ლაგრიფულს შუბლზე ნაიარევი? მასზე უკეთ ვინ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ

შეიძლება იცოდეს, როგორი ბეჭედი მიართვა თავის დანიშნულს მართ სოლანტმა? სად იყო ის ბეჭედი? თუმცა ისიც მართალი იყო, რომ სამკაულის დაკარგვა ისევე იოლია, როგორც ნაიარევის შეძენა. ვეღარ გაართვა თავი ეჭვებს ქალბატონმა ლაგრიფულმა, მაგრამ მაინც თავისაზე მაგრად დადგომა ირჩია. მუცელზე დაიწყო ხელები და კვლავ ის შეუვალი გამომეტყველება იქონია, თავისი მოწაფეებისათვის რომ ჰქონდა ერთხელ და სამუდამოდ შემუშავებული და დაკანონებული. ასაცილოდ ხომ არ ავლებინებდა თავს ბოლოს და ბოლოს ამ აბეზარ აჩრდილს?! ილაპარაკოსო, გადაწყვიტა, დასცალოს ერთი თავისი გულდა, ნახავთ, როგორ გასცემს თვითონვე საკუთარ თავსო.

— ხომ მაინც შეეხვდით ბოლოს ერთმანეთს, მარი... — წამოიწყო კვლავ კაცმა და რაღაც განსაკუთრებული სიფრთხილით წარმოსთქვა მისი სახელი, თითქოს სცდიდა, აბა, რა გამოვა აქედანო.

— ვინ მოგცათ უფლება! — წამოისროლა უცებ ქალბატონმა ლაგრიფულმა.

ეს უკანასკნელი გაბრძოლება იყო. აჩრდილმა ღიმილით გაუსწორა თვალი და ქალბატონ ლაგრიფულს ისღა დარჩა, რომ გაჩუმებულიყო. მაინც რისი თქმა უნდოდა ვითომ ამით? ვინ მოგცათ უფლება, ჩემს სახელს რომ ახსენებთ? ვინ მოგცათ უფლება, რომ ის ხართ, ვინც ხართ? ანუ ვინ მოგცათ უფლება, რომ ცოცხალი ხართ? ამ კაცმა კი არა, უმალ ქალბატონმა ლაგრიფულმა გასცა თავისი ფიქრები.

— ხელახლა უნდა შეეჩვიოთ ამას, რას იზამ... — თქვა ბერიკაცმა თბილად, მაგრამ აქედან მოყოლებული თანდათან უფრო თვითდაჯერებული ხდებოდა უკვე მისი ხმა.

ამის შემდეგ უკვე დამჯდარი ესაუბრებოდა ქალს, იქვე, ფიცრებზე ჩამოჯდა უბოდიშოდ, ასე კაცს მაშინ შეუძლია დაჯდეს ფეხზე მდგომი ქალის თანდასწრებით, როცა ეს ქალი მისი ცოლია. ყურების ცროცას ეყრდნობოდა ქალბატონი ლაგრიფული და ისე მოუტევდა თვალებს, უნდოდა უკეთ დაენახა ამ კაცის ყურები. ყური და თითის ანაბეჭდი ხომ არასოდეს იცვლება! მის მიჭყლეტილ ყურის ბიბილოებს აბა, რა დაავიწყებდა ქალბატონ ლაგრიფულს? ან კი მასაც რომ დავიწყნოდა, განა ეს ორი უეჭველი საბუთი არ იქნებოდა ჩაკერებული საპასპორტო სამსახურის არქივებში და სამხედრო საქმის დავთრებში? ამის განადგურება ხომ ძალიან შეუძლებელი იყო. არა, ვერ გამომიცნობენო, ამისი არ უნდა შეშინებოდა ამ მართლა უმსგავსო პიროვნებას, წინა უბედურება ის გახლავთ, რომ ამდენი ხნის განმავლობაში თავად ჰქონდა დამკვიდრებული განადგურებული კაცის სახელი. მართლაცდა, აბა, რა ფასი უნდა ჰქონოდა იმ ადამიანის სიცოცხლეს, ვისი არსებობაც ასე უეჭველად საეჭვო იყო და ვისი სიკვდილიც მხოლოდღა განამტკიცებდა ამ რწმენადქცეულ ეჭვს? ამას რომ ფიქრობდა, ქალბატონმა ლაგრიფულმა უცებ იგრძნო, რომ წითლდებოდა — ისევ მიუხვდნენ, ისევ გამოიცნეს მისი ფიქრები:

— განსაცვიფრებელი ამბავია სწორედ, ცხოვრობ შენივე ცხოვრებით შენს მერე! პირველი ცხოვრება თუ მქონდა, არ მგონია, ისე ბუნდოვანია ყველაფერი და არანამდვილი, რაც მახსოვს. მეორე ცხოვრება აშკარად ყალბი იყო, ამ ორ ცხოვრებას შუა კი რაღაცაა გატეხილი და ვიცი, არასოდეს გამრთელდება.

ქალბატონ ლაგრიფულს ჭოჭმანი შეუდგა უცებ და ერთიანად ათრთოლდა, მაგრამ კაცი თავისას განაგრძობდა, არას დაგიდევდათ, რა ეჭვები შეიძლებოდა აღძვროდა ქალს, ამ სიტყვების გაგონებს.

— ორი რამ, მარტოოდენ ორი რამ — და ამ ორ რამის ერთიმეორესთან დაკავშირებას მოუნდა ოცდაათი წელიწადი — არის დადგენილი: ერთი, რომ იმ პარასკევ საღამოს ანრი ლაგრიფულმა ნახა იმ სასტუმროს პატრონი, სადაც იყო ჩამომხდარი და გააფრთხილა რომ ორშაბათს აპირებდა გამგზავრებას საფრანგეთში. მეორე, რომ შაბათ ღამეს მონრეალიდან რამდენიმე ასეული კილომეტრის დაშორებით, ნიუ-იორკის გარეუბანში პოლიციამ აიყვანა საცვლებისამარა კაცი, რომელიც მძიმედ იყო დაჭრილი თავის არეში და მთლიანად დაკარგული ჰქონდა მეხსიერება.

— მეხსიერება? — ჩურჩულით წარმოთქვა ქალბატონმა ლაგრიფულმა, — მე კი არაფერი გამაგებინეს! მე ხომ ყველგან განვაცხადე, სადაც...

— ვიცი, მაგრამ შეერთებულ შტატებში, აბა, ვინ დაიწყებდა ძებნას? ეგ კი არადა, ჩემს ზედამხედველებს იქ, საავადმყოფოში, სადაც მე წლების განმავლობაში ვიმყოფებოდი, ერთხელაც არ მოსვლიათ აზრად, რომ მე შეიძლებოდა, ფრანგი ვყოფილიყავი. მე ხომ ყველაფერი დამავიწყდა — სახელიც, ენაც... და — ბედი არ გინდა! — საცვლებიც კი, ჩანს იქვე, ადგილზე ნაყიდია, ამერიკული ფირმისა აღმოაჩნდა.

— კი მაგრამ, რა გაშლილხართ ნიუ-იორკში“ დაუჯერებელია...

— რატომ არის დაუჯერებელი? აბა, დაფიქრდით, შეეცადეთ გაიგოთ... მე რომ ვიცოდე, თქვენც გაიგებთ. ჰარისკევ სადამოს, ჩემი საქმეები მოთავებული მქონდა უკვე. საშუაღამოს პატრონი გავაფრთხილე და გავიქეცი ქუჩაში. ისე, უმიზნოდ... ახლა, განა ღირს ეგ, მგონია — იქნება რამე შემთხვევაც იყო, არ ვიცი...— მივხვდი, რომ თუ ღამე ტროტუარზე ვიქნებოდი, თავისუფლად შემეძლო პაბათ-კვირა ნიუ-იორკში გავეტარებინა და ორშაბათს დილით ადრე დავბრუნებულიყავი მონრეალში. ასეც მოვიქეცი. შაბათ დილით ჩავედი ნიუ-იორკში, ვიარ-ვიარე, ვნახე, რაც სანახავი იყო და ღამის გასათევად წავედი სასტუმროში. ღამით სასტუმროში ხანძარი გაჩნდა, მე კიდევ კარგი, გადავრჩი, თავი გადავარჩინე და კოსტიუმი ჩავიცვი ღამის ფეხზე უბრალოდ ხეტიალი ქალაქში. მე ეს ყველაფერი წევამოწმე მოგვიანებით, ყველაფერი ემთხვევა. იმ ღამეს ნიუ-იორკში მართლაც დაიწვა ერთი სასტუმრო. სასტუმრო კი დაიწვა, მაგრამ ვიყავი თუ არა მე იმ ღამეს სასტუმროში, ეს კიდევ საკითხავია, არა? კარგი და არ ვყოფილიყავი, ხომ შეიძლებოდა სხვაგან ასეც მოვქცეულიყავი, ვთქვათ, ოთახში რომ ვინმე შემომეკეტა? ან, სრულიად უბრალოდ, იქნება კიბეზე დაწვეულიყო, სასტუმროს მოახლემ კი არ შეიძლება ემჩნია, როდესაც ჩემი ფეხები ქონდა უკვე ამოსულიყო!

— თქვენი ბიჭები? — ისიღა უცებ ქალბატონმა ლაგრიფულმა,— ჩემს ქმარს ორი ბიჭი ჰყოლია, ერთი ხანშიშესული და ერთიც სრულწლოვანი, ორივე დაქორწინებული იყო და ჩვენ ისინი უკვე ერთმანეთს ჩამოშორებული ჰყავდა. ერთმა მისმა სახელმწიფომ დამღაც ესვა. ეს ხომ უბედური საქმეა...

— თქვენზე უკეთ, ვინ შეიძლება იცოდეს, ვიძრობდი თუ არა მე ბიჭებს ბოლოთან დაწოლას წინ? — წყნარად თქვა ბერტრანმა. მერე რაღაცა ქალბატონმა ლაგრიფულმა არაფერი უპასუხა, განაგრძო:— ეკატერინემ ლეონიდს, სხვათაშორის, იმის შიგაგარი ნაკვალევი არაფრისა და ხვავი მაქვს, ასეც დასაკვნელს, ეთანხმება ყოფილიყო. მოგვიანებით, როცა მე ეს წაიკითხე, როცა უკვე შემეძლო მიმეხვედრა, რას ნიშნავდა ეს ნიშნები, დავრწმუნდი, წარმოიდგენს ჩემს ხელებს დავეყრდნობი, სადაც, რა თქმა უნდა, ყოველგვარი კვალი უკვე წაშლილი იყო.

კარს ხარიჭი მოეკიდა ხმაში და ქალბატონი ლაგრიფული ერთი შეხედულება კიდევ შეებრძოლა თავის თავს, აშკარად იყო, არ იცოდა, რა ექნა, მიდამოებიდან თვალწინ ჩვენ ეუბნებოდა ნაცრისას სუროსთან და ყოველნაირად ცდილობდა, როგორმე სიმშვიდე შეენარჩუნებინა. ამ კარს ხმა საკუთარი ღამეებით ეკეროდა გარს, სულში ურცხვენდა, გასაქანს არ აძლევდა.

— ეჰ, რომ იცოდეთ, რამდენჯერ ვიმეორებდი თავს, ხასიათვალოვალს, შეფიქრებული შეურაცხყოფილი... ინებეთ, რამე ხელმოსაჭიდს წავაწყდეთ. ეგებ როგორმე გადავცე ჩემი მიმდინარე მეანალიზე, რომ იცოდეთ რა გააფხიზლა თავს, მერე ხელახლა გაიწვიოთ უმანოდ და წერილი, რომელსაც, რა თქმა უნდა, არავინ მიიღებს. მერე უკვე იმ ამბავს დამადასტურებელ ნაწილს, გამოვჩენილიყავი რომ ნიჩბურიები იმ ქუჩაშია, აქ სადაც მოუგვიდოდა. ფიქრი ეს ურცხვი ეტანდა. მე ვიხსენებდი, მაგრამ ვერ ვერკვეოდი და ყოველდღე უფრო და უფრო მძაფრად განვიცდიდი ჩემს უძლურებას. იქამდე მივედი, რომ უკვე შეიძლო შემეძინა ჩემი იმედი იმ საქმის არსებობს, მთლიანად დაკარგული რომ მქონდათ ყოველგვარი კონტროლის უნარი, მაგრამ მაინც მოქალაქეები იყვნენ — მქონდათ ოჯახი, წარსული გვქონდათ... ნამდვილი არ მქონდათ მხოლოდ. როგორცა გულმა თქვა ნეტა, „ის რაც იყოს არის, არც არასოდეს ყოფილა“. წარსული ჩვენი წინაა, ყველაფერი ჰაერში ხარ გამოკიდებული ეგეა: ნისიეთის ნებისმიერ არ ვუწოდებ ამას მეგობრებს! მაგრამ კი მაინც არა ჰქონდა ალბათ წუწუნის უფლება, თქვენი ხვედრი კიდევ უფრო მძიმე იყო.

— დიახაც!

უცებ მიიხედა, ძალიან გაღიზიანებულმა ეს სიტყვა. აწრო ლაგრიფული შეცბა, თავი მაღლა ასწია და გამოშტერებული მზერა მიაპყრო თავის ცოლს. ხანგრძლივმა, ძალიან ხანგრძლივმა დუმილმა ხელახლა გამყარა ურთიერთის ცოლ-ქმარი. ქალბატონი ლაგრიფული, გაშრუტული და თავის თავში ჩაკეტილი, გაფაციცებული ფიქრობდა ამ ხვედრზე, გამწარებული იცავდა თავს, არაფრით არ უნდოდა ეღიარებინა, რომ კმაყოფილი იყო თავისი ხვედრით. რა, ასე არ არის? ვინ იცის, რამდენჯერ უთქვამთ ჩემს მეგობრებს: „საწყალი მარია, განსაკუთრებით დღედაწყობისას ჰპოვებსო“. ამგვარი თანაგრძნობა მარტოობასაც უფრო ძნელი ასატანია და ყოველგვარ პასუხისმგებლობასაც. ქმარი დაეკარგოს უცებ ქალს, დაიბნეს და სახლში მოისხლეული გზა ვერ გაიკვლიოს, ამაზე ღირსეული რაღა უნდა მოუგოლოს? მთელი ქალაქის სალამარაკო

ხლები ნაშიხვე, რა პირით ვიწყო ეჭვენი ამის მერე ხალხს? ან რომელი წესიერი ოჯახი გაგიკარებს სიახლოვეს? წლები, წლებია საჭირო, რომ თავდაჭერით, დაუღალავი შრომისმოყვარეობით, ერთხელ დალეწილი ფილის ფრთოლატი ერთგულებით — ლაგრიფელები არ ტყუიან! — ნაკლები, ძალიან მკაცრი ცხოვრების წესით, კვლავ დაუბრუნდე ძველ გზას და ძველ მეგობრებს, კვლავ შეძენა აზრი, კვლავ გაერიო რჩეულ საზოგადოებაში, სპეციალურად და მორჩმელთა წარაქაში. მერე მივიდა სიმშვიდეც, რა თქმა უნდა, სიმშვიდე და [illegible] თავისუფლებამ მოიტანა ქონებაც და მეორეც, საქმის, დიდი საქმის გაძღოლამ, გამგებლობამ ამ ქუჩური და კეთილმოწყობილი სახლისა, მაგრამ მოლოდინი და მოლოდი, ეს ხომ მისი უფლება იყო, გამაძღარი იყო, საზღაური იმისათვის, რაც გადაიტანა! მართლა პირმოთნე და ფარისეველი თუ არა ხარ [illegible], ოცდაათი წლის მერე ამაზე როგორ მოგიბრუნდება ენა და უმაღ [illegible]?!

— როცა, არა, უკვე გაიღვიძა თქვენმა მეხსიერებამ? — დაინტერესდა ენა ქალბატონმა ლაგრიფელმა.

— არა, — თქვა სტუმარმა, — პირველი ნიშანი, საიდანაც დაიწყო ყველაფერი, ძალიან მოუწესრიგებელი იყო. [illegible] ... თუმცა მე ჯერ არ მითქვამს თქვენთვის, რომ ბელმონტის განწყობილის შემდეგ, როცა, ასე თუ ისე, უკვე დავიმსგავსე ნორმალური ადამიანს და ესე იგი, [illegible] ამოვჩნდი ჩემი უწინდელი ცხოვრებისაგან, როცა უკვე [illegible] მე მიიწყეს სახელი და გვარი, ზუსტად ისე, სხვის კარზე მიგდებულ ბავშვებს რომ არქმევენ რაღაც სახელს... [illegible], ერთი სიტყვით, და აქვე, [illegible] რაღაც [illegible]... [illegible] სწორედ — ერთხელაც [illegible], შინაშიე იქ [illegible] და... როგორ გითხრათ? [illegible] თუ არა [illegible], თუ გაგებრაზდა, თუ რა იყო არ ვიცი... [illegible], [illegible]... არაფრით არ ჰგავდა იმას, რასაც ჩემს წარმოდგენაში [illegible] და [illegible] პირველად...

— რა? — არ [illegible] ქალბატონ ლაგრიფელს.

[illegible] ხელი:

— აი, ეს დავინახე, რა ქვია... ძაღლის ვარსკვლავი.

— თქვენში ქანდარაა?

— რა თქვით? — [illegible] და [illegible] გაუშვა. — ქანდარა. დიახ, სწორედ ამ სიტყვას ვიყენებდი და ვერა და ვერ მოვიგონე, ვინ იცის, რამდენჯერ დამღუპავს [illegible] ჩემი ეს საიდუმლოებელი კოშკი. ხედავ შენ? ნათქვამი მქონია თქვენთვისაც თურმე ჩემი ქანდარის ამბავი...

ქალბატონმა ლაგრიფელმა [illegible], ნათქვამი რომელია? თავის დროზე ყურები მქონდა გამოჭედილი ამ ამბებით. მაგრამ რა? რაღაცები ხომ არ შეიცვალა უკვე? ვინ უნდა [illegible]? ვინ [illegible]? ანრი ლაგრიფელს [illegible] და ისე განაგრძო კითხვა:

— რაც რომ დავამთავრებდი, ჩემი ეშობლები მაშინვე სხვენში მიკეტავდნენ თავს, ვგონებ ძალიან მკაცრად მსჯიდნენ, რა იცოდნენ, რომ მეც ეს მინდოდა! მე ჯერ დაკარგული არ ვიყავი, არა? ისინი რომ დაიხოცნენ.

ქალბატონ ლაგრიფელს რატომღაც გაუჭირდა რამეს თქმა, მაგრამ პასუხის მაგივრობა მისმა [illegible] გასწია.

— კიდევ კარგი! — ღრმად ამოიოხრა კაცმა. — [illegible] ამის გადატანა.

მერე კვლავ დახარა თავი [illegible] და [illegible], [illegible], რომ წუხდა:

— ეს ნუ გაწყენინებთ იცოდეთ... ზოგი რამ მე მართლა ალვიდგინე, ზოგსაც ვხედავ, მაგრამ ყველაფერი ეს ჩემი ფესვებია მხოლოდ, ჩემი ბავშვობა... დანარჩენის გახსენება მიჭირს. წარამარა სიცარიელეს ვაწყდები, გაუთავებელი ეჭვები, [illegible]... ნახევრად განათდება [illegible], [illegible] მეხსიერებაში რაღაც ბუნდოვანი სურათი და მერე ისევ ქრება...

— [illegible] ხომ მოაგვანათ? — [illegible] თქვა ქალბატონმა ლაგრიფელმა. მერე თავს ძალა დაატანა და დასძინა: — ძაღლის ვარსკვლავზე ვიყავით.

— დიახ, — თქვა ანრი ლაგრიფელმა [illegible]. — რამდენი დრო დასჭირდა ამას? ამ ძაღლების ამბავმა ჩემი მთავარი ეჭვიც ძალიან დაადასტურა: „ფრთხილად იყავით, საკუთარი თავის გამოგონება არ დაიწყოთ!“, „ნუ იფიქრებთ ამაზე!“ მაგრამ ღამე, რომ დავწვებოდი, სულ ამაზე ვფიქრობდი, თანდათანობით ეს ძაღლები დაუკავშირდნენ სხვა ძაღლებს, თანდათანობით დავიმსგავსე მერე ყოველივე ეს ჩვენს სხვენს და მეც დავეშვიანობდი ალმა-დალმა ნახევ-

ხის ხალიჩაზე, ათასნაირ ხე-მასალას შორის. ბოლოს ჩვენი უზარმაზარი, მორებით სავსე ეზოც დავინახე, დავინახე მაღალი შენობები, რომელნიც მაგრად კი იდგნენ მიწაზე, მაგრამ ერთთავად ზანზარებდნენ... როგორ გითხრათ? ზანზარი განსაზღვრება იყო, მე ვხედავდი მოზანზარე შენობებს. „თქვენ ალბათ სადმე სახერხი ქარხნის ახლოს იზრდებოდით!“ — დაასკვნა ბოლოს ფსიქიატრმა. ეგ იყო, რომ ხერხის გამუდმებული მღერა მესმოდა მხოლოდ ყურში, სხვა არაფერი, არც ერთი სახელი არ სწვდებოდა ჩემს გონებას. დრო გადიოდა და წინსვლა არაფერში მეტყობოდა. სხვები კი არადა, ღამის მე თვითონ დავრწმუნდი, რომ ამაზე მეტად ვეღარ წავიწევდი წინ და მთელი სიცოცხლე ეგრე ვიქნებოდი ასე, ერთობ საინტერესო გამოცანა სპეციალისტებისათვის და გამუდმებული თავსატეხი ყოველგვარ საქმეთა მმართველთათვის, რომელთაც არასოდეს არ იცოდნენ, როგორ განესაზღვრათ ჩემი ვინაობა და სოციალური წარმომავლობა. ბედად, ომი დაიწყო...

თვითონვე გაეღიმა თავის ამ სიტყვებზე. „რა გადაუტანია!“ — გაიფიქრა ქალბატონმა ლაგრიუელმა და გაოცდა, ეს რომ გაიფიქრა, მაგრამ კაცს ამ დროს მისთვის არ შეუხედავს, თავის მონოლოგს განაგრძობდა:

— ომიანობისას მოხალისეებს არც ერთ ქვეყანაში არ უუბნებიან უარს, მოხალისეობა კი ჩემთვის განათვლის უდრიდა. უწარსულო კაცი არ არის კაცი, მაგრამ ჯარისკაცი უკვე კაცია. ჯარისკაცს თავისი საბრძოლო წარსულიც ჰქონდეს... კაცი, რომელიც იბრძოდა, თავისთავად ცხადია, რომ არ შეიძლება არ იყოს მოქალაქე, მოქალაქეს კი მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთიც უნდა გააჩნდეს, უნდა ჰქონდეს პირადობის მოწმობა. ჰოდა, ძალიან კიდეც ამ მოწმობას რაღა ბევრი გავაგრძელო და, გადავდე თავი, ერთი სიტყვით, მოვიპოვე მთელი ჩემი სიმამაცე და ომის დასასრულს კაპრალობას მივაღწიე, თქვენ რომ სუბინტენდანტის ეძახით, იმ ნაწილში, მოხდა ისე, რომ დემობილიზაციის შემდეგ ორწლიანი, სავსებით შეუდარი ცხოვრებისეული გამოცდილებით აღჭურვილმა და წესიერებით აღძრულმა ორეგონში ამოვყავი თავი. ორეგონის ტყის ქვეყანაა, დიდი და პატარა ხე-ტყის დამზადებას მისდევს და მეც, რა თქმა უნდა, ამ საქმეს მოვკიდე ხელი. მიმიზიდა, როგორც ჩანს ტყის სუნმა. ჯერ დამხმარე მუშად მამუშავებდნენ, მერე ოსტატად დამაწინაურეს, სულ მალე უფროსი ოსტატიც გავხდი და — როგორ გითხრათ? — ყოველთვის ისეთი გრძნობა მეუფლებოდა, რომ ეს საქმე არ იყო ჩემთვის უცხო. როგორღაც თავისთავად გამოდიოდა ყველაფერი, თითქოს კი არ ვსწავლობდი რამეს, არამედ ძველ ხელობას ვიხსენებდი... მარტო ვცხოვრობდი, — როგორც ჩანს, თანდაყოლილი პატიოსნების გამო — თანაც ბოლომდე მახარებდა — მინდოდა, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, მიმეღწია წარმატებისათვის ამ მეორე ცხოვრებაში, რათა ერთგვარად შური მეძია პირველის გამო. ცხადია, ამანაც შემიწყო ხელი და ახლა აღარ მიკვირს, ოთხი წლის თავზე ჩემი საკუთარი პატარა საქმე რომ წამოვიწყე... მერე ნელ-ნელა გავზარდე ეს საქმეც, მაგრამ დრო გადიოდა და იმ ჩემს უწინდელ ცხოვრებას ვერავითარი სინათლე ვერ მოვფინე. შევეგუე კიდეც ამ ამბავს, არც არაფერს ვეძებდი და არც არაფერს ვკითხულობდი, ალბათ ვერასოდეს ვერაფერს ვერ გავიგებდი, ერთი უბრალო შემთხვევა რომ არა. ეს სამი წლის წინათ მოხდა, სახაზველოში ერთ ნახაზს ვასწორებდი...

— როგორ, თქვენ პირადად საშენი მასალის დამზადებას მიჰყავით ხელი?

— კი. დავხედე თუ არა ნახაზს, მაშინვე შევამჩნიე, რომ მხაზველს ნივნივის ძელი პაერში დარჩენოდა გამოკიდებული. სწრაფილის ფეხი რაღაცას ხომ უნდა ეყრდნობოდეს, ასე როგორ შეიძლება-მეთქი, ვუთხარი. ტიპი გაშეშებული მიყურებდა, რას ამბობსო და მაშინღა მოვეგე გონს: ამერიკული ტერმინის ნაცვლად მე ფრანგული სიტყვა — „სწრაფილის ფეხი“ ვიხმარე. იმ საღამოსვე ჩავუჯექი ლექსიკონს, ეს სიტყვაც დავემთხვა და კიდევ ბევრი სხვა სიტყვაც, არცთუ ისე ხშირად რომ იხმარება, მეცნო, დამამახსოვრდა უცებ. რაღა თქმა უნდა, ვიფიქრე, ოდესღაც ვიცოდი უკვე ალბათ ეს სიტყვები და ახლა ხელახლა ვიხსენებ-მეთქი. ის დღე იყო და ის დღე — ლექსიკონი ხელიდან აღარ გამიგდია. სულ რამდენიმე კვირაში, როღაც სასწაულით მთლიანად აღვიდგინე მშობლიური ენა. კანადელი ფრანგების უმრავლესობა ტბების რაიონში იყო ჩასახლებული და მეც, რადგან ამერიკის მოქალაქეობას ვიყავი ჩაბღაუჭებული, ერთხანს იმათი შთამომავალი მეგონა თავი. დიდხანს ვეოყმანობდი: ერთ პინაზე იდო დაკარგული ცხოვრება, მეორეზე — დაბრუნებული წარსული. საანგარიშო და ასაწონ-დასაწონი აქ რა იყო, მაგრამ ვშიშობდი მაინც... დიდხანს ვებრძოდი იმ შინაგან განწყობილებას, რაც ხელს მიშლიდა ამ ნაბიჯის გადადგმაში. ბოლოს გავანდე მაინც საქმე ერთ კერძო სააგენტოს. ვერაფერი კვალს ვერ მიაგნეს, ვერც ამერიკაში მცხოვრებ ფრანგებთან და ვერც თვითონ კანადაში. მაგრამ გითხრეთ, მეოთხედი საუკუნის სიღრმეში ჩაკარგული კვალის საძიებ-

ლად კვლავ გრძელდებოდა და აი, წარშან ამ დროს იყო სწორედ, შეიძლება ითქვას, ბედმა გაუღიმა ჩემს ერთ საავენტოელ კორესპონდენტთაგანს, — კანადაში მან აღმოაჩინა ერთი განცხადება, სადაც ვიღაც ბატონი ლაგრიუელის დაკარგვას იუწყებოდნენ. თარიღი და ყველა სხვა მონაცემიც ზუსტად ემთხვეოდა ჩვენი საავადმყოფოში მოხვედრის თარიღს და იმ ანკეტას, რომელიც მაშინ იქ შეავსეს. დაემთხვა თითის ანაბეჭდებიც...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერიკაცი ლოდინში გაოგნებული დასცქეროდა თავის ხელებს და უმწეოდ აქიცინებდა თავს აქეთ-იქით. ამავე ხელებს იგო ნიშტერებული ქალბატონი ლაგრიუელიც, რომელსაც გამალებით უთამაშებდა თვალი, უფრო სწორედ, წამწამები უთამაშებდა ქუთუთოების გარეშე შესაფარისად, მაშა ეროსმა, ლოდის სიწარმოთა ჩამან, გარემოებისდა კვალობაზე, ხან მეტოქე რომ იყო ჩვეი და ხანაც მეწყვილე, უწყობდა მხოლოდ. რაც მოასწავებდა ეს ქალბატონ ლაგრიუელს ზუსტად ასე უთამაშებდა თვალი, როცა ხანგრძლივი დავის, კამათის, აყალმაყალის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს მოტყდებოდა ხოლმე და იძულებული ხდებოდა დაჰყოლოდა მის ნებას.

— საოცარია... — ძლივს გასაგონად ამოაყოლა ხრინწს ქალმა. უნდოდა წამომდგარიყო და რაც შეიძლებოდა სწრაფად გასცლოდა აქაურობას, წარმოიდგინა კიდეც, როგორ გაივლიდა ან თავის ხე-ძასალით გამოტენილ სხვევებს, დარბაზებს, ეზოებს... ვერ ბედავდა. ეს კი არადა, იმასაც ვერ ახერხებდა, რამე გარკვეულ აზრს დასდგომოდა: რაღაცა მოეფიქრებინა. საოცარი იყო და მეტი არა?! ხალხს მიზეზი ეძლეოდა, ვინ იცის რამდენი ხნის წინათ დავიწყებულ და დამარხულ ამბავზე ხელახლა ეცინა! გამოუჩნდებოდნენ უთუოდ თანამგრძნობელნიც იმ მორწმუნე მახლობლებსანთა შორის, რომელიც გნებავთ ეკლესიის მრევლს რომ დაამშვენებდნენ და იქე ქონდათ ყნოსვა დაგეშილი, შორიდანვე გრძნობდნენ ყოველივეს დაფარულსა და არგასამხელს — ორცოლიანობას, მაგალითად. — საწყალი ქალი! მთელი თავისი ცხოვრება შესწირა, რათა როგორმე შეენარჩუნებინა სახელი და უძრავ-მოძრავი სახლისათვის... ცხადია, ბევრს ღირსც უდალი საქმის კაცები დაახახებდნენ, ერთიმეორეს მოეჩქარებდნენ გზას ყველა ჯურის მსაჯულნი და აღმასრულებელნი, რათა პირველნი შეხვედროდნენ, ღმერთმა იცის რამდენ თაუში გამქრალ ბატონ შინდაბრუნებულს. ვეცდებოდნენ რამენაირად დაეკნინებინათ თავიანთი როლი „ქონების გადაცემის“ საქმეში და დაედასტურებინათ უგულწრფელესი პატივისცემა ამ აურაცხელი სიმდიდრისა. ვილას გაახსენდებოდა მერე ქალბატონი ლაგრიუელის ამდენი ხნის თავდაუზოგავი მუშაკობა? უცებ, თვალის ერთ დახამხამებაში, იგი კვლავ გათხოვილ ქალად იქცეოდა, ქმრის მონა-მორჩილად, აჩრდილად მეუღლისა თვისისა, უგულვებელყოფილ და უგულვებელსაყოფ ქალბატონ ლაგრიუელად. თუმცა ესეც არ იყო ახლა მთავარი, ამ ამბებმა უცებ დაჰკარგა მნიშვნელობა, რათა სხვა, უფრო დიდი სატკივარისათვის დაეთმოთ ადგილი, სულ იმ ერთი საათის წინ რომ სასაცილოდ არ ეყოფოდა ქალბატონ ლაგრიუელს. ზოგი ჭირი ისე გაგიჯდება ადამიანს ტანში, რომ ვეღარც კი ამჩნევ. ვლოუამ იცის, ისე გამოგაშრობს, ისე მოგიდუნებს ძარღვებს, ისე უგრძნობელს გხდის, რომ ეს უკვე შენს მეორე ბუნებად იქცევა. მოდა, რაღად გინდა მერე ისეთი სასწაული, შეჩვეულ ჭირს რომ მოგაშორებს, თუკი უამჭირობა უფრო ჭირია და ეს ჭირი ბედნიერებად მიგაჩნია უკვე? რაღა შეიძლება იყოს ერთობლივი ცოლ-ქმარ ლაგრიუელების ერთობლივ ცხოვრებაში? საქმე, რომელიც უკვე დიდი ხანია ძირფესვიანად შეცვლილია და გარდაქმნილი? სახლი, სადაც ყველა ოთახი სულ სხვა ყაიდაზეა გაწყობილ-გამართული? გვარი, რომლის ხეირიანად წარმოთქმაც კი არ შეუძლია ერთ-ერთ თანამეცხედრეს მშობლიურ კილოზე? იქნებ ლოგინი? ამ ლოგინში კი ასაკგადაცილებული, ქვრივობაში გამობრძმედილი ქალი, ამ შემოულოდნელობით ატაცებული რომ ფიქრობს: „ოცდაათი წლის მერე ქალი და კაცი კვლავ ერთად ცხოვრებას რომ დაიწყებს, ნუთუ არავინ არ უნდა გადასწეროს ჯვარი? რამე ხომ არ მოგვეწყო, პატარა...“ რა სულელი ვარო, გული აუჩუყდა უცებ ქალბატონ ლაგრიუელს და ანთებული, ფართოდ გახელილი თვალების მიღმა საოქმელის დალაგებას შეუდგა: „მაინც რას მოითხოვთ ჩვენგან, ანრი? რისი გაკეთება შეგვიძლია ჩვენ, აი, გონივრულად რომ განვსაჯოთ? როგორ გინდათ, რომ მოვაწყოთ ყველაფერი?“ მერე იფიქრა: „გონივრულად რომ განვსაჯოთ“ — მეტის მეტი მოუვა, არც ეს „მოვაწყოთ“ მოეწონა, ცოტა არ იყოს, უხერხული და სახიფათოც კი მოეჩვენა ეს სიტყვა. რა, განა არ უნდა დასჯერდეს მცირედს ის, ვისაც ბევრი მოეთხოვება და არაფერს არ გეთავაზობს?

— უკაცრავად, — ქალბატონ ლაგრიუელს გულწრფელობა ეწადა, მაგრამ გულწრფელობა ჯერ კიდევ საჭიროებდა თავაზიანობის ნიღაბს. — მე მინდოდა...

— თქვენ გინდოდათ დაგეკლათ ჩემთვის ზვარაკი ჭამებული, მაგრამ ვაი, რომ აღარა

გეშოვებათ რა? — წინასწარმეტყველის იერი დაიდო და ისე დაუმთავრა ცოლს სიტყვა ანრი ლაგრიუელმა.

ზარის ხმა გაისმა ქვევიდან. მოახლეს მოთმინება დაჰკარგვოდა, საუზმის დრო [illegible] ბინებოდა. „უცებ იქ არ წამოგვადგეს თავზე“, — გაიფიქრა ქალბატონმა [illegible] თავისი კაბის კობას აწვალებდა. [illegible] როგორმე შეევსო ის [illegible] [illegible] რომ ჩამოვარდა მათ შორის და კაცი სულაც არ ჩქარობდა დაერღვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მშვენიერად მესმის თქვენი, მარი... — წამოიწყო ბოლოს [illegible] ბით ამოისუნთქა. — მეც აი, ვდგავარ ახლა თქვენს წინაშე, „ქალბატონის“ როგორც იქნა [illegible] გალწევ თავი, მაგრამ შეგიძლიათ ვერ მოიშორებთ მაინც... [illegible] რომ მაცილებდით ამ სახლიდან, უთუოდ საყვარელო, მეტყოდით, [illegible] ალბათ, შეგნებულად თუ არა, ანგარიშმიუცემლად მაინც, მაშინ ხომ ამაზე ბუნებრივი არაფერი შეიძლებოდა ყოფილიყო? თქვენ ამას იქმოდით სრულიად გულახდილად, დაუფარავად, ყოვლად ზნეობრივი და გასაგები იქნებოდა ეს ყველასათვის: პირიქით, უზნეო და გაუგებარი ის იქნებოდა, სხვანაირად რომ მოქცეულიყავით. მე რა არის მაინც არა, [illegible] არა, [illegible] გსაყვედურობთ, მე გეხვეწებით უბრალოდ, — მოერიდეთ თქვენს თავს ისევე, როგორც მე მოვერიდე ჩემსას. წლიწადი და ორი თვე გავიდა, რაც მე ვიცი, წლიწადი და ორი თვე ვცდილობ ამ შეხვედრას, ვცდილობდი და ეგეს [illegible] [illegible] საქმეები მქონდა-მეთქი... ტყუილია ეს ყველაფერი, უბრალოდ მშვენიერ [illegible] [illegible] [illegible], ამ ას [illegible] [illegible] წინააღმდეგობა მიშლიდა ხელს, წელან რომ გახსენე.

— მერე?... — ყელში გაეჩხირა სიტყვა ქალბატონ ლაგრიუელს.

— მერე დავიდარაბებულა ქმარმა. — აქ გითხარით, წარამარა ხარვეზებს [illegible] სამართლი ნუ გეწყინებათ და ყველაზე დიდია და ღრმა ეს ხარვეზები იქ, სადაც თქვენა ხართ გარეული. უკვე [illegible] [illegible] საკუთარი თავი ჩემსა ხელობას და ჩემსა ცნობ, მართლია ვშიშობდი, მაგრამ მაინც მეგონა, რომ ისევე იმოქმედებდა ჩემზე თქვენთან შეხვედრაც ცხადია, იმჯერად ჩემი ცხოვრების სულ სხვა მხარეს ვგულისხმობ. მაგრამ რა? აი, მოვედი, აქა ვარ, თქვენთან, გიყურებთ, გელაპარაკებით და... არაფერი? არაფერი არ ნათდება, არაფერი არ იძვრის: ნეტა თუ მართლა კარგი ცოლ-ქმრობა გვქონდა მაშინ? თუ, ჩემი საქმით არ იყოს, თქვენც დაკარგული გაქვთ მეხსიერება?

— ოცდაათ წელიწადს გიერთგულეთ... მადლობელი ვარ!

ამის თქმა იყო და ერთდროულად წამოიჭრა ორივე ფეხზე. იდგნენ ერთმანეთის პირისპირ და ერთიმეორეს თვალებში უყურებდნენ. ამ ყვირილმა, ამ გულიდან ამოხეთქილმა ყვირილმა, მთელი ამ ხნის განმავლობაში პირველად რომ გაისმა, თითქოს რაღაცა გაანგრია მათ შორის, მაგრამ შინდაბრუნებულმა უმალვე წაითოკა თავისი თავი, ერთი გატყდომა კი გატყდა ვითომ, მაგრამ მაშინვე კვლავ [illegible] პირისახეზე მსაჯულის ნიღაბი, აქაოდა ყველაფერს გამომაპარებთ, ყველა სიტყვის ფასი ვიცით.

— ერთგულებაზე ჩამოაგდეთ სიტყვა... კი, რა თქმა უნდა, ამას ვერავინ წაგართმევთ, მაგრამ მითხარით ერთი, თუ შეიძლება, ვის, ან რას უერთგულეთ? კანონიერ კავშირს თუ გრძნობას? სახელს თუ კაცს? ადამიანმა შეიძლება უერთგულოს ადამიანს, თუ ეს ადამიანი ცოცხალია, სხვანაირად....

თანდათან იცვლებოდა კილო... ანრი ლაგრიუელიც სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა ცოლს, ხელითაც ეხებოდა თითქმის. ქალს ახლა უკვე თავისუფლად შეეძლო გაერჩია მისი ცხვირის წვერზე, ორ მკრთალ ნაოჭს შუა მოქცეული ის პაწაწუნა ხალი, თავის დროზე ეწებსა და სილამაზეს რომ მატებდა მის ახალგაზრდა მეუღლეს და თავად „აქ მაკოცეს“ ეძახდა, ჩემი „აქ მაკოცეო“, იტყოდა ხოლმე.

— მაშინაც ასეთი იყავით, ნეტა?

აქ ეცვლებითო, ლაითონ არა თქვა, ვიცვლებითო? — გული მოუკლა ქალბატონ ლაგრიუელს. მაგრამ ეს რომ ეღიარებინა, ხომ მისსავე წისქვილზე დაასხამდა წყალს? ბოლოს და ბოლოს, რა მისი ბრალია, თუ მთლად ისე გვერიტყვით ვეღარ დაგოგმანებს, ოცი წლისა რომ დაეგოგმანებოდა? თუ იმ მარგებელი ჭირის წყალობით, ამ კაცისა არ იყოს, მანაც მთელი თავისი ცხოვრება საქმეს შეალია? თუკი ეს საქმე იყო მისი თავშესაფარიცა და სამაგიეროც? ღმერთმა ხომ იცის, მისი სურვილით არ მომხდარა ეს. თავდადებულობა, შეუპოვრობილებულობა, ნახევარი სიმართლე, ნახევარი გრძნობა, სუფთა თეთრეული და დაწყობებული სინდისი. აი, რა უწყინარი და ძლიერი წყვილის ცალი უნდოდა გამხდარიყო ამ პატარა ბურჟუა ლედაკაცს მასავით პატარა ბურჟუა მამაკაცის გვერდით. სინდისი? სინდისს არამცთუ შეუშინდებოდა,

იმედის თვალითაც კი შეხედავდა. ეს სიძნელე არ იქნებოდა დაკავშირებული საქმესთან, იგი ბავშვთან იქნებოდა დაკავშირებული... ქალბატონ ლაგრიფულს წამწამები აღარ [illegible], ცრემლი ჰქონდა მომდგარი თვალებში. რა ელის? რომელმა ბოროტმა შემთხვევამ [illegible] რა აღელვებამ დაიპყრო ისეთი, რომ ამ აკრძალულმა მოგონებებმა ასე ერთბაშად [illegible] ხელი? რა სიკვდილი არ ანებებდა თავს დაეხსნა ამ კაცისაგან, აგერ უკვე კი [illegible], წლაპებზე რომ ეტორტებოდა და თანდათან სულ უფრო და უფრო [illegible]

— გამიგეთ, ბოლოს და ბოლოს! რა მეტყველებს სახელი, ან ქვეყანა, ან საქმე? თქვენი იქნება ის, თუ ჩემი... როგორ გგონიათ, რისთვის ჩამოვედი აქ? ინგლისელებისთვის? ამას მწამს?

— ბოდიში, — წაიბუტბუტა ქალბატონმა ლაგრიფულმა, მაგრამ ისე ხმადაბლა გამოუვიდა თავისთვის, რომ კაცს არც კი გაუგონია.

რაც დრო გადიოდა, აარი ლაგრიფული უფრო და უფრო ცხარდებოდა. ბოლოს ერთბაშად გადმოაფრქვია ყველაფერი:

— მე აქ იმიტომ მოვედი, რომ წყაროს თვალი მინდა ვნახო, ხომ გესმით? გესმით, რას ვამბობ? აბა, წარმოიდგინეთ, რა გუნებაზე უნდა ვიყო მე ახლა, როცა ვხედავ, რომ ეს წყარო დაშრალია. მე აქ იმიტომ მოვედი, რომ სხვა გზა არ გამაჩნდა, სხვანაირად უკვე აღარაფრის გაგება აღარ შემეძლო, ყველაფერი არეულ-დარეული... მოსვენება დავკარგე, სულ იმაზე ვფიქრობდი, ვინ და რა დავტოვე იმ ჩემს პირველ ცხოვრებაში, შეიძლება კიდევ არის ვინმე იქ, ვინც უჩემობით იტანჯება-თქო. ჩემს თავს აღარ ვივიწყებდი — იქნება ის, რასაც მე ჩემს თავს ვეძებ, იმათაც ეძებდნენ, ვისაც მე ვეძებ-თქო. რა ლოგიკურია — სიზმრის მიღმა დარჩენილი — მინდოდა ისიც მეპოვა, იმ ჩემი ორი ცხოვრებიდან რომელი იყო უფრო ნამდვილი, ნაკლებად ცივი, მინდოდა მეგრძნო, სად უფრო ტკბილი იქნებოდა სიკვდილი. ჩვენ ხომ ნამდვილად ვარსებობთ იქ, სადაც სხვებისთვის ვარსებობთ, სადაც ჩვენი არსებობით მათ არსებობასაც ემატება აზრი. მოდა, ახლა თქვენზეა საქმე, თქვენ უნდა მითხრათ, ქონდა თუ არა აზრი ჩემს აქ ჩამოსვლას? რას გაჩუმებულხართ, მიპასუხეთ, მართ! ნუ მოგერიდებათ...

ქალბატონ ლაგრიფულს აღარაფრის თავი აღარ ჰქონდა, ანკი რა უნდა ეპასუხა? როგორც იქნა გაითავისუფლა მხარი და წინ წაიწია. წინ საპირისპირო ამწის შეხსნილი კარი იყო, კარის მიღმა კი დღის სინათლით განათებულ ოთხკუთხედში მოსჩანდა ჰოლანდიის მიწა, უზარმაზარი ბორბალს რომ წააგავდა: სიცარიელის პირას რომ მიედო, მაშინდა გაჩერდა, ერთად შეისუნთქა სუფთა ჰაერი, დიდი ვერაფერი შვება მოჰგვარა ამ გეომეტრიულმა პეიზაჟმა, მის ფერხთით რომ იყო გადაშლილი. ამ წუთში იგი აღარ იყო უკვე ლაგრიფულის იმპერიის ხელისუფალი, განმგებელი ამ აურაცხელი ბიუროებისა, თუ მაღაზიებისა, მანქანა-დანადგარებისა და სახელოსნოებისა, ან უზარმაზარი საკვამლე მილებისა და პარკებისა, სადაც ნამდვილი კავალერია იდგა ხუთი, აარ, ოქტონიანი მანქანებისა, სადაც ტყვები ხელდებოდნენ ერთმანეთს პაემანზე... არა, ამ ქალის სასახლეთ არ მოსულა ეს კაცი აქ — ოცნებამ მოიყვანა, დაკარგულმა ოცნებამ, იმაზე უფრო დაკარგულმა, ვინემ თვითონ იყო. მოდა, ვინ შერჩა მერე ხელში? ერთი ხანშიშესული, ამპარტავანი ქალბატონი, ვილიან რომ მოჰქონდა თავი და ისე იბერებოდა, ლამის გასკდარიყო, გამოფიტული, გამომშრალი, აგერ იმ ხეებივით, თვეობით რომ ეწყო ხოლმე საწყობში. „თუ თქვენც დაკარგული გაქვთ მეხსიერება?" — მართალი იყო ეს კაცი — რითი სჯობია ცარიელი გული ცარიელ თავს? უპირატესობა აშკარად არ იყო ქალბატონი ლაგრიფულის მხარეზე.

— ცხადია, — ირონიული ღიმილი გაუკრთა კაცს ტუჩებზე, — გასაგებია, რომ არ გეთმობათ რაღაც-რაღაცეები... ნეტავი, რომ ღიღებულად აგიწყვიათ საქმე! ასეთი ქარხნები, დირექციაში, ამერიკაშიც კი იმჟამად.

ნელი ნაბიჯით დაბრუნებოდა უკან, ცივად და გამომწვევად უქნია თავი, აღარ აჩქარებდა — ლინჯად ათვალიერებდა ხელისუფალსაც და მის იმპერიასაც.

— იცით, — თქვა ცოტა ხნის მერე, — თქვენი სახელი მე ადრეც მსმენია, ამერიკაში, ხე-ტყის ექსპორტიორებისაგან, მაგრამ ვინ მოსაზრე იყო, სანამ მე გავიგებდი, ვინ იყავით ჩემი. მართლა კოხტა ქალი ყოფილხართ.

ქალბატონ ლაგრიფულს აწრიალდა გულმა — სულ ამ ერთი საათის წინათ წყლადმარჯვილი ამოვიდა აქ, ღვსავსე საკუთარი ღირსებისა და ღიდების შეგნებით, ახლა კი ეს უმნიშვნელო ქათინაურიც კი ვერ შეეფერებინა წესიერად. რამე ხომ არ ეშლება ნეტა ამრის? ხომ არ ჰგონია, აქ, ამ გადასახედთან, იმიტომ მოვიყვანე, რომ ჩემი საწარმო მინდა შევახარბო? თუ

უკვე ყველაფერი გადაწყვიტა თავისთვის და ახლა უნდა წასვლამდე რაღაცით მასიამოვნოს, რაღაცა ისეთი მითხრას, რასაც მე მართლა ვიმსახურებ? ორივე ერთდროულად შემოტრიალდა ერთიმეორისაკენ. ქალბატონმა ლაგრიუელმა მოსამსახურეებისათვის განკუთვნილ კიბისაკენ გაიშვირა თითი და ჩურჩულით წარმოთქვა:

— აქედან ჩავიდეთ, არა?

ეჭვი აღარ იყო: კაცმა გაიგო, რისი გაგებაც უნდოდა, გადაწყვეტილებამ [illegible] — უკვე და ახლა უკან იხევდა. აირჩია, ერთი სიტყვით, და ამ არჩევანს სწორედ [illegible] და ქალბატონი ლაგრიუელი. როდის იყო, ყოჩაღი ქალები იზიდავდნენ კაცებს? ვისაც ყოჩაღი ქალობა უნდა, იმან ისიც უნდა იცოდეს, რომ მოვა დრო, როცა უკვე გვიანი იქნება სინანული და მზად უნდა იყოს ამისათვის.

— მე წინ წავალ! — თქვა ქალბატონმა ლაგრიუელმა და არად ჩააგდო, ჟანგიანი რომ იყო, მაგრამ ჩასჭიდა ხელი რკინის ნოტიო მოაჯირს. სამი საფეხური მშვიდობით ჩაიარა, მეოთხეზე ფეხი დაუცდა, თავი შეიმაგრა და გზა განაგრძო. „რამ ამტეხა ასე, რომ არ ვიცი?! მიდის და წავიდეს! უკან ხომ არ გამოვედევნები ახლა, არიქა მიშველე, როგორმე მომეწონე-მეთქი. არ მოვეწონვარ და ნუ მოვეწონვარ“! სულ უფრო და უფრო უმძიმდებოდა სხეული, ძლივსღა მიათრევდა ფეხებს კიბეზე. უკნიდან კი გულს უწვრილებდა ანრი ლაგრიუელის ფეხსაცმელების თანაბარზომიერი ჭრაჭუნი, სულ უფრო და უფრო მსუბუქი რომ ხდებოდა და რამდენიმე წამში ჯერ უნდა მიჩუმებულიყო წინა ეზოს მტვერში, მერე კი სულაც ჩაიკარგებოდა ალბათ სადღაც ღობის სიახლოვეს. მეორე სართულზე რომ ჩავიდნენ, უნდოდა გაჩერებულიყო, მაგრამ ერთი გამოხედვა მხოლოდ ქვევიდან თავის მხლებელს და მტკიცედ ჩაიბიჯა კიდევ ერთ საფეხურზე. კაცს ეს არ შეუმჩნევია. მერე, მეორე სართულსა და პირველს შორის გაჩერდა კიდევ, მაგრამ არც ამან გამოიღო შედეგი. ბოლოს, როგორც იქნა, ჩაეხეთქა პირველ სართულზე და მაშინვე ხელმარცხნივ გაეხვია დერეფანში, რომლის გასწვრივაც რამდენიმე გასახდელი იყო ჩარიგებული. აქედან, ამ გასახდელების გავლით, სამანქანო საამქროშიც შეიძლებოდა შესვლა და დიდ ეზოშიც გასვლა პირდაპირ, ზუსტად ალაყაფის კართან. თუ წასვლა უნდა და წავიდეს, მისი ნებაა, ერთი სათხოვარი აქვს მხოლოდ ქალბატონ ლაგრიუელს — ქარხნის ეზოდან როგორმე შეუმჩნევლად გავიდეს, მის პირად სამფლობელოში ნუ გაივლის, ნუ გაივლის ბაღზე, ნუ შევა სადარბაზოში და ნუ გავა — რას იზამ! — თავისი საკუთარი სახლის კარიდან. ასე, ხმის ამოუღებლად მიუძღოდა წინ ერთი მეორეს ამ ვეებერთელა ეზოში. ანაზდად მანქანის ზეთის გუბემ გადაუღობათ გზა.

— მაინცდამაინც ამ შუა ეზოში უნდა გამოუშვან ზეთი, სხვა ადგილი აღარ არსებობს ამისათვის! — აბუზღუნდა ქალბატონი ლაგრიუელი. მისი მხლებელი კი თითქოს გაახარა კიდეც ამ ამბავმა:

— ასე იყო ამ ოცდაათი წლის წინათაც, არის მაინც რაღაცა, რაც არ იცვლება!

ქალბატონი ლაგრიუელი შეწუხებული შესცქეროდა გუბეს, თავისუფლად შეეძლო გადაებიჯებინა ზედ, მაგრამ ფეხს ითრევდა. მერე მარჯვნივ გააპარა მზერა — ფონი ეძება ერთხანს, ბოლოს თხემით ტერფამდე გაწითლებული შემობრუნდა უკან, რათა ირგვლივ შემოევლო ამ გუბისათვის და ამ დროს შეეფეთა კიდეც მისი თვალები ანრისას.

— დიახ, — თქვა კაცმა — ასე აჯობებს, ერთი გავლა ხომ უნდა გამევლო მაინც ოაზისში?

— ოაზისში? — ყური ცქვიტა ქალბატონმა ლაგრიუელმა და მისდა უნებურად ზ-ზე მოუკიდა ენას. — როგორ, თქვენ გახსოვთ ეს ბაღი? რას ვეძახდით, ისიც გახსოვთ?

— მართალი გითხრათ... — კაცი ახლა უკვე გვერდით მიჰყვებოდა თავის მეუღლეს, ოღონდ ცდილობდა ძალიან ახლოსაც არ მისულიყო, რათა შემთხვევით იდაყვები არ გაეკრათ ერთიმეორისათვის. — ამ წუთში გამახსენდა.

ცოლ-ქმარი ეზოს ბოლოს, ქარხანასა და სახლს შუა მოქცეული, ყოფილი საფოსტო სადგურის ბაღის მეჩხერული ღობისაკენ გაეშურა. თავის დროზე, რომელიღაც პაპამ თუ პაპის პაპამ, ეპოქის მაჯისცემას რომ უსწორებდა ფეხს, ეს ბაღჩა პატარა სკვერად, თუ რაღაც ამის მსგავსად გადააკეთა — აქ იყო გვირაბიც და ხელოვნური გამოქვაბულიც, წითელი თევზებით სავსე პატარა აუზიც და გაკრეჭილი, ვეებერთელა ბურთებს დამსგავსებული ბზის ბუჩქებიც, დეკორატიული ცოცხალი ხალიჩებიც და, რაც მთავარია, სკამები, მარტოოდენ ლაგრიუელის სახლის კუთვნილება რომ იყო. აქაური შემოქმედების ნაყოფი და აქაური ოსტატების ნახელავი. ორმოცი წლის წინათ, ერთი, ღია ფერის კაბაში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალი, უხვად დაჯილდოებული და კარგად აღზრდილი, მანერების მადლით ცხებული ცნობილი სირაჯე-

ჰის სოლანტების უმცროსი ქალიშვილი, საგულდაგულოდ გათვლილი და გაანგარიშებული შემთხვევის წყალობით, ამ ბაღში აღმოჩნდა ლაგრიეულის სახლის მემკვიდრის პირისპირ. ასაკმაც თავისი ჰქნა, აქეთ კიდევ საყოველთაო კეთილმა განწყობამ — ფერი ფერსაო — [illegible] პაერი და ახალგაზრდებმაც იფიქრეს, [illegible] ერთმანეთი. ქალბატონ ლაგრიეულს ახსოვდა ეს დღე და ყოველი სხვა, ახალი შეთანხმების მიღწევის შემდეგ ოაზისში განმტკიცდებოდა ხოლმე გულითადობის ატმოსფეროს, საქმიანი საუბრის მერე აქ იწვევდა ქალიშვილს ყავაზე. ახლა კი ანაზდად მკრეხელობად მოეჩვენა ეგეც და, რადგან იმ წუთში [illegible] ნაზე ედო ხელი, სრულიად დაუფიქრებლად. ისეთი რამ თქვა, არაფერი შუაში რომ არ იყო თითქოს:

— შადრევანი... აი, ვარდის ბუჩქიდან რომ ამოდიოდა, აღარ არის. მაგრამ ეგ სხვა გაუკეთებიათ.

ბაღში რომ შევიდნენ, კაცმა ენა გააწკლაპუნა მეყსეულად და თავისთვის ჩაიბუბუნა: — მმ... რა თქმა უნდა, რა სულელი ვარ! — არ კი დაუზუსტებია, რატომ იყო სულელი. ფრთხილად მიიწევდა წინ, გვერდიბოდით, კვერცხებზე აბიჯებსო, ერიდებოდა ხეივანში მოყრილ ქვიშას. ქვიშა არც ეთქმოდა — ქვიშის მტვერი იყო უფრო, წვრილკბილებიანი ფოცხით სულ მტკაველ-მტკაველ მოუსწორებინათ და მკაფიოდ აჩნდებოდა ზედ მისი ფეხსაცმლის ლანჩის უმცირესი ზოლიც კი. მისი მზერა ყველაფერს ედებოდა ირგვლივ — ურთხმელებიდან გაზონებზე ინაცვლებდა, გაზონებიდან სანახევროდ ფოთლებგაცვენილ ბუჩქებზე და ვერსად ვერ ჩერდებოდა დიდხანს, მის დამაბულ, ერთიანად მორღვეულ პირისახეზე ნამდვილი ბრძოლა ჰქონდათ გამართული ერთმანეთში ნაოჭებს. ბავშვიც მიხვდებოდა, რომ ამჯერად უკვე იგი ძლევდა შიშს, ამჯერად უკვე იგი ცდილობდა გაქცეოდა თავის თავს, დამალვოდა, დაეცვა თავისი თავი თავისივე თავისაგან. მაინც რად მოინდომა ამ ოაზისის მონახულება? სავარდეს ისე ჩაუარა, არც შეუმჩნევია — არ შეუმჩნევია, თუ არ მოინდომა, შეემჩნია? გამოქვაბულსაც აარიდა თვალი, აუზსაც, სადაც წითელი არა, მაგრამ სამიოდე ვარდისფერი კობრი კი დაცურავდა. გაღიზიანებულმა შეატეხა წკირი რომელიღაც ხეს და იმის ღეჭვას შეუდგა. ქალბატონ ლაგრიეულს ფეხები უკანკალებდა უკვე მოახლოებული ეზო-კარების შემყურეს. კიდევ ორი მეტრი, ნაქლები — ათი, და ველარ მოასწრებდა მერე, მიეხვედრებინა იგი, რომ ცდებოდა, რომ ამ სახლშიც ისევე შეცვლილი იყო ყველაფერი, როგორც თავად იყო შეცვლილი. ვერა, ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა. არადა, უკვე მიუახლოვდნენ შესასვლელს, აიარეს კიბე, სტუმარმა თვითონვე შეაღო კარი და შემინულ კარაპანში შეაბიჯა.

— ანრი! — დაიკვნესა ქალბატონმა ლაგრიეულმა.

ანრი შეტორტმანდა ერთი შეტორტმანება, მაგრამ მყისვე მოეგო გონს. გაიშეშა უცებ ნიკაპი, თავი მაღლა ასწია და ყური დაცქვიტა იმ პატრონივით, ხელქვეითებმა ზედმეტი სიტყვა რომ აკადრეს. თავმჯდომარემ კი დაირცხვინა ამ დროს, ვერ გაბედა მისი აყოლა. ანკი როგორ აჰყვებოდა, — მეტოქე ისე არ დაგნებდება, თუ არ დააჩოქე, ეს კი ჭერჭერობით არად აგდებდა ანაურობას.

— ანრი! — წამოიწყო კვლავ ქალბატონმა ლაგრიეულმა, ყოველ მიზეზ გარეშე რომ უნდოდა, რაღაც ეთქვა. — რას აკეთებთ თქვენ აქ, რას საქმიანობთ?

— განა არ იცით? იმასვე, რასაც თქვენ საქმიანობთ, ჩემი გვარია ბრაუნი. თუმცა ჩემი გვარი ალბათ არაფერს არ გეუბნებათ; „დ.ტ.“-ა ჩემი საქმე. თუ არ ვცდები, ეს უფრო გასაგები უნდა იყოს თქვენთვის.

„დასავლური ტყე“ — ღმერთო ჩემო... — სახტად დარჩა ქალბატონი ლაგრიეული.

ამ ამბავმა საბოლოოდ მოუთავა ხელი. ახლა ისღა დარჩენოდა, რომ თითი მოეკაკვა, განრიდებულიყო. გული აუჩუყდა უცებ — რა სასაცილოდ გამოიყურება ალბათ ამ კაცის თვალში, ვისი ცნობაც კი არ უნდოდა ამ ცოტა ხნის წინათ, ვის უარყოფასაც ცდილობდა ასეთი დაჟინებით. რაღაც წვრილმან ანგარიშიანობას სწამებდა კაცს, რომელიც თურმე ამ საქვეყნოდ ცნობილ კომპანიას ედგა სათავეში... ინიციალები კმარა მარტო მისი, სულ ორად ორი ასო, რომ უმდაბლესი თაყვანისცემით და მოწიწებით განიმსჭვალოს მის მიმართ ყველა, ვისაც ტყესთან და ხე-მასალის დამზადებასთან ჰქონია ოდესმე საქმე. ო, რა კარგი სანახავი იყო ახლა ლაგრიეულის პაწია კომპანიის ეს პაწია თავმჯდომარე! იმ გადაცმული მეფის ამბავი გაგახსენდებოდათ, ვიღაც გუდამშიერ აზნაურიშვილს მოთანს რომ ეუბნება, ის კი არას დიდებით არ უკადრებს თავს. სტუმარი არაფერს არ იმჩნევდა და ქალბატონმა ლაგრიეულმა იცოდა, რომ ამას იგი უნდობლობის გამო კი არ სჩადიოდა, არამედ — მოიარების გამო. კაცსაც სწორედ ამისი ეშინოდა — არ უნდოდა, დამფრთხალიყო მისი ცოლი, უკან დახევაზე

ეფიქრა, ეფიქრა იმაზე, რაზეც ის მართლა ფიქრობდა ახლა: „დავაცადევინო? კი მაგრამ, როგორ? ეს შესაძლებლობა მე უკვე გავუშვი ხელიდან. რას იფიქრებს, ახლა რომ ვუთხრა უცებ, მოიცადეთ-თქო?" არა, იდიოტის იმაზე უფრო დიდ სასჯელს ვერავინ მოუგონებს, თვითონ რომ მოუგონებს საკუთარ თავს: რასაც უარყოფ, მაინცდამაინც ის გადაგწყვეტს და მოგიღებს ბოლოს. შეგნება იმისა, რომ ჩაშალა სასწაული, ცხოვრება ჩაშალა.. ჩაშალა ის ორი პარასკევი, დღეის ამას იქით რომ დარჩენოდა კიდევ, გონებას უწამლავდა ამ [illegible] და სამუდამოდ მარტოობისათვის განწირულ ადამიანს, მხრებში მოხრილი, ყურებჩამოყრილი და ხმაშეცვლილი კბილების კაწკაწით რომ ცდილობდა, რაც არ უნდა დაჯდომოდა, მაინც გაეგრძელებინა საუბარი:

— სხვა... როგორ ცხოვრობთ? კიდევ რას საქმიანობთ?

— არაფერს, — თქვა „ბატონმა ბრაუნმა", — სხვა რამის კეთება მე არ შემიძლია. ეს არის სწორედ ჩემი უბედურება... და თქვენიც. ჩვენს შორის მარტო ის განსხვავებაა, რომ მე ვიცი ეს, თქვენ კი...

ბატონი ბრაუნი ადგილს ტკეპნიდა და წასასვლელად გამზადებული კაცივით თავისი პალტოს ღილებს ამოწმებდა. ცოტა არ იყოს, უხერხულ გულმოდგინებას იჩენდა ამ საქმეში და შემპარავი ღიმილი უციმციმებდა თვალებს, მაგრამ ქალბატონ ლაგრიფულს ნამდვილად აღარ ჰქონდა იმის თავი, ეს რომ შეემჩნია. სასომიხდილი ჩაესვენა სავარძელში — კარაპანი ზოგჯერ მოსაცდელის მაგივრობასაც სწევდა და ამიტომ ოთხი კარგა მოზრდილი სავარძელი იდგა იქ — ხელები მუხლებზე დაიწყო, თუ დაყარა, ფარ-ხმალივით. შეეგუა თავის ხვედრს. შეეგუა ამ აზრს, რომ ორი სნეულის ხელახალი შეუღლებით შეიძლება კიდევ უფრო გართულებულიყო ორივეს მდგომარეობა, განკურნებით კი მაინც ვერ განეკურნათ ერთიმეორე. შეეგუა იმასაც, რომ ამიერიდან ყველაფერს საქმისათვის ივარგებდა და მოსვენებასაც საბოლოოდ დაჰკარგავდა. არაფერი აღარ უნდოდა, იმასღა ნატრობდა მხოლოდ — ერთი საათი, სულ რამდენიმე წუთი მაინც მოემადლებინა კიდევ ამ კაცს მისთვის და ეს ნატვრა, ეს მუდარა, ენის წვერზე რომ ჰქონდა მომდგარი, სრულიად მოულოდნელი ფორმით და ძალიან უხეირხულად გამოსცდა კიდეც ბოლოს მის ტუჩებს:

— დარჩი!.. სადილად მაინც დარჩი!

გული ამოაყოლა ამ სიტყვებს, მერე სიმამაცე მოიკრიბა და თვალებში შეხედა კაცს. შეხედა და იმწამსვე მიხვდა, რომ გადარჩა. შენობით მიმართვამ თავგზა აუბნია ბატონ ბრაუნს, ბატონი ბრაუნი უკვე მზად იყო, გამოსალმებოდა სიცოცხლეს, დაკარგულიყო, გამქრალიყო, შერეოდა თავისივე ორეულის ჩრდილს. როგორც იქნა, გამოეყო ბატონ ბრაუნს ანრი ლაგრიფული, მეტის მოთმენა აღარ შეეძლო უკვე და სახეშეცვლილი და გახალისებული, სიცილით შეუდგა თავისი პალტოს ღილების შეხსნას.

□

# ფრიდრიხ ჰოლდერლინი

## ლექსები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გერმანულიდან თარგმნა ნაირა გელაშვილმა

●

ორმოცი წლის განმავლობაში ერთიან დაბინდულ ცნობიერებას ფრიდრიხ ჰოლდერლინისას, ვიდრე იგი სააქაოს დაეთხოვებოდა, ეწვევნა სიყრმითვე ნალოლიავები ელადა, ელადა პირველყოფილი, მრავალი ხალხის შემრწყმელი, აზიისა და ევროპის ერთ პერსპექტივად შემკვრელი, ელადა — დიონისე, საწყისი და შუაგული ყოფიერებისა, მარადიული ცენტრი, იმ არქაიკაში ჯერაც არ სჭვიოდა ცივი ნათელი ჰომეროსისა, ცხელი, მფეთქავი იყო ყოველი. ეგ იყო დედა მერმინდელი გერმანიისა: იქ იშვა და იქით მიიმართა მერმინდელი ღმერთი (ს. ცვაიგის წიგნი „დემონთან ჭიდილი", ციკლიდან „აღმშენებელნი ქვეყნისანი"). ელადის თავისუფლების გამონაგონებამ შეაცნობინა მას სამშობლო ჭეშმარიტი, ჭეშმარიტი გერმანია. ჰოლდერლინს ძალუძდა ეთქვა:

„ულიონთა ყვე ფრთები სამიჯნურო საგალობელთა,
სხვა არის წმიდა, ზეციური სამღერალი სამშობლოისა".

ძნელიათ ღმერთკაცის ხვედრი — განაცხადა ჰოლდერლინმა რაინისადმი ჰიმნში. ხელოვანი ზეცის მონად არის შეწირული. იგი უნდა ემსახურებოდეს ზესთა იდეალს, რათა თვისივ სიწმინდით გამოისყიდოს სულშიდ შთაბერვილი ტიტანიურობა. მარადი წყევა ესე ხელოვანთა (მითვე გამოისყიდება ოდინდელი დაცემა სულებისა). ლექსი „რაინი" გამოვლინებაა პირველქმნილი ღვთიური სიწმიდისა. მდინარის ლამაზ სახელს — რაინს — შეხამებია იშვიათი კომპოზიტი — წმიდივ ნაშობი — Reinentsprungenes — შინაგანი სემანტიკა ამ სიტყვისა — entsprungenes — მოგვაგონებს წყლის ხლტომას, დინებასა და თან სისუფთავეს. ერთხელაც შეიკვრება ორივ მცნება „წმიდისა" და „მდინარისა" (Rhein) ასეთია უზენაესი იეროგლიფიკა პოეტის სულისა, — დამფარველიცა და გამცხადებელიც.

ჰოლდერლინს არ რგუნებია გოეთესებური ცხოველი ნება, ყოვლის გამწონასწორებელი. განწმენდილი სული შეუდგა სიმაღლეს და მაშინ იყო, მოწყდა, ბნელს შთაინთქა, ოღონდ ეგ გახლდათ არა ჰომეროსული „დაბრმობა", არამედ სულ სხვა, მერმინდელი ეპოქის სენის — პარანოიზმის წინარე გამოვლინება (იგივე იწვნია მოგვიანებით ედგარ პომ).

თუმცაღა კაცთა ცნობა უჭირდა, მის ბაგეს არაერთგზის წარსცდენია უდარებელი სილამაზის სტრიქონი თუ საგალობელი (მაშინ, როცა, ცვაიგის თქმისა არ იყოს, ჭმუნვით ძლეულ დიდ პოეტებს ძლივსაც ძნელად რომ ვიწმეს შერჩენოდა იმპროვიზაციის ნაშთი). დოქტრინალური კრიტიკა მას ევროპულ ლეგენდად, ახლებური რელიგიის ქადაგად ისახავს, ეგზისტენციალისტური თვითდანთქმა რომელიც [illegible] არამედ ქაოთა შეწრებული შინაგანობა, უმთრესი კაცობრიობა — [illegible] წინააღმდეგობა. ზეგარდმოვლენილი და იმავ დროს ტალაკნაირი მიწიერი სამშობლოს ნატვრა იყო ჰოლდერლინი (მიწიერისა და ზეციერის ამგვარი შეზავება, ორფეოსული ახმიანება — ქართველი გენიის გალაკტიონის ბედსა და აღსასრულს გვახსენებს ჩვენდაუნებურ).

ჰოლდერლინმა გაიარა კაცური გზა, გერმანელი ოლიმპიელებისათვის უცხო, მიუღებელი. იგი იყო პირველ-სახე ახალი ევროპელისა, კაცი, რომელს ისტორიული ტრფიალი კოსმიურ სიყვარულად შემოექცა. პირადი ტრაგედია — კოსმიურ რყევებად, ცინად, აღტაცებად (სული — მატერია — სიყვარული — ქაოსი და ყოვლის სინთეზი — ჰარმონია, უზენაესი პანგი. ვარაუდობენ, ამ ჰოლდერლინისეულმა სინთეზმა კვალი დაატყო ჰეგელის დიალექტიკურ ტრიადას). ფიხტეს აბსოლუტური „მე" — ბუნებისაგან გათიშვა (ექსტრემი) ბუნებასვე შეაგუა და შეუწყო. მითვე გამოავლინა ახალი რაობა კაცისა, მისი ახალი თვისება, ახლებური აღდგინება. მონაპოვარი ეგე შეუძლებელია არ ეცნოთ მის მეგობრებს — ჰეგელსა და შელინგს.

ბაროკოსკამინდელი ფილოსოფოსის პერიფრაზით რომ ვთქვათ, ჰოლდერლინმა შესძლო როგორც გარემომცველი უსასრულობის ზღვაში, ასევე თავისთავშიაც გაეკვნობიერებინა მარადი სინათლის მბრუნავი წრე. ზენარი ჰარმონიის გამტარი ვერა და ვერ შეეთვისა კაცობრიობის არასრულყოფილ არსებობას და უუმთრეს წომავალს მიენდო. ეს იყო უდიდესი ესქატოლოგიური სწრაფვა, წრფელი, დაუფარავი, სწრაფვა იმ კაცისა, რომელიც უნებლიე შემცოდეცაა (მასშიც ამორგებული დემონის კონსტატაციის წყალობით). ჰოლდერლინმა პირადი ხსნა კაცობრიობის ხსნამდე აღამაღლა.

პიროვნული საწყისის ესოდენი ამოზიდვა სწორედაც უმაგალითოა მთელ იმდროინდელ ევროპაში. მისი ასტრალური სხეულება ერთიან აეწყო და წარეზიდა ეთერს — ეს იყო უმაღლესი აღრჩევა (ამჯერადაც გაგვახსენდება გალაკტიონი). ი. ბეჰერმა, ჰოლდერლინის პოეზიის მადმერთებელმა, ერთ-ერთ წერილში წარმოაჩინა დიადი გერმანული ტრიპტიქონი სულისა: მათიას გრუნევალდი — ჯვარცმა (იზენჰაიმის საკურთხეველი), ფრიდრიხ ჰოლდერლინი — ჰიმნები, სებასტიან ბახი — ფუგები.

ჰოლდერლინმა განჭვრიტა სულ სხვა თავისუფლებით განახლებული კაცობრიობა, რამეთუ უწყოდა:

"მიწის ნაშიერთ ნიადაგ ესე
აურთსიმით სიახლე და სიუცხოვე!
ვეუდრო, შინაგან ბოგინობას მიესწრაფის ვითარ მცენარე,
ვგრეც ოთხფეხი ხალისითსავსე.
თვისით ოდენ შემოზღუდულან და საზრუნველი ეგულვით ერთი —
რომ იარსებონ, ამ სამანს მიღმა აზრი მათი ვერ გადააღწევს.
ადამისშვილს კი თავადვე მოსდგამს ძალი ესე განჭაბუკების,
არაამქვეყნიური და უჩვეულო სწყურიას მარადის".

ჰოლდერლინის ლექსი უარჰყოფს სახოვნებას, სხივოსნებასა და უცხოდ ცვალს მიელტვის იგი: არ თანსდევს პოეზიისთვის უცილობელი

პლასტიური ლანდები (ს. ცვაიგი): მოუხეშავი, ხადა და მარტივია (თვისავ სათაყვანებელ პინდაროსს ოდებსაც ხომ ასევე აღიქვამდა). წყვეტილი, დაშორიშორებული სტრიქონები, უცხო ემოციითა და ურყეული წარმოსახვითი ძალით შეერთებული (ჰოლდერლინისეული [illegible]ბური შემოსილობა ლექსისა), სიწრფელე, ჭაბუკური [illegible] შინაგანი მოუცხოებელი მუსიკალობა — ყველაფერი ერთად ჰქმნის იმმატერიალურ სტრუქტურას, ჰოლდერლინისებურს. განცდა როდი გარდაისახება, არამედ ქრება, აალდება, იმქვრევა, ერთ ღრუბლად, ერთ მელოდიად გაზავდება (ს. ცვაიგი).

ჰოლდერლინისეული სტრუქტურის გადმოტანის, ანუ მისი შეძლებისდაგვარად კვლავაღდგენის მიწადინვა ეს თარგმანიც.

**მთარგმნელისაგან**

## ყარიბი

მარტოეული ვდექ — აფრიკის ფიცხელ ველებს თვალნი ვუწვდინე
კიდითი — კიდე, ცეცხლმა აწვიმა დედამიწას ოლიმპოს გარდმო.
შორეთიდან წამოიპარა მლივი ქედი, ხერხემალი რამ მოქანავე —
კვლავ გაშძარცული, განღვრმილი პიტალო თხემი მაღლა-მაღლა
ამორღვეოდა.
ჰე! არაოდეს დაიხეთქავს მუნ ხასხასა ტევრი დიდჩრდილოვანი,
მოშარიშურე ჰაერს სალუქად და მზვაობრად არაოდეს აეტანება.
მწვერვალებიდან დასხლეტილი ნაკადულები ტკბილხმიანად არაოდეს
დაირხევიან,
არცა გაჰკვლევენ ყვავილგადავლილ მდელობს ვერცხლისფერ ნაკადად
მერმე.
არა ნახირი დაისამხრებს წყაროთა ნაპირ თავისნებისად.
ხეებშორის არაოდეს იმჩინარებს მუნ სახლაკი მგზავრის მიმხმობი.
ჯაგის ძირისძირ სიდინჯით ჯდა ფრინველი რამე ჰანგისუჩვევი.
შიშნეული და აწრაფებული ყარყატთა გუნდი განელტვოდა
მიდამოებას.
წყალთა ამოთა მოღებად როდის გეზრახე, მე, დედაბუნებავ! უდაბნოთ წიაღ
ისეც მიმელის აქლემთა სათნოდ რუდუნებით მონაგარი ცვარი
ცხოველი —
ჰალის სიმღერა მომესმინა, მომეხილა სახე ცხოვრების, ხატებანი
ფერად-ფერადნი,
ამად გვედრიდი, მშობლიურთა წალკოტთა კრთომას განრიდებული,
შეგთხოვდი კი თურმე ამაოდ: წარმომევლინე ცეცხლოვან და ზვიად
რამეთუ,
ერთია მხოლოდ: უფროის ღვთიურ, უფროის მშვენ განმიტკბობდი
თვალთა ოდესღაც.

კვლავ პოლიუსი მოვიხილე ყინულოვანი. ვითარ ქალი
ქვადქცეული — მუნ ზღვა საზარი აღგმულიყო ზავთით ცისკენ.
სამკვდროის ძილად დაცემული სიცოცხლე ბრკმულ და თოვლით იყო
შემოგარსული —
გარკინებული მძინარება მისი ამაოდ მოელოდა დღესასწაულის
შემობრუნებას.
ჰე! მკლავი დიდის ოლიმპოსი, განმატფობელი მიწას მუნ როდი
შემოსჭდობია,
ვითარცა სატრფოს სხეულებას ცხელი მარჯვენი პიგმალიონის.
არაოდეს ულელვებია მკერდნი წიაღთა ოლიმპიელს მზეებრის ელვით,
არცა ისხარით და ცვარნამით უსაუბრია მოყვასურად წინარე მათთა.
დედათ მიწავ! გეზრახე მე: ქვრივოხერი შთენილხარ-მეთქი, უშვილოსნოდ
შერჩენილს აგრე გამყოფებს მეთქი აქაურთა ჟამთა ნელობა.
არა ნაყოფთა გამომსთვლელო, არა პირმშოის გამომზრდელო დედურ
მცდელობით,
კვალად შვილში თავის ხილვა არ გევების ხანმოთეულს —ეგ არს
სიკვდილი!
ოდესმე იქნებ შენც გაგალღოს სხივოსნებამან ცისადცეერმან,
შენს ლატაკ თვლემას სუნთქვით თვისით მოესათნოოს;
შემოისკდინო მარცვლისდარად შენაც გარსნი ბრინჯაოსანი
და გადმოზიდო რასმე სამყარო, მძიმე კვირტებად ახვეწილი და
კრძალეული.
ძალი შენი დანაზოგარი დაეგზოს ეგებ სატრფიალის გაზაფხულისად,
აფურჩნოს ვარდნი და აჩქროლოს მზის ბადავი ჩრდილოეთის
სიდუხჭირეში

მე კი პირს მივქცევ რაინისაკენ. სვიანია მამული ჩემი.
წინანდებურად მომქროლონ მე მშობლიურთა ნაზთა სიოთა.
წყნარი ხეები ელამუნოს გულს აღმსწრაფველს, ჩემად მთნეველი —
ერთი დრო იყო, მკლავები მათი დანდობილად მანანავებდა.
ნეტარი მწვანე, იგივ მოწამე მარადიული, მშვენიერი არსებობისა,
განმაცოცხლებს და სიჭაბუკედ მიმაქცევს კვალად.
ან ვცან სიბერე. ყინულოვანმა პოლიუსმა დამაჩნია ეგ პირმკრთალობა
და ალკიდებამ სამხრეთულმა დამაცვივნა წმიდად კულულნი.
მაინც კიდევ, ვითარ ავრორა თვის ტითონოსს, მშობელო მიწავ,
ძეს შენმიერს შემომეჯარე მოცინარის ყვავილოვნებით.
კურთხეულო! წიაღ შენსა ბორცვი ისე არ აზიდულა, ვაზის ფესვი არ
დაჰხვეოდეს,
ატალღულ ბალახს შემოდგომით ქვე აწვიმებენ ნაყოფს ხეები.
და ჩქერალებში ფერხთ განიბანენ მთანი მღვიკარნი,
რტოთა და ხავსთა გვირგვინებით განიგრილებენ მცხინვარე შუბლთა.
ისე, ვითარცა დიდპაპას მხრებზე ატორლება სჩვევიათ ბალღებს,
ეგრეთვე მთის წვერს შეჭიდებია ალაგ ქოხი, ალაგ კიდევ ციხე-
დარბაზი.

გამოუსლტება ტყეს ირემი მშვიდობიანი და მზენათელს დაეშურება
და მობოინე შავარდენი მოცინარ ზეცას თვალთა მაღლითვე
მიმოატარებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბარში კიდევ, სად ყვავილებს მარჩენალი წყარო ეგების,
მდელოს ნებიერ გადაწვდენია ბეწო სოფელი.
სიმყუდროვეა იქ. ძლივძლივობით მოგვეყურება ზუზუნი მრჯელი
წისქვილისა,

დალმა-დალმა მთას მოუყვება გაჭედილი ფერსოს ჭრიალი.
კანტიკუნტადღა გამოისმის მოპირული ცელის წკრიალი საყვარელი
და შეძახილი გუთნიდედისა, ხარს რომ მიდენის ბიჯებ-ბიჯებით.
საყვარელია დედის ნანა, ბალახწვედ მორთხმულს ყრმა კალთაში
ჩაუწვენია,

მზე ეფერება ძილშიდ მოღიმარ ჩვილს, ვარდობისთვის.
გაღმით, ტყის პირას ჭიშკარი დგას დაყრუებული, თელის ვარჯი
გადაჰფარვია,

აფურჩვნილა და ღობეს მჭირხნედ შემოჯარვია ანწლის ყვავილი —
მიმირქმევს სახლი, ბაღნარის ჩერო იდუმალი, სად მამაჩემმა
ნარგთა ტოლ-სწორად სიყვარულისა თვისისაებრ მზარდა ოდესღაც—
აჩურჩულებულ ტოტებს თავზე მოვექცეოდი, თითითნახავით ხალისიანი,
ვიშვებდი ჩემთვის,

სურნელმოდენილ თივის ზვინში შუბლს შევფარვიდი.
პუნებაო სამშობლოისა! ერთგულ მეყავი ესეოდენ, კვლავინდებურად
ალერსიანი და მზრუნველი ივრდომებ ლტოლვილს.
კვლავინდებურად დამწოდებიან ატმის ხეები, ჩემს სარკმელს კვლავაც
ავარდნია სავსე მტევნები, მოწევნილი ჩემდა მთნეველად.
ალალბედ ლუის ალუბალი და აგრერიგ წარსატყვევნელად.
წაწვდილ ხელსაც ალალბედად და თავისით დაეზიდება რეხი რტოები.
მთნევს და მორისშორ გამიტყუებს ბაღით ბილიკი, ტყის სამოსელს
დაულეველს

შემალწევინებს ანუ ქვექვე ჩამომატარებს საქცევს წყაროსას.
მზევ სამშობლოის! დაფენილ ბილიკს მეწამულად ამიფერადებ, ათინათი
შენი

განმატფობს, გუგისა და გუგის შუა უწინდებურად დათამაშდება.
შევსვამ ალსა და შევსვამ სულსა, მზევ, სალხინოის შენის თასითგან,
არაოდეს მინებდეს თვლემას შენით მღვიძარი, ეს ნაწამები ჭალარა
თავი.

სათნოო მზეო! ბაღლობის ძილს რომ დასწყვიტე და განმიღვიძე ოდესღაც
მკერდი

შენგნივ ხმობილი, თვინიერ ძალით რომ აღმამაღლე და გამაქანე,
აჰანდე, უფრო მონდობილი და უფროის განბრძნობილი კვლავ
დაგიბრუნდი,

მოვირჭმო რათა მშვიდობაი, ყვავილთა ფერხთით დავუნჯდე რათა.

## მუხები

განვეშორები ბაღ-წალკოტთა, დავეშურო რათა თქვენდა, ძენო მთისანო!
დავაგდებ ბაღნარს, სად თმენითა და სიმყუდროით მყოფობს, მუხებო!
მიწყივ მზრდელი და მიწყივ ნაზარდი, მაშვრალთა სოფლის
თანამყოფელი.
თქვენ თქვენგნივ ერთნი ჰხმევთ სიდიადეს! დგახართ აგრე ტიტანთ
ტომივით
ამ ბერწ ქვეყნად, თავისა და იმ ცის ამარი, გკვებათ რომელმან
და გამოგზარდათ, თქვენივ მშობელი მიწის ამარი.
ადამისშვილთა რამ სამოსწავლოს თქვენგანი არვინ დაწაფებია,
შვებასავსენი, მოლაღენი მხარდამხარ აგრე აეტანენით ღონიერ ფესვთა,
ეგე სივრცეცა მიიპყარით ძალუმ მკლავებში, ვით არწივმან არჩივი თვისი,
ღრუბელთ წინარე დაიდგინეთ მოცინარი, დიადი ესე გვირგვინი მზისა,
სამყარო არის თითო-თითოდ ყველა თქვენგანი,
მნათობთა სწორნი იქმენით და თითო-თითოდ დაჩნდით ღმერთებად,
ძმობა ჰქმენით თავისუფალი.
მე რომ აგრერიგ დავთმენოდი სოფელთ მონებას, არც წარმტყვევნიდა
ტყის მეუფება,
ადამისძეთა საკრებულოს შევემხრობოდი მაშინ უდრტვინველ.
მე რომ აგრე არ შევემსჭვალე კაცთა მიმართ გულს, ვერდამთმობელს
სიყვარულისა,
ვითარის შვებით შორის თქვენსა, დიდმუხებო, დავყუდრდებოდი!

## ცეცხლ-ეთერისადმი

აგრე მისანდოდ, მოყვასურად, ვითარ შენ მამავ, ცეცხლ-ეთერო,
რომელ ღვთაებას, კაცთაგანს რომელს ძალუძდა, აბა, გამოზრდა ჩემი;
ვიდრე დედაი მიმირქმევდა თვისად მკლავებში, ძუძუნი მისნი მასმევდნენ
ვიდრე,
უწინარეს შენ მიმიპყრობდი ალერსიანი, ციურ სასუმელთ განმიწოდებდი,
გულის კვირტშიდვე უპირველეს ჩამისახლებდი სუნთქვას წმიდასა.

საზარდელს ოდენ მიწიერსა როდი კმარობენ არსებანი,
არამედ შენ ჰყოფ შენივ ნექტრით საზრდოობას, მამავ, ყოველთა,
სავსებას შენსას მარადიულს ამოაწევს და წარედინება
სით მშვინველი, პირწმიდად რომ განტოტებია სიცოცხლის ღართა.
ამად გეტრფიან, მამავ, ყოველნი, მორკინალნი და
აღმსწრაფველნი შენდა, შვებად ესე ნაზარდნი.

ზეციერო! განა შენკენ არ დამართულა მცენარის თვალი,
განა შენდამი არ გადაშალა მორიდალი თვისი მკლავები ჯაგმა
მიწადდატოლებულმა.

მარცვალი წიაღს მომწყვდეული, შენივ მქებნელი, გარსს დაისკდენს მარტო იმისთვის,

რომ განაცოცხლო და შენმა ტალღამ განბანოს მერმე.
თოვლის დახურხლულ სამოსელს თავად ჩამოიბღერტავს ტყე-დაჩნექილი.
თევზი რა არი, ალმა-ალმა მოეტევება ჭევლიან სარკეს, ალმა [illegible] რაღაც სწადია,

თითქო იგიც გეპირება თავის აკვნიდან, ის კი არა, კეთილქმნულ ოთხფეხს მიწიერსა

ფრენად უჩანს ნაბიჯი თვისი, ოდეს ლტოლვა დაუძლეველი,
შენდამი ტრფობა იდუმალი სჭოლავს ერთიან
და ერთის ძალით ზევით-ზევით მიეზიდება.

მზვაობრად აგრე აიძუებს მიწას ტაიჭი, მოშვილდული ფოლადი-ყელი
მაღლა-მაღლა მიეტანება, ერთი რა არის, წაიკაროს ფლოქვი ქვიშაზე.
თითქოს და ისე, სასეიროდ, თამაშ-თამაშ ჭლიკი ირმისა შეღერილ ბალახს

გაეწოდება, არ გაატოკებს და იმ ნაკადულს, ქაფი თავქვე რომ მოუგდია,
ზეფირივით გადაევლებ-გადმოევლება ირემი მერმე და ბუწკნარში შეიმალება თვალშეუვლები.

ციურეთერის რჩეულნი კიდევ, სირნი ნეტარნი, მამის მარადი დარბაზის წიაღთ

ბოგინობასა და ეგე თამაშს შესჯერდებიან. ვრცეულება ესე ფრიადი
იტევდეს ფრთოსანთ და არცა რომელს დაებედოს წალიკ ბილიკი,
ლაღად სრბოლავდეს მამის ჭერქვეშ დიდზე დიდი და მცირეზე მცირეც.
თავზევით ესრეთ დამბრუნავენ ვიდრე ფრთოსნები, გულთა ოცვნანი
სასწაულად აღმიწვდეს მათდა, თითქო სამშობლო სათნომყოფელი
მაღლით მიხმობდეს, ალპებსა ზედა გადადგომა მომესურვება,
რათა ძახილი დავაწვედინო ოტებულ არწივს,
ვინ ჟამსა ერთსა ზევესის მკლავებს წარუტანა ყრმაჲ ნეტარი,
აწცალა დამხსნას მონობასა და მე ერთი აღმიტანოს ეთერთა დარბაზს.

კაცნი ნიადაგ გახელებულნი ვეფეთებით მერხევ ლერწივით,
რომელს ჭიგო გარდატყდომია, ცად აღმპყრობელი, მიწის პირად განბნეულნი

ფუჭად ვეძიებთ, ოთხივ მხრივ აგრე ვხეტიალობთ, ჰოი მამაო, ცეცხლ-ეთეროl

ამაოდ ვილწვით, რამეთუ ვნება ერთადერთი შენთა ბაღნართა წიაღ ცხოვრებად უპირველეს წარგვეტანება.
ზღვის ბობოქარ გულს ვეძალებით, რათა სივრცეთა გადაშლილთა წიაღ წყურვილი

დავიცხროთ ესე. თავისნებისად ათამაშებს ხომალდის კიჩოს ზვირთი და ზვირთი დაუსაბამო,
მრეთამრეობა ზღვათა ღმერთის გულის ფიცარს შვებად ეხლება და უკმარია მაინც გული,

უფროორე ღრმაა ოკეანე, ვენატრით რომელს,
ტალღა მისი უფრო მსუბუქი და მონარნარე,
ნეტარ არიან კაცნი, რომელთ ხელეწიფებათ
ჰყუდონ ხომალდი ზღვის მსერავი ოქროვანთა მისთა ნაპირთა.

ვიდრემდე აგრე დავნატრივარ თენებულ შორეთს, იმ დასალიერს,
სად ლაჟვარდ ზვირთით მოგიშლუდავს სხვათა ნაპირი,
კვალად ხეხილთა კენწეროებს გადმოჰყვები, ჰოი მამაო, ციურეთერო!
შორა-შორა მობიბინე გარდმოხვალ ჩემდა, გულს ზეაღმსწრაფველს
დამიყუჩებ,
წამისუმალ შემიბრუნდება ამოდ ცხოვრება, უწინდებურად დაემხრობა
მიწიერ ყვავილთ.

## რაინი

ისააკ ფონ სინკლერისადმი

გადმომხურვოდა სუროს სიღამე, ვეჯექი აგრე
ტევრთა ჭიშკარს, ოდეს შუადღემ
ოქროვანმა, წყაროთა დამართ
დაწაფებულმა ქვექვე ჩაჰკვლია
კიბე ალპების, ღვთიურადნაგ
ჩემად ჩენილის, ციურთა ციხედ
იტყვის რომელს ძველი თქმულება, მუნ
ჟამიდანჟამ კაცთა მიმართ
იდუმალება რამ ნებისად გარდმოდის კვლავაც;
იმა სიმაღლით შემეხმიანა
ბედი, რომელს არ ვიგულვებდი,
დამთბარ ჩრდილში რამეთუ სული
მეუბნა ესრეთ, ცოტაც იყო და
წარმიტანდა იტალიისკენ,
შორს განმაწვდენდა მორეას[1] ნაპირთ.

აწ მთების გულში, გადავერცხლილი
მწვერვალების და მოცინარი იმა მწვანის
ძირითძირამდე, სად ერთმანეთის მიდევნებით
ტევრნი მძრწოლვარნი
და თხემები სალის კლდისანი
დღის მიწურვამდე დაჰყურებდნენ მას,
მუნ მომეყურა, დასხლტომილი მტეხვრავ
უფსკრულებს,
ხსნად მავედრები ოხვრა მოყმისა.
მისივ მშობლის მიწის წინარე და

[1] მორეა — პელოპონესი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეხთამპყრობლის, მამის წინარე
ეგევითარსა დაჩივლებას მოწყალებით
ისმენდნენ ორნივ, ხოლო მოკვდავნი
განელტვოდნენ მიდამოს ამას,
ზარავდათ მოყმის დაბორკილის
ბორგვა და ზავთი,
ღმერთკაცისა შმაგობა ესე.

ჭყელის, უებროდ კეთილქმნულის,
რაინის, ლაღადშობილისა ხმა იყო ეგე.
სხვაგვარ იმედით აატოვა იმან მწვერვალებს
ძმანი თვისნი თესინ, როდანუს[2],
ხეტიალი ინდომა შორი, აზიის მხარედ
წარიდინა მოუთმინარე სული მეფური.
უვუნურია სურვილი მაინც
ბედის წინარე.
ბრმობილთა შორის
უპირველეს არიან მაინც
ძენი ღვთისანი. რამეთუ კაცმან იცნოს სახლი,
ეგრეც ცხოველმან იფლოს ბუნაგი,
გარნა ღვთიურთ სულმან უცადმან
არა უწყოდეს გზაი არსაით.

გამოცანაა სწორედ ხვედრი წმიდივნაშობის. ვერრა
სიმღერა გააცხადებს, რამეთუ საწყისს
ვერ გარდუხვალ სოფლად მყოფელი,
რაგინდ იმძლავროს შეჭირვებამ და გინდა წვრთნამან,
მაინც შობა უფლობდეს კაცსა, სხივი, რომელი
ახალშობილს შეჰგებებია.
განა იქნება კაცთაგანი,
თავისუფალი დაშთეს ეგრეთ
მთელი ცხოვრება და გულისთქმასა
ოდენ თვისსა
აღისრულებდეს; კეთილისმყოფლის
შექცევითა, იმა წმიდისა საშოსაგან
ნეტარჰყოს თვისი დაბადება
რაინის დარად. განა
იქნება კაცთაგანი?

მიტომაც სიტყვა მისი ოდენ ღრიანცელია,
არ დასჩვევია სხვა ბალღებივით
არტახებში ულონოდ ღნავილს;
როს ორივ მხრიდან უპირველეს მოცოცდებიან
მისად ციცაბო ნაპირები და დაშაშრულნი

2 როდანუს — მდ. რონა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეხვევიან ლევანდს გარშემო, ესრეთ სწადიათ
გაიყოლიონ, მოაქციონ თავისნებისად,
ახითხითდება, ტანთ დაიწყვეტს იმა ასპიტთა[3],
მსხვერპლიანად გადმოეშვება და ვინძლო იგი
გამალუზა

ვერ დაიურვა ძალმა მასზედ აღმატებულმა,
განამრავლა წყვეტება ისი, კიდევაც არი,
ელვისებრ დაჰხეთქს ყრმაი მიწის პირს,
ტყენი, თითქოსდა ჯადოქმნილნი,
მთანი, ერთბაშად მუხლმოცელილნი
უკან-უკან ედევნებიან.

ღმრთის ნებაა, დაზოგოს მაინც
ძეთა თვისთა აწყვეტილი ეგე სიცოცხლე
და, ღმერთს ღიმილი ელამუნება, ოდეს ძე მისი
დაუხანები, წმიდა ალპების წინ დაფერხდება,
მაშინ არი, რომ აბეზრებენ
გულისგულიდან შემომსკდარი ნაკადულები
და აგრერიგად ეწმახნებიან, იმ საბძმედეში
ჩაელვენთება ამასწინდელი ზათქი და გრგვინვა,
სანახავია, მას მერე, მთებს რომ გამოეცლება,
წყნარა-წყნარა შემოექცევა ამა მხარეს გერმანიისას,
შეჯერებული, ლტოლვას იცხრობს კეთილის ქმნითა,
აპოხიერებს ოდეს მიწას, მამაბატონი იგი, რაინი,
თვისთა პირმშოთა საყვარელთა დაარჩენს
იმა ქალაქებში, დაუფუძნა თავად რომელი.

და არაოდენ, არაოდენ ივიწყებს თავსა,
რამეთუ ყოვლის საცხოვრისი, სახლ-კარი ყოვლის
მთისრას უმალ, დღეჲ კაცისა გაუსახურდეს,
ვიდრე აგრერიგ შემმართებელმან
დაივიწყოს წარმომავლობა
და სიჭაბუკის ხმა უწმიდესი.
ან ვინ ყოფილა, წინაპირველად
წარეხდინოს არტახები სიყვარულისა
და სანაცვლოდ თვისივ ყულფი გამოენასკვოს.
ეს მერმე იყო, რომ გამოხდნენ წინააღმდგომნი
თვისივ სიმართლის და დასტურ აგრე ციურ ცეცხლის
მაყივნებელნი, რომე პირველთა აიბუეს
ისი გზანი მოკვდავისანი,
ჰყვეს არჩევანი უკეთური,
ციურ ღმერთების გატოლებას განიზრახვიდნენ.

---

[3] ტანთ დაიწყვიტს იმა ასპიტთა — ეს იერსახე ჩვეული ჰერაკლეს გმირობის ანარეკლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარნა ჰკმარობენ უკვდავებას თვისსა ღმერთები,
თუკი ოდენ ისაკლისებენ,
ისიც გმირთა და ადამისძეთა
ანუ მოკვდავთა ამასთანავე; რადგან
თავისით არა ჰგრძნობენ ციურნეტარნი,
მიტომაც ჯერ არს, გვეპატიოს გათქმა ამისა,
ღმერთთა სახელით თანაევნოს გრძნობას მავანი,
რომელი ღმერთებს გამოადგება, ხოლოდა მსჯავრად
დაუწერონ ესე ღმერთებმა:
დაცაელეწოს უწინამც სახლი,
მოაყივნოს მოყვასი თვისი დუშმანის დარად,
თვისსავ სახლის ნაშალთა შუა
დაჰფლოს მამა, შვილი და ძირი,
ვიდრე ირქვას ღმერთთა ტოლობა და ვიდრემდე
განირიდოს დამცრობა თვისი
ღმერთთა წინარე, მეოცნებემან.

ნეტარ არს, ვინაც მოიძია
ბედი კრძალულთა, იმა
მისანდო ნაპირიდან, სადაც ჯერ კიდევ
წარსულ ხეტებას ანუ ვნებათა მიმოგონებას
განუტკბებიან ყურნი მისნი,
ახლო და შორა მოიხილავს იგი
ყოველს, ვიდრე თვალი დაუსწორდება
ეგე მიჯნათა, რომელნი ღმერთმან
დასადგრომად მოსცა შობითვე.
მუნვე განეცხროს კაცი იგი ნეტარკრძალული,
რამეთუ ესდენ სანატრელი
ციური ძალი, თავისნებისად,
დაუძალებლივ და მოღიმარ შემოეჯარვის
მამაცს აწცა დაუნჯებულსა.

აწ ვფიქრობ იმა ღმერთკაცებზე,
დამვალდეს ცნობა ძეთა ყოვლად უძვირფასესთა,
რამეთუ მკერდი ჩემი ლტოლვად აღსწრაფებული
ცხოვრებას მათსა არაერთგზის ულელვებია.
გარნა ვინ იქმნეს შესადარი შენის, რუსოსი,
რომელს უთურგვნელ გექმნა სული
ძალდათმენილი და უფროის წარგემართა აზრი და
ნიჭი გერგო უტკბესი: ყურთ აღიხვნიდე,
ბაგეუბნობდე ესრეთ, რომე აზრმა მართალმა
წმიდის სისავსით, ისე ვითარ ღვთაებამ ღვინის,
ღმრთეევბრ შლეგმა, მუნ ყოველთა წესთ გარდასულმა,
წმინდათა ენა გამოსაგებად განუბოძოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდენ კეთილთა, ხოლო უდიერთ, აღბილწულთა იმა მონათა,
სამართლისებრ დასცეს სიბრმავე, ვით მოვიხსენო
უცხო ეგე წარმოვლენილი?

ხოლოლა ძენი მიწისანი მიმსგავსნიან
დედასა თვისსა, მის დარადვე ყოვლისმეტრფენი
და ბედნიერნი, გაუწვალებლად მიირქმევენ თვისდა ყოველსა.
მიტომაც არი, მამრი მოკვდავი
ეფეთება, განფრთხება ესე,
როს ორთავ მკლავით, განტრფობილითა,
ზეცას მხარზე აისოლიხებს
და ფიქრით სწონის იმა უღელს სიხარულისას.
სულ უფრო ხშირად ირჩევს მაშინ,
ტყის ჩრდილოვნებას განემარტოოს,
კაცთაგან სრულად მივიწყებული,
სად არ ენთება სხივი ცხოველი,
ბიელერზეეს[4] ნაპირთ მინდობილს
ხასხასა ბუსნო მოეფონება
და, ეგრეთ ღარიბუზრუნველი, ლოტბართა დარად,
ჰანგთხმიანებას დაესწავლოს ვინძლო ბულბულებს.

დიდებულია სწორედ, იმა წმინდანის ძილით
დანებივრებულს ტყის გრილი ფშვინვა როს მოგაფხიზლებს
და წამოგაგდებს, როს მიმწუხრისას
უწინარეს გაეგებები სხივსა იმა ულმობიერესს,
ოდეს დღე იგი, რომელმან ესრეთ აღმომართა მთები ცისიერ,
გარემოწერა სარბიელი ნაკადულების,
მერმე, მღიმარმან, კაცთ ცხოვრება,
საქმიანი, სუნთქვავაგლახი,
სიომობერვით წარზიდა ესე იალქანივით,
ჩამოისვენებს; ახლა იგი, მხატვარი ყოვლის
ამდღევამინდელ დედამიწას, შეგირდსა თვისსა,
განუჭვრეტს კეთილს ნამეტნავად,
უმცირეს — ავსა
და ნელა-ნელა დაეწოდება. —

კაცთა და ღმერთთა აქა ნადიმი მოწევნილა
ქორწინებისა, ქვეყნის სულდგმულთა
იქმნას ობა და ერთის წამით

[4] 1765 წელს რუსომ ერთი ხანი დაჰყო პეტრეს კუნძულზე, ბიელერზეეს შემოგარენში.

განესწორო ბედი ყოვლისა,
საყუდარ ჰპოვონ ლტოლვილთა ესე,
ხოლო მამაცთა განებოძოთ თელემა ბადაგი,
ოდენ მიჯნურნი შთენ უცვლელნი,
რადგან სცნობიათ სახლი თვისი,
სად ყვავილს ღველფი სიხარულისა
არ უნავლდება, ბინდიან ხეებს
გარემოჰქროლავს სული ზენარი;
ხოლო ყოველნი მეურჩენი იცვლიან ფერსა,
ხელგამოწვდომად ეშურებიან
ვიდრემდე სხივი მოყვასური გარდახდებოდეს,
მოიწევნიდეს აქა უკუნი.

სხივი იგი მაინც კი ფიცხელ
დატოვებს ერთთა, დაბანდდება
სხვათა წინარე.
სიცხოვლით ესე აღსავსენი ყოველჟამისად
არიან ღმერთნი მარადმყოფელნი.
ხოლო კაცთაგანს სიკვდილამდე
ძალუძს ხსოვნა ყოვლის სიკარგის
და მერმე ირჭმევს უზეშთაესსა.
ყოველს თავისი მიჰხვდეს საწყაო —
ხომ მძიმეა ჭაპანი ჭირთა
და კიდევ უფრო ტკირთმძიმეა ბედნიერება.
ერთადერთს ბრძენკაცს[5] ხელეწიფა
სამხრობიდან შუაღამემდე
და იმის მერე, ვიდრე დილა აღბრწყინდებოდა,
სულის ნათლით შემორჩენოდა იმა სერობას.

სინკლერ, შენ ძალგიძს, მოყვასო ჩემო! იქ, სად
ფიცხელი ბილიკია,
რომელს ნაძვნი გადმოსწვდომიან, სად
მუხნარის ჩრდილოვნება ბაგას ჰფენია,
ღმერთი იხილო სახვეველშიდ,
ღრუბელთა გამო გაგეცხადოს, იცნო ზენარი,
რამეთუ ჭაბუკს ახალუხლებს გიცვნია ძალი
კეთილისა,
არაოდენ დაუფარვია შენს წინარე ღიმი მეუფის
არცა დღენათელს, თანისთანობით როს დაჩნდება
უფსკრულთ კიდეგან მიჯაჭვული ცხროიანი
ძალი ცხოვლისა; არცა ღამებნელს, როს აიშლება,
შეერევა ერთურთს ყოველი, შემობრუნდება
აღრევა ეგე ძველთუძველესი.

---

[5] სოკრატე იგულისხმება (იხ. „ნადიმი" პლატონისა და ზემოხსენებული სერობა).

□



მხატვარი: ავთანდილ ვართაგავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ედგარ ალან პო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ნიშნიანიძემ

## ყორანი

ერთხელ, ზამთარში, უამურ ლამით, ჩემთვის როდესაც გარდასულ ჟამის
სქელ ფოლიანტებს ვუჯექ და ლამის დავოსდი ძველი სიბრძნის წყვარამით,
წამთვლიმა წამით და უმრუმესი ღამის დუმილში და სიჩუმეში
ნათლად გაისმა კარზე უეცრივ კაკუნი ფრთხილი და შემპარავი.
ალბათ სტუმარი მეწვია-მეთქი, ჰო, ვიღაც ფრთხილი და შემპარავი,
მხოლოდ სტუმარი და სხვა არავინ.

ის ღამე ახლაც მახსოვს თვალნათლივ: — მინავლულ ცეცხლზე უხმო
ფარფატით
ვით ეყრებოდა ლანდი პალატის იატაკსა და ჭერს უთვალავი;
დილა ვინატრე გულდაწყვეტილმა, რაკი ვერ შევძელ ძველ წიგნებიდან
ისეთი რამე ამომეკითხა ვინძლო ჩამეკლა გულში ვარამი,
მე ხომ მიყვარდა მარტოდენ ლენორ — ის იყო ჩემი გულის ვარამი,
მარტოდენ ლენორ და სხვა არავინ.

უცებ ატლასის ფრია ფარდებმა—მეწამულ ღრუბლის თრმა ფარტენმა—
ლანდებთან იწყო აფარფატება და უმალ გაკრთა აზრი მარადი:
კაცს ღამით თრგუნავს შიში მეტწილად.—ალბათ სტუმარი-მეთქი მეწვია,—
გავიმეორე, რომ დამეძლია გაურკვევლობის შიში მზარავი,
გავიმეორე სულაწეწილმა, რომ დამეძლია შიში მზარავი,
სტუმარი-მეთქი და სხვა არავინ.

ძალა მომეცა, შიშით ნატორი გულიც აჩქროლდა და სულ სხვა ტონით
ვთქვი: „ბატონი ხართ, თუ ქალბატონი, უნდა შემინდოთ, რომ შესაფერი
არა ვარ თქვენი მე მასპინძელი — დაღლილი მხოლოდ წამით მივწექი
და ვერ გავიგე ხმა, გეფიცებით — სქელია კარი და დარაბები —

და ამ სიტყვებით მოაფრიალე ერთბაშად კარიც და დარაბებიც:
მხოლოდ წყვდიადი, სხვა არაფერი.

ვიდექ შემკრთალი და ვუყურებდი: ოდენ წყვდიადი და უკუნეთი,
ბოლოს შევეჭვდი: განათუ-მეთქი მართლა გაცოცხლდა სულ[illegible]წყვდიადის?
შემომეხვია ფიქრი მუმლივით, ვერ მოვითმინე და ეს დუმილ[illegible]
და მდუმარება ათას მუმიის მე დავარღვიე ერთი სახელით,
„ლენორ" წყვდიადში წავიჩურჩულე ჩემთვის ძვირფასი ერთი სახელი,
მარტოდენ „ლენორ", სხვა არაფერი.

ბოლოს შევბრუნდი შინ გულნაკლული, რომ დამეთრგუნა მანიაკური
აზრი და ისევ ატყდა კაკუნი უფრო ძალუმად და გამძაფრებით.
— არა, ფიცი და მტკიცი რად მინდა, — ვთქვი, — სტუმარია-მეთქი
ნამდვილად,
წეღან მეხუმრა და მომატყვილა, შორს მისტიკა და შორს არაკები! —
დასტურ მაშინვე გავაღე კარი — შორს მისტიკა და შორს არაკები! —
მარტოდენ ქარი, სხვა არაფერი.

და უცებ ქუში, როგორც ყომრალი, შემოდის ფრთების გაუგონარი
ტლაშუნით დიდი, შავი ყორანი, ძველთა დღეთაგან გადმონაფრენი,
ჰოდა, გარეშე ყველა თავაზის, ვით სეფე-კაცი ანთუ თავადი
გულგოროში და ამპარტავანი დაახტა ბიუსტს როგორც ქვაფენილს,
ათინას ლამაზ ბიუსტზე დახტა, ზედ დააფრინდა როგორც ქვაფენილს,
დახტა და ვითომ აქ არაფერი.

ფრინველმა თავის გონჯი მიმიკით შემცბარს დამტყუა მალე ღიმილი
და ისე გაჰქრა ის სიმძიმილი, თითქოს ყველაფერს ყავლი გასვლოდეს,
ვკითხე: რა გქვია, რას გიწოდებენ კეთილის მაბრძოლს და მაოტებელს
იქ, წარწყმედილნი სადაც ჰგოდებენ და უნასები სად უნასობენ?!
ვკითხე: ავბედითს რას გიწოდებენ იქ, უნასები სად უნასობენ?
ხოლო ყორანმა: „აღარასოდეს".

მართალი გითხრათ, დია განვცვიფრდი, მოჩვენება რომ ბჭობდა
კაცივით,
მაგრამ ვერაფრით ჩავწვდი მაცილის სიტყვას, გაჩხრეკილს ბოლო ასომდე;
განა სად ხდება ღმერთის წინაშე, რომ შუაღამით რაღაც მირაჟი
გამოგვეცხადოს უცებ ბინაში, ბიუსტზე დაჯდეს და ბაასობდეს,
ყორანი იყოს გინდა მირაჟი ბიუსტზე დაჯდეს და ბაასობდეს
და თანაც ერქვას „აღარასოდეს"?

ეს ერთი სიტყვა იყო ყორანის ალბათ გული და სული მყოვარი,
განძი-რამ სისხლით მონაპოვარი და შეგდებული ბედის საწორზე,
რაკი მის გარდა არრას ამბობდა, ბოლოს მე თვითონ ვარქვი ამბოკარს,
რომ ჩემს სახლს ბევრი მეგმური ამკობდა და დღეს-კი ჭერეტენ
ცის დარბაზონებს,

სულ მალე-მეთქი შენც მიმატოვებ, შენც მიაშურებ ცის დარბაზონებს,
ხოლო მან ბრძანა: „აღარასოდეს“.

ეს სიტყვა-მეთქი ჩემმა ხიზანმა გაიგო ალბათ ვიღაცისაგან,
ვინც დაილალა და დაიზაფრა, უთუოდ მისგან უნდა ახსოვდეს,
რკინის ჯოხით და რკინის კევრითა ვისაც მსახვრალი ბედი დევნიდა,
ვისაც გარდახდა ჭირი ბევრი და ვინც არ დაინდეს და არ დაზოგეს,
ვინც წუთისოფლის მოჰკლა ამბოხმა და ახლობლებმაც აღარ დაზოგეს,
ვინც სულ ამბობდა: „აღარასოდეს“.

მან ისევ შემკრა ჯადო-თილისმით, ისევ გამიწყდა ფიქრის გვირისტი,
— უნდა ჩამოვჯდე ყორნის პირისპირ, იქნებ მივუხვდე ოინბაზობებს,
უნდა გავიგო ასე უგვანი სახე ალსავსე ოდენ მუქარით
და ეს უნდო და ურცხვი გუგანი დამცინიან თუ მითანაგრძნობენ,
დიახ, ეს ურცხვი და ეს წუნკალი თვალები იქნებ მითანაგრძნობენ
ცივი ყრანტალით „აღარასოდეს“?!

სიტყვა არ მითქვამს იმ ექიდნისთვის, ჩემთვის ქარაგმულ
რიცხვებს ვითვლიდი
და რბილ სავარძელზე ნალდი მკვიდრივით ვიჯექი როგორც მწვანე გაზონზე,
კიდევ კარგი, რომ გველის ნაშიერთ — ასეთ ბოროტ და ასე საშინელ
სტუმრებს დარბაზში თუ წინკარშივე რბილ სკამ-ლოგინებს არ თავაზობენ,
კიდევ კარგი, რომ ამ უმსგავსოებს ასეთ სავარძლებს არ თავაზობენ
და არც ღირსჰყოფენ აღარასოდეს.

ლურჯად აცურდა უცებ საგნები, თითქოს უბიწო და უზაკველი
ხელით ნაკმევი ამო საკმევლის სურნელი ეცა ბერ-მონაზონებს.
ვთქვი: უკეთურო, ჰა, სერაფიმმა ნელსურნელება მით მოაფინა,
რომ დაივიწყო ის უნაპირო სევდა, სახელში რაც ჩააქსოვე,
დასძლიო ჭმუნვა, იმ უძვირფასეს სახელში „ლენორ“ რომ ჩააქსოვე,
ხოლო მან ბრძანა: „აღარასოდეს“.

ისევ ავღელდი: ბილწო ხიზანო, იქნებ მაცთურო თუ გულთმისანო,
მე შენი თავი ვინ მომიგზავნა, ვინ დაგაცილა ბნელ დარბაზონებს?
— ჭირში ნიადაგ იმედს მივველტვით, მეც ხომ ვიცოცხლებ მხოლოდ იმ
ერთი,
მხოლოდ იმ ერთი სუსტი იმედით, იმედით-მეთქი ხომ ვისაზრდოებ,
მარქვი, მაცთურო, მხოლოდ იმ ერთი იმედით-მეთქი ხომ ვისაზრდოებ?
ხოლო მან ბრძანა: „აღარასოდეს“.

ვთქვი: მოწყალება ერთხელ მოიღე, გაფიცებ უფალს, არსთა მორიგეს,
რომელს მდაბლად ვცემთ თაყვანს ორივე და ყრმობიდანვე
დაგვამახსოვრეს.
მარქვი, თუ ჩემი სული ხანდახან მისწვდება ლენორს გარსთა გადაღმა

და იმ ღვთაებრივ ცეცხლით დადაღავს, მიწას რომ ცასთან ათანასწორებს,
თუ სიყვარულის ცეცხლით დადაღავს, სხეულს რომ სულთან ათანასწორებს?
ყორანმა ბრძანა: „ალარასოდეს“.
ბიბლიოთეკა

მაშინ, ბოროტო სულო, გამცილდი, კვლავ გვაშორებდეს
დრო და მანძილი
და დაუბრუნდი ისევ მაცილის კარს, უნასები სად უნასობენ,
ალიღე შენი შავი ნისკარტი, გულს უმოწყალოდ რომ მისისხლავდი
და განერიდე მიწყივ სიცხადის ზღვარს და სიზმარეთის მიესასოვე,
განვედ, ცხოვრების ვით განმკიცხავი და სიზმარეულს მიესასოვე,
ხოლო ყორანმა: „ალარასოდეს“.

და კვლავ ბიუსტზე შავად მბოლავი, როგორც ცივი
და ქუში ყომრალი
ზის დემონივით შავი ყორანი, ძორი მეტყველი და მოაზროვნე
და ჩემი სული მისი ლანდისგან, სულ რომ იზრდება თვალწინ თანდისთან,
ღამის მრუმეში რომ გადადის და ავაზასავით წევს და აზმორებს,
იატაკზე რომ წევს და ხანდისხან ავაზასავით რომ გააზმორებს,
არ განიყოფა ალარასოდეს.

□

# ემანუილ ფეიგინი

## ლურჯი ყვითელზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომანი[1]

თარგმნა თამაზ ბოჯგუაშვილმა

●

უგაროვი უკვე აჰყვა მოგონებებს; მთელი არსებით აქ იყო, ორმოცდაორის მარტის ბრძოლაში, [illegible] [illegible], ამდენი ლაპარაკი თუ უყვარდა. ალბათ დაუჯერებელი [illegible]. როგორც ჩანს, აქამდე ვერ იპოვა შესაფერი მსმენელი. თანაც ჩემნაირი მოწმე და თანამონაწილე, რომელიც თავის დაქნევით ან მოკლე „დიახით" მაინც დაუდასტურებდა მოვლენების უტყუარობას. ალბათ, დიდი ხანია უგაროვისთვის ასეთი ყურადღებით არავის მოუსმენია. ანდა, სხვაგვარად როგორ? მეზობელი ამას მოისმენს? უგაროვი ამას უყვებოდა, რაც საკუთარი თვალით ნახა, მაგრამ ისე ვერ დაგანახა, როგორც მეთაური ხედავდა. იმ ბრძოლაში ლეიტენანტი კი არა, ჯარისკაცი ანუ „აქტიური ხიშტი" ვიყავი, როგორც ჩვენი თანამედროვეები ამბობენ. ამიტომ ჩემთვის დიდი-დიდი ექვსი კაცი შემეძლო დამენახა. უგაროვმა კი ჩამოთვალა: მათი არც სახელი დავიწყებია, არც გვარი და რაც მთავარია, არც საქმე. მხოლოდ ერთი ადამიანი გამორჩა იმ ბრძოლის მონაწილეთაგან: იურა ტოპორკოვი არ დაასახელა!

რამდენიმე წლის წინ მეგონა უგაროვთან საუბარში იურა ტოპორკოვის ხსენება მკრეხელობა იქნებოდა. ახლა კი მკრეხელობა სწორედ ის მგონია, უგაროვი რომ არ ახსენებდა იურას. რატომ იქცევა ასე? თავს არ იწუხებს? თუ მე მიფრთხილდება? ეშინია? ვისი ეშინია? ჩემი? რას ამბობთ! აქ კიდევ ერთი აზრი მომივიდა თავში: უგაროვს, შესაძლოა, უბრალოდ, დაავიწყდა ტოპორკოვი. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, შესაძლოა, არც დაუმახსოვრებია. სახეშიც არ შეუხედავს, ისე ქარივით და უკანმოუხედავად გაქრა. მაშინ არც ჩემთვის შემოუხედავს. მეც რომ... მეც მაშინვე დამივიწყებდა. იქვე დამივიწყებდა. საუკუნოდ დამივიწყებდა, როგორც იურა დაივიწყა. მე იმიტომ დამამახსოვრა, რომ შემდეგ შემხვდა, ბრძოლაში. და კიდევ იმიტომ, მეორე დილით მაწყურში რომ ვილაპარაკეთ. ამიტომ დაამახსოვრდა უგაროვს ლეიტენანტი მელქელიკი. უმცროსი ლეიტენანტი ტოპორკოვი კი... ასეთი ვინმე უგაროვს არ ახსოვს. ვისღა ახსოვს ახლა იურა ტოპორკოვი? ჩემს მეტს ვის ახსოვს უმცროსი ლეიტენანტი? მშობლებს? ისინი უკვე აღარ იქნებიან ამქვეყნად, რადგან ორმოცდაორშიც მოხუცები იყვნენ და ავადმყოფობდნენ კიდეც. შესაძლოა, იმ ქალს ახსოვს, სატყეო მეურნეობის ბუღალტერიაში რომ მუშაობდა? საეჭვოა. თუმცა აქ ოდნავ გადავაჭარბე. ჩემს გარდა ვიღაცას, რა თქმა უნდა ახსოვს იურა ტოპორკოვი. კარგი, დავუშვათ, ჩემს გარდა ვიღაცას კიდევ ახსოვს იურა ტოპორკოვი. სულ ერთია, ისე არ ემახსოვრებათ, როგორც მე! უფრო სწორად, ისეთი არ ახსოვთ, როგორიც მე დამამახსოვრდა. მე ხომ მხოლოდ ცოცხალი არ მინახავს, მკვდარიც

---

1 დასაწყისი იხ. „საუნჯე" № 5, 1980.

ენაზე. სწორედ ამიტომ, საყვედურისა და დავიწყების საზღვარზე რომ ვიდგე, ალბათ, სწორედ ამიტომ დამამახსოვრდა ასე კარგად ტოპორკოვი. სანამ დამამახსოვრდებოდა, რაც ყველაფერს მნიშვნელობა ჰქონდა, ხმაც (უგაროვს ტოპორკოვის ხმაც კი არ ავიწყდება, უგაროვისა მღუმარე ტოპორკოვს ეხმოდა!). ჩემში და ჩემს მეხსიერებაში ხმაურიანი, ბედნიერი მო-საუბრე იური ტოპორკოვი ცოცხლობს. და როცა მოვკვდები, როცა სამუდამოდ დავდუმდები, ჩემთან ერთად სამუდამოდ გაქრება იურიც. მე კი არ მინდა, რომ, არ მინდა ასე მოხდეს. მაშინ, ლუდისა და „ოტელისი“ არ ვიცოდი, ეს როგორ გამეკეთებინა. მხოლოდ ახლა, როცა არაფერი მახსოვს აწმყოდან, რადგან ამ რვეულს დავცქერი, ხანდახან მეჩვენება, რომ ვიცი, რაც უნდა გავაკეთო, რა და როგორ ვთქვა ამ კაცის მაგივრად, ვინც ვერ მოასწრო, სათქმე-ლი ეთქვა. და ვწერ. ვწერ ვწერ ამჟღერით სახე. თუმცა შესაძლოა, ამაოც იყოს... ხანსხვით შესაძლებელია, ამაო იყოს ეს ამქვეყნად რვეული ხომ ქაღალდია! უმწეო ქაღალდს კი ვერც ცეცხლისა და წყლისგან დაიცავ და ვერც ...ობისაგან და უყურადღებობისაგან... ალბათ, ჩემი რვეულისათვის ყველაზე საშიში ადამიანთა უყურადღებობაა. როდესმე ვიღაც უყუ-ლოდ, უყურადღებოდ გადაშლის ამ ფურცლებს. ჯერ თავში წაიკითხავს ცოტას, მერე — შუ-აში. ბოლოს, დასასრულის ერთ-ორ გვერდსაც გადაათვალიერებს, მეტი რა საჭიროა, გაი-ფიქრებს და შეიჭმუხნება: „რა წვრილი, ჩახუჭუჭებული ხელნაწერია! არც ჰასტერნაკია!“ და უზრდელოდ, თუმცა სასიამოვნოდ გაიღიმებს, იტყვის: „გადასახვევ ქაღალდად წაიღეთ. უტილში, წიგნის ქაღალდი არის ამას ადგილი“; და კვლავ სუფთა ფურცლად გახდება ჩემი საწყალი რვეული... სუფთა და თეთრი...

მაგრამ მაინც ვწერ.

ამ პატარა ოთახს, სადაც ვმუშაობ, შუშაბანდი აქვს ... ხანაც ..., კაბი-ნეტს ეძახიან. ეს ჩემი ყმაწვილობისდროინდელი ადგილია; ცოლმაც კი დამრთო ნება. ეს კუთხე თავად დაველაგო. „შენს ქაღალდებს თვითონვე მიუჯექი“, — მითხრა მან. ბავშვები ამ პატარა ოთახ-ში მხოლოდ ქაღალდის სათხოვნელად ან ფანჯრის წასაღებლად შემოდიან. ფანჯრის სათლე-ლი მაქვს დაშვებ ჩემი მაგიდა, თვითონვეთ სანქრის მაგიდის ერთ-ერთ კუთხეში მაქვს ჩას-რახნილი.

რედაქციაში ნაცრით ოთახში ვმუშაობ. ოთახში თითო მაგიდა დგას, თითო ჩანაშრომშე-ლი მუშაობს, ცოცხლობს ხალხია და ხმაური. აქეთ სხვაგვარ მუშაობაში ხელს არ მიშლიდა. შემეძლო, გულისყური ისე მომეკრიბა, რომ ხმაური სულაც არ გამეგონა. ახლა ჩურჩუ-ლიც კი მაწუხებს. ვიღაც თუ სრა კალამს, გავიბრაზდები და ...ც წავუწყდები, ის-წამსვე მესმის, რაც ხდება მთელ ჩვენს სახლში და ფეხებსე იქითაც. ახლა, აი ამ წუთს, მეზობელ ოთახში ბავშვები თამაშობენ. ჩემი უმცროსი გოგონა ოულანკა მეზობლის ბიჭუნას ალაგს ეთამაშება. ისინი პირველ კლასში სწავლობენ, ერთ მერხზე სხედან და, მგონი, მეგობ-რობენ კიდეც. როცა „სიცოცხლისობანას“ თამაშობენ, კარგი რომ უფრო, ვერ დაიმორჩენ ერთმანეთს...

საცილო მომესმა: ბავშვები „სიცოცხლისას“ აღარ თამაშობენ. როგორც ხშირ სხვა, მხიარულ თამაშს გვერდში ახლა ისინი და იცინოდნენ. ორი ადამიანი იცინოდა. ბავშვები იცი-ნოდნენ. ბავშვებს გაცინებას რა უნდა? ისინი სიზმარშიაც იცინიან. უფროსები კი... ვინც დიდ ოჯახებში ან საბავშვო სახლებში იზრდებოდა, ვინც ჰოსპიტალში იწვა, ვინც სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში, სამხედრო ყაზარმაში, ბარაკებში, ციხის კამერაში ცხოვრობდა, იცის, რომ დიდები სიზმარში არ იცინიან. ისინი ტირიან, ჩხუბობენ, ილანძღებიან, კბილებს აკრაჭუნებენ, ჩივიან, ჰკვნესენ, შიშისაგან ჰყვირიან. დიდები ძილში არ იცინიან. მხოლოდ ბავშვები იცინიან ძილში. მხოლოდ ბავშვები იცინიან... მათ კარგი არავინ იცინის სიზმარში. ბავშვებს ეცინებათ სიზმრების ხილვაში.

ღმერთო, ეს რა შემართება! როგორ ვერ შევნიშნე, რამდენი რომ ვწერ. ესეც მაკლდა ამ ხიბერეში!

ჩვენ კიდევ თითო კათხა ლუდი შევსვით: უგაროვმა შემომთავაზა და ჩვენც შეგიდები ვადღეგრძელეთ. შემდეგ პოდპოლკოვნიკი წამოდგა.

— უნდა წავიდე, — თქვა უგაროვმა. — ჩემს ანუშკას დავპირდი, კინოში წაგიყვან-მეთქი. ანუშკასათვის სულ ერთია პოდპოლკოვნიკი ხარ თუ არა. დამიგვიანდება და ასეთ დღეს და-მსჯის... ასე რომ, უნდა გავიქცე. არ გემშვიდობებით. ახლა ჩვენ უსათუოდ შევხვდებით ხოლმე. ახლა ყველარსად გამექცევით.

— ახლა ხომ გაგიქცევი? — დავთანხმდი. მეტი რა უნდა მეთქვა? მეთქვა, სხვა რაიონში გადავსახლდები ან საერთოდ, ამ ქალაქიდან წავალ-მეთქი?

უგაროვმა კარგად იცის, რომ არც ქალაქიდან წავალ და არც სხვა რაიონში გადავსახლდები. ეს მეც ვიცი. მაშ, რა ამბავია? რასაკვირველია, უგაროვისკენ ხელებგაწვდილი არ გავიქცევი, მაგრამ შეხვედრისას ზურგს ვეღარ ვუჩვენებ, იმიტომ, რომ უგაროვისთვის ... არ იყოს, უცნაურად დაგვემართება. რატომღაც მესიამოვნა ამის გაფიქრება. დიდ ქალაქებში ნაცნობები წლობით რომ ვერ ხვდებიან ერთმანეთს. თუმცა, შეიძლება, ამას ვერ შეხვდე, ვისი ნახვაც გწყურია; სამაგიეროდ, ვისი დანახვაც არ გინდა და არც არასოდეს მოგინდება, ყოველ ნაბიჯზე ცხვირწინ აგეტუზება. მით უმეტეს, თუ შენი მეზობელია. უგაროვი კი ჩემი მეზობელია. კარის მეზობელი არ არის, მაგრამ მაინც მეზობლად ითვლება. გასტრონომში წავალ და უგაროვიც იქ დამხვდება, რადგან მთელ მიკრორაიონში მხოლოდ ერთი მაღაზიაა. საფოსტო განყოფილებაც ერთია. კინოთეატრიც, ლუდხანაც. ავტობუსის გაჩერებაც ერთი გვაქვს მე და უგაროვს. სახლმმართველობაში მისვლა თუ დამჭირდა, უგაროვის სახლს გვერდს ვერ ავუვლი. ის სახლი მხატვართა კავშირმა აიშენა და ჩვენს მიკრორაიონში ახლაც „მხატვართა სახლს" ეძახიან. ჩემი აზრით, გადამდგარი პოდპოლკოვნიკი უგაროვი უფრო ჰგავს მხატვარს, ვიდრე ამ სახლში მობინადრე ფუნჯისა და საჭრეთლის ზოგიერთი ოსტატი. ზოგჯერ დავკვირვებივარ: აი, სადარბაზოდან ერთად გამოდის ხუთი თუ ექვსი კაცი. მათ შორის უგაროვი ყოველთვის გამოირჩევა. არც მიხრა-მოხრა უგავს სხვებს: ლინჯად ირხევა, წყნარად. გამოხედვაც ზომიერი და ყურადღებიანი აქვს. უგაროვი მხატვარს განსაკუთრებით მაშინ ჰგავს, როცა შინიდან თავის ქალიშვილთან ანუშკასთან ერთად გამოდის. ანუშკა თხელი, კოხტა გოგონაა; გეგონება, ხატებს აფრქვევსო. ეს პატარა სახე უგაროვსაც ხვდება და ძალიან ასხვაფერებს. ამას, რასაკვირველია, მე ვგონებ, ხვდება კი... შესაძლებელია, სხვებსაც ასე ეჩვენებათ: მხატვარი თავისი ქალიშვილით... შემოქმედი თავისი ყველაზე მშვენიერი ქმნილებით.

ხანდახან ჩაფიქრებულ, შეჭმუხნილ უგაროვსაც ვხვდებოდი. ზოგჯერ დიდხანს ვერ ვხედავდი. ერთხელ ექვსი თვე არ გვინახავს ერთმანეთი: მე მივლინებაში ვიყავი, მერე ის წავიდა სანატორიუმში. მერე ავად გავხდი, მერე... ისეც ხდებოდა, რომ ერთმანეთს მხოლოდ შორიდან ვხედავდით: ვეჩქარებოდით და იმიტომ; თუმცა მხოლოდ მე მეჩქარებოდა, იმას კი არა. ვხედავდი, ჩემსკენ რომ გადმოაბიჯებდა. მე კი მაგვიანდებოდა და მივრბოდი, არ ვუჩერდებოდი. მაშინ უგაროვი ხელს დამიქნევდა ხოლმე. მე კი ამასაც ვერ ვასწრებდი. საუბარიც სხვადასხვანაირი — ხან ხანგრძლივი, ხან ძალზე მოკლე გვქონდა. ისეც მომხდარა: „გამარჯობათ, როგორა ხართ?" და იქვე: „წავედი, ნახვამდის". საათნახევარიც გვილაპარაკია. რაზე? რა ვიცი, ყველაფერზე. წარსულ ომზეც, ამ ომზეც, ახლა ვიეტნამში რომ არის გაჩაღებული. მთვარეზე, მარსის არხებზე. ჩვენს ყოფილ ფოსტალიონზე, დალევდა რომ ვამოთყურა და მთელი ჩანთა კორესპონდენცია დაკარგა თუ სადღაც მოიპარეს. ერთი სიტყვით, ყველაფერზე ვსაუბრობდით. მხოლოდ იურა ტოპორკოვზე არ გვილაპარაკია. ხანდახან გადავწყვეტდი: „აი, ახლა ვკითხავ იურაზე რამეს-მეთქი", მაგრამ ყოველთვის რაღაც მიშლიდა ხელს. გამოგატყდებით და არც მინდოდა ამ თემაზე საუბარი. ერთხელაც იქნება შევხვდებით და იურა ტოპორკოვს გავიხსენებთ-მეთქი, ვფიქრობდი. ასეც მოხდა. მაგრამ ყველაფერი რაღაცნაირად თავისით აეწყო. მაგრამ ჯერ მაინც იმას მოგიყვებით, რაც დამამახსოვრდა უგაროვთან ლუდხანა „ორიონში" ამ ომისშემდგომი პირველი შეხვედრის შემდეგ.

ერთხელ, მე და უგაროვი, ჩვენი გასტრონომის წინ რომ გააშენეს, იმ სკვერში ვისხედით და „სუფთა ჰაერს ვყლაპავდით", ეგრე იგი, ვაბოლებდით. სიგარეტი ბლომად გვქონდა. ის წუთი იყო, გასტრონომში თითო ბლოკი „BT" ვიყიდეთ.

მცირე ხანს უსიტყვოდ ვაბოლებდით, ჭაშნიკს ვუსინჯავდით არომატულ ბულგარულ თამბაქოს.

— რა დაგემართა? რატომ იჭმუხნები? — მკითხა უგაროვმა.

— ჭრილობა მტკივა, — ვუპასუხე.

— დიდი ხანია?

— საკმაოდ: რაც სიბერეში შევდგი ფეხი.

— შენც ნუ ბერდები. არ დაბერდე. მე სამოცს უკვე გადავაბიჯე, მაგრამ არ ვბერდები.

— თქვენ ყოჩაღი ხართ.

— შენ არა ხარ ყოჩაღი? შენც ყოჩაღი ხარ და მერე როგორი! ცხვირი ნუ ჩამოუშვი. ასწი თავი მაღლა, გაიღიმე. ხედავ, ის ახალგაზრდა ქალი როგორ გიღიმის?

— რა იცით, ვის უღიმის? განა დარწმუნებული ხართ, რომ თქვენ გიღიმით? დარწმუნებული ხართ? ახლავე ავდგები და გავიხედავ.

— იჯექი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე კი დავჯდები, მაგრამ შეხედეთ, თითქოს რაღაცას გრძნობს.

— ვერ მოიშალე ეს ემოციური გამოხტომები, მედვედევ? ხომ რომ მომახსენებ, არა გრცხვენია?

— მაპატიეთ, ნატალია პეტროვნა. დამეთანხმეთ: თქვენ ხომ ბევრი რამეები არასოდეს განგიცდიათ.

— როგორ თუ არასოდეს? ვინ მოგახსენათ? — გავბრაზდი, მაგრამ არ შევიმჩნიე. — არაფერი არ გამიგია, მედვედევ, ამ საქმეში და ვერც კი ვიგებ.

— ნუ ჯავრობთ, ნატალია პეტროვნა. ცუდი ხომ არაფერი მითქვამს? უბრალოდ, გამახსენდა, რა ოცნებაგატაცებული ბრძანდებით... ნინა გამახსენდა.

— ნინა? რომელი ნინა? — ვიკითხე მოუთმენლობით. ჩემდაუნებურად გულწრფელად ვინანე ამიტომ, რომ მხოლოდ სახელი გვითხარი.

— ჰო, ის ნინა, თქვენს მაგიდასთან სანინსტრუქტორად რომ იყო.

— სანინსტრუქტორი? ვერც გეთქვა, მე კი ვიცი.

— ასე არა ყოფილა? ხომ ნინა ერქვა?

— რასაკვირველია, ნინა ერქვა. ნინა ალექსეევნა კორინა. ჩემთან კარგად მახსოვს. ნინა კორინანიანორივე კი განსაკუთრებით ნათლად დამამახსოვრდა. კარგი გოგო იყო, მეტის მეტად გულ-ანჩხლი, ულამაზესი იყო, გამბედავი.

— და ლამაზიც?

— ჰო, ლამაზი იყო.

— ესე იგი, მოგწონდათ?

— შესაძლოა, ქალი იყო, აგი გითხარი, ლამაზი და გაბედული გოგო იყო-მეთქი. ზუსტად კი ვერაფერს გეტყვით, მედვედევ, დამავიწყდა.

— როგორ თუ დაგავიწყდათ?

— უბრალოდ, დავიწყებულა და მორჩა. რა არის ამაში საკვირველი ან ცუდი? ქალი თუ მხოლოდ მოგწონს, ეს არ არის სერიოზული საქმე, მედვედევ: დღეს მოგწონს, ხვალ — არა, და, როგორც ხედავ, გინდ მხოლოდ მოგწონს, მალე გავიწყდება.

— თქვენ ისე ალაპარაკდით, ნატალია პეტროვნა, თითქოს...

— შენ კი ისე ლაპარაკობ, მედვედევ, თითქოს უცაბედად ალმასი კი არა, ტელეგრაფის მიწა იყოს.

— ღვთის გულისათვის, ნურაფერს მაბრალებთ. ეს რა ჩვეულება გაქვთ!? ცოტა გამიგეთ — რა არის აქ ამდენი საწყენი? ალბათ უნდა მილოცნოდა, თქვენ ბევრი საყვარელი თუ გქონიათ?

— ისევ არა ხარ მართალი, მედვედევ: რას ნიშნავს „გქონიათ".

ო, ღმერთო! ასე შემრცხვა ჩემი წინდაუხედავი ნათქვამისა, რომ გავწითლდი!

— მაპატიეთ, ნატალია პეტროვნა, — წაიბურტყუნა ერთიანად დაბნეულმა, — ასე არ მინდოდა... როგორ დამავიწყდა, რომ თქვენ ცოლი გახლავთ და...

— იმ ქალთან შვილი არ მიმიწერია, მედვედევ, ცოლი მოგეხსენებით მყავდა; ხოლო სხვა ქალი, ის ქალი კი უფლება არ მქონდა, შემეყვარებინა? გესმის, რას ნიშნავს, უფლება არ მქონდა მეთქი? ამიტომაც ჩვენს შორის არაფერი ყოფილა, არაფერი... მხოლოდ სიყვარული...

— და აქამდე გახსოვთ?

— დიახ.

— და აქამდე გიყვართ?

— დიახ.

— იმას?

— ამას ვერ შევეკითხებით, მედვედევ, გარდაიცვალა.

— ესე იგი, სიკვდილმა დაგაშორათ?

— არა, ის ქალი ახლახან გარდაიცვალა; ერთი წელია. ჩემი საყვარელი კი ოცდახუთი

წლისაა, თექვსმეტი წლის. გესმის, მეღვედევ? ხანდახან თვითონ არ მჯერა, რომ ასეთი სიყვარული შესაძლებელია. მაგრამ ფაქტს ვერსად გაექცევი.

უგაროვი ცოტა ხნით გაჩუმდა, ახალ სიგარეტს მოუკიდა და განაგრძო:

— რაც შეეხება ჩემს მეუღლეს, არ მოვიტყუებით, თვალდაც არ მოტყუებოდა, ... ქალია. თავიდანვე ვუთხარი: ორი ქალის სიყვარული არ შემიძლია-მეთქი ... ძალიან ... ასეთი ნიჭი. მე კი არ შემიძლია. ბუნებამ არ დამაჯილდოვა ... გამჯეცხოს. აი, შენც, ალბათ, ახე ფიქრობ: „ეს როგორი ქალია, უგაროვი ... კაცი მეგონა და უსიყვარულოდ კი მეურთავს ქალიო".

— მე თქვენი მსაჯული არა ვარ!

— ხარ! სწორედაც რომ ხარ. ახლა ყველა ჟიგულის მხარეზეა: არა ვარ? წინააღმდეგი განხილვისას ... მაგრამ ... ... ... სწორედ ... მხარეზე ... ქალი შემეშინდა. ეს გამოუცდელი ... ...

მართლაც განსაკუთრებული შემთხვევა გამოდგა.

იყო ორი ... ორი კაპიტანი... ... მართლა არ ... ... ... როგორც ... ... ეს ორი კაპიტანი, არ ... საუბარში უგაროვი ამბობდა: „მორს ვმუშაობდით, აქედან არ ჩანსო". ან თუ ძალიან შეტოლიდა, ასეთ ... ... „ქვეყანის კიდეზეო" ერთი ... ეს ორი ... ანუ, როგორც ... ორი კაპიტანი ქვეყნის კიდეზე მუშაობდა. ერთი მათგანი, უგაროვი, ... იყო, მეორეს კი ცოლი და ათი წლის ბიჭი ჰყავდა ... ეს კაპიტანი თავის ცოლ-შვილიანად ... წავიდა ხაბაროდ. ... ქალს ... ... ... ... რა მოხდა: მგონი, კაპიტანი ... ... ... წყალი ძალზე ცივია, ... კი — ... ... ... წლის ბიჭი ... ... ... თუ ბიჭუნა ... და მამა ... ... ... ... — ...

... უგაროვს ... ... ... ... ... ... ... როგორც შეეძლო და რითაც შეეძლო ეხმარებოდა... ... ... ...

— არ იფიქრო, მეღვედევ, თითქოს ის ქალი კისერზე დამაწვა. ჩემი მეუღლე კარგი, ... ადამიანია და ყოველ საქმეში ... ... ცოლს ძალიან ... და ... ... ... ... ... გოგონა რომ გამიჩინა, ... ... ... ... რა ... ...?

მე, მართლაც, რამდენჯერმე ვნახე ანუშკა, უგაროვის ლამაზი ... ... ... როგორ უყვარდა მამას თავისი გოგონა. უგაროვის სიყვარულის ამოცნობას დიდი დაკვირვება არ სჭირდებოდა. ეს შესამჩნევი იყო აშკარად ყოველთვის და ყველაფერში: პოდპოლკოვნიკის ყოველ სიტყვაში, ყოველ გამოხედვაში. ხანდახან მეჩვენებოდა, რომ მეტისმეტი მონდომება უგაროვს აჭარბებდა. ერთ საღამოს ავტობუსის გაჩერებასა და ჩემს სახლს შორის, შუაგზაზე, ჭექა-ქუხილმა მოგვისწრო. ვიფიქრე: უკან დაბრუნებას კინო-თეატრ „სპარტაკთან" მივარბენ და სადარბაზოში შევაფარებ-მეთქი თავს. უცებ, ჩემს წინ ორი, ერთმანეთს ჩახუტებული, გოგონა გამოჩნდა. შევამჩნიე ლამაზად არ ... ... ... ... ... ... ... უზარმაზარი შავი ქოლგა ეფარათ, რომელსაც წვიმა ხმაურით ეხეთქებოდა. ეს ქოლგა გოგონების უკან მომავალ უგაროვს ეჭირა.

ჩვენ ერთ-ერთ ლამპიონთან შევხვდით ერთმანეთს. უგაროვმა შემომხედა: მას სველი, წარღვნისაგან დაისხმული, მაგრამ არაჩვეულებრივად, უზომოდ ბედნიერი ადამიანის სახე ჰქონდა.

— სალამი, მეღვედევ! კარგი დრო ამოგირჩევია სასეირნოდ!

— არც თქვენ დაგიკლიათ ხელი!

— ანუშკას წასაყვანად მოვედი. „სპარტაკში" იყო და... — ამიხსნა უგაროვმა. თან მიდიოდა, რადგან ანუშკა, ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ ქოლგა, რაც უნდა მომხდარიყო, თავს ზემოთ ექნებოდა, რასაკვირველია, არ შეჩერებულა.

— კარგად იყავი, მეღვედევ! — შორიდან შემომძახა უგაროვმა. პოდპოლკოვნიკს ეშინოდა, ნახევარი ნაბიჯით მაინც ჩამორჩენოდა ანუშკას. უგაროვი მზად იყო, მთელი სიცოცხლე

ახე ამომზრდიყო თქეშში, ოღონდ მას საყვარელ გოგონას წვიმის ერთი წვეთი არ დასცემოდა. მაშინ, ბედნიერებისაგან განათებული უჩარიევის სახე რომ დავინახე, გავიფიქრე, ბედნიებულა-მეთქი!

უჩარიევი ხშირად მეუბნებოდა: ანუშკა სკოლაში წარჩინებით სწავლობსო, ჩამდგილად ოქროს მედალს აიღებსო; მაგრამ ამ ნათქვამიდან მაინც ვერ გავიგე, მზრუნველ მამას როგორ წარმოედგინა შვილის მომავალი. რას ფიქრობდა, რა პროფესიას ემეტებოდა სანუკვარი შვილისათვის? მუსიკოსის? გამოჩენილი მსახიობის? ექიმის? უფრო კი მგონია, უჩარიევს ერჩივნა, ანუშკა ყოველთვის ასეთი, ლამაზი, უმანკო და ცქრიალა ყოფილიყო. მწამდა, რომ უჩარიევს ყველაფერი, რაც მის გოგონასთან იყო დაკავშირებული, ძალიან ახლოს მიჰქონდა გულთან და ხანდახან კმაყოფილს ვუთხარი: „ცოტაც კიდევ და გაგითხოვდება ეგ შენი გოგონა-მეთქი". ის კი ან უსიტყვოდ ჩაიცინებდა ხელს ან ასე მისუხობდა: „ამაზე ფიქრიც კი ადრეაო... წინ კიდევ დიდი დროაო". ამჟღერადაც თავი ვერ შევიკავე და „ხუმრობით" გავუბედე, რასაც ახლაც გასაკვირველად ვუუბნებოდი: „მშვენიერი შვილი გყავს, ნიკოლაი პეტროვიჩ, ქმარიც რომ შესაფერი შეხვდებოდეს-მეთქი..."

— ნუ სწუხარ, კარგი ქმარი შეხვდება. ცუდი თუ გამოდგა და ჩემს ანუშკას რაიმე აწყენინა, აი, ამ ხელებით მოვახრჩობ,— მითხრა უჩარიევმა.— მაგრამ ჩემი ანუშკა ჭკვიანი გოგოა და ცუდ კაცს საქმროდ არ აირჩევს. მიყვარს ეს ჩვენი ახალგაზრდობა, თუმცა ზოგჯერ ბუზღუნად მიყურს ხოლმე მათი. ჩემი ანუშკას თანატოლებს რომ ვუცქერი, მეც იმას ვფიქრობ, რასაც გულდა მეზერი: ეხ, ნეტავ ახალგაზრდობა დამიბრუნა-მეთქი!"

— ახლე ის თუ ახალი...— ვკითხე უჩარიევს.

— ასეე ის! ჩემო, საკუთარი, მებრძოლი! ხსაკუთ? არაფერი მინდა, რა თავში კუბლი? შენ რა... არ გინდა შენი ახალგაზრდობა დაგიბრუნდეს?

— ხან მინდა, ხან — არა,— გამოვუტყდი უჩარიევს. ცოტა მართალს ვამბობდი: მისგანაც მითქვამს: ერთი დღით მაინც დამიბრუნდეს ჩემი ახალგაზრდობა-მეთქი! მერე დავძინე:— სულ ტყუილია, ახალგაზრდობა მაინც არ დაგვიბრუნდება.

— არა, მიპასუხე: რომ დაგიბრუნდეს?

— არ ვიცი, ამაზე არ მიფიქრია.

— რა არის მოსაფიქრებელი? შენი ახალგაზრდობა არ მოგწონს?

— მომწონს თუ არა, სხვა ამბავია,— თავს ვარიდებ პირდაპირ პასუხს, რადგან ვიცი, რომ ჩემს ახალგაზრდობაში ბევრი რამ არ არის მოსაწონი. თუმცა კი მთელ ჩემს ახალგაზრდობას არ ეხება; კაცმა რომ იქვას, რა შუაშია ჩემი ახალგაზრდობა? მე ზოგიერთ საქციელზე მოგახსენებთ. დიახ, დიახ, უპირველეს ყოვლისა, ზოგიერთ საქციელზე მოგახსენებთ, რადგან ისეთი რამეც ჩამიდენია, რომელზედაც... არ ვიცი, როგორ ვთქვა... ახლა დიდი სიამოვნებით გადავაკეთებდი რაღაც-რაღაცებს, შევასწორებდი, შევაკეთებდი. მათ შორის ზოგიერთს ახლავე დიდი სიამოვნებით ამოვშლიდი და ამოვკვეთდი.

რატომღაც მეგონა, ამ რვეულში ყველაფერი მაქვს-მეთქი ჩაწერილი, რაც იურა ტოპორკოვმა და მე მოვასწარით ერთმანეთისათვის გვეთქვა მარტის იმ დილას. მაგრამ გამოირკვა, რომ მთლად ასე არ ყოფილა. ახლა, ღამის სამ საათზე, უეცრად კიდევ ერთი საუბარი გამახსენდა:

— სიომა, დებთან მეგობრობდი?

— როგორ გითხრა... ვმეგობრობდი, თუმცა ხანდახან ვჩხუბობდით კიდეც.

— მე არ ვიჩხუბებდი,— მითხრა ტოპორკოვმა,— პატარაობიდანვე მინდოდა და მყოლოდა. ძმაც მინდოდა, მაგრამ დის უფრო ვნატრობდი.

— კარგი დები მყავს. ვიცი, დედაჩემს გაუფრთხილდებიან. თუ არა და... თუ არა და თავებს წავაცლი ყველას.

— დებს?! რას ამბობ! რომ მყავდეს, ჩემს დაიკოს თითსაც არ დავაკარებ. საერთოდ, გოგოებს იშვიათად ვაწყენინებდი ხოლმე.

— ისე... გიჩხუბია?

— საერთოდ არ მიყვარს ჩხუბი. რა არის ამაში კარგი: ჯერ მე გავარტყამ კბილებში, მერე — შენ. ჯერ შენ მდრუზავ ქალქორს გოგრაში, მერე — მე. მაგრამ არ ვიცი, დამიჯერებ თუ არა, რაღაც წინათგრძნობა მქონდა... ყველაფერი ბოლომდე არ მესმოდა, პატარა ვიყავი, მაგრამ ვგრძნობდი: ომი მალე უნდა დაწყებულიყო.

— ეს წინათგრძნობა არ იყო, იურა, ყველამ იცოდი, ომი რომ უნდა დაწყებულიყო. ამა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე ყველგან ლაპარაკობდნენ, მღეროდნენ კიდეც, არ გახსოვს „ხვალ თუ ომი იქნება..." და ამას, რაც არის... „პარიზში ჭექა-ქუხილის სუნიაო".

— დიახ, დიახ, პარიზში ჭექა-ქუხილის სუნი იდგა და ამას ვგრძნობდი... ახლა მეძნელება თანმიმდევრულად მოგიყვეთ, მაგრამ სწორედ ამიტომ აღარ ვერიდებოდი ჩხუბს. მინდოდა, საკუთარი ხასიათი შემემოწმებინა. შევძლებდი თუ არა, აი, რა მაფიქრებდა.

— მერე, რა დასკვნა გამოიტანე?

— მგონია, შევძელი. ჩვენს სასწავლებელში ერთი მოხუცი მასწავლებელი მუშაობს. ძველად ოფიცერი ყოფილა. ჰოდა, ერთხელ იმ მოხუცმა მითხრა: თქვენ, ტომარკოვ, სამხედრო კარიერისთვის ხართ გაჩენილიო.

— არ მიყვარს ეგ სიტყვა.

— სიტყვას რა აზრი აქვს?! მოხუცმა ეს ხომ კარგი გაგებით მითხრა. ისე, ეგ სიტყვა არც მე მიყვარს. კარიერისტებიც მეჯავრება. დამიჯერე, იმის გაფიქრებაც არ მინდა, რომ ვინმე ამ ომში ფეხს ითბობს ან საკუთარი კარიერისათვის ზრუნავს.

— წარმოიდგინე, ჩემო იურა, ასეც ხდება. არც არის საკვირველი. აბა, დაფიქრდი, რამდენი ადამიანი მონაწილეობს ომში. ზოგისათვის ეს ომი ორდენებია, მედლები, დიდება და მაღალი ჩინი. ზოგისათვის — მეთაურის ფუფუნება, ზოგიერთს კი დაუკვირდები და უცებ შეამჩნევ, რომ ომი მოსწონს, მოსწონს იმიტომ, რომ კაცის კვლა მოსწონს.

— ისეთებიც არიან?

— მახინჯი ყველგან არიან. მაგრამ ჩემთვის, უფრო სწორად, უმრავლესობისათვის, ომი სამშობლოსათვის, საბჭოთა ქვეყნისათვის ბრძოლაა. წმინდათაწმინდაა ეს ომი ჩემთვის!

— ჩემთვისაც, ჩემთვისაც წმინდათაწმინდა მოვალეობაა და საქმეა ეს ომი! — თქვა ტომარკოვმა.

როგორ დამავიწყდა და აქამდე არ ჩავიწერე ეს სიტყვები?! ახლა დღიურს ჩავუჯდები ამ რვეულს და მეუცხოება, გავიხსენო ყოველი სიტყვა, იურა ტომარკოვმა იმ მარტის დილას რომ მითხრა. ჩემი სიტყვებიც უნდა გავიხსენო. თითოეული ბგერა უნდა ჩავწერო, რადგან ამ ბოლო დროს მეხსიერება მღალატობს. ჩემი სუსტი, ჭირვეული, ხანდახან კი ანგარებიანი მეგობარი — მეხსიერება; მუდამ ცდილობს გამექცეს და არც გამიკვირდება, ერთ მშვენიერ დღეს რომ მიმატოვოს, თანაც სამუდამოდ! დიახ, სამუდამოდ.

* *

— თუ გრძნობ, რომ უკვე გაზაფხულდა, — მითხრა ტომარკოვმა. პეტროვსკის უზარმაზარი, მშენებლობისთვის ჯერ კიდევ ხელუხლებელი მდელო მოჩანდა. თებერვალი იდგა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მდელო ახალამწვანებულ ბალახით გაწოლილიყო ქალაქის ძველ გარეუბანსა და ჩვენს ახალ მიკრორაიონს შორის.

— გაზაფხული აქ მალე გაგვაფურჩქნდება, — ამბობდა უგაროვი, — ვერც მოასწრებ, ხვალ-ზეგ იგრძნობ და უკვე ზაფხულია. შვებულებას როდის იღებ, მეგობარო?

— ჯერ არ გადამიწყვეტია. ალბათ, ზაფხულში.

— კარგია. ზაფხულში ბევრი და ერთად წავიდეთ. რას იტყვი? ჩვენი ბრძოლების ადგილები მოვინახულოთ. სრული ძალებით გადავცუროთ და სტეპს გავუყვეთ. იქით მიმავალი მანქანა თუ შეგვხვდა, ხომ კარგი, თუ არა და კიდევ უკეთესი, ფეხით ვიაროთ; ეგებ ბედმა გაგვიღიმოს და საკუთარ ნაკვალევს მივაგნოთ. მაგალითად, მე, მეძებრებო, ასე მგონია, იმ ჩემს მაწყურს თვალდახუჭული მივაგნებ. თუმცა არ ვიცი, შესაძლოა, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ვერც კი მივაგნო. შესაძლოა შამბნარმა დაფარა იქაურობა.

— შამბნარმა დაფარა თუ არა, რა მნიშვნელობა აქვს? — ვთქვი მე.

— რასაკვირველია, არავითარი. მაინც იგივეა და მეორეც.

— რა მნიშვნელობა აქვს, შამბნარმა დაფარა თუ არა? — გავუმეორე. — ვერავითარი ბარდ-შამბნარი ვერ წაშლის ხელს თქვენი მაწყურის პოვნაში.

— ჩემს მაწყურს შენ იცნობ?

— დიახ, მე.

— საინტერესოა როგორ იცნობ?

— ჩვეულებრივად. იქ ერთი ორიენტირი მაქვს; ის ორიენტირი საკმაოდ თვალსაჩინოა. იმ ყორღანზე მოგახსენებთ... თქვენი მაწყურის გვერდით რომ იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყოფილა რა ორიგინალური? ამ სტეპში, მეჯღანულე ყოფილხარ ბოლომდე [illegible] სანამ ერთმანეთს ისე შეეგუებიან, ვერ გაარჩევდი.

— ის განსაკუთრებული ყოფილა.

— ყველა ყოფილა განსაკუთრებული.

— მაგრამ, ის ყოფილა განსაკუთრებულებზე განსაკუთრებული. ის [illegible] ტოპორკოვი...

აჰა, წარმოვთქვი ეს სახელი და გვარი! თავი კი არ ავარიდე, სიტყვა ბანზე კი არ ავუგდე, პირდაპირ დავასახელე.

— კარგი, რა გაწუხებდა გულში შენი იური ტოპორკოვით? — მკითხა [illegible]. წყნარად მკითხა, თითქოს ჩვეულებრივზე უფრო ნელა წარმოთქვა სიტყვები. მეცნიერულად არ დასტურობს. მე კი, რა თქმა უნდა, გამოვერკვიე, ხასიათად ავიღელდი.

— რას ბრძანებთ! მე ხომ პირველად გავიგე?! — ხმამაღლა, თავზე ხელაღებით შევეპასუხე უვაროვს.

— შენმა კანდიდატმა კი არა, ახლათ ღრმადღით — [illegible] ახსენე უფრო [illegible] — შეკითხვა. წუთით ჩერდა და უცებ [illegible]? [illegible] ხედავს [illegible] [illegible] კი ყველაფერი არ მესმის. მაინც და არ მესმის, სულ ტოპორკოვი და ტოპორკოვი რომ გაიძახი, აი, ეს არ მესმის და ალბათ, ვერც გავიგებ. ისიც, ვინც [illegible] ერთად [illegible] ამ ყოფნაში? [illegible], შენი [illegible], ვინ არიან? ან [illegible], [illegible] [illegible], [illegible] [illegible] დავიწყებული, [illegible] რა, შენი [illegible], [illegible] [illegible] [illegible] რას [illegible] [illegible]?

— ტოპორკოვი ჩემი მეგობარი იყო, ნაკლებად [illegible], [illegible] დიახ, იმ სახელის [illegible] ტოპორკოვი ჩემი [illegible] [illegible] [illegible].

— [illegible] კი არც შენი მეგობრები [illegible] და არც [illegible], არა?

— [illegible] არ [illegible], ნაკლებად მეგობრები [illegible] არ [illegible], ეს ხომ [illegible] [illegible].

— [illegible] არ იყოს, შევეპასუხე. მე ბარძი მოვქმედე [illegible] ვარ და [illegible] [illegible] [illegible].

— მეც [illegible] [illegible] [illegible] მეგობრები მეც ახლავე გეუბნებით. [illegible] თქვენ არ გინდათ იური ტოპორკოვზე ერთი სიტყვა მაინც გაიგოთ, არც ლაპარაკი [illegible] მასზე.

— რაღა უნდა ვიცოდე ტოპორკოვზე? — გაიკვირვა უვაროვმა, მაგრამ ვერ დაიწყო [illegible] [illegible] [illegible] სიტყვები გათავებული იყო, ხმა კი — არა. — ხომ წუხს [illegible] [illegible] ის შენი ტოპორკოვი? მშობლებთანაც კარგი [illegible] [illegible]. [illegible] რაღა უნდა მქნა?

— ეს იგი, იური ტოპორკოვის [illegible] [illegible] [illegible], არა? ეხე [illegible] იური ტოპორკოვს [illegible] [illegible], არა? — ეს სიტყვები ხმამაღლა არ მითქვამს, გულში ვთქვი. რადგან ჩვენი საუბარი უკვე დასრულებული იყო. [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] უვაროვს [illegible] [illegible] [illegible] ხელში.

მე და უვაროვი ისე დავშორდით, ეს საუბარი არ დაგვიმთავრებია. ამიტომ შინ რომ მივედი, კაბინეტში ჩავიკეტე და გავიფიქრე: „აი, თქვენ არა გსურთ ტოპორკოვზე ლაპარაკი, არა გსურთ იმიტომ, რომ თქვენ მოქალაქე ტოპორკოვს არ იცნობდით და ვერც ვერასდროს ტოპორკოვს გაიცნობთ. ეგებ გენიოსი იყო... ეგებ მომავალში გენიალური პიროვნება უნდა გამხდარიყო?“ „შესაძლოა, არაფერიც არ გამოსულიყო იმ შენი ტოპორკოვიდან“, — წყნარად შემომედავა უვაროვი. „დიახ, ეგეც შესაძლებელია. არ მინდა, ზედმეტად შევეფარო რაიმე ჩვენს ქალაქში და ამიტომ პირდაპირ გეტყვით (ეს ხომ თქვენი საყვარელი გამოთქმაა, უვაროვ!), ტოპორკოვში რაიმე არაჩვეულებრივი არ შემიმჩნევია. იური ახლაც ჩვეულებრივი ადამიანი იყო, როგორც მე, ან უმრავლესობა მამისეული ახალგაზრდობისა. შესაძლოა, მასგან საშუალო პიროვნება დამდგარიყო. დავუშვათ, იური ტოპორკოვის სახით მართლაც დაკარგა ჩვეულებრივი, ძალიან ჩვეულებრივი ადამიანი. თანახმა ვარ. დიახ, დიახ, გენიალური კი არა, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ადამიანი. მაგრამ იმაში ხომ დამეთანხმებით, რომ ამ ადამიანმა დაკარგა გენიალური, ლამაზი ქვეყანა! „რას ნიშნავს, ქვეყანამ ჩვეულებრივი ადამიანი დაკარგაო? — საყვედურით ვეკითხები საკუთარ თავს, — ვინც არ უნდა დაკარგოს, კაცობრიობა მაინც გამდიდრდება; სულ ერთია, ვის დაკარგავს, დიახ, სულ ერთია, — მტკიცედ ვარწმუნებ ისევ საკუთარ თავს, — თუ ის ადამიანია და არა ადამიანის სახით მოვლენილი პარუტყვი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, ახე გაიხსენე, თქონდ, ეს რა გახლდათ?! ისინ ხელიდან, რომ ეს მხოლოდ წინარი სამზღვრის საკუთარ თავში ჩაკეტილიყო და გულით არ გაიგონეს. როცა ცხოვრების ბედნიერი, მეგობრებთან [illegible] ფეხზე კლასიკოსებით, თქონდ [illegible] ტელევიზორზე და [illegible] ზონაზე — არასოდეს [illegible] თავის სურვილით ამ ქვეყნის არ გამოიტანენ, [illegible] გაქვს [illegible] მისიდან მირჩევნია „მოლეთ, ტელევიზორზე საუბარი [illegible] მფეთ". რატომ იქნა გადაწყდე? მენანებოდა? არა, უბრალოდ გაოცდა, რომ [illegible] არ შეიძლო ლაპარაკი. უგაროვი ანაბდირის მახვეწდა თავს უფლების [illegible] მისა ერთით, „კინოსანახავედ" არ იყო. ამიტომ, ეს გახლდათ ერთ-ერთი მათგანი [illegible] რომ უგაროვი თავისის ყოველთვის ისწრაფ შემწყნარებლურად მელაპარაკებოდა. უკვე უქმეს, ამის დისტანციის შეგრძნება გუწილდა. აი, ასე, ჩვეულებრივ, განსაზღვრული დისტანციით ლაპარაკობდნენ დიდები პატარებს, დიდები პატარებს არ ეკამათებიან, დიდები პატარებს წუთებს არიგებენ, ხელიდან უსწორებენ, უქადაგებენ. უგაროვი ყოველ ჩემთან ნუ მაქადაგებდა, საქმეებს მე მასწორებდა, მე მარიგებდა მუდამ. ასეა ნაკადული მეგობრობისა მშვიდად და წყნარად ავლებდა. უგაროვი ისეთიათ მიჯავრდებოდა — მე ხშირად ვუმღეროდი ნერვებს „ცხოვრება გამოჩენილებთან" და ასობით — ის კი ნამდვილად მხოლოდ ერთხელ გამომრაჩდა. ეს მოხდა ათერის მიწურულს, ია-ის ავლა მოსკოვის გარეუბნის კარდიოლოგიური სანატორიუმიდან ჩამოვდით და გოგოლდაური პროდუქტების გარეშე ყუთში უგაროვს, ერთი კვირის წინ, დღის მეორე ნახევარში, იქაურ ზეცაზე ცხელ რომელი დავინახეთ არა ჩვენ! ჩვენ თორემ არ ვიმოწმნდა არც კარდიოლოგიურისხველი და არც ასტრონომი. მზეები კი იყო მგონებდნენ ერთიმეორეთს, ვერ გაარჩევდი, რომელი იყო ნამდვილი და რომელი — ყალბი. მოუთმენლად დიდი ცოცხალი, ჩვენ სანატორიუმის შენობის წინ ვიდექით და ამ ცისახარებდით, ცდილობდნენ უცერთ-სპექტრალით ვტკბებოდით. ზოგიერთები ბუზღუნებდნენ: „მეხედავთ, ეს ხომ რომელიღაც ხოლონეტთიმორისი ხომალდიათ", ანდა „არა, მეგონა, მფრინავი თეფშიაო". აი, ასე ემახარებოდით ერთმანეთს, გულში კი (ეს საკუთარი გამოცდილებით ვიცი) შიში იბუდებდა: ვაი თუ ულტრაში რეგისორმა სპექტაკლის დასაგვირგვინებს შემდეგ ბურთის, შეცდომით ცადან ნამდვილი მზე მოხსნას და ყალბი დატოვოსო. მაშინ რა გვეშველება? როგორ უნდა ვიცხოვროთ? ჩვენი შიში უფრო გაძლიერდა, როცა მოსკოვის გარეუბნის ერთ-ერთი აეროდრომიდან თვითმფრინავი აფრინდა და პირდაპირ ამ ორი მზისაკენ აიღო კურსი. ვინ იცის, იქნებ, აეროდრომიდან ან უფრო ზუსტი ინსტანციიდან „მოწყვიტეთ-მეთქი", — გავიფიქრე. მერე ჩაის დროებს დროც დადგა და სასადილოში მივეწყვეთ. ჩაი რომ დავლიეთ და კვლავ ეზოში გამოვედით, ცაზე მხოლოდ ერთი მზე დაგვხვდა. ჩვენ მაშინვე მივხვდით, რომ ეს ნამდვილი მზე იყო. ღმერთო, ჩემო, რა სქელკანიანება ვართ. ნუთუ შეიძლება ნამდვილის და ყალბის არევა? ნამდვილი მზის დანახვა ყველას გვეგეხარდა. კიდევაც „ვაშა!" შევძახე: ვიღაცამ არ დაგვუჯერდა და, სამი კილომეტრით ჩვენგან დაშორებულ პროდუქტების მაღაზიაში გაიქცა არყის მოსატანად.

უგაროვი მისმენდა, თან აჭმუხნებოდა.

— ახლა კი ვნანობ, მაშინ შენ რომ არა გრეხვე! — ჩემსკენ გადმოიხარა და ჩუმად მითხრა. ისე მოულოდნელი იყო რაც გავიგონე, რომ შევკრთი და განზე გავიწიე. თითქოს სტუმარმა შემეკრა მოულოდნელი დარტყმისაგან. მე განზე გავიწიე, მაგრამ უგაროვი, უფრო მომიახლოვდა და ისევ ისე ჩუმად ჩამჩურჩულა ყურში:

— მოუსმინე ჩემს ზღაპრებს, ძმაკაცო! გესმის? ჩემთვის სულ ერთია: გინდა ახლა მაგინებდე და გინდა ლანძღო გულში.

— რა მანამდე, რის მანამდე! ასეთი რამ არასოდეს არ მომხდარა.

— მოგხვდა, მოგხვდა, კარგად გიცნობ, ძმაკაცო! [illegible] რა შეგეძლო ხარ! — ეს რომ მითხრა, უგაროვი წელში მკვეთრად გაიმართა, ფეხზე წამოდგა და ლუდხანიდან გავიდა („ოქროსამ" ამ კაფის სახელის ყველას განსაკუთრებით შევეძლო). პორტსიგარი კარგად რომ მაყადა, მხოლოდ მაშინ შევნიშნე, მაგიდაზე პორტსიგარი და სანთებელა დარჩენოდა, მაგრამ ძალა არ მეყო, ლუდსაც და მომკვლელისა. და ყოველი წამის შემდეგ, ამის მოსმენით, თუ რა საიდუმლოებით შეიცვლებოდა ჩემი ცხოვრება მომხდარს, უგაროვის ჩუმი სიტყვები თანდათან უფრო და უფრო ხმამაღლა ჟღერდნენ ყურებში. მერე ის სიტყვები უკვე გრუხუნებდნენ: „ახლა კი ვნანობ, მაშინ შენ რომ არა გრეხვეო". აი, თურმე რას ნანობს უგაროვი! აი, თურმე რა აწუხებს ჩვენი პორტრეტების! მე კი დღევანდელამდე მეგონა, უგაროვი, რაგინდ საიდუმლოდაც არ უნდა მოვეხვიეთ, ეჭვიანი; ამის ფარსაშიკარებლად არაერთი ხაზით

გამარჩენდა; ახლა თვლას ხომ არ მოიყვანს?! რაღა შორს წავიდე... ჯერ კიდევ ნახევარი საათის წინ, მხოლოდ იმიტომ, რომ მიფრთხილდებოდა, უგაროვმა მეზობელი ქალი მოულოდნელად დატუქსა. და იცით, რატომ? ქალმა ლუდი რომ მიმართვა, უგაროვმა კათხას ხელისგული მადო, გაჯავრდა და მეზობელს მიაძახა: „ეს რა არის, მარია? კაცს ჭიქები სჭირდება (იმ დღეებში მძვარი მეტევა მქონდა და ეს უგაროვმა იცოდა), შენ კი ახლა ცივი ლუდი მოგაქვს? ეს ხომ მკვლელობაა, მარია, ნამდვილი მკვლელობაა!" ხანიოდე დღის წინ კი გასეირნებისას, ორნაც უფრო ძლიერად, ლედის გაწვიმებას არ მივერიდე. ეს მოხდა ქალაქის ცენტრში, ჩვენი გაზეთის რედაქციასთან. დილიდ თავიდანვე მაგვიანდებოდა და ქუჩა წითელ შუქნიშანზე გადავირბინე. მეორე მხარეს, ზუსტად შუქნიშანის ძირში, უგაროვი შემეჩეხა, სიგიჟემდე შეტრთხემიმა არც იცამ, არც აცხელა და მომძგა: „მ თინბენობას არ მოიშლი, მკვლელობა შენი ხიც და ხსეი. სიკვდილს ნუ ეთამაშები, გესმის თუ არაო?" „მესმის-მეთქი",— ვუპასუხე და გამიკვირდა: ჩემს სიცოცხლეს როგორ უფრთხილდება, როგორ უყვარვარ-მეთქი; რამაკვირველია, თავისებურად ვუყვარვარ, რადგან თავის შექმნილად მიმაჩნიარ-მეთქი. რას იზამ? აქ შეკამათება არც ღირს: დიახ, უგაროვის შექმნილი ვარ, უნდოდა თუ არ უნდოდა; ეს მან, უგაროვმა იციცა ყველაფერი, თუმცა შეეძლო არ მოეცა, თავისუფლად შეეძლო არ მოეცა... გამოჩერაეული ჩანმახის ფეხი თითს და მორჩა! იყო და არა იყო რა: ეს შენი ბიოგრაფია მედლეული.

ჰო, კინაღამ დამავიწყდა: ლუდხანა „ოქტომბერში" შეხვედრამდე ცოტა ხნით ადრე, უგაროვმა მითხრა, დაბადებიდან ორმოცდაათი წლისთავის აღსანიშნავად ხარყმის გამზადეგო თურმე ჩიბუხს მიკეთებდა. „ორი თვის შემდეგ დაგამთავრებ და გამოწვის დაგიწყებ, ქამაგიდის ფლოსათვის საუცხოო ჩიბუხი გექნებაო".

ერთი სიტყვით, რომ ვუყვარდი, ამას დასამტკიცებლად ბრავალი საბუთი მქონდა. მოუხედავად ამისა, გარკვევით მითხრა: „ახლა კი ვნანობ, მაშინ შენ რომ არა გრეხვეო".

მეზობელ ქალს აკი უთხრა: „შენ კი ახლა ცივი ლუდი რომ მოგაქვს, ეს ხომ მკვლელობააო!" შემდეგ კი მე მითხრა ეს მომაკვდინებელი სიტყვები: „ახლა კი ვნანობო".

აქ, შუქნიშანთან, უგაროვი მზად იყო ჩემთვის ყურები დაეგლიჯა: „სიცოცხლეს ნუ ეთამაშები, შე ძაღლის შვილო, ახლა რაში აღარ გამიტყდაო". აქ კი, მაგიდასთან, საკუთარი ფსიხოლოგმა მითხრა: „ახლა კი ვნანობ, მაშინ რომ არა გრეხვეო".

ნუთუ მართლა ნანობს ამას? რაღაც არ მინდა დავიჯერო. მაგრამ უგაროვი ისეთი კაცი არ არის, სიტყვა ქარს გაატანოს!

მეორე დღეს უგაროვმა რედაქციაში შემოიარა და მკითხა:

— მომისმინეთ, ჩემი პორტსიგარი შენ ხომ არა გაქვს?

— მე მაქვს.

— სანთებელაც?

— დიახ.

უსიტყვოდ დავუბრუნე უგაროვს თავისი ნივთები. მან კი პორტსიგარი გახსნა და მეგობრული ღიმილით შემომთავაზა:

— მოსწიეთ, მეგობარო.

„გუშინ გაგეხუმრეო", ან რაღაც ამდაგვარის მეტყველ-მეთქი, ვფიქრობდი, თუმცა უგაროვს მსგავსი არაფერი დასცდენია.

* *

ჩემს რვეულში ოლეგის ფურცელი დარჩა. შევავსებ ამ ფურცლებს და ამნაირად დავამთავრებ. სულ რაღაც ერთი-ორი დღის საქმეა. მაგრამ დღეს რატომღაც არ მეწერება. ამისი ოლეგია დამნაშავე. ოლეგი ჩემი ცოლის უფროსი ძმაა. მაგრამ ხასიათით სულ არ ჰგავს მას. და-ძმას იმდენად განსხვავებული თვისებები აქვთ, გეგონებათ, სხვადასხვა ოჯახიდან, უფრო მეტიც, სხვადასხვა პლანეტიდან არიანო. ოლეგი კეთილი, სტუმართმოყვარე კაცია. აგრონომიულ ფაკულტეტზე სწავლობს, ფრიადოსანია. კარგი იუმორი თუ ვერ დაეძებ, მწერლობისაგან მისი დაუოკებელი სწრაფვის მიზეზი იქნება მაინცდამაინც. მარჯვენა ლექსებით შემკული ხელი, წელს კი მისი ხელმძღვანელი ხელი.

— სიომა, შეიძლება შენს საბეჭდ მანქანაზე ცოტა ვიკაკუნო? — მთხოვა დილით ოლეგმა.

— შეიძლება, ოლიმპ ფრთხილად, იცოდე.

— მშვიდად იყავი, არ გავფუჭებ.

— რა უნდა დაბეჭდო, რომანი, მოთხრობა თუ სატრფიალო ბარათები?

ოლეგმა ჩაიცინა, რაც იმას ნიშნავდა, მაგ სისულელეებზე დროს რაღა დავკარგავდი.

— სულ სხვა ოპერიდან, ჩემო მეგობარო ხოთმა, — მითხრა ოლეგმა. — პრაქტიკაზე მიღებული შთაბეჭდილებები უნდა ჩავიწერო. ეს არის და ეს რაღაცაა, ანგარიშის მაგვარი... ეგებ, გამომადგეს.

— მიდი, მიდი, ოლეჟკა, ხალხური ჩაქმე გიდგას.

რომელიმ ან ჯარისკაცული პრტყელი და მაგარი ქაღალდი უნდა ჩამჭრილი ერთი ბლოკნოტი ჩემს მშვენიერ ოლეჟკას: ნეტა, როგორ მოახერხა, ეს პატარა კაბინეტი რამდენიმე საათში ხომ დიდ ხელოსნად გადაექცია? პირველად კი არ იქცევა ასე. კანონმორჩილებული ხაზუთი კი სულ ერთი აქვს: „მუშაობამ გამოტაცა! საათს რომ დავხედე, უკვე ძალიან მაგვიანდებოდა. ლექციაზე ხომ არ დავიგვიანებდით?" ამჯერადაც, რასაკვირველია, ზუსტად ასე მოხდა: მუშაობამ გაიტაცა, გონს რომ მოეგო, უკვე აგვიანდებოდა. ლექციაზე თუ პრემიაზე ვერ ჩაიჭრებოდა, და გამოქცა. ხოლო კი... კეთილი გულის კაცია. ჩვენს ხოლოს თვინიერი ხასიათი აქვს. ეჭვიც არ იყოს, ჩვენთან ასეთი რამ ჩვეულებად იქცა. ოლეგი ანგარიშებს, მე კი ვულაგებ (უნდა აღვნიშნო, რომ ოლეგი გენიალურად ანაგვიანებს). მეც ლიტერატორს ვიცნობ, მაგრამ ნათოის „წარმოების" ამდენი ნარჩენი არ მინახავს. ეს, ალბათ, იმიტომ ხდება, რომ ლიტერატორები უფრო უფრთხილდებიან ქაღალდს, ვიდრე ეს ჩვენი კანონმცოდნე. ოლეჟკა მანქანაზე ათისგვარ ვარიანტს ბეჭდავს. ერთი არასწორად დაწერილი სიტყვისათვის მთელ ქაღალდს დაიძრობს ხოლმე საბეჭდი მანქანიდან, დაჭმუჭნის და ისვრის. ეს ფურცლები, გადაჯღაბნილი წინადადებები და ვარიანტები დღეს უფრო მეტი იყო ჩემს კაბინეტში, ვიდრე ოდესმე ყოფილა. დაჭმუჭნილი ქაღალდები ეყარა ყველგან: მაგიდაზეც, მაგიდის ქვეშაც, სავარძელზეც, დივანზეც, ბუხარი და შევამჩნიე ყველაფერი. შევამჩნიე იმიტომ, რომ ამ ბოლო წლებში წესრიგი შემიყვარდა; და კიდევ იმიტომ, რომ ოლეგი მეცოდება: ის დაზიანებული ყმაწვილია და უცხოეთის ქალაქებს შესანიშნავად, საჭირო ჩანაწერებიც მოაქვს. შემდეგ კი ძნელად დაუწყებს და გაწვალდება.

დაჭმუჭნილი ქაღალდები გავასწორე და ერთ დასტად დავალაგე... თუ „წარმოების ამ ნარჩენებით" ვიმსჯელებთ, ოლეგი დღეს ჩემს მანქანაზე პრაქტიკის ანგარიშს, რასაკვირველია, არ ბეჭდავდა, ეს არც რომანია და არც მოთხრობა. ეს ნამდვილად დრამატურგიული ნაწარმოებია, ოღონდ, არ ვიცი, პიესაა თუ კინო-სცენარი... რაც არ ვიცი, არ ვიცი...

სხვის ხელნაწერს არ წავიკითხავდი (ხელნაწერი, ალბათ, ოლეგმა თან წაიღო), მაგრამ ეს ხომ ნარჩენებია, დაგლეჯილი, გამოუსადეგარი ნარჩენები. მაინც რა ძალა აქვს ცნობისმოყვარეობას, დალახვრის ეშმაკმა! ვერ მოვითმინე და ზოგიერთ ამ მონახაზსა თუ სავარჯიშოს თვალი გადავავლე.

„ირა — ყველაფერი მესმის, გონების თვალით ყველაფერს ვხედავ, მაგრამ არა მჯერა. არ მჯერა, რომ ეს მწარე სიტყვები შენ თქვი, რომ შენს ტუჩებს აღმოხდა ასეთი რამ... შენს ტუჩებს... იმ ტუჩებს, ახლახან რომ მეთხრეს, მიყვარხარო...

ვადიმი — (საქმიანად) ეგ რომ გითხარი, ფხიზელი ვიყავი?

ირა — ნუ თვალთმაქცობ!

ვადიმი — არ ვთვალთმაქცობ. მაგისთვის მცხელა? ფხიზელი ასეთ რამეს არ ვიტყოდი. ფხიზელი რომ ვყოფილიყავი, ეგ სულელური სიტყვა არ წამომცდებოდა.

ირა — (სასოწარკვეთით) დამცინე, დამცინე. კანონიერულო, უბედურო გამოყვლე, მამასახლისო. რასაც ასეთი ვარ, ყველაფერი შეგიძლია გამიბედო. მაგრამ იმასაც მოგიხსენებ, ნამდვილად მოვესწრები იმ დღესაც, შენ ტურტლიან და აქოთებულ ყბას რომ ამოუვლენენ ტყუილებით სავსე პირიდან...

ამ ხედავთ, როგორ მოუქნელია ჩვენი ოლეჟკა? მარმაშილელის ლექსიკონით, მაგრამ, თანაც, მგონი, ახლა უფრო სახლიკი და ძალიან ვაშლიანი. ის, ეს კი უფრო საინტერესო უნდა იყოს.

ალიოსა — ეგ თქვენი ანდრეი რომანოვიჩი კეთილი კაცია. მაგრამ პროკურატურა მაგისი საქმე არ არის.

ნიკოლოზ — მაშ, რა უნდა აკეთოს?

ალექსი — არ ვიცი, ალბათ, ხანდახან ბანკის დირექტორობა უფრო მოუხდებოდა ან ხარაზთა ბიბლიოთეკის გამგეობა. უეჭველი იქნება, მღვდლად გეფიცები.

ნიკოლოზი — (იცინის) საოცრებაა! სახელმძღვანელო ბანკის და ბანკ-ითული [illegible] ჩვენი ხუცი იმოქმედებს კარგად აგრეთვე [illegible] დარწმუნებული ხარ [illegible] გადაწყვეტილებას შემოიჩინეს. მღვდლად [illegible] ბა, ამისთვის, რას გულისხმობდი?

ალექსი — რა არის აქ გაუგებარი? თუ ვინმე მზაკვრ-მოქრთამეკილი იქნება, ილოცებს ჩვენი ეკლესიის ჩიტმაცვებს, ცოდვილის აღსარების რომ უნდა, მონანიებას მღვდლისგან აღმოჩნდება შენი ხუცი.

ნიკოლოზი — მერე, რა არის ამაში ცუდი?

ალექსი — გეფიცები, ასეთი რამ არ ვარგა. შენ ხომ იცი, პელეანკინის საქმეზე რამდენი დრო დავხარჯე? თვითონვე იცი, ან თვითონ თავის მოსაფხანადაც ვერ მოგიგონე, ხამაგიეროდ, შეწყალებული საქმე გადავდე. ფაქტი ფაქტია, ასე მოგიხდება, ვერავერს უშველი.

ნიკოლოზი — ჰო, საქმე ლამაზად შეიდგინე, წესიერებულია მქონს.

ალექსი — აი, ხედავ, შენ მოგეწონა, ჩემი კი სულ სხვა აზრისაა. ბოლომდე ვერ მივიყვანეთ, ასე მითხრა, გვინდა თვითონ პელეანკინთან წაიმუშაო, კიდევ ცოტა. რა საკითხზე წავიმუშაო-მეთქი? — შევეკითხე. არა მჯერა, პელეანკინი ასე გამოუსწორებელი იყოს... არა მჯერა, რაც ნათქვამია, იმის მონანიება არ უნდოდესო და შენ წარმოიდგინე, საქმე უკან დამიბრუნა ერთი მითხარი, ვის რაში უნდა ამ ქურდბაცაცა პელეანკინის სინანული ან მონანიება?

ნიკოლოზი — სულ ტყუილად ფიქრობ ასე, ჩემო ალექსი: ეს, ანდრეი ტიმოფეევიჩს უნდა, რომ პელეანკინმა ცოდვები მოინანიოს. შენ ხომ თვითონ ხარ ამისა მოწმე? მეც მინდა პელეანკინის მონანიება. და, ალბათ, ძალიან ბევრს, თითქმის მთელ საზოგადოებას უნდა, ასე რომ მოხდეს. მაგრამ მონანიება ყველაზე უფრო თვითონ პელეანკინს სჭირდება. საზრდობელაზე ხომ არ ვაგზავნით? პელეანკინი ჯერ სულ ახალგაზრდაა, ცხოვრება წინ უდევს.

ალექსი — როგორიც მღვდელია, მრევლიც ისეთი ჰყავს. მღვდელი ნეტარია და მრევლიც ნეტარითვის შედგება. ეს სულთამხუთის კანტორაა, პროკურატურა კი არა! თქვენ, ალბათ, სულის ვასანათლებელი სამრევლო გეხამრებათ. ალბათ, „სპეცულდამნოდ" ასეთი მონანიებისათვის, არა? მაგ „სპეცუდამნოში" თქვენი ჩამოსახსნელი კლიენტები დადიან... იმაში... რა ჰქვია?.. რკინის ხუნდებში, არა? ეს თქვენი კლიენტები გულში მჯიღს ირტყამენ და დღეღამ ცოდვებს ინანიებენ. ფინიშზე კი, რასაკვირველია, ყოველ მათგანს შარავანდედი ელის. ყველას თავისი ზომისა და დირსების მიხედვით. ის „სპეცუდამნოც" გარდაიქმნება, რა თქმა უნდა, კლიენტებთან ერთად: სადაც მომნანიებელი ცოდვილ ფეხს დაადგამს, ცეცხლოვან მიწაზე თუ ქვიშაზე აუცილებლად მწვანედ ამოიწვრება ლიტრიქო ბალახი, შიშველ ქვებზე კი მოცინარე ყვავილები გაიფურჩქნება.

ნიკოლოზი — დარწმუნებული ხარ, რომ არ გარდაიქმნება?

ალექსი — ხუმრობთ! ცეცხლოვანი ქვიშა ისევ ცეცხლოვან ქვიშად დარჩება, ხოლო შიშველი ქვა — შიშველ ქვად. აი, ასე მოხდება, როგორც აგერ მოგახსენებ!

ნიკოლოზი — დაამთავრე?

ალექსი — თითქმის, შვილიკო, მაპატიე, აღარ წავართმევ სულის ხსნისათვის განკუთვნილ დროს, მაგრამ ხანდახან წუთებ, ერთ რამესაც გკითხავ... მართალია შენ აკეთებენა, თუმცა გულახდილად მიპასუხე. ნუთუ შენც ნამდვილად გჯერა, რომ, თუ ჩემი პელეანკინი მოინანიებს... ვთქვათ, ამას მოვალწიე, მერე რა? განა ქვეყანა გამშვენიერდება?

ნიკოლოზი — ეს ქვეყანა ბოლომდე მშვენიერი, რასაკვირველია, ასე სწრაფად ვერ გახდება. ამისათვის შენი პელეანკინი არ კმარა. მაგრამ უკეთესი რომ გახდება, ეს კი მჯერა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა თქმა უნდა, ცოტა უხერხულად და ძალიან გულუბრყვილოდ დავწერე. ცხოვრებაში, ჩემი კარგი ლექსი [illegible] და ერთფეროვნად [illegible] შენს ეპოქაში. [illegible] მკვრივი არ [illegible] არც არის საჭირო. [illegible] დაჯდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* *

[illegible] შევეკითხე თუ არა, რადგანაც [illegible] ერთმანეთთან და ჩაიც მომინდა.

[illegible] ჩემი მეუღლე იჯდა, ხელში წიგნი ეჭირა. რა დროის წიგნის კითხვაა? ალბათ, ჩემზეა განაწყენებული. ძნელი წარმოსადგენია, სხვაზე როგორ და რატომ უნდა გაჯავრებულიყო.

— ბავშვები სად არიან? — ვკითხე.

— სადაც საჭიროა.

— დამაწყნარე, თუ შეიძლება.

— შეიძლება. დიდი ჯერ [illegible], იქიდან [illegible] წავა. გოგო კინოშია. [illegible] კი ეზოში კლასელებთან თამაშობს.

— ქმარი იქვე გყავდა?

— მეგონე.

— წადი, [illegible] და [illegible], რას იტანჯები?

— რა ვიცი, რა ვიცი, რას ვიტანჯები! — მრავალმნიშვნელოვნად მიპასუხა მეუღლემ. თითქოს ვერ შევამჩნიე გაღიზიანებული კილო.

— ამოვიღებდე მაგ მტკივან კბილს და ყველაფერი გაივლის, აი, ნახე.

— ღმერთო ჩემო! — დაიკვნესა ჩემმა მეუღლემ. — ნუთუ შეიძლება ასე გეზიზღებოდეს ადამიანები!

ისევ ჩემზე ანიშნა. ჩემს მეუღლეს ჰგონია, რომ აღარ იყვარებს და რახან აღარ მიყვარს, ერთდროულად მთელი კაცობრიობაც მეჯავრება. საწყალი ადამიანები, ალბათ, ყველაფერს შეგვ-ნიშნავენ. [illegible] ვამშვიდებდეს. ამიტომ ვეუბნები:

— შენმა ძამიკომ...

— არ გახსოვს... არ გამიგდო ჩემი ძმის ხსენება.

— იცოდეს ხომ არაფერს ვამბობ? პირიქით... მგონი, წარმატებები აქვს... მგონი, რაღაც საინტერესო დაწერა. ყოველ შემთხვევაში, აზრი საინტერესოა. — ოლეგი მიყვარს, ამიტომ გულისყურით ვუთხარი ყველაფერი. მაგრამ ახლა ჩემს მეუღლეს ყოველი ჩემი სიტყვა წი-ნასწარ მოფიქრებული ჰგონია და არაფერს მიჯერებს.

— სტყუი, სტყუი! კარგად ვიცი: შენ ოლეგისა არა გჯერა. თავი გამოჩენილ მწერლად მოგაქვს და ჩვენ ყველა გვჯავრებით. რას წარმოადგენთ ჩვენ შენთვის? არაფერს, დიახ, არაფერს! შენთვის ჩვენ ნულები ვართ, ნულები!

ყურებზე ხელები ავიფარე და ჩემს კაბინეტში „[illegible]". მაგრამ ამანაც არ მიშველა, ისე ყვიროდა ჩემი ცოლი.

... არაფერი არა ვართ! ნულები ვართ, ნულები! ახინთის ღერები!

ახინთის ღერები! დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც [illegible] გავიგო-ნე ეს სიტყვები. მეგონა, ამ [illegible] აღარასოდეს მოვისმენდი, მაგრამ შევცდი: ეს სიტყვები მან ხუტორ აისნოგორსკისთვის ბრძოლაზე [illegible] მოხსენების შემდეგ მითხრა. [illegible] რა სასარგებლო [illegible] მოსასმენებისთვის! რა ალტრუისტული იყო, რა მოკრძალებული! არც არის გასაკვირი. ხუტორ აისნოგორსკისთვის ბრძოლა [illegible] თავის საქმეთა შორის საუკეთესოდ მი-აჩნდა.

ახლა აღარ მახსოვს, უფრო სწორად, არ ვიცი, ვისი ინიციატივით მოეწყო ოლეგის მოხსენების განხილვა. მგონი, ჩვენი ქალაქის უმაღლესი სამხედრო სასწავლებლის [illegible] [illegible] ეს საქმე განხილვას არ [illegible]. [illegible] [illegible]. საბოლოოდ, მოხსენების [illegible] [illegible]. [illegible] ნაშრომი [illegible] ჩვენი [illegible] ქალი მოსვლა. [illegible] „[illegible] თუ შეიძლება, [illegible] თუ საჭირო იქნება... [illegible] ან სხვა რამე [illegible]". მეც შევეხმიანე. ამის შემდეგ ქალაქი [illegible]

ხათის. ქაღალდიც ვუშოვე სტამბაში. სქემები ძალიან კარგად იყო გადაღებული. ნახეთ [illegible] რომ მიუშვა, უგაროვს გაეღიმა: „როგორც ხედავ, მეძველევ, ჩვენც გვისწავლია [illegible]". სამხედრო სასწავლებლის პედაგოგმა, კაპიტანმა, უგაროვს ოპონენტად რომ გამოუყვანეს, ძალიან აქებდა სქემებს. ქება უგაროვს ზომაზე მეტად სიამოვნებდა, თან ეს ოცდარვა წლის ოფიცერი ძლიერ მოსწონდა: „ანუშკას გარდა ერთი ბიჭიც რომ მყავდეს, აუცილებლად ამ სასწავლებელში შევიყვანდი. ასეთ მასწავლებლებთან სწავლას რა სჯობია. აი, ჩვენ, [illegible] უნდა მოგახსენო, უმაღლესი კულტურაა. მე და შენ, ძვირფასო მეძველევ, ასეთი მასწავლებელი არც დაგვესიზმრებოდა".

ეტყობა, უგაროვი განხილვამდე კიდევ რამდენჯერმე შეხვდა თავის ოპონენტს, რადგანაც იმ ახალგაზრდა კაპიტანით აღტაცებას ბოლო არ უჩანდა. და აი, სულ ათიოდე წუთი ილაპარაკა კაპიტანმა უგაროვის მოხსენებაზე და ნიკოლაი პეტროვიჩის აღფრთოვანებაც ნისლივით გაქრა.

— ასე მგონია, მეძველევ, რომ კაპიტანი უგულო კაცი უნდა იყოს. მე არც მტერი ვარ მისი და არც მეტოქე. ის კი სულ გამაცამტვერა. დაწყებით, კარგად დაიწყო. ჯერ ჩემი დამსახურებანი ჩამოთვალა, მერე ისიც დაამატა, სამამულო ომის [illegible] დიდად [illegible], მათ წინაშე ქუდს ვიხდიო. მაგრამ როცა ჩემი ბრძოლის განხილვაზე მიდგა საქმე, გამოირკვა, რომ არავითარი პატივისცემა არ ჰქონდა ამ კაპიტანს, პირიქით...

— ღვთის გულისათვის, ნიკოლაი პეტროვიჩ, — ვუთხარი უგაროვს, — მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ [illegible], არ შეიძლება ადამიანზე ასეთი რამ თქვათ.

— ღმერთი არ არსებობს, მეძველევ. [illegible] ხედავ, არავითარი ღმერთი არ არსებობს?! უზენაესი რომ [illegible], [illegible] ხნის [illegible] ვერ [illegible] ამბობს: ჩემი გამოგონებებით, [illegible], არავითარი გამოგონებები არ არის მაგისი, მეძველევ. ამ [illegible] ელექტრონული მანქანები [illegible], [illegible] იმ მანქანებს, [illegible]. მაგრამ ის [illegible] თავისას გაიძახის, კაპიტანი [illegible]. „ჩემი გამოგონებებით, — ასე თქვა, — თქვენმა [illegible], ამხანაგო [illegible], ხუტორ [illegible] ბრძოლაში [illegible] [illegible]". და ამის მერე, გესმის, მეძველევ, მე [illegible]?!

— რამდენი კაცი დაკარგეთ იმ ხუტორთან? — ვკითხე უგაროვს.

— ის კაცი რასაკვირველია, [illegible] კი მაგრამ, თქვენი აზრით, [illegible] უნდა დამეწყო: [illegible] თუ არა, ეს ხუტორი უფრო იაფად [illegible] მოგვიჯდა?!" მოდი, იმ კაპიტანსაც ასე შევეკითხე: „ის [illegible] თორმეტი კაცი რომ დაღუპულიყო, მაშინ, რა? ყოჩაღი მეთაური ვიქნებოდი? მხოლოდ თორმეტი კაცი რომ დაღუპულიყო, აჯობებდა, არა? თქვენთვის ის თორმეტი სულ არაფერს ნიშნავს-მეთქი? ასანთის ღერები ხომ არ გგონიათ? ან იქნებ ინკუბატორში იყვნენ გამოჩეკილები? [illegible]... გესმის, მეძველევ, რა იდიოტური ანგარიში შემომთავაზა. ცანცლიანი ყმაწვილიც კი მიხვდება, რომ ასეთი ანგარიში სისულელეა და სხვა არაფერი. ასე თუ ვიანგარიშეთ, [illegible] უწყის, ხვალამდე მივალთ. მე კი სულ სხვა ანგარიშები მაქვს. [illegible] ხუტორი [illegible]? [illegible]. აი, ჩემი ანგარიში.

ეს რომ მითხრა, უგაროვმა რატომღაც თავიდან მთელი [illegible]. [illegible], თავისი აზრით, [illegible] წვრილმანებში [illegible], კაპიტანს ლანძღავდა. თავის მეგობარ [illegible] ლანძღავდა იმიტომ, რომ არ [illegible] და იმ „ძუნძუწითელას" [illegible] არ ასწავლეს. უგაროვი [illegible] და [illegible]. [illegible] უგაროვის [illegible]. თანაც [illegible] ნიკოლაი პეტროვიჩი ჩემგან თანაგრძნობას ელოდა. [illegible] ჩემი ერთი [illegible] კი გულზე მალამოდ მოეცხებოდა, ერთი გულისხმიერი შეხედვაც კი დაამშვიდებდა. მე კი არ მსურდა, ღმერთო, მაპატიე, არ მინდოდა და არც შემეძლო უგაროვის დამშვიდება.

[illegible] და [illegible], უგაროვი [illegible], [illegible] საქმე და წავიდა.

— [illegible], მეძველევ, წერილების [illegible] უნდა [illegible], [illegible].

[illegible]

შესაიერება თუ არ მოლაპარიკობს, იმ დღეს გაზეთში ჩემი სარეკლამო ლაიბრებულ ერთ ხუმარულით აღამიანზე- უვაროვი ქუჩაში შემხვდა და მითხრა:

— კარგად დაგიწერია, მეგობარო, თითქმის ხელოვნურადაც. მაგრამ ერთი რამ ვერ გამიგია: მხოლოდ კარგზე რატომ წერ? ერთი ფელეტონი მაინც დაწერე ბიუროკრატებზე ან თაღლითებზე, თორემ რა გამოდის? გამოდის, რომ შენ უბერხებლო, გაუბედავი კორესპონდენტი ხარ.

— შესაძლოა, ასეც იყოს, მაგრამ ფელეტონს მაინც ვერ დავწერ. არ შემიძლია. ნიჭი არა მაქვს.

— რა განსაკუთრებული ნიჭია საჭირო?! წერა იცი. აიღე და დაწერე შენსავით მარტივი ენით წერა და...

— სინჯეთ, ნიკოლაი პეტროვიჩ, ეგებ გამოგივიდეთ.

— რაც იქნება, იქნება, ვსინჯავ. აბა, მიმიყვანე რომელიმე განყოფილებაში.

მეც მივიყვანე წერილების განყოფილებაში და ბორის ევგენიევიჩს გავაცანი. ფელეტონამდე საქმე არ მისულა; უვაროვს წერილების გამოთაება დაავალეს. ამას უვაროვი დიდი გულმოდგინებით აკეთებდა. ყველა აქებდა, ოლიას გარდა. ეს თვრამეტი წლის გოგონა, რატომღაც აშკარად გამოხატავდა უვაროვისადმი სიძულვილს.

უვაროვი კი ახე ექცეოდა თავი, თითქოს ვერც ამჩნევდა ოლიას აშკარა დამცინავ ქცევას. ბორის ევგენიევიჩი ყველაფერს ხედავდა და ტუჩებსაც კი იკვნეტდა. ვერ გამიგია, ოლიას, რა ჰქონდა იმ კაცისაგან. აი, ხედავ, რა კარგი ახვარი დაწერა? წაიკითხე". „წავიკითხე". — პასუხობდა ოლია. „მერე?" „მერე არაფერი". „რას ნიშნავს, არაფერი?" „იმას, რომ ეს ჯერ არაფერს ნიშნავს". „ახლა რომ გაგიჩნდა..." — სწყინდა განყოფილების გამგეს.

მგონი, ამ ყველასათვის გაუგებარმა სიძულვილმა აიძულა ოლია უვაროვისათვის სიროტკინის წერილი შეეჩივლებინა. მგონი კი არა, ეჭვი არ არის, ასე იქნებოდა.

პენსიონერ მარია გრიგორიევნა სიროტკინას, რომელიც ძველ რაიონში, ერთ პატარა ცხოვრობდა და სხვისი სახლში, ხაშხარეულით და სათავსებით სარგებლობდა, სამკვიდროსადილოში ბრძოლა ჰქონდა გამართული მეზობლებთან. უკვე კარგა ხანი იყო, სიროტკინას გამოჩენა ჩვენს რედაქციაში მეხის გავარდნას ჰგავდა. მისი წერილები სისტემატურად მოდიოდა და პასუხს თუ დაუგვიანებდნენ, ზემდგომ ორგანოებში საჩივარს აგზავნიდა. აი, ასეთი ქალი იყო სიროტკინა; მაგრამ უვაროვმა ეს არ იცოდა. უვაროვმა მიიღო წერილი, წაიკითხა და გაემგზავრა „განმცხადებელთან", როგორც თვითონვე თქვა. სიროტკინასგან უვაროვი ძალზე გაბრაზებული დაბრუნდა და ოლიას უთხრა: „სიროტკინას ეფრავენ უწყალოდ. ეგ ქალი საკუთარი თავის მტერიაო". „და თქვენ სულ არ გეცოდებათ ის მოხუცი ადამიანი?" — ჰკითხა ოლიამ. „არა, ასეთი მავნე და ბოროტი ხალხი სრულებითაც არ მეცოდებაო", — მიუგო უვაროვმა.

მოხდა ისე, რომ ოლიასთან საუბრის შემდეგ უვაროვი აღარ მოსულა რედაქციაში. ბორის ევგენიევიჩი განერვიულდა. ოლიას უყვირა: „აი კარგი შტატგარეშე თანამშრომლის დაკარგვა შენი „სულელური" ექსპერიმენტის ბრალიაო. რა უფლება გქონდა, უვაროვს სიროტკინასთან რომ აგზავნიდი, ეს ხომ თითქმის ხულიგნობააო". — ბორის ევგენიევიჩმა ყვირილით გული იჯერა და მერე მე მთხოვა, უვაროვისათვის მეთქვა, რედაქციაში თანამშრომლობა განეგრძო.

— თქვენ აქ სჭირდებით და ბორის ევგენიევიჩის წილი განყოფილება კი გელოდებათ ყველას წინაშე... — დავიწყე საუბარი, მაგრამ უვაროვმა მაშინვე შემაწყვეტინა:

— რედაქციაში აღარ მოვალ.

— რატომ? გაწყენინეთ თუ გაგაბრაზეთ რამე?

— ვის უნდა ეწყენინებინა?! მე, ჩემო ძმაო, ხიფათ საერთო რიგული დავიწყე. ფელეტონი მინდოდა დამეწერა მაგრამ აი ბავშვიდან არაფერი გამოვიდოდა. როცა ეზოში კითხულობ იმ ოხერ ფელეტონს, გეგონება, ამის დაწერას რა უნდა ჭკუაო. კორესპონდენტები ზიან და წერენ...

ნაცნობ და სწორი — გავიხსენე უვაროვის სიტყვები რომ ნიკოლაი პეტროვიჩს ყოველთვის სწყინდა და მისწერდნენ, მიყვარდნენ ახლა კი სჭირდებათ გამიღიმა და ხელი გამიწოდა. „ჰოდა ჩვილი" — მითხრა.

— ეჰ, ჰო — ვუპასუხე უვაროვს — ეგ არაფერი, განყოფილებაში გიდაბრუნებ და...

— დიდი მადლობა გადაეცი ყველას, უკლებლივ ყველას; მაგრამ რაც ჩემი საქმე არ არის, იმას ვერარ მივყვებოდე. ახლა მაგის დროც არა მაქვს. ერთი ადგილიდან ხაზებით გამოვა, სქელი მოზრდილი წრეებით, ბურთის გარშემო ფურცლები [illegible] ზაფხულში ტალ-ტალა ხეებზე მამაჩემი და ჩემი ბუნებით, ხომ იცი, რაღაცას დაიწყებდნენ! მოდი, ჩვენ მეგობრები ვიქნებით და ვმუშაობთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგი საქმე გამოგივათ, ნიკოლაი პეტროვიჩ, — გაეპასუხა უვაროვ[illegible]კრატიზმსა და თვალთმაქცობას კიდევ ებრძვით?

— მაგით ასვენებთ ვიყავით. ჩვენმა ვეტერანებმა საბჭოთა კონტროლის საქმეებში ჩაიბეს და...

— ბორის ევგენიევიჩს რა გადავცე?

— მადლობა, დიდი მადლობა. ჩემს მაგივრად დაუკოცნეთ.

ამ სიტყვებით დაემშვიდობა უვაროვი ჩვენს კასტრიონიძეს. რასაკვირველია, მაშინ ვერა-ფრაც არ მომხდარა, რომ ნიკოლაი პეტროვიჩს უკანასკნელად ვხედავდი. ძალზე ბევრი სასწრაფო, საინტერესო საქმეები მქონდა და ერთხელაც, ერთ-ერთი მოგზაურობიდან რომ დავბრუნდი, წერილების გარჩევისას შევიტყვე. ბორის ევგენიევიჩმა მაშინვე ოფისში აჩვენა სიროტკინას წერილი.

— ბიჭს წაიკითხე. საოცარი წერილია. ხუთ წელიწადს საზღვრებს ვეწერდი და ახლა მადლობას ბარათით გამოგვიგზავნა.

მართლაც საოცარი წერილი იყო: სიროტკინა ამ წერილში კარის მეზობლების უმიზეზოდ ავიწყებდა, თურმე ნუ იტყვით, იმ უცნობ მეზობლებს კიბის საფეხური განგებ ჩაუნგრევიათ, სიროტკინა რომ დაეცემულიყო, კინაღამ ფეხიც მოიტეხა! სიროტკინა კიბეზე დაგორებულა და ბარძაყი დაუზიანებია. სწორედ მაშინ, როცა ეს უმწეო ქალი მარტოდმარტო იწვა საწოლში, უვაროვი ეწვევია. სიროტკინას არ ეგონა, უვაროვი ოდესმე თუ ისევ ესტუმრებოდა, რადგანაც უკანასკნელი ვიზიტის დროს კარგა მაგრად უჩხუბიათ. უვაროვს ჩვეული სიდინჯითა და მოუხსენებია, რასაც სიროტკინაზე ფიქრობდა. სიროტკინა, რასაკვირველია, ვალში არ დარჩენილა და იმასაც პირში უთქვამს რაც უვაროვსა და მის უსულგულო რედაქციაზე ბოღმად დაგროვებოდა გულში.

ან და, უვაროვი სულწაწყვეტილი გამობრუნებულა სიროტკინასთან (მაშინ ნიკოლაი პეტროვიჩი უკვე აღარ მუშაობდა რედაქციაში), მიმხვდარა, რომ ამ საქმეში ბოლომდე ვერ გაერკვეოდა, გამორკვევას ნიკოლაი პეტროვიჩი, რა თქმა უნდა, აღარ შეუძლია. უვაროვი ქუჩაში გამოვარდნილა და ტელეფონ-ავტომატიდან „სასწრაფოს“ გამოუძახა. მერე, დრო რომ არ დაეკარგა, ხელში აიყვანა ავადმყოფი ქალი და მოწყალებულა, საკმაოდ დაშორებული კიბით „სასწრაფოს“ შესახვედრად სადარბაზოში ჩავიდა. „მე კი მისი ქალი ვარ, ამ სიტყვის ნებისმიერი მნიშვნელობით“, — კომენტარი დაურთო სიროტკინამ ამ ფაქტს.

ბორის ევგენიევიჩმა ბარათი გამომართვა და თვითონ წაიკითხა ხმამაღლა, გამოთქმით, ზუსტად ისე, ლექსებს რომ კითხულობენ.

— ეს არაფერს არ ნიშნავს, — თქვა ოლიამ. ოლიამ ეს ჩუმად, თავისთვის ჩაიბურტყუნა, მაგრამ ბორის ევგენიევიჩმა გაიგო, გაწითლდა და დაიყვირა:

— ისევ ამ სულელურ სიტყვებს ვაიძახი?

მართლაც რა უნდა ცოდნოდა ამ ცინცქნა გოგონას უვაროვზე? ეს, ალბათ, ემოციური ბაზრი და უარყოფა იყო და თუ მართლაც იცოდა ოლიამ რაიმე უვაროვზე ისეთი, რაც სხვებმა არ იცოდნენ, ჩემზე მეტი ხომ არ ეცოდინებოდა?! არც ჩემზე მეტი ეცოდინებოდა და, რა თქმა უნდა, არც იურა ტიმოშენკოზე მეტი. მე და იურამ მაშინ ერთდროულად დავინახეთ უვაროვის ღრმა, გამჭვირვალე, ფსკერამდე ამომშრალი თვალები.

რასაკვირველია, იურამ იმ თვალებში უფრო მეტი რამ დაინახა. ამიტომაც მას უფრო მეტი მოუხდეს, ვიდრე მე. მე მხოლოდ სულიერი ტრავმა მივიღე. მართალია ეს ტრავმა უმძიმესი როდი გარ, მტკენჯავს და მაწამებს, მაგრამ სხვა დროს ხომ მაინც არ მაწუხებს? იურას კი...

— ...ერთხელაც, ხიმოდე წლის წინ, ერთ უხეირო, საკმაოდ პრიმიტიულ ოჩერკებში ასეთი ფრაზა ამოვიკითხე: „ო, ღმერთო, გევედრები, განსაცდელი, ერთი წამით მაინც ავიდგენე მაყურებლით იფვრისა, რომ შეძლოს ცოცხლად დარჩენილთა სამხედროებზე წარმოდგენის ამჟღავნება. სამუშაო წამოვიდა მაგრამ შემაძრწუნებლად მკაცრი უფლებურებით მისი მკვლელის

სულისა, თანაც იმ მხრიდან კი არა, საიდანაც ყველანი ვხედავთ, არამედ იმ მხრიდან, რომელიც ყველასათვის დაფარულია". შემდეგ უფრო დაწვრილებით ეწერა მთელ ამ ურნარ ნაარეზე და მთვარემთვალზე. უფრო დაწვრილებით ივენზე რომ ვკითხულობდი, იქვე ტომარკოვი გამახსენდა. ტომარკოვი შემთხვევით არ გამახსენებია: იმ ხანებში ხშირად ვხვდებოდი უგაროვს. კარგად მახსოვს, პირველად და უკანასკნელად, რომ ვილაპარაკე [illegible] მაშინ რა თქვა, თქვენ უკვე იცით. და როცა ამ საუბრის შემდეგ წავიკითხე [illegible] რების განაცვიფრებელ, ერთი წამით მაინც ალაგებენ მკაცრეთითი ივენით", უმალვე მივხვდი, რა აზრი იყო ამ სიტყვებში საიდუმლოდ ჩაქსოვილი. ანუ როგორც ლიტერატურათმცოდნეები ამბობენ, უმალვე კვლავ ამ ფრაზის ქვეტექსტი.

ვიმეორებ: მართალია იმ დილით მე და იურამ თითქმის ერთდროულად ვნახეთ უგაროვის გამჭვირვალე, ფხიზლად ამოწურული თვალები; თითქმის ერთდროულად ჩავიხედეთ უგაროვის სულში (ალბათ, ამ გამჭვირვალე უპკურიდან!), მაგრამ მე — მცირე, ხოლო ტომარკოვმა — სხვების თვალებისათვის მიუწვდომელ სიღრმემდე. ერთი სიტყვით, ჩვენ ორივემ სხვადასხვა სიღრმემდე შევიცანით უგაროვის სული. მაგრამ რა აზრი ჰქონდა ამ შეცნობას? რა სარგებლობა მოუტანა ამან იურას, ანუ მისი უკვდავყოფისა სამსახურის სამაგიეროდ? რა სარგებლობა მოიტანა ამან მე, ცოცხლად დარჩენილს? იურამ უგაროვის სული საკმაოდ ღრმად შეიცნო და, როგორც გამოირკვა, სავსებით არ სჭირდებოდა ამის შეცნობა. მე კი... ვერ იტყვი, ჩემთვის ძვირი იყო თუ ცოტა უგაროვის სულის შეცნობა; უკეთესი იქნება, გულახდილად გითხრათ, რომ ჩემთვის ამის შეცნობა საშინლად მძიმე ტვირთი იყო. ჩვენს მაგივრად სხვა რომ ყოფილიყო... თუმცა, ეს ლოგიკაა და მეტი არაფერი. იმ წლის იქ ჩვენს მეტი არავინ შეიძლებოდა ყოფილიყო და ამიტომაც თვითონ უნდა... აი, თვითონ რა უნდა გამეკეთებინა, ეს ნამდვილად არ ვიცი.

## ბოლო შეხვედრა

ამასობაში, პანაშვიდის დასასრულიც მოახლოვდა. წინა ოთახში, მე რომ ვიდექი, სულ რამდენიმე კაციღა დარჩა. მხოლოდ დაკრძალვაზე ჩამოსულნი ხომ წყნარი ნაბიჯით. არავინ არც დიდ ოთახში ჩერდებოდნენ და არც წინა ოთახში, სხვებთან ერთად რომ გაეზიარებინათ ქვრივისთვის მწუხარება, ვიღაც მოიხადინენ და გადიოდნენ.

— მეხვედოთ, სახლში ჩამოვიდა! მადლობა ღმერთს! — მითხრა უცებ მეზონინიდან ქალმა. კარისაკენ მოვბრუნდი.

ელექტრონის შუქით განათებულ შემოსასვლელში იდგა შავგვრემანი, მზიანად გარუჯული ჭაბუკი. ჭაბუკს ხელში ჩემოდანი ეჭირა. ჩემოდანს ჯერ კიდევ ეკიდა აეროპორტის იარლიყი. ჭაბუკს სტუდენტის სამშენებლო რაზმელის ფორმა ეცვა და არ იცოდა, ჩემოდანი სად დაედგა.

— ვეშ ეს არ არის სახლი? — ვკითხე რატომღაც. წესით კი, ალბათ, უნდა მეკითხა „რომელი სახლი?“ ან „ვისი სახლი-მეთქი?“ მაგრამ პასუხი ამ კითხვაზე უკვე ვიცოდი.

სახლიდან ჩემოდანი ტანსაცმლის საკიდის ქვეშ მიადგა და, ალბათ, ჩვეულებისამებრ, სარკისაკენ შებრუნდა, აწეწილი ქოჩორი რომ დაევარცხნა. მაგრამ სარკეზე რაღაც ჩამოფარებანათ და ჭაბუკი მოიღუშა, მერე შუბლგაოფლიანი თავი ოდნავ დახარა. ჩვენ წინ მტკიცე ნაბიჯით ჩაიარა და დიდ ოთახში შევიდა. იქიდან მაშინვე მოისმა ქალების ქვითინი და ქვითინში ორ ხმაში ტიროდნენ. ახალგაზრდა ქალის ხმა სულ ორჯერ გავიგონე: ჯერ თითქოს არა სჯეროდა, ისე წამოიძახა:

„ვიტია?“ შემდეგ კი საყვედურით აღმოხდა: „ეგრე არ შეიძლება, დედა!“

— კოჩაღ, ვიტია! ნეტავი შვილი ყოველთვის შენსავით მოვიყვანოთ, — თქვა მეზონინიდან ქალმა, — უკვე მესამე დღეა, ვფიქრობდი: ჩამოვა თუ არ ჩამოვა-მეთქი. ციმბირი ჩვენი ქალაქიდან არც ისე ახლოა.

— და ვაღიარებთ, რომ არ ჩამოვიდოდა, არა?

— რა გადაწყვეტთ: მნიშვნელობა აღარ აქვს: ხედავთ ჩამოვარდა!

მომეჩვენა, თითქოს მეზონინიდან ქალი გამიბრაზდა. მე კი არ მინდოდა გაწყენებულიყო, რადგანაც ძალიან მომწონდა მისი მოხერხება, შინაურული ჩურჩული; ამიტომ სწრაფად

და სიტყვაწყობილად (როცა ვჩქარობ ან ვღელავ, ყოველთვის მისე მწერალივით ვლაპარაკობ!), დიახ, სიტყვაწყობილად წარმოვთქვი:

— დიახ, დიახ, ჩამოფრინდა! ჩემის აზრით, ეს... გასაოცარი ფაქტი... დადებითი, მნიშვნელოვანი ფაქტი.

— რა თქმა უნდა, დადებითი ფაქტია, — დაეთანხმა მემაგნიტოფონე ქალი, — მიტომაც გითხარით: მადლობა ღმერთს, სახაძო ჩამოვიდა-მეთქი. თანაც ასეთი სახით. შეამჩნიეთ, რა მხრები და შუბლი აქვს?

— მოზვერივით შუბლი აქვს.

— არ მოგეწონათ?

— რატომაც არა. ეგეთი ყმაწვილები მომწონს.

— მეც მომწონს. ეტყობა, ბაქია არ არის.

ეს რომ მითხრა, მემაგნიტოფონე ქალმა მარცხენა ხელით სკამის ქვეშ სამგზავრო ჩანთაში დაიწყო ფათური. არ ვიცი, ეს უხერხულად წახრილი ქალი რას ეძებდა, მაგრამ რატომღაც გავიფიქრე, სიგარეტი მოუნდა-მეთქი და სასწრაფოდ გავუწოდე ჩემი კოლოფი. ქალი წელში გაიმართა (რა მოქნილი სხეული აქვს! ეს ან ბალერინა ან ტანმოვარჯიშე უნდა იყოს!) და ჩემი ხელი აარიდა.

— არ ეწევით?

— საერთოდ ვეწევი, სამუშაოზე კი — არა. ერთი შეხედეთ, ის ყმაწვილი კართან დგას; მანდ მეილები ან ხიძეები დგებიან ხოლმე. ყოჩაღ, ვიტენკა! ჭკვიანი ბიჭი ყოფილა! ამ დროს მხოლოდ ასეთი ხალხია საჭირო. ქალები ძალიან უმწეონი არიან. ალბათ, პოდპოლკოვნიკი ხელის გულზე ატარებდა.

— ცოლს — არ ვიცი, ვერ გეტყვით, — ვუპასუხე მემაგნიტოფონეს, — შვილს კი, ანუშკას, რაც მართალია, მართალია, მეტისმეტად ანებივრებდა.

— ჩემი აზრით, ორივეს, ქვრივსაც და ობოლსაც, გამოცდილება აკლიათ.

— გამოცდილებას ცხოვრება მოაქვს, — ვუპასუხე ქალს.

— მართალია, — დაეთანხმა მემაგნიტოფონე ქალი, — ზურგზე ხომ პირ ტყავს რომ აგაძრობენ, გამოცდილება მაშინ, აბა, რას იზამს? ახლა კი, როგორც ხედავთ, ჩვენი გოგოები ერთის ერთმანეთიდან მეორის კალთებქვეშ ამოიჩხიკნენ.

— და ძალიანაც კარგია, რომ გაუღიმა ბედმა თუ რაღაცამ, — ვთქვი ჩუმად.

— არც მე ვამბობ, ცუდია-მეთქი. უბრალოდ, მეც მიხარია შვილისშვილებიან ერთად დამოუკიდებლად რომ ცხოვრობენ, ასეთი ქალები ბევრი მინახავს და არა უშავთ რა; ყველა შემთხვევაში, წამშვილით არ ისხდებიან. ესენი, მით უმეტეს, არ იამმშილდებიან: ბინა აქვთ, ბევრიც უდგათ რაც მიატოვა, პენსია დაუნიშნებათ. შემთხვევით, ხომ არ იცით, რამდენს უნიშნავენ პოდპოლკოვნიკის ქვრივებს?

მეორე, ვიცოდი, რამდენსაც უნიშნავენ პოდპოლკოვნიკის ქვრივებს, მაგრამ ამ წუთას ვერ გავიხსენე, რადგან ხარბად დაბაჯღლულ უცნაური აზრი აწიოტებდა ამ ქალზე. როგორი გამოცოცხლდა! თვალები, ყველასმხილველი, ყოვლისმჭვრეტელი თვალები როგორი აციმციმდა! რა ღმერთი გაუწყრა: ამ სამსახურში რამ ჩააყენა? აბა, რა სამაგნიტოფონე ქალია ეს მშვენიერება?! ასეთი ქალი პანაშვიდებსა და დაკრძალვაზე უნდა არბენინონ? ეს ხომ დიდი დანაშაულია! ამ ქალის „გამოყენება" ნამსახურების ზღვარი მკრეხელობაა და მეტი არაფერი.

ეჭვი არ არის, ქალმა თვითონ აირჩია სამსახური და, საშინლად უნდა ითქვას, კეთილსინდისიერად, ფრიად კვალიფიციურად და შესაფერი ცოდნითაც მსახურობს. ხომ გახსოვთ, ოტიხოდეს ...ც არ ...ა, ისე ... ქალის სამგლოვიარო პარიკსზე და ...ის გამოუმეტყველება.

მწვანის მოსასხამი ახალგაზრდა სახით, ვიტია რომ ეძახდა, ზურგით კარს მიადგა მაგრადშემოდგა; პირისახე მოდუშული, მაგრამ მტკიცე გამომეტყველებისა მქონდა; უჩუმრად ჩამოართვა ხილი და ქვრივისაკენ გაემართა. ნიკოლაი პეტროვიჩის მეტად დამწუხრებულ მეუღლეს ზოგადი ფრაზები ვუთხარი. ქვრივმა თავი ასწია, ნამტირალევი თვალებით შემომხედა, მაგრამ ვერ მიცნო და ამიტომ არც შემომტირა და არც ცრემლი გადმოყარა. მხოლოდ ეს მითხრა: „გმადლობთ!" და კვლავ დახარა თავი. ქვრივი არ მიცნობდა, რადგან უგონობამ ვერ იქნა და ვერ გამიცნო თავისი მეუღლე. მეც ალერ მეჩხერდი მახსოვს. სამაგიეროდ, ანუშკასთან უნებლიეთ მომახდა შეყოვნება.

— ხედავთ, რა დაგვემართა? — მკითხა ანუშკამ და ჯერ კუბოზე მიმითითა, მერე — დედა-ზე, მერე ხელი რატომღაც ოთახის შავ ხავერდჩამოფარებულ კედლისაკენ გაიშვირა. როცა ეს დაღლილი ხელი უღონოდ დაეცა კაბის კალთაზე, ანუშკამ ამოიხლუქუნა და ხელმეორედ მკითხა: ხედავთ?

ის, რაზედაც გოგონამ მიმითითა, უკვე მენახა, მაგრამ თვით ანუშკას სახე, ახლა, თითქოს პირველად დავინახე. ეს სახე არა ჰგავდა იმ წორჩი გოგონას სახეს, რომლითაც, არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ასე რიგად ვტკბებოდი. რა გულდასაწყვეტი და სამწუხარო ცვლილება! ახლა ისეთი ნაცრისფერი, არა, ნაცრისფერი კი არა, ისეთი უფერული სახე აქვს, ვერაფრით ვერ გაიგებ, ახალგაზრდაა თუ მოხუცი.

კარგია, უგაროვი რომ ვეღარ ხედავს დატანჯულ ქალიშვილს. კიდევ კარგი, უგაროვი ვერ ხედავს, რაც მისი უნებლიე დანაშაულის გამო დაემართა ანუშკას. ჰო, რომ იცოდეთ, როგორ შემეცოდა უგაროვი, პირველად შემეცოდა, პირველად შემეცოდა ასე უსიტყვოდ და დაუფიქრებლად. და სწორედ ამან მათქმევინა, რასაც ადრე ხმამაღლა არ ვიტყოდი:

— საწყალი, საწყალი უგაროვი!

გესმით, რაც ვთქვი? უგაროვზე ვთქვი, საწყალი-მეთქი!

ანუშკამაც გაიმეორა ჩემი სიტყვები:

— საწყალი მამაჩემი, საწყალი მამიკო!

— მთელი სულითა და გულით... — დავიწყე, თუმცა არ ვიცოდი, როგორ დავამთავრებდი ამ წინადადებას; მაგრამ ვგრძნობდი, რომ საჭირო იყო, აუცილებლად იყო საჭირო, კიდევ რაღაცა მეთქვა.

— გმადლობთ, — მითხრა ანუშკამ. — დიახ, თქვენ გიყვარდათ მამაჩემი.

ისე დავიბენი, რომ, მგონი, სამჯერ ვუთხარი: „დიახ, დიახ, დიახ-მეთქი". ანუშკას ალბათ არ შეპარვია ჩემს გულწრფელობაში ეჭვი და დასძინა:

— არ შეიძლება ისეთი კაცი არ გეყვარებოდეს.

ასეთი რამ უგაროვზე უკვე ერთხელ გამეგონა. ერთმა გოგონამ თქვა კი, მისიაც ლურჯ-ფერია ვუთხარი და აბა, ანუშკას რას გავუბედავდი?

— მამაჩემსაც უყვარდით, — განაგრძო ანუშკამ. მისთვის არასდროს ნაწნავი ჩემი ჯუმლა-ლი, ყურიც არ უგდია, როდესაც დასტურს არ ხაზგარეშე. — მამაჩემს თქვენ ძალიან უყვარდით. მიზეზი, ხედავთ, ძალიან უყვარდა ყველა ფერწერული ნაწარმოები. თქვენ კი განსაკუთრებით უყვარდით: თქვენი ყოველი ნახატი თუ ხატება, პოლოტნოებიც კი ამოჭრა ვაწყობ-დიდან და შეინახა. მერე გიხილავთ. ბავშვივით უხაროდა თქვენი ბევრის დანახვა, ახლა ამბობ-და თქვენზე: ძალიან კარგად წერს, უნაკლოდ ცოცხალია, ნამდვილი ტალანტია.

— გმადლობთ, — ვუპასუხე ანუშკას. — გმადლობთ, — გავიმეორე, — თვითონ... ძალიან იტან-ჯებოდა?

— საშინლად. ფიზიკური ტკივილი აწამებდა, მაშინ კი — არა. შიშის გრძნობა, ხედავთ, არ განიცდია. მართალს გეუბნებით, ამას მეფიცებოდა... სიკვდილისა ნამდვილად არ ეშინოდა, გჯერათ?

— მჯერა, — დავეთანხმე.

— მამას, ალბათ, იქ, ფრონტზეც არ ეშინოდა სიკვდილისა, — თქვა ანუშკამ.

— სიკვდილთან უგაროვი, რომ იცოდეთ, ძმობილივით იყო, ღვიძლ ძმასავით შეეჩვია სიკვდი-ლი. და ხანდახან ორივენი ერთად ისეთ ამბებს დაატრიალებდნენ ხოლმე, რომ...

ო, ღმერთო ჩემო, რომ იცოდეთ, როგორ შემომხედა ანუშკამ!

არ მინდა, ქაღალდზე დავწერო, რაც ამ შემოხედვაში ამოვიკითხე (როცა ადამიანს ასე-თი დიდი თვალი აქვს, შესაძლოა, ბევრი რამ ამეტყველოს! იქნებ ყველაფერი? არ ვიცი. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ უნდა ამეტყველოს). ამ შემოხედვით ანუშკამ უარყო, გაბრაზებულმა უარყო ჩემი სიტყვები, ახლახან რომ ვთქვი მამამისზე. როგორც ჩანს, არ მოეწონა ეს სიტყვები (ნამდვილად ასეთი ჩემი სიტყვებისა ვერ მოითმენდა) და უარყო კიდევაც ყველაფერი, რაც გავიგონე. მერე ცივად, და, ვფიქრობ, ქედმაღლურადაც მითხრა:

— ვერ ვფიქრობდი... ალბათ თქვენ მამაჩემზე ნაწყენი ყოფილხართ!

კარგად მახსოვს, შეუძლებელი იყო, ჩემი სიტყვები გულში არ მოხვედროდა. ისიც ვიცი, რომ ჩემი სიტყვები შეაშფოთებდა და მოულოდნელი დასკვნა, მაგრამ მაინც უკეთესი იქნე-ბოდა, თავაზიანობისათვისაც წავიდოდი და სამართლიანიც გამოვიდოდა, თუ ერთ კარგ დღეს კითხვას შევეკითხე: „მითხარით, მეგობარო, მამაჩემი თქვენთვის ხომ არაფერი უწყენინებიათ?"

ანუშკამ კი... მაგრამ არა, რახან სამართლიანობა ვახსენე, თავადაც სამართლიანი უნდა ვიყო: ასეთი შეკითხვა რომ მოეცა, ეს ჩემთვის იქნებოდა კარგი, ანუშკასათვის კი — არა! არ შეიძლებოდა, არაფრით არ შეიძლებოდა ანუშკას ასეთი შეკითხვა დაესვა. ასეთი რამ არასოდეს არ მოუვიდოდა, რადგანაც თავის კეთილ [illegible], აშკარად ყველაფერს ამჩნევდა. ჩემს სამართლიან მამიკოს არ შეეძლებოდა ამხანაგისათვის ეწყენინებინა. ამხანაგებს ის არასოდეს შეურაცხყოფდა, მტრებს კი... მტრებს, თქმა არ უნდა, აწყენინებდა კიდეც, დაუნდობლად მუსრავდა და აცამტვერებდა. ამიტომ მტრები უნდა იყვნენ გაჯავრებული და ნაწყენი ანუშკას სამართლიან მამიკოზე. მაგრამ თუ ამხანაგს უდევს წყენა გულში, თუ მამიკოს ამხანაგია ნაწყენი, ესე იგი, ის ცუდი კაცი და ცუდი ამხანაგი იყო.

მესმის, რომ ახლა ანუშკას სხვანაირად არც შეუძლია ჩემზე იფიქროს, მაგრამ მაინც... მაგრამ მაინც შეიძლებოდა ასეთი ქედმაღლური კილოთი არ მიემართა ჩემთვის. ასეთი ამბის დროს, მამის კუბოსთან, მტირალი თავდაბლობა უფრო შეეფერება, ვიდრე სიამაყე. მართალია ასეა? კი მაგრამ, განა თქვა? რაში მჭირდება ამ გოგონას თავმდაბლობა? უმჯობესია თავად დავთრგუნო ჩემივე სიამაყე, თორემ ძალიან გამითამამდა და გაიზარდა ამ ბოლო დროს. დამჩაგრა, დიახ, დამჩაგრა; სხვანაირად ვერც ავხსნი, როგორ წამოიჭრა ეს სიტყვები ანუშკასთან. რატომ ეუცხოვა ახა? რატომ? და საერთოდ, რა მინდა ამ გოგონასაგან? ასეთი მოსიყვარულე ჩვილი, წმინდათაწმინდად რომ ხედავს მამის გმირობას და უშიშრობას, რატომ უნდა [illegible] ყველაფერი? ერთი შეკითხვაც: მამიკოს იქ, ფრონტზე, სიკვდილისა ხომ არ ეშინოდა, [illegible] და შვილების დასანახად. ჰო, რატომ, რატომ უნდა ვკითხო ჩემთვის ამის შესახებ? ნუთუ მხოლოდ ამიტომ, სიკვდილის წინ რომ ნახა, როგორი წვალობდა და როგორ იტანჯებოდა? მაგრამ ტანჯვა-წამებას შიშთან რა ხელი აქვს? ტანჯული, ტკივილისაგან შეშლილი პოდპოლკოვნიკი მეც შემიძლია წარმოვიდგინო, მაგრამ მაინც დათრგუნული უგაროდ, უგაროდ რომელიღაც ემსახურა... არა, ასეთს ვერასოდეს წარმოვიდგენ და მეც დიდებული ნიკოლაი პეტროვიჩის ქედმოუხრელი და გონებაში ქედიც მოუდრეკელი მისი მამამთავრული ერთგულების წინაშე.

— იურის თქვენ მამიკოზე ნაწყენი ყოფილხართ! — ცივად და ქედმაღლურად მითხრა ანუშკამ. მე კი მშვიდად, ისეთივე მშვიდად (შემდეგ, რამდენიმე ხნის შემდეგ, ეს ჩემი საქციელი არ მომეწონა.) ვუპასუხე:

— რის ბრძანებით, ანუშკა, რის ბრძანებით, ჩემო კარგო! ნიკოლაი პეტროვიჩზე ნაწყენი რატომ უნდა ვიყო? პირიქით, უგაროდისაგან დიდად დავალებული ვარ. მინდა თქვენც იცოდეთ, რომ ნიკოლაი პეტროვიჩმა სიცოცხლე მომცა, გესმით, სიცოცხლე მომცა!

მაგრამ ანუშკას უკვე ეჭვი ეპარებოდა ჩემი სიტყვების გულწრფელობაში და ამიტომ მკითხა:

— სიცოცხლე მოგცათ?

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე. მაგრამ ანუშკას უნდოდა ბოლომდე გაერკვეულიყო:

— ესე იგი, გინდოდათ გეთქვათ, სიკვდილს გადაარჩინაო? გამიგონია, ფრონტზე მამას ბევრი ამხანაგი გადაურჩენია სიკვდილისაგან. მამაც არაერთხელ გადაურჩენიათ ამხანაგებს. ეს კარგად ვიცი.

ყველაფერი იყო, — გავიფიქრე, — უგაროდსაც გადაურჩენია და უგაროთაც გადაურჩენიათ. ასე იყო! ანუშკამ, ალბათ, ბევრი რამ იცის თავის მამაზე. მაგრამ ყველაფერი ხომ არ იცის?! ის, რაც მარტის იმ შორეულ დილას მოხდა, ანუშკამ, რასაკვირველია, არ იცის. იურა ტომორკოვზეც არაფერი იცის. თუმცა იურა ტომორკოვზე მოგონებებით უგაროდი ანუშკას სათუთად მოვლილ ნორჩ და წმინდა სულს არ აუფორიაქებდა. არც მე ავუფორიაქებ, მაგრამ ვერ ვიტყვი, კარგია, ასე რომ ვიქცევი, — თუ არა... ახლა, ამ წუთას ვერაფერს ვერ ვიტყვი, მერე კი... მერე გავერკვევი. არც იმას ავუხსნი, რა განსხვავებაა „სიცოცხლე მომცას“ და „სიკვდილს გადამარჩინას“ შორის. თუმცა რა უნდა ავუხსნა ახლა? რა არის სიცოცხლე? სიცოცხლე რაც არის, იმას თვითონ ცხოვრება უხსნის და კიდევ ბევრჯერ აუხსნის. რა არის სიკვდილი? განა შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ სიკვდილზე მე უფრო მეტი ვიცი, ვიდრე ანუშკამ?

არა, ახლა ვერაფერს ავუხსნი ანუშკას. ბედმაც გამიღიმა: ოთახში შემოვიდნენ და რატომღაც პირდაპირ ანუშკასთან მოცვივდნენ შავოსანი სქელი ქალები. ალბათ, ისინი ანუშკას საქმროს, ვიტას ნათესავები იყვნენ, რადგან ვიტაც მათთან ერთად ანუშკასთან. შაოსნები სხვაგვარი ქალები აღმოჩნდნენ. ორნი იყვნენ, მაგრამ ათი გეგონებოდათ. ქალებმა

მაშინვე მომაჭყლიტეს კედელთან. ანუშკა შეშინდა: ციტიას გადახედა შეშინებული თვალებით. ჩასისინამ ცალი ცხვით გაიღიმა. ანუშკამაც ასეთივე ღიმილით უპასუხა. უცებ შევნიშნე, რომ ჯერ კიდევ შერჩენოდა გოგონას სახეს უწინდებური ცეხი და გავიფიქრე: ანუშკა ისევ შებრუნდება, გალამაზდება, გალაღდება-მეთქი. უგაროვა კი...

თუმცა ესეც ხანმოკლე ფიქრი იყო; სამგლოვიარო მუსიკის პანაშვიდის ჰანგები დაუსრულებლად მოდიან და მოდიან.

სქელმა მათხამმა ქალებმა იტირეს, იყვირეს და მერე კედლისკენ სკამებზე ერთმანეთის გვერდით დარბაისლურად მოიკალათეს. როცა ისინი მიწყნარდნენ, მაშინღა მივხვდი, რომ მუსიკაც გაჩუმებულიყო. უნებლიეთ საათს დავხედე: ზუსტად ცხრა საათი იყო; არც ერთი წუთი, არც ერთი წამი ზედმეტი არ უმუშავია მემორანდუმის ქალბ. ჩვენს დემოკრატიულ ბიუროებში სრული წესრიგია: დისციპლინა და შრომის კოორდინებულობის ... , უზრუნველყოფილი! მუსიკა გაჩუმდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ პანაშვიდი დამთავრდა. მაგრამ ეს მხოლოდ ფორმალობის იყო ასე. მე კი უგაროვისთვის უკვე არ ვიცოდი. ამიტომ მას კუბოსთან დავრჩი და ახლა დავინახე (ახლა არავის მიჩქარებდა), ძალიან დამახსოვრდა, მეგონა, მთელი ჩემი ცხოვრების, მთავრობათა გამოსვლობაში ... ლურჯყვითელ ... კედელი და ... უგაროვის უძრავ და, ალბათ, ამიტომაც რამდენიმე ... ხელს, რომელმაც სიცოცხლეს გამოსახულება იყოს ტომრის და შეე... ნახევრად შეეძლო მეც მოვეკალი, მაგრამ, როგორც ხედავთ, არ მომკლა.

□

# ლევ კონდირევი

## ლექსები (ქართული რვეულიდან)

თარგმნა თედო ბექიშვილმა

### რიწა

როგორც დედამიწის
ცრემლი დაუფარავი —
მოლობილა რიწა
მთების მწვანე კარავით.

ვნახე, როგორ გაწყვდა
ამ ბუნების ნახატით
გაოცებულ მნახველთა
შეუწყვეტი ნაკადი.

მთები, მართლა ზღაპრული,
მოჩანს განმეორებით —
ფსკერზე გადახატულან
გარს მოჯრილი გორები.

მზერა უფრო მძაფრდება
საოცნებო სანახით —
უცებ შუქად გაკრთება,
გაიელვებს კალმახი.

და თუ როსმე მოგინდეს
მოხვდე ზღაპრულ მხარეში,
აქ უნდა ამოხვიდე
ყოველ მიზეზ გარეშე.

ის გულს წამლობს წყლულიანს,
ყველა ტკივილს გადაშლის.
რიწა შეხვეულია
ნისლში, როგორც ბამბაში.

აქ თავდება მთავარი
სილამაზის საზღვარი...
ელავს ტყეთა კარავში
ტბა ცრემლივით ჩამდგარი.

### ჭექა-ქუხილი ზღვაზე

ზღვამ ჩაისუნთქა,
გაერიდნენ ნავები ღელვას,
ნატისუსალის სუნი დადგა
უცებ ჰაერში,
ვით ამორძალი,
გადმოენთო მთებიდან ელვა,
გახაზა სივრცე
და კუნაპეტ ზღვაში ჩაეშვა.

მერე გრძნეულმა
აიქნია ნაწნავი უცებ,
შორი სივრცენი მოაქცია
კაშკაშა რკალში
და ამ ოქროსფერ,
ამ ელვარე
თვალების შუქზე
უფრო თამამად
თოლიები
აიჭრნენ ცაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სილა

დაუნდობლობა მაოცებს სილის,
მისი დუმილი მაკრთობს ყოველთვის.
სილის ქვეშ მრავალ ქვეყანას სძინავს,
დაფარულს ყვითელ უდაბნოეთით.

მგელივითა ღრღნის სილა პლანეტას,
მაგრამ უკვდავი ძალა პლანეტის
ყვითელ სილაშიც ფესვებს ანედლებს,
კვლავ იფარება მიწა მწვანეთი.

ისე მძლავრია სიცოცხლის ვნება —
ვით ვერ დაჩრდილავს მნათობს ლაქები...
და ფენიქსივით კვლავ დილას ხვდება
ხალხიც, ბაღებიც და ქალაქებიც.

## ამფორა

აი, ამფორა...
        ნიჟარის მსგავსი,
მე მისი ბედის შეცნობას ვცდილობ.
ამბობენ, ვითომ თვით ფიდიასი
ამით სვამდაო თრაკიულ ღვინოს.

სვამდა, რომ ჟინი მოეკლა მწველი,
რომ კიდევ ერთხელ ეხილა ცხადად
იმ საოცნებო ქალწულის წელი,
ვინაც ოცნების სახატედ ჰყავდა...

ერთხელ კი, სახლში მოსულა როცა,
როს ცდილა სატრფო ეხილა ქვაში —
ჩამოუღია ამფორა ოსტატს
და ბრაზმორეულს უსვრია ზღვაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნაპირი

აჰა, ვიხილე
მისი ნაპირი,
რომ სიხარულით
ისევ ავევსე...
მოუწყინარი,
მარად ცინცხალი,
შემომხვდა შავი
ზღვა მოალერსე.
სალამი, ზღვაო,
ძვირფასო ძმაო,
შენს მლაშე ტალღებს
კვლავ მაზიარე.

შთამბეჭდე შენი
უშრეტი ძალა,
მიუსალმუნე
მკვეთქავ იარებს...
რომ კვლავ ვიარო
ამ გორებს შორის,
რომ სუნთქვა
ლაღი გახდეს ქარივით
და რამე ჟილდო
ამქვეყნად თუა —
მე გემო წამყვეს
შენი მარილის.

## მდინარის ბიოგრაფია

მორევების თრთოლა,
ტალღის თქარათქური,
შორს, ზღვის შესართავთან
დახუთული სიცხე...
იქით მიდის მისი
ლტოლვა უცნაური,
ყოველივეს მარად
კვლავ თავიდან იწყებს.
მის ბიოგრაფიას
ბევრს ვერ მიუმატებ:
მორევების თრთოლა,
ფსკერი დაკარგული...

აქ, მდინარე ბზიფზე
სულ შემთხვევით ვიგრძენ
ჩემი ყრმობის დღენი
შორეთს დაკარგული.
იყო შებინდება,
ქარვისფერი ფსკერი
ცნაჭე ელვის რკალით
შუა გახლეჩილი...
კვლავ რომ განმეორდეს
ის სინათლის ჩქერი,
ვიცი, ვერ გაუძლებს
იმ შუქს თვალთა ჩინი...

# აღას აივაზიანი

## წმინდა ჭეშმარიტება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოთხრობა

სომხურიდან თარგმნა ზეზვა მედულაშვილმა

●

ჭიპირო ჯერ მეკალაპოტესთან იყო შეგირდად. ერთი თვე არაფერი და, თვისთავზე გეურქამ ფინთად ჩაიცინა:

— არა, ძმაო, შენი ხასიათის კალაპოტი ჩემი დუქნის ხარჯი არ არის!..

რაღა ჩარა იყო და, ჭიპირომაც ცოტა ქვემოთ, მღებავ სამსონას დუქანში ჩაინაცვლა. რამდენიმე დღის შემდეგ ჭიპირო თავით ფეხამდე სააღდგომო კვერცხივით იყო აჭრელებული, მის შეღებილ ტანსაცმელს კი, გაპუტული ქათამი რომ გინახავთ, ისეთი მიმხრჩვალი ფერი ედო.

— ტო, შეღრეგო, ერთი ამ შენს ფერი-მერს დახედე... მე რა, ყეინობა მაქვს დუქანში?! — უთხრა უსტა სამსონამ.

ჭიპირომ აქედანაც ბარგი აიკრა და უფრო ქვევით, მეკუბოვის დუქანში გადავიდა. აქ ყველანი მხიარულობდნენ და მარტო ჭიპირო იყო მოწყენილი. თვალი სულ გარეთ ეჭირა, ან არა და — მაზალო შეკითხვებს აძლევდა უსტა მიკირტუმას აქვეყნიერ-იმქვეყნიერზე, სიკვდილზე და სიცოცხლეზე. მოწყენილ-ჩაფიქრებულს თან სიფათიც ისეთი ჰქონდა, რომ იმისი შემხედვარე დუქანში მოტრიალე ხალხი სიცილით იხოცებოდა... ერთი სიტყვით, ჭიპიროს მეკუბოვის მხიარული დუქნიდანაც კიდევ ქვემოთ, ჩერქეზი მკალავის — ალიმას დუქანში მოუხდა ჩაბარგება. სირაჯხანაზე ამვლელ-ჩამვლელ ლამაზ ქალებს რა გამოლევდა და, ჭიპიროც ერთთავად გარეთ იჯდა, თვალს აყოლებდა, სანამ ქალები ქუჩის ბოლოს არ მიეფარებოდნენ... ერთხელაც, როცა ერთმა ლამაზმა ქალბატონმა ჩამოიარა და ჭიპიროც გარეთ გავიდა, რომ თვალისთვის წყალი დაელევინებინა, ალიმამ თავისი უშველებელი ფაფახი თვალებზე ჩამოიფხატა და დაადევნა:

— შიგ აღარ შემოხვიდე!..

ჭიპირომ უყურა, უყურა და ისევ აგორდა მისი ცხოვრება, ისევ აივსო საზრუნავით.

სირაჯხანა დაღმართია და ჭიპიროც თითქოს თავის უკანალზე დაჯდა, ციგასავით დასრიალდა და ისე ჩავიდა ავლაბრიდან სირაჯხანის ბოლომდე, შეითანბაზრამდე. ავლაბარში ეკლესიები იყო, შეითანბაზარში — მიზგითები; ავლაბარში — აღმოსავლური ფუნდუკი, შეითანბაზარში — სპარსული აბანოები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავლაბარში სინემატოგრაფის აპარატი წიწინებდა, შეითანბაზარში აქლემები დაირწეოდნენ ხვნეშით. ამათი შემაერთებელი კლდის თავზე მეტეხის ციხე იდგა... მტკვრის სანაპიროს დაყოლებაზე, ცოტა ქვევით, ორთაჭალის „სამოთხე" იყო საქეიფო ადგილებითა და ლამაზი გოგოებით... გინდა ეკლესიაში წადი, გინდა — ბაზარში, გინდა აბანოში შედი, გინდა ციხეში!...

ჭიპრო ორიოდე დღე ბაზარში ხეტების შემდეგ მანდოლინის დამკვრელ სამეულს შეუერთდა. თბილისი მხიარული ქალაქი იყო... ჩინელები ეზოებში ფოკუსებს აჩვენებდნენ, ცეცხლსა ყლაპავდნენ; იტალიელები „ბელკანტოს" მღეროდნენ, გიტარასა და მანდოლინას უკრავდნენ... ეს იტალიელებიც და ჩინელებიც ნელ-ნელა დაიკარგნენ თუ, ვინ იცის, გათბილისელდნენ და ახლა ცეცხლსა ყლაპავდნენ და მანდოლინას უკრავდნენ ქართველები, სომხები, რუსები...

წკრიალებდნენ მანდოლინები სანაპიროს ეზოებში და მიიმღერ-მიიღვენთებოდა ცხოვრება მტკვრის დინების რიტმით...

ჭიპროსაც მანდოლინა ეჭირა, გვერდში ამოსდგომოდა მაესტრო მოსე ბარნაბოს და საჩვენებელი თითით აწკარუნებდა ერთ სიმს, მხოლოდ ერთ სიმს... გაჰყურებდა ჭიპრო მოჩუქურთმებულ აივნებზე გამოფენილ ქალებსა და ქალბატონებს, გაჰყურებდა და შეცდომით სხვა სიმს აწკარუნებდა. მაესტრო მოსე ბარნაბომ მანდოლინას ყველა სიმი დააწყვიტა და ის ერთიღა დაუტოვა, რომელზეც იმ დღეს ჭიპროს უნდა დაეკრა. ჭიპროს კი მუსიკა ხანდახან ისე აიტაცებდა, მსხვილი და კოტიტა საჩვენებელი თითით იმ ერთადერთ სიმსაც აწყვეტდა ხოლმე. კეთილი კაცი იყო მოსე ბარნაბო, მაგრამ მასაც გაუთავდა სიმები...

თბილისში ბლომად იყო ცისარტყელივით ყველა ფერით მოლივლივე კახური ღვინოები, ზემბელებში ერთმანეთს ეალერსებოდნენ ერევნის ჭერამი და თავრიზული ყურძენი, კინტოების თაბახებზე ხართუთა პეწიანობდა, სპარსელები თავზე შემოდგმული ტაფებით დაატარებდნენ ცხვრის შემწვარ თავ-ფეხს და მისი სურნელი უჯდებოდა ქალაქის ყოველ კუთხე-კუნჭულს... თბილისში ოხრად იყო ინდისხურმა, დარიჩინი, მიხაკი, ფერად-ფერადი არაბული შარბათები, ყალია... და მიმოჰქროდა მათი სურნელი ქალაქში, ეხვეოდა ერთმანეთს, იქცეოდა რაღაც ჭრელ, ჯადოსნურ ღრუბლად, ტრიალებდა ავლაბარში, შეითანბაზარში და ნარიყალის უბანში, მერე წვიმად იქცეოდა და ის სურნელოვანი, ფერადი წვიმა უხვად იღვრებოდა მიწაზე... ჭიპრო თავს ასწევდა და ყლუპ-ყლუპად სვამდა იმ წვიმას.

— ვაჰ, ეგ რას იბასმერები, ჭიპრო? — ეკითხებოდნენ კინტოები.

— სადილს მივირთმევ, რაღა! — მიუგებდა ჭიპრო.

— გიჟია, ტო, მუდრუგი?.. — იცინოდნენ კინტოები.

დღისით ჭიპრო მტკვრის პირას ქვიშაზე იწვა და მზეზე თბებოდა, ღამით პაროხ ასატუროვის კინოს ქვეშ, თავის საკანში შეძვრებოდა და იქნებ ცხოვრებაში ამ ცოტასაც დასჯერდებოდა, იმ დღეს რომ ქუჩაში არ გამოსულიყო.

გამოვიდა და... თითქოს სიზმარში დაუარა შეითანბაზრის ყველანაირმა სურნელმა, ძარღვებში გაუჯდა ხარფუხის ყოველი ფერი, ძვლების გულისგული გაუმსჭვალა რიყისუბნის მუქ-ჩრდილების ჯადომ... ყველაფერი ერთად მიეძალა: ტკბილი და მწარე, ცხარე და მჟავე, მახრჩობელა და მოალერსე, ხავერდის სილბო და თეთრი ზეწრის სიმშვიდე...

თბილისის მთავარ ქუჩაზე, გოლოვინსკზე, სასეირნოდ გამოსულიყო ორთაჭალის სალხინოთა ოცდათორმეტი ლამაზმანი, მათი დასვენების დღე იყო ის ორშაბათი. ისეთნაირად მიარწევდნენ თეძოებს, თითქოს გაბუტულის [illegible] წინასამზადისში არიანო. მტკვრის ტალღებივით მიჯრით მიხადენი კოჭები ერთურთს ეტლაშუნებოდნენ და მათ ქვეშ დაჩნეული ფეხების ნაკვალევები საცნაურს ხდიდა პატრონთა მდაბიურ ყოფა-ყაიდას.

ოცდათორმეტი კახპა გოგო ერთად გამოსული ჯერ არავის ენახა გარეთ. თბილისს არ ახსოვდა ამაზე უფრო დიდი ლაშქრობა, შაჰ-აბასისა და მაჰმად-ხანის შემოსევა ცეკვა-თამაში იყო ამასთან შედარებით. თბილისელებს ეს იდუმალი კალდუცები გარეთ, თავიანთ გვერდით, ასე აშკარად, ჯერ არ ენახათ, ჯერ არ ეგრძნოთ; ისინი აქამდის მხოლოდ თავისებური ლაპარაკის საგანი იყვნენ, ჭორი, ცოდვიანი ამბავი და ჯოჯოხეთის სიტკბოება... ჯერ ასე თვალსაჩინოდ არასდროს დაწყვილებულიყო აკრძალული და ნებადართული, ჯერ სამზეოზე არ ეხილათ ერთად უნდომი კდემა და ნანდომი უსირცხვილობა...

ქალები მშვენობდნენ მაქმანებითა და არშიებით, აბრეშუმით, ფუნჯებითა და მბრწყინავი ქვებით... კაბების ჭრელა-ჭრულა ფერებშუა ცეცხლოვან მზერას ისროდნენ ქალები. ახალი რამ ხილი იყო თბილისისათვის ასეთი მზერა — ერთდროულად ტკბილი და ლირფი, გაბედული და მბდლური, ჭკვიანური და გიჟური, ცბიერი და მიამიტი, მოკაშკაშე და მიმქრალი...

თბილისელი ქალბატონები და ყმაწვილქალები სასწრაფოდ კეტავდნენ სარკმლებს, ზოგ-ზოგნი ფარდებშუა მაინც გასცქეროდნენ ამ ამაზრზენ საზეიმო სვლას. გასცქეროდნენ და მათში წარმოიშობოდა რაღაც გაუგებარი გრძნობა: უნდოდათ სიყვარული სიკვდილამდე, უნდოდათ გაშიშვლება და სახურავებზე შიშვლად ძრომიალი, გორაობა და მტკვარში გადავარდნა...

ამ საზეიმო სვლამ დაანგრია ბევრის ოჯახი. ნერსესიანთ სკოლის სტუდენტ სუქიასს სხვანაირად აემღვრა სისხლი, მიაგდო ხორენაცი[1] თუ ნარეკაცი[2] და — ჰაიდა ეშმაკის გზაზე! რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, ვინ იცის კიდევ რაები არ მოჰყვა იმ ზეიმურ აღლუმს თბილისში...

ღამე ჭიპრო თავის კუთხეში მოკუნტულიყო და ტიროდა. საოცარი კი იყო ის ტირილი, შიგადაშიგ ხანდახან სიცილსაც ამოუშვებდა ხოლმე... და ამის შემდეგ ჭიპროს ძილში აღარაფერი ზმანებია იმ ოცდათორმეტი უსირცხვილოს მეტი...

ორთაჭალის ბაღებში ამოსული ქინძი და ოხრახუში თავიანთ თმა-ფოთლებს გიჟურად იწეწავდნენ და უკიდეგანო მხრებზე იშლიდნენ, მწვანე სისხლი უდუღდათ და უბობოქრობდათ. კიტრი, შუშა კიტრი ხომ სკდებოდა ხვეული ქორფა პწკალების სისქისაგან! პამიდორი ივსებოდა, იბურთებოდა და მის წითელ, ნაზ კანს უცხო რამ ძალი ენატრებოდა, რომელიც ერთი უხეშად გულში ჩაიკრავდა მას, რათა გასკდარიყო და შვება მისცემოდა.

ორთაჭალის ბაღებში ნაირ-ნაირი ლამპარ-ჩირაღდნები ანთებდნენ მუქ, ლაჟურ ცას და სურნელებით თავბრუდამსხმელ ქვეშაგებში მუშტარს ნებდებოდნენ საფრანგეთიდან ჩამოსული ლამაზმანები...

ორთაჭალის ბაღებში ქეიფობდნენ „ბულოჩნი ასატუროვ ი სინოვიას“

---

1 ხორენაცი — ადრინდელი შუასაუკუნეების სომეხი ისტორიკოსი.

2 ნარეკაცი — X ს. სომეხი პოეტი და სასულიერო მოღვაწე.

პატრონი ასატუროვი, აბანოების მეფე გოგილოვი, „მილიონერნი ზავოდ მილოვას“ პატრონი მილიანი, მცხეთის მოურავი თამამშევის ქარვასლა, [illegible]-ყხაროვის შენობები...

ეს ჩვენი თბილისელი მთხლე ჭიპრო, ეს ჩვენი სირაჯხანე[illegible] ჭიპრო, ეს ავლაბრის მაიმუნი ჭიპრო ცეცხლში იდაგებოდა და [illegible] შენივთულ-შედედებულიყო მასში თბილისი თავისი აქლემებით, თავისი შახსეი-ვახსეებით, გოგილოვის აბანოებით, მურწას ღიმილით, ქცეულიყო სისხლად, მოწითალო თუ ნარინჯისფერ სისხლად, მქუხარებდა ჭიპროს სხეულის ყოველ მისაქცევ-მოსაქცევში, ქვითინებდა, ბოდავდა, იკლაკნებოდა, მტკივაობდა, მკივარობდა, საბოლოოდ კი წვიმიანი ამინდის მოწყენილობა მოჰქონდა და ტირილის გუნებაზე აყენებდა პატრონს. როცა ის ოცდათორმეტი გოგო ეწვეოდა მის ჭვარტლიან სისხლს, ჭიპროს ახსენდებოდა მამა და, ტიროდა; ახსენდებოდა დედა და — ტიროდა, ახსენდებოდა თავიანთი კონკ-მანკიანი სახლი და ტიროდა...

და ეს ჩვენი თბილისელი ნაძირალა ჭიპრო უტრიალებდა ორთაჭალის ბაღებს, შორიდან უყურებდა ნაცემი ძაღლივით, სუნავდა და აყურადებდა, ბაღში უხმობდა იქიდან მონადენი ხმაური, ჩურჩული თუ სუნთქვა-ოხვრა...

მთელი დღე ქალაქის ქუჩაბანდებში ნათრევ ჭიპროს ფეხები ბოლოს მაინც ორთაჭალის ბაღებისაკენ წაიყვანდნენ. გარს უვლიდა ჭიპრო იმ ხმაურიან მოროვეს და გვიან საღამოს ბრუნდებოდა სახლში.

რამდენი ფული უნდა აგროვო კაპიკ-კაპიკ, რომ ხუთი მანეთი შეაქუჩო? ეგ რამდენი კაპიკია, ტო, ეგ ხუთი მანეთი?.. ეგ რამდენად ჭკვიანია, მაშასადამე, ბატონი თამამშევი, რომ მაგდენი ფულის დათვლა შეუძლია... ამდენ კაპიკებს როგორ თვლიან ეს ოჯახაშენებული მდიდრები, ტო?.. ვაი შე საწყალო ჭიპრო, თითო კაპიკობით ათი წელიც რომ აგროვო, მერე იმოდენას დათვლი კი?!. ხუთი კაპიკი რომ მეკალაპოტე გეურქასთვის ეთხოვნა, ხუთი მღებავ სამსონასთვის, ხუთიც კიდევ მკალავ ალიმასთვის, ეგ რამდენი იქნებოდა?.. ორთაჭალისთვის ნამდვილად ცოტა უნდა ყოფილიყო... და იგრძნო ჭიპრომ, რომ ყველაზე ძნელი მისთვის სწორედ ეს თვლა იყო...

ღამე თავის თვალგამოთხრილ კუთხეში მიყუნცული, მუხლიკვრებზე ხელებშემოჭდობილი ჭიპრო მწარედ რჯულავდა თავის სისხლს: „კუზოსთან ყოჩაღად, მხიარულად დგომა ვერ შეიძელი, ტო, ბემურაზო!.. კალაპოტის გამოჭრა ვერ ისწავლე, ტო, ბემურაზო!.. მაშ, რა უფლება გაქვს, რომ ერთი ამბავი გაგაქვს ჩემში, მიდი-მოდიხარ და ჰკივი... თამამშევის სისხლზე ძვირფასი ხარ თუ როგორ არის შენი საქმე?..“ ასე ელაპარაკებოდა ჭიპრო საკუთარ სისხლსა და თან მსხვილ მუშტებს იშენდა სხეულზე. მაგრამ დილით უკვე აღარ ჰქონდა სისხლთან ლაპარაკის თავი და რაკი სხვა გამოსავალი აღარ უჩანდა, პირდაპირ ვანქის ეკლესიაში წავიდა. ეკლესიის კედლები სიცივეს ისუნთქებოდნენ და თავიანთი იმ ცივი სუნთქვით ჭიპროც გამსჭვალეს. ჭიპრომ თავი ყოვლად ჭეშმარიტად იგრძნო, როგორღაც საკვირველად დაკარგა თავისი ქონიან-წვირიანი სხეულის მგრძნობელობა და თითქოს რაღაცნაირი გამჭვირვალობა შეიძინა. ჭიპროს ეჩვენებოდა, თითქოს თვითონ არა ჩანდა ეკლესიაში, თითქოს კარებიდან შემოჭრილი სინათლე გამჭოლ გადიოდა მის სხეულში და მისი სხეულიც სინათლისგან იყო ქმნილი, თითქოს აგერ, ჰა და ჰა, მთლიანად ეზი-

არეშა სინათლეს, ასწევენ მაღლა, წაიყვანენ, წაიყვანენ და... ჩამოსვამენ ორთაჭალის ბაღებში.

ჭიპროს გრძნობა სუფთა იყო, უდრტვინველი, შინაგანად მშვიდი და ბრწყინვალე... ჭიპრომ უყურა კედლებს, წმინდანთა ხატების მსხვილ-მსხვილ თვალებს და მოეჩვენა, რომ ყველანი თანაუგრძნობენ, ყველას მხოლოდ მისი ბედი ადარდებს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავისი სენაკიდან ტერტერა გამოვიდა და მრავალ საგანთან ერთად მისი მხედველობის არეში ჭიპროც მოხვდა. სულიერი მამა განცვიფრდა. ჭიპროს ისეთი შთაგონებული სახე ჰქონდა, ისეთი კეთილშობილი, ისეთი წმინდა, ძლიერი და მიზანსწრაფული, რომ ეს ჩია, თავის დღეში განუცვიფრებელი ტერტერა მიუახლოვდა მას და პირჯვარი გადასწერა. ჭიპრო აქვითინდა, აქამდე ნაგროვ-ნადუღი გრძნობა გულწრფელად გადმოყარა ცრემლებად.

— რა მოგივიდა? — შეეკითხა ტერტერა ჭიპროს; დაავიწყდა თავისი მდგომარეობა, თანამდებობა, გარემო და ისე უბრალოდ, ბუნებრივად შეეკითხა, თითქოს ქუჩაში დავარდნილ ადამიანს სთავაზობდა შველას.

ჭიპრომ სულიერ მამას შეხედა. მისმა გულწრფელმა, განწმენდილმა მზერამ შეაღო ტერტერას გულის კარები. და ჭიპრო მოჰყვა: სალოცავი ვარო, შინ ერთადერთი შვილი მყავს და ისიც სასიკვდილოდ გადადებულიო, შვილი ამა ქვეყნისა, რომელიც იმ სიყვარულის ძირია, ახლა რომ დავკარგო, მერე არავინ და არარაფერი არ შეყვარებიაო... შვილიც იმიტომ კი არ მიყვარს, რაკი ჩემი შვილია, უფრო იმიტომ, რომ ადამიანთა მძივის ერთი მარგალიტია და ის მარგალიტი თუ დაიმსხვრა, მთელი მძივი გაწყდება და გაიბნევაო...

შვილი მიკვდება, რადგან ცხოვრება მკაცრია, ხოლო ღმერთი ერთადერთიო.

ომოლი, ბაიყუში ჭიპრო იმდენად იყო დარწმუნებული თავისი ნათქვამის ჭეშმარიტებაში, უფრო მეტიც — იგი იმდენად ჭეშმარიტი იყო, რომ რაიმეს გამოგონების ან სიტყვების ძებნის საჭიროებას არც კი გრძნობდა... იმდენად იყო შინაგანად ერთქმნილი, იმდენად ბუნებრივი, რომ ტერტერას არც კი უგრძვნია მისი თბილისური კილო, ხველებისა და ხვრინვის მსგავსი მდაბიური სიტყვა-გამოთქმები, ლანძღვა-გინების სუნი რომ ასდიოდათ... ყველაფერი გასაგები იყო, ყველაფერი წმინდა...

ტერტერამ ჭიპრო თავის სენაკში შეიყვანა, ანუგეშა როგორც შეეძლო, მერე სადილიც შესთავაზა... მაგრამ ჭიპროს არ შეეძლო „შვილის სახსნელად" განკუთვნილი დროიდან თუნდ ერთი წამიც კი სხვა საქმისთვის მოეხმარებინა, ამიტომ უარი თქვა სადილზე.

ჭიპრო ეკლესიიდან გამოვიდა, ხელში მაგრად ჩაებღუჯა ხუთი ოქრო. გამოსვლისთანავე ორთაჭალის ბაღებისკენ ჩაუხვია.

ღამე თენდებოდა. ორთაჭალის დაღლილ „სამოთხეს" ის-ის იყო ჩასძინებოდა... ღამეული ხმები მიმწყდარიყო, საპირფარეშოს კარი თუ გაიჭრიალებდა სადმე ან კანტიკუნტად ძაღლები თუ შეჰყეფდნენ აქა-იქ.

ჭიპროს მუშტი მაგრად მოეკუმა, ბაღებს უსუნსულებდა და ყურადღებით აკვირდებოდა იქაურობის გამოღვიძების რაიმე ნიშანს.

□

# ერნი კრუსტენი

## ბრმა სიყვარული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოთხრობა

თარგმნა ირინე უშვერიძემ

### I

ოგი დილხანს იდგა თავშესაფრის კართან. მოულოდნელად, თითქოს რაღაც გადაწყვიტაო, ჯოხით ბალახში ვიწრო ბილიკს დაუწყო ძებნა; ეს ბილიკი თავშესაფრიდან მოკირწყლულ გზამდე მიდიოდა. შემდეგ გზა ქალაქისაკენ მიემართებოდა და ქარხნის ყაზარმებთან მთავრდებოდა. უსინათლომ ისიც იცოდა, რომ ქალაქში თუ გინდა ჩახვიდე, მარცხნივ უნდა გაუხვიო, მერე გორაკიდან დაეშვა, კარგად მოუგდო ყური მორაკრაკე ნაკადულს და მხოლოდ ამის შემდეგ ფრთხილად გადახვიდე ხიდზე. ქალაქისაკენ მიმავალ გზაზე ხიდი რომ ყველაზე მძიმე დაბრკოლება იყო, ესეც იცოდა გამოცდილებით. პირველად კი არ უხდებოდა ამ გზით სიარული, — მთელი ზაფხული დადიოდა. ახლა უკვე სექტემბერია. იგი მზეს უშვერდა სახეს და ყოველი ჩრდილი, რომელსაც სიგრილე მოჰქონდა, ზამთრის მარტოობის მაუწყებლად ეჩვენებოდა. ამ ბოლო დროს ხშირად ფიქრობდა იმ დღეებზე, როდესაც ქალაქგარეთ მინდვრებზე ნახირის მწყემსვა დამთავრდებოდა. სულ მალე ცივი, გამჭოლი წვიმები დაიწყება და გორაკები ზამთრის მოლოდინში გაყუჩდებიან. ამაზე ფიქრი ტკივილს ჰგვრიდა, გულისმომწყვლელ გრძნობას აღუძრავდა. ახლა ავდრიანი დილა იდგა, მაგრამ გრძნობდა, რომ ეს მზის სითბოსთან მონაცვლე სიგრილე, რომელიც ხან მოთამაშე ჩრდილს მოჰქონდა, ხან კი მოულოდნელ ქარის ქროლვას, მთელი დღის მანძილზე გასტანდა. გუშინაც ასე იყო, ცაზე ბოლქვებად დაცურავდნენ ღრუბლები. ლიიდემ უთხრა: „გეგონება, მთელი ცა თეთრი ცხვრებითაა სავსე". თითქოს მისთვის, ვისაც არასოდეს არაფერი უნახავს, ცხვრები უფრო ადვილი წარმოსადგენი ყოფილიყოს, ვიდრე ღრუბლები. თუმცა ცხვრებისთვის ხელი მაინც შეუვლია.

უსინათლოს ოდნავადაც არ ებარებოდა ეჭვი, რომ ლიიდე კარგი გოგონაა. მერე რა მხიარულია! როგორი სიცილი იცის! ბავშვივით ახარებდა ლიიდეს სიცილის გახსენება. ალბათ ეს ქალაქგარეთ მინდვრები, სადაც ის ნახირს აძოვებს ძალიან ვრცელია, თორემ ასე თავშეუკავებლად ვერ იცინებდა. გაზაფხულზე მღეროდა კიდეც. ყოველთვის, როცა უსინათლო ქალაქში მიდიოდა ან ქალაქიდან ბრუნდებოდა, ეს სიმღერა, ეს ქალწულებრივი ხმა ესმოდა, ნაღვლიანი და გამომწვევი. უსინათლოს სიმღერა მოეწონა და ნაკადულზე სიარულს მოუხშირა, ასე გაიცნეს ერთმანეთი. მომღერალი ჯერ დაემალა, შემდეგ კი გაიქცა, შორეული დიუნებისაკენ გაიტყუა.

მოისმა ნაკადულის ხმაური და უსინათლო, რომლის სახეს გაზაფხულის დღეების მოგონებით გამოწვეული ბედნიერი ღიმილი დასთამაშებდა, შეჩერდა. იგი ახალგაზრდა იყო, ჯერ ორმოცსაც არ შესრულებოდა. ახლა უკვე ხეების ჩრდილში იდგა, ნაკადულის ნაპირზე რომ იზრდებოდნენ და როგორც განთიადისას, არე-მარეს გრძელ ჩრდილებს ჰფენდნენ. — ეტყობა

შეშინდა, მზე რომ ღრუბლებს მიეფარა. წვიმაზე გადაქცევაზე ლაღობდა. ის ვიწრო ბილიკი სად-და, რომლითაც ავაცით შეყვარებულთან მიდიოდა? ფიქრში წარსულს ხედავს მხოლოდ. ბოლოდან ჯართსაცავული ნაბიჯის ხმა შემოესმა. შეჩერდა. ბილიკზე ძნელია გზის დათმობა. ბაზრიდან ქალაქიდან მოდიოდა, ხმა სულ უფრო და უფრო ახლოვდებოდა. მალე ხიდიც შეინძრა. სუნთქვის სწრაფი ნაბიჯით გაიარა და როგორც კონტსაცავებმა გვერდით ჩაუარეს, მწვანე ხეების და მცენარის სუნი იგრძნო, დამშვიდდა. ჩანს, ლაპარაკიც არ უწყვიათ. ჯერ კიდევ ზაფხულის მშვენიერი დღეა იდგა.

მალე უსინათლოს ყურს თითქოსდა მისი მოსაზრების დასადასტურებლად, მერცხლების მხიარული ჭიკჭიკი მოესმა. ფრთოსნები თავს დასტრიალებდნენ. უსინათლომ ფეხქვეშ ნაკადულის ხმაური გაიგონა, მოაჯირს ჩაეჭიდა და აჩქარებით გაიარა ხიდის გზა. შემდეგ ისევ მზეზე აღმოჩნდა, მარჯვნივ შეუხვია და აღმართზე ასვლა დაიწყო ფერდობზე. იქ საძოვარი იწყებოდა, მალე ცხვრების ბღავილსა და ძროხების ფეხის ხმასაც გაიგონებდა.

ლიიდე უკვე აღარ მღეროდა. დიდი ხანია აღარ მღეროდა. წინათ ახლა არ იყო მისი ბოგანი. უსინათლო მხოლოდ იმ მხარეს უნდა წასულიყო, საიდანაც სიმღერის ხმა ისმოდა. ამჯერად ლიიდეს ხმა არ ესმოდა, მაგრამ არ ღელავდა. იცოდა, რომ ლიიდე ელოდებოდა. ალბათ სადმე ქვაზე ზის, ბუჩქის ძირას, უკვე შენიშნა კიდეც მომავალი, ხმას კი არ იწვევს. უკანასკნელ ხანებში ყოველთვის ასე იყო. დაბორიალობდა ხოლმე მთაგულ ფართზე, ყურს უგდებდა, ხელებს წინ იშვერდა და ეძებდა. მან იცოდა, რომ ყოველივე ეს გოგონას ართობდა, ყველაფერი იმით მთავრდებოდა, რომ ლიიდე ბოლოს და ბოლოს თავს სიცილით გასცემდა. თუკი უსინათლო რომელიმე მიმართულებით ძალიან დაცდებოდა, ქალიშვილი მაშინვე მასთან მირბოდა, წინ აღუდგებოდა, მოეფერებოდა, დაამშვიდებდა, ლიიდე ხომ ჯერ ისევ ბავშვი იყო,— ნეტავ რომელსა იყო, თუ არა ახალგაზრდობაში? ხალხურშიც ასე იწყებოდა მათი ყოველი პაემანი, მაგრამ დღეს სულ სხვანაირად დაიწყო.

მოულოდნელად, ვიდრე ნახირს მიუახლოვდებოდა, უკანიდან ვიღაც მიეპარა და მხრებზე ხელები დააწყო.

— უჰ! — მყისვე გაიგონა ლიიდეს ხმა, — გრილი დღეს ბორცვებზე.

— ჩემს შესახვედრად მოხვედი? — გულჩათხრობით წაიდუდუნა უსინათლომ, — უწინ არ მხვდებოდი ხოლმე.

— დაიძინა ჩემმა ნახირმა. შემეშინდა, არ გაგეღვიძებინა.

— აი, თურმე რა ყოფილა! — თქვა გაღიზიანებულმა უსინათლომ, — მაშ ნახირს ვუმადლოდე!

— სულელო! ჩემთვის უკეთესია, ნახირს რომ ძინავს.

ქალიშვილმა კაცს ხელი გაუწოდა და ქარისაგან ზურგშექცევით დაიწყეს ბორცვიდან ჩამოსვლა.

— ეს რა მიჭირავს? — იკითხა უსინათლომ, როდესაც დასხდნენ.

— ტირიფია.

ლიიდემ მუხლებზე დაიდო უსინათლოს თავი და მის ქოჩორს წეწვა დაუწყო. კაცს ხშირი, თითქოს შეწებებული თმა ჰქონდა.

— ეს საუცხოო დღეები მალე დამთავრდება, — თქვა ბოლოს გოგონამ, — როდესაც საქონელს გომურში შერეკავენ, ჩვენ უკვე ვეღარ ვნახავთ ერთმანეთს. გიფიქრია ამაზე?

— იმდენს ვფიქრობ, რომ ხანდახან ძილიც არ მეკარება, — ამოიოხრა უსინათლომ. — ფიქრით კი ვერაფერს უშველი.

— ყველაზე ცუდი ისაა, რომ დედა შემომიჩნდა, — თქვა ლიიდემ.

— რაო, რა მიიღო? — შეშფოთებით ჰკითხა უსინათლომ და თავი უკან გადააგდო.

თითები, ახლა რომ უწეწავდნენ, ახლა ერთბაშად მოძრაობდნენ და უფრო ნაზად ეფერებოდნენ.

— ჩემი ქალიშვილის გათხოვების დროაო, — თითქოს ჩვენ ყურში ჩასჩურჩულა გოგონამ.

— ვისთვის იმზადებდა, — წაიბუტბუტა უსინათლომ, ლიიდეს იდაყვზე სტაცა ხელი და მარწუხივით მოუჭირა.

— რას ამბობ, თუკი მთხოვნელები ჰყავდა.

— მთხოვნელები ბევრია და ყველანი ჩემი სიღარიბის. ქებაში არიან. ნეტა რა მისწონთ, ვერ გამიგია.

უსინათლომ ლიილეს იდაყვს ხელი უშვა:
— მოგბეზრდები შენს თავს, მოგბეზრდები.
— ვერ მომბეზრდები, მიმ-ზიდავს თავს როგორც გავეცნობი, — უპასუხა ლიილემ.
— შენ ახალგაზრდა ხარ, ლიილე ეს, ფიქრობ, მაგრამ ხვალ სხვანაირად ფიქრობ.
— ნუგეში ერთმანეთი შემოდგომით და ზამთარშიც გვქონდა.
უსინათლოს კვლავ დაუბრუნდა იმედი.
— ლოდინავენ რომ წამოვიდოდეთ... — ისევ კითხა.
— მამა არც გყოლია?
— ავადმყოფი იყო, არია...
— წლოვანებით, მაგრამ ძალიან აღარ უნდა მყავდა. დაუფიქრებლად წამოვედი, მოგონებებს მაინც არ მოვცემდი. სამუშაო რომ ვიშოვო სადმე, მაშინ იქნებ, ყოველდღე თუ არ ვიმეცადინებ არაფერს ვუყურებ.
— ნუთუ სულ? — შეკითხა უსინათლო.
— ოჰ, შენ არ იცნობ დედაჩემს, — თითქმის ტირილით უპასუხა ლიილემ. — განა იცნობ ისეთ ქალებს? როცა მარტოა ვიყავი, იმდენს არ მაწუხებდნენ რამდენჯერაც მეძებდნენ. მაგრამ ახლა ცუდად ვეღარ ავიტანე. დაწყევლილი, მესმის ავიც და კარგიც.
ლიილე იქვე იდგა, უსინათლომ მოძებნა მისი ხელი, შემდეგ მხრიდან იდაყვამდე ხელისგულით ჩამოუყვა. მის ამობურცულ მკერდს შეეხო და შეეცადა ქალიშვილი დაეწყნარებინა.
— ჩემო საბრალო, საცოდავო ლიილე!
— რა ვქნა, არა მაქვს ტკბილი ცხოვრება, — განაგრძობდა ლიილე. — დედას ყველა თავისი ცოდვა დაავიწყდა, მე კი ეს გულს მიღრღნის. მამა წესიერი ადამიანი იყო, პატიოსანი იყო, კარგ დღეს მოელოდა.
— ეს ამბავი ჩემთვის არ გითქვამს.
— არა, არ მითქვამს. დედაზე ხომ ვერ დავიწყებ სიმართლეს სხვებთან ადამიანთან.
— ცნობით, სახელიც მოგონება ეს შენი სიყვარული, — დაეძებდა მისი სიტყვებით ნაცნობ ნიშნებს უსინათლო.
— დედაზე გამიგეთ! დედას კი არ გამყვა. მამაჩემმა დედის გამო ნიადაგი ერთბაშად სული. ხუთი წლისა ვიყავი, როცა გარდაიცვალა.
— რას ამბობ, დედის გამო? როგორ მოხდა?
— ნაშალები კარგი ოჯახიდან იყო, — დედას, უღარიბესთა წრიდან გამოსულს, — არც აღზრდა ჰქონდა, არც განათლება. იგი თუმცა ლამაზი იყო, მაგრამ მამაჩემის ნათესავები პატივს არ სცემდნენ, რადგან ქარაფშუტულად იქცეოდა. მან... როგორ ვთქვა... თავის დაჭერა არ იცოდა. მამაჩემი კი მშობლებს საუცხოოდ აღზრდილი ჰყავდათ. დედაჩემმა თავის ზიდეში რომ შეიტყო, როგორც მოესურვებოდა, ისე იქცეოდა. ვაღიარებ და ანგარიშს გავუწევ ქმრის კეთილშობილ ოჯახთან და მამაჩემი სხვას მიაჩვია. ბოლოს მამამ ალერსი დაკარგა, შემდეგ დაავადმყოფდა და ჭლექით გარდაიცვალა. დიდი უბედურება დაგვატყდა თავს.
— შენ მოგიხდა კოდილოვე ანის გადატანა?
— ჰო, — ჩუმად უპასუხა ლიილემ.
— კაცი რომ ვიყო, ნამდვილი კაცი, თვალხილული, — თქვა უსინათლომ, თან ბრაზისაგან თავს ძლივს იკავებდა, — წაგიყვანდი ამ ბუნაგიდან და იმ დედაკაცს ახლოსაც არ გაგაკარებდი — მართლა ლამაზი ხარ?
— ამბობენ...
უსინათლომ მოულოდნელად უკან დაიხია. ხელები ჩამოუშვა, გაეცალა და ყრუდ წარმოსთქვა:
— განა სულ ერთი არ არის ჩემთვის, როგორი ხარ? შენს სილამაზეს მე ვერასოდეს დავინახავ. მთავარია, რომ შენ კარგი გოგონა ხარ, რომ არ დამივიწყებ, როდესაც ზამთარი დადგება.
უცბად ლიილე გაიქცა ისე, რომ მისთვის არ უპასუხნია. მისი ნაბიჯის ხმა სულ უფრო და უფრო შორიდან ისმოდა. შემდეგ ნახირს ჩამორჩენილ ძროხებს დაუწყო ყვირილი. როცა დაბრუნდა, უსინათლოს გამამხნევებლად უთხრა:
— არასოდეს დაგივიწყებ. მხოლოდ მუდამ ვიქაცი იყავი.
— ყველაფერს გავაკეთებ.
— მაინც რას?
— ყველაფერს, რასაც მოისურვებ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სამუშაოზე უნდა მოეწყო, გავიკითხავ, იქნებ სადმე მხერხავი ჭირდებათ. თანახმა ხარ? — ჰკითხა ლიიდემ და აკოცა.

— ღონე საკმარისი მაქვს, — ღიმილით უპასუხა უსინათლომ.

— მეც ასე მგონია. შემდეგ საცხოვრებელსაც მოვძებნი. შენ ხომ დიდი ოთახი არ გჭირდება.

— რა თქმა უნდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამსახურზე საუბრის ჩამოგდებამ უსინათლო გამოაცოცხლა, საქმე ხომ მის ახალ ცხოვრებას ეხებოდა. მოისმოდა ტრამვის ნელი შრიალი. ზურგსუკან, ფერმკრთალი ცის ფონზე დიუნები აღმართულიყვნენ. ხანჩრდა გზა განაგრძო. მოულოდნელად ლიიდე წამოვარდა და ლანძღვა დაიწყო: გორაკის წვერზე ვიღაც კაცი იჯდა და რაღაცას ხატავდა. ნეტავი რამდენ ხანს იჯდა ეს თხუპნია აქ და რას ჯღაბნიდა?

უსინათლომ შიშით მიუგდო ყური: ლიიდეს ნაზი ხმა ახლა მჩხავანა და ისეთი უხეში მოეჩვენა, რომ ვეღარ იცნო.

— რატომ ილანძღები, ლიიდე? — ჰკითხა დაბნეულად, — ასე რატომ გეცვლება ხმა?

— სიბრაზისაგან!

უსინათლო წამოვარდა და ჯოხი შემართა.

— ვინ არის აქ? — იკითხა მუქარით.

ლიიდემ უსინათლოს რომ შეხედა, სიცილი აუტყდა, მაგრამ თავი მალე შეიკავა და გულდინჯად უთხრა:

— წავიდეთ! გორაკზე ვიღაც სულელი ზის და ჯღაბნის.

ლიიდემ უსინათლოს ხელი ჩაავლო და გაიყოლია. მალე სხვა ადგილი იპოვეს და ჭადრის ძირში დასხდნენ. ბუჩქები მათ ქარისა და მზაკვრისაგან იფარავდა. ბრმას კვლავ აწუხებდა ეჭვი: სადღაც იყო ის, — სხვა კაცი, ვისაც ლიიდეს გამოხედვები ეკუთვნოდნენ.

## II

ამ დღიდან უსინათლო მოუთმენლად ელოდა იმ დროს, როცა ლიიდეს ნახვისათვის წასვლა აღარ დასჭირდებოდა. კიდევ ერთი კვირა, კიდევ რამდენიმე დღე და ლიიდე შეუდგება მისთვის სამუშაოს ძებნას. უსინათლოს იმედი ჰქონდა, რომ ზამთარში მხერხავებს სადმე სამუშაო ექნებოდათ, მაგრამ ზაფხულში? რა ბედი ეწევათ, თუ ერთ მშვენიერ დღეს უმუშევარი აღმოჩნდება? — ერთხელ კიდეც გაუმხილა ლიიდეს ეჭვი. — ხომ შეიძლება შიმშილობა მოუწიოთ, — მაგრამ ლიიდემ მხოლოდ გაიცინა და ყოველგვარი შიში გაუფანტა. იგი რეცხვას დაიწყებს, ბატონებს საყელოებსა და სამაჯურებს გაუხამებს, ბაზარში შეუძლია ივაჭროს და ასე, როგორმე იცხოვრებენ. ამასობაში, როდესაც საქონელი ვიტრინაში შერჩებათ, ლიიდემ შეძლო სადღაც სარდაფში ოთახი ექირავებინა. ამით გადაწყდა უსინათლოს თავშესაფრიდან წამოსვლის საკითხი. ლიიდეს არ დასჭირვებია მისი ძებნა, — წინასწარ მოილაპარაკეს, რომ ხიდზე დაელოდებოდა.

ნისლიანი დღე იყო, წვიმდა. ქარი ქროდა. ფეხქვეშ ტალახი ტლაშუნობდა და ყოველი მხრიდან წყლის თავშეკავებული ხმაური ისმოდა. ლიიდე დუმდა. სწრაფად მიდიოდნენ. დაბნელებამდე მიაღწიეს ქალაქის რომელიღაც გარეუბანში. გოგონას მოუსვენრობა დაეტყო. უსინათლოს ხან წინ გაუსწრებდა, ხან უკან ჩამორჩებოდა, ხან კიდევ ექაჩებოდა. მერე, სიბნელით გადაჭრეს ეზო და კოკისპირულ წვიმაში, როგორც იქნა თავშესაფარს მიატანეს.

უსინათლომ დაითვალა, ისინი ხუთი კიბით დაბლა ჩავიდნენ, შემდეგ კიდევ ათი ნაბიჯი გაიარეს და ლიიდემ კარი გააღო. ოთახში ნესტიანი ჰაერი იდგა, როგორც სარდაფში, ერთადერთი ფანჯარა ეზოში გადიოდა. თუმცა ამ ფანჯრის საშუალებით ახალი ბინადარი სულ ერთია, ვერ დატკბებოდა. ვიდრე ლიიდეს ოთახი წესრიგში მოჰყავდა, უსინათლო ხელებგაწვდილი მიდიოდა ერთი კედლიდან მეორე კედლამდე. შემდეგ ლიიდემ დუქნიდან სანოვაგე მოიტანა და ჩაი ადუღა. ამ საღამოს ისინი პირველად საუზმობდნენ ერთად. მათ ბედნიერებას არ ენაღვლებოდა უცებ სარდაფში რომ აღმოჩნდნენ.

ბედნიერებას ხომ შეუძლია ყველაზე ვიწრო კუნჭულში მოთავსდეს. ადამიანის არსებაში ყოველთვის იდუმალად იმალება ბედნიერება და ელის, როდის მიაგნებენ. უსინათლო თავისი

ბედნიერების საწინდრად ჯანმრთელობას თვლიდა. იგი ჯერ ახალგაზრდა იყო, ძალ-ღონით დათვს არ ჩამოუვარდებოდა, მისთვის ეს არაერთხელ უთქვამთ. ლიიდემაც იგივე უთხრა, რამაც სიამაყით აავსო.

ლიიდემ უსინათლო ჯერ კიდევ განთიადისას მიიყვანა პურის საცხობის ეზოში, სადაც უწესრიგოდ ეყარა დასახერხი შეშის მორები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ რამდენიმე დღის სამუშაო იყო. საღამოს ლიიდემ უსინათლო შინ წაიყვანა, სადაც გემრიელი კერძი ელოდა. ერთად ივახშმეს, ორიოდე საათი ისაუბრეს, შემდეგ ლიიდე წავიდა. ღამე ვერ დავიძინებ, ლიიდე თვალს არ მაშორებსო, და თავისი ტკბილი ცხოვრება ისე დაუხატა, რომ უსინათლოს ცხადად წარმოუდგა ის მშვენიერი სურათი. მაგრამ რა შეეძლო? მისი თანაგრძნობა უმწეო იყო! ეს კი უფრო დამძიმებს ხდიდა და აიძულებდა ყველაფერში, სულ უმნიშვნელო წვრილმანშიც კი ლიიდეს დამორჩილებოდა.

იგი არასოდეს წუწუნებდა, არასოდეს ეკითხებოდა რატომ უნდა მოქცეულიყო ასე და არა სხვანაირად. ლიიდემ ურჩია არ ჩარეულიყო არავითარ საუბარში და თუ ვინმე შეუწუხებდა შეკითხვებით, პირქუში და მიუდგომელი დარჩენილიყო.

მაგრამ დადგა დრო, როდესაც დასახერხი გაუთავდათ. ყველაზე უარესი კი ის იყო, რომ სწორედ იმ დღეებში ქრა ლიიდე. უსინათლო შინ მარტო იჯდა, კარი ჩარაზული ჰქონდა და თავგვავით გატრუნული უსმენდა ყურს ღერეფანში ნაბიჯის ხმას. საკვირველია, არასდროს დაფიქრებულა იმაზე, რატომ ურჩია ლიიდემ არავის დალაპარაკებოდა.

ლიიდე მხოლოდ კვირას მოვიდა და უთხრა, თეთრეულის გასარეცხად უნდა წასულიყო. უსინათლო ჩუმად უსმენდა. შემდეგ ლიიდეს ხელს შეეხო და მოულოდნელად მიახალა:

— შენ ღვინის სუნი ასდის.

ხმაჩახლეჩილი ლიიდე უხსნიდა:

— დედაბერმა იცოდა, რომ მე ვიღაც გავიცანი და დღეს გამოტეხვა სცადა, მანამდე ასმევა, ვიდრე არ დამათრო, მაგრამ ვერ მიჯობნა!

და უხეშად გადაიხარხარა.

— რატომ მთვრალხარ? — ჰკითხა უსინათლომ.

— ო, შენ არ იცი! — უპასუხა ლიიდემ. — შენ ლუდიანებს არ იცნობ... ხომ გიამბე მამაჩემზე როგორ მოიქცა..

ლიიდეს კანიდან ცრემლი წასკდა, შემდეგ თითქოსდა ტკბილი ხმით ჩაიცინა, თქვა:

— რატომ ხარ ასე გულჩათხრობილი? დღეს ხომ კვირაა, უამრავი ხალხი დადის-მოდის ქუჩაში.

— მით უარესი ჩემთვის!

— სულელო! — თქვა ლიიდემ და ისევ უცნაურად გაიცინა.

— რატომ მეძახი სულელს?

— შენ მხოლოდ ის მოგეთხოვება, რომ დაჯდე სადმე კუთხეში და მუხლებზე ქუდი დაიდო.

— ვიმათხოვრო? — ჰკითხა უსინათლომ.

— აბა, რა უნდა ჰქნა? — ცივად უპასუხა ლიიდემ. — შენ უკეთ უნდა იცოდე შიმშილით მოკვდეს კაცი თუ არა.

იგი ასეთი არასოდეს ყოფილა.

— კი მაგრამ... რომ დამიჭირონ?

— იქვე ვიქნები, თვალყურს გადევნებ.

ქალიშვილი უსინათლოს მიეკრა მკერდზე და კარგად იგრძნო, როგორ უთრთოდა მხრები.

— იმის გაფიქრებისაც კი მეშინია, — განაგრძო ლიიდემ, — რა დამემართება თუ ჩვენ გაგვყრიან, დაგვაშორებენ ერთმანეთს. ღედა ნიშანს მომიცემს, ვები თვალებს ამომკაწრავენ. ისედაც შურთ, მართლა ლამაზი რომ ვარ.

— მართლა ძალიან ლამაზი ხარ? — გულუბრყვილოდ ჰკითხა უსინათლომ. — მისმა ძლიერმა ხელებმა ჯერ ქალის სახეს გადაუარეს, შემდეგ თმებამდე მიაღწიეს და გაირინდნენ.

— ხშირი თმები მაქვს, არა? — შეეკითხა ლიიდე.

— ჰო, რა ფერისაა, ქერა?

— ოქროსფერი.

მოულოდნელად უსინათლომ ლიიდეს ხელი თავის ხელისგულში მოიქცია და წაილუღლუღა:

— რას იზამ, შეიძლება მოსინჯვა... როგორ ფიქრობ?

— რა თქმა უნდა! მე გიდარაჯებ, — უპასუხა ლიიდემ და გამამხნევებელი სიცილით დაუმატა: — ეჰ, შე სულელო!

როდესაც ოთახიდან გამოვიდნენ, შებინდებული იყო.

სველი თოვლი მოდიოდა. ლიიდეს უსინათლოსათვის ხელი ჩაევლო და ტროტუარზე სწრაფად მიაბიჯებდნენ, უსინათლო ფეხებს ისე მიაბაკუნებდა, ... დათ. რაც უფრო უახლოვდებოდნენ ქალაქის ცენტრს, უსინათლოს მღელვარება იმატებდა. უსინათლო და მისი მეგზური მთავარ ქუჩამდე მივიდნენ. ქუჩის ორივე მხარეს სავაჭრო ქარვასლა იყო, სადაც უამრავი ხალხი მიდი-მოდიოდა.

— უნდა ვიმღერო კიდევ? — შეეკითხა უსინათლო, როდესაც მეორე მხარეზე გადავიდნენ.

— მერე... — უპასუხა ლიიდემ. — როცა რაიმე სულელურ სიმღერას შეისწავლი.

ქარვასლის ახლოს, ბოძკინტის გვერდით, კუთხეში გაჩერდნენ, სადაც კინოაფიშები იყო გამოკრული. კაშკაშა ფერებზე სველი ფანტელები ცვიოდნენ. ლიიდემ უსინათლოს ქუდი მოხადა, უბრალოდ გამშვერილ ხელში დაუჭირა და სასწრაფოდ გაეცალა.

უსინათლოს ყოველივე სულ სხვანაირად წარმოედგინა: ეგონა, სადმე ჩამოვჯდები და ადამიანებს თავს სიმღერით შევაცოდებო. ის კი იდგა ბოძივით, თვალდახუჭული მღეროდა და ელოდა, როდის ჩაუგდებდნენ ქუდში მონეტას, მაგრამ ცდა ლოდინს ... აქაც მოტყუვდა ანგარიშში. ხალხი ჯგუფ-ჯგუფად მიდი-მოდიოდა, მაგრამ მის ქუდში არაფერი ცვიოდა. მას არ ილოდნენ, სად ეჩქარებოდათ. ლიიდესაც არაფერი უთქვამს. მოულოდნელად სარდაფის სუნი შეიგრძნო, მას რომ ასდიოდა. ერთ წამში სუნი გაქრა, თუმცა კი მოიხსნა თავისი საქმის გაკეთებით უსინათლო გამხნევდა და გასამართლებელი საბუთიც უპოვა თავის მათხოვრობას. იგი სულ უფრო ხშირად სწყევლა თავის: „შეხედეთ, ხალხო, უსინათლო ვარ, ბრმა, — აქ რატომ ვდგავარ აქ და მოწყალებას ვთხოულობ, თქვენთვის ალბათ ხაცხობია ეს შმორის სუნი", უსინათლოს ამშვიდებდა შეგნება, რომ ის საცოდავი იყო.

ვიღაცამ ქუდში ფული ჩაუგდო, მაგრამ კეთილისმყოფელი წასვლას არ აპირებდა. უსინათლომ ეს გუმანით იგრძნო და თავი დაუქნია. ის ვიღაცა კი დაჟინებით უცქეროდა, უსინათლოც მადლიერების ნიშნად თავს სულ დაბლა და დაბლა ხრიდა.

— დიდი მადლობა, — უთხრა მან ბოლოს.

მოულოდნელად ხელები აუკანკალდა: მის წინ ლიიდე იდგა.

— არა გცივა? — ჰკითხა.

— ოჰ, არაფერია, — თავშეკავებით უპასუხა უსინათლომ.

ლიიდე ისევ წავიდა. მაგრამ უსინათლო გრძნობდა, რომ იგი სადღაც მახლობლად იყო, არ ღელავდა. მაინც ძალიან გაუხარდა: ფული ხომ ქუდში ლიიდემ ჩაუგდო. ნეტავ რა მიზნით? იმის იქნება ხომ არ შეშინდა, რომ გულმოწყალება გადაშენდებოდა? უსინათლო ყელში მობჯენილი მღელვარებისაგან ენას ინაცვლებდა და თან ახველებდა, უცნაურად ბედნიერი ფიქრები შემოაწვა. გრძნობდა, როგორ ეყინებოდა ფეხები. საკმაო დრო გავიდა, ვიდრე ვიღაცამ ისევ არ ჩაუგდო ქუდში რამდენიმე წვრილი ფული და ისე, რომ არც კი შეჩერებულა, გზა განაგრძო.

ამ კეთილ საქმეს უკან მოჰყვა ხალისიანი ახალგაზრდების ჯგუფი, შემდეგ ვიღაც მარტოხელა გამვლელი თითქმის უსინათლოს ცხვირწინ შეჩერდა და უთხრა:

— აა, თურმე სად ყოფილხარ, საცოდავო! მათხოვრობ? — უცნობმა პასუხად მარტო ჩახველება რომ გაიგონა, განაგრძო:

— უკვე რამდენჯერმე დაგინახე, ნუშამბლი, არ მინდოდა შემოგჩენოდი, თანაც სიტყვაძუნწი ხარ. შენ რა, ლაპარაკი აგიკრძალეს?

— ვინ ხართ? — შეეკითხა მათხოვარი.

— ოჰ, მე მოხუცი ვარ, ბევრად შენზე უფროსი, თითქმის შენი ტურფის ხნისა.

— არ მესმის, რაზე ლაპარაკობთ?

— აბა რა არ გესმის! იგი ხომ აქვეა, გვერდით, რომელიღაც ბარში შევიდა ყელის გასასველებლად. შენ კი, მათხოვრობას განაგრძობ.

— იგი ახალგაზრდაა...

— მე კარისკაცი ვარ, — ხმადაბლა თქვა უცნობმა, — ეს ლოთი კი, ჩემი ძმის ცოლი იყო. ისეთი კარგი ადამიანი იყო... ამ გარყვნილმა სიბერემდე მიაღწია და მაინც არ იშლის სისულელეებს. ალბათ თავშესაფრიდან გამოგიტყუა.

— იგი ჩემზე ახალგაზრდაა და კარგი გოგონაა. თან სულაც არაა გარყვნილი.

— მე ხომ თვალისჩინი არ მაკლია, დამიჯერებ, — უპასუხა უცნობმა უკმაყოფილოდ. — კეტით ფულს მიაგროვებს კალამ და მაშინ წოვა მჭირდება. როცა ჩემი ცოლი გარდაიცვალა, მას ძალიან გაუჭირდა. მოვიდა ჩუმად და მითხრა: ბავშვებს პური არა აქვთო. მივეცი ფული. და ეგრე იყიდებს. პირველივე ღვინის დუქანში შეუხვია. მაგრამ ... ფანჯარასთან გამოვგლიჯე ფული ხელიდან. ვერ მიტაცა. გგონია შენ უკეთ მოეპყრობი?

უსინათლომ ჩაახველა.

— იცი, რის გეტყვი? — განაგრძობდა უცნობი, — მოიცილე ამ მატყუარას და დაბრუნდი თავშესაფარში, ვიდრე პოლიცია არ შეგნიშნავს, თორემ თვითონ დავუძახებ პოლიციას, იცოდე დაგიჭერენ, თუ ჭკუას არ ისწავლი.

— კი მაგრამ, თქვენ რა გესაქმებათ?

— თქვენს საქმეში არ ჩავერეოდი, მაგრამ შენ ბავშვები ჰყავს, თითქმის მოზრდილი გოგონები. მათზე ვწუხვარ.

— რაღაც არა მჯერა...

— გგონია გატყუებ? მთელი ჩემი სიცოცხლე კარისკაცად გავატარე, რაღაცა არა გჯერა...

— რაც მოისმინე...

— ჯერ, ცხელი დასაჯერებელია, მან ხომ მთელი გულით ტყუილები გითხრა. მაგრამ ვნახოთ, როგორ ამღერდები, როდესაც შენთვის ხილული გახდება, რომ გატყუებს. აი, შეხედე, მე ქუჩაში არ ხანგრძლივობით მოვიკითხავ გოგოებს, როდესაც ბევრი ფულის დათვლას დაიწყებს, ყოველდღიურად იყავი და ეცადე გამოიცნო.

— დიდი მადლობა! დიდი მადლობა! — თავის ქნევით უპასუხა უსინათლომ.

უსინათლო დაფიქრდა: „ვის დავუჯერო? — ეჭვობდა იგი, — იქნებ უცნობი ტყუის. თორემ ლიიდე ... ამბობს? ან იქნებ პირიქით?" მაგრამ ერთ რამეში ისინი ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებოდნენ: ორივენი საზიზღარ ახალგაზრდობაზე ლაპარაკობდნენ, რომელიც ლოთმა ცოლმა დალუპა. მაგრამ ლიიდე თავს იმ ლოთის ქალიშვილად ასაღებდა, ხოლო უცნობი უმტკიცებდა, რომ ეს ქალი თვითონ არისო. ღმერთო, დღესაც ხომ უფრო სუსტად იყო აჭრელებული. ვითომ ლიდამ ძალით დაალევინა? მაგრამ ხომ შეიძლება ეგეც ტყუილი აღმოჩნდეს? — უსინათლოს აგონდებოდა სულ ახალ-ახალი წვრილმანები, მოეჩვენა, რომ ცდილობენ წინანდელ სურათს.

და ხან შეიცვლა მეთხოვრობის, შეაგროვა ფული, ჯიბეში ჩაიდო, დაიხურა ქუდი, ხელები სახელოებში შეინაცვლა და კედელს მიეყრდნო. ძალე ლიიდეც გამოჩნდა:

— რა დაგემართა? აქეთ ხარ?

უსინათლომ არ უპასუხა.

— შენ რა, დამუნჯდი კიდეც? — ჩუმად შეეკითხა ლიიდე.

— მცივა, — უპასუხა უსინათლომ, რომელსაც სახე მკვდარივით გაფითრებოდა და ტუჩები უცახცახებდა.

— სხვა ადგილზე წავიდეთ, აქ ვერ გამიჩნდები, — უთხრა ლიიდემ.

— რომელ ადგილზე? არა, არ წავალ!

— სულელო! დღეს ხომ კვირაა!

— მერე რა, იყოს..

— წამოდი, სამლოცველოს ჭიშკართან დავდგეთ, — იქნებ იქ მაინც შეგხვდეს კეთილი ადამიანები.

— ისინი აქაც შემხვდნენ.

— მაშ, ფული რა უყავი?

— ჯიბეში ჩავიდე.

— მომეცი, დავითვალოთ.

ლიიდემ ფული გამოართვა და უფრო წყნარი ადგილის მოსაძებნად გაემართნენ, რომ დაეთვალათ. ძალე ბრბოს თავი დააღწიეს, მცირე მანძილი კიდევ გაიარეს, ვიდრე ლიიდე გაჩერდებოდა და იტყოდა:

— აი, სამლოცველოც, ამ ჭიშკართან ვცადოთ ბედი.

— რამდენი იყო ფული? — შეეკითხა უსინათლო, რომელსაც მღელვარებისაგან სუნთქვა შეეკვროდა.

— ცოტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაინც რამდენი? — დაჟინებით ჰკითხა უსინათლომ.

— თორმეტი ცენტი.

— მთლიანად?

— და ორი რკინის ღილი, თუ გინდა იცოდე. ისინი ნუ ჩაგყავს ქუდში, სტუმრებისთვის მა-გალითად რომ მიმეცა.

— იქ უფრო მეტი უნდა იყოს! — დაიყვირა უსინათლომ.

— რამში მჭირდება შენი კაპიკები, შე თვალდავსილო, შენა! — გაიცინა ლიიდემ.

უსინათლო ადგილზე გაქვავდა, თითქოს სახეში გაარტყესო.

— მატყუარა! — თქვა მან და სიბრაზით აიქნია ჯოხი, შემდეგ დაუმატა, — ახლა კი მჯე-რა, რომ მართლა ბებრუხანა ყოფილხარ.

— ვინ გითხრა? — წყნეთხა ლიიდემ და შეწუხებულმა უცებ დაიხია.

— კარისკაცმა მითხრა, მეც მივხვდი.

ქალმა დაცინვით გადაიხარხარა და გაიქცა.

— ლიიდე! ლიიდე!

ასე უხმობდა იგი იმას, ვინც მის წარმოსახვაში ახალგაზრდა და ოქროსფეროთმიანი იყო. ამ დროს უსინათლოს ვიღაც კაცი მიუახლოვდა და ხელი გამოსდო.

— რატომ ყვირი? — ჰკითხა კარისკაცმა, — სამლოცველოში გაიქცა, წმინდა თავშესაფარში.

უსინათლომ ხელები წინ გაიშვირა, თითქოს სიცარიელეში რაღაცას ეძებსო და თავდაჯერ-ებულმა თქვა:

— მაგრამ მე ხომ მიყვარდა იგი!

— არა, შენ ის არ გიყვარდა! — უპასუხა კარისკაცმა, შემდეგ ჩიბუხი ამოიღო და ჩაფიქრებულმა დასძინა: — სიყვარულის დროს ყველასთვის ახლა საჭიროება თვალი აუცი-ლებს და დაინახავს, რომ ყველაფერი სიცრუეა.

□

# მიურიელ სპარკი

## მოთხრობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

მიურიელ სპარკი ცნობილი ინგლისელი მწერალი ქალია. ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო როგორც პოეტმა და კრიტიკოსმა. ამჟამად ბევრი მოთხრობისა და რომანის ავტორია, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია „რობინზონი", „მემენტო მორი", „ორანჟერეა ისტ რივერის პირას". ბოლო წლებში მ. სპარკი დრამატურგიით დაინტერესდა, დაწერა რამოდენიმე პიესა, სცენარები ტელევიზიისათვის. თავის საუკეთესო ნაწარმოებებში მიურიელ სპარკი ყურადღებას იქცევს ბურჟუაზიული მორალის დახვეწილი კრიტიკით, მკვეთრი სატირული ხერხებით ხატავს თანამედროვე ინგლისის საზოგადოების ცხოვრების ცალკეულ მხარეებს.

### ოჯახის წევრი

ინგლისურიდან თარგმნა ზურაბ გემაზაშვილმა

უნდა გეეწვიო და დედაჩემი გაიცნო, — უთხრა უცებ რიჩარდმა.

ნოემბრის მოღრუბლული დღე იდგა.

ტრუდი ამ მიპატიჟებას დიდი ხანია მოუთმენლად ელოდა, მაგრამ მაინც გაუკვირდა.

— დედაჩემს მინდა შეხვდე, — განაგრძო რიჩარდმა. — იმასაც ვუთხარი...

— ო, მაშ უკვე შორიდან მიცნობს?

— გიცნობს, — ჩამარცვლა რიჩარდმა.

— ოჰო!

— შენ მაგაზე არ იღელვო. ძალიან კეთილი ქალია.

— რა თქმა უნდა, კარგი ქალი იქნება. მე მინდოდა...

— კვირას ჩაიზე გეპატიჟებით, — გააწყვეტინა რიჩარდმა.

* *

ისინი შარშან ზაფხულს, ივნისის თვეში, სამხრეთ ავსტრიის პატარა, ტბისპირა ქალაქში შეხვდნენ ერთმანეთს. ტრუდი და მისი მეზობელი, ,ახალგაზრდა ქალი იქ დასასვენებლად ჩავიდნენ. იმ ქალს კენსინგტონში, სწორედ

ტრუდის ოთახის ქვემოთ, ერთი პაწაწკინტელა ოთახი ჰქონდა დაქირავებული. ის იყო მისი საძილეცა და სეფე-დარბაზიც. დედაენის გარდა იგი გერმანულადაც ლაპარაკობდა, ტრუდიმ კი არ იცოდა გერმანული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლაილაჰი შედარებით შეღავათიანი აგარაკიაო, — ასე ამბობდნენ გვენი და ტრუდი. სინამდვილეში კი აშკარად იაფფასიანი აგარაკი გახლდათ.

— მე მეგონა, აქ საერთოდ არ იწვიმებდა, — უთხრა ტრუდიმ გვენს მესამე დღეს. — ისეთი ჟუჟუნა წვიმა მოდის, პირდაპირ ყელში გვგონება თავი.

იგი სარკმელთან იდგა და ნესლებზე თვალით გასცქეროდა უშილაყ მთებს, რომელნიც ხშირი წვიმის ფარდის მიღმა ნისლში გახვეულიყვნენ.

— ეგ უკვე მითხარი გუშინ, — უპასუხა გვენმა. — სწორედ გუშინა ბრძანე, რომ აქაურობა ყელს წააგავსო.

— კი მაგრამ, გუშინ ასე არა წვიმდა.

— მართალი ხარ. გუშინ მზიანი დარი იდგა, როცა თქვი ყელს მაგონებსო.

— დიახაც, რომ მგავს.

— როგორ არა მგავს! ოღონდ აქაურობა უფრო დიდებული სანახავია.

— რას ვფიქრობდი, თუ ასეთი ნესტიანი ადგილი იქნებოდა.

ამის თქმა იყო და ტრუდიმ მაშინვე ყური მოკრა, გვენმა თვლა დაიწყო, ეს იმის ნიშანი იყო, რომ ცდილობდა მოთმინებიდან არ გამოსულიყო.

— რაც არის, აი, ეს არის! ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა გაგეტარებინა სადმე ეს ზაფხული! — გამოსცრა გვენმა. — რას იზამ, ასეთი ძალად-მაცხონე ვინმე ვარ და რაკი წელს ჩემი ხათრით წამოხვედი, შენი ბედიც ეგა ყოფილა!

ახლა უმჯობესია ხმა გავაკმინდოთ, გაიფიქრა ტრუდიმ, მაგრამ ენამ უსწრო და მისდა უნებურად წამოსცდა:

— იქნებ უფრო ხეირიან კურორტზე წავსულიყავით?

გინდა ეს ეთქვა და გინდაც ყულფში გაეყო თავი, მაგრამ ცხვირში ამოკვრა უკვე გვიან იყო.

— ძვირფას აგარაკებზეც წვიმს, — გაკაპასდა გვენი. — ან ასე, ან ოდნავ სხვანაირად და ერთნაირად ესხურება მთასაც და ბარსაც.

გვენი მასწავლებელი იყო. სადად დავარცხნილი თმა, უბრალო ჩაცმულობა და ბაგეზე მკრთალად წაცხებული პომადა იმას მოწმობდა, რომ ოცდათხუთმეტი წლის გვენს გათხოვების ყოველგვარი იმედი წარხოცოდა. ტრუდი ამას რატომღაც ახლაღა მიხვდა ანაზდად, როცა ფანჯარასთან მდგომ გვენს შეხედა. იგი ხედვააკრულივით მიშტერებოდა წვიმას.

— ერთნაირად ესხურება ავსა თუ კარგს, სამართლიანსა თუ უსამართლოს, — დააბოლოვა გვენმა და ისე შეხედა თავისი წყნარი, ძარღვებზე მომშლელი თვალებით ტრუდის, თითქოს ეუბნებოდა, ეს შენა ხარ ჭიუტი და უმართებულო, თორემ მე დამთმობი და გულმართალი ვარო.

მეორე დღეს გამოიდარა, მშვენიერი, მზიანი ამინდი დადგა. მათ მოლივლივე ტბაში იცურავეს. მერე პანსიონატის ტერასაზე, წითელ-ყვითლად აჭრელებულ ტენტის ქვეშ დასხდნენ და ვაშლის წვენს შეექცნენ. თან წვიმისაგან ჩამობანილ, მზის სხივებით გაბრწყინებულ მთის ცქერით სტკბებოდნენ. სადილამდე ერთხელ კიდევ ჩაუსეირნეს ტბისპირს. გვენს მუქლურჯი შორტები ეც-

ეა, ტრუდის კი ურიალა სარაფანი. აქვე დასეირნობდნენ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული მზემოკიდებული ყმაწვილკაცები და ქალიშვილები, რომლებიც კემპინგებში ცხოვრობდნენ. ჩითის კაბებში გამოკვართული, ჩასუქებული გერმანელი დედიკოები და ლამაზიანი მამიკოები, რომელთაც კუდში დაჰყვებოდნენ მათი ცივსისხლიანი ნაშიერნი. აქვე ბრძანდებოდნენ თმაშეღებილი ინგლისელი ქალები...

— კაცები არა ჩანან, — თქვა ტრუდიმ.

— კაცების მეტი რაა? — ისეთი ხმით განაცხადა გვენმა, თითქოს ეუბნებოდა, თქვი, ნამდვილად რისი თქმაცა გსურსო.

— „ულექსიკონოდ ვერ გადავრჩებიო", — გუნება წაუხდა და თავისთვის გაიფიქრა ტრუდიმ, ვინაიდან გრძნობდა გვენის თარჯიმნობას ამ გზით თუ დაამწევდა თავს.

— კი, ლექსიკონით უფრო შეგიძლია ვინმე მონახოო, — გულთმისანივით მაშინვე თქვა გვენმა.

წლების წყალობით ერთ ოთახში გამოკეტვამ და დიდხანს ახლო ყოფნამ გვენი გულთამხილავი გახადა, სულ იოლად ხვდებოდა ტრუდის ნაფიქრალს.

— მე აქ ვინმეს გამოსაჭერად არ ჩამოვსულვარ, დასვენება მინდა. სულაც არ ვაპირებ... შენ რაღაც მარზე ხარ...

— ღმერთო ჩემო, რიჩარდ! — გააწყვეტინა გვენმა. ტრუდიმ მიხედვაც ვერ მოასწრო, რომ გვენი უკვე [illegible] ელაპარაკებოდა ვიღაც ახალგაზრდა კაცს. მას ეტყობოდა მარტო ჩამოსულიყო, რადგან არც ცოლი ახლდა, არც დაიკო და არც მამიდა...

მან ლოყაზე აკოცა გვენს. ორივეს გაეცინა.

— აი შეხვედრაც ამას ჰქვია, — თქვა კაცმა. იგი ოდნავ მაღალი ჩანდა გვენზე. შავი ხუჭუჭა თმა და ბაცი წაბლისფერი, პატარა ულვაში ჰქონდა. მოკლე, საცურაო ტრუსები ეცვა. განიერ მკერდზე მზე ბრინჯაოსფრად მოკიდებოდა.

— აქ რამ ჩამოგიყვანა? — ჰკითხა მან გვენს და ტრუდის შეავლო თვალი.

რიჩარდი ტბის გაღმა ოტელში გაჩერებულიყო. ამ შეხვედრის შემდეგ, მთელი ორი კვირა, ყოველ ცისმარე დღე გამოდიოდა ნავით გვენისა და ტრუდის სანახავად. ხანდახან მთელი დღით გაუგრძელდებოდა ხოლმე სტუმრობა. ტრუდი პირდაპირ მოხიბლა ამ კაცმა. თუმცა არ ეჯერა, რომ გვენი, რომელიც რიჩარდთან ერთად ერთ სკოლაში მუშაობდა მასწავლებლად, მხოლოდ უმწიკვლო მეგობრობის გრძნობით იყო მისადმი განსჭვალული. ისინი მხოლოდ ამ მიზეზით არა ხვდებოდნენ ერთმანეთს. ყოველ შეხვედრაზე რიჩარდი აუცილებლად კოცნიდა გვენს ლოყაზე.

— გეტყობა, ძალიან ახლოსა ხარ მასთან, — უთხრა ერთხელ ტრუდიმ.

— რიჩარდი ჩემი ძველი მეგობარია. დიდი ხანია ვიცნობ, — ცივად მოუჭრა გვენმა.

შემდეგ კვირას გვენმა რატომღაც მარტოდ-მარტომ დაიწყო ექსკურსიებზე სიარული. ტრუდის და რიჩარდს ერთად ტოვებდა.

— აქაურობის იდუმალ სილამაზეს უნდა გრძნობდეს კაცი, მისი ყადრი უნდა იცოდეს, რომ სწორედ ამ აგარაკზე ირჩიოს დასვენება, — უთხრა ერ-

თხელ რიჩარდმა ტრუდის და ჩამოუთვალა, თუ რა ხიბლავდა აქ თვალსა და გულს. ტრუდიმ ბოლოს და ბოლოს იგრძნო ქარ-წვიმისაგან აჭრელებული პასტელით მოხატული პატარა სახლებისა, ყვავილებში ჩაფლული, ყოველთვის უმაქნისი აივნებისა და ხახვის თავებივით მრგვალი კოშკურების იდუმალი მშვენება. იგი ყველაფერს ამ კაცის თვალით უცქეროდა, ადრე თუ დასანახავად [illegible]და. ახლა უკვე გულს აღარ უწრუწუნებდა ნაცრისფერ ქვედა კაბასა და მუქმასნილ ბლუზებში გამოწყობილი ქალები, რომლებიც დაბანილ-დავარცხნილ შვილებთან ერთად [illegible] მიუყვებოდნენ თავის ქმრებს გვერდით.

— ესენი ყველანი ტიროლელები არიან? — ჰკითხა ერთხელ ტრუდიმ.

— არა, ზოგი გერმანიიდანაა, ზოგიც საფრანგეთიდან. ერთი კია, ეს ადგილი სულ ერთიანად ყოფილა ხალხის [illegible].

რიჩარდმა მცოდნე კაცის თვალით გახედა ტბისპირა კაფეებში დაბანაკებულ, აღფრთოვანებულ ახალგაზრდობას. სიცოცხლით სავსე, გრძელფეხა ქალიშვილები ჭრელ-ჭრული საბანაო კოსტუმებში იყვნენ გამოწყობილნი. ისინი და[illegible] თხებივით დახტოდნენ, თუმცა მაინც ედოთ მიჩქმალული სათნოებისა და უბიწოების იერი.

— ნეტავი რაზე საუბრობენ? — ჰკითხა ტრუდიმ რიჩარდს, როცა ერთმა ჯგუფმა სიცილ-კისკისით გვერდით ჩაიარა. წითლად აღაპლაპებულ ტუჩებიდან ჩაწიკწიკებული ქათქათა კბილები მოუჩანდათ.

— ვისი სპორტული მანქანა უფრო სწრაფია.

— ოჰო, სპორტული მანქანებიცა აქვთ?

— არა, მაგრამ ოცნებობენ. ხან ფილმში გადაღებაზე დადებულ ხელშეკრულებაზეც ჩამოაგდებენ სიტყვას... არც ეს არის ნამდვილი ამბავი, მაგრამ ენას იქავებენ, ეგ იციანბით.

— ძალიან ხუმარა ხალხი ყოფილა, — დაცინვით ჩაილაპარაკა ტრუდიმ.

— ეგენი სხვადასხვა ეროვნების ხალხია, როცა ერთი ხუმრობს, უნდა რომ ყველა მიუხვდეს რასაც ამბობს. იუმორი ძნელი გასაგებია. ამიტომ ოხუნჯობენ იმ არარსებულ სპორტულ მანქანებზე.

ტრუდიმ ჩუმად ჩაიქირქილა.

რიჩარდმა მერე ისიც უთხრა, რომ ოცდათხუთმეტი წლის იყო. ტრუდის ეს ასაკი სარწმუნოდ ეჩვენა. რიჩარდს არ უკითხავს, მაგრამ ტრუდიმ მოატყუა, ჯერ ოცდაორისაც არა ვარო. რიჩარდმა ცერად შეხედა, თვალი აარიდა, მერე ისევ შეავლო თვალი და ხელი ხელზე მოკიდა. ცოტა ხნის შემდეგ კი რიჩარდმა გვენს გაანდო, რომ ეს გულახდილობა, თითქმის სიყვარულის ახსნას უდრიდა.

მათი ნამდვილი დაახლოება კი ნავში თამაშიდან დაიწყო. ისინი ფეხშიშველნი ისხდნენ და ტერფებს ერთმანეთს უცაცუნებდნენ. ტრუდი სიამისაგან კიოდა, უკან გადახრილი მთელი ძალით აწვებოდა რიჩარდის ფეხისგულებს.

საღამოთი ფრთებშესხმულმა ტრუდიმ სხაპასხუპით ჩაუკაკლა გვენს ყველაფერი.

— აუწერელი, ზღაპრული დრო გავატარე რიჩარდთან ერთად! მე ჩემზე უფროსი კაცები უფრო მომწონს.

გვენი თავის საწოლზე ჩამოჯდა და ვითომდა გაოცებული თვალებით შეხედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იგი არც ისე უფროსია შენზე.

— მე ცოტა დავიკელი წლები, — გამოუტყდა ტრუდი. — შენ ხომ არ გამთქვამ?

— მაინც რამდენი მოიკელი?

— შვიდი წელი.

— ძალიან გიეჟკაცია.

— მაგით რისი თქმა გნებავს, ვითომ რაო?

— ისაო, რომ ძალიან გამბედავი ყოფილხარ.

— შენ კი ცოტა კელამწუტა ხომ არა ბრძანდები? — ვალში არ დარჩა ტრუდი.

— სრულიადაც არა. ისე კი დიდი ვაჟკაცობაა ყველაფრის რამოდენიმეჯერ ახლიდან დაწყება. ზოგიერთ ქალს ეგ აქამდე მობეზრდებოდა.

— ო, მე არც ისეთი გამოცდილი ვარ მაგ ამბებში, — თქვა ტრუდიმ.

— მართალი ხარ. ინჩიბინჩი არ გესმის. ეჰ, მაგ გამოცდილებისაგან ჯერ ხეირი არავის უნახავს. მაშ ახლა ოცდაორი წლისა ხარ?

— რაღა დაგიმალო და შენ ახლა ექვიანობ. ხანშიშესული ქალებისაგან ეგ არც გასაკვირია. მაგრამ შენგან მაინც არ მოველოდი მაგას.

— სწავლა სიბერემდეო, — თქვა გვენმა.

ტრუდიმ თითზე გადაიხვია შუბლზე ჩამოშლილი კულული.

— ასეა, ცხოვრებისაგან ბევრი რამ უნდა ისწავლოს ადამიანმა, — უხალისოდ თქვა მან და ფანჯარაში გაიხედა.

— ერთი ამას დამიხედეთ! შენ, მგონი, მართლა გჯერა, რომ ოცდაორი წლისა ხარ! — წამოიძახა გვენმა.

— არა, მე ზუსტად ოცდაორი წელი არ მითქვამს რიჩარდისათვის, — მიუგო ტრუდიმ. — მაგრამ, შენს ჯინაზე, მართლა ოცდაორი წლის ქალად ვგრძნობ თავს! არც მეტი და არც ნაკლები!

შვებულების ბოლო დღეებში რიჩარდმა ნავით გაასეირნა ტრუდი ტბაზე. წყლის წყნარ, სარკესავით ზედაპირზე ცაბლა ჩამოწოლილი, ალისფერი ღრუბლების ანარეკლი ჩანდა.

— დღევანდელი ამინდი ვინდერმერს მაგონებს, — თქვა რიჩარდმა.

ტრუდის არასოდეს ენახა ვინდერმერი, მაგრამ უსიტყვოდ დაეთანხმა და ოცდაორი წლის ქალის გაცისკროვნებული თვალებით ახედა.

— ცუდ ამინდში კი ეს ადგილი იორკშირს წააგავს, — განაგრძო რიჩარდმა. — აი, იმ მთის ფერდობები კი ზედგამოჭრილი უელსია.

— მეც სწორედ ეგ ვუთხარი გვენს, — თქვა ტრუდიმ. — უელსს ჰგავსმეთქი, ზუსტად უელსს.

— არა, რაღაცით კი განსხვავდება, მაგრამ...

— გვენი არ დამეთანხმა, თუმცა არცაა გასაკვირი... ასაკს გადაცილებული ქალი, სკოლის მასწავლებელი... არა, კაცი მასწავლებელი, რა თქმა უნდა, სულ სხვაა... იმას ჯერ ისევ ბავშვი ვგონივარ და ისედაც მექცევა...

— რა მოგახსენო...

— დიდი ხანია გვენს იცნობ?

— რამდენიმე წელია, — თქვა რიჩარდმა. — გვენი კარგი ქალია, ძვირფასო. იგი დედაჩემის ახლო მეგობარია, ჩვენი ოჯახის ნამდვილი წევრია.

* *

ლონდონში ტრუდიმ ერთი პირობა ბინის გამოცვლა დაპირდა, მაგრამ გვენთანაც სიახლოვე უნდოდა და ამან აალებინა თავის განზრახვაზე ხელი. გარდა ამისა, გვენი ყოველდღე ხვდებოდა რიჩარდს სკოლაში, ტრუდისაც კარგად იცნობდა, ხოლო რიჩარდს ხომ იცნობდა და იცნობდა. მისი მონაყოლის წყალობით ტრუდის სულ უფრო ნათელი წარმოდგენა ექნებოდა ამ კაცზე. ეს კი მას ფრიად აინტერესებდა.

იგი ფრთებშესხმულივით შევარდებოდა ხოლმე გვენის ოთახში:

— გვენ, წარმოგიდგენია?! სამსახურთან მიცდიდა მანქანით და სახლში მომიყვანა! შვიდ საათზე პაემანი დამინიშნა... აქ გამომივლის. შემდეგ შაბათკვირას კი...

— მოიცა, სული მოითქვი, — დააშოშმინებდა ხოლმე გვენი. — შენ, მგონი, გული გაწუხებს...

ამას იმიტომ ეუბნებოდა, რომ გვენის ოთახი მეორე სართულზე იყო და ჯანმრთელი გულის პატრონს ასეთი ქოშინი არ უნდა ავარდნოდა. ტრუდის აცოფებდა გვენის შენიშვნები. მას ვითომ არ ესმოდა, რომ გულის ფართხალი ორიოდე საფეხურზე ამორბენის ბრალი არ იყო. ტრუდი ოცდაორი წლის ქალიშვილად გრძნობდა თავს და პირველი შეყვარებულიც ჰყავდა. ეს იყო ყველაფრის მიზეზი!

— შენ ვერ წარმოიდგენ, როგორ ამაფორიაქებს ხოლმე რიჩარდი, — ამბობდა ტრუდი. — ასე მგონია, ერთი თვე კი არა, მთელი საუკუნეა ვიცნობ!

— სახლში ხომ არ დაუპატიჟებიხარ დედის გასაცნობად? — ჰკითხა გვენმა.

— არა... ჯერ არა. შენ გგონია დამპატიჟებს?

— კი. ერთ მშვენიერ დღეს წაგიყვანს სახლში.

— მართლა? — ტრუდი პატარა გოგოსავით შემოეჭდო გვენს ყელზე.

— მამაშენი როდის ჩამოდის? — ჰკითხა გვენმა.

— რა ვიცი... შეიძლება ეგებიც არ ჩამოადგას. თავის ლესტერშირს ასე იოლად არ შეელევა. თანაც ლონდონს ვერ იტანს.

— შენ უნდა შეატყობინო, რომ ჩამობრძანდეს და ერთი-ორი სიტყვა უთხრას რიჩარდს, რას ფიქრობს, რას აპირებს... შენისთანა კოხტა გოგოს პატრონი სჭირდება.

— გვენ, ნუ სულელობ.

ხანდისხან ტრუდი სეტყვასავით დააყრიდა ხოლმე კითხვებს გვენს რიჩარდსა და დედამისის შესახებ.

— როგორი ხალხია? დედა დარბაისელი ქალია? რანაირი სახლი აქვთ? რამდენი ხანია, რაც რიჩარდს იცნობ? აქამდე რატომ არ დაქორწინდა? დედამისი... შენ როგორ გგონია...

— ლუსი თავისებურად შესანიშნავი ქალია, — ეტყოდა ხოლმე გვენი.

— ოჰო, შენ უკვე ლუსის ეძახი? გეტყობა ძალიან ახლოსა ხარ მასთან.

— კი, მათი ოჯახის წევრივითა ვარ...

— რიჩარდი ხშირად ამბობს მაგას. ყოველ კვირა დადიხარ მათთან?

— ყოველ კვირას რა მოგახსენო, მაგრამ ისე ხშირად ვეწვევი ხოლმე, —

პასუხობდა გვენი. — მიგალ, ცოტას გავერთობი, ზოგჯერ იქ უცხო ვინმესაც გავიცნობ...

ზაფხულმა ისე გაირბინა, ვერც კი გაიგეს. ტრუდიმ რამდენიმე შაბათ-კვირა რიჩარდთან ერთად გაატარა.

— რა დაემართა, აქამდე რატომ არ გამაცნო დედამისი? — [illegible] ტრუდიმ გვენს. — მე რომ დედა ცოცხალი მყოლოდა და [illegible] რა, აქამდე ათასჯერ მივიპატიჟებდი და მევე გავაცნობდი ჩემს მშობლებს.

ტრუდიმ რამდენიმეჯერ გადაუკრა სიტყვა რიჩარდს:

— ძალიან მინდა მამაშენი გავაცნო. მოდი, საშობაოდ წავიდეთ ლესტერშირში და ერთი-ორი დღე მასთან დავრჩეთ. აუცილებლად წავიდეთ. მამა დაზღვევის კანტორის გამგეა და არც თუ ისე ურიგოდ უძღვება თავის საქმეს.

— აბა, შობის დღესასწაულზე დედა როგორ მოვატოვო. სხვა დროს კი სიამოვნებით ვესტუმრებოდი მამაშენს.

ამ ხნის განმავლობაში რიჩარდს მოკიდებული ბზე გადაუვიდა. ფერნაცვალი და სახედაწმენდილი რიჩარდი ტრუდის უფრო განორჩეულ და მიუწვდომელ პიროვნებად ეჩვენებოდა.

— მე მგონი, აუცილებელია შენი შეყვარებული მშობლებს გააცნო, — უთხრა ერთხელ ტრუდიმ რიჩარდს მთლად ნორჩი, უბიწო ქალწულის ხმით. ისინი უკვე მიჯნურებად სთვლიდნენ თავს.

მაგრამ ოქტომბერიც ისე მიიწურა, რომ რიჩარდმა კრინტიც არ დაძრა დედამისთან გაცნობის თაობაზე.

— ნუთუ ეს ასე დიდ რამეს ნიშნავს შენთვის? — ჰკითხა ერთხელ გვენმა ტრუდის.

— აბა, რა! მაშინ უკვე რაღაც გაირკვეოდა, — ნაღვლიანად უპასუხა ტრუდიმ. — როდემდის უნდა გაგრძელდეს ასე?! ხომ უნდა ვიცოდე, რა მომელის. ორივეს გვიყვარს ერთმანეთი, ორივე დასაქორწინებელ-გასათხოვარი ვართ... მართალი რომ გითხრა, უკვე ეჭვიც კი მეპარება, რამეს სერიოზულად ფიქრობს თუ არა... აი, დედამისი რომ გაეცნო ჩემთვის, ეს უკვე რაღაცის ნიშანი იქნებოდა, არა?

— რა თქმა უნდა, — მიუგო გვენმა.

— რიჩარდისთვის სახლში ვერ დამირეკია, იმიტომ რომ დედამისს არ ვიცნობ. რას იფიქრებს ქალი... უცხო ადამიანია, უცხოსთან კი დალაპარაკებისა მერიდება. არა, აუცილებლად უნდა შევხვდე, ეს ფიქრი ისე ამეკვიატა, რომ აღარ მასვენებს.

— რასაკვირველია არ მოგასვენებს, — თქვა გვენმა. — რატომ რიჩარდს არ ეტყვი პირდაპირ: დედაშენის გაცნობა მინდა-თქო; მორჩა და გათავდა!

— შენ ხომ იცი, გვენ, რომ ზოგიერთ რამეს ქალიშვილი ვერ იტყვის.

— ქალიშვილი ვერა... მაგრამ ქალი ხომ იტყვის?

— შენ ისევ ჩემი ასაკი არ გასვენებს? მე ხომ გითხარი, გვენ, რომ ოცდაორი წლის ქალიშვილივითა ვარ-მეთქი! რიჩარდთან მე სწორედ ოცდაორი წლისა გახლავარ! დიახ! მე ვიცი, რომ ვერ გამიგებ... ან რა უნდა გამიგო, როცა შენ თვითონ ერთი კაცის გულიც ვერ მოგინადირებია; გულახდილად თქვი, ასე არ არის?

— მართალი ხარ, — უპასუხა გვენმა. — მე ყოველთვის ბებრუხანად მთვლიდნენ.

— საქმეც ეგ არის! თუ ოცნებით და, რაც მთავარია, გრძნობით შინაბე-რად გადაიქეცი, მორჩა, აღარაფერი გიშველის შემაკავებს მოსაზრებებს, რო-ცა ჯერ კიდევ ნორჩი ქალიშვილი ხარ, ეი, ეს დრო არ უნდა გაუშვა ხელიდან!

— მაგ თუ განსჯელებით, ნამდვილ ცამდე მართალი ბრძანდებით, — თქვა გვენმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტრუდი უცებ აქვითინდა და თავის ოთახში გაიქცა. თუმცა მალევე დაბ-რუნდა და ისევ რიჩარდის დედაზე ჩამოაგდო სიტყვა. ტრუდი თუ რიჩარდთან არ იყო, გვენს არა სცილდებოდა გვერდიდან.

— მაინც როგორი დედა ჰყავს რიჩარდს? შენ როგორი გგონია, ხასიათით შევეწყობი?

— ისე ძალიან თუ გაინტერესებს, ერთ კვირა დღეს წაგიყვან.

— არა, არა, — წამოიძახა ტრუდიმ. — მე რიჩარდმა უნდა წამიყვანოს დედამისთან, სწორედ რიჩარდმა... მაშინ აქვს ამას მნიშვნელობა.

თუმცა ტრუდიმ თითქმის დაკარგა ამის იმედი. ახლა იმაზე დარდობდა, ვაითუ რიჩარდს თავი მოვაბეზრეო. ტრუდი სულ უფრო იშვიათადღა ხვდებო-და მას. ერთხელ კი, ნოემბრის დამლევს, რიჩარდმა სრულიად მოულოდნელად განუცხადა:

— ცოტა ხანში ჩვენთან წავიდეთ, დედა უნდა გაგაცნო.

— ოო! — წამოიძახა ტრუდიმ, მღელვარებისაგან ისე დაება ენა, რომ მე-ტი ვერაფერის თქმა ვერ მოახერხა.

— იმასაც ძალიან უნდა შენი ნახვა, — განაგრძო რიჩარდმა.

— როგორ, მან უკვე იცის მე ვინ ვარ?

— რა თქმა უნდა, იცის.

— ოო! — ისევ წამოიძახა ტრუდიმ.

* *

— ჩვენც ისე... ყველაფერი რიგზეა... — ძლივს ამოილაპარაკა სულთქვა-შეკრულმა ტრუდიმ.

— ბოლოს და ბოლოს სახლში მაინც მიგიწვია, არა? — ისე ჰკითხა გვენმა, რომ წიგნიდან თავი არც აუღია.

— ეს ჩემთვის აუცილებელი იყო, გვენ.

— მაგას რაღა მტკიცება უნდა.

— კვირას, ასე, შუადღისას მივდივართ, იქ იქნები?

— ნუ გეშინია, საღამომდე არ მოვალ, — დაამშვიდა გვენმა.

— დედამისმა მინდა გაგაცნო, უკვე ყველაფერი ვუთხარი შენზეო, ისე მითხრა რიჩარდმა.

— ყველაფერი?

— მე იმას გეუბნები, რაც იმან მითხრა. ხომ იცი ჩემთვის ამას რა მნიშ-ვნელობაცა აქვს, გვენ.

— ეგ მხოლოდ დასაწყისია, დასასრული მერე ნახე, — თქვა გვენმა.

— დიახაც, რომ ეს ყველაფრის დასაწყისია!

კვირას, ოთხ საათზე რიჩარდმა თავისი „ზინგერით" გამოიარა ტრუდის. იგი ჩაფიქრებული ჩანდა. ამჯერად ჩვეულებისამებრ მანქანის კარი არ გაუღო ტრუდის, სწრაფად მიუჯდა საჭეს და უხერხულად აცმუტდა, სანამ ქალი თა-

ვის ადგილას მოკალათდებოდა. „ალბათ დედასთან ჩვენი პირველი შეხვედრის გამო ღელავს“, — გაიფიქრა ტრუდიმ.

კემპიონ ჰილზე ისეთ მშვენიერ სახლში მივიდნენ, ადამიანს მართლაც რომ მოეწონებოდა. „ეტყობა, საკმაოდ შეძლებულები არიან“, — გაუელვა ტრუდის.

მისის სიტონი ოდნავ წელში მოხრილი, თავისი ასაკისათვის მშვენივრად თავშენახული, ტანმაღალი ქალი იყო. მას კარგად ეცვა, ჭაღარაშერთული თმა სადად ჰქონდა გადავარცხნილი. დიდ, ლამაზ თვალებში ნათლის შუქი ულიმციმებდა.

— იმედია ლუსის დამიძახებთ,—გაცნობისთანავე უთხრა მან. პაპიროსს ეწევით?

— არა, — უპასუხა ტრუდიმ.

— ამბობენ ეს ხწიერ ხალხს ნერვებს უმშვიდებსო, — განაგრძო მისის სიტონმა. — თქვენ ჯერ სამაგისო არაფერი გჭირთ.

— დიახ... ალბათ ჯერ არა მჭირდება,—თქვა ტრუდიმ.—ეს ძალიან ლამაზი ოთახია, მისის სიტონ.

— ლუსი, — გაუსწორა მისის სიტონმა.

— ლუსი, — მორცხვად გაიმეორა ტრუდიმ და უტყვი მუდარით გადახედა რიჩარდს, მხარი დამიჭირეო. ის კი ჩაის შეექცეოდა და ისეთი იერით იცქირებოდა სარკმელში, გეგონება, აშინდის მეტი არაფერი აინტერესებსო.

— რიჩარდი ვახშამზეა დაპატიჟებული, რომ არ წავიდეს არ შეიძლება,— თქვა მისის სიტონმა და თითებს შუა მოხდენილად შეათამაშა მუნდშტუკი. — არ დაგაგვიანდეს, რიჩარდ! ტრუდი კი, იმედია, ჩემთან ერთად ივახშმებს. მე და ტრუდის უამრავი სალაპარაკო გამოგვიჩნდება.

მან ტრუდის შეხედა და ძლივს შესამჩნევად ჩაუკრა თვალი. ტრუდის ისე მოეჩვენა, თითქოს ქუთუთო კი არა, პეპლის ფრთა შეფარფატდაო.

იმის ნიშნად, რომ დავრჩებიო, ტრუდიმაც შეთქმულივით, ერთობ საიდუმლოდ დაუქნია თავი. მისი სკამი ოდნავ გაჭრაჭუნდა. რიჩარდს შეხედა, იქნებ ის მაინც მითხრას, სად მიდისო. იგი ისევ ფანჯრის ზედა ჩარჩოს მისჩერებოდა და ძველი ვინძორული სავარძლის სახელურზე თითებს ათამაშებდა.

რიჩარდი შვიდის ნახევარზე წასასვლელად მოემზადა. ახლა იგი უფრო კარგ ხასიათზე ჩანდა. ტრუდისთან ერთად სახლში მოსვლისას ასე ხალისიანად არ გამოიყურებოდა.

— რიჩარდს კვირა დღეს სახლში ვერ გააჩერებ, დიდი მოუსვენარი კაცია; ერთ ადგილას ვერა ჩერდება, — თქვა დედამისმა.

— დიახ, მეც შევამჩნიე,—ეშმაკურად ჩაილაპარაკა ტრუდიმ, რომ იქნებ მისის სიტონი მიხვდეს, ვისთანაც ატარებდა მისი ვაჟი ამ ბოლო კვირა დღეებსო.

— ალბათ ბევრი რამე გინდათ მოგიყვეთ რიჩარდზე, არა? — საიდუმლო ჩურჩულით ჰკითხა მისის სიტონმა, თუმცა მათ ლაპარაკს ყურს არავინ უგდებდა. მან უცნაურად ჩაიქირქილა და ისე აიწურა მხრები მაღალი, ოდესღაც ყარყარა ყელის აყოლებით, რომ მხრისთავებით თითქმის საყურეებს შეეხო. ნირწამხდარმა ტრუდიმაც მას მიბაძა.

— ო, დიახ, მისის სიტონ, — თქვა მან.

— მე ხომ გითხარი, ლუსი დამიძახე-მეთქი. ჩვენ უნდა დავმეგობრდეთ. ამ ოჯახის წევრად უნდა იგრძნო თავი. გინდა სახლი დაგათვალიერო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი ზედა სართულზე აუძღვა ტრუდის. პირველად თავისი მდიდრულად მორთული საწოლი ოთახი აჩვენა. ერთ კედელზე მთლიანად ვეებერთელა სარკე ეკიდა. ამ სარკეში რიჩარდისა და მისი გარდაცვლილი მამის ფოტოსურათები ჩანდა, რომლებიც ტუალეტის მაგიდაზე იმდაგვარად იდგა, რომ თითოს ნაცვლად ორ-ორად მოჩანდა.

— ეს თავის პონიზე ამხედრებული რიჩარდი გახლავს. მას გაგიჟებით უყვარდა ლობო, ასე ვეძახდით პონის. ჩვენ ყველას გვიყვარდა იგი. მაშინ სოფელში ვცხოვრობდით. ეს კი რიჩარდის მამაა, ომის დაწყებამდე... თქვენ რას აკეთებდით ომის დროს, ძვირფასო?

— სკოლაში ვსწავლობდი, — გულწრფელად მიუგო ტრუდიმ.

— მაშ თქვენც მასწავლებელი ხართ?

არა, მე მდივანი ვარ, სკოლა მხოლოდ ომის შემდეგ დავამთავრე.

მისის სიტონმა ტრუდის სარკიდან გამოხედა და თქვა:

— ღმერთო ჩემო, როგორ ტყუვდება თვალი. მე მეგონა, თქვენც გვენსავით რიჩარდის ხნისა იყავით. რა საყვარელია გვენი, არა? ეს სურათი რიჩარდმა სკოლის დამთავრების დღეს გადაიღო. არ ვიცი, რამ გადააწყვეტინა მასწავლებლობა, თუმცა ურიგო სპეციალისტი არ უნდა იყოს. გვენი სულ ამას ამბობს. თქვენ ძალიან გიყვართ გვენი?

— იგი ცოტათი უფროსია ჩემზე, — უპასუხა ტრუდიმ.

მას აღიზიანებდა ასაკზე ლაპარაკი.

— გვენი სადაცაა გამოჩნდება. ჩვეულებრივ ვახშმად მოდის ხოლმე. ახლა კი სხვა ოთახებს გიჩვენებთ, რიჩარდის ოთახსაც ვეწვიოთ...

თავისი ვაჟიშვილის ოთახთან მისის სიტონი შეჩერდა, სრულიად უმიზეზოდ თითი ტუჩებზე მიიდო და კარი უცებ გამოაღო. ოთახში ნივთები უწესრიგოდ იყო მიმობნეული, ირგვლივ ყველაფერს სევდიანი იერი დაჰკრავდა. იგი რაღაცით მოსწავლე ბიჭის ოთახს წააგავდა. რიჩარდის მწვანე პიჟამოს შარვალი იატაკზე ეგდო. ასეთი სურათი ახალი აღარ იყო ტრუდისათვის იმ ბოლო თვეებში ტემზისპირა ოტელების ნომრებში გატარებული საღამოების წყალობით.

— აი, რა უწესრიგო კაცია, — თქვა რიჩარდის დედამ და თავი უკმაყოფილოდ გააქნია. — ასეთი უთავბოლო ვინმეა. ტრუდი, ძვირფასო, ერთ დღეს მე და თქვენ უნდა მოვილაპარაკოთ.

მალე გვენიც მოვიდა. იგი შინაურულად პირდაპირ სამზარეულოსაკენ გაემართა და სალათის მზადებას მიჰყო ხელი. მისის სიტონმა ცივად მოხარშული ხორცი დათალა თხელ ნაჭრებად. ტრუდი იდგა, ორივეს თვალ-ყურს ადევნებდა და მათი საუბრით ხვდებოდა, რომ ისინი დიდი ხნის მეგობრები იყვნენ. მისის სიტონი ცდილობდა რაიმეთი ესიამოვნებინა გვენი.

— გრეისი მოვა ამ საღამოს? — ჰკითხა გვენმა.

— არა, ძვირფასო, დღეს არა ღირდა მისი მოწვევა. მე მგონი ასე სჯობს... შენ რას იტყვი?

— ო, მაგას რაღა კითხვა უნდა. ჯოანა?

— დღეს ტრუდის პირველი ვიზიტია და ამიტომ არც ჯოანა დავპატიჟე.

— სუფრას ხომ არ გაშლი, ჩემო კარგო, — მიუბრუნდა გვენი ტრუდის. — დანა-ჩანგალი აგერ იქ აწყვია.

ტრუდიმ დანა-ჩანგალი კი გაიტანა, მაგრამ უცნაური გრძნობა დაეუფლა, თითქოს ქალებმა განგებ მოიცილეს თავიდან, რათა მასზე ეჭორავათ.

— ცოტა უცნაურად მეჩვენება, მარტო სამნი რომ ვართ, — [illegible] განაცხადა მისის სიტონმა. — კვირაობით უფრო [illegible] ვახშამზე გვყავს ხოლმე. მომავალ კვირას ტრუდი უნდა წავიდეს და ჩვენი [illegible], გვენ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აუცილებლად. ყველა უნდა გავაცნოთ, — უპასუხა გვენმა.

თერთმეტის ნახევარი ხდებოდა, როცა მისის სიტონმა თქვა:

— მე მგონი, რიჩარდი აღარ მოვა. ან ისეთ დროს მობრძანდება, რომ ვეღარ შევეგებით... კარგი კი იქნებოდა შენ მანქანით გაგეცილებინეთ. საბრალი ბიჭია! გულახდილის ღირსია.

ავტობუსის გაჩერებისაკენ ორივენი უხმოდ მიდიოდნენ.

— კმაყოფილი ხარ ლუსის გაცნობით? — ჰკითხა გვენმა.

— კი. თუმცა უკეთესი იქნებოდა რიჩარდი რომ შინ დარჩენილიყო. უფრო სხვანაირად აეწყობოდა საქმე. ალბათ განგებ დამტოვა დედამისთან მარტო, რომ მე თვითონ გამეცნო იგი. ისე კი, რომ არ წასულიყო და ერთი-ორი სიტყვა შეეწია ჩემთვის, ნამდვილად ურიგო არ იქნებოდა.

— ლუსის არ ესაუბრე?

— როგორ არა. თუმცა ბევრი არაფერი გვითქვამს ერთმანეთისათვის. შეიძლება რიჩარდმა არ იცოდა, შენ რომ უნდა მოსულიყავი ვახშმად. ალბათ იფიქრა, ქალები უფრო გულახდილად ილაპარაკებენო...

— მე ყოველკვირა დავდივარ ლუსისთან, — უთხრა გვენმა.

— რატომ?

— როგორ გითხრა... იგი ჩემი მეგობარია, მე მას კარგად ვიცნობ, მასთან გულს ვიოხებ ხოლმე...

იმ კვირას ტრუდი მხოლოდ ერთხელ შეხვდა რიჩარდს. უცებ შეხვდნენ კაფეში, ფეხზედგომით გადაკრეს რაღაცა, ტრუდიმ ვერც გაარჩია რა დალიეს.

— გამოცდები მაქვს, ძვირფასო, არა მცალია, — უთხრა რიჩარდმა.

— ამ შუა ნოემბერში? გამოცდები ხომ დეკემბერში გეწყება...

— გამოცდებს მომზადებაც სჭირდება! — გააწყვეტინა რიჩარდმა. — წინასწარი სამუშაოც მაქვს ბევრი. ღამეებს თეთრად ვათენებ...

მან ტრუდი შინ მიაცილა, ლოყაზე აკოცა და მანქანა სწრაფად დაძრა ადგილიდან. ტრუდიმ მანქანას თვალი გააყოლა და ერთი წუთით შეზიზღდა მისი პატრონის ულვაში. ნელ-ნელა თავს დაეუფლა, გული გაიკეთა — ჯერ ძალიან ახალგაზრდა ვარ იმისათვის, რომ მამაკაცის ხუშტურები და ცვალებადი ხასიათი როგორც რიგია ისე განვსაჯოო.

კვირას რიჩარდმა ოთხ საათზე გამოუარა.

— დედას ძალიან უნდა შენი ნახვა, — უთხრა მან. — იმედი მაქვს ვახშმადაც დარჩებით.

— დღესაც ხომ არ მიდიხარ სადმე? — შემპარავი ხმით ჰკითხა ტრუდიმ.

— არა, ამაღამ ფეხს არსად გავადგამ, — გაეღიმა რიჩარდს.

საღამოს ჩაი მიირთვეს თუ არა, მისის სიტონმა მაშინვე მოაგონა რიჩარდს წასასვლელი ხარო.

მან მადლობა მოახსენა დედას და გაუღიმა.

ტრუდიმ ჯერ საოჯახო ალბომი დაათვალიერა, მერე მისის სიტონი დაწ-

ვრილებით მოუყვა როგორ გაიცნო რიჩარდის მამა შვეიცარიაში, რა ეცვა მაშინ...

შვიდის ნახევარზე ვახშმად მოწვეული სტუმრებიც შეგროვდნენ. გვენის ჩათვლით სულ სამმა ქალმა მოიყარა თავი. ერთს, საკმაოდ [illegible] გრეისი ერქვა, მას რაღაც ნორცხვი იერი ედო. მეორე — აირისი — [illegible] წლის კარგა ხანია გადაცილებული იქნებოდა. იგი საკმაოდ რიხიანი და როხროხა ქალი ჩანდა.

— ნეტავი გამაგებინა, ამაღამ სადღა მიბრძანდება ის უზრდელი რიჩარდი? — იკითხა აირისმა.

— აბა, რა ვიცი, — თქვა მისის სიტონმა. — მე ვინ რას მეკითხება?

— რა გინდა მისგან, კაცმა მთელი კვირა თავაუღებლად იმუშავა, იგი შესანიშნავი მასწავლებელია! — თქვა თვალყუყუნა გრეისმა.

— უკაცრავად, არც ისე დიდი ბედენაა, ერთი ჩვეულებრივი მასწავლებელი ბრძანდება! — გულდვარძლიანად შენიშნა გვენმა.

— ო, რა ულმობელი ხარ, გვენ, ეგრე რომ ყოფილიყო, ამდენ ხანს ვინ გააჩერებდა იმ ადგილზე, — ჩაერთო მისის სიტონმა.

— დიახაც! — კვერი დაუკრა გრეისმა. — გულთმისანივით ესმის თავისი მოწაფეებისა. პირდაპირ თან გადაჰყვება ხოლმე...

— საზაფხულო სემესტრის ბოლოს რომ შექსპირის პიესებს დგამენ ხოლმე ბრწყინვალედ, ის როგორია?! — დაიროხროხა აირისმა. — ამას მაინც ნუ დაუკარგავთ იმ ბეჩარა სატანას!

— უბრალოდ საშუალო დონის სპექტაკლებია! — თავისაზე იდგა გვენი.

— იქნებ შენ მართალიც ხარ, გვენ, — ნაღვლიანი ხმით წარმოთქვა მისის სიტონმა. — მაგრამ ისინი ჯერ მხოლოდ მოწაფეები არიან. შექსპირი პატარა ბიჭებს კი არა, გაწაფულ მსახიობებსაც უჭირთ.

— ვგიჟდები როცა ის რაიმე საქმეს აკეთებს! — წამოიძახა აირისმა. — ასე საქმეზე გადამკვდარი კაცი ჯერ არ მინახავს. რა ენერგიით... რა თავდავიწყებით...

— დიახაც, რომ არაჩვეულებრივი კაცია! — გააწყვეტინა გრეისმა. — თავისი გეგმებით და იდეებით!

— ოო, ეგ თქვენზე კარგად მე ვიცი, — თქვა დედამისმა. — ერთხელ, როცა მასწავლებლობა ახალი დაწყებული ჰქონდა... მოიცათ, დაწვრილებით უნდა მოგიყვეთ ეს ამბავი, მან...

გამოთხოვებისას მისის სიტონმა ტრუდის უთხრა:

— იმ კვირასაც ხომ გამოივლით გვენთან ერთად? თქვენ უკვე ჩვენიანად უნდა ჩათვალოთ თავი. მე მინდა რიჩარდის კიდევ ორი ძველი მეგობარი გაგაცნოთ.

ავტობუსის გაჩერებისაკენ რომ მიდიოდნენ, ტრუდიმ გვენს ჰკითხა:

— არ მოგბეზრდა ყოველ კვირას მისის სიტონთან სიარული?

— რა მოგახსენო, ჩემო კარგო, მომბეზრდა კიდეც და არც მომბეზრდა. დროდადრო ახალ ვინმეს გამაცნობენ ხოლმე და ამით ვერთობი.

— ნუთუ რიჩარდი კვირა საღამოს შინ არასოდეს რჩება?

— არა, შინ ჯდომა არ უყვარს. ხშირად შაბათ-კვირასაც იკარგება ხოლმე. ეს ხომ შენ თავზეც გამოსცადე.

— ის ქალბატონები ვინღა ბრძანდებიან? — თავგზააბნეული ტრუდი შუა ქუჩაში გაჩერდა.

— ვინა და, რიჩარდის ძველი მეგობრები.

— მას ხშირად ხვდებიან?

— არა, უკვე აღარ ხვდებიან. ახლა ისინი ოჯახის წევრები არიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

□

# ძალიან კარგი საათი

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ნოდიამ

●

Იყო და არა იყო რა, იყო ერთი ძალიან კარგი საათი, სახელად ტიკი.

დიდი ხნის წინათ, ერთ ზამთარს, ტიკი მისმა მეგობარმა, პროფესორმა ჰორას ჯონ მორისმა ჩამოიტანა შვეიცარიიდან. მას შემდეგ ტიკი და პროფესორი შეხმატკბილებულად ცხოვრობდნენ და, რაც მთავარია, ყოველმხრივ უგებდნენ ერთმანეთს.

პროფესორს არ მოსწონდა, როდესაც მას ასე მიმართავდნენ: „პროფესორო ჰორას!“, ამიტომ ტიკი ერთხანს „პროფესორ მორისს“ ეძახდა თავის მეგობარს, შემდეგ კი — „პროფესორ ჯონს“, რაც მის პატრონს ძალზე სიამოვნებდა.

სახლში ტიკს თავისი ადგილი ჰქონდა: ბუხრის შორიახლოს მაგიდაზე იდგა ყოველთვის. დალამებისას თერთმეტის თოთხმეტ წუთზე, პროფესორი ჯონი მუშაობას რომ მორჩებოდა, მივიდოდა ტიკისთან, მომართავდა და წიაყურადებდა: კვლავინდებურად თანაბრად თუ სცემსო ტიკის გული. მერე მაჯის საათს ტიკის მიხედვით შეამოწმებდა და სხვა საათებსაც დაქოქავდა.

— ძალიან კარგი საათი ხარ, ტიკი, — უთხრა ტიკს ერთ საღამოს. — არც არასოდეს ჩქარობ და არც არასოდეს აგვიანებ. შენზე საიმედო ჩემს მეგობრებში არავინ მეგულება.

— რომ იცოდეთ, როგორ მიხარია, ამას რომ მეუბნებით, პროფესორო ჯონ, — მიუგო ტიკმ. — დარწმუნებული ვარ, პაპაჩემი, რომელიც ავსტრიაში, ერთი მთის წვერზე კოშკში ცხოვრობს, სიამაყით აღივსებოდა ამ სიტყვების გაგონებაზე.

— მართალი გითხრა, ტიკი, — თქვა პროფესორმა ჯონმა, — საათების წინაპრების ამბავი სულაც არ მაინტერესებს. მეტისმეტად მაღლა არიან, სახეზე ვერ შეხედავ, და ამის გამო ვერც გაიგებ, რას ფიქრობენ. მაგრამ პაპაშენი მართლა განსაკუთრებული საათი ჩანს. იმას რა ჯობია, შენი წინაპარი რომ კოშკში ცხოვრობს!

ყოველ ხუთშაბათ საღამოს, სახლში ყველა საათს რომ მომართავდა, პრო-

ფესორი ჯონი ჩვეულებისამებრ მაშინვე აღარ იძინებდა და შუაღამემდე მასპინძლობდა მასთან სტუმრად მოსულ ოთხ მეგობარს:

პროფესორ სტერჯ ბოლდუინ პარკერს
პროფესორ ნორმან ბეილის
პროფესორ რეიმონდ ოფენბახს
პროფესორ მაქსიმილიან როსმინს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხივენი ისეთივე ჭკვიანი და სახელგანთქმული პიროვნებები გახლდნენ, როგორიც თავად ჯონი იყო. ისინი სიმპათიით ეპყრობოდნენ ტიკის, რადგან იცოდნენ, რომ პროფესორ ჯონის საუკეთესო მეგობარი და, სავსებით სანდო პიროვნება იყო.

ტიკიც სმენად იქცეოდა, როგორც კი ყოველ ხუთშაბათ საღამოს ხუთი პროფესორი სასაუბროდ შეიკრიბებოდა.

ისინი ძალზე საინტერესო ამბებზე ბჭობდნენ, მთვარეზე და ვარსკვლავებზე იმდენი რამ იცოდნენ, რომ ტიკის ლამისაა დაეჯერებინა, ეს ხალხი ყველა პლანეტაზეა ნამყოფიო.

ერთ ხუთშაბათ საღამოს პროფესორმა ნორმან ბეილიმ, რომელიც ჩრდილოელი იყო, ტიკის უთხრა:

— იცი, ტიკი, შენ ჩვენზე უფრო ჭკვიანი ხარ, იმიტომ რომ შეგიძლია საათზე დაუხედავად თქვა, რომელი საათია.

ნორმან ბეილის სხვებიც დაეთანხმნენ, ჭეშმარიტი ბრძანებააო.

— ვერც ერთი ჩვენგანი, — განმარტა პროფესორმა ჯონმა, — დროს ს რ უ ლ ი სიზუსტით ვერ გამოიცნობს, თუ საათს არ დახედა. ჩვენ მხოლოდ მიახლოებით შეგვიძლია გამოვიცნოთ დრო. ტიკიმ კი სწორედ რომ ი ც ი ს.

პროფესორი აღტაცებული შესცქეროდა თავის მეგობარს (ტიკი ერთი უბრალო საათი გახლდათ, მრგვალი თეთრი სახე და გრძელი შავი ხელები ჰქონდა).

ტიკიმ მხურვალე მადლობა გადაუხადა პროფესორებს მისი ცოდნის დაფასებისათვის და ისიც აღნიშნა, პაპაჩემი სიამაყით აღივსებოდა, თავისი შვილიშვილის ქება რომ მოესმინაო.

— რა თქმა უნდა, ჩემი მეგობრის, პროფესორ ჯონის დახმარებისა და ზრუნვის გარეშე დროს ასე კარგად ვერ ვაჩვენებდი, იგი ხომ ყოველ საღამოს, თერთმეტის თოთხმეტ წუთზე მქოქავს.

— მაგრამ, — შენიშნა პროფესორმა სტერჯ ბოლდუინ პარკერმა, აგრეთვე ჩრდილოელმა, — შენ რომ არა, ტიკი, პროფესორ ჯონს საიდან ეცოდინებოდა რომ მართლაც თერთმეტის თოთხმეტ წუთზე გქოქავს?

ამ შეკითხვას ვერავინ უპასუხა. შემდეგ პროფესორმა მაქსიმილიან როსმინიმ, რომელიც სამხრეთელი გახლდათ, თქვა, ერთობ საგულისხმო რაღაც უნდა გითხრათო:

— წინადადება შემომაქვს, — თქვა მან, — რაკიღა ტიკი გონიერებაში არ ჩამოგვივარდება, მასაც პროფესორი ტიკი ვუწოდოთ. მოდით, საბუთები ხვალვე გავამზადოთ და ხუთივემ მოვაწეროთ ხელი მის პროფესორობაზეო.

ეს იდეა ყველას მოეწონა, ის კი არადა, პროფესორმა რეიმონდ ოფენბახმა, ჩრდილო-დასავლეთელმა, ტაშიც კი შემოჰკრა.

მაშინ სიტყვა ტიკიმ აიღო.

— დიდი სიხარულით მოვისმინე თქვენი წინადადება, — თქვა მან, — და

მწამს, რომ პაპაჩემსაც ასევე გაუხარდებოდა მისი გაგონება. მაგრამ ვშიშობ, პროფესორი ტიკი რომ გავხდე, რაც ამ სახლში საათებია, იმათთან ძველებურად ვეღარ ვიმეგობრებ. პროფესორი ჯონი დილაობით მიდის, მთელი დღე უნივერსიტეტშია, მოსამსახურე კი ბინის დალაგება-დასუფთავებას რომ მორჩება, მთელ სახლში ისეთი სიჩუმე დაისადგურებს, რომ ოთახებიდან მოსული საათების წიკწიკს თუ გაიგონებს კაცი. აი სწორედ მაშინ ვუამბობთ საათები ერთმანეთს ჩვენ-ჩვენს ლხინსა თუ ჭირზე. ხან აგვიჩქარდება წიკწიკი, ხან შორეული ვარსკვლავის ციალივით მიილევა. ასე ვუზიარებთ ერთმანეთს გულის ხვაშიადს ოთახიდან ოთახში. სამზარეულოს საათი დიდი ქაქანა და მხიარული ვინმეა. წკრიალა ხმაც აქვს. მე ყველაზე უფრო პეპიტა მომწონს, ობოლი, ესპანური სალდათის საათი, მარტო რომ ცხოვრობს საწოლ ოთახში. პროფესორებო, პაპაჩემისგან გამიგონია: „გული გულს გაუმხელსო თავის ხვაშიადს“. ეს ჩვენზე, რაც ამ სახლში საათებია, ჩვენზეა ნათქვამი. ამიტომ, ძვირფასო პროფესორებო, ჩემს კანდიდატურას აცილება უნდა მივცე. პროფესორი რომ გავხდე, მეგობრებს დავკარგავ, იფიქრებენ, ტიკი რაღას გვიკადრებსო. მე კი უმათოდ ცხოვრება ძალზე გამიჭირდება. გთხოვთ, უმადურობაში ნუ ჩამომართმევთ...

ეს სიტყვები რომ მოისმინეს, ხუთივე პროფესორმა ერთხმად აღიარა, ტიკის საქციელს ასე არასოდეს აღუფრთოვანებივართო.

— ტიკი, — მიმართა საათს პროფესორმა ჯონმა, — ყოველთვის ვიცოდი, რომ ძალიან კარგი საათი იყავი, მაგრამ ახლა კიდევ უფრო დავრწმუნდი შენს სიკარგეში. მართალია, ამ სახლში სხვა საათები დროს შენსავით უზადოდ ვერ აჩვენებენ, მაგრამ რაოდენი კეთილშობილებაა, პროფესორის წოდება დათმო იმისათვის, რომ მათ თვალში ისევ უბრალო ტიკი დარჩე.

პროფესორი მაქსიმილიან როსმანი ტაშით შეხვდა ამ სიტყვებს, დანარჩენებმა კი თავი მოწიწებით დახარეს.

ტიკიმ გაიღიმა და ხელები შუაღამისკენ გაიშვირა. სტუმრების წასვლის მერე საათი თავის საფიქრალს მიეცა. „აბა, როგორ უნდა გამოთქვა ჩემს ტურფა ადილეის ობოლს სიტყვა „პროფესორი“. მან ხომ სულ ერთი სიტყვა იცის: „ტიკი, ტიკი, ტიკი“. მთელი დღე ამას მეჩურჩულება: „ტიკი, ტიკი, ტიკი“.

□

## მის პინკერტონის აპოკალიფსური ხილვა

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ნოდიამ

●

თებერვლის ერთ ნისლიან საღამოს სარკმელში რაღაც შემოფრინდა. მის ლორა პინკერტონი ცეცხლის წინ იჯდა, როცა თავს ზემოთ სუსტი მთრთოლვარე ხმა მოესმა. იქით ახედვა და მისი წამოკივლება ერთი იყო:

— ჯორჯ, მოდი აქ! მოდი, ჩქარა!

ჯორჯ ლეიკი მყისვე მასთან გაჩნდა. სამზარეულოდან გამოსული სენდვიჩს ილუქმებოდა და ახალ ნაჩხუბარზე ისევ კუშტად იმზირებოდა. ცოლის ხმაზე იმანაც აიხედა მაღლა და მაშინვე სკამზე მოწყვეტილივით დაეცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის შემდეგ ამბავი ორ ვერსიად განვითარდა — კაცისა და ქალის ვერსიად, მაგრამ ერთ ფაქტს კი ორივე შეთანხმებულივით აღიარებდა, დავინახეთ, პატარა, მრგვალი და ბრტყელი საგანი ოთახში როგორ დაფრინავდაო.

— ეს რაღაც მფრინავი ობიექტია, — წაიჩურჩულა ბოლოს ჯორჯმა.

— თეფშია, — ხმამაღლა, მკაფიოდ და დაბეჯითებით განაცხადა მის პინკერტონმა. — თანაც ეტყობა, ანტიკვარულია.

— ანტიკვარულისა ნამდვილად არაფერი სცხია! — არ დაეთანხმა ჯორჯი.

მას მეტი ტაქტი მართებდა და, წამიერი შეკრთომა რომ არა, არც არაფერი შეემჩნეოდა. ამ სიტყვებმა გააცხარა მის პინკერტონი: ის ხომ ცამდე მართალი იყო!

— ეს ჩემი საქმე ვიცი, — ვინ უწყის, მერამდენედ იმეორებდა იგი. — სხვა თუ არაფერი, ეგ საქმე მაინც ვიცი. შემოდგომაზე ოცდასამი წელი გახდება, რაც ანტიკვარულ ნივთებს დავტრიალებ თავს. — მის პინკერტონი არ ტყუოდა და ჯორჯმაც იცოდა ეს ამბავი.

პატარა თეფში ნიავურას დაფარფატებდა.

— ალბათ შემოფრინდა, — ისე თქვა ჯორჯმა, თითქოს ფრინველი შემოფრენილიყოს.

უცებ თეფში სახიფათოდ დაეშვა ჯორჯის თავს ზემოთ. ჯორჯმა უგანა, მის პინკერტონი კი კედელს გაეკრა. სანამ კაცის მხართან ჩაიფრენდა, მის პინკერტონმა მოახერხა და თეფშს ზემოდან დახედა.

— რადიოაქტიური ჩანს. საშიში უნდა იყოს. — ჯორჯს სუნთქვა შეეკრა. თეფში აფრინდა, ერთხანს მის თავს ზემოთ იტრიალა, მერე ისევ წინკენ წამოვიდა, მაგრამ ასცდა.

— არავითარი რადიოაქტიური, — თქვა მის პინკერტონმა. — სპოუდია[1].

— მთლად ნუ გასულელდები, — ჯორჯს ჯერ კიდევ არ განელებოდა შიში.

— კეთილი და პატიოსანი, — თქვა მის პინკერტონმა. — სპოუდი არ არის, ხომ? მაშინ შენ ექსპერტი ხარ და უკეთ გეცოდინება რაც არის. მე მხოლოდ მივამსგავსე... ქალმა მთელი ცხოვრება ფაიფურის ნივთებში გავატარე და...

— ყალბი იქნება, — თქვა ჯორჯმა და მწარედ ინანა კიდეც. წესით აღარ უნდა შეშლოდა, მაგრამ მის პინკერტონის ნაცადი პოლემიკური სიტყვების გაგონებაზე გულში თითქოს რაღაცამ გაკრა. თან შიშიც არ განელებოდა ჯერაც.

არევ-დარევის მიზეზი კი ვითომც აქ არაფერიაო, ნარნარად უვლიდა წრეს ოთახში.

— ყალბია, ხომ?! — წამოიძახა მის პინკერტონმა. იგი ტყვიასავით გავარდა ოთახიდან და მალე გასაშლელი კიბით ხელში შემობრუნდა.

---

[1] სპოუდი — XIX საუკუნის ინგლისელი ფაიფურის მწარმოებელი, ვისი სახელითაც იხსენიებენ მისი ფირმის ნაკეთობებს (მთარგმნ.).

— ფირმის ნიშანს დავხედავ, — გაბრაზებული ქალი თეფშის დაჭერას ლამობდა. — ჩემი სათვალე რა იქნა?

თეფში თავაზიანად გაჩერდა კუთხეში; იგი ობობასავით თავკიდა ჭერს. მის პინკერტონმა კიბე დადგა. სათვალეც რომ შეისკუპა ცხვირზე, ნამდვილი მის პინკერტონი გახდა, შეუვალი და საქმის მცოდნე.

— ხელი არ ახლო, არ მიხვიდე! — ჯორჯმა უბიძგა ქალს და [illegible], თან ამ ძიძგილაობაში (დუქანში შევარდნილი ხარივით მეძგერა, — ასე დაახასიათა მის პინკერტონმა კაცის საქციელი) გატეხა დრეზდენული ცისფერი მინის თასი, ყვავილების ლარნაკი და ხერესით სავსე ბოთლი. მაგრამ ქალის გადაწყვეტილება მტკიცე იყო და კიბის კვლავ ხელში ჩასაგდებად ბრძოლას განაგრძობდა.

— ლოლა! — შეჰღაღადა ჯორჯმა. — მჯერა, რომ სპოუდია. ჩემთვის შენი სიტყვა საკმარისია.

ამასობაში კი თეფში სარკმელში გაძვრა და გაფრინდა.

ისინი სასწრაფოდ შეუდგნენ საქმეს. უპირველეს ყოვლისა, გაზეთის რედაქციაში დარეკეს, იქიდან შეჰპირდნენ, ხალხს დაუყოვნებლივ გამოვგზავნითო. მათ მოსვლამდე მის პინკერტონმა დაურეკა ორ თავის მეგობარს — ასე თუ ისე, ერთს პარაფსიქოლოგიური გამოკვლევები იტაცებდა, მეორე კი ელექტროტექნიკოსი იყო, — შინ არც ერთი არ დაუხვდა. ჯორჯი ფანჯარაში გადაეყუდა და გულდასმით შეათვალიერა მახლობელ შენობათა სახურავები და ღამეული ცა. მერე უკანა ფანჯრებიდანაც გადაიხედა, ბოლოს ყველა ნათურა და რადიო შეამოწმა. ყველაფერი რიგზე იყო.

— რაიმე კვალი მაინც დაეტოვებინა, სურათი რომ გადაგვეღო, — იდლევებით თქვა მის პინკერტონმა. — გაფრინდა.

მერე თვალი შეავლო ძიძგილაობის დროს დამსხვრეულ ჭურჭელს და შეიცხადა:

— რას ჰგავს აქაურობა!

ბუფეტის თავზე წამოქცეული ბოთლიდან კიდევ წვეთავდა ხერესი.

— ცოტა მაინც მივალაგ-მოვალაგო. ჯორჯ, მოდი ერთი, მომეხმარე! — ქალი ნერვიულად აფუსფუსდა. ცეცხლში ერთი-ორი პატარა ნატეხი ქვანახშირი შეაგდო...

— არა, არა, ყველაფერი ისე დატოვეთ, როგორც არის, — ურჩია ის იყო ოთახში შემოსულმა რეპორტიორმა. — ეს სულ იმ მოჩვენების ნამოქმედარია?

ჯორჯმა და მის პინკერტონმა ერთდროულად გასცეს პასუხი:

— დიახ, დაახლოებით, — თქვა ჯორჯმა.

— ის მოჩვენება არ იყო, — თქვა მის პინკერტონმა.

რეპორტიორი იქვე სკამზე ჩამოჯდა, ფანქარი მოიმარჯვა და იკითხა:

— წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, ზოგიერთი რამ ჩავინიშნო?

— წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, აქეთ გადმოჯდეთ? — თქვა მის პინკერტონმა, — დედოფალ ანას სკამებს არ ვხმარობ. მეტისმეტად დაძველდნენ.

რეპორტიორი ნაკბენივით წამოხტა და ახლა მაგიდაზე შემოჯდა, რაც მის პინკერტონს დიდად არ ეპიტნავა.

— იცით, რა, მე საანტიკვაროში ვმუშაობ... — სხაპასხუპით ალაპარაკდა ქალი.

„ჯერაც ვერ მოსულა გონზე“, — გაიფიქრა თავისთვის ჯორჯმა. და სწრაფად გააზრა თავისი უპირატესობა: ქალის საქმე წასული იყო, თავ[illegible]ის კი აღარ ღელავდა და საკუთარი თავის რწმენა დაბრუნებოდა.

— არ გინდა, ლორა, დაჯექი, ხომ იცი, შენი ნერვიულობა არ შეიძლება, — ხელი ნაზად უბიძგა და ცარიელ სავარძელში ჩაასკუპა. — ძალზე აღელვებულია, — ხმადაბლა გადაულაპარაკა რეპორტიორს.

— მაშ, თქვენ ამბობთ, რომ ის საგანი პირთლა შემოფრინდა ამ სარკმელში? — წამოიწყო რეპორტიორმა.

— ასეა სწორედ, — დაუდასტურა ჯორჯმა.

ფოტოგრაფი სხვადასხვა რაკურსში აღბეჭდავდა ფირზე სარკმელს.

— თვითონ აქ ბრძანდებოდით ამ დროს?

— არა, — ჩაერთო მის პინკერტონი. — მისტერ ლეიკი სამზარეულოში იყო, მე დავუძახე. მაგრამ მან თეფშისთვის არ დაუხედავს, მხოლოდ გარედან ნახა, ამიტომ ფირმის ნიშანს ვერ შეამჩნევდა. მე თეფში შევცნაური და კიბე მოვიტანე, რათა საბოლოოდ დავრწმუნებულიყავი ჩემს ვარაუდში. ამასობაში მისტერ ლეიკმა აგერ ეს ნივთები დაამსხვრია. მე თეფშს ზემოდან დავხედე.

— თუ შეიძლება, მეც მათქმევინეთ, — თქვა ჯორჯმა.

მოსულებმა იმედით შეხედეს ჯორჯს. მანაც ცოტა შეიცადა და განაგრძო:

— მოდით, სულ თავიდან დავიწყოთ.

— დავიწყოთ, — თქვა რეპორტიორმა და წამოიწია.

— უცნაური ასე მოხდა, — თქვა ჯორჯმა. — როგორც კი მის პინკერტონის კივილი გავიგონე, მაშინვე შემოვვარდი და დავინახე, რომ ოთახში დაფრინავდა თეთრი აჩობურცული დისკო. ხომ გასაგებია?

რეპორტიორი დააკვირდა ადგილს, რომელზეც ჯორჯმა მიუთითა.

— მჩხავანა კატის ხმა ჰქონდა, — დასძინა ჯორჯმა.

— მაინც რა უნდა ყოფილიყო თქვენი აზრით? — იკითხა რეპორტიორმა.

ჯორჯი დაფიქრდა.

— დიახ, შესაძლოა... — წამოიწყო მან. — მაგრამ არა.

— სპოუდის ნაკეთობა იყო, — თქვა მის პინკერტონმა.

— საერთოდ მე ცხვეთები არ მაინტერესებდა, — განაგრძობდა ჯორჯი. — ამ მფრინავი თეფშებისა სულაც არა მჯერა... ასეთ რამეს პირველად წავაწყდი.

— სწორედ ის იყო, — თავისას არ იშლიდა მის პინკერტონი. — პირადად მე ოცდაათი წელია ფაიფურში ვმუშაობ. როგორც კი შევხედე, მაშინვე ვიცანი.

რეპორტიორმა რაღაც ჩაიჯღაბნა და იკითხა:

— ჩინეთში[1] ხშირად გხვდებოდათ ასეთი მფრინავი დისკოები?

— ეს დისკო კი არა, თეფში იყო. მფრინავი თეფში აქამდე არასოდეს მენახა.

— ერთი შეკითხვა მაქვს... — ჩაერთო ჯორჯი.

— მისტერ ლეიკი სურათის ჩარჩოებს აკეთებს, — განაგრძობდა მის პინკერტონი. — ძველ ტილოებზე მუშაობაც ნამდვილად ეხერხება, მაგრამ ანტიკვარული ნივთებისა არაფერი გაეგება.

---

[1] კომიკური ეფექტი ინგლისური სიტყვის ომონიმიაზეა აგებული: china „ფაიფურსაც“ ნიშნავს და (თუ მთავრული ასოთი დაიწერთ) „ჩინეთსაც“ (მთარგმნ.).

— ერთი შეკითხვა მაქვს, შენ ყვები ამბავს თუ მე? — თქვა ჯორჯმა.

— იქნებ ჯერ მისტერ ლეიკის ვერსიისთვის მოგვესმინა და მერე ქალბატონისთვის? — გაბედა რეპორტიორმა.

ამაზე მის პინკერტონმა უცებ აიკრა პირი, რეპორტიორი კი ჯორჯს მიუბრუნდა:

— თეფში რაიმეზე ხომ არ იყო მიმაგრებული? მავთული ხომ არ შეგიმჩნევიათ? მე იმის თქმა მინდა, ვინმემ ხომ არ იხუმრა-მეთქი.

ჯორჯმა ზრდილობის გულისთვის ეს ვარიანტიც აწონ-დაწონა.

— არა, — თქვა მან ბოლოს. — ისე კი დაახლოებით ასეთმა აზრმა მეც გამიელვა. ამ თეფშს ვიღაც მართავს-მეთქი გარედან... თეფში თავს დამესხა...

— რას ამბობთ, როგორ?

— მისტერ ლეიკს თავს არავინ დასხმია, — განაცხადა მის პინკერტონმა. — საერთოდ არავის არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა. მე პილოტის სახე დავინახე. პილოტი ეთამაშებოდა მისტერ ლეიკს, სახე უცინოდა.

— პილოტი? — წამოიძახა ჯორჯმა. — პილოტი საიდანღა მოიტანე?

მის პინკერტონმა ამოიოხრა:

— პაწაწინა კაცი იყო, ცერისოდენა, — განაცხადა მან. — ასევე პაწაწინა სკამზე იჯდა. ერთი ხელი პაწაწინა საჭეზე ედო, მეორე მე დამიქნია სალმის ნიშნად. კიდეზე რაღაც საკერავ მანქანასავით იყო დამაგრებული და იგი ფეხით პედალს ამუშავებდა. მისტერ ლეიკს თავს არავინ დასხმია.

— მთლად ნუ გამოშტერდი, — თქვა ჯორჯმა.

— თქვენ ყოველივე ამას სერიოზულად ამბობთ? — რეპორტიორმა გამომცდელად შეხედა ქალს.

— რა თქმა უნდა.

— თუ შეიძლება, ერთი რამ გამაგებინე... — წამოიწყო ჯორჯმა.

— შენ თეფში მარტო ქვემოდან ნახე, ჯორჯ.

— პილოტზე რომ არაფერი გითქვამს მაშინ, — თქვა ჯორჯმა. — მე არავითარი პილოტი არ დამინახავს.

— მისტერ ლეიკს შეეშინდა, როდესაც თეფში მისკენ წავიდა. რომ არ დახრილიყო, თვითონაც დაინახავდა.

— პილოტი სულ არ გიხსენებია, — უთხრა ჯორჯმა, — კარგად დაფიქრდი, რას ამბობ.

— ვინ დამაცადა მეთქვა, — მიუგო ქალმა. მერე ფოტოგრაფს მიუბრუნდა: — მე ვიცი, რასაც ვამბობ. მისტერ ლეიკს ჰგონია, ჩემზე უკეთ იცის. მისტერ ლეიკმა მითხრა, ყალბი იქნებაო. თუ მე საერთოდ რამე გამეგება ამ ქვეყანაზე, ნამდვილი ფაიფური იყო.

— წარმოუდგენელია, — უთხრა ჯორჯმა კორესპონდენტს. — საჭე და საკერავი მანქანა ერთად, ჩვენს დროში შეგიძლიათ ასეთი რამ დაიჯეროთ?

— უნდა მოგახსენოთ, — თქვა კორესპონდენტმა, — რომ მე მხარს ვუჭერ მისტერ ლეიკის დისტანციური მართვის თეორიას. შესაძლოა, ქალბატონი ჰალუცინაციის მსხვერპლი გახდა თეფშის დანახვით გამოწვეული შოკის შემდეგ.

— სავსებით შესაძლებელია, — ჯორჯმა რაღაც გადაუჩურჩულა ფოტოგრაფს. მის პინკერტონმა ყური მოჰკრა სიტყვას — „ქალები“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯორჯის ნათქვამი კორესპონდენტმაც გაიგონა და თანაგრძნობის ნიშნად ჩაიცინა.

— ხომ არ გაგვაგრძელებინა მისტერ ლეიკის ვერსია? მერე ვნახავთ, რა შეიძლება გამოვიდეს ორივე წინათგრძნობის შეჯერებით.

მაგრამ აქ მის პინკერტონმა უეცარი გადაწყვეტილება მიიღო. ბედად რომ ჯორჯს ჯერ მისგან არ აცხოვდა. იგი სკამის საზურგეს მიეყრდნო და უხმოდ, უეშმაკოდ მიაჩერდა ქალს. რაღაცას ამბობდა, მაგრამ სიცილს ატანილი ვერ აგვირგვინებდა და ცდილობდა. ხელით მოხვეხილი ძალისძალობით განიმეორდა სათქმელი.

— ო, რა საოცრებაა, ო, რა საღამოა! იცით, საერთოდ ჩვენ ღვინოს არ ვსვამთ, მაგრამ დღეს, ქვირფასო, ო, ძვირფასო!..

სრულ ჭკუაზე ხარ, ლორა? — წყნარად ჰკითხა ჯორჯმა.

— კი, კი, კი — მისს პინკერტონი გახალისდა, — ნაწილობრივ ცუდად მოვიქეცით, ჯორჯ. ეს ჯენტლმენები აღარ უნდა შეგვეწუხებინა. მეტი აღარ შემიძლია, ჯორჯ, არა, მაინც რა სასაცილო იყო!.. — ქალს ისევ სიცილი აუტყდა. ჯორჯი შეცბუნებული ჩანდა. მერე თითქოს რაღაცას მიხვდა.

— ნამდვილად ამ თეფშის დანახვამ იმოქმედა ასე, — მტკიცედ განუცხადა მან პრესის წარმომადგენლებს.

— ჩემი ბრალი იყო, სულ ჩემი ბრალი იყო, — მის პინკერტონი სულს ვერ ითქვამდა სიცილით.

კორესპონდენტმა საათზე დაიხედა:

— ნაშასადამე, შემიძლია განვაცხადო, რომ თქვენ ნახეთ მფრინავი საგანი და ამ საგანმა თქვენ თავზარი დაგცათ, ხომ ასეა?

— ჩაწერეთ, ეს იყო პატარა, მრგვალი და ბრტყელი საგანი. ამას ორივე ვადასტურებთ, — თქვა ჯორჯმა.

მის პინკერტონი ისევ გამხიარულდა:

— ქალებიო, ხომ?.. გინდათ ჯობი ქალებზე გადაიტანოთ, არა? მე ცოტა ღვინო დავლიე. მისტერ ლეიკმა კი ჩემზე მეტი დალია, — ნიშნის მოგებით დასძინა მან.

— მერწმუნეთ... — წამოიწყო ჯორჯმა.

— პრესის მუშაკების გამოძახებისათვის შეიძლება დაგვაჯარიმონ კიდეც, ჯორჯ. შეიძლება შეურაცხყოფად მიიღონ, — ლაპარაკს არ ცდილობდა ქალი.

— მერწმუნეთ, — თავისას განაგრძობდა ჯორჯი, — ერთი საათის წინ ამ ოთახში თეფში დაფრინავდა.

მის პინკერტონმა გადაიკისკისა.

კორესპონდენტმა კვლავ თვალი შეავლო ოთახს და მისვედრილი კალამით — უცნაურის გაგება შემიძლია და პატივსაცემი, — დაკეცა უბის წიგნაკი; ფოტოგრაფიელიც დაეცქერდა ხერესის ბოთლს, იატაკზე წამოყენებულ ნამსხვრევებს, ბუდეში ჩააბრუნა ფოტოაპარატი და თავის მეგობარს გაჰყვა.

ჯორჯი ყველას უყვებოდა ამ ამბავს, თანაც ორივე ვარიანტს და მსმენელს ანდობდა განსასჯელად, რომელიც გინდათ დაიჯერეთ. იმავე ქუჩაზე, ცოტა მოშორებით თავის ფართლულში მის პინკერტონი მრავალმნიშვნელოვნად იღი-

მეპოდა, როცა მფრინავ თეფშზე ჩამოუგდებდნენ სიტყვას. „ჰა, მფრინავი თეფში? ჯორჯი შემოქმედია, — იტყოდა ხოლმე იგი. — მდიდარი ფანტაზიის კაცს კი რაღაც-რაღაცები უნდა აპატიო“. ხანდახან იმასაც დაუჯერებდა, ნამდვილად დასამახსოვრებელი საღამო იყო, კარგი დრო გავატარეთ.

მთელი ეს ამბავი მეზობლობაში საანგლოდ იქცა. ჯორჯი გრძნობდა ამას, მაგრამ მასა და მის პინკერტონის ურთიერთობაში ძაიხც არაფერი შეცვლილა. პირადად მე ყვავილაფერისა მჯერა და მხარს ვუჭერ მის პინკერტონის ორიგინალურ ვერსიას. იგი ჩემი მეზობელია და ჩემი რწმენაც უსაფუძვლო როდია: რამდენიმე ხნის წინ მეც მეწვია მფრინავი სტუმარი. ამჯერად პატარა პილოტი მორცხვი და ცნობისმოყვარე აღმოჩნდა. რაც ძალი და ღონე ჰქონდა, პედალს აწვებოდა. ჩემი თეფში როიალ ვუსტერის ფირმისა გახლდათ, ოღონდ ყალბი იყო თუ არა, ამას ველარ გეტყვით.

□

# ჟიულ რენარი

## რაგოტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოთხრობა

ფრანგულიდან თარგმნა მერი მიქაძე

ჟიულ რენარი (1864—1910) ფრანგული რეალისტური მწერლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი ე. წ. „სოფლური მოთხრობებიდან“ განსაკუთრებით აღსანიშნავია „რაგოტი“. მწერალი დიდი სიმართლით გვიხატავს იმ ხალხის ყოფას, რომელსაც, მიუხედავად დუხჭირი ცხოვრებისა, არ დაუკარგავს ადამიანური ღირსებები.

### სკოლაში

მხოლოდ რვა თვე იარა რაგოტმა სკოლაში, იმ ბებერ დათვთან, ვარნოსთან, სწავლის ქირა თვეში ოცდაათი სუ იყო და თან ზამთარში თვითეულ შეგირდს ყოველ დილით შეშა უნდა მიეტანა.

კლასი ორ ნაწილად იყო გაყოფილი: ერთ მხარეს ის მოსწავლეები ისხდნენ, ვინც წერა იცოდა, ხოლო მეორე მხარეს ისინი — ვინაც არ იცოდა. რაგოტის დებს სწავლისათვის უფრო ეცალათ, ის კი, როგორც ყველაზე უფროსი, სკოლიდან დაბრუნებისთანავე დედას საოჯახო საქმეებში ეხმარებოდა და ამიტომაც ვერაფერი ვერ ისწავლა.

რაგოტმა „პ“, „ჟ“ და „ლ“ ასოები იცის მხოლოდ, რადგანაც თავის შვილებს: პოლს, ჟოზეფსა და ლიუსიენს ამ ასოებს უქარგავდა ნიშნად საცვლებზე. ციფრებიდან კი რატომღაც ხუთიანი იცის მარტო.

რაგოტს მხოლოდ ათი სუდან შეუძლია ხურდა დააბრუნოს. თუ ერთი სუს რძეს იყიდი მისგან, ცხრა სუს მოგიბრუნებს; თუ ათ სუზე მეტი მიეცი, დაიბნევა და გეტყვის, სხვა დროს იყოსო.

წერა რომ არ იცოდა, ისე არ აწუხებდა, როგორც ის, რომ კითხვა ვერ ისწავლა. რა ხელადაც არ უნდა წაეკითხათ მისთვის წერილი, სულ ერთია, მაინც არ ნდობდა სხვის წაკითხულს, თვითონ რომ სცოდნოდა კითხვა, წერილს სვენებ-სვენებით, უცხო თვალს მოფარებული წაიკითხავდა რამდენჯერმე.

— უკვე ორმოცდაათი წლის ქალი ვარ, ქალბატონო, — უთხრა რაგოტმა გლორიეტს, — ახლა გვიანაა სწავლა. ოცი წლისა რომ ვიყო, გთხოვდით, კითხვა მასწავლეთ-მეთქი.

როცა რაგოტის ქმარი — ფილიპი გატაცებით კითხულობს „პეტი პარიზიენს", ლამის ხელიდან გამოგლიჯოს გაზეთი და ცეცხლში ჩააგდოს.

— ნეტა რა ნახა აქეთი საინტერესო?

როცა წერილი მის სახელზე მოვა, — ეს კი იშვიათად ხდება, — რაგოტი მაშინვე ფილიპთან მიარბენინებს:

— ოჰ, ღმერთო ჩემო! — ეტყვის აღელვებით, — ჩქარა რა!

— დამაცა, ქვეყანა ხომ არ იქცევა! — პასუხობს ფილიპი.

— მომისმინე, — ევედრება რაგოტი, — ჯერ ჩქარა წამიკითხე, რომ გავიგო, კარგი ამბავია თუ ცუდი, მერე — ნელა, კარგად გაიმეორე, რასაც მიხვდები.

რაგოტმა ისიც არ იცის, რომ საფოსტო მარკა რაიმე ღირს. თუ ჰკითხავთ, კანტორის მოსამსახურე რას აკეთებსო, გეტყვით:

— მთელი დღე ზის და სულ რაღაცას წერს.

### სხვის კარზე

თორმეტი წლის რაგოტი მოახლედ მიჰგვარეს ერთ შეძლებულ, მაგრამ მეტისმეტად ძუნწ ქალბატონს, რომელმაც წესიერი მოახლე მხოლოდ იმიტომ არ მოიყვანა, რჩენა უნდოდა.

რაგოტი ამ ქალბატონს რომ მიუყვანეს, მეზობლებმა თქვეს:

— ოჰ, რა ქორფა გოგოა! თუმცა მალე გამოეთხოვება ამ თავის სიქორფეს!

ხორაგი რომ დაეზოგა, მოხუცი ქალბატონი სუპს თვითონვე ამზადებდა:

— როცა ბევრს არ მუშაობ, — ამბობდა იგი, — ბევრი არც უნდა ჭამო.

საღამოს ადრე იძინებდნენ, აქაოდა, ბევრი სანთელი არ დაიწვასო. მოხუცი ქალბატონის დაძინებისთანავე რაგოტი კიდობნიდან პურს ამოიღებდა და თხელ ნაჭერს მოჭრიდა, შემდეგ კი საბნის ქვეშ შეჭამდა, ჩუმად, უგემურად და შიშით, მეორე დღეს მოხუცმა არაფერი შეამჩნიოსო. მაგრამ მოხუცი ვერაფერს ამჩნევდა. რაგოტიც კმაყოფილი იყო. არაფერს დაეძებდა, ოღონდ დედისთვის ერთი-ორი სუ მიეტანა.

მესამე თვის ბოლოს დედამ მთლად ჩამომხმარი შვილი შინ წაიყვანა, შეეშინდა, მეზობლის ქალებმა არ გამჭორონო.

რაგოტი, თავის დაბადებამდე მომხდარ ამბავზე ასე იტყოდა ხოლმე:

— ეს მაშინ მოხდა, სანამ მე გამაკეთებდნენ.

### გათხოვება

— იმ წელს, როცა გათხოვებას ვაპირებდი, ხუთი მთხოვნელი მყავდა, — თქვა რაგოტმა, — თუმცა ისინი არც ჩემს სილამაზეს მოუხიბლავს და არც სიმდიდრეს, პირველმა სამი წელი მიცადა, მეორეს მოსწყინდა ლოდინი და სხვა

შეირთო. მერე როცა დაქვრივდა, ისევ მე მომადგა კარზე. მაგრამ მაინც არ ვისურვე, მასთან მწყინდებოდა ხოლმე. ასე მეუბნებოდა, ფილიპთან კორწილი თუ ჩაგეშალოთ, მე დაგითმეთ ჩემი ადგილი და მთელ ხარჯებს ავანაზღაურებო. მაგრამ მე მაინც ფილიპი ვარჩიე.

— მერე არ ნანობთ?

— ღმერთმანი, არა, — ცოტაოდენ შეყოყმანდა იგი, რადგანაც ფილიპი გვერდით იდგა. — ხუთ ვაჟს მოვწონდი და ყველაზე უშნო კი ამოვირჩიე.

— იცით, — შეეკამათა ფილიპი, — მე კიდევ სამ გოგოსთან დავდიოდი და ყველაზე ბებერი შევირთე.

— ნამდვილად სულელურად მოიქეცი, — მიუგო რაგოტმა, — კაცი რომ ვყოფილიყავი, არც მე ვისურვებდი ჩემზე ხნიერი ქალის ცოლობას.

ჯვრის წერის დღეს რაგოტს ხის საბოები ეცვა, ახალი ფეხსაცმელი უკვე ნაყიდი ჰქონდა, მაგრამ იფიქრა, გზაში არ დამესვაროსო, და გადაწყვიტა მხოლოდ ეკლესიაში შესვლისას ჩაეცვა. ეკლესიის კარიბჭეს რომ მიუახლოვდნენ, დაინახა, რომ დედამისს მისი ფეხსაცმელი ხელში არ ეჭირა.

— ჩემი ფეხსაცმელი რა უყავი, დედა?

— ოჰ, სულ დამავიწყდა, კარადის ქვეშ აწყვია ისევ.

ერთი სიტყვით, საკურთხევლისაკენ ხის საბოებით წავიდა, ოღონდაც ფეხს ფრთხილად აბიჯებდა, მეტისმეტი ბაკუნი არ ავტეხოო.

რაგოტი ჯერ კიდევ ბავშვი იყო და უცებ ვერ მოსწყდა სოფლელ თანატოლებს, მხოლოდ მაშინ გაანებებდა ხოლმე თავს თამაშს, როცა ერთ-ერთი მათგანი გადასძახებდა:

— აბა, ჩქარა, შენი ქმარი მოდის!

გათხოვების შემდეგ რაგოტი ქმრის სახლში ცხოვრობდა. მამამთილიც მათ ოთახში იყო. ქალს მხოლოდ მშობიარობის დროს რცხვენოდა მისი, მაგრამ მამამთილი მაშინ გარეთ გადიოდა. რაგოტიც დიდხანს არ უნდებოდა ამ საქმეს, მისებრ ჩქარა ვერავინ მშობიარობდა.

— ჩემი მამამთილი ზოგჯერ ხმას არ მცემდა, ფილიპს ეგონა, მებუტებოდა და ისიც მიბრაზდებოდა. ძალიან უყვარდა თავისი მამა, მეც მიყვარდა საბრალო მოხუცი, გამჟღავნებით კი ვერ ვამჟღავნებდი.

## სიყვარული

რაგოტს უყვარდა ფილიპი, მაგრამ ვის შეუძლია დაბეჯითებით თქვას, თავდავიწყებით, ვნებით მიყვარსო.

მაშ, რა შეიძლება ვუწოდოთ იმ გრძნობას, რომელიც მათ ცოლქმრობას ედო საფუძვლად?

რაგოტს უყვარს ფილიპი: ეს კი იმას ნიშნავს, ყველას ურჩევნია. დედა მოუკვდა, ფილიპი დარჩა; პატარა ძიძეფი მოუკვდა, ფილიპი კვლავ გვერდზე ჰყავდა. იქნებ სხვა შვილებიც დაეხოცოს, მაგრამ ფილიპი, თუ ცოცხალი იქნა, ნუგეშისმცემლად მაინც ეყოლება.

„ოღონდაც ეგ მყავდეს!“ — ისე იტყოდა ხოლმე რაგოტი, ვითომც ეს

ეთქვას: „სანამ ლუკმა-პური მოგვეძებნება, შიმშილით არ მოვკვდებით".

ყველას დასთმობდა, ფილიპს კი ვერა, ამიტომაც ასე ეძახდა: „ჩემო ბატონო", ფილიპიც თავის მხრივ კეთილად პასუხობდა: „ჩემო ბეზერო".

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ოჯახში

— ქალბატონო გლორიეტა, მეც თავმოყვარე ვიყავი ერთ დროს! მინდოდა ჩემს პატარებს წინდები სცმოდათ. სამივეს თითო წყვილი ჰქონდა. საღამოობით ვრეცხავდი და ბუხართან ვაშრობდი. ერთ დილით ვნახე, მწერებს სულ დაეჭამათ. მაშინ კი მივხვდი, ჩემი ჩვილები უწინდებოდაც კარგად გაძლებდნენ.

ფილიპი ერთ სუსაც არ აძლევდა. ერთიცა და მეორეც თავ-თავის ხარჯზე ცხოვრობდა. რაგოტი არასოდეს წუწუნებდა, ის კი არადა, სხვა ქალებს ჰკიცხავდა:

— ზოგიერთები საფულეს მალავენ და ქმარს ორ-ორ სუს აძლევენ. მე ამას ვერ ვიზამ.

თავისთვის კი ფიქრობდა: განა არ შეიძლება გაჭირვების დროს ცოლი ქმარმა არჩინოს, ქმარი — ცოლმა, ისინი ხომ ამხანაგები არიანო! მაგრამ რაც შეეხება მშობლებს, ისინი არასოდეს არ უნდა დააწვნენ შვილებს ტვირთადო. თუ რაგოტი ვეღარ შეძლებს დამოუკიდებლად იცხოვროს, ან მისი „ბატონი" არ დაეხმარება, მაშინ სიკვდილი ურჩევნია ასეთ ყოფას.

რაგოტს საკუთარი თავისთვის წელიწადში ათი ფრანკიც კი არ დაუხარჯავს. ძველი შარვალი, ფილიპს რომ აჩუქეს და იმანაც კარგად გაცვითა, დაჭრა და კარგა მაგარი ფლოსტები შეიკერა.

ძველი საცვალი არასოდეს ჩაუცვამს. შენს გემოზე მაშინ დადიხარ, როცა საკუთარ ბარძაყებსა გრძნობ.

ყოველთვის სადად და ფაქიზად ეცვა. დიდზე დიდი პაპანაქება სიცხე უნდა ყოფილიყო, რომ რაგოტს თეთრ ქუდზე ზონრები შეეხსნა და ზემოთ დაემაგრებინა. ესეც დიდ სითამამედ მიაჩნდა.

ერთხელ რაგოტს ძალზე აამეს. საქმე ის არის, რომ რაგოტი ვიღაცის ქორწილზე უნდა წასულიყო და ამიტომ მეწვრილმანე ტაპენს მიადგა მოსასხამის საყიდლად. ტაპენმა, რომელი ჟაკეტიც მოხვდა ხელში პირველად, ის მოაზომა და უთხრა:

— ძალიან გიხდებათ ჩაცმა!

მერე მოლივლივე სატინის კოფთა გაუწოდა წინ:

— ოჰ, არა, არა! — წამოიძახა რაგოტმა. — ეს უკვე მეტისმეტი იქნება ჩემთვის, განა ქალბატონი ვარ.

კაცს შეუძლია ლოგინში იწვეს, თუ ავად არის. ქალს კი — არა. ქალს სად სცალია თავის გასანებივრებლად.

ქალი კაცზე ნაკლებს უნდა ჭამდეს.

უწინ პურის ფქვილში კარტოფილს ურევდნენ, რაგოტიც ჭამდა ამ პურს და ახლაც გული ერევა, კბილებში გაჩრილი ცეცი კარტოფილი რომ გაახსენდება.

ფილიპი, რაგოტი და პოლი ისე პატარა მაგიდაზე სადილობდნენ, რომ ზედ ძლივს დგამდნენ ვეებერთელა საერთო ჯამს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეგრე ვიწროდ ნეტა როგორ სხედხართ? — ჰკითხა გლორიეტამ.

— როცა ერთმანეთთან ახლოს ვსხედვართ, უფრო გემრიელად ვჭამთ, ქალბატონო, — უთხრა რაგოტმა.

— იცი, ფილიპ, აჯობებდა სუფრაზე მუშამბა გადაგვეფარებინა, აი ისე, ქალბატონს რომა აქვს. ჩვენს მაგიდას ხომ ბევრი არ სჭირდება. ქალაქში თუ შეგხვდეს პატარა ნაჭერი... ჰა, რას იტყვი?

— შენს საქმეს მიხედე მანდ! — უთხრა ფილიპმა.

რაგოტი თუ ცეცხლს ვერა ხედავს, ვერც თბება. უყვარს, როდესაც ლამაზად იწვის შეშა, როდესაც წედულარე მოშიშინე ცრემლები ასხდება. ასე სასიამოვნოდ კი მხოლოდ მისი ძველი და გაცვეთილი ხის ქოშები იწვის და ქალიც ოცნებაში წასული ჩასცქერის მოგუზგუზე ცეცხლს.

სანადირო ბუკის ხმაც ისე აღელვებს, რომ ერთხელ გაბედა და ფილიპს ჰკითხა:

— იქნებ შენც გესწავლა ბუკზე დაკვრა?

— მურაბა ხომ არ გაგისინჯავთ?

— ომ, არა, ქალბატონო!

— მერე რას უცდით?

— მარტო მრცხვენია; ვინმე რომ დამეწვეოდეს, კარგი იქნება.

ერთხელ ყასბის ცოლმა, ვის შვილსაც რაგოტი ძუძუს აწოვებდა, ერთი ნაჭერი ხორცი მისცა. ამ გულუხვმა საჩუქარმა გახარების მაგიერ უფრო ააფორიაქა რაგოტი. მან გლორიეტას აჩვენა ხორცი:

— კარგი სადილი გამოვა, ქალბატონო, მაგრამ არ ვიცი, როგორ გავაკეთო. იქნებ მასწავლოთ?

— მხოლოდ მუცლის ამოსაყორად ვშრომობთ ყოველდღე, მთელი სიცოცხლე, — ამბობს რაგოტი.

რაგოტის ცხოვრებაში ყველაზე დიდი საქმე სხვისი სარეცხის რეცხვა იყო. იგი ყველაზე კარგად მაშინ გრძნობს თავს, როცა მდინარეზე მიდის, ან იქიდან ბრუნდება. ყველაზე ბუნებრივი იერიც მხოლოდ რეცხვისას აქვს, ან მაშინ აქვს ხოლმე, როცა ურიკით, გოდრით, ყუთით, ფუთითა და სარეცხის ფიცრით ხელში მიდის, ეს საქმე სრულებითაც არ მიაჩნია სათაკილოდ, პირიქით, საკუთარი თავის რწმენა ემატება.

ორმოცდაათი წლისამ იყიდა ლამპა.

ლამპა უბრალო იყო, სწორედ ისეთი, ბეღლებში რომ აქვთ ხოლმე.

— აბაზური, პირიქით, ხელს მიშლის, — ამბობს იგი.

სამოც წლამდე პირდაპირ ბუმბულებზე წვებოდა; ახლა კი თავის ცხოვრებაში პირველად დაწვა ლეიბზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგოტს უკვირს, ეს რამდენიმე დღე (მხოლოდ რამდენიმე დღე) დილით ექვს საათზე რომ ვდგები. მეც მეოჯახე კაცი მქვია რაღა ამის შემდეგ!

რაგოტი შურით შესცქერის ძაღლს, წითელი ტყავის საყელური რომ აქვთ.

— რა ბედნიერი ხარ! ჩემს ცხოვრებაში არ მღირსებია ასეთი რამ!

რაგოტს ვერ ათქმევინებთ, ყველანი ერთნაირი გაგვაჩინაო განგებამ. მისი აზრით, ყველა ქალბატონი გლორიეტასავით უნდა იყოს ჩაცმულ-დახურული, ყველა გლეხის ქალი — მასავით.

## რელიგია

გლორიეტა — წირვაზე რატომ არ დადიხართ ხოლმე? ჩვენი გერიდებათ? მაშ, ცუდად გცნობივართ, ჩემო კარგო რაგოტ. მუდამ თქვენი ნებისად შეგიძლიათ მოიქცეთ.

რაგოტი — ვიცი, ქალბატონო.

გლორიეტა — რად გერიდებათ ეკლესიაში სიარული? აბა, ჩქარა გასწით წირვაზე.

რაგოტი — გმადლობთ, მაგრამ დღეს ვერ წავალ. ჩაცმას ვეღარ მოვასწრებ.

გლორიეტა — მოასწრებთ.

რაგოტი — ეკლესია კარგა შორსაა.

გლორიეტა — რა უშავს, თუნდაც წირვა დაწყებული იყოს.

— თავი დაანებე, — ვეუბნები გლორიეტას, — შენ თვითონ ურწმუნო ადამიანი ხარ, რაგოტს კი აძალებ, წადიო.

— გარწმუნებ, — მითხრა გლორიეტამ, — ეგ იმიტომ აღარ დადის ეკლესიაში, რომ ჰგონია, ამით ჩვენ გვასიამოვნებს.

რაგოტი — არა, ქალბატონო, მე თვითონ არა მსურს წასვლა.

გლორიეტა — ნუთუ ღმერთი არ გწამთ?

რაგოტი — როგორ არა მწამს, ქალბატონო, ამ პარასკევს ვმარხულობ.

გლორიეტა — აჰ, თქვენ ყოველ პარასკევს მარხულობთ?

რაგოტი — არა, მხოლოდ წითელ პარასკევს, მომავალ კვირას რომ მოდის.

გლორიეტა — რა უნდა ჭამოთ ამ დღეს?

რაგოტი — ზეთიანი ღვეზელი.

გლორიეტა — განა ღვეზელი შეიძლება?

რაგოტი — დიახ, მხოლოდ კვერცხით არ ვამზადებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ლ ო რ ი ე ტ ა — კვერცხი არ შეიძლება?

რ ა გ ო ტ ი — კვერცხის გულის ჭამა ცოდვაა.

გ ლ ო რ ი ე ტ ა — ფილიპიც იმარხულებს?

რ ა გ ო ტ ი — რა თქმა უნდა, ჩვენ ხომ ერთად ვსადილობთ.

გ ლ ო რ ი ე ტ ა — ღვეზელი უყვარს?

რ ა გ ო ტ ი — ზეთიანი ღვეზელი? ჭამით ვერ ძღება.

გ ლ ო რ ი ე ტ ა — კვერცხი რომ მოგთხოვოს?

რ ა გ ო ტ ი — არ მივცემ.

— ებრაელები თუ გიყვართ, რაგოტ?

— არ ვიცი, ისინი არასოდეს მინახავს.

— გაიხედე, აგერ მოდის.

— ეს ბატონი?

— დიახ, ეგ ებრაელია, ჩვენი მეგობარი, რვა დღით გვესტუმრა. როგორ მოვიქცეთ შენი აზრით?

— თუ კარგი კაცია, დატოვეთ, თუ ცუდია, უკანვე გაისტუმრეთ.

— სამოთხე გწამთ, რაგოტ?

— რა თქმა უნდა, ბატონო.

— იმედი გაქვთ, რომ სამოთხეში მოხვდებით?

— მე ხომ არაფერი დამიშავებია!

— თქვენი აზრით, ფილიპიც მოხვდება სამოთხეში?

— რატომაც არა.

— მომისმინეთ, რაგოტ, სამოთხეში მარტო ყოფნა გირჩევნიათ, თუ ჯოჯოხეთში ფილიპთან ერთად?

— ჯოჯოხეთისა არაფერი მწამს.

— კარგით, რადგან ჯოჯოხეთი არ გწამთ, სალხინებელი იყოს.

— ოღონდაც მასთან ვიყო და სულ ერთია, სადაც ვიქნები, — მორცხვად დაუმატა: — იმიტომ კი არა, რომ ის ჩემზეა მოჯაჭვული და მე მასზე, ჩვენ დიდი ხანია ერთად ვართ და დაშორება არა ღირს.

— როგორ ფიქრობ, გლორიეტა მოხვდება სამოთხეში?

— ოჰ, ეგ თუ არა, მაშინ ვინღა უნდა მოხვდეს.

— მე, რაგოტ?

— თქვენც, ბატონო, — საჩქაროდ მიპასუხა მან.

— მეც? ხომ არ გავიწყდებათ, რაგოტ, რომ არც ქალბატონს, არც მე და არც ბავშვებს ეკლესიაში ფეხი არ შეგვიდგამს.

უცებ შევამჩნიე, რაგოტს თვალზე ცრემლი მოადგა. ასე იცოდა ხოლმე ყოველთვის, როცა ნეტარნეტად ჩავაცივდებოდი.

გ ლ ო რ ი ე ტ ა — დღეს ამაღლებაა, რაგოტ, წირვას არ უნდა დააკლდეთ. ჩქარა წადით ეკლესიაში.

რ ა გ ო ტ ი — არ წავალ, ქალბატონო.

გ ლ ო რ ი ე ტ ა — როგორ, ეკლესიაში წასვლას საერთოდ აღარ აპირებთ?

რაგოტი — აღარ ვაპირებ.

გლორიეტა — მაშინ, ჩემო საწყალო რაგოტ, თქვენთვის სამოთხის კარი დაკეტილი იქნება.

რაგოტი — ოჰ, ქალბატონო, თქვენ ხომ მითხარით, სამოთხეში შეხვდებიო, და მეც მჯერა.

თუმცა რაგოტს ღმერთზე უფრო მეტად სხვა რამ სწამდა.

— თუ ჭექა-ქუხილი მაშინ ატყდა, როცა ბატი კვერცხზე ზის, ჭუკები ნაჭუჭიდან უნდა ამოიყვანო.

— რატომ?

— არ ვიცი, ასე ამბობენ.

მარტში, პატარ-პატარა პარკებში შვრია უნდა ჩაყარო, აკურთხებინო და მერე საქონელს აჭამო: ამბობენ, ხბოს ადვილად მოიგებსო. ფილიპი პარკებს აწებებს, რაგოტს კი თუ უნდა, წაიღოს და აკურთხებინოს.

ძილის წინ ფარნით ხელში უნდა შეხვიდე ბაგაში და საქონელს დახედო. მხოლოდ შობა დღეს არ შეიძლება დახედვა, რადგანაც იმ დღეს პირუტყვები ერთმანეთს ესაუბრებიან.

თუ ხბოს ძუძუს მოქაჩვა უჭირს, რაგოტი ლანძღავს, ჰაი, შე ჯარმაცვლილო, მაგრამ თუ მთვარის მოვანებისას დაემთხვა ეს სიზარმაცე, პატიობს, იმ დღეს ხომ ყველა ხბო წოვს უგემურად.

რაგოტი იქნებ მართალიცაა, იქნებ ჩვენზეც მოქმედებს მთვარე და მის ალერსიან შუქზე დაწერილი სტრიქონიც უკეთ გამოვიდის, ვიდრე ცივ შუქზე დაწერილი.

რაგოტს ისეთი ქუდის ყიდვა სურს, ქალბატონებს რომ ახურავთ, იყიდის და მხოლოდ ქორწილის დღეს დაიხურავს. ნეტავ პოლი მალე დაქორწინდეს, რომ ქუდი არ მოუძველდეს.

ხვალ მათ პირველად ესტუმრებათ სიძე, მარიუსი. ნეტავ ღამეს მათთან გაათევს?

— მირჩიეთ, ქალბატონო, — ეუბნება რაგოტი გლორიეტას, — ყველაფერს ისე გავაკეთებ, როგორც მეტყვით: ყველაფერს თქვენ დაგეკითხებით, მშობელ დედასავით მეყოლებით.

როგორც იქნა, რაგოტმა გადაწყვიტა სადილად რით გამასპინძლებოდა მარიუსს: წვნიანის შემდეგ ტაფამწვარს მიართმევს.

ის კი არადა. შალის ძაფისგან სალამური ჩაჩიც კი მოუქსოვა სიძეს.

რაგოტი — შენი საქმროს მშობლები შორს ცხოვრობენ, იქნებ ვერც კი ჩამოვიდნენ.

ლიუსიენა — ყველა შენნაირი ნუ გგონია. რაკი თვითონ გეშინია რკინიგზისა, გგონია, სხვებსაც შეეშინდებათ და თავს არ შეიწუხებენ. გიჯობს შენს წინდას მოუხსნა პირი. მარიუსის სოფელში ქორწილი სამი დღე იციან.

ლიუსიენამ რა აღარ მიაყარა ფეხებში რაგოტს:

— ფეხსაცმელს ვერ მიწმენდ, დროზედაც არ მაღვიძებ!

— ლიუსიენა დედამისს უხეშად ექცევა, — უთხრა გლორიეტამ ფილიპს.

— აბა, რა ვუთხრა, ქალბატონო, — უპასუხა ფილიპმა, — მე რომ შედავებოდეს, იცოცხლეთ, საკადრის პასუხს მიიღებდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიუს კაროლის მშობლები და მისი ძმა (ჯარისკაცი) სამხრეთიდან ჩამოვიდნენ.

მთელი ღამის წამგზავრებს სადგურში არავინ დახვედრიათ.

ფილიპს ეგონა, ლიუსიენა დახვდებათ, ლიუსიენა პოლის იმედზე იყო, პოლს კი აზრადაც არ მოსვლია ასეთი რამ.

კაროლები დატვირთულები ჩამოვიდნენ. მათ მისაშველებლად კაციშვილი არ განძრეულა. რაგოტი ეზოს ერთ კუთხეში მიმჯდარიყო და წიწილებს პუტავდა. ფილიპი ტილოს აკრავდა და ფუთულებით რთავდა კალოს, სადაც ქორწილი უნდა გადაეხადათ.

— ფილიპ, — ვუთხარი მე. — წამოდექით, შევეგებეთ ახალ ნათესავებს; ჰა, ჩქარა, გაიხძერით; მიდით, მიესალმეთ.

სანამ ზურგში არ წავუჯიკავე და ხელიდან ჩაქუჩი არ გამოვგლიჯე, არ განძრეულა. როდის-როდის იკადრა ადგომა.

ბატონი კაროლი სამხრეთულ მოდაზე იყო ჩაცმული. ჟილეტიდან ცისფერი თივთიკის სარტყელი მოუჩანდა. თავზე ფართოფარფლებიანი ფეტრის ქუდი დაედო მოხდენილად, როგორც სამხრეთელებს სჩვევიათ. ქალბატონ კაროლს ისეთი თავსაბური ეხურა, არლეზიელს ჰგავდა. მათ გვერდით ფილიპი და მისი ცოლი საცოდავად გამოიყურებოდნენ. ფილიპს ძველი შარვალი შეხსნოდა. რაგოტიც ბეჩავ მოახლესავით იდგა.

— აბა, მე წავედი! — წამოიძახა ფილიპმა, — საქმეს უნდა მივხედო.

კაროლები გაშეშებული იდგნენ შუა ეზოში.

სამხრეთიდან ერთი კალათა ყურძენიც ჩამოეტანათ. რაგოტმა კალათა მზის გულზე, გრძელ მერხზე დადგა. ბზიკებიც მყისვე დაეხვივნენ ბზუილით. რაგოტი გულხელდაკრეფილი იდგა, ვერ გადაეწყვიტა, გაზეთი გადაეფარებინა თუ არა.

— გეჩქარით არა, ბატონო ფილიპ, გვებაკეთ მოგეხმარებით.

ფილიპმა გაკვირვებისაგან პასუხიც ვერ მოახერხა. ნეტავ ამ ბატონს ლურსმნის ჩაჭედება თუ შეუძლია!

ჯარისკაცმა შემოგვთავაზა, თოხიც კუთხეში მიმაგრებული ყვავილწნული ჩამოხსენით და თაღის ქვეშ ჩაწენითო. რა იცოდა, რომ მე და ფილიპმა ამაზე უკვე ბევრი ვიფიქრეთ — და არც გაგვაკეთებინებდა... არაფერი გვითქვამს.

ბატონი კაროლი არ მოეშვა ფილიპს, მოგეხმარებითო.

— არ არის საჭირო, — უპასუხა ფილიპმა.

— ამას სჯობია ბაღში გაისეირნოთ, იქაურობა დაათვალიეროთ. — შევთავაზე მე.

— კალო უფრო ლამაზი გამოჩნდებოდა, — ჩაილაპარაკეს მათ და იქაურობას გაეცალნენ.

— მართალი გითხრათ, თავს ცოტა უხერხულად ვგრძნობთ. რაც არ უნდა იყოს, უცხო მხარეა, — თქვა ბატონმა კაროლმა.

არც ქალბატონმა კაროლმა იცოდა, როგორ მოქცეულიყო, იგი ქვაბებსა და დაკლულ ფრინველებს შუა იდგა და რაგოტს სულ ამას ეუბნებოდა:

— ალბათ გაწუხებთ, ხელს გიშლით!
— ოჰ, სრულებითაც არ გაქცევთ ყურადღებას, — უპასუხა რაგოტმა.

— ჩემი რძალი მეტად წყნარი გოგო ჩანს, — უთხრა ბატონმა კაროლმა გლორიეტას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არავინ შეჰკამათებია, რაღა დროს იყო.
— მარიუსს მაინც თავის ჭკუაზე დაატრიალებს, — დაუმატა კაროლმა, — ცხვარივით ბიჭია.

რაგოტს მათთვის სადილი არ გაუმზადებია. იფიქრა, ქორწილის დღეს ეყოფათ ჭამაო.
— გეგონებათ, უცხოები არიანო. შვილები დედ-მამას „თქვენობით“ ელაპარაკებიან, — მითხრა ფილიპმა.
მარიუსს შეეძლო თავის სოფელში ამოერჩია საცოლე, თანაც ათი და შეძლებულებიც. ერთს თურმე მზითევში ოცი ათას ფრანკსაც კი ატანდნენ; მარიუსმა კი ყველას ღარიბი ლიუსიენა არჩია.
არც ქალბატონს და არც ბატონ კაროლს უარი არ უთქვამთ.
— შეირთე, შვილო, — უთხრეს მას.
— ლიუსიენა ჭკვიანი და წესიერი გოგოა, — თქვა გლორიეტამ.
— პატიოსანიც, — დავუმატე მე.
— მართლა? — იკითხა ქ-ნმა კაროლმა.
— დიახ, ქალბატონო.
— მომისმინე, — უთხრა ქალბატონმა კაროლმა ქმარს, — ბატონი გვიმტკიცებს, ლიუსიენა პატიოსანი გოგოაო.
— რას ამბობ!
— დიახ, პატიოსანი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.
— რამდენ ოჯახში იყო მოახლედ?
— ხუთსა თუ ექვსში.
— და ამის შემდეგ გგონიათ, რომ...
— კი არ მგონია, დარწმუნებული ვარ, — ვუპასუხე მე.
— კი მაგრამ, სახლი სადა აქვს? — მკითხა ორივე ცოლ-ქმარმა.
— ფილიპის სახლი? ჩვენთან აქვს, როგორც ხედავთ, ჩვენთან ცხოვრობენ. აქ გადმოვიდნენ საცხოვრებლად.
— როგორ, საკუთარი სახლიც არა აქვთ?
— არა.
— ჩვენ გვითხრეს, აქვსო.
— ჰქონდათ, მაგრამ გაჰყიდეს.
— დახე მაგათ!
— სახლი პატარა იყო, თანაც ინგრეოდა. მათ კი იმაზე ძვირად მიჰყიდეს ერთ მდიდარ მეზობელს, ვიდრე ღირდა. კარგი შემთხვევა იყო.
— კი მაგრამ, როდესაც მოხუცდებიან, სად უნდა იცხოვრონ?
— ისევ ჩვენთან.
— თქვენ თუ უარს ეტყვით?
— ეგ შეუძლებელია.
— ვთქვათ და, უთხარით...

— ეგ არ იქნება, სანამ ცოცხლები ვართ.

— კი მაგრამ, თვითონ რომ მოისურვონ წასვლა?

— სადმე ნახავენ ალბათ, ქალბატონო, საცხოვრებელ ადგილს.

— საკუთარი სახლიც არა ჰქონიათ, — იმეორებდა ბატონი კაროლი.

— საკვირველია, — უმოწმებდა ქალბატონი კაროლი.

ცოლ-ქმარმა ერთმანეთს გადახედა, სახეზე შეურაცხყოფა და ამპარტავნობაც: მათ ხომ სამხრეთში საკუთარი სახლი, ცხენი, ურემი და ვენახი ჰქონდათ. თან იმდენ ღვინოსაც სწურავდნენ, რომ ნაცნობ-მეგობრებში გაეყიდათ.

მათი მედიდური იერი სრულებითაც არ აწუხებდა ფილიპს.

— დავუშვათ, — მეუბნებოდა იგი, — მე ჩავსულიყავი მაგათთან, მაშინ ხომ მეც გამოვკეწყობოდი კარგად და ასევე ვიტყოდი, ყველაფერი მაქვს-მეთქი; არა მჯერა მათი ნათქვამისა, დარწმუნებული ვარ, არაფერიც არა აქვთ.

იმის გაგებაც არ ისურვა, რა ერქვა იმ ადგილს, საიდანაც ახალი ნათესავები მოევლინენ.

ფ ი ლ ი პ ი — ჩვენ შაბათს გეახლებით.

მ ღ ვ დ ე ლ ი — როგორ ჯვრისწერას ისურვებდით?

ფ ი ლ ი პ ი — გადასახდელი ფული ვინ მომცა.

მ ღ ვ დ ე ლ ი — შაბათს წირვას არ ვატარებ, შემიძლია მხოლოდ დავლოცო ახალგაზრდები.

ფ ი ლ ი პ ი — ესეც საკმარისია.

მ ღ ვ დ ე ლ ი — ნამდვილად საკმარისია. დალოცვა ოცდაათ ფრანკიანიც არის და ცხრა ფრანკი და რამდენიმე სანტიმიანიც.

ფ ი ლ ი პ ი — ცხრა ფრანკიანი მირჩევნია.

მ ღ ვ დ ე ლ ი — და რამდენიმე სანტიმიანი. არც ეს იქნება ურიგო.

— სულაც არ მეხალისება, — ამბობს ფილიპი, — ლიუსიენას მკლავი გავუყარო და ორ კილომეტრზე წავაბრძანო ეკლესიაში. ნაღდად შუა გზაზე მივატოვებ. მარტოც მშვენივრად მიაღწევს.

დილაადრიან შეუდგა ფილიპი საქორწილო მზადებას. დილის ხუთ საათზე უკვე თავისი სუფთა ხალათი ეცვა. რაგოტმაც პირი ბოსელში დაიბანა, სადაც ყვითელაება და თავისი ახალი ქუდიც დაიხურა. პატარძლის მეჯვარემ მარცხენა მკერდზე თეთრი ყვავილების დიდი თაიგული და ბაფთები მიიბნია.

სამხრეთელები გაკვირვებისაგან გონს ვერ მოსულიყვნენ. ამაზე სასაცილო ჯერ არაფერი ენახათ.

— ორმოცდაათი ფრანკიც რომ მომცენ, — მითხრა ბატონმა კაროლმა, — მაინც არ ვისურვებდი ამ კაცის ადგილზე ყოფნას.

— პირიქით, იყოყოჩებდი კიდეც, — წამჩურჩულა ფილიპმა.

რაგოტის უფროსი და ალექსანდრინა არ მოსულა. ეგონათ, ეკლესიაში დაგვხვდებაო, მაგრამ არც იქ იყო. თურმე წესის მიხედვით ორჯერ უნდა წვეოდნენ. ერთხელ ქორწილის ამბავი ეცნობებინათ, მეორედ — ქორწილის დღე.

— დამავიწყდა, — თქვა რაგოტმა, — ჩემს დას ჰგონია, მასავით სულ ამ წესებისათვის მცალია.

ეკლესიის კართან ნეფე-დედოფალს მევიოლინე ელოდათ და მათ გამოჩენისთანავე დაკვრა დაიწყო. ჰანგი მეორდებოდა, სიტყვები კი სხვადასხვა იყო.

„ახალგაზრდა ქმარი ამბობს:
— შევირთე, შევირთე, შევირთე.
ცოლი პასუხობს:
— შემირთო, შემირთო, შემირთო. აი ბრიყვი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაროლები სხვების ჯიბრზე თავიანთთვის ერთობოდნენ, [illegible] რაღაცას იტყოდნენ და სიცილით იხოცებოდნენ.

ცალთვალა მევიოლინეს კბილიც ერთი შერჩენოდა. ხალხში ამბობდნენ, თავისი ვიოლინოთი ასი ათას ფრანკზე მეტი იშოვაო. იგი ან უკრავდა, ან ჭამდა, სამაგიეროდ ცოტას ლაპარაკობდა და ყველა მოცეკვავეს, ჩემ გარდა, ზიზღით უცქერებდა, თუმცა მეც ბევრი მიცეკვია ახალგაზრდობაში.

— თქვენ მუსიკოსი ხომ არა ხართ? — მკითხა მან.

— არა.

— ძალიან კი ჰგავხართ.

— მართლა? თუმცა ყველაფერია შესაძლებელი.

## ფერხული

ქორწილზე დაუპატიჟებლად მოვიდა ორი მეწისქვილე ბიჭი და იცეკვეს. ცეკვა „ბურესი“ ჰქვია, მაგრამ იგე ხმაურიანი არ იყო. ამას ფერხულს ეძახდნენ. ფერხული ძალიან ნელი, ძველებური ცეკვაა, ჩვენს სოფელში პირველი ქოხი რომ აშენდა, მაშინდელი უნდა იყოს. ბიჭებს ხის ქოშები ეცვათ და ფილაქანზე ბაკაბუკი გაჰქონდათ. ბიჭები თითქმის ერთ ადგილას ტრიალებდნენ და არ იღიმებოდნენ. გლორიეტა მიუახლოვდა ერთს და სთხოვა, პაპიროსი გადააგდე, უცაბედად ქალიშვილების კაბაზე ცეცხლი არ წაეკიდოთო. ბიჭმა პაპიროსი მოისროლა, ხელები ზურგზე დაიწყო და ცეკვა განაგრძო. მეორე, დაბალი ჯმუხა ბიჭი, ცეკვის დროს შუბლს ისე ჭმუხნიდა, გეგონებოდათ, რაღაცაზე ფიქრობსო. ქალს რომ მათ შესცქეროდა, ამაყობდნენ და თან რცხვენოდათ კიდეც. მერე მოცეკვავენი სადღაც წავიდნენ და მალე ისევ მობრუნდნენ. როგორც ჩანს, უფიქრიათ, ცეკვისას ფეხსაცმელები უფრო სჯობსო, მაგრამ პირიქით კი მოხდა, ცეკვა ისეთი აღარ გამოუვიდათ.

ქორწილის მეორე დღეს ახალდაქორწინებულებს ელოდნენ, რომ სუფრას შემოსხდომოდნენ.

— ლუსიენის გამო შეგვაგვიანდა, — თქვა მარიუსმა.

— რა თქმა უნდა, ყველაფერში მე ვარ დამნაშავე.

გამარჯვების ნიშნად მარიუსმა ქუდი გვერდზე მოიგდო.

— ლუსიენა, გუშინდელი დღე გირჩევნია თუ დღევანდელი?

— ჩემთვის სულ ერთია, გუშინაც კარგად ვგრძნობდი თავს და დღესაც.

მარიუსს თეფშში ჩაერგო ცხვირი და ხმას არ იღებდა. ვინ იცის, რას ფიქრობდა.

მეჯვარემ თეფშით ჩამოუარა იქ მყოფთ, შემდეგ ძირს დაადგო და დაამ-

სხვერია, რამდენი ნამსხვრევიც იქნებოდა, პატარძლის მეჯვარეც იმდენ წელში გათხოვდებოდა.

ლიუსიენა ოცდათოთხი წლისა იყო, ვიღაცამ ჩუმად რომ ჰკითხა, შენი მეჯვარე რამდენი წლისააო, ლიუსიენამ ყველას გასაგონად გამოაცხადა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოცდაათი წლისაა.

რაგოტმაც იცეკვა, მაგრამ ქორწილის დღეს კი არა, მეორე დღეს.

თავის დროზე კარგი მოცეკვავე იყო. ცეკვავდა ქუჩაში, მარტო, ცეკვავდა ისე, ლამის ფეხსაცმელი წასძრომოდა. შინ კი სცემდნენ ამისათვის. თანაც როგორ სცემდნენ!

მიშელმა მკლავში სტაცა ხელი და საცეკვაოდ გამოიყვანა.

მაშინვე შეიკრა წრე. ყველას უნდოდა ენახა, დედა როგორ იცეკვებდა „ბურეს“ თავისი ქალიშვილის ქორწილში. ჩუმად, უხმოდ უყურებდნენ, თითქოს ყველაზე მთავარი ქორწილში ეს ცეკვა იყო. რაგოტმა კაბის კალთა ოდნავ ასწია, მუხლებს ძველებურად ვეღარ ღუნავდა, აღარც ფეხები, აღარც ტანი არ ემორჩილებოდა. მხოლოდ თავსღა ხრიდა ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ.

რაგოტმა ჯერ გაიღიმა, შემდეგ ფერწასული შეჩერდა, მიშელი შუა ცეკვაში მიატოვა და თავი ისე ჩაღუნა, თითქოს არ უნდოდა ჩვენთვის სახე ეჩვენებინა. მივხვდით, რაც იყო რაგოტის თავს — რაგოტს თავისი პატარა ჟოზეფის სიკვდილი გაახსენდა. სიმწრისა და სინანულისაგან ატირდა და დიდხანს იდგა სტუმრებისაკენ ზურგშექცეული.

ცოლ-ქმარი კაროლები საბოლოოდ დარწმუნდნენ, მათ აინუნშიც არ აგდებდნენ აქ და იმ საღამოსვე გაემგზავრნენ, სუფრის ალაგებასაც კი არ დაუცადეს.

— ასე მალე მიემგზავრებით? — ჰკითხა მეზობლის ქალმა.

— რას გიზამთ, ჩვენ აქ ყურადღებას არავინ გვაქცევს!

მატარებელი დაიძრა. ფანჯარაში ქალბატონი კაროლი მოჩანდა, ლოყა მინაზე მიედო და ისე ტიროდა, ეგონებოდათ, ვაგონში წვიმა ასხამსო. ცხვირსახოცს იქნევდნენ — ნახვამდის, ნახვამდის!

— ღმერთმანი, უფრო ადრეც უნდა გამგზავრებულიყვნენ, — თქვა ფილიპმა.

იგი მძახლის უკმაყოფილო იყო. წერილში ბ-ნი კაროლი ჰპირდებოდა, ქორწილის ხარჯის ნაწილს მე ვიკისრებო. ქორწილის დღეს კი ლიუსიენას უთხრა, ჩემი ოჯახის წევრების ხარჯს გადავიხდი მხოლოდო და ანგარიში მოსთხოვა. რადგანაც ანგარიში მზად არ იყო, ადგა და ორმოცდაათი ფრანკი მისცა ფილიპს.

— ეგ მე სულაც არ მაძლევს ხელს, — მითხრა ფილიპმა.

— კი მაგრამ, ფული ხომ გამოართვით?

— გამოვართვი.

— ესეც ხომ თქვით: „ძალიან ბევრიაო“?

— ორმოცდაათი ფრანკი უკანვე მინდოდა დამებრუნებინა.

— რატომ? განა არ თქვით, იმაზე მეტი მომცა, ვიდრე საჭირო იყოო?

— ვთქვი! იმიტომ ვთქვი, რომ იმისთვის მეგრძნობინებინა, საკმარისი არაა-მეთქი.

— ეს უკვე მეტისმეტია, ფილიპ.

— ერთი სიტყვით, მე ასე ვფიქრობდი.

რ ა გ ო ტ ი — ძალიან მიხარია, ლიუსიენა, ასე რომ მოეწყო შენი საქმე-თუ მომწყინდა, პარიზში ჩამოგაკითხავთ.

ლ ი უ ს ი ე ნ ა — არც იფიქრო. დაეტიე იქ, სადაც ხარ. [illegible]-საც ვერ გააკეთებ... სულ ესაა, რასაც მაძლევ?

რ ა გ ო ტ ი — მე ხომ მოგეცი: ექვსი კოვზი, ექვსი ჩანგალი და ექვსი თეფში.

ლ ი უ ს ი ე ნ ა — კიდევ მომეცი თეფშები.

რ ა გ ო ტ ი — არ შემიძლია.

ლ ი უ ს ი ე ნ ა — ძუნწი ხარ!

რ ა გ ო ტ ი — პოლს რაღა მიეცე?

## პოლი

— ჰო, მე რაღა დამრჩეს? შენ რომ ყველაფერი წაიღო, ცოცხალი ვერ გადამირჩები!

პოლმა მართლაც გადააქოთა მთელი ყუთები, ფილიპი რომ ჭედავდა. ფილიპმა თქვა:

— მეყოფა, მეტს აღარ დავჭედავ.

ლიუსიენა გაიბუქა.

— ეცადე, კეთილი იყო, — უთხრა მას გლორიეტმა.

— მე ისედაც კეთილი ვარ, — წყენით უპასუხა ლიუსიენამ.

— თქვენ როგორღა ფიქრობთ, ბატონო მარიუს?

— ოჰ! — უპასუხა მარიუსმა, — ჯერ არც კი დავკვირვებივარ.

— რა ნელა გადის დრო, — თქვა ფილიპმა, — დილას აქეთია ამ ყუთებს ვჭედავ, ბაღში კიდევ მუხუდო მაქვს მისახედი. ერთის მხრივ მწყინს, ლიუსიენა რომ მიდის, მეორე მხრივ კი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

რაგოტმა ჩუმად უთხრა ლიუსიენას:

— მართალია გათხოვდი, მაგრამ კაპასობა არ არის აუცილებელი.

დამშვიდობებისას ფილიპმა მაინც უთხრა მარიუსსა და ლიუსიენას:

— რადგანაც მდიდრები არა ხართ, შემოდგომაზე ერთ ტომარა კარტოფილს გამოგიგზავნით.

— ძალიან კარგს იზამ, — უპასუხა ლიუსიენამ.

ახალ წელს ფილიპმა და რაგოტმა ახალდაქორწინებულებისაგან ბარათი მიიღეს. სადარბაზო ბარათივით შუაში გამოკვეთილად დაებეჭდათ:

„ბატონი და ქალბატონი მარიუს კაროლი".

სხვა ერთი სიტყვაც არაფერი ეწერა, მაგრამ რაგოტისთვის ესეც სრულიად საკმარისი იყო და წამდაუწუმ იმეორებდა:

— ეტყობა, არაფერი აკლიათ.

□

# ფრანსუა დე ლაროშფუკო

## მაქსიმები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრანგულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ

### მაქსიმები და ფიქრები ზნეობის შესახებ

#### პირველი გამოცემის (1665 წ.) წინასიტყვაობა

მკითხველის სამსჯავროზე გამომაქვს ადამიანის გულის ეს გამოხატულება: „მაქსიმები და ფიქრები ზნეობის შესახებ", — ასე ეწოდება მას. ადვილი შესაძლებელია, რომ ის ყველას არ მოეწონოს, რადგანაც ზოგიერთს, ალბათ, მოეჩვენება, რომ მასში მეტისმეტად აშკარაა დედანთან მსგავსება და ძალზე ცოტაა პირმოთნეობა. სრული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ მხატვარი სულაც არ გამოაქვეყნებდა თავის ქმნილებას და ის დღემდე მისი კაბინეტის კედელზე ეკიდებოდა, ხელიდან ხელში რომ არ გადადიოდეს მისი დამახინჯებული ასლი. ამას წინათ მან ჰოლანდიასაც მიაღწია, რამაც აიძულა ავტორის ერთი მეგობარი, მეორე ასლი გადმოეცა ჩემთვის, რომელიც, მისი აზრით, ზედმიწევნით შეესატყვისებოდა დედანს. მაგრამ, მთელი თავისი სიზუსტის მიუხედავად, ძნელი წარმოსადგენია, რომ მან თავიდან აიცილოს ზოგიერთ პირთა გმობა, რომელნიც განრისხებულნი დარჩებიან იმით, რომ ვიღაცამ შესძლო მათი გულის სიღრმეში შეღწევა: რაკიღა თვითონ არ შესწევთ ამისი ძალა, ამიტომ უფლებამოსილად თვლიან თავს, სხვებსაც აუკრძალონ თვითშემეცნება. „ფიქრები" მართლაც სავსეა იმნაირი ჭეშმარიტებებით, რომლებსაც ვერ შეურიგდება ადამიანის სიამაყე და ნაკლებად უნდა გვქონდეს იმის იმედი, რომ ისინი განმქიქებელთა მტრობისა და თავდასხმის საგნად არ იქცევიან. ამიტომ აქვე მომაქვს ერთი წერილი, რომელიც მაშინვე დაიწერა და გადმომეცა, როგორც კი ხელნაწერი ცნობილი და ხალხისათვის ხელმისაწვდომი გახდა და ყველა ცდილობდა თავისი აზრი გამოეთქვა მასზე. ეს წერილი, ჩემის აზრით, საკმაო დამაჯერებლობით პასუხობს ყველა იმ არსებითი ხასიათის შენიშვნას, რაც შეიძლება აღძრას „მაქსიმებთან" დაკავშირებით და, იმავდროულად, განმარტავს ავტორის აზრსაც: ის ეჭვმიუტანლად გვიმტკიცებს, რომ „მაქსიმები" სხვა არა არის რა, თუ არა მოკლე გადმოცემა მოძღვრებისა ზნეობის შესახებ, რომელიც ზედმიწევნით ეთანხმება ეკლესიის ზოგიერთი მამის აზრებს; რომ მათი ავტორი შეუძლებელია შემცდარიყო, რაკიღა ესოდენ გამოცდილ მოძღვრებს მიენდო, და რომ საძრახისი არა უთქვამს რა, რადგანაც მხოლოდ მათ მიერ ოდესღაც გამოთქმული მოსაზრებანი გაიმეორა. მაგრამ თუ თვით პატივისცემა, რასაც წმიდა მამები იმსახურებენ, ვერ დაიცხრობს ბოროტ მოსურნეთ და ისინი გაბედავენ საზ-

რაღლებო განაჩენი გამოუტანონ ამ წიგნსაც და, იმავდროულად, წმიდა მამების აზრებსაც, — მე ვთხოვ მკითხველს, ნუ აჰყვება მათ, გასაქანს ნუ მისცემს პირველი შთაბეჭდილებით გამოწვეულ შეგრძნობას, შეძლებისდაგვარად, ლაგამი ამოსდოს თავმოყვარეობას და ნუ დაუშვებს მის ჩარევას „მაქსიმების" შესახებ საბოლოო დასკვნის გამოტანაში, რადგანაც, თუ მას ნებას აჰყვება, მკითხველი უთუოდ მტრულად განეწყობა ამ წიგნის მიმართ, რომელიც ამტკიცებს, რომ თავმოყვარეობა რყვნის გონებას, და სწორედ ამიტომ შეურაცხყოფილი თავმოყვარეობა მის წინააღმდეგ აამხედრებს თვით ამ გონებას. მაშ, ახსოვდეს მკითხველს, რომ სწორედ „მაქსიმების" წინააღმდეგ მიმართული წინასწარ აკვიატებული აზრი ასაბუთებს მათ სიმართლეს, და გულწრფელად სჯეროდეს, რომ, რაც უფრო მძაფრად და მახვილგონივრულად ილაშქრებს მათ წინააღმდეგ, მით უფრო გარდუვალად ამტკიცებს მათ უტყუარობას. ჭეშმარიტად ძნელი საქმეა, დაარწმუნო ყოველი ჭკვიანი მოაზროვნე კაცი, რომ ამ წიგნის ზოილებს სულ სხვა გრძნობები ამოძრავებს და არა ფარული ანგარება, სიამაყე და თავმოყვარეობა. მოკლედ რომ ვთქვათ, მკითხველი უთუოდ მოიგებული დარჩება, თუკი წინასწარვე მტკიცედ გადაწყვეტს, რომ არცერთი ზემოხსენებული მაქსიმა არ ეხება პირადად მას, და რომ, თუმცა მათი ზოგაში უკლებლივ ყველა კაცი გახლავთ, ამ მხრივ, სწორედ თვითონაა ერთადერთი გამონაკლისი. და მაშინ, სიტყვას გაძლევთ, ის არა მარტო სიამოვნებით მოაწერს ხელს ყველა მაქსიმას, არამედ იმასაც კი აღიარებს, რომ ისინი მეტისმეტად კეთილმოწყალენი არიან ადამიანის გულის მიმართ. აი, რა მსურდა მეთქვა ამ წიგნის შინაარსთან დაკავშირებით. ხოლო თუ ვინმე ყურადღებით დააკვირდება მის კომპოზიციას, უნდა შევნიშნოთ, რომ თითეული მაქსიმა იმ საგნის მიხედვით უნდა დამესათაურებინა, რომელიც განხილულია მასში, და უფრო მწყობრი წესრიგით დამელაგებინა ისინი. მაგრამ მე ვერ გავბედე ეს, რათა ჩემთვის გადმოცემული ხელნაწერის მთლიანობა და საერთო თანმიმდევრობა არ დამერღვია. მაგრამ რაკიღა ერთი და იგივე საგანი რამდენიმე მაქსიმაშია განხილული, ამიტომ ხალხმა, ვისაც რჩევისათვის მივმართე, ჩემი თხოვნის პასუხად მითხრა, რომ ყველაზე უმჯობესი იქნებოდა საძიებელი შემედგინა იმ მკითხველებისათვის, რომლებიც მოისურვებდნენ თანმიმდევრულად წაეკითხათ ერთი და იმავე საგნისადმი მიძღვნილი ყველა მაქსიმა.

## მაქსიმები

1. რასაც ჩვენ სიქველეს ვუწოდებთ, ხშირად სხვა არა არის რა, თუ არა სხვადასხვა საქციელისა და სხვადასხვა ანგარების ერთობლიობა, ბედისწერით თუ ჩვენივე ცბიერებით ერთად შერწყმული და მოწესრიგებული. ამიტომ, როცა ქალები უმანკონი არიან, ხოლო კაცები — მამაცნი, ყოველთვის როდი შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ მათთვის მართლაც ნიშნეულია უმანკოება და სიმამაცე.

2. თავმოყვარეობა — აი, ყველაზე დიდი პირფერი.

3. რამდენი რამ აღმოუჩენიათ თავმოყვარეობის ქვეყანაში, და ჯერ კიდევ რამდენი რამეა აღმოსაჩენი.

4. ვერცერთი თვალთმაქცი ვერ შეედრება თავმოყვარეობას თავისი ცბიერებით.

5. ჩვენი ვნებების ხანგრძლივობა ისევე დამოუკიდებელია ჩვენგან, როგორც ჩვენივე დღეგრძელობა.

6. ხშირ შემთხვევაში, ვნება ჭკვიან კაცს ბრიყვად აქცევს და ისევე ხშირად აჭკვიანებს ბრიყვს.

7. დიდ ისტორიულ მოვლენებს, რომლებიც თვალს გვჭრიან თავიანთი ბრწყინვალებით და რომლებსაც პოლიტიკოსები დიდი ჩანაფიქრის შედეგად თვლიან, სინამდვილეში ხშო-

ლოდ და მხოლოდ ვნებებისა და ჩვენი გრძნობების ჟინიანი თამაში განაპირობებს. ასე მაგალითად, ომი ავგუსტუსსა და ანტონიუსს შორის, რომელსაც მსოფლიოზე ბატონობის იმ პატივმოყვარული მისწრაფებით ხსნიან, თანაბრად რომ აქეზებდა ორივეს, — შესაძლოა, მხოლოდ და მხოლოდ ეჭვიანობით იყო გამოწვეული.

8. ვნება ერთადერთი ორატორია, რომელიც ყოველთვის გვარწმუნებს. მისი ხელოვნება თითქოს თვით ბუნებისაგან იღებს დასაბამს, რომლის კანონებიც ურღვევია, ამიტომაა, რომ უბრალო, მაგრამ ვნებით ანთებული კაცი უკეთ გვარწმუნებს, ვიდრე მჭევრმეტყველი, მაგრამ ვნებისაგან დაცლილი კაცი.

9. ვნებებისათვის ნიშნეულია იმგვარი უსამართლობა და იმგვარი ანგარება, რომ მათი ნდობა სახიფათოა. ამიტომ მაშინაც კი უნდა ვერიდოთ მათ, როცა ისინი სავსებით გონივრულნი ჩანან.

10. ადამიანის გულში ვნებები გამუდმებით ცვლიან ერთმანეთს და ერთის ჩაქრობა თითქმის ყოველთვის მეორის აღზევებას მოასწავებს.

11. ჩვენი ვნებები, ხშირ შემთხვევაში, მათი საპირისპირო ვნებების წყაროდ გვევლინებიან: სიძუნწე ზოგჯერ ფლანგველობის სათავეა, ხოლო ფლანგველობა — სიძუნწისა; კაცი ხშირად სიმხდალის გამო მამაცი და სიმამაცის გამო მხდალი.

12. რამდენსაც უნდა ვცდილობდეთ, რომ ღვთისმოსაობისა და სიქველის ნიღბით შევბუროთ ჩვენი ვნებები, ისინი მაინც თავიანთი ნამდვილი სახით იმზირებიან ამ პირბადიდან.

13. ჩვენი თავმოყვარეობა უფრო მეტად ილახება მაშინ, როცა ჩვენს გემოვნებას გმობენ, ვიდრე მაშინ, როცა ჩვენს შეხედულებებს აბიაბრუებენ.

14. ადამიანები არა მარტო ივიწყებენ მათთვის გაწეულ სამსახურსა თუ მათთვის მიყენებულ შეურაცხყოფას, არამედ სიძულვილითაც კი უყურებენ თავიანთ კეთილისმყოფელთ და მზად არიან მიუტევონ შეურაცხმყოფელთ. აუცილებლობა იმისა, რომ სიკეთის მადლიერებით უნდა მიაგო სამაგიერო, ხოლო შეურაცხყოფას — შურისძიებით, მათ მონობად ეჩვენებათ, რომელსაც არასდიდებით არ სურთ მოუხარონ ქედი.

15. მთავართა გულმოწყალება ხშირად სხვა არა არის რა, თუ არა პოლიტიკა, რომლის წყალობითაც მათ სურთ მოინადირონ ხალხის გული.

16. გულმოწყალებას, რომელსაც ყველანი სიქველედ თვლიან, ზოგჯერ პატივმოყვარეობა უდევს საფუძვლად, ხანდახან — მცონარება, ხშირ შემთხვევაში — შიში, და თითქმის ყოველთვის — პირველიც, მეორეც და მესამეც ერთად.

17. ბედნიერი ადამიანების თავდაჭერილობა იმ სიმშვიდის შედეგია, რასაც მათ ანიჭებს ბედიანობა.

18. თავდაჭერილობა — ესაა შურისა და ზიზღის შიში, რომლებსაც თავიდან ვერ აიცილებს საკუთარი ბედნიერებით თავბრუდასხმული ვერცერთი კაცი; ესაა გონების ძალმოსილებით ფუჭი ქადილი. და ბოლოს, ბედნიერების მწვერვალს მიღწეული ადამიანების თავდაჭერილობა — ეს გახლავთ იმის სურვილი, რომ თავიანთ ბედის ვარსკვლავზე უფრო მაღლა მოგვაჩვენონ თავი.

19. ჩვენ ყველას შეგვწევს იმისი ძალა, რომ მოყვასის უბედურება გადავიტანოთ.

20. ბრძენკაცთა აუღელვებლობა სხვა არა არის რა, თუ არა იმის უნარი, რომ თავიანთი ბორგვა და ბობოქრობა გულის სიღრმეში მიჩქმალონ.

21. აუღელვებლობა, რასაც სიკვდილმისჯილნი იჩენენ ხოლმე, ისევე როგორც მათი ზიზღი სიკვდილისადმი, სინამდვილეში მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ისინი ვერ ბედავენ თვალი გაუსწორონ სიკვდილს; შეიძლება ითქვას, რომ ეს აუღელვებლობა და ეს ზიზღი მათი გონებისათვის იგივეა, რაც სახვევი — მათი თვალებისათვის.

22. ფილოსოფია მბრძანებლობს წარსულისა თუ მომავლის უბედურებებზე, მაშინ როდესაც აწინდელი უბედურებანი პირიქით მბრძანებლობენ მასზე.

23. ცოტა ვინმე თუ იცნობს სიკვდილს; უმეტესწილად, სასიკვდილოდ სწირავენ თავს არა წინასწარი გადაწყვეტილებით, არამედ სიბრიყვის შედეგად თუ ჩვეულების ძალით; და ადამიანები უფრო ხშირად იმიტომ იხოცებიან, რომ არ შეუძლიათ თავი აარიდონ სიკვდილს.

24. როცა დიდ ადამიანებს მხნეობა ღალატობთ დაუსრულებელ უბედურებათა წინაშე, ჩვენ ვრწმუნდებით, რომ მათ სულის ძლიერება კი არ აძლებინებდა, არამედ პატივ-

მოყვარეობა, და რომ გმირები ჩვეულებრივ მოკვდავთაგან მხოლოდ უფრო დიდი პატივმოყვარეობით განსხვავდებიან.

25. კაცის ღირსებას ბედნიერება უკეთ [illegible], ვიდრე [illegible].

26. ვერც მზეს და ვერც სიკვდილს ვერ ვუსწორებთ თვალს.

27. ადამიანებს ხშირად მოაქვთ თავი ყველაზე საზარელი ვნებებით, მაგრამ შური იმდენად მორცხვი და მოკრძალებული ვნება გახლავთ, რომ არამცთუ [illegible] იმასაც კი ვერვინ გაბედავს, რომ აღიაროს: შურიანი ვარო.

28. ეჭვიანობა, გარკვეული თვალსაზრისით, გონივრულია და სამართლიანი, რადგანაც მხოლოდ იმისა ცდილობს, რომ შეგვინარჩუნოს ის სიკეთე, რაც ჩვენ გვეკუთვნის, ან გვგონია, რომ გვეკუთვნის, მაშინ როდესაც შური ყრუდ დრტვინავს იმის გამო, რომ თავიანთი სიკეთე სხვებსაც ეკუთვნის.

29. ჩვენი ბოროტმოქმედება იმდენ მტერსა და მდევნელს როდი გვიძენს, რამდენსაც ჩვენი ღირსება.

30. თავის გასამართლებლად ჩვენ ხშირად ვცდილობთ შევაგონოთ ჩვენსავე თავს, რომ ამა თუ იმ მიზნის მიღწევა ჩვენს ძალ-ღონეს აღემატება, თუმცა, სინამდვილეში, ძალა კი არ გვაკლია, არამედ ნებისყოფა.

31. უნაკლონი რომ ვიყოთ, არაფერი ისეთ სიამოვნებას არ მოგვანიჭებდა, როგორც სხვების ნაკლოვანებათა ჩხრეკა.

32. ეჭვიანობა ორჭოფობით სულდგმულობს; ის ქარწყლდება ან მძვინვარე ძალა ხდება, როგორც კი ორჭოფობა თავდაჯერებულ რწმენად იქცევა.

33. სიამაყე ყოველთვის ინაზღაურებს თავის დანაკლისს და არაფერს არ კარგავს, მაშინაც კი, როცა უარს აცხადებს პატივმოყვარეობაზე.

34. სიამაყე რომ ძვალ-რბილში არ გვქონდეს გამჯდარი, სხვების სიამაყე ნაკლებად აუტანელი გაგვიხდებოდა.

35. სიამაყე თანაბრად ნიშნეულია ყველა კაცისათვის; განსხვავება მხოლოდ ისაა, თუ როგორ ან როდის ავლენენ მას.

36. ბუნებამ, რომელიც ჩვენდა სასიკეთოდ იღვწოდა, არა მარტო გონივრულად მოაწესრიგა ჩვენი ასოების ერთობლიობა, არამედ სიამაყეც გვიბოძა, — როგორც ჩანს, იმ მიზნით, რომ გავეთავისუფლებინეთ ჩვენი არასრულქმნილების სამწუხარო შეგნებისაგან.

37. სიკეთე კი არა, უმეტესწილად სიამაყეა იმის მიზეზი, რომ ვცდილობთ თვალი ავუხილოთ შემცოდეთ; იმიტომ როდი ვტუქსავთ მათ, რომ გამოვასწოროთ ისინი, არამედ უფრო იმიტომ, რომ ჩვენივე საკუთარი უცოდველობა დავუმტკიცოთ.

38. ჩვენი სასოების შესაბამისად ვდებთ აღთქმას და ჩვენივე შიშის შესაბამისად კი ვასრულებთ მას.

39. ანგარება ყველა ენაზე ლაპარაკობს და ყოველნაირ როლს ასრულებს, ასე განსაჯეთ, თვით უანგარობის როლსაც.

40. ზოგს თვალს უხვევს ანგარება, ზოგს კი თვალს უხელს.

41. ვინც მეტისმეტ გულმოდგინებას იჩენს პატარა საქმეში, ვერასოდეს თავს ვერ გაართმევს დიდ საქმეს.

42. ჩვენ არ შეგვწევს საკმაო ძალა საიმისოდ, რომ მორჩილად მივსდიოთ გონების ხმას.

43. კაცს ხშირად ჰგონია, რომ თავისი თავის ბატონ-პატრონია, მაშინ როდესაც სულ სხვა რამეა მისი ბატონ-პატრონი; და ვიდრე გონებით ერთ მიზანს მიელტვის, გული შეუმჩნევლად მიაქცევს მეორის მიმართ.

44. სულის სისუსტე და სიძლიერე — უმართებულო გამოთქმებია; სინამდვილეში არსებობს მხოლოდ სხეულის ასოთა სიჯანსაღე თუ სნეულება.

45. ჩვენი თავნებობა უფრო მეტად ახირებულია, ვიდრე ბედის ჟინიანობა.

46. ფილოსოფოსების სიყვარული თუ გულგრილობა ცხოვრების მიმართ ჩვენ გვიმჟღავნებს მათი თავმოყვარეობის თავისებურებას, რაც ისევე უდავოა, როგორც მათი გემოვნების ნაირგვარობა, როგორც მათი მიდრეკილება ამა თუ იმ კერძისა თუ ფერის მიმართ.

47. ბედის ყოველგვარ წყალობას ჩვენი სულიერი განწყობილების მიხედვით ვაფასებთ.

48. ჩვენ სიხარულს გვგვრის არა ის, რაც გარს გვარტყია, არამედ ჩვენი დამოკიდებულება გარემომცველი სინამდვილის მიმართ, და ბედნიერებას გვანიჭებს ის, რაც გვიყვარს, და არა ის, რასაც სხვები თვლიან სიყვარულის ღირსად.

49. ადამიანი არასოდეს არ არის ისე ბედნიერი ან ისე უბედური, როგორც თვითონ მას ჰგონია.

50. ადამიანები, რომლებსაც ეჭვი არ ეპარებათ თავიანთ ღირსებაში, [illegible] მოვალეობად თვლიან უბედურად მოგვაჩვენონ თავი, რათა, ამრიგად, დაარწმუნონ სხვებიცა და თავიანთი თავიც, რომ განგებით უკეთეს ხვედრს იმსახურებენ.

51. არაფერი ისე არ ბღალავს ჩვენს თვითკმაყოფილებას, როგორც იმის შეცნობა, რომ დღეს ვიწუნებთ იმას, რასაც გუშინ ვიწონებდით.

52. თუმცაღა ადამიანები თავიანთი ბედით ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მაგრამ ბედნიერებისა და უბედურების თანაბარი განაწილება თითქოს ერთმანეთს ამსგავსებს მათ.

53. ხომ ბევრი ღირსებებით შეამკო ბუნებამ ადამიანი, მაგრამ მას თავისთავად კი არა, მხოლოდ ბედისწერასთან თანაზიარობით თუ შეუძლია გმირად აქციოს იგი.

54. ფილოსოფოსების ზიზღი სიმდიდრის მიმართ ეს იყო მხოლოდ იმის ფარული სურვილი, რომ შური ეძიათ ბუნების უსამართლობაზე, რომელმაც სიღარიბისათვის გასწირა ისინი; იგივე ზიზღი გახლდათ იდუმალი საშუალება, რომლის წყალობითაც სურდათ უპოვართა უსიამოვნო ყოფისაგან დაეხსნათ თავი, და არაპირდაპირი გზა, რომლითაც უნდა მიეღწიათ იმ გავლენისათვის, რასაც უშუალოდ მხოლოდ სიმდიდრე თუ ანიჭებს კაცს.

55. სიძულვილი იმ კაცის მიმართ, რომელსაც ძლიერნი ამა ქვეყნისანი სწყალობენ, სხვა არა არის რა, თუ არა იმავე წყალობის სიყვარული. მის გულისწყრომას, ვინც ამ წყალობას ვერ ეღირსა, ერთგვარად აცხრობს და ამშვიდებს ზიზღი ყველა რჩეულის მიმართ. პატივსაც სწორედ იმიტომ არ ვმეტებთ მათთვის, რომ არ შეგვიძლია წავართვათ ის, რაც მათ საყოველთაო პატივისცემას უხვევს.

56. სასახლის კარზე რომ დაიმკვიდრონ ადგილი, ხალხი წელებზე ფეხს იდგამს, რათა ისე მოგვაჩვენონ თავი, თითქოს ეს ადგილი უკვე დამკვიდრებული ჰქონდეთ.

57. რამდენსაც უნდა იკვეხნიდეს ხალხი დიდი საქმეებით, ამ უკანასკნელთა მიზეზი ხშირად დიადი შთაგონება კი არა, უბრალო შემთხვევითობა გახლავთ.

58. ჩვენი მოქმედებების გამო შეიძლება ითქვას, რომ ისინი ბედნიერ ან უბედურ ვარსკვლავზე იბადებიან და სწორედ ამას უნდა უმადლოდნენ თავიანთი წილხვედრი ქებადიდებისა თუ ლანძღვა-გინების უმეტეს ნაწილს.

59. არ არსებობს იმდენად არახელსაყრელი გარემოება, რომ გონიერი კაცი ვერაფერს გამორჩეს მას, და არც იმდენად ხელსაყრელი ვითარება, რომ უგუნურმა თავისდა საზიანოდ ვერ შემოაბრუნოს იგი.

60. ბედი ყველაფერს მათდა სასიკეთოდ მოაქცევს, ვისაც მფარველობს.

61. კაცთა ბედნიერება თუ უბედურება იმდენადვეა დამოკიდებული მათს ბუნებაზე, რამდენადაც ბედისწერაზე.

62. გულწრფელობა გულახდილობაა. იშვიათად თუ შეხვდებით ამ თვისებით შემკულ კაცს, ხოლო ის, რაც ჩვენ გულწრფელობად გვეჩვენება, უმეტესწილად სხვა არა არის რა, თუ არა შემპარავი თვალთმაქცობა, რომლის მიზანიც კაცთან ნდობის მოხვეჭა გახლავთ.

63. ზიზღი სიცრუისადმი ხშირ შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ ოსტატურად შენიღბული სურვილია იმისა, რომ უფრო მეტი მნიშვნელობა მივანიჭოთ ჩვენს სიტყვებს და მოწიწებით განვაწყოთ ხალხი ჩვენი მტკიცების მიმართ.

64. ჭეშმარიტება არც იმდენად კურთხეულია, რამდენადაც წყეულია ის, რასაც თვალთმაქცურად ასაღებენ ჭეშმარიტებად.

65. რანაირ ქება-დიდებას არ ასხამენ გონიერებას! მაგრამ ყველაზე დიდი კეთილგონიერებაც კი უძლურია იმ ცვლილებების, თუნდაც ყველაზე უბადრუკი ცვლილებების წინაშე, რომელთა წყაროდაც ბედისწერა გვევლინება.

66. გამჭრიახმა კაცმა წინასწარ უნდა განსაზღვროს ყველა თავისი სურვილის წესი და რიგი და მხოლოდ შემდეგ თანმიმდევრულად შეუდგეს მათ აღსრულებას. ჩვენი სიხარბე ხშირად არღვევს ამ წესრიგს და გვაიძულებს ერთდროულად მიველტვოდეთ იმდენ რამეს, რომ უმნიშვნელო მიზნისკენ სწრაფვისას უფრო არსებითს ვივიწყებთ ხოლმე.

67. სილამაზე იგივეა სხეულისათვის, რაც საღი აზრი გონებისათვის.

68. ძნელია სიყვარულის განსაზღვრა; შეიძლება მხოლოდ იმის თქმა, რომ სულისთვის ესაა მბრძანებლობის წყურვილი, გონებისათვის — სიმპათია, სხეულისათვის კი — იმის ფარული და მწველი სურვილი, რომ ამდენი თმენისა და ლოდინის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, დაეუფლოს თავისი ტრფობის საგანს.

69. წმინდაა და სხვა ვნებების მინარევით აუმღვრეველი მხოლოდ ის სიყვარული, რომელიც ჩვენი გულის სიღრმეშია მიმალული და თვით ჩვენთვისაც უჩინარია.

70. არავითარ თვალთმაქცობას არ შეუძლია დიდხანს დამალოს სიყვარული, როცა კაცი მართლა შეყვარებულია, ანდა ხელოვნურად წარმოგვისახოს იგი, როცა კაცს არავინ უყვარს.

71. არ არსებობს ისეთი კაცი, რომელიც, რაკი ერთხელ გულს აიყრის საყვარელ ქალზე, სირცხვილით არ იგონებდეს თავის ძველ სიყვარულს.

72. თუკი სიყვარულზე მისი ჩვეულებრივი გამოვლენის მიხედვით ვიმსჯელებთ, ის უფრო მტრობასა ჰგავს, ვიდრე მეგობრობას.

73. ამ ქვეყნად მრავალია ისეთი ქალი, ერთხელაც რომ არ განუცდია მამაკაცის ალერსი, და ძალზე ცოტაა ისეთი ქალი, მხოლოდ ერთი მამაკაცის სიყვარულს რომ დასჯერებოდეს.

74. სიყვარული ერთია, სიყვარულობანა — ურიცხვი.

75. სიყვარული, ისევე როგორც ცეცხლი, მხოლოდ დაუდგრომლობით სულდგმულობს: მის არსებობას მისივე სასოება ანდა შიში განაპირობებს.

76. ჭეშმარიტი სიყვარული მოჩვენებასა ჰგავს: ყველა მასზე ლაპარაკობს, მაგრამ ცოტას თუ უხილავს იგი.

77. სიყვარული თავის სახელსავრცელებს ადამიანთა ურთიერთობის ურიცხვ ფორმაზე, რომლებთანაც მას აიგივებენ, თუმცაღა ამ უკანასკნელს იმდენივე საერთო აქვს მასთან, რამდენიც დოჟს — ვენეციაში მომხდარ ამბებთან.

78. ადამიანთა უმრავლესობას მხოლოდ იმიტომ უყვარს სამართლიანობა, რომ ეშინიათ, ვაითუ უსამართლობის მსხვერპლნი გავხდეთო.

79. ვისაც თავისი თავის იმედი არა აქვს, ურჩევნია ჩუმად იყოს.

80. ჩვენი მეგობრობა იმიტომაა ესოდენ არამტკიცე და ცვალებადი, რომ ადვილი შესაცნობია გონების თვისებურებანი და ძნელია სულის შეცნობა.

81. ყველაზე უანგარო მეგობრობაც ესაა ურთიერთობა, სადაც ჩვენი თავმოყვარეობა ყოველთვის რაღაც გამოსარჩენს მიელტვის.

82. მტრებთან დაზავება მხოლოდ და მხოლოდ იმას მოასწავებს, რომ ბრძოლით დავიღალეთ, დამარცხების გვეშინია, ან გვსურს ერთგვარად განვიმტკიცოთ მდგომარეობა.

83. როდესაც სიყვარული გვბეზრდება, ჩვენ თვითონვე გვსურს რომ გვიღალატონ, რათა, ამრიგად, ჩვენი ერთგულებისაგან დავიხსნათ.

84. უფრო სამარცხვინოა არ ენდობოდე მეგობრებს, ვიდრე ის, რომ მათ გაგაცურონ.

85. ჩვენ ხშირად ვირწმუნებთ თავს, რომ მართლა გვიყვარს ჩვენზე მაღლა მდგომნი, მაშინ როდესაც ამნაირ მეგობრობას მხოლოდ ანგარება უდევს საფუძვლად: იმიტომ კი არ ვუახლოვდებით ამ ხალხს, რომ რაიმე მივცეთ მათ, არამედ იმიტომ, რომ რაღაც მივიღოთ მათგან.

86. საკუთარი უნდობლობით ჩვენ ვამართლებთ სხვის უპირობას.

87. როგორ უნდა მოვთხოვოთ სხვას, საიდუმლო შეგვინახოს, თუკი თვითონ ვერ ვინახავთ მას?

88. თავმოყვარეობა ზრდის ან ამცირებს ჩვენი მეგობრების სიქველეს, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად კმაყოფილნი ვართ ამ ხალხით: მათ სიქველეებზე ჩვენდამი მათი დამოკიდებულების მიხედვით ვმსჯელობთ.

89. ყველა უჩივის თავის მეხსიერებას, მაგრამ არავინ არ უჩივის თავის საღ აზრს.

90. ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენი ნაკლი უფრო მიმზიდველი ჩანს ხოლმე, ვიდრე ჩვენი ღირსება.

91. თვით ყველაზე დიდი თავმოყვარეობაც უკან იხევს და უჩინარი ხდება, როგორც კი მისი მისწრაფება დაუძლეველ წინააღმდეგობას აწყდება ხოლმე.

92. როდესაც ცდილობენ თავისი შეცდომა დაანახონ და თვალი აუხილონ კაცს, რომელსაც ეჭვიც არ ეპარება საკუთარ ღირსებაში, ამით ისეთსავე ცუდ სამსახურს უწევენ

მას, როგორც იმ ათენელ შეშლილს, თავისი რომ ეგონა ნავსადგურში შემოსული ყოველი გემი.

93. მოხუცებს იმიტომ უყვართ კარგი რჩევა მისცენ ადამიანებს, რომ უკვე აღარ შეუძლიათ ცუდი მაგალითი მისცენ მათ.

94. დიდი სახელი კი არ განადიდებს, პირიქით, ამცირებს მას, ვინც ღირსეულად ვერ ატარებს ამ სახელს.

95. ჭეშმარიტად უჩვეულო ღირსების პატრონია ის, ვინც შესძლო თვით მოშურნეების ქება დაემსახურებინა.

96. ადამიანი უმადურია მაშინაც კი, როცა ამ უმადურობაში იმდენად თვითონ როდი მიუძღვის წვლილი, რამდენადაც მის კეთილისმყოფელს.

97. ცდება ის, ვინც სხვადასხვა თვისებებად მიიჩნევს გონებას და გამჭრიახობას. ეს უკანასკნელი სხვა არა არის რა, თუ არა გონების უჩვეულო სიცხადე; ის სიღრმემდე განწონის საგანთა არსს, სწვდება ყველაფერს, რისი წვდომაც შესაძლოა, და აღიქვამს თვით იმასაც კი, რაც თითქმის მიუწვდომლად დაფარული ჩანს. ამრიგად, უნდა ვაღიაროთ, რომ ყოველივე ის, რასაც გამჭრიახობას მიაწერენ, სინამდვილეში მხოლოდ გონების სიცხადის შედეგი გახლავთ.

98. ყველა აქებს საკუთარ გულს, მაგრამ ვერავინ ვერ ბედავს საკუთარი გონების ქებას.

99. გონების დახვეწილობა ღირსეულად აზროვნების უნარი გახლავთ.

100. თავაზიანობა ზოგჯერ სხვა არა არის რა, თუ არა შემპარავი პირმოთნეობა.

101. საგნები დროდადრო ისე დახვეწილად ეჩვენება ჩვენს გონებას, რომ ვერავითარი ხელოვნება ამაზე უკეთ ვერ დახატავს მათ.

102. გული ყოველთვის აცდუნებს გონებას.

103. ვინც საკუთარ გონებას იცნობს, ყოველთვის როდი იცნობს საკუთარ გულსაც.

104. თითოეულ კაცს, ისევე როგორც თვითეულ საქმეს, გარკვეული მანძილიდან უნდა უმზირო. ზოგის გაგება მარტოოდენ ახლოდან თუ შეიძლება, ზოგის გაგება კი მხოლოდ შორიდანაა შესაძლებელი.

105. ჭკვიანი ის კი არაა, ვისაც შემთხვევა აჭკვიანებს, არამედ ის, ვისაც ესმის, რა არის ჭკუა, ვინც არჩევს და შეჰხარის მას.

106. საგანთა არსის შესაცნობად საჭიროა დაწვრილებით ვიცნობდეთ მათ. მაგრამ რაკი ყველა ეს წვრილმანი აურაცხელია, ამიტომ ჩვენი ცოდნაც ზერელეა და არასრული.

107. ადამიანები თავს იწონებენ, როცა ისე იქცევიან, თითქოს მათთვის უცხო იყოს ყოველგვარი თავმოწონება.

108. გონებას არ შეუძლია დიდხანს ითამაშოს გულის როლი.

109. ახალგაზრდობა ხშირად იცვლის გემოვნებას გულფიცხობის გამო, სიბერე კი უცვლელად ინარჩუნებს მას ჩვეულების ძალით.

110. არაფერს არ ვიძლევით ისე გულუხვად, როგორც რჩევას.

111. რაც უფრო მეტად გვიყვარს ქალი, მით უფრო მეტ საბაბს ვეძებთ მის შესაძულებლად.

112. გონების ნაკლოვანება სიბერის ჟამს უფრო თვალში საცემი ხდება, ისევე როგორც გარეგნული ნაკლი.

113. არსებობს სარფიანი ქორწინება, მაგრამ არა ბედნიერი და სვეკეთილი.

114. ადამიანები სასოწარკვეთილებაში ვარდებიან, როცა მათ ატყუებენ მტრები ან ყიდიან მეგობრები, მაგრამ ისინი ხშირად კმაყოფილნი რჩებიან, როცა თვითონვე იტყუებენ ან ყიდიან თავიანთ თავს.

115. შენდა შეუმჩნევლად თავის მოტყუება ისევე ადვილია, როგორც ძნელია ის, რომ სხვისი მოტყუება შეგვრჩეს.

116. ყველაზე ნაკლებ გულწრფელი მაშინაა კაცი, როცა რჩევას სთხოვს ან აძლევს სხვებს. ერთის შეხედვით, ისე ჩანს, თითქოს რჩევის მთხოვნელი დიდი ყურადღებით ეკიდება მეგობრის აზრს, თუმცა სინამდვილეში მხოლოდ ის სურს, რომ საქციელი მოუწონონ და, ამრიგად, თავი გაიმართლოს ან დაიზღვიოს. რჩევის მიმცემი კი თავს იკატუნებს, თითქოს მისდამი გამოცხადებული ნდობის პასუხად მთხოვნელს გულწრფელად და უანგაროდ სამსახურს სთავაზობს, მაშინ როდესაც სინამდვილეში მხოლოდ იმას ესწრაფვის, რომ რაიმეს გამორჩეს ანდა ქება დაიმსახუროს.

117. როცა თავი ისე გვეჭირავს, თითქოს ჩვენთვის დაგებულ მახეში გავებით, მართლაც რომ უებროდ ვთვალთმაქცობთ, რადგანაც კაცის მოტყუება ყველაზე ადვილია მაშინ, როცა ის აქეთ გვიპირებს მოტყუებას.

118. თუკი მიზნად დავისახავთ არასოდეს მოვატყუოთ სხვები, ისინი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჩვენ თვითონ მოგვატყუებენ.

119. ჩვენ ისე ხშირად ვთვალთმაქცობთ სხვების წინაშე, რომ, ბოლოს და ბოლოს, თვით ჩვენს თავსაც ვეთვალთმაქცებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

120. გამცემლობას უმეტესწილად წინასწარი განზრახვით კი არ სჩადიან, არამედ სისუსტის გამო.

121. ადამიანები ხშირ შემთხვევაში მხოლოდ იმიტომ სჩვევიათ სიკეთის ქმნა, რომ მათ სიავეს გასაქანი მიეცეს და ბოროტმოქმედებისათვის არ დაისაჯონ.

122. თუ შეგვიძლია წინააღმდეგობა გავუწიოთ ჩვენს ვნებებს, არა იმიტომ, რომ ჩვენა ვართ ძლიერნი, არამედ იმიტომ, რომ ისინი არიან სუსტნი.

123. ვის შეიტკბობდა ამ ცხოვრებას, თავის თავს რომ არასოდეს ეპირფერებოდეს.

124. ყველაზე ეშმაკსა და გერგილიან კაცს მთელი სიცოცხლის განმავლობაში ისე უჭირავს თავი, თითქოს მზაკვრობას გმობს, თუმცა განსაკუთრებულ შემთხვევაში თვითონაც არ იტყვის მასზე უარს რაიმე განსაკუთრებული გამორჩენის მიზნით.

125. ცბიერების ბოროტად გამოყენება გონებაშეზღუდულობას მოწმობს; ის, ვინც ამ გზით ცდილობს ერთ ადგილას დამალოს თავისი სიშიშვლე, თითქმის ყოველთვის იშიშვლებს მეორე ადგილას.

126. მზაკვრობა და გამცემლობა მხოლოდ უგერგილობაზე მეტყველებს.

127. ყველაზე მეტად კაცი სწორედ მაშინ ტყუვდება, როცა სხვებზე ცბიერი ჰგონია თავი.

128. მეტისმეტი დახვეწილობა ყალბი სინატიფის სათავეა. მხოლოდ ნამდვილი სინატიფისაგან იღებს დასაბამს ჭეშმარიტი დახვეწილობა.

129. ზოგჯერ მარტოოდენ უკმეხობაც საკმარისია, რათა თავი დააღწიო მზაკვრის ხელით დაგებულ მახეს.

130. ხასიათის სისუსტე — აი, ერთადერთი გამოუსწორებელი ნაკლი.

131. მსუბუქი ყოფაქცევა — აი, ყველაზე უმნიშვნელო ნაკლი იმ ქალებისა, რომლებიც ცნობილნი არიან მსუბუქი ყოფაქცევით.

132. სხვის ომში ყველა უფრო ბრძენია, ვიდრე საკუთარში.

133. მხოლოდ ის ასლია კარგი, რომელიც დედნის სასაცილო მხარეს გვიმჟღავნებს.

134. სასაცილოა არა იმდენად ის თვისება, რომელიც მართლა გვახასიათებს, რამდენადაც ის, რაზედაც პრეტენზიას ვაცხადებთ.

135. ხანდახან კაცი ისევე ნაკლებად ჰგავს საკუთარ თავს, როგორც სხვებს.

136. ზოგი კაცი მხოლოდ იმიტომ იყვარებს ქალს, რომ ამდენი რამ სმენია სიყვარულზე.

137. პატივმოყვარეობა რომ არა, ადამიანები ყოველთვის უფრო ნაკლებს იყბედებდნენ.

138. ადამიანები თვითგვემობას არჩევენ იმას, რომ საერთოდ არაფერი თქვან თავიანთ თავზე.

139. ერთი მიზეზი იმისა, რომ ჭკვიანი და სასიამოვნო თანამოსაუბრენი ესოდენ იშვიათნი არიან, ის გახლავთ, რომ ადამიანთა უმრავლესობა საკუთარ სათქმელზე უფრო მეტს ფიქრობს, ვიდრე სხვის სიტყვებზე. უფრო ცბიერნი და უფრო თავაზიანნი ცდილობენ ამნაირი გამომეტყველება მიიღონ, თითქოს ყურადღებით გვისმენენ, თუმცა მათი მზერა და მთელი მათი იერი აშკარად მოწმობს, რომ სრულიად გულგრილნი არიან ჩვენი სიტყვების მიმართ და ერთი სული აქვთ, როდის იტყვიან საკუთარ სათქმელს. ცოტა ვინმეს თუ ესმის, რომ ამნაირი თვითმაამებლობა ნაკლებად საამო და ნაკლებად დამაჯერებელია სხვებისთვის, და რომ სასიამოვნო თანამოსაუბრედ შეიძლება მიგვაჩნდეს მხოლოდ ის, ვინც ყურადღებით გვისმენს და მხოლოდ თავის დროზე გვპასუხობს.

140. ჭკვიანი კაცი ხშირად ჩავარდებოდა გასაჭირში, ბრიყვებით რომ არ იყოს გარშემორტყმული.

141. ჩვენ ხშირად ვიკვეხნით იმით, რომ არ ვიცით, რა არის მოწყენილობა. პატივმოყვარეობის გამო არაფრისდიდებით არ ვაღიარებთ, რომ საზოგადოებაში შეიძლება თავს ვიწყენდეთ და ვაბეზრებდეთ ხალხს.

142. თუ ჭკვიანი კაცი ცოტას ლაპარაკობს და ბევრ რამეს ამბობს, უჭკუო, პირიქით, ბევრს ლაპარაკობს და არაფერს ამბობს.

143. სხვების სიქველეს რომ გაზვიადებთ, იმდენად მათ განდიდებას როდი ვცდილობთ, რამდენადაც ჩვენს საკუთარ ღირსებას მივაგებთ პატივს. ერთის შეხედვით, ისე ჩანს, რომ სხვებს ვასხამთ ქებას, სინამდვილეში კი მხოლოდ ის გვსურს, რომ თვითონ ჩვენ გვაქებდნენ სხვები.

144. ადამიანებს არ უყვართ სხვისი ქება და არც არავის აქებენ უანგაროდ. ქება — ესაა დახვეწილი, ფარული და შემპარავი პირმოთნეობა, რომელიც სასიამოვნოა მისთვის, ვისაც ეპირფერებიან: ერთი მას იღებს როგორც საკუთარი ღირსების ჯილდოს, მეორე კი იმიტომ პირფერობს, რომ თავისი სამართლიანობა და გამჭრიახობა დაგვანახვოს.

145. ჩვენ ხშირად ვარჩევთ გესლნარევ ქებას, რომელიც მასში, ვისაც ვაქებთ, არაუშუალოდ ავლენს იმ ნაკლს, რომლის უშუალოდ ხაზგასმასაც ვერ ვბედავთ.

146. მხოლოდ იმიტომ ვაქებთ სხვებს, რომ სხვებმაც ჩვენ გვაქონ.

147. ადამიანებს იშვიათად თუ ჰყოფნით იმდენი ჭკუა, რომ სასარგებლო გმობა არჩიონ სახიფათო ქება-დიდებას.

148. ზოგი გმობა ქებასაც ჰგავს, ზოგი ქება კი გინებაზეც უარესია.

149. ქებაზე უარის თქმა იმას ნიშნავს, რომ ორჯერ შეგაქონ.

150. სურვილი იმისა, რომ ქება-დიდება დავიმსახუროთ, სიმტკიცეს მმატებს ჩვენს სიქველეს. ხოტბა, რომელსაც ჩვენს გონებას, ღირსებას თუ მშვენებას ასხამენ, საშინლად გვაქეზებს, რომ უფრო გონიერნი, უფრო ღირსეულნი, უფრო მშვენიერნი ვიყოთ.

151. სხვებზე მბრძანებლობა უფრო ადვილია, ვიდრე იმის მიღწევა, რომ სხვები არ მბრძანებლობდნენ შენზე.

152. ჩვენ თვითონ რომ არ ვპირფერობდეთ საკუთარ თავს, სხვების პირფერობა ვერას გვავნებდა.

153. ღირსებას ბუნება გვანიჭებს და ბედის წყალობით კი ვავლენთ მას.

154. ბედისწერა იმ ნაკლსაც კი გვასწორებინებს, რომელსაც ვერ გამოასწორებდა თვითონ გონებაც.

155. ზოგი კაცი, მთელი მისი ღირსების მიუხედავად, თვალის დასანახავადაც ეჯავრებათ, ზოგი კი გვიზიდავს მთელი მისი ნაკლის მიუხედავად.

156. ზოგიერთის მთელი ღირსება ისაა, რომ სისულელის თქმასაც და ქმნასაც სარგებლიანად ახერხებს; მოქმედების წესი რომ შეეცვალა, ყველაფერი წყალში ჩაეყრებოდა.

157. დიდი ადამიანების დიდება ყოველთვის იმ საშუალებებით უნდა იზომებოდეს, რომელთა წყალობითაც აღწიეს მას.

158. მეფეების ხელში ადამიანები მონეტებს ჰგვანან: ისინი მათ იმნაირ ღირებულებას ანიჭებენ, როგორიც თვითონ მოეპრიანებათ, და ხალხი იძულებულია ნამდვილი ღირსების კი არა, კარიერის მიხედვით აფასებდეს მათ, ისევე როგორც ფულს მიითვლიან მხოლოდ მისი კურსის მიხედვით.

159. არ კმარა მხოლოდ დიდებული თვისებებით იყო შემკული; მათი მოხმარების თავიც უნდა გქონდეს.

160. რაგინდ ბრწყინვალეც უნდა იყოს, ვერავითარ საქმეს ვერ მივიჩნევთ სიდიადის ნიმუშად, თუკი დიადი ჩანაფიქრის შედეგი არ არის.

161. ჩანაფიქრი და შედეგი უთუოდ უნდა შეესაბამებოდნენ ერთმანეთს, თორემ მათი შინაგანი შესაძლებლობანი განუხორციელებელი დარჩება.

162. უნარი იმისა, რომ მარჯვედ ვიყენებდეთ ჩვენს მოკრძალებულ შესაძლებლობებს, მაინცდამაინც დიდი პატივის ღირსად არ არის მიჩნეული, თუმცა ხანდახან უფრო დიდ სახელს კი გვიხვეჭს, ვიდრე ჩვენივე ჭეშმარიტი ღირსება.

163. ადამიანთა ურიცხვი ქცევა ხშირ შემთხვევაში მხოლოდ იმიტომ ჩანს სასაცილო, რომ მათი ჭეშმარიტად გონივრული და საფუძვლიანი მიზეზები დაფარულია გარეშეთათვის.

164. კაცისთვის უფრო ადვილია იმ თანამდებობის ღირსი ჩანდეს, რომელიც არ უჭირავს, ვიდრე იმისა, რომელიც უკავია.

165. პატიოსანი ხალხი ჩვენი ღირსებისათვის გვცემს პატივს, ბრბო კი — ბედის წყალობისათვის.

166. მაღალ საზოგადოებაში მოჩვენებით ღირსებას უფრო აფასებენ, ვიდრე ჭეშმარიტს.

167. სიძუნწე უფრო მეტად უპირისპირდება მომჭირნეობას, ვიდრე ხელგაშლილობას.

168. რაგინდ მატყუარაც უნდა იყოს იმედი, მაინც საამო გზით გვატარებს თვით სიცოცხლის დასასრულამდე.

169. თუმცაღა მოვალეობისადმი ერთგულებას ხშირად ჩვენი სიმხდალე და სიზარმაცე უდევს საფუძვლად, მაგრამ ამ ერთგულების სანაცვლო ჯილდო მხოლოდ ჩვენს სიქველეს წილად ხვდის.

170. ძნელია განსაზღვრო, რითაა გამოწვეული ღირსეული და გულწრფელი ქცევა — პატიოსნებით თუ ფარული ანგარებით.

171. სიქველე ისე ითქვიფება ანგარებაში, როგორც მდინარე — ზღვაში.

172. თუ გულდასმით დავუკვირდებით მოწყენილობის უთვალავ შედეგს, დავრწმუნდებით, რომ ის გვაიძულებს უფრო ხშირად ვუღალატოთ ჩვენს მოვალეობას, ვიდრე თვით ანგარება.

173. არსებობს ცნობისმოყვარეობის ორი სხვადასხვა სახე: ერთი — ანგარებით განპირობებული, რომელიც გვაიძულებს გავიგოთ ის, რაც შეიძლება გამოგვადგეს; მეორე — სიამაყით, რომლის წყაროც ამის შეცნობის სურვილი გახლავთ, რაც არ იციან სხვებმა.

174. უმჯობესია ჩვენი სულის მთელი ძალა მოვახმაროთ თავსდატეხილი უბედურების ღირსეულად ატანას, ვიდრე იმ უბედურებაზე ფიქრს, რომელიც შეიძლება მომავალში დაგვატყდეს თავს.

175. ერთგულება სიყვარულში — ესაა მუდმივი უმტკიცობა, რომელიც გვაიძულებს რიგრიგობით მოგვეწონოს საყვარელი არსების ყველა ღირსება, ისე რომ, ხან ერთს ვანიჭებდეთ უპირატესობას და ხან მეორეს. ამრიგად, ეს ჩვენი სიმტკიცე სხვა არა არის რა, თუ არა ერთგვარი უმტკიცობა, რომელიც მხოლოდ ერთი საგნითაა შემოსაზღვრული.

176. ერთგულება სიყვარულში ორნაირია: ჩვენ ერთგულნი ვართ ან იმიტომ, რომ სიყვარულის ღირს ახალ-ახალ თვისებებს ვპოულობთ საყვარელ არსებაში, ანდა იმიტომ, რომ ერთგულებას ბედნიერების წყაროდ ვსახავთ.

177. ერთგულება არც ქების ღირსია და არც გმობისა, ვინაიდან მასში თავს იჩენს გემოვნებისა და გრძნობების სიმტკიცე, რომელიც ჩვენს ნებაზე როდია დამოკიდებული.

178. ახალი ნაცნობების შეძენისკენ ჩვენ გვაქეზებს არა ის, რომ ძველი ნაცნობობა გვბეზრდება ანდა ცვლილებების გარეშე ვერ ვძლებთ, რამდენადაც იმის შეგნებით გამოწვეული უკმაყოფილება, რომ ძველი ნაცნობები სათანადოდ არ აფასებენ ჩვენს ღირსებებს, და იმის იმედი, რომ ახლები უკეთ დაგვაფასებენ.

179. ჩვენ ხშირად ვუჩივით მეგობრებს, რათა ჩვენივე მეგობრობის უმტკიცობა გავამართლოთ.

180. ჩვენი სინანული იმდენად წუხილი როდია ჩვენს მიერ ჩადენილი ბოროტების გამო, რამდენადაც შიში ბოროტებისა, რომელიც შეიძლება სიავკაცის სანაცვლოდ მოგვივიდეს.

181. მერყეობას ზოგჯერ თავქარიანობა და ფუქსავატობა უდევს საფუძვლად, რაც აიძულებს ადამიანს დაუფიქრებლად დაეთანხმოს სხვების ყოველგვარ აზრს; მაგრამ არსებობს სხვანაირი მერყეობაც, რომლის წყაროც სხვა არა არის რა, თუ არა ზიზღი საგნითა მაძღარი.

182. ბიწი ისევე შედის სიქველეში, როგორც საწამლავი — წამლის შემადგენლობაში; კეთილგონიერება ერთმანეთს ურევს და, ამრიგად, არბილებს მათ მოქმედებას, ხოლო შემდეგ მოხერხებულად იყენებს ამ ნაზავს ათასგვარი ხიფათისგან თავდასაღწევად.

183. სიქველის სასახელოდ ის მაინც უნდა ითქვას, რომ ყველაზე დიდი უბედურება ადამიანებს მისი წყალობით კი არ ატყდება თავს, არამედ მათი საკუთარი ცოდვის შედეგად.

184. ჩვენ მხოლოდ იმიტომ ვაღიარებთ საკუთარ ნაკლს, რომ გულწრფელობით მაინც ავინაზღაუროთ ის ზარალი, რასაც ჩვენი ნაკლი გვაყენებს საზოგადოების თვალში.

185. სიკეთისა არ იყოს, ბოროტებასაც თავისი გმირები ჰყავს.

186. ბიწიერნი კი არ იწვევენ ჩვენს ზიზღს, არამედ ისინი, ვისაც არავითარი სიქველე არ გააჩნია.

187. მოჩვენებითი სიქველე ისევე სასარგებლოა ანგარებისათვის, როგორც ბიწიერება.

188. სულიერი სიჯანსაღე ისევე მყიფეა, როგორც ხორციელი, და ვისაც ვნებებისაგან თავისუფალი ჰგონია თავი, ისევე შეიძლება მათ დაემონოს, როგორც შეიძლება ავად გახდეს საღსალამათი კაცი.

189. კაცმა შეიძლება იფიქროს, რომ ბუნება დაბადებიდანვე უსაზღვრავს ადამიანს მის წილხვედრ სიქველესა და ბიწიერებას.

190. დიდი ნაკლი მხოლოდ დიდ ადამიანებს ახასიათებს.

191. შეიძლება ითქვას, რომ სხვადასხვაგვარი ბიწი ისევე გველის ცხოვრების გზაზე, როგორც მექარვასლენი, რომელთა ქარვასლებშიც რიგრიგობით უნდა ვათიოთ ღამე, და მე მეეჭვება, რომ გამოცდილებას შეეძლოს გვერდი აგვაქცევინოს მათთვის, სასწაულიც რომ მოხდეს და მეორედ შევძლოთ ამავე გზის გავლა.

192. როდესაც ბიწი გვტოვებს, ჩვენ ვცდილობთ თავი დავირწმუნოთ, თითქოს ჩვენ-ვე მივატოვეთ იგი.

193. სულის სნეულება ისევე შექცევადია, როგორც ხორცისა. რაც ჩვენ გამოჯანსაღება გვგონია, უმეტესწილად სხვა არა არის რა, თუ არა ძველი ტკივილის ოდნავი შემსუბუქება, ან ახლის დასაწყისი.

194. სულის ბიწიერებანი ხორცის წყლულებსა ჰგვანან: რარიგ კულმოდგინედაც უნდა ვმკურნალობდეთ, ისინი მაინც ტოვებენ ნაჭრილობევს და ყოველ წამს შეიძლება გაიხსნან პირი.

195. მთელის არსებით მხოლოდ იმიტომ არ ვეძლევით ერთ რომელსამე ბიწს, რომ ბევრი ბიწი გვაქვს.

196. ჩვენ ადვილად ვივიწყებთ საკუთარ შეცდომებს, როცა ისინი ჩვენს მეტმა არავინ იცის.

197. არის კაცი, ვის სიცუდესაც ვერასდროებით ვერ დაიჯერებთ, სანამ საკუთარი თვალით არ დარწმუნდებით ამაში. მაგრამ არ არსებობს კაცი, ვისმა სიცუდემაც შეიძლება განგაცვიფროთ, მას შემდეგ, რაც თქვენი თვალით იხილავთ მის ნაავკაცარს.

198. ჩვენ ზოგჯერ მხოლოდ იმიტომ ვაზვიადებთ ერთი კაცის ღირსებას, რომ მეორე დავაკნინოთ: ასე მაგალითად, ხალხი არც ისე განადიდებდა პრინც კონდეს, მარშალ ტიურენის განქიქება რომ არ ისახავდეს მიზნად, ანდა პირიქით.

199. სურვილი იმისა, რომ შორსმჭვრეტელნი ვჩანდეთ, ხშირად ჩვენი სიბეცის მიზეზი გახლავთ.

200. სიქველე ასე შორს ვერ წავიდოდა, პატივმოყვარეობა რომ არ ახლდეს თან.

201. ვისაც ჰგონია, რომ სხვების გარეშე გავა ფონს, სასტიკად ცდება, მაგრამ ვისაც ჰგონია, რომ სხვები უიმისოდ ვერ გავლენ ფონს, კიდევ უფრო სასტიკად ცდება.

202. ყალბი კეთილშობილება აიძულებს ადამიანებს თავიანთი ნაკლი დაუმალონ სხვებსაც და თავიანთ თავსაც, ჭეშმარიტად კეთილშობილნი კი მშვენივრად გრძნობენ და თამამადაც აღიარებენ ამას.

203. ჭეშმარიტად კეთილშობილ კაცს არასოდეს არაფრით არ მოაქვს თავი.

204. თავდაჭერილობა ქალებისათვის იგივეა, რაც ფერ-უმარილი, რომლითაც ისინი თავიანთ სილამაზეს ამკობენ.

205. ქალების უმანკოება ხშირ შემთხვევაში სხვა არა არის რა, თუ არა სახელისა და სიმშვიდისათვის ზრუნვა.

206. ჭეშმარიტად კეთილშობილი კაცია ის, ვინც არაფერს უმალავს კეთილშობილ ხალხს.

207. სიშლეგე მთელი ცხოვრების მანძილზე თან დაგვდევს ჩვენ. ბრძენიც რომ ჩანდეს კაცი, მხოლოდ იმიტომ, რომ მისი სიშლეგე მისივე ასაკისა და მდგომარეობის ტოლფარდია.

208. ზოგ ბრიყვს ნათლად აქვს შეგნებული თავისი სიბრიყვე და მოხერხებულად სარგებლობს ამით.

209. ვისთვისაც უცხოა სიშლეგე, არც ისე ბრძენი გახლავთ, როგორც თვითონ მას ჰგონია.

210. სიბერეში კაცის სიშლეგეც მატულობს და სიბრძნეც.

211. ზოგიერთი კაცი სიმღერასაც ჰგავს, რომელსაც მხოლოდ ერთხანს ღიღინებენ.

212. ადამიანთა უმრავლესობა თავიანთ ახლობლებს მხოლოდ მათი სიმდიდრისა თუ წარმატების მიხედვით აფასებს.

213. დიდების სიყვარული, სირცხვილის შიში, ბედნიერი და საამური ცხოვრების სურვილი, სიმდიდრისაკენ სწრაფვა, სხვების დამცირების წყურვილი, — აი, ხშირ შემთხვევაში რა უდევს საფუძვლად ღირსებას, რომელსაც ასე აქებენ და ადიდებენ კაცნი.

214. უბრალო ჯარისკაცისათვის სიმამაცე სხვა არა არის რა, თუ არა სახიფათო ხელობა, რომელსაც იგი ლუკმა-პურის საშოვნელად მისდევს.

215. უდიდესი სიმამაცე და სულმოკლეობა — აი, ორი უკიდურესობა, რომლებიც ძალზე იშვიათად გვხვდება. მათ შორის მთელი უზარმაზარი სივრცე სავსეა სიმამაცის ათასგვარი ნაირსახეობით, რომელთა შორისაც ისეთივე განსხვავებაა, როგორც ადამიანთა სახეებსა თუ

ხასიათებს შორის. ზოგი კაცი ბრძოლის დასაწყისში წარმტეხრელად ებმება განსაცდელს, მაგრამ თუკი ბრძოლა გაჭიანურდა, სიმხნევე ღალატობს და სულით ეცემა. ზოგიერთი მხოლოდ იმას ასრულებს, რასაც მისგან მოითხოვს ხალხი და სხვას არარას დაეძებს: იმას სჯერდება. ზოგს თანამოლაშქრეთა შიში სნეულებასავით გადაედება, ზოგი კი მხოლოდ იმიტომ ებმება ბრძოლაში, რომ ადგილზე დარჩენას ვერ ბედავს. ერთნი, ხანგრძლივ შემთხვევაში განსაცდელს რომ შეეჩვევიან, ისეთნაირად იწრთობიან სულით, რომ [illegible] თამამად ებრძვიან უფრო დიდ განსაცდელსაც. ზოგიერთნი მამაცნი არიან, როცა ხმალი უჭირავთ ხელში, მაგრამ თოფის გასროლაზე კი ფერიფერი მისდით. მესამენი თამამად უშვერენ მკერდს ტყვიას, მაგრამ ლაჩრულად გაურბიან ხმალდახმალ ბრძოლას. სიმამაცის ყველა ეს ნაირსახეობა იმით ჰგავს ერთმანეთს, რომ, ღამით, როცა შიში იზრდება და სიბნელე ფარავს როგორც ღირსეულ, ისე ულირს ქცევასაც, ხალხი ზედ დაეჭანცალებს თავის სიცოცხლეს. მაგრამ არსებობს თვითდაცვის კიდევ ერთი, გაცილებით უფრო ზოგადი ხერხი: არ არსებობს კაცი, რომელიც ბედავდეს იმას, რასაც უთუოდ გაბედავდა, დარწმუნებული რომ იყოს, ყველაფერი კეთილად დამთავრდებაო. ამრიგად, ასეა თუ ისე, სიკვდილის შიში ყოველთვის აკნინებს ჩვენს სიმამაცეს.

216. უკიდურესი სიმამაცე ისაა, რომ მარტოდმარტომ ჩაიდინო ის, რასაც კაცი მხოლოდ მრავალრიცხოვან მოწმეთა თვალწინ თუ ბედავს.

217. უშიშრობა — ესაა უჩვეულო ძალა სულისა, რომლის წყალობითაც ის სძლევს დიდი განსაცდელის წინაშე პირისპირ დგომით გამოწვეულ ღელვას, ზარს, ძრწოლას. სწორედ ეს ძალა აძლევს გმირებს იმის უნარს, რომ თვით ყველაზე მოულოდნელსა და თავზარდამცემ ვითარებაშიაც შეინარჩუნონ სიმშვიდე და [illegible], [illegible] და სულიერი წონასწორობა.

218. პირფერობა — ესაა ხარკი, რომელსაც ბიწი უხდის სიქველეს.

219. ბრძოლის ველზე ადამიანთა უმრავლესობა მხოლოდ იმიტომ იგდებს თავს სასიკვდილო საფრთხეში, რომ ჩრდილი არ მიეცხოს მათ ღირსებას. მაგრამ ცოტა ვინმე თუ სწირავს თავს ისე, როგორც ამას მოითხოვს მიზანი, რომლის გულისთვისაც სწირავენ თავს.

220. პატივმოყვარეობა, სირცხვილი და, უწინარეს ყოვლისა, ტემპერამენტი, — აი, რა განაპირობებს უმეტესწილად მამაკაცურ სიქველეს და ქალურ სათნოებას.

221. ყველას სურს სახელის მოხვეჭა, მაგრამ არავის არ სურს თავის გაწირვა. ამიტომ მამაცი კაცი ბრძოლის ველზე არანაკლებ მოხერხებულობასა და გამჭრიახობას იჩენს თავის გადასარჩენად, ვიდრე ვერცხლის მოყვარე — სიმდიდრის ხელში ჩასაგდებად.

222. ადამიანის ყრმობისდროინდელი მიდრეკილებებიდან უკვე აშკარად ჩანს, რაშია მისი სისუსტე და რა გამოიწვევს მისი სულისა თუ ხორცის დაცემას.

223. მადლიერება ვაჭრის პატიოსნებასა ჰგავს: ის ალებ-მიცემობას უწყობს ხელს; და ჩვენ ხშირად ვიხდით მის ანგარიშს, არა იმიტომ, რომ გვსურს თავისი მოვუზღოთ სამართლიანობას, არამედ იმიტომ, რომ ხალხი დაუზარებლად გვაძლევდეს სესხს.

224. მათ შორის, ვინც მადლიერების ვალს იხდის, ყველას როდი აქვს უფლება მადლიერ კაცად იწოდებოდეს.

225. ადამიანები ცდებიან, როცა მათ მიერ გაწეული სამსახურის სანაცვლოდ მადლიერებას მოითხოვენ სხვებისგან და იმიტომ ცდებიან, რომ გამცემის სიამაყე და მიმღების სიამაყე მადლიერების ფასზე ვერ მორიგდებიან.

226. როცა მეტისმეტად ჩქარობენ მადლიერებით მიაგონ სანაცვლო თავიანთ კეთილისმყოფელს, ეს სხვა არა არის რა, თუ არა ერთგვარი უმადურობა.

227. ბედნიერი ადამიანები გამოუსწორებელნი არიან: ბედი არ სჯის მათ ჩადენილი ცოდვების გამო და ამიტომაც უცოდველი ჰგონიათ თავი.

228. სიამაყეს არ სურს ვალში დარჩენა, თავმოყვარეობას კი — ვალის გადახდა.

229. თუ კაცი ჩვენი კეთილისმყოფელია, ჩვენ მოვალენი ვართ უდრტვინველად ავიტანოთ მის მიერ მოყენებული შეურაცხყოფაც.

230. მაგალითი გადამდებია და ამიტომ ქცევათა მოდგმის ყველა კეთილისმყოფელსა თუ ბოროტმოქმედს თავიანთი მიმბაძველები ჰყავს. ჩვენ ვბაძავთ კეთილ საქმეებს მეტოქეობის გამო, უკეთურ ქცევას კი თანდაყოლილი ბოროტების გამოისობით, რომელიც სირცხვილს ცხრაკლიტულში ჰყავდა გამომწყვდეული და რომელსაც მხოლოდ მაგალითი ათავისუფლებს.

231. არაფერია უფრო ბრიყვული, ვიდრე იმის სურვილი, რომ ყველასთვის ყველაზე უფრო ჭკვიანი ჩანდე.

232. რითაც უნდა ვხსნიდეთ ჩვენს სიმწარეს და გულისწყრომას, ეს ყოველთვის იმედგაცრუებული ანგარებისა და შეურაცხყოფილი პატივმოყვარეობის შედეგი გახლავთ.

233. ადამიანურ მწუხარებაში ყოველთვის თავს იჩენს სხვადასხვანაირი პირფერობა. ზოგჯერ, ძვირფასი ადამიანის დაკარგვას რომ დავტირით, ჩვენ დავტირით ჩვენსავე თავს: დავტირით ჩვენს დაკარგულ ბედნიერებას, სიმდიდრეს, გავლენას, ვგლოვობთ იმ ყურადღებას, რომელსაც არ გვაკლებდა მიცვალებული. ამრიგად, ჩვენ დავტირით ცოცხლებს, ხოლო მკვდრებს კი ვაკუთვნებთ ჩვენს ცრემლებს. ამგვარი პირფერობა მე მიმაჩნია გულუბრყვილო პირფერობად, ვინაიდან ამ შემთხვევაში ადამიანები ატყუებენ არა მარტო სხვებს, არამედ თავიანთ თავსაც. მაგრამ არსებობს სხვანაირი პირფერობაც, უფრო უკეთური, ვინაიდან შეგნებულად ატყუებს ყველას: მე ვგულისხმობ იმათ გლოვა-გოდებას, ვისაც სურს გაუქარვებელი მწუხარებით მოიხვეჭოს სახელი. მას შემდეგ, რაც ყოვლისშემძლე დრო დაიცხრობს მათ ჭირ-ვარამს, ისინი მაინც დაჟინებით ღვრიან ცრემლს, გულისკვლევად გმინავენ და გოდებენ: უნუგეშობის ნიღაბს ამოფარებულნი მთელი თავიანთი ქცევით ცდილობენ დაგვარწმუნონ, რომ მათ მწუხარებას მხოლოდ მათივე სიკვდილი თუ დაასრულებს. ეს ქედმაღლური და გულისგამაწვრილებელი პირმოთნეობა უმეტესწილად პატივმოყვარე ქალებს ახასიათებს. რაკიღა თავიანთი სქესი დიდებისაკენ მიმავალ ყველა გზას უხშობთ, ისინი ცდილობენ პირფერული და მოჩვენებითი მწუხარებით გაითქვან სახელი. არსებობს კიდევ ერთი პაწაწინა წყარო ცრემლებისა, რომლებიც ადვილად იღვრებიან და ადვილადვე შრებიან: ტირიან იმიტომ, რომ მგრძნობიარედ მოგვეჩვენონ თავი; ტირიან იმიტომ, რომ თანაგრძნობა დაიმსახურონ; ტირიან იმიტომ, რომ დატირებულ იქმნენ, და ბოლოს, ტირიან იმიტომ, რომ სირცხვილია, თუ არა ტირი.

234. ყველაზე უკეთესი მეგობრების უბედურებაში ჩვენ ხშირად ვპოულობთ რაღაც ისეთს, რაც მაინცდამაინც უსიამოვნო როდია ჩვენთვის.

235. მეგობრების მწუხარება დიდი ხნით როდი გვაწუხებს, თუკი ის საშუალებას გვაძლევს ყველას თვალწინ გამოვავლინოთ ჩვენი თანაგრძნობა მათ მიმართ.

236. ხანდახან გვგონია, რომ თავმოყვარეობა სიკეთის მსახური ხდება და თავდავიწყებით ივიწყებს საკუთარ თავს, როცა მოყვასის საკეთილოდ ვიღწვით. სინამდვილეში კი მხოლოდ მიზნისკენ მიმავალ უმოკლეს გზას ვირჩევთ: მევახშენი ვართ და ისე კი ვიქცევით, თითქოს საჩუქრად ვიძლეოდეთ სესხს, რათა, ამრიგად, დახვეწილი თვალთმაქცობის წყალობით მოვიმოგოთ მოყვასთა ნდობა.

237. სიკეთის გულისათვის ქების ღირსია მხოლოდ ის კაცი, ვისაც იმისი ძალიც შესწევს, რომ ხანდახან ბოროტი იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში სიკეთე უმეტეს წილად სხვა არა არის რა, თუ არა მცონარება ანდა ნებისყოფის სისუსტე.

238. ბოროტმოქმედება კაცთა მიმართ ხშირ შემთხვევაში არც ისე საშიშია, როგორც მათთვის ზედმეტი სიკეთის ქმნა.

239. არაფერი ისე საამოდ არ ელაქუცება ჩვენს ქედმაღლობას, როგორც ამა ქვეყნის ძლიერთა ნდობა; ჩვენ მას აღვიქვამთ როგორც ჯილდოს, რომელსაც უცილობლად იმსახურებს ჩვენი ღირსება, თუმცაღა სინამდვილეში ის განპირობებულია ფუჭი პატივმოყვარეობით ან კიდევ იმით, რომ საიდუმლოს შენახვას თავი არა გვაქვს.

240. ზოგიერთზე ვერ იტყვი, ლამაზიაო, მაგრამ აშკარად მომხიბვლელი კია; ეს ერთგვარი სიმეტრია გახლავთ, რომლის კანონებიც ჩვენთვის უცნობია. ესაა ფარული თანაფარდობა სახის ნაკვთებსა და ელფერსა თუ ერთობლივ იერს შორის.

241. კეკლუცობა — აი, ქალების ჭეშმარიტი ბუნება. და თუ უკლებლივ ყველანი არ კეკლუცობენ, მხოლოდ იმიტომ, რომ ზოგიერთს შიში ან გონება უშლის ხელს.

242. ხშირ შემთხვევაში ჩვენ თავს გვაბეზრებენ სწორედ ისინი, ვისაც ჰგონია, რომ შეუძლებელია თავი გვაბეზრებდნენ.

243. არაფერია შეუძლებელი: ნებისყოფის სისუსტე რომ არა, ჩვენ ყოველთვის გამოვძებნიდით ნებისმიერი მიზნისაკენ მიმავალ გზას.

244. ჭეშმარიტად გამჭრიახია ის, ვინც იცის ყველაფრის ფასი.

245. ყველაზე დიდი ცბიერობა ისაა, რომ შენი ცბიერობა დამალო.

246. რაც ჩვენ კეთილშობილება გვგონია, ხშირად სხვა არა არის რა, თუ არა მარჯვედ შენიღბული პატივმოყვარეობა, რომელიც ზიზღით უცქერის ყოველგვარ წვრილმან მოგებას და უშუალოდ მიილტვის მსხვილმანისკენ.

247. ერთგულება უმეტესწილად სხვა არა არის რა, თუ არა თავმოყვარეობის მზაკვრული

ფანდი, რომლის მიზანიც მოყვასთა ნდობის მოხვეჭა გახლავთ; ეგაა გზა, რომლითაც შეიძლება თავზე მოექცე სხვებს და ფარდა ახადო თვით ყველაზე დიდ საიდუმლოს.

248. დიდსულოვნება ყველაფერს უგულებელყოფს, რათა ყველაფერს დაეუფლოს.

249. ხმის ტემბრი, თვალების გამომეტყველება, მოლაპარაკის მთელი იერი არანაკლებ მჭევრმეტყველურია, ვიდრე მის მიერ შერჩეული სიტყვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

250. ჭეშმარიტი მჭევრმეტყველება ისაა, რომ თქვა ყველაფერი, რაც საჭიროა, და არ [illegible] თქვა მეტი, ვიდრე საჭიროა.

251. ზოგს თავისი ნაკლიც უხდება, ზოგს კი თავისი ღირსებაც აუშნოებს.

252. გემოვნების ცვალებადობა ისევე ჩვეულებრივი რამ არის, რამდენადაც უჩვეულო მიდრეკილებათა ცვალებადობა.

253. ანგარება ამოძრავებს ყველა სიქველეს და ყველა ბიწს.

254. თვინიერება ხშირად სხვა არა არის რა, თუ არა მოჩვენებითი მორჩილება, რომელიც სხვების დამორჩილებას ისახავს მიზნად; ეს — ფანდია ქედმაღლობისა, რომელიც თავის თავს იმდაბლებს, რათა უფრო მეტად ამაღლდეს; და თუმცა ქედმაღლობას ურიცხვი სხვადასხვა ნიღაბი აქვს, მაგრამ ყველაზე ნაცთური და ყველაზე თვალთმაქცური სწორედ თვინიერება გახლავთ.

255. თითოეულ გრძნობას მისთვის დამახასიათებელი ჟესტი, ინტონაცია თუ მიმიკა შეესაბამება; ყველა ეს რიგიანი თუ ურიგო, სასიამოვნო თუ უსიამოვნო თანაფარდობა გახლავთ იმის მიზეზი, რომ ადამიანები გვიზიდავენ ან ზიზღს გვგვრიან.

256. ყოველი კაცი, მისი რაობისა თუ ვინაობის მიუხედავად, ცდილობს ისეთი სახე მიიღოს და ამნაირი ნიღაბი გაიკეთოს, რომ ყველას თვალში ჩანდეს იმად, რადაც სურს ჩანდეს. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ მთელი საზოგადოება მხოლოდ ნიღბებისაგან შედგება.

257. მედიდურობა სხეულის იდუმალი თვისებაა, გამოგონილი მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ გონების ნაკლოვანება დამალოს.

258. პირმოთნეობა ყალბი მონეტაა, რომელსაც მხოლოდ ჩვენი პატივმოყვარეობის წყალობით აქვს გასავალი.

259. დახვეწილი გემოვნება იმდენად გონების სიძლიერეს როდი მოწმობს, რამდენადაც აზრის სიცხადეს.

260. სიყვარულით მონიჭებული ბედნიერება ისაა, რომ გიყვარდეს; ადამიანი უფრო ბედნიერია მაშინ, როცა თვითონვეა ვნებაატანილი, ვიდრე მაშინ, როცა სხვას აღუძრავს ვნებას.

261. თავაზიანობა — ესაა იმის სურვილი, რომ ყოველთვის თავაზიანად გვეპყრობოდნენ და ზრდილ კაცად გვთვლიდნენ.

262. ახალგაზრდობის აღზრდა, ჩვეულებრივ, სხვა არა არის რა, თუ არა მათი თანდაყოლილი პატივმოყვარეობის გაფურჩქვნა და განვითარება.

263. არცერთ ვნებაში ისე ერთპიროვნულად არ მბრძანებლობს თავმოყვარეობა, როგორც სიყვარულში; ამიტომაა, რომ საყვარელი არსების სიმშვიდეს კაცი ხშირ შემთხვევაში მსხვერპლად სწირავს საკუთარი სიმშვიდის შენარჩუნებას.

264. ეგრეთ წოდებულ გულუხვობას უმეტესწილად საფუძვლად უდევს პატივმოყვარეობა: სწორედ მისი წყალობითაა, რომ საკუთრივ გულუხვობას უფრო ვაფასებთ, ვიდრე იმას, რასაც გულუხვობის შედეგად გავცემთ.

265. თანაგრძნობა ხშირად სხვა არა არის რა, თუ არა სხვის უბედურებაში საკუთარი უიღბლობის ჭვრეტის უნარი. ესაა წინათგრძნობა უბედურებისა, რომელიც შეიძლება ჩვენც დაგვატყდეს თავს. სხვებს სწორედ იმიტომ ვეხმარებით, რომ ისინი, თავის მხრივ, ჩვენ დაგვეხმარონ. ამრიგად, ჩვენი ქველმოქმედება, კაცმა რომ თქვას, სხვა არა არის რა, თუ არა სამსახური, რომელსაც წინასწარ ვუწევთ ჩვენსავე თავს.

266. გონებაშეზღუდულობა სიკერპის სათავეა: ძალზე ძნელად თუ ვირწმუნებთ რამეს ისეთს, რაც ჩვენი თვალსაწიერის ფარგლებს სცილდება.

267. ცდება, ვინც ფიქრობს, რომ მხოლოდ ისეთ ზობოქარ ვნებებს, როგორიცაა სიყვარული და პატივმოყვარეობა, შეუძლიათ სხვა ვნებების დამორჩილება. მცონარება, მთელი მისი სიჩლუნგის მიუხედავად, ხშირ შემთხვევაში მძლეთა-მძლე ძალად გვევლინება: თითოეულ ჩვენს ზრახვასა და მოქმედებას რომ მოიცავს, ის შეუმჩნევლად აქარწყლებს ყველა ჩვენს მისწრაფებას, მთელ ჩვენს სიქველეს.

268. ადამიანები უყოყმანოდ იჯერებენ ყოველივე ცუდს და უკეთურს, ისე რომ, არც კი ცდილობენ ჩააწვდნენ საქმის არსს; ამის მიზეზი მათი ქედმაღლობა და მცონარება გახლავთ.

მათ სურთ მიაკვლიონ დამნაშავეს, მაგრამ არ ნებავთ დანაშაულის თუნდაც ზერელე განხილვით შეიწუხონ თავი.

269. ჩვენ ყოვლად უბადრუკი მიზეზების გამო ვადანაშაულებთ მსაჯულებს და, მიუხედავად ამისა, უყოყმანოდ გამოვიტანთ ჩვენს ღირსებას და ჩვენს პატივს მათ სამსჯავროზე, თუმცა ისინი ჩვენი მტრები არიან, — შურის, გონებაშეზღუდულობის თუ, უბრალოდ, უსწავლელობის გამო. სწორედ მათი მხარდაჭერის იმედითაა, რომ სასწორზე ვდებთ ჩვენს სიმშვიდეს და თვით სიცოცხლეს.

270. რაგინდ გამჭრიახიც უნდა იყოს ადამიანი, მაინც ვერ გაისიგრძეგანებს მთელს იმ ბოროტებას, რომელსაც სჩადის.

271. ჩვენს მიერ მოხვეჭილი დიდება იმ დიდების საწინდარია, რომლის მოხვეჭასაც აწი ვაპირებთ.

272. ახალგაზრდობა — ესაა განუწყვეტელი სიმთვრალე, ესაა გონების ციებ-ცხელება.

273. ჩვენ გვიყვარს სხვის სულში ხელის ფათური, მაგრამ არ გვიყვარს, როცა ჩვენს სულში სხვები აფათურებენ ხელებს.

274. იმას, ვის ღირსებასაც აკადემიის ჯილდო ხვდა წილად, ყველაზე მეტად უნდა ერცხვენოდეს იმ თავდაუზოგავი რუდუნებისა, რომლის მიზანიც მხოლოდ ის გახლავთ, რომ დამსახურებად ჩაუთვალონ ყოველგვარი წვრილმანი.

275. საზოგადოებაში არცთუ იშვიათად დიდ პატივს სცემენ იმ კაცს, რომლის ერთადერთი ღირსებაც ყოველდღიურ ცხოვრებაში სასიამოვნოდ მიჩნეული ბიწიერება გახლავთ.

276. რა გულისგამაწვრილებელი სნეულებაა ერთთავად იმის მცდელობა, რომ ყოველდღიური მკაცრი რეჟიმის წყალობით როგორმე შეინარჩუნო ჯანმრთელობა.

277. სიყვარულის პირველი დღეების მომხიბვლელობა ხეხილის ყვავილობასა ჰგავს: მთელი მათი სილამაზე ყვავილებივით სწრაფად ხუნდება და ჭკნება.

278. ბუნებით თანდაყოლილი სიკეთე, რომელსაც თავისი მგრძნობიარობით მოაქვს თავი, ხშირ შემთხვევაში დარცხვენილი დუმს, ყველაზე უბადრუკი ანგარებით ძლეული.

279. განშორება ანელებს წუთიერ გატაცებას, მაგრამ ამძაფრებს ბობოქარ ვნებას, ისევე როგორც ქარი აქრობს სანთელს, მაგრამ აჩაღებს ხანძარს.

280. ხშირ შემთხვევაში ქალებს უსიყვარულოდ ჰგონიათ, შეყვარებულნი ვართო: ინტრიგით გატაცება, სიყვარულის [illegible], ვნებათა ღელვა, სასიყვარულო თავგადასავლით გამოწვეული, შიში იმისა, რომ უარით შეიძლება შეურაცხყონ კაცი, — ყოველივე ეს მათ აფიქრებინებს, მართლა გვიყვარსო, თუმცა სინამდვილეში მხოლოდ სიყვარულობანას თამაშით არიან გართულნი.

281. ადამიანები ხშირად უკმაყოფილონი არიან იმათი ქცევით, ვისაც ამა თუ იმ საქმის მოგვარებას ანდობენ, ვინაიდან შუამავლები თითქმის ყოველთვის უგულებელყოფენ თავიანთი მეგობრების ინტერესებს, ოღონდ კი როგორმე თავი გაართვან საქმეს და, ამრიგად, თვითონ მოიხვეჭონ სახელი.

282. როცა ხაზგასმით ვაზვიადებთ ჩვენი მეგობრების სიყვარულს ჩვენდა მიმართ, ამის მიზეზი იმდენად მადლიერების გრძნობა როდია, რამდენადაც იმის სურვილი, რომ უფრო აშკარად წარმოვაჩინოთ ჩვენი ღირსება.

283. კეთილმოსურნეობა, რომლითაც ახალბედებს ეგებებიან მაღალ საზოგადოებაში, განპირობებულია ფარული შურით ყველა იმ კაცის მიმართ, ვინც უკვე მოასწრო მტკიცე ადგილი დაემკვიდრებინა იქ.

284. იგივე სიამაყე, რომელიც ასე ხშირად აღგვიძრავს შურს სხვების მიმართ, ხანდახან იმაშიც გვეხმარება, რომ ცოტათი მაინც მოვთოკოთ ჩვენი შური.

285. სიცრუე ისე მარჯვედ ირგებს ხოლმე სიმართლის ნიღაბს, რომ აშკარად შეცდომას უშვებს, ვინც არ ტყუვდება.

286. სხვისი საქმიანი რჩევით რომ მოხერხებულად ისარგებლო, ხანდახან არანაკლები ჭკუაა საჭირო, ვიდრე იმისთვის, რომ საქმიანი რჩევა მისცე საკუთარ თავს.

287. ზოგიერთი ბოროტმოქმედი ნაკლებ საშიში იქნებოდა, არავითარი სიკეთე რომ არ გააჩნდეს.

288. დიდსულოვნება საკმაოდ ზუსტადაა განსაზღვრული მისივე სახელით; და მაინც, შეიძლება ითქვას, რომ ესაა საღი აზრი სიამაყისა, ესაა სახელის მოხვეჭის ყველაზე კეთილშობილური გზა.

289. შეუძლებელია ხელახლა შევიყვაროთ ის, ვისზედაც ერთხელ მართლა ავიყარეთ გული.

290. ერთი და იმავე საკითხის რამდენიმე გადაჭრის რომ ვპოულობთ ხოლმე, ამის მიზეზი იმდენად ჩვენი გონების ნაყოფიერება როდია, რამდენადაც მისი შეზღუდულობა; ამიტომ, ნაცვლად იმისა, რომ ყველაზე უკეთეს გადაწყვეტილებაზე შევჩერდეთ, ის ერთბაშად და განურჩევლად გვთავაზობს ათასნაირ შესაძლებლობას.

291. ზოგიერთ ვითარებაში, ისევე როგორც ზოგიერთი სნეულებისას, დგება ხოლმე წამი, როცა სწვების ნარევმა შეიძლება მხოლოდ გაართულოს საქმე; დიდი გამჭრიახობა გვმართებს, რათა გამოვიცნოთ ყველა ის შემთხვევა, როცა წამლის ხმარებას ვერიდოთ.

292. მოჩვენებითი სისადავე სხვა არა არის რა, თუ არა დახვეწილი თვალთმაქცობა.

293. ადამიანის ხასიათი უფრო მეტ ნაკლს შეიცავს, ვიდრე მისი გონება.

294. ხილისა არ იყოს, ადამიანის ყველა ღირსებასაც თავისი დრო აქვს.

295. შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის ხასიათს, ზოგიერთ ნაგებობასავით, რამდენიმე ფასადი აქვს; ვერ ვიტყვით, რომ ყველა მათგანი სასიამოვნო იყოს საცქერლად.

296. თავმდაბლობას ღირსება არა აქვს იტრაბახოს იმით, რომ თრგუნავს და გასაქანს არ აძლევს პატივმოყვარეობას: თავმდაბლობა სიზარმაცე და მოდუნებაა სულისა, პატივმოყვარეობა კი მღელვარე გზნება და მღელვარება, და ამიტომაც მათი გზები არასდროს არ კვეთენ ერთმანეთს.

297. ჩვენ ყოველთვის გვიყვარს ისინი, ვინც აღტაცებით გვცქერის, მაგრამ ყოველთვის როდი გვიყვარს ისინი, ვისითაც თვითონ ვართ აღტაცებულნი.

298. იშვიათად თუ გვაქვს ნათელი წარმოდგენა, მაინც რას ვესწრაფვით, რა გვსურს.

299. ძნელია გვიყვარდეს ისინი, ვისაც არაფრად ვაგდებთ, მაგრამ კიდევ უფრო ძნელია გვიყვარდეს ისინი, ვისაც საკუთარ თავზე მეტად ვაფასებთ.

300. ჩვენი სხეულის ცოცხალი წვენი, თავისი ჩვეული და უცვლელი მიმოქცევისას, უხილავად ამოძრავებს და წარმართავს ჩვენს ნებისყოფას; ერთიან ნაკადად რომ ერწყმიან ერთმანეთს, ისინი თანდათანობით გვიმორჩილებენ და თითქოს ნებაზე ბატონობენ, მაგრამ ისე, რომ ჩვენ ვერც კი ვგრძნობთ ამას.

301. ადამიანთა უმრავლესობის მადლიერება [illegible], მაგრამ მარტივად შენიღბული სურვილი იმისა, რომ მათ ღირსებას უფრო მეტი პატივი მიაგონ ხოლმე.

302. თითქმის ყველა კაცი სიამოვნებით იხდის წვრილმანი სიკეთის სანაცვლოს; ადამიანთა უმრავლესობა მადლიერია, როცა მათ არცთუ უმნიშვნელო სამსახურს უწევენ, მაგრამ თითქმის არ არსებობს კაცი, თავის კეთილისმყოფელს უმადურობით რომ არ მიაგებდეს სანაცვლოს განსაკუთრებული სამსახურისათვის.

303. ზოგიერთი სიშლეგე გადამდებ სნეულებასავით ვრცელდება.

304. ბევრს ეზიზღება ცხოვრებისეული სიკეთე, მაგრამ ცოტა ვინმე თუ გაიმეტებს მას.

305. ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ გავბედავთ ეჭვის თვალით შევხედოთ ათასნაირ ცრუ ჩვენებს, როცა ყოველდღიურ უმნიშვნელო წვრილმანებს ეხება საქმე.

306. რამდენი ქება-დიდებაც უნდა გვასხამდნენ, ახალს მაინც ვერას გვეტყვიან.

307. ჩვენ შეგვიძლია არცთუ იშვიათად მივუტევოთ მას, ვინც თავს გვაბეზრებს, მაგრამ არასდროებით არ მივუტევებთ იმას, ვისაც თვითონ ვაბეზრებთ თავს.

308. ანგარებას ერთხმად სდებენ ბრალს, როგორც ყველა ჩვენი უღირსი ქცევის მიზეზს, მაგრამ რატომღაც ივიწყებენ, რომ ის ხშირ შემთხვევაში ქებასაც იმსახურებს ბევრი ჩვენი კეთილი საქმის გამო.

309. ვიდრე კაცს სიკეთის ქმნის ძალი შესწევს, არ უნდა ეშინოდეს უმადურების.

310. პატივი მივაგოთ ჩვენში ღირსებას, როცა საკუთარ თავზე ვფიქრობთ, იმდენადვე მართებულია, რამდენადაც სასაცილოა თავის ქება სხვების წინაშე.

311. თავმდაბლობა ამიტომ შერაცხეს სიქველედ, რომ გასაქანი არ მიეცათ დიდი ადამიანების პატივმოყვარეობისათვის და, ამავდროულად, ნუგეში ეცათ მდარე ადამიანებისათვის, რათა მათ მტკივნეულად არ განეცადათ თავიანთი სიღატაკე და სულიერი სიმწირე.

312. ზოგ კაცს თითქოს თვით ბედისწერამ დაანათლა სიბრიყვე: ისინი ათასნაირ სისულელეს სჩადიან არა მარტო საკუთარი ნება-სურვილით, არამედ აგრეთვე ბედისწერის განწესებითაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

313. ხანდახან ისეთ შავ დღეში ვარდება კაცი, რომ ამ ღვთის რისხვისაგან თავდასაღწევად კი გარკვეული სიშლეგეა საჭირო.

314. თუკი ამ ქვეყნად მოიძებნება კაცი, გარეგნულად რომ არ გამხდარიყოს ხშირად სასაცილო, მხოლოდ იმიტომ, რომ მისი სასაცილო თვისებების ჩინებულად აქვს მოწესრიგებული თავი.

315. შეყვარებულებს იმიტომ არ სჩვევიათ მოწყენა, რომ გაუთავებლად ლაპარაკობენ თავიანთ თავზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

316. რატომ გვახსოვს ასე დაწვრილებით ის, რაც შეგვემთხვა, მაგრამ არ გვახსოვს, მერამდენედ ვუყვებით ამ შემთხვევას ერთსა და იმავე კაცს?

317. საკუთარ თავზე ლაპარაკი უდიდეს-უზომო სიამოვნებას გვანიჭებს, მაგრამ რატომ ერთხელაც არ დავფიქრდებით, ასეთსავე სიამოვნებას ანიჭებს თუ არა ეს ჩვენს მსმენელებსაც?

318. რა გვაშლის ხელს იმაში, რომ ბოლომდე გადავუშალოთ მეგობრებს გული? — უნდობლობა, მაგრამ არა იმდენად მათდამი, რამდენადაც ჩვენივე თავის მიმართ.

319. სუსტი ხასიათის კაცი შეუძლებელია გულწრფელი იყოს.

320. არც ისე დიდი უბედურებაა, დახმარების ხელი გაუწოდო უმადურს, მაგრამ ვაი მას, ვინც არ უარყოფს არამზადის მიერ შემოთავაზებულ დახმარებას.

321. სიშლეგისაგან კი შეიძლება განიკურნოს კაცი, მაგრამ ვინ შესძლებს გამრუდებული ტვინის გასწორებას?

322. დიდხანს როდი გაგვყვებოდა კეთილგანწყობილება ჩვენი მეგობრებისა და კეთილისმყოფელების მიმართ, მათ ნაკლზე ლაპარაკის უფლებას რომ ვაძლევდეთ საკუთარ თავს.

323. მეფეთა ქება იმ ღირსების გამო, რომელიც მათ არ გააჩნიათ, იმასვე ნიშნავს, რომ დაუსჯელად ლანძღო ისინი.

324. ჩვენ უფრო ადვილად შეგვიძლია მათი შეყვარება, ვისაც ჩვენ ვძულვართ, ვინემ იმათი, ვისაც უფრო მეტად ვუყვარვართ, ვიდრე ჩვენ ვისურვებდით ამას.

325. ზიზღს მხოლოდ ის უფრთხის, ვინც მას იმსახურებს.

326. ჩვენი სიბრძნე ისევე ექვემდებარება ბედისწერის ჟინიან თამაშს, როგორც ჩვენივე სიმდიდრე.

327. ეჭვიანობაში თავმოყვარეობა უფრო მეტია, ვიდრე სიყვარული.

328. ხასიათის სისუსტე ხშირად განგვკურნავს იმნაირ ვითარებაში, სადაც ვერ გვანუგეშებს ჩვენი გონება.

329. ჩვენი სასაცილო თვისებები უფრო მეტად ბღალავენ ჩვენსავე ღირსებას, ვიდრე თვით უღირსობა.

330. როცა ჩვენს უმნიშვნელო ნაკლს ვაღიარებთ, ამით ვცდილობთ დავარწმუნოთ ხალხი იმაში, რომ უფრო დიდი ნაკლი არ გაგვაჩნია.

331. შური უფრო ულმობელია და დაუნდობელი, ვიდრე სიძულვილი.

332. ჩვენ ხშირად გვგონია, რომ პირფერობა გვეზიზღება, მაშინ როდესაც სინამდვილეში გვეზიზღება მხოლოდ და მხოლოდ პირფერობის ესა თუ ის გამოვლინება.

333. მხოლოდ იმდენად მივუტევებთ, რამდენადაც გვიყვარს.

334. უფრო ძნელია ერთგული იმ ქალს, ვისთანაც ბედნიერი ხარ, ვიდრე იმას, ვინც ვაიწენის დღეს გაწყვეტინებს.

335. ქალებს წარმოდგენაც არა აქვთ, რაოდენ უსაზღვროა მათი სიკეკლუცე.

336. ქალის სიმკაცრე ურყევია მხოლოდ იმის მიმართ, ვინც ეზიზღება.

337. ქალები უფრო ადვილად იოკებენ თავიანთ ვნებას, ვიდრე კეკლუცობას.

338. სიყვარულში სიცრუე თითქმის ყოველთვის უფრო შორს მიდის, ვიდრე უნდობლობა.

339. არსებობს იმნაირი სიყვარული, რომლის უზენაესი გამოვლენაც ადგილს აღარ უტოვებს ეჭვიანობას.

340. ზოგიერთი ღირსება მზერისა თუ სმენის გრძნობასა ჰგავს. ამ ღირსებებს მთლიანად მოკლებულ ხალხს არც მათი დანახვის უნარი შესწევს და არც მათი დაფასებისა.

341. მეტისმეტად მძაფრი სიძულვილი მათზე დაბლა გვაყენებს, ვინც გვძულს.

342. ქალების უმრავლესობისათვის გონება იმდენად მათი კეთილგონიერების განმტკიცებას როდი ემსახურება, რამდენადაც მათი უგუნურების გამართლებას.

343. სიბერის გულგრილობა უფრო მეტად როდი უწყობს ხელს სულის ხსნას, ვიდრე სიჭაბუკის სიფიცხე.

344. ადამიანთა გული და გონება ისევე აღბეჭდილია მათი მშობლიური ქვეყნის ბეჭდით, როგორც მათივე ენა.

345. დიდი კაცია ის, ვინც მოხერხებულად იყენებს ყველაფერს, რასაც სთავაზობს ბედისწერა.

346. ადამიანთა უმრავლესობას, მცენარეებისა არ იყოს, ბევრი ფარული უნარი აქვს, რომლებსაც მხოლოდ შემთხვევითობა ამჟღავნებს.

347. კარგმოსაზრებათა დამთხვევა, — აი, ერთადერთი მიზეზი, რომლის [illegible]-ნობენ სხვები და, რაც მთავარია, თვითონვე შევიცნობთ ჩვენსავე თავს.

348. რა ეშველება იმ ქალის სულს, ვისი ტემპერამენტიც ვერ ეგუება მისსავე გულსა და გონებას?

349. ჩვენ ჭკუადამჯდარ კაცად მიგვაჩნია მხოლოდ ის, ვინც ყველაფერზე კვერს გვიკრავს.

350. როდესაც კაცი შეყვარებულია, მას ხშირად ეჭვი ეპარება იმაში, რაც ყველაზე მეტად სწამს.

351. სიყვარულის ყველაზე დიდი სასწაული ისაა, რომ კეკლუცობისაგან კურნავს ქალებს.

352. ჩვენ მხოლოდ იმიტომ გვაცოფებს ის, ვინც ჩვენს მოტყუებას ცდილობს, რომ ჩვენზე ჭკვიანი ჰგონია თავი.

353. როცა ქალს და კაცს ერთმანეთი აღარ უყვართ, მათ ძალზე უჭირთ გამოჩხრიკონ გაყრის საბაბი.

354. ჩვენ თითქმის ყოველთვის მოწყენილნი ვართ იმ ხალხის გვერდით, რომელთა საზოგადოებაშიც მოწყენილობა დაუშვებელია.

355. ღირსეულ კაცს შეიძლება გაგიჟებით უყვარდეს ქალი და გიჟსაც ჰგავდეს, მაგრამ არა ბრიყვს.

356. ზოგიერთი ნაკლი, თუკი მარჯვედ მოიხმარს კაცი, თვით ღირსებასაც კი ჩრდილავს.

357. ჩვენ ზოგჯერ ხელიდან გვეცლება კაცი, რომლის დაკარგვასაც კი არ ვნანობთ, არამედ ვწუხვართ, ზოგჯერ კი, პირიქით, კი არ ვწუხვართ, არამედ ვნანობთ კაცის დაკარგვას.

358. გულწრფელად მხოლოდ იმას ვაქებთ, ვინც ჩვენი პიროვნებით აღტაცებულია.

359. პატარა სული ადვილად იმღვრევა, დიდ სულს კი არაფერი გამოეპარება, მაგრამ არც არაფერი ამღვრევს.

360. ქრისტიანული სულის უპირველესი ნიშანი თვინიერება გახლავთ. თუ თვინიერება არ გავვაჩნია, ყველა ჩვენი ნაკლი ნაკლადვე რჩება, ქედმაღლობა კი მხოლოდ იმას ცდილობს, რომ როგორმე დაუმალოს ისინი არა მარტო გარეშე კაცის, არამედ თვით ჩვენი გონების თვალსაც.

361. სამართლიანობა, უწინარეს ყოვლისა, სხვა არა არის რა, თუ არა იმის შიში, რომ ჩვენი საკუთრება შეიძლება ხელიდან გამოგვეცალოს. სწორედ ამ შიშის გამოა, ასე თავგამოდებით რომ ვცდილობთ დავიცვათ ჩვენი მოყვასის ინტერესები და, შეძლებისდაგვარად, მზრუნველობა არ მოვაკლოთ მას. ეგევე შიში აიძულებს ადამიანებს თავისას დასჯერდნენ და თავი შეიკავონ სხვისი საკუთრების მუდმივი ხელყოფისაგან.

362. მართლაც გამრიგე მოსამართლის სამართლიანობა მხოლოდ იმას მოწმობს, რომ მას ძალიან უყვარს თავისი თანამდებობა.

363. ადამიანები სიძულვილის გამო კი არ ჰგმობენ უსამართლობას, არამედ იმიტომ, რომ ის არახელსაყრელია მათთვის.

364. თავდაჭერილობა კაცისა, რომელსაც ბედი უღიმის, სხვა არა არის რა, თუ არა შიში იმის წინაშე, რომ შეიძლება გაბღენძილობა დასწამონ, ანდა ხელიდან გამოეცალოს თავისი მონაგები.

365. თავდაჭერილობა მოქეიფის ზომიერებასა ჰგავს: კიდევ მივირთმევდით, მაგრამ ვაითუ გატყერომამ გადაგვყოლოს.

366. ჩვენ სხვებსა ვკილავთ იმის გამო, რისთვისაც ისინი გვკილავენ ჩვენ.

367. საკუთარი უბედურების სრული შეგნება თავისებური ბედნიერებაა.

368. ახალგაზრდებს ხშირ შემთხვევაში ბუნებრიობა ჰგონიათ თავიანთი სიტლანქე და უზრდელობა.

369. გონებაშეზღუდული ადამიანები გმობენ ყველაფერს, რაც მათი თვალსაწიერის ფარგლებს სცილდება.

370. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წინასწარ გვეცოდინებოდა ჩვენი მომავალი, შეიძლებოდა წინასწარ გვეთქვა, როგორ მოვიქცეოდით ხვალ ან ზეგ.

371. ღალატს უნდა გაექარწყლებინა სიყვარული, და არ უნდა გვეეჭვიანა მაშინ, როცა ამის საფუძველი გვაქვს: ეჭვიანობის ღირსია მხოლოდ ის, ვინც მას არ იწვევს.

372. ჩვენდა მიმართ უმცირესი ორგულობის გამოვლენა უფრო გვაშფოთებს, ვიდრე ყველაზე მუხანათური გამცემლობა სხვების მიმართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

373. ეჭვიანობა ყოველთვის სიყვარულთან ერთად იბადება, მაგრამ ყოველთვის მასთან ერთად როდი კვდება.

374. როდესაც ქალი თავის შეყვარებულს დასტირის, ეს უმეტესწილად იმას როდი ნიშნავს, რომ მას უყვარდა იგი, არამედ იმას, რომ ცდილობს სიყვარულის ღირსად მოგვაჩვენოს თავი.

375. ძალდატანება უფრო ადვილი ასატანია მაშინ, როცა სხვების ნება-სურვილს ვემორჩილებით, ვიდრე მაშინ, როცა იძულებულნი ვართ დავემორჩილოთ ჩვენსავე ნებას.

376. ყველას კარგად მოეხსენება, რომ საკუთარ ცოლზე ლაპარაკი არ შეშვენის კაცს, მაგრამ ყველას როდი მოეხსენება, რომ საკუთარ თავზე ლაპარაკი კიდევ უფრო ნაკლებ შეგვშვენის.

377. ზოგიერთი ღირსება გადაგვარებას განიცდის და ნაკლად იქცევა, თუკი ისინი ბუნებით თან დაგვყვება ჩვენ; ზოგიერთი კი ვერასოდეს ვერ აღწევს სრულქმნილებას, თუკი ისინი შეძენილნი არიან ჩვენს მიერ; ასე მაგალითად, მომჭირნეობასა და წინდახედულობას უნდა გვინერგავდეს გონება, ხოლო რაც შეეხება სიკეთეს და სიქველეს, მათ უნდა გვანიჭებდეს მხოლოდ ბუნება.

378. რარიგ უნდობლობასაც უნდა ვიჩენდეთ ჩვენი თანამოსაუბრეების მიმართ, მაინც გვგონია, რომ ჩვენთან საუბრისას ისინი უფრო გულწრფელნი არიან, ვიდრე სხვებთან.

379. ამ ქვეყნად ცოტაა პატიოსანი ქალი, თავს რომ არ აბეზრებდეს საკუთარი პატიოსნება.

380. თითქმის ყველა პატიოსანი ქალი საგულდაგულოდ გადამალულ საუნჯესა ჰგავს, რომელსაც ვერავინ მიაგნო მხოლოდ იმიტომ, რომ არავის უძებნია.

381. როგორ ვეწამებით ხოლმე, რათა გულში ჩავიკლათ სიყვარული, და ეს წამება ხშირად უფრო სასტიკია, ვიდრე იმისი გულქვაობა, ვინც გვიყვარს.

352. იშვიათია ლაჩარი, სრულად რომ ჰქონდეს შეგნებული საკუთარი შიშის სიმძაფრე.

383. მას, ვისზედაც გული აიყარეს, თვითონვე მიუძღვის ბრალი იმაში, რომ დროულად ვერ შენიშნა ეს.

384. რა ძნელია თვალი გავუსწოროთ საყვარელ ქალს მას შემდეგ, რაც სხვასთან ვუღალატეთ.

385. ზოგჯერ, ცრემლს რომ ვღვრით, ჩვენ ვატყუებთ არა მარტო სხვებს, არამედ საკუთარ თავსაც.

386. თავს იტყუებს, ვისაც ჰგონია, თითქოს მხოლოდ იმიტომ უყვარს საყვარელი ქალი, რომ მას, თავის მხრივ, უყვარს იგი.

387. ვისაც იმისი ძალი შესწევს, რომ თავისი შეცდომა აღიაროს, მას აღარ უნდა ეშინოდეს სინდისის ქენჯნის.

388. ჭეშმარიტი მეგობრობისათვის უცხოა შური, ჭეშმარიტი სიყვარულისათვის უცხოა კეკლუცობა.

389. გამჭრიახობა იმ კაცს კი არ აკლია, ვინც ვერ მიაღწია მიზანს, არამედ იმას, ვინც გვერდი აუარა მას.

390. შეიძლება რაიმე ურჩიო კაცს, მაგრამ შეუძლებელია უკარნახო — ასე და ასე მოიქეცი.

391. რაც არ შეგვიძლია, არც მოგვწონს.

392. ისევე როგორც საგნები ყველაზე უკეთ ჩანან მზის სინათლეზე, ჩვენი სიქველეც და ჩვენი ბიწიც უფრო ნათლად წარმოჩნდება წარმატების შუქზე.

393. ერთგულება, რომელიც მხოლოდ რის ვაივაგლახით შეიძლება შეინარჩუნო, არაფრით არ სჯობია ღალატს.

394. ჩვენი ქცევა ბურიმეს გავაგონებს: ყველა ისე განმარტავს, როგორც თვითონ ეპრიანება.

395. ჩვენი გულწრფელობა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია იმის სურვილით, რომ ჩვენს თავზე ვილაპარაკოთ და ისე თუ ისე შევალამაზოთ ჩვენივე ნაკლი.

396. სხვა რა უნდა გვიკვირდეს, გარდა იმისა, რომ ჯერ კიდევ შეგვიძლია გაგვიკვირდეს რაიმე.

397. თანაბრად ძნელი საქმეა, ასიამოვნო იმასაც, ვისაც გაგიჟებით უყვარს, და იმასაც, ვისაც სულაც არ უყვარს.

398. ყველაზე ხშირად მტყუანია სწორედ ის, ვისაც სურს ყოველთვის მართალი იყოს.

399. ბრიყვი არ შეიძლება კეთილი იყოს: საამისოდ ჭკუა არ ჰყოფნის.

400. თუ პატივმოყვარეობა მიწასთან არ ასწორებს მთელს ჩვენს სიქველეს, ყოველ შემთხვევაში, ძირფესვიანად მაინც არყევს მას.

401. სხვის პატივმოყვარეობას იმიტომ ვერ ვიტანთ, რომ ჩვენსაც საკუთარს შეურაცხყოფს.

402. ჩვენი ახირებების დათრგუნვა უფრო ადვილია, ვიდრე ჩვენივე ჟინის.

403. ბედს ბრმად თვლიან მხოლოდ ისინი, ვისაც ის არ სწყალობს.

404. ბედი იგივე უნდა იყოს ჩვენთვის, რაც ჯანმრთელობა: როცა გვწყალობს, უნდა დავტკბეთ მისი წყალობით, ხოლო როცა ზურგს შეგვაქცევს, მოთმინებით ავიჭურვოთ, და თუ აუცილებლობა არ გვაიძულებს, არ მივეძალოთ ათასნაირ სამკურნალო საშუალებას.

405. მდაბიური მანერები ზოგჯერ შეუმჩნეველია სამხედროთა შორის, მაგრამ არა სასახლის კარზე.

406. შეიძლება ეშმაკობით აჯობო ერთ კაცს, მაგრამ ყველას ვერასდიდებით ვერ აჯობებ.

407. საყვარელი არსების ღალატი ზოგჯერ უფრო ადვილი ასატანია, როცა ცდილობ არაფერი არ დაინახო, ვიდრე მაშინ, როცა გსურს ჯიქურ გაუსწორო თვალი სიმართლეს.

408. ქალი დიდხანს ერთგულობს თავის პირველ საყვარელს, თუკი არ გასცვლის მეორეზე.

409. ჩვენ ვერა ვბედავთ ხელაღებით ვამტკიცოთ, რომ არავითარი ნაკლი არ გაგვაჩნია, მაშინ როდესაც ჩვენი მტრები მთლიანად განძარცულნი არიან ყოველგვარი ღირსებისაგან; მაგრამ თითქმის ყოველთვის მზადა ვართ ვირწმუნოთ ეს.

410. ჩვენ უფრო ადვილად ვაღიარებთ საკუთარ სიზარმაცეს, ვიდრე ყველა ჩვენს დანარჩენ ბიწს. ჩვენ თავს ვირწმუნებთ, რომ ის ჩვენივე თვინიერ სიქველეთაგან იღებს დასაბამს და კი არ აქარწყლებს დანარჩენ ღირსებებს, არამედ მხოლოდ აოკებს მათ ქმედითობას.

411. დიდი გავლენის მოპოვება საზოგადოებაში ყოველთვის ბედის წყალობაზე როდია დამოკიდებული: ის ემყარება ერთგვარ თავდაჯერილობას, რომელიც სხვებისგან გამოარჩევს და თითქოს ბრწყინვალე მომავალს აღუთქვამს კაცს, აგრეთვე იმ შეფასებას, რომელსაც ის ქვეშეცნეულად აძლევს საკუთარ თავს. სწორედ ეს თვისება გვიხვევს კაცთა პატივისცემას და ისეთნაირად გვამაღლებს მათზე, როგორც ვერ აგვამაღლებდა ვერც წარმოშობა, ვერც თანამდებობა და ვერც მთელი ჩვენი სიქველე.

412. შეიძლება ღირსეული კაცი იყო და დიდ გავლენას კი ვერ მიაღწიო, მაგრამ შეუძლებელია რაიმე გავლენის მიღწევა ყოველგვარი ღირსების გარეშე.

413. წარმატება ისევე შვენის სიქველეს, როგორც ძვირფასი სამკაული — ლამაზ ქალს.

414. სასიყვარულო თავგადასავალში ყველაფერია, გარდა სიყვარულისა.

415. ჩვენს აღსაზრდელად ბედისწერა ჩვენსავე ნაკლს იყენებს ხოლმე: ასე მაგალითად, ზოგიერთმა აბეზარმა მხოლოდ იმის წყალობით მიაღწია თავის საწადელს, რომ ყველა ცდილობდა როგორმე თავიდან მოეშორებინა ისინი.

416. როგორც ჩანს, ბუნებამ ჩვენი სულის სიღრმეში მიჩქმალა ბევრი ისეთი ნიჭი და უნარი, რომლებზედაც წარმოდგენაც კი არა გვაქვს. მხოლოდ ვნებას ხელეწიფება ზედაპირზე ამოატივტივოს ისინი და ისეთი გამჭრიახობა მოგვანიჭოს ხანდახან, რომელიც ჩვეულებრივ პირობებში მიუწვდომელი იქნებოდა ჩვენთვის.

417. ჩვენ ახალშობილებივით შევდივართ ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა ასაკში, ისე რომ, მთელი ჩვენი წლოვანების მიუხედავად, არავითარი გამოცდილება არ გაგვაჩნია.

418. კეკლუცები ისე იკატუნებენ თავს, თითქოს თავიანთ საყვარლებზე ეჭვიანობდნენ, რათა დამალონ თავიანთი შური სხვა ქალების მიმართ.

419. როცა სხვებს ვატყუებთ ხოლმე, ისინი იმდენად ბრიყვები როდი გვეჩვენებიან, როგორც ჩვენ ვჩანვართ საკუთარ თვალში, როდესაც სხვები აქეთ გვატყუებენ.

420. აი, ყველაზე სასაცილო თვისება ხანში შესული ქალებისა, რომლებიც ოდესღაც თავიანთი მშვენებით გვხიბლავდნენ: ვერ გაუგიათ, რომ ხიბლის ნატამალიც კი აღარ შერჩათ.

421. ხშირად ჩვენი ყველაზე კეთილშობილური საქციელისაც კი შეგვრცხვებოდა, ხალხისთვის დაფარული რომ იყოს ჩვენი მიზანი.

422. მეგობრობის ყველაზე დიდი ღირსება ის კი არაა, რომ ჩვენი ნაკლი ვუჩვენოთ მეგობარს, არამედ ის, რომ დავანახოთ მისივე ნაკლი.

ბიბლიოთეკა

423. ყველა ჩვენი ნაკლი გაცილებით უფრო ადვილი მისატევებელია, ვიდრე ის თვალთმაქცობა, რასაც მათ დასაჩქმალავად ვკადრულობთ ხოლმე.

424. რაგინდარა სირცხვილიც უნდა დავიტეხოთ თავზე, თითქმის ყოველთვის გვრჩება იმის შესაძლებლობა, რომ აღვიდგინოთ ჩვენი სახელი.

425. შეუძლებელია დიდხანს მოგვწონდეს ის, ვინც ყოველთვის ერთნაირად ამჟღავნებს ჭკუას.

426. ბრიყვსა და შეშლილს მთელი სამყარო დამთავრებული ჰგონია.

427. ჭკუა ხანდახან მხოლოდ იმისთვის გვჭირდება, რომ უფრო თამამად ჩავიდინოთ სისულელე.

428. ვინც პირველი იკურნება სიყვარულისაგან, ყოველთვის უკეთ იკურნება.

429. სიფიცხე, რომელიც ასაკთან ერთად იზრდება, თითქმის არაფრით განსხვავდება სიშლეგისაგან.

430. ყმაწვილ ქალებს, რომლებსაც არ სურთ კეკლუცების სახელი შეერქვათ და ხნიერ კაცებს, რომლებსაც არ სურთ ქვეყნის თვალში სასაცილონი ჩანდნენ, სიყვარულზე საუბრისას თავი ისე უნდა ეჭირათ, თითქოს ეს სულაც არ არის მათი საქმე.

431. ჩვენ შეიძლება დიდ ვინმედ ვჩანდეთ, როცა ისეთი თანამდებობა გვიჭირავს, რომელიც ჩვენს ღირსებაზე დაბალია, მაგრამ არცთუ იშვიათად უბადრუკნი ვჩანვართ, როცა ისეთი თანამდებობა გვიჭირავს, რომელიც მეტისმეტად მაღალია ჩვენთვის.

432. ხშირად გვგონია, რომ ქედუხრელად ვეგებებით უბედურებას, თუმცა, სინამდვილეში, ეს ქედუხრელობა კი არ გახლავთ, არამედ დათრგუნვილობა. მხოლოდ იმიტომ ვითმენთ და ვეგუებით სიძნელეობას, რომ ვერ ვბედავთ თვალი გავუსწოროთ მას; ასე, მხდალიც მხოლოდ იმიტომ ნებდება მტერს, რომ თავის დაცვას ვერ ბედავს.

433. საუბარს ნდობა უფრო აცხოველებს, ვიდრე გონება.

434. ყოველგვარი ვნება შეცდომების მიზეზია, მაგრამ ყველაზე ბრიყვული შეცდომების მიზეზი სიყვარული გახლავთ.

435. ცოტას თუ შესწევს იმისი ძალი, რომ ღირსეულად აიტანოს სიბერე.

436. ჩვენ ხშირად თავს ვიწონებთ იმნაირი ნაკლით, რომელიც აშკარად უპირისპირდება იმ ნაკლს, რაც მართლა გვაქვს სინამდვილეში: ასე მაგალითად, სუსტი ნებისყოფის კაცს ხშირად თავი მოაქვს თავისი სიკერპით.

437. გამჭრიახობა ყველაფრის წვდომას იჩემებს და ამიტომ უფრო მეტად ესათნოება ჩვენს პატივმოყვარეობას, ვიდრე გონების ყველა დანარჩენი თვისება.

438. სიახლის მომხიბვლელობა და ძველი ჩვეულება, მთელი მათი დაპირისპირებულობის მიუხედავად, ერთნაირად გვიშლიან ხელს იმაში, რომ ჩვენი მეგობრების ნაკლი შევნიშნოთ.

439. მეგობრების უმრავლესობა საბოლოოდ შეგვაზიზღებს მეგობრობას, ხოლო ღვთისმოსავთა უმრავლესობა — ღვთისმოსაობას.

440. რა ადვილად მივუტევებთ ხოლმე მეგობრებს იმ ნაკლს, რომელსაც ხელი არა აქვს ჩვენთან.

441. შეყვარებული ქალი უფრო ადვილად მოგვიტევებს დიდ უტიფრობას, ვიდრე სულ მცირე ორგულობას.

442. როცა სიყვარული ბერდება, საერთოდ სიბერისა არ იყოს, კაცი ჯერ კიდევ ცოცხლობს მწუხარებისთვის, მაგრამ უკვე აღარ ცოცხლობს ტკბობისა და ნეტარებისთვის.

443. არაფერი ისე არ ბღალავს ბუნებრიობას, როგორც იმის სურვილი, რომ ბუნებრივნი ვჩანდეთ.

444. როცა გულწრფელად ვაქებთ კეთილ საქმეს, ამით ერთგვარად წილს ვიდებთ მასში.

445. ჭეშმარიტი სიქველის უპირველესი ნიშანი დაბადებითვე შურის უქონლობა გახლავთ.

446. როდესაც მეგობრები გვატყუებენ, ჩვენ შეგვიძლია გულგრილნი დავრჩეთ მათი მეგობრობის ყოველგვარი გამოვლენის მიმართ, მაგრამ უთუოდ უნდა თანავუგრძნობდეთ მათ უბედურებაში.

447. ბედისწერა და ჟინი — აი, რა მართავს სამყაროს.

448. ადამიანების შეცნობა უფრო ადვილია საერთოდ, ვიდრე ერთი კაცისა ცალკე.

449. ადამიანის ღირსებაზე მისი კეთილშობილური თვისებების მიხედვით კი არ უნდა ვმსჯელობდეთ, არამედ იმის მიხედვით, თუ როგორ იყენებს იგი მათ.

450. ჩვენი მადლიერება ხანდახან ისე უსაზღვროა, რომ, როდესაც სიკეთის სანაცვლოს მივაგებთ ხოლმე მეგობრებს, ჩვენს მოვალეებად ვაქცევთ მათ.

451. ძალზე ცოტა ვნებიანი სურვილი თუ შეგვრჩებოდა, ზუსტად რომ ვიცოდეთ, მაინც რა გვსურს.

452. ქალების უმრავლესობა იმიტომაა ასე გულგრილი მეგობრობის მიმართ, რომ სიყვარულთან შედარებით ეს გრძნობა მეტისმეტად მტკნარი ეჩვენებათ.

453. მეგობრობაში, სიყვარულისა არ იყოს, ის, რაც ჩვენთვის დაფარულია, ხშირად უფრო დიდ ბედნიერებას გვანიჭებს, ვიდრე ის, რაც ცხადია ჩვენთვის.

454. ჩვენ ვცდილობთ ღირსებად მივითვალოთ ის ნაკლი, რომლის გამოსწორებასაც არ ვაპირებთ.

455. ყველაზე ბობოქარი ვნებებიც კი გვაძლევენ ხოლმე სულის მოთქმის საშუალებას, და მხოლოდ პატივმოყვარეობა გვამღვრევს ერთთავად.

456. ბებერი შლეგი ქაბუკ შლეგზე უფრო შლეგია.

457. უნებისყოფობა უფრო მკვეთრად უპირისპირდება სიქველეს, ვიდრე ბიწიერება.

458. სირცხვილი და ეჭვიანობა იმიტომ გვტანჯავს ასე სასტიკად, რომ ამ შემთხვევაში პატივმოყვარეობა ვერაფერს გვშველის.

459. თავაზიანობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე უმნიშვნელო კანონია და, ამავდროულად, ყველაზე უფრო პატივსაცემიც.

460. საღად მოაზროვნე კაცისთვის უფრო ადვილია დამთხვეულთა ნებას დაემორჩილოს, ვიდრე თავის ნებაზე ათამაშოს ისინი.

461. დიდებული გასვენება იმდენად მკვდრების ხსოვნას როდი ემსახურება, რამდენადაც ცოცხლების პატივმოყვარეობას.

462. როცა ბედი თანდათანობით კი არა, ერთბაშად აგვაზევებს იმ სიმაღლემდე, რომელზედაც ოცნებასაც კი ვერ ვბედავდით, თითქმის ყოველთვის ისე ჩანს, რომ ჩვენ არა ვართ ამ პატივის ღირსნი.

463. ჩვენი სიამაყე ხშირად იზრდება ჩვენივე დანარჩენი ნაკლის ხარჯზე, ნაკლისა, რომლის დაძლევაც შევძელით.

464. არ არსებობს იმაზე უფრო აუტანელი ბრიყვი, ვისაც ცოტაოდენი ჭკუა მაინც მოეძებნება.

465. არ მოიძებნება ის ქვეყნად კაცი, რომელიც თავის ნებისმიერ თვისებას უფრო მაღლა არ აყენებდეს, ვიდრე სხვა, თუნდაც მისთვის ყველაზე პატივსაცემი კაცის ასეთსავე თვისებას.

466. დიდი საქმის კეთებისას იმდენად იმისათვის კი არ უნდა ზრუნავდე, რომ ხელსაყრელი პირობები შექმნა, რამდენადაც იმისთვის, რომ ხელიდან არ გაუშვა არცერთი ხელსაყრელი შესაძლებლობა.

467. არავინ დარჩება წაგებული, თუკი დათანხმდება იმას, რომ მისი ქება არავის დასცდეს, იმ პირობით, რომ არავინ იტყვის ძვირსაც.

468. ხომ ასე უსამართლოდ მსჯელობა სჩვევია ხალხს, მაგრამ ყალბ ღირსებათა მიმართ მაინც უფრო მოწყალეა, ვიდრე უსამართლო — ჭეშმარიტ ღირსებათა მიმართ.

469. ბრიყვმა შეიძლება ხანდახან ჭკვიანური სიტყვა თქვას, მაგრამ საღი აზროვნების უნარი მას არ გააჩნია.

470. ბევრს მოვიგებდით ხალხის თვალში, იმ სახით რომ ვეჩვენებოდეთ მათ, როგორიც ვართ სინამდვილეში, ვიდრე იმ სახით, როგორიც არა ვართ და არც არასდროს ვიქნებით.

471. ჩვენი მტრების მსჯელობა ჩვენზე გაცილებით უფრო ახლოა ჭეშმარიტებასთან, ვიდრე ჩვენივე მსჯელობა საკუთარ თავზე.

472. არსებობს სიყვარულისაგან განკურნების ათასგვარი საშუალება, მაგრამ არცერთი არ არის სანდო.

473. ჩვენ წარმოდგენაც არა გვაქვს, სად შეიძლება გადაგვჩეხოს ჩვენმავე ვნებამ.

474. სიბერე ტირანია, რომელიც სიკვდილის შიშით გვიკრძალავს სიჭაბუკის ყველა სიამეს.

475. სიამაყე, რომელიც გვაიძულებს დავგმოთ ყველა ის ნაკლი, რაც ჩვენ თვითონ არ გაგვაჩნია, იმავდროულად, გვაიძულებს ზიზღით ვუყურებდეთ ყველა იმ ღირსებასაც, რომელიც აგრეთვე უცხოა ჩვენთვის.

476. როდესაც უბედურებაში ჩვენს მტრებს თანავუგრძნობთ ხოლმე, იმდენად სიკეთის როდი ვიქცევით, რამდენადაც სიამაყის: ეს თანაგრძნობა მხოლოდ იმას ისახავს მიზნად, რომ მათ ჩვენი უპირატესობა დავუმტკიცოთ.

477. არსებობს იმნაირი ბედნიერება და იმნაირი უბედურება, რაც აშკარად სცილდება ჩვენი გრძნობელობის ფარგლებს.

478. ბოროტმოქმედებას გაცილებით უფრო მეტი მფარველი ჰყავს, ვიდრე უმანკოებას.

479. ბობოქარ ვნებათა შორის ქალს ყველაზე მეტად შვენის სიყვარული.

480. პატივმოყვარეობა უფრო ხშირად თრგუნავს ჩვენს მიდრეკილებებს, ვიდრე გონება.

481. არსებობს ცუდი თვისებები, რომელთა ერთობლიობაც დასაბამს აძლევს დიდ ნიჭს.

482. ჩვენ არასოდეს ვნებიანად არ ვესწრაფვით იმას, რასაც მხოლოდ გონებით ვესწრაფვით.

483. ყველა ჩვენი თვისება, როგორც კარგი, ისევე ცუდიც, ბუნდოვანია, გაურკვეველი და თითქმის ყოველთვის შემთხვევითობით განპირობებული.

484. როცა ქალს პირველად უყვარს, მას თავისი შეყვარებული უყვარს; შემდეგ კი მას უყვარს მხოლოდ სიყვარული.

485. სიამაყეს, ისევე როგორც ყველა სხვა ვნებას, თავისი უცნაურობა სჭირს: კაცს რცხვენია იმის აღიარება, რომ ეჭვიანობს, მაგრამ თავი მოაქვს იმით, რომ ოდესღაც ეჭვიანობდა და კვლავაც იეჭვიანებს.

486. რაგინდ იშვიათიც უნდა იყოს ნამდვილი სიყვარული, ნამდვილი მეგობრობა კიდევ უფრო იშვიათია.

487. იშვიათია ისეთი ქალი, ვისი ღირსებაც მის სილამაზეზე უფრო დღეგრძელი იყოს.

488. სურვილი იმისა, რომ სიბრალული თუ აღტაცება დავიმსახუროთ, — აი, რა არის, უმეტესწილად, ჩვენი გულახდილობის უმთავრესი მიზეზი.

489. ჩვენი შური ყოველთვის უფრო დღეგრძელია, ვიდრე სხვისი ბედნიერება, რომელიც გვშურს.

490. ხასიათის სიმტკიცე აიძულებს კაცს, შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიოს სიყვარულს, მაგრამ იგივე სიმტკიცე უჩვეულო სიმძაფრეს და დღეგრძელობას ანიჭებს ამ გრძნობას. სუსტი ხასიათის კაცი კი, პირიქით, ადვილად ნებდება ვნებას, მაგრამ არასდროს არ არის ვნებით გულსავსე.

491. ვერავითარი წარმოსახვა ვერ წარმოიდგენს იმდენ ურთიერთსაპირისპირო გრძნობას, რამდენსაც იტევს და ითავსებს ადამიანის გული.

492. ჭეშმარიტად რბილი ხასიათი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ მტკიცე ნებისყოფის კაცს; დანარჩენების მოჩვენებითი სირბილე კი სხვა არა არის რა, თუ არა სისუსტე, რომელიც ადვილად გადადის სიავეში.

493. სახიფათოა, სიმხდალეში აყვედრიდე მას, ვინც გსურს ამ ნაკლისაგან განკურნო.

494. არ არსებობს ჭეშმარიტ სიკეთეზე უფრო იშვიათი თვისება: ადამიანები, რომლებსაც კეთილი ჰგონიათ თავი, ჩვეულებისამებრ, მხოლოდ ლმობიერნი არიან, ან კიდევ — სუსტნი.

495. ჩვენი გონება, ზარმაცობისა თუ სიმტკიცის გამო, მხოლოდ იმას უჭვრეტს, რაც მისთვის იოლია ან სასიამოვნო, ეს ჩვეულება ყოველთვის ზღუდავს ჩვენს შემეცნებას, და ჯერ კიდევ არავის შეუწუხებია თავი იმით, რომ ზღვრული სისავსით განევრცო თავისი გონება თუ თავისი სული.

496. ადამიანები უმეტესწილად ავსიტყვაობენ არა ბოროტების, არამედ პატივმოყვარეობის გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

497. სანამ მომქრალი ვნება ჯერ კიდევ აღელვებს გულს, ის უფრო მეტ მიდრეკილებას ამჟღავნებს ახალი ვნებისადმი, ვიდრე სრული განკურნების შემდეგ.

498. დიდი ვნებების ქარცეცხლში გამოვლილი კაცი მთელი სიცოცხლის მანძილზე ბედნიერია და, თანაც, უბედური მათგან განკურნების შემდეგ.

499. ამ ქვეყნად უშურო კაცი უფრო ცოტაა, ვიდრე უანგარო.

500. ჩვენი სული უფრო ზარმაცია, ვიდრე სხეული.

501. მცონარება ჩვენს ურიცხვ ვნებათა შორის ყველაზე ნაკლებად ცნობილი ვნება გახლავთ. არ არსებობს უფრო მძაფრი და უფრო უკეთური ვნება, თუმცაღა მის მიერ მოყენებული ზიანი დაფარულია ჩვენთვის. თუ ყურადღებით დავუკვირდებით მის მოქმედებას, დავინახავთ, რომ ის ქაშხსა ჰგავს, რომელიც თვით უზარმაზარ „გემებს“ ამუხრუჭებს. ესაა ზღვის საიდუმლო წყნარობა, რომელიც ყოველგვარ გრიგალსა და მეჩეჩებზედაც უარესია. მცონარე სიმშვიდეში სული ხარბად ისრუტავს იდუმალ სიტკბოს, რომლის გულისთვისაც ჩვენს ყველაზე ვნებიან სურვილებს და ყველაზე მტკიცე ზრახვებსაც კი ვივიწყებთ ხოლმე.

502. ჩვენი შინაგანი სიმშვიდე თუ მღელვარება იმდენად ჩვენი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებზე როდია დამოკიდებული, რამდენადაც ყოველდღიურობის ურიცხვ წვრილმანზე, რომლებიც სასიამოვნო ან უსიამოვნოა ჩვენთვის.

503. მთელი თავიანთი ბოროტების მიუხედავად, ადამიანები მაინც ვერ ბედავენ იმას, რომ აშკარად სდევნიდნენ სიქველეს; ამიტომ, როცა მასზე თავდასხმა სურთ, ისინი ცდილობენ ისე მოგვაჩვენონ თავი, თითქოს ყალბად მიაჩნიათ სიქველე, ან კიდევ ამა თუ იმ დანაშაულს მიაწერენ მას.

504. სიყვარულიდან ხშირად გადადიან პატივმოყვარულ მისწრაფებაზე, მაგრამ შეუძლებელია პატივმოყვარეობიდან კვლავ დაუბრუნდე სიყვარულს.

505. უკიდურესი სიძუნწე თითქმის ყოველთვის ანგარიშში ტყუვდება: ჯერ ერთი, ყველა სხვა ვნებაზე უფრო ხშირად შორდება თავისი სწრაფვის მიზანს და, ეგეც არ იყოს, მერმისის საზიანოდ, მთლიანად აწმყოს ტყვეობაში ექცევა.

506. სიძუნწე ხშირ შემთხვევაში ურთიერთსაპირისპირო შედეგთა სათავეა: ურიცხვი ხალხი მთელ თავის ავლადიდებას მსხვერპლად სწირავს შორეულსა და საეჭვო იმედს, სხვები კი დღევანდელ კვერცხს აჯობინებენ ხვალინდელ ქათამს.

507. როგორც ჩანს, ადამიანებისათვის საკმარისი არ არის მათი ურიცხვი ნაკლი; ამიტომაც ამრავლებენ მათ ათასგვარი უცნაურობით და, ასე განსაჯეთ, კიდევაც ამაყობენ ამით. ეს უცნაური თვისებები, რომლებსაც ასე გულმოდგინედ ისისხლხორცებენ, ბოლოს და ბოლოს, სხვადასხვა ბუნებრივ ნაკლად იქცევა, რომელთაგანაც თავის დაღწევა მათს ნებაზე როდია დამოკიდებული.

508. რა კარგად ესმით ადამიანებს თავიანთი შეცდომები, იქიდანაც ჩანს, რომ, როდესაც თავიანთ საქციელზე ლაპარაკობენ, ისინი ყოველთვის ცდილობენ მის შელამაზებას: თავმოყვარეობა, რომელიც, ჩვეულებრივ, გონების თვალს გვიუსებს, ამჯერად, პირიქით, ისეთ გამჭრიახობას ანიჭებს იმავე თვალს, რომ ჩვენ ადვილად ვახერხებთ ოსტატურად შევჩქმალოთ ან შევარბილოთ ყოველგვარი წვრილმანი, რაც, შესაძლოა, საძრახისად მიეჩნიათ სხვებს.

509. როდესაც პირველად შედიან მაღალი საზოგადოების წრეში, ახალგაზრდები მორცხვნი და მოკრძალებულნი უნდა ჩანდნენ. თავდაჯერებულობა და სითამამე, ჩვეულებისამებრ, თავხედობად აღიქმება.

510. კაცთა შეხლა-შემოხლა არც ისე დიდხანს გაგრძელდებოდა, მხოლოდ ერთი მხარე რომ იყოს შემცოდე, მხოლოდ ერთს რომ მიუძღოდეს ბრალი.

511. ქალისათვის იგივეა ახალგაზრდობა სილამაზის გარეშე, რაც სილამაზე ახალგაზრდობის გარეშე.

512. ზოგი კაცი ისე თავქარიანია და ფუქსავატი, რომ მას არც დიდი ნაკლი შეიძლება ჰქონდეს და არც ნამდვილი ღირსება.

513. მითქმა-მოთქმა მხოლოდ მას შემდეგ ახსენებს ქალს თავის პირველ სიყვარულს, როცა მან უკვე მეორე გაიჩინა.

514. ზოგი კაცი ისე ელოლიავება საკუთარ თავს, რომ, როდესაც ქალი შეუყვარდება, თავის სიყვარულზე უფრო მეტს ფიქრობს, ვიდრე საყვარელ ქალზე.

515. რაგინდ სასურველიც უნდა იყოს საყვარელი, მისი გარეგნული გამოვლინება მაინც უფრო მეტ სიხარულს განიჭებს, ვიდრე თვით სიყვარული.

516. შეზღუდული, მაგრამ სწორად მოაზროვნე გონება, ბოლოს და ბოლოს, უფრო ნაკლებ გვღლის, ვიდრე ფართო, მაგრამ დახლართული და აწეწილ-დაწეწილი გონი.

517. ეჭვიანობა ყველაზე მტანჯველი გრძნობაა და, თანაც, ყველაზე ნაკლებ შესწევს იმის უნარი, რომ სიბრალული აღუძრას მას, ვინც ჩვენში ამ მტანჯველ გრძნობას იწვევს.

518. ამდენი მოჩვენებითი სიქველის სიყალბეზე ლაპარაკის შემდეგ ორიოდე სიტყვით უნდა შევეხოთ იმ სიყალბესაც, რასაც სიკვდილისადმი ქედმაღლური ზიზღი ჰქვია. მე ვგულისხმობ იმ ზიზღს, რომლითაც იკვეხნიან ურწმუნონი და აცხადებენ, რომ [illegible] საკუთარი ძალმოსილებიდან იღებენ დასაბამს, და რომ მათ არა აქვთ საუკეთესო სიცოცხლის არავითარი იმედი. სიკვდილის მიმართ ქედუხრელ დამოკიდებულებასა და მისდამი ზიზღის შორის უზარმაზარი განსხვავებაა: პირველი საკმაოდ ჩვეულებრივი მოვლენა გახლავთ, მაგრამ, ჩვენის აზრით, არასოდეს არ არის გულწრფელი. მართალია, არა ერთი და ორი თხზულება დაწერილა იმის დასამტკიცებლად, რომ სიკვდილი არ არის ბოროტება, და ბევრი ჯაბანიც, გმირების მსგავსად, არა ერთი და ორი მაგალითით განუმტკიცებია ეს აზრი, მაგრამ, მე მგონია, არცერთ საღად მოაზროვნე კაცს არასოდეს გაუზიარებია იგი. გულმოდგინება, რომელსაც ამ შეხედულების მიმდევარნი იჩენენ როგორც სხვების, ისე თავიანთი თავის დასარწმუნებლად, თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ეს პრობლემა სულაც არ არის ადვილი. შეიძლება ამა თუ იმ მიზეზის გამო მოიძულებული გქონდეს სიცოცხლე, მაგრამ შეუძლებელია არად აგდებდე სიკვდილს. თვითმკვლელიც რომ თვითმკვლელია, ადვილი საქმე თვით მისთვისაც კი არ არის სიკვდილი. პირიქით, სხვების მსგავსად ისიც ძრწის და კიდევაც გაურბის სიკვდილს, თუკი ის გზით როდი ეწვევა, რომელიც თვითონვე აირჩია. ამ შემთხვევაში, ბევრი მამაცი კაცის ცოდნანიც იმით აიხსნება, რომ სიკვდილი სხვადასხვა სახით — ხან შორეულად, ხან კი უკვე კარზე მომდგარად წარმოუჩნდება მათ წარმოსახვას. სანამ უშუალო საფრთხე არ შეუქმნიათ, ისინი არად აგდებენ სიკვდილს, მაგრამ მისი შეცნობისთანავე შიშით იპყრობს უკან. მთელის არსებით უნდა ცდილობდე თავი აარიდო სიკვდილსა და ქოველივე იმაზე ფიქრს, რითაც გარემოსილია სიკვდილი, არადა, ყველაზე საზარელ ბოროტებად წარმოგიდგება იგი. ყველაზე მამაცი და გონიერი კაცი ისაა, ვინც ყველაზე პატიოსანი საბაბით თავს არიდებს სიკვდილზე ფიქრს, მაგრამ ყველა, ვისაც იმისი ძალი შესწევს, რომ თვალი გაუსწოროს და მისი ნამდვილი სახით აღიქვას სიკვდილი, ერთხმად აღიარებს, რაოდენ საზარელია იგი. სიკვდილი გარდაუვალია და სწორედ ეს გახლდათ ყველა დროის ფილოსოფოსთა სიმტკიცის წყარო. ისინი ფიქრობდნენ, რომ თავიანთი ნებით უნდა წასულიყვნენ იქ, სადაც ძალაუნებურად მაინც მოუწევდათ წასვლა, და რაკი უკვდავება მიუწვდომელ ოცნებად ესახებოდათ, ამიტომ ცდილობდნენ თავიანთი სახელი მაინც უკვდავეყოთ და საბოლოო შემუსვრისაგან გადაერჩინათ ის, რისი გადარჩენაც შესაძლებლად ეჩვენებოდათ. მაშ, დავკმაყოფილდეთ იმას, რომ, ჩვენი ღირსების შესაბამისად, თვით ჩვენს თავსაც კი ნუ გავუმჟღავნებთ, რას ვფიქრობთ სიკვდილზე; ჩვენივე სულის სიმხნევეზე დავამყაროთ მთელი იმედი და არა ორჭოფულ მსჯელობაზე იმის შესახებ, თითქოს გვძალუძს წარბშეუხრელად შევეგებოთ სიკვდილს. სახელი, რომელსაც ვაჟკაცური სიკვდილი უხვავს კაცს, იმედი იმისა, რომ გულმდუღარედ დაგიტირებენ, ამ ქვეყნად კეთილი სიტყვით მოგონების სურვილი, რწმენა იმისა, რომ თავს დააღწევ ცხოვრების სივაგლახეს და ბედისწერის ჟინიან თამაშზე აღარ იქნები დამოკიდებული, — ყველა ეს საშუალება შეიძლება დაგვეხმაროს, მაგრამ საიმედოდ კი არცერთი არ უნდა მივიჩნიოთ. დიახ, მათი იმედი მხოლოდ იმდენად შეიძლება გქონდეს, რამდენადაც თხელი მესერი შეიძლება საიმედო საფარად მიიჩნიონ ჯარისკაცებმა, რომლებმაც თავიდან ბოლომდე უნდა გადაირბინონ ტრიალი მინდორი, სადაც მტრის ცეცხლი ცელავს ყველაფერს. სანამ მესერი ჯერ კიდევ შორსაა, ჯარისკაცებს ეჩვენებათ, რომ მას შეუძლია ტყვიისაგან დაიფაროს ისინი, მაგრამ რაც უფრო უახლოვდებიან, მით უფრო აშკარად გრძნობენ, რაოდენ არასაიმედოა იგი. ჩვენის მხრივ, მეტისმეტი მიამიტობა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს სიკვდილი ახლოდანაც ისეთივე მოგვეჩვენება, როგორისაც მას ვჭვრეტდით შორიდან, და რომ ჩვენი გრძნობები, რომელთაგანაც თითოეული შეიძლება სისუსტე ვუწოდოთ, საკმაოდ გამობრძმედილნი არიან საიმისოდ, რომ შეგვაძლებინონ წარბშეუხრელად შევეგებოთ ყველაზე მძიმე განსაცდელს. ზუსტად ასევე, თავმოყვარეობის იმედიც მხოლოდ იმ კაცს შეიძლება ჰქონდეს, ვინც არ იცის, რა არის იგი: შეუძლებელია მისი წყალობით არად ვაგდებდეთ იმას, რაც თვით თავმოყვარეობის აღსასრულს მოასწავებს. და ბოლოს, გონება, რომელზედაც ამდენი კაცი ამყარებს იმედს, მეტისმეტად სუსტია საიმისოდ, რომ სიკვდილის მოახლოებისას მასზე დაყრდნობა შევძლოთ. პირიქით, ის უმეტესწილად გვღალატობს და

ნაცვლად იმისა, რომ სიკვდილის მიმართ ზიზღი აღგვიძრას, ნათლად გვიხატავს ყოველივე იმას, რაც სიკვდილში საზარელია და თავზარდამცემი. ყველაზე დიდი სამსახური, რაც მას შეუძლია გაგვიწიოს, ის გახლავთ, რომ თვალი აგვარიდებინოს სიკვდილისათვის და ჩვენი მზერა რაიმე სხვა საგანზე შეაჩეროს. კატონმა და ბრუტუსმა ყველაზე ამაღლებული საგნისაკენ მიმართეს გონების თვალი, ხოლო ერთი ლაქია იმას დასჯერდა, რომ ცეკვა დაიწყო ეშაფოტზე, რომელზედაც იგი სიკვდილით უნდა დაესაჯათ. ასე რომ, საშუალებათა მთელი სხვადასხვაობის მიუხედავად, შედეგი ერთი და იგივეა. და თუმცა დიდსა და ჩვეულებრივ ადამიანებს შორის უზარმაზარი განსხვავებაა, ისინი, როგორც ურიცხვი მაგალითი გვიმოწმებს, ერთნაირად ხვდებიან სიკვდილს. განსხვავება მხოლოდ ის გახლავთ, რომ დიდი ადამიანების ზიზღი სიკვდილისადმი განპირობებულია მათი თავდავიწყებული სიყვარულით დიდების მიმართ, ჩვეულებრივი ადამიანებისა კი — მათივე შეზღუდულობით, რაც ხელს უშლით იმაში, რომ მოახლოებული უბედურების მთელი სიმწარე შეიცნონ და, ამრიგად, საშუალებას აძლევს მათ სულ სხვა საგანზე იფიქრონ.

519. თავმოყვარეობა — ესაა კაცის სიყვარული თავისი თავისა და ყოველივე იმის მიმართ, რაც მის სიკეთედ გვევლინება. მისი წყალობით, ადამიანები ასე რომ აღმერთებენ თავიანთ თავს, და, თუ ბედი უღიმით, ნამდვილი ტირანებივით ექცევიან სხვებს. თავმოყვარეობა მხოლოდ თავის თავს ელოლიავება, თავის თავს [illegible], [illegible] და მხოლოდ იმდენად აინტერესებს, რამდენადაც ფუტკარს — ყვავილი, რომელსაც ნექტარი უნდა ამოსწუწნოს. ვერავერი შეედრება მისი ვნებების სიმძაფრეს, მისი ზრახვების იდუმალებას, მისი მისწრაფებების ცბიერებას. გონებამიუწვდომელია მისი მოქნილობა, მის ფერისცვალებათა წინაშე ხუნდება და ფერმკრთალდება ყოველგვარი მეტამორფოზი, ხოლო თვალთმაქცურ სახეცვალებადობათა დახვეწილობით აშკარად ჩრდილავს ქიმიური გარდაქმნების მთელს სა[illegible]. თვალუწვდენელია მისი უფსკრულის სიღრმე, განუჭვრეტელია მისი ბუნება. იქ, ცნობისმოყვარე თვალისათვის მიუწვდომელი, ის ასრულებს თავის უჩინარ წრებრუნვას, იქ, ზოგჯერ თავისი თავისთვისაც უჩინარი და უგრძნობელი, ანგარიშმიუცემლად ასაზრდოებს და ზრდის ურიცხვ სიძულვილს თუ სიყვარულს, და ზოგიერთს ისეთ ურჩხულებად აქცევს მათ, რომ [illegible], ან ერთბაშად უარყოფს [illegible], ანდა ცდილობს თანდათანობით [illegible] ისინი. თავმოყვარეობის გარემომცველი უკუნეთიდან დასაბამს იღებს მისი ბრიყვული თვითრწმენა, მისი ცთომილება, მისი უმეცრება, მისი უხეში და უგვანი შეცდომები საკუთარი თავის შესახებ; აქედანვე წარმოიქმნება რწმენაც იმისა, რომ მისი გრძნობები ჩაკვდნენ, თუმცაღა მათ მხოლოდ სძინავთ; რომ მასში აღარასოდეს აღიძვრის მოქმედების წყურვილი, რაკილა [illegible] უქმად ყოფნას არჩევს; რომ მას აღარ შერჩა არავითარი სურვილი, რაკილა ყველა მისი გულისთქმა დროებით დაცხრა. მაგრამ ეს განუჭვრეტელი უკუნეთი, რომელიც თავმოყვარეობას საკუთარ თავსვე უმალავს, სულაც არ უშლის მას ხელს იმაში, რომ მშვენივრად არჩევდეს სხვებს და, ამრიგად, ჩვენს თვალსა ჰგავდეს, ცხადად რომ ხედავს ყველაფერს, საკუთარი თავის გარდა. და მართლაც, როცა მის ყველაზე სანუკვარ ზრახვებზეა თუ მისთვის ყველაზე მნიშვნელოვან საზრუნავზე მიდგება საქმე, მყისვე ფხიზლდება და, მიზნის მიღწევის სურვილით წაქეზებული, ყველაფერს ხედავს, ყველაფერს ისმენს, გუმანით გრძნობს, წარმოიდგენს, სწვდება, ხვდება და, თანაც, ისე შეუმცდარად, თითქოს ყველა მის ვნებას ისეთივე ჯადოქრობის ძალი შესწევდეს, რაც თვითონ მისთვისვეა ნიშნეული. მისი ყოველი მიდრეკილება იმდენად მყარია და ღრმად ფესვგადგმული, რომ სულ ამაოდ ცდილობს მათ ამოძირკვას, თუმცაღა ისინი ურიცხვ უბედურებას უქადიან მას. მაგრამ დროდადრო ის ახერხებს გასაოცარი სისწრაფით და ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე ანგარიში გაუსწოროს იმ გრძნობებს, რომელთა დათრგუნვასაც ამაოდ ცდილობდა წლების მანძილზე. აქედან ჩვენ სრული უფლებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არა ვისიმე მშვენიერება ანდა ღირსება, არამედ თვითონვე იწვევს და აღაგზნებს თავის სურვილებს, და რომ მხოლოდ მისი გემოვნება ანიჭებს ღირებულებას და უჩვეულო ხიბლით მოსავს მისი სურვილის ლტოლვის საგანს; ხოლო მისი ლტოლვის ერთადერთი საგანი მისივე თავი გახლავთ და თავისსავე ჟინს იცხრობს, როცა მთელის არსებით მიელტვის იმას, რაც ასე დაჟინებით სურს. მისი ბუნება ურთიერთსაპირისპირო საწყისთაგან არის შეთხზული: ის მბრძანებელიცაა და მონა-მორჩილიც, გულწრფელიც და თვალთმაქციც, ლმობიერიც და ულმობელიც, მხდალიც და მამაციც; შეუძლებელია მისი მიდრეკილებების ჩამოთვლა, რომლებიც ათასნაირი ვნებებით არიან განპირობებულნი და ხან სახელისა თუ სიმდიდრის მოხვეჭის, ხანაც განცხრომისა თუ ტკბობისათვის აღვრავენ მას. თავის მიზნებს ის ჩვენი ასაკის, კეთილდღეობისა თუ გამოცდილების

შეცვლასთან ერთად იცვლის, თუმცა-ღა მისთვის სულერთია, რამდენ მიზანს მისდევს — ერთადერთს თუ მრავალს, ვინაიდან, საჭიროებისა თუ საკუთარი სურვილის მიხედვით, შეუძლია მხოლოდ ერთ მიზანს ესწრაფვოდეს, ან ერთდროულად წილტვოდეს მრავალს. ის მერყევია და, გარეშე მიზეზებით გამოწვეული ცვლილებების გარდა, საკუთარი წიაღის სიღრმიდან გამუდმებით ბადებს ცვლილებებს. ის მერყევია მერყეობის, ფუქსავატობის, სიყვარულის, სიახლის მოთხოვნილების, დაღლილობის თუ ზიზღის გამო. ის თავნებაა და ამიტომ ზოგჯერ უკიდურესი დაძაბულობითა და წარმოუდგენელი ჭაპანწყვეტით ცდილობს მიაღწიოს იმას, რაც მისთვის არა მარტო ურგებია, არამედ აშკარად მავნეც, მაგრამ მისი სურვილი ლტოლვის საგნად კი გვევლინება. ის ათასგვარი უცნაურობითაა სავსე და ხშირად მთელს თავის გულმოდგინებას ყველაზე უბადრუკი საქმის აღსრულებას ალევს, ტკბება იმით, რაც ყველაზე მოსაწყენია და იწონებს იმით, რაც აშკარად ზიზღს იმსახურებს, ის განუყრელია ცხოვრების ყოველგვარი პირობისა და ყოველგვარი ვითარებისაგან; ის ყველგან ცოცხლობს, ყველაფრით და არაფრით საზრდოობს, ყველგან გააქვს თავი — ფუფუნებაშიც და სიდუხჭირეშიც. ის თავს იჩენს თვით იმ ხალხის სულშიაც კი, ვინც აშკარად ებრძვის და უპირისპირდება მას, განწონის მათ ზრახვებს და, რაც დიდად საოცარია, მათთან ერთად ზიზღით განუდგება, შეთქმულებას უწყობს და განადგურებას უქადის საკუთარ თავს. ასე რომ, ის თავისი თავის მოყვარეცაა და, იმავდროულად, მტერიც. ამიტომ, ნუ შეგვცბებით, თუ დავინახავთ, რომ ის ზოგჯერ ყველაზე მკაცრი თვითგანადგურების მხარეს უჭერს და აშკარად უკავშირდება მას, რათა, ამრიგად, შემუსროს თავისი თავი: რადგან ერთი ადგილიდან ამოძირკული დაუყოვნებლივ აღორძინდება მეორეგან. ჩვენ გვგონია, რომ მან ხელი აიღო განცხრომაზე, მაშინ როდესაც, სინამდვილეში, მხოლოდ გადადო ან სხვა რამით შეცვალა იგი; ჩვენ გვგონია, რომ ის ძლეულ იქნა, დამარცხდა, მაგრამ, თვით დამარცხებულიც კი, ის თავის გამარჯვებას ზეიმობს და დღესასწაულობს. აი, თავმოყვარეობის უტყუარი პორტრეტი, თავმოყვარეობისა, რომლის მთელი სიცოცხლეც სხვა არა არის რა, თუ არა დაუსრულებელი ბობოქრობა, ბორგვა და მღელვარება. ზღვა თავისი ტალღების მარადიული მიქცევ-მოქცევით, — აი, თავმოყვარეობის, მისი მუდმივი ვნებათაღელვისა და გულისთქმათა უწყვეტი მონაცვლეობის ზუსტი ხატება.

□

ლამარა ნაროუშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხე და ფრინველი რილკეს პოეზიაში

## (პოეტური სახის აგებისათვის)

ადამიანის მძაფრი ჟესტებით შეცბუნებული იგრძნობთ, რომ არსებობს „მხოლოდ ორი მთავარი, დიდი მოძრაობა: ფრინველის ფრთის გაშლა და ხის კენწეროთა რხევა. ამ ორმა მოძრაობამ უნდა ასწავლოს შენს სულს მიმოქცევა“,[1] — წერდა 1899 წლის 7 აპრილს ახალგაზრდა რილკე თავის დღიურში. რილკეს პოეზიას ეს ორი მშვენიერი მოძრაობა გასდევს და თუმცა რეალური სამყაროს საგნები და მოვლენები ამ საოცარი პოეზიის სივრცეში მხოლოდ გაიელვებენ — ჩნდებიან და უმალვე ქრებიან, ჩვენ მაინც შევეცდებით თვალი გავადევნოთ როგორ გარდაისახება რილკეს პოეტურ ფანტაზიაში რეალური სამყაროს ეს ორი საგანი: ხე და ფრინველი.

რილკეს პოეზია არის თანამედროვე ადამიანის ფიქრი სამყაროს, სიცოცხლის, შემოქმედების, წარმავლობისა და მარადიულობის რაობაზე. რაც თქმა უნდა, რეალური სინამდვილის საგნებს ამ პოეზიაში სრულიად განსხვავებული ფუნქცია ეკისრებათ. „თითოეული ნივთი მხოლოდ სივრცეა, შესაძლებლობაა და ჩემზეა დამოკიდებული, მას სრულყოფილად შევავსებ თუ ნაკლულად“[2]. რილკე აქ საგნებს უშუალოდ სივრცედ და შესაძლებლობად სახავს. პოეტი მათ თავისუფლად, ნებისმიერად იყენებს, მათი ფუნქციაა რეალური სამყაროს გამოხატვა, უფრო კი არა იმდენად ქმნადობა. რა გასაკვირია, რომ რეალური სამყაროს საგნები აქ მათთვის უჩვეულო, ზოგჯერ პარადოქსულ თვისებებსაც იძენენ. პოეტის ფანტაზიამ არ იცის საზღვრები. საოცარი ამ პოეზიაში ის გახლავთ, რომ მასში არც ერთი სახე არ გვხვდება, რომელსაც თვალით დანახული, უშუალოდ განცდილი არ ჰქონდეს საფუძვლად. სწორედ ეს შეუსაბამობა, უფრო თამამად, პარადოქსულობა: ერთი მხრივ, აბსტრაქტული, სრულიად უფორმო რეალობა და, მეორე მხრივ, გარესამყაროს ძლიერი რეალური განცდა — წარმოადგენს ამ პოეზიის ყველაზე მკვეთრ, გამორჩეულ თავისებურებას. რილკე თავად ამბობს: „ერთი ლექსის გულისათვის მრავალი ქალაქი უნდა ნახო, ადამიანები, ნივთები“[3]. რილკე ბევრს მოგზაურობდა, ნახულობდა, განიცდიდა, ერთ მშვენიერ დღეს, — რილკეს სიტყვებით, რომ ვთქვათ: — „ერთ იშვიათ ჟამს, ლექსის პირველი სიტყვა წამოიმართება“. ვიდრე რეალური საგანი რილკეს პოეზიაში თავის გამოსახვულ ადგილს დაიკავებდეს, იგი ზოგჯერ საოცარი მეტამორფოზების გზას გაივლის და მისთვის უჩვეულო თვისებებსაც შეიძენს, მაგრამ ერთი რამ უცვლელად დაჰყვება: რეალურობის ძლიერი, მკვეთრი განცდა. ამას განსაკუთრებით ნათლად ვგრძნობთ, თუ რილკეს პოეზიას შევუდარებთ მეორე დიდი გერმანელი პოეტის ქრისტიან მორგენშტერნის პოეზიას:

„რხეული ხეები
დაისზე
სიცოცხლის ქარიშხლის ზღაპრები
მეწამული სიკვდილის წინ“[4].

---

[1] Reiner Maria Rilke, Briefe und Tagebücher aus der Frühezeit, Insel-Vereag zu Leipzig, 1931, 254.

[2] იმავე კრებულიდან, გვ. 205.

[3] Rilke, Werke in drei Bänden, Malte Laurids Brigge, ტ. 3, 1966. გვ. 487.

[4] რადგან ჩვენი წერილის ძირითადი საგანი პოეტური ფორმის ანალიზია, ყველგან პწკარედული თარგმანი ვარჩიეთ — ლ. ნ.

დაახლოებით იგივე სურათი — ქარიშხალი და ხეები — რილკესთან შემდეგნაირად არის გადმოცემული:

„შენ არ გოიცებ ქარიშხლის ძალა
შენ ხედავდი როგორ იზრდებოდა იგი
ხეები რბიან. მათი ლტოლვა
ქმნის მსრბოლავ ხეივნებს".

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორგენშტერნსაც და რილკესაც რეალური გარესამყარო სჭირდებათ სრულიად იმატერიალური, სულიერი რაობის დასახატავად, მაგრამ რილკესთან ეს გარესამყარო თავისი რეალური განცდით არის აღბეჭდილი, ქარიშხალიც და გადახრილ ხეთა ხეივანი რეალური განცდის ანაბეჭდს ატარებს, რასაც ბგერწერა და რიტმი კიდევ უფრო აცხოველებს. მორგენშტერნის პეიზაჟზე ამას ვერ ვიტყვით. იგი მთლიანად დაცლილია ამ გრძნობისაგან, სამყაროს რეალური შეგრძნება სამყაროს მისტიურმა შეგრძნებამ შეცვალა.

მეორე ძალიან დამახასიათებელი ნიშანი, რომელსაც გვერდს ვერ ავუვლით, არის რეალური სამყაროს მძაფრი ესთეტიური განცდა. იგი რეალური განცდისაგან განუყოფელია და აძლიერებს მას ესთეტიურად. „ლაღი და მარადიული მშვენიერება გასდევს მთელს სამყაროს და იგი სამართლიანადაა მიმობნეული ლოდსა და მცირე ნივთებზე"[5]. ყველა საგანი, რომელსაც პოეტის ფანტაზია შეეხება, სილამაზეს გამოასხივებს. ეს რეალური საგნები გამოირჩევიან ლაჟვარდოვანი, ნათელი, და, ზოგჯერ, ბინდიერი, ჩამქრალი ფერებით. რილკეს მშვენიერება „ლაღია და მარადიული". პოეტი თითქოს განგებ არჩევს გარესამყაროსა და ბუნებაში წარმავალი სილამაზით აღბეჭდილ საგნებს — ქანდაკება, ფრინველთა ფრენა, მინდორში გაჭრილი თეთრი რაში, ზღვის ბგერებზე მეზღვაურის დაფრენს და ა. შ. ეს მშვენიერება კლასიკურია. იგი თითქოს არ ემორჩილება დროს და მარად არსებობს სამყაროში თავისი პირველქმნილი სახით. მაგრამ ეს მშვენიერებაც სინამდვილეში ისევ მხოლოდ ადამიანის სულიერი რეალობის გამომხატველია. „მას (ადამიანს) შეუძლია გაიხსენოს, რომ მთელი სილამაზე ცხოველებსა და მცენარეებში სიყვარულისა და ლტოლვის ჩუმი, უქმნელი ფორმაა", — წერს ერთგან რილკე. მშვენიერების ასეთი გაგება, რა თქმა უნდა, თანამედროვეა. იგი „სიყვარულისა და ლტოლვის ფორმაა", ე. ი. სინამდვილე მაინც სულიერი რაობის მეტაფორულია. უფრო მეტიც, იგი ფორმაა, სილამაზის ფორმაა, ასე ვთქვათ, ამ სულიერი რაობისა, „სიყვარულისა და ლტოლვისა". მაშასადამე, სავსებით სამყაროს რეალური განცდა მშვენიერების ნიშნით არის რილკეს პოეზია, და ამდენად, ყოველი მისი მატერიული სახის, ძირითადი საფუძველია.

ჩვენი განხილვის საგნებს — ფრინველსა და ხეს — ორივე ეს ნიშანი მკვეთრად ახასიათებს. სახის შინაგანი სტრუქტურის მხრივ ისინი იდენტურნიც კი არიან, ხოლო აგების თვალსაზრისით მკვეთრად განირჩევიან ერთიმეორისაგან.

ხე რილკეს პოეზიაში რთული და მეტად საინტერესო სახე-სიმბოლოა. ლექსების ციკლის „ჟამნის" ერთ-ერთ ლექსში შემოქმედება მას უზარმაზარ ხედ აქვს წარმოდგენილი. ქვევით, სადაც სიღრმეა და ღმერთი, სადაც აბსოლუტური შემოქმედების ძალაა, ის სიბნელეა[6]. ეს ხე კენწეროში ანგელოზებით თავდება, აქ იწყება სინათლის, დროისა და წარმავლობის სფერო, სადაც ლუციფერი, დროის ღმერთი, ბატონობს. სინათლისკენ პირმიქცეულ ანგელოზებს აღარც ახსოვთ, რომ ღმერთის ტოტებიდან ამოზრდილან და ლუციფერისა უფრო სჯერათ.

„მათ იქ სინათლისა უფრო სწამთ
ვიდრე ღმერთის შავი ძალისა".

ანგელოზები თითქოს ორივე სამყაროს განეკუთვნებიან ერთდროულად: მარადიული შემოქმედების სამყაროს, რომელიც თავისი ბუნებით გამორიცხავს წარმავლობას და დროს, და, ამავე დროს, ლუციფერის, წარმავლობის სამყაროს, სადაც „სინათლე არარაში ჩაიკარგება" და ამ ორ შეუთავსებელ საწყისს ამთლიანებენ. იქნებ ამ კუთხით დუინური ელეგიების ანგელოზებიც უკეთ დავინახოთ.

ამ ნათელ ხეს რილკე ისე გვიხატავს, რომ არსად არ ლაპარაკობს მის სილამაზეზე, ძლი-

[5] Reiner Maria Rilke, Briefe und Tagebücher aus der Frühezeit, Insel-Verlag გვ. 122-123.

[6] საინტერესოა, რომ dunkel — ბნელი „ჟამნში" შემოქმედების საწყისია, სინათლე-სიცხადე წარმავლობის სფეროა, სადაც არაფერი არ იქმნება.

ერებზე... უფრო მეტიც, ამ ლექსში სიტყვა „ხეს" საერთოდ ვერ შევხვდებით. პოეტი ლაპარაკობს კენწეროზე, ტოტებზე, საიდანაც ანგელოზები ამოზრდილან, ქვევით სიღრმეზე, სადაც სიბნელეა და ღმერთი. მაგრამ ეს ხე, რომელიც ფაქტიურად უხილავია, სინამდვილის გარეთ რჩება, მთელი ტანით აღიმართება ჩვენს წინაშე. იგი თავის აგებულებაში თითქოს აბსოლუტური შემოქმედების სამყაროს იმეორებს, სრული სიბნელე ზევით და ქვევით მთავრდება და ბოლოს, კენწეროთი ბრწყინვალე სინათლის სფეროს, აბსოლუტური წარმოსახვის სფეროს ებჯინება. ეს უზარმაზარი ხე თავის თავში ასეთსავე ღრმა და ღვთიურ აზრს, მაღალ აზროვნებას. იგი ერთგვარად სწორედ ამ აზრის განსხეულებაა, ფორმადქმნილ სახედ გვევლინება[7].

სრულიად განსხვავებულ შინაარსს ატარებს ხე შემდეგ სტრიქონებში:

„დაე, დიდებულად გაიგუგუნოს ხე / რომელიც უზარმაზარ ფესვებიდან ზეამართული / რომელსაც ქარი და ფრინველნი უსასრულოდ სერავენ / და რომლის ძირშიც მწყემსურ საფიქრალს / მწყემსნი ფიქრობდნენ და ცხვარი ისვენებდა /, და რადგან მასში (ხეში. ლ. ნ.) ძლიერი ვარსკვლავები ბრწყინავენ /, იგი მთელი ღამის ნილბად იქცევა".

ბიბლიური ძალა და სილამაზე მოსდევს მთელ სტროფს. ხე თითქოს სიტყვიერ მასალაშია გამოქანდაკებული უზარმაზარი ფესვებიდან კენწერომდე. მას ძლიერ ტოტებში ქარი და ფრინველნი დაქრიან, ქვემოთ მწყემსი და ცხვარი ისვენებს, ძლიერ ვარსკვლავთა ბრწყინვა კი მას მთელი ღამის ნილბად აქცევს. ხე აქ თვით ცხოვრებაა, არსებობის, ყოფიერების სიმბოლოდ გვევლინება.

ამ უზარმაზარი ხის არსებობა ძლიერია: ადამიანი მის ჩრდილქვე გამობმულ საქანელაზე ქანაობს. ეს ხე, როგორც ხელთუქმნელი მარადიული ძალა, თავისთავშია დასრულებული და შეკრული.

ჩვენს მიერ განხილული ორი ხე განსხვავებულ შინაარსსა და გაწყობას ატარებს. ისინი ძირითადად ინტონაციითაც განირჩევიან; პირველ შემთხვევაში ხეს ფაქტიურად ბევრი ფაქტაზოა ქმნის რომელიმე მეტაფორისაგან, მეორე შემთხვევაში ხე მკვეთრად აღბეჭდილი ნათელი კონტურებით. აქეთ მათ საერთოც ბევრი აქვთ: ორივე თავისთავში რაღაც დასრულებული, დამთავრებული ატარებს, ამიტომ იქცევიან. რომ ისინი უზარმაზარი აზრის სახე—ფორმის წარმომადგენლები და კონკრეტული ხისა მხოლოდ ფორმა გააჩნიათ. ზოგჯერ სახე—ხე იმდენად აბსტრაქტულია თავისი შინაარსით, რომ დაბეჯითებით ვერც კი იტყვი, რას გამოხატავს იგი კონკრეტულად:

„ვინც არ უნდა იყო შენ: საღამოს გამოდი გარეთ / როგორც უკანასკნელი, სახლის წინ დგას შენი სახელი/. შენი თვალებით, რომლებიც დაქანცულნი, ძლივს / თავიანთ ზღურბლიდან გაცვეთილი ზღურბლისაგან / აღმართავ შავად ნელა შავ ხეს / და დადგამ მას ცის პირისპირ: მოქნილს, მარტოს და შენ შექმენი სამყარო. დიდია იგი".

რეალობა, რომელიც ლექსის ყოველი სიტყვის სიღრმეში გარეთ დარჩა და რომელიც აქ თავისით ინგრევა, არის უკიდეგანო, სევდიანი, თვალსაწიერამდე გადაშლილი, განუსაზღვრელი, მიწიერი ყოფა, და სისავსე მარტოობის გრძნობა. რილკეს სიტყვები გვახსენდება: „იცოდეთ, რომ ხელოვნება არის საშუალება მარტოსულთა თვითგამოხატვის". ადამიანი, რომელიც ამ უსაზღვრო სივრცისა და მარტოობის პირისპირ დგას საღამოს, თავისუფლდება ყოველდღიური წვრილმანი საზრუნავისაგან, ამ სრულ სიცარიელეში ხეს აღმართავს და ამით სამყაროს ქმნის. „დიდია იგი",— ამბობს პოეტი ამ სამყაროზე. რილკე ძალზე იშვიათად მიმართავს ეპითეტს, აქ „შავი" გარემოს საერთო ტონს ქმნის. მთელი სტრიქონი „შავი ხით" აღმართული განწყობილების გაძლიერებას ქმნის. ეს ხე აქ შეიძლება შემოქმედების გაგებით, სიმბოლურად, უშრეტად, ფიქრად და იქნებ ყველაფერ იმ ადამიანად, რომელიც პირისპირ დგება ამ სივრცის წინაშე. ნათელი და გარკვეულია მხოლოდ ერთი: ეს არის რაღაც დასრულებული მთლიანობა, თვითკმაყოფილება, რომელსაც თავისთავადობა და სრულყოფილი არსებობა გააჩნია.

რილკეს პოეზიაში ხე თავისებურად არის აგებული. რეალური ხის განწყობილება ყველა სახეს თან დაჰყვება, მაგრამ რილკეს ხე დაცილებულია რეალური ხის თვისებებისაგან, ეს ხე ჩვენს თვალწინ ჩნდება და ქრება, მას სამყარო დაკარგული აქვს.

---

[7] ულრიხ ფიულებორნის აზრით, ღმერთი რილკეს „ლექსში" აბსოლუტური შემოქმედების სიმბოლოა.

„ახლა კი დამემსხვრა ხე — ილუზიები
დამემსხვრა ქარიშხალში ჩემი ნელი
ხე — ილუზიები
ულამაზესი ჩემს უხილავ ლანდშაფტში".

პირველ რიგში თვალში გვეცემა „ხე — ილუზია". ილუზიები ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე ხესთან გაიგივდა და ფორმა და სხეულებრიობაც შეიძინა. კონკრეტული საგანი — „ხე" — და აბსტრაქტული — „ილუზიები" ერთ სახედ შეიკრა რისაც განსაკუთრებული ერთეული „ნელი", რომელიც თავისთავად უცხოა ილუზიებისათვის და ხესაც შესაბამისად ვერ შეესადაგება. „ნელი ილუზიების ხე" — ამიტომ კომპონენტი სრულიად შეუსაბამო და პარადოქსულად არის შეერთებული. ილუზიები მძაფრი გრძნობაა და უცებ დაეუფლება ხოლმე ადამიანს. ეპითეტი „ნელი" მას ამ თვისებისგან ცლის. იგი უკვე ისეთ გახევებულ გვევლინება, რომელიც ნელა, ჩუმად ხეებივით გაიზრდება ადამიანის სულში. „ხე" მას ფორმას და სიმაღლეს, სილამაზეს სძენს (პოეტი თვითონ ამბობს ამ ხეზე — ჩემს უხილავ ლანდშაფტში ულამაზესიაო). ეს ხე ერთ მომენტშია ლოკალიზებული — ქარიშხალი რომ ამსხვრევს და ეს-ესაა უნდა გადატყდეს — დაქცეულიყო კულმინაციურ მომენტში. იგი ტრაგიკულია და მშვენიერი ერთდროულად. რიტმი და გამეორება ამ ტრაგიზმს კიდევ უფრო აძლიერებს. შენელებულ კადრს მოგვაგონებს, დინამიურობაც და ქარიშხლის სიმძაფრეც თითქოს შენელებულია. აქ არის ძალა, რომელიც დიდხანს წარმოქმნილ ილუზიებს ანადგურებს ადამიანის სულში. ქარიშხლით გადატეხილი ხე თავისი რეალობის განცდით ტკივილამდე მძაფრად გვაგრძნობინებს განადგურებული გრძნობის ხასიათს, სიმაღლეს, სილამაზეს. თუმცა ამ ხეს ჩვენს წარმოდგენაში დიდხანს ვერ ვაცოცხლებთ, იგი თითქოს ჩნდება და ქრება, მაგრამ რეალური განცდა ამ ხის მშვენიერების განცდისას ერთად ემოციურად ძლიერია და მკვეთრი, იგი მთელი სახის საყრდენს წარმოადგენს. „ნელი ხე — ილუზიები" აგებულია აბსტრაქტულისა და კონკრეტულის შეზავებით. სრულიად უხილავმა „ილუზიებმა" ამით სხეულებრიობა და ფორმა შეიძინა.

მხატვრული სახის ასეთი აგება რილკეს პოეზიის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. „...ურთიერთსაპირისპირო საწყისების შერწყმის ტენდენცია — ყოველივე კონკრეტულის ღრმად გრძნობებისაგან და აბსტრაქტულის გრძნობადად ქცევა — „უხილავის" პარადოქსული აგების მიზნით ხილული სამყაროს მიჯნაზე არის მკვეთრად გამოხატული თანამედროვე სტრუქტურული თვისება"[8].

რილკე ერთი მხატვრული სახის ასაგებად ზოგჯერ გარეგნულად განსხვავებულ რამდენიმე სურათს დაუკავშირებს ერთდროულად, შესაბამისად დაწერის და თავისებურ აგებით.

„დიდი მარტოობა იწყება / დღეები ყრუვდება / შენი შეგრძნებებიდან მიაქვს ქარს / ქვეყანა რომლისაც დამჭკნარი ფოთლები / მის მიღმა ტოტებს შორის მოჩანს / ცა, რომელიც შენ გაქვს".

ამ სახის აგებაშიც ბოლომდე ელემენტად აბსტრაქტულისა და კონკრეტულის შერწყმა ვლინდება. მას საფუძვლად შემოდგომის ორი სურათი უდევს. ერთი: ქარს მიაქვს დამჭკნარი ფოთლები, მეორე: შიშველი ტოტები ცის ფონზე. ორივე სურათი ერთდროულად არის წარმოდგენილი, თანმიმდევრობის გარეშე (ერთ ყოვლისმომცველ აბლაბუდადაა), ორივე ერთმანეთზე გადაბმულია: მოძრაობაც — ქარს მიაქვს ფოთლები — და შეყოვნებაც — სიმშვიდე — ცის ფონზე შიშველი ტოტები. აქ ერთი ერთდროული, პარადოქსული შეერთებით, როცა ერთდროულად მოძრაობაც არის და უძრაობაც, ქარიც და სიმშვიდეც, პოეტი ასეთ ბუნებრივად და ცხოველი სიცხადით ხატავს წინაშე სულიერ რეალობას. ესაა განმარტოება, თავისთავთან დარჩენა შემოქმედისათვის, გარესამყაროსგან მთლიანი გამოთიშვა. პოეტი ამ გრძნობას და ხელით შეხებად რეალობას ეპოქით, ფერით და განწყობით (შემოდგომისეული განწყობით) მოსავს. ღრმად ხვდება გარესამყაროსაგან მოწყვეტა და საკუთარ თავთან მარტო დარჩენა თანმიმდევრობით არ ხდება. ეს ერთდროული პროცესია. ჯერ კი არ მოწყდებით და მერე, როცა ეს მოთავდება, იწყებთ მარტოობას. ეს ერთდროულად ხდება გარკვეულ მომენტამდე. ამ თვალსაზრისით ეს პროცესი უფრო სრული და ღრმადაა დახატული. მოძრაობისა და მდგრადობის ეს ერთდროულობა, პარადოქსული შეერთება, რილკეს პოეზიაში იმდენად ხშირია, რომ მისთვის შეგვეძლო ტიპიურიც კი გვეწოდებინა.

დაახლოებით იგივე რეალობაა ასახული შემდეგ სტროფებში:

---

[8]Ulrich Fülleborn, „Das Strukturproblem der späten Lirik Rilkes" Heidelberg, 1966, გვ. 219.

„ო, ჰვერეტის მაღალო ხეო, რომელიც იზარდეს /ახლა კი ზმად უნდა დაეხედეთ ცას მოზღვავებას / რომელიც მის ტოტებში შემოიჭრება/“.

„ო, ჰვერეტის მაღალო ხეო“. ეს ხე იზარდეს და ტოტებში უსაზღვრო ცა შემოიჭრა. მზერა, რომლის არედან ნივთიერი სამყარო ქრება: ცა აქ არა მარტო უსაზღვრო სივრცეა, არამედ თავად უსაზღვროებაა, რომლის წინაშე შემოქმედი პირისპირ მარტო რჩება. ძირითადად იგივე განწყობაა: თუ იქ, ცის ფონზე, მხოლოდ მიშველი ტოტები წარმოიდგინებოდა, აქ, ჩვენს წინაშე მშვენიერი მაღალი ხე აღიმართება. რადგან ქარი არ ჩანს, [illegible] განწირულად უფრო წელი, მშვიდი პროცესია, შენიდგომის სინათლით და [illegible].

ეს ხატიც აბსტრაქტულისა და კონკრეტულის შეერთებით არის აგებული. მზერა იშმინდება ყოველივე მეორეხარისხოვანისა და შემთხვევითისაგან და, ლაწმენდილი, უსაზღვრო სივრცეს უჭვრეტს. ეს უსაზღვრო სივრცე შემოქმედების უკიდეგანო სამყოფელად გვესახება.

მეათე ელეგიაში ასეთ სტრიქონებს ვხვდებით:

„ჩივილი... აჩვენებს მას მაღალ ცრემლის ხეებს და / აყვავებული მწუხარების მინდვრებს“.

ცრემლები ნაკადულებად, მდინარეებად და ზღვადაც წარმოუდგენია ადამიანის ფანტაზიას, ხეებად — არასოდეს. ეს მაღალი ცრემლის ხეები პირველ რიგში მწუხარე და მშვენიერია. წარმოიდგინეთ ალვის მაღალი, გამჭვირვალე, მწუხარე ხის ფორმა, სიწმინდეც ახლავს მათ.

გავიხსენოთ:

„ქვეყნიერების რიგს გასცდი / ლანდშაფტის, რომელშიც გივლი / როგორ განლაგდება მომხდარი სივრცეში / ერთი იქცა მდელოდ, ერთიც ხედ, ერთი კიდევ წავიდა ცის შექმნაში დასახმარებლად /“.

ყოველივე განცდილი, ნაფიქრი ლანდშაფტად, სახე-ფორმად რჩება ჩვენს ცხოვრებაში, ჩივილი რილკეს ცოცხალ არსებად, ქალად წარმოუდგენია, ჩივილის სამყოფელი ცრემლის ხეები და ტკივილით აყვავებული ველ-მინდორია. ნისი მწუხარე და კეთილშობილი ბუნება სწორედ მაღალი ხეებითა და აყვავებული ველ-მინდვრებით არის წარმოდგენილი, რომლებიც ნისი შინაგანი ბუნების გასხივოსნებად, სახე-ფორმად უნდა მივიჩნიოთ. კეთილშობილია იგი და მშვენიერი — გვამცნობს „ცრემლის მაღალი ხეები“. რეალური ხის აქ მხოლოდ წმინდა ილუზია გვაქვს, სრულიად ტრანსფორმირებული. ცრემლის მაღალ ხეებს ჩვენს წარმოდგენაში დაკონკრეტება არ სჭირდება. ისინი თავიანთ ადილით სიდიადითა და უჩვეულობით გვატყვევებენ, ერთბაშად ქმნიან ძლიერ ემოციურ ველს და ხის ნაცვლად არსებობაში არავის ეძარება ეჭვი. მთელი ამ სურათის რეალური საფუძველი განათებული, აყვავებულ მინდვრებში ჩამდგარი მაღალი „მტირალა“ ხეებია.

პოეტმა ამ სახის ასაგებად ორი რეალური, კონკრეტული რამ — „ცრემლი“ და „ხეები“ — ნებისმიერად დაუკავშირა ერთმანეთს და ნათლიანობად წარმოადგინა „მტირალა“ ხის ასოციაციით.

„ამოიზარდა ხე... ო, შეწმინდო ზეაღმართვავ!
ო, ორფეოსი მღერის! ო, მაღალო ხეო ყურში!“

რეალური ხის ატატიურობა, თითქმის უძრაობა, მკაფიო დინამიურობით არის შეცვლილი. ხის ძალუმი ამოზრდა აქ ძლიერი აკორდის ჟღერას გვაგონებს. „ო, ორფეოსი მღერის!“ ეგი ერთგვარად ნიადაგს ამზადებს ისეთი უჩვეულო და მოულოდნელი სახისათვის, როგორიცაა „მაღალო ხეო ყურში!“ მას უკვე ხედ აღარ წარმოვიდგენთ. ორფეოსის სიმღერა ისეთი ძალისაა, მის მოსასმენად ტყიდან მხეცნი გამოდიან და კლდენი ადგილიდან იძვრიან. ხე ამ სიმღერის ძლიერებას, სიღრმეს გვაგრძნობინებს, თითქოს ფიზიკურად რომ ეშვება ყურში. ჩვენ აღვიქვამთ მხოლოდ მაღალი ხის ტანის შემართვასა და ძლიერებას, ტოტებში აყვავებულ ძალას, თორემ რეალურად ყურში ჩადგმული ხე სადღაც არაესთეტიურიც იქნებოდა. ყური და ხე — ამ სახის კომპონენტები შეუთავსებელზე მეტია. ღრმატრიალიზაცია აქ რეალური საგნის რეალურსავე საგანთან უჩვეულო შეერთებით ხდება. თავად ხის წარმოდგენა მუსიკის ჰანგად ძალზე თამამი და გაბედული სახეა. მაგრამ ამ პარადოქსულობითა და რეალური მიმართების აბსოლუტური იგნორირების საფუძველზე ისეთი ძლიერი და ღრმა სახე შექმნა, რომ უფრო ძლიერად, ალბათ, მხოლოდ თავად ორფეოსის სიმღერა თუ დაგვაპყრობს.

რილკესთან ხეს შეუძლია არა მარტო მოძრაობა გამოხატოს (მაგალითად, მუსიკა, როგორც ეს ზემოთ განხილულ სახეში გვქონდა), არამედ, პირიქით, მოძრაობამ შეიძლება ხის ფორმა მიიღოს:

„ორფეოსი! ო, შენ გაიღასვლავ ყოველივე წარმავლობისა მოძრაობაში / როგორ გამოიხატე შენ ეს / და ციბრუტი ბოლოს / ეს ხე მოძრაობისა...!"

აქ მსგავსად და, ერთი წამით იკვეთება გარეგნული მსგავსება — ცეკვის დინამიური დასასრული, მოცეკვავის ხელები და მთელი ტანი, თითქოს ხის კონტურს შემოხაზავს, ის არის მოძრაობით, ცეკვით შექმნილი ხეარის (ხის) კონტური. მოძრაობა და ფორმები, როგორც სიმართლე ხისა, ერთდროულად, ერთად არის წარმოდგენილი. მოძრაობით შექმნილი ხის კონტური წარმავალია, ფორმა სწორად, წამიერია, იგი მყისვე წუთში დაირღვევა. თვითონ ხის ფორმა თავისთავად მყარია. აქ პირობითად შეიძლება ზოგადისა და კონკრეტულის სახექმნილი ურთიერთობა დავინახოთ, თუ ზოგადს გავიგებთ როგორც მარად არსებულს და წარმავალს, კონკრეტულს კი — მხოლოდ წარმავალ არაარსებითს ფორმას.

მთელი ლექსით და არათ ახე — „ხე" — როგორც ზოგადი აზრის გამომხატველი სტრუქტურა და, ამავე დროს, კონკრეტული საგნის აღმნიშვნელი, შემდეგ სტროფებში ვლინდება:

„ერთბაშად მრავალი ვით შადრევნები / შუშის მოუწყვლელ ხეთა შესახებ".

აქ ორი ერთმანეთის საგნობრივი სამყაროს საგანია გაერთიანებული: შადრევანი და ხე. ხეს, როგორც მდგრადს, ფესვებით მიწაზე მიჯაჭვულ საგანს, არავითარი მსგავსება არა აქვს შადრევნებთან, მარად მოძრავ წყალთან. გარეგნულად შეიძლება მხოლოდ შადრევანისა და ხის კონტურის ზოგად მსგავსებაზე ვილაპარაკოთ. რილკე შადრევნის კონტურს ამჟღავნებს, როცა ამბობს — „შუშის ხეები". ეს დაუსრულებელი მოძრაობა საბოლოოდ ერთსა და იმავე გზას გაივლის და, ალბათ, შორიდან დანახული, უძრავადაც შეიძლება წარმოვიდგინოთ. მაგრამ ეს სახე რილკეს მარტო გარეგნული კონტურის მსგავსებაზე არ აუგია, მათ გაცილებით უფრო რთული და არსებითი მსგავსება აქვთ. მეექვსე ელეგიაში ასეთი სტროფები გვხვდება:

„როგორც შადრევნის მილი / შენი მოხრილი ტოტები / ეზიდებიან წვენს ზევით
და ქვევით/".

ხის წვენი ზევით ადის და ქვევით ეშვება. შადრევანშიაც წყალი იმავე გზას გაივლის: ზევით ადის და მერე ვარდება. ზევით სრბოლა უკვე თავის თავშივე შეიცავს ვარდნას, „რომელიც ატყორცნილ შავლში უკვე ვარდნას გულისხმობს", რადგან ყველაფერი, ზევით ატყორცნილი, ძირს ეშვება. მას ქვევით ეწევა — „ვარდნის სიმძიმე". ეს ყველაფერში მეორდება.

„ჩვენ ყველანი ვვარდებით: აი, ეს ხელიც ვარდება
და შეხედე სხვებს: იგი ყველაფერშია".

ეს მოძრაობა, ნაშასადამე, რომელიც ხეში, შადრევანში მეორდება, ზოგადად ყოფიერების შინაგან სტრუქტურას გამოხატავს. თავად ხე და ამ შემთხვევაში შადრევანიც, როგორც ფიზიკური არსებობის მქონე, წარმავალია. წარმავალი და წარმავალი არსებობის მქონეა ის, რაც მათ აერთიანებს: ეს სრბოლა ქვევიდან ზევით და ვარდნა, როგორც უზოგადესი სახე მარად არსებულისა.

ხესა და ფრინველს, უფრო ზუსტად, ფრინველთა ფრენას, ეს ერთი ძირითადი უზოგადესი სტრუქტურა აერთიანებს. ხეში ამის საფუძველი, როგორც დავინახეთ, ხის წვენის ცირკულაციაა, ფრინველში — ფრენით შემოხაზული რკალი. ეს ორი მოძრაობა თავის ზოგად სტრუქტურაში ყველაფრის საწყის-დასასრულზე მიგვითითებს. ადამიანის გრძნობა, ფიქრი, განწყობა, შემოქმედება და, უფრო ზოგადად, მთელი სიცოცხლე ამ ერთი მოძრაობით არის განსაზღვრული, ოღონდ ხისგან განსხვავებით, რომელიც უფრო რთული და შინაარსითაც უფრო დატვირთულია, ფრინველის ფრენა წმინდა მოძრაობაა, ამ აზრის უზოგადესი გრაფიკული გამოსახულებაა, ამიტომ თვალსაზრისითაც უფრო მარტივი და სადაა. ეს გასაგებიცაა, პოეტს აქ არ უხდება რეალური სინამდვილის დაშლა და დამუხრუჭება, წინა ხელახლა აგება იმ მიზნით, რომ ეს მოძრაობა საცნაური გახადოს. მოძრაობა უკვე თავისთავად მოცემული და მას ფიზიკური არსებობა გააჩნია, თვალით დასანახი და ცხადი, რაც ხეს, როგორც სტატიკურ საგანს, ვერ ექნებოდა.

ფრინველი ან ფრინველთა გუნდი რილკეს პოეზიაში ცაში აიჭრება, სივრცეს გადასერავს, ან ქვევით ეშვება და მშვენიერ, ლამაზ რკალს შემოხაზავს. პოეტი იშვიათად აახლოებს ფრინველის სახეობას, ხოლო მის ფერსა თუ ფორმაზე არსად არ ლაპარაკობს. ფრინველში ზოგადი მხოლოდ ფრინველობა აინტერესებს პოეტს. აქ ფრინველს ვერ ნახავთ დამჯდარს. იგი ან ეს-ესაა ეშვება, ან აფრენას აპირებს. რილკეს ფრინველები არასოდეს არ გალობენ, ხანდახან მათი ყივილი გაისმის. პოეტი ფრინველის მოძრაობაში ყოველთვის გამოყოფს ზო-

გაღს, მაგალითად, ფრინველის ფრენით შემოჭრილი ხაზის ფორმასა თუ სილამაზეს, რომელიც თავისთავში ერთდროულად კონკრეტულსა და აბსტრაქტულს შეიცავს.

როგორ ხედავს რილკე ფრინველთა ფრენას და როგორ ახასიათებს იგი ფრენის ხილვა-დობას?

„ო, მხოლოდ წამის, როდესაც ფრენა
თავისი თავის გამო აღარ აიჭრება
ცათა სიჩუმეში, თავისით კმაყოფილი,
რომ ნათელ პროფილებში
ქართა ხებიერად ინაგარდოს
ლაღად ხებიერად
...ძნელად მაშინ, როცა წმინდა „სით" ფარბლები
იქნება... სიმაღლეთა მოახლოება,
რისაც იგი იყო ფრენის შემთხვევისა".

მხოლოდ ფრენა და მეტი არაფერი. თავისუფალი ყოველგვარი განზრახვისა და მიზნისაგან. იგი დაცლილია ყოველდღიური საზრუნავისა და დანიშნულებისაგან. იგი აღარ გვევლინება სასიცოცხლო არსებობის ფორმად. მხოლოდ ასეთი ფრენა შეიძლება იყოს რაიმეს ნიშანი, სხვა შინაარსისა და სხვა რეალობის ხატი. ფრინველები ამ პოეზიაში არასოდეს არ დაიძვრებიან ცისკენ საკუთარი სურვილით ან განზრახვით. თავად ფრინველიც ან სურვილისაგან დაცლილი ჩანს. მას ცაში რაღაც ძალა მიაქანებს, თავისი ლამაზი ფრენით თითქოს ამ ძალის სურათს შემოსწერს ცაზე.

VIII ელეგიაში ასეთი სტრიქონები გვხვდება:

„როგორც შეშინებულია რაც უნდა გაფრინდეს
და კალთიდან ხაზობს. თითქოს საკუთარი თავით დაშინებული
/გადაჭრეთს ჰაერს, თითქოს ბზარმა ფინჯანში
გაიარაო / ისე გადაუვლის ღამურას კვალი საღამოს ფაიფურს"/.

აქ ნათლად ჩანს ამ ფრენის ხასიათი, ჰაერში ძალა აიძულებს ფრინველს ცაში აიჭრას. ღამურა, თითქოს საკუთარი თავით დაშინებული, გადაჭრის ჰაერს. ღამურას ფრენით გადაკვეთილი ხაზი საღამოს ფაიფურზე დარჩენილ ბზარს ჰგავს. პლასტიკური ეს უეცარი გადაჭრება და მშვენიერი. პოეტი საღამოს აჩვენებს სიტყვით „ფაიფური", რითაც ამ ფრენის ხაზი მკვეთრად გამოავლინოს, რაღაც წამით მთელ ცას შეარჩინოს, ვიდრე გაქრებოდეს.

მკვეთრია და დინამიური ზევით აჭრილი ხაზი შემდეგ სახეშიც:

„და მდელომხევიდან ღამეში გასტყორცნა/ერთი მუჭა მოფარფატე მტრედებისა სინათლეში".

რილკეს ამ სონეტს თან ახლავს განმარტება: მდელოს ცისფერად მკრთალი მტრედებს მონადირეები მტკაშიში ფართხალს ჩამწყვდეული ტილოთი აგროვებენ და როცა ისინი გამოუშვებენ, აფრინდებიან, ხოლო ჩვენ: „მდელოდან ღამეში ერთი მუჭა მოფარფატე მტრედები ასროლა სინათლეში".

წარმტაცია უეცრად მდელოდან ცაში აჭრილი მკრთალი მტრედების გუნდი. პოეტი არაფერს ამბობს ამ მტრედების ფერზე, მაგრამ სრული სიბნელიდან სინათლეში, საპირისპირო ფერში, ინტენსიურ სითეთრეში გატყორცნილ ამ მტრედებს „თეთრად" აღვიქვამთ. თვალისმომჭრელად გაელვებენ ისინი ჩვენს თვალწინ. პოეტი მტრედთა ფრენის სიჩქარეს ამკვეთრებს სიტყვით „მოფარფატე", და ამით მთელ სურათს, მტრედების გუნდის ფრენას, ერთი წამით პლასტიკურობას სძენს. ეს ულამაზესი ფრენა მაშინვე ქრება, დაბლა ისინი უსიცოცხლოდ ცვივიან. ეს სახე სონეტში ერთადერთი და ყველაზე ნათელი სახეა. იგი, ამავე დროს, სონეტის აზრობრივი ცენტრიცაა. „მოკვლა ხატია ჩვენი მოხეტიალე მწუხარებისა" ამბობს პოეტი და დასძენს: „მაგრამ ამასაც აქვს განათლება". მდელოებიდან ზევით აჭრილი მტრედები სინათლეში და სიცოცხლის შეწყვეტა. ჩვენს წარმოდგენაში სწორედ ეს ზევით აჭრა რჩება და იყურება ნათლად, დანარჩენს პოეტი პირდაპირ არც ამბობს და ქვეშით მიმოფანტული დახოცილი მტრედები, როგორც ხელმწიფური დაკარგული, ჩვენი ყურადღების მიღმა რჩება. რადგან უცებ ამ თვალისმომჭრელ ფრენაში, თითქოს ერთდროულად დაცემაც იგულისხმება. იგი მას დასაწყისშივე ატარებდა თავისთავში. სიკვდილისაკენ გაქანება, უეცარი გაბრწყინება და ქრობა.

რილკეს ერთი დაუმთავრებლად დაწერილი ლექსის ნაწილს [illegible] თარგმანში გთავაზობთ:

Кто сказал, что все исчезнет?
Птица, которую ты ранил — кто знает?
— остается ли полет?
Длится не жест....[9]

რჩება არა თავად ფრენა. იგი, როგორც ფიზიკური მოვლენა, სასრულია [illegible] ტოვებს. „წარმავალი ყველგან იძირება ღრმა ყოფიერებაში. ასე რომ, [illegible]ლი ფორმა უნდა მივიღოთ არა მარტო როგორც დროით შეზღუდული, არამედ ვცადოთ შეძლებისამებრ გადავიყვანოთ იგინი ყოფიერების იმ უმაღლეს სახეობაში, რომლის თანაზიარნი ჩვენაც ვართ, მაგრამ არა ქრისტიანული თვალთახედვით... ღრმად აქვეყნიური, წმინდა მიწიერი, ხელოვნად მიწიერი განზრახვით ყველაფერი, რასაც ვხედავთ და ვეხებით აქ, გადავიყვანოთ ყოფიერების უფრო ფართო, უფროცა წრეში... ჩვენი მოვალეობაა და საგნებს ენთო ჩავწვდეთ ჩვენი შინაგანი გრძნობის თვალით და გარდავქმნათ". ცაში ატყორცნილი მტრედები, რომლებსაც მონადირის ტყვია ელის, ხატია „ჩვენი მოხეტიალე მწუხარებისა". დაჭრილი ფრინველიც ვარდება და ჰაერში არავითარ კვალს არ ტოვებს.

„მტრედები ფრენისას ჰაერში და ისინი
ვინც მათ შემოსწვდა
იქნებ არც ერთი იყოს იმათ. მაგრამ მხოლოდ როგორღაც წარმოდგენილი".

აქ არარის ფრინველიც და არარის ფრენა. მხოლოდ მტრედები — ფრენით ჰაერში შემოხაზული აბსტრაქტული ხაზი. ეს ერთი ხაზი მეორდება ფრინველთა ფრენაში და იგი არა მარტო ამ მოძრაობის მშვენიერი ზოგადი განსახიერებაა, მას ღრმა აზრიც აქვს.

ორფევსის ერთ-ერთ სონეტში პოეტი კითხულობს:

„რა იყო ჭეშმარიტი სამყაროში?
არაფერი, მხოლოდ ზღურბლები. მათი დიდებული
რკალები, ბაგეებიც კი არა".

ნამდვილად არსებობენ მხოლოდ დიდებული რკალები, საგნობრიობისაგან წმინდად დაცლილნი. არაფერია ნამდვილი ამ დიდებული მოძრაობის გარდა, რომლებსაც წამიერი, წარმავალი საგანი შემოხაზავს და რომლებიც, ყოფიერების უმაღლეს სახეში გადატანილნი, მარადიული პარადიგმაა ზეციერისა და ყოფნისა, ყოველივე არსებულისა. შინაგანი სტრუქტურაა. „ფრენის მოძრაობაში" ფრენის უზოგადესი აბსტრაქტული აზრი გამოიყურება, როგორც ერთგვარი ფორმულა, ხატი, შინაგანი სტრუქტურა ყოველივე არსებულისა ზოგადად.

უფრო კონკრეტულ შემთხვევაში ამ მოძრაობის ფორმას ის ძალა, გრძნობა, აზრი განსაზღვრავს, რომელიც ფრინველს უბიძგებს ფრენისაკენ და რომელიც, ამდენად, ამ ფრენის მიზეზიცაა.

ძალიან რელიეფურადაა გამოყვანილი ეს შემდეგ სახეში:

„ვითარცა ფრინველნი, რომლებიც დიდი / ზარებით მაღლობლად, სამრეკლოებში / ცხოვრობენ / ეულად აღძრულნი გრძნობებისაგან / ღამის ჰაერში გატყორცნილნი / და გასაფრენად დამაბმულნი / ხელწერას თავისი ლანდით / შიშისა კოშკებს შემოსწვდებიან./"

აქაც ფრინველები, რომლებსაც მტრედებად ვხედავთ, თავისი ლანდით შიშის (შიში და კოშკები მრავლობითით რიცხვშია) ხელწერას შემოსწვდებიან კოშკს ირგვლივ. ფრენით შემოხაზული რკალი რაღაცის გამოსახულებაა. წინა მაგალითში, ადამიანის ლტოლვისა, აქ — მტრედების შიშის. მშვენიერია დამფრთხალი მტრედების ფრენა კოშკის გარშემო. როცა პოეტი საგანთა სამყაროს ეხება, იგი ისეთ სახეებს ქმნის, რომლებშიც ... არქიტექტურა მკვეთრადაა გამოვლენილი. სამრეკლოს კოშკი, მტრედების ტრიალი მის ირგვლივ არქიტექტურული, კლასიკური სიცხადისაა. კოშკის გარშემო მოტრიალე მტრედები ამ დროს მხოლოდ საკუთარი შიშის ხელწერას ტოვებენ, სურათს კი არა, ამ შიშის გრაფიკულ გამოსახულებას, თუ შეიძლება ასე ითქვას. ეს უკვე შინაგანი თანაზიარების ხედვაა და ნაწილობრივ საკმაოდ ძლიერად იგრძნობა აბსტრაქტულობა. ერთი მხრივ, არქიტექტურა, ხოლო მეორე მხრივ, თანამედროვე აბსტრაქტული ხელოვნება, ერთ სახეშია გამთლიანებული. სიღრმისეული არქიტექტურა, კლასიკური ფორმები თითქოს მთელ მოძრაობაზე ბატონობენ. მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს სახეს. მასში პირობითად შეიძლება სამი ძირითადი დონე გამოვყოთ:

1. თვალსაჩინო საგნის ძლიერი განცდა (ამ შემთხვევაში კოშკი, სამრეკლო, მტრედები)

[9] Р. М. Рильке, Москва, «Искусство», 1971, стр. 195.

ფრენა). რეალური სურათი აქ დასაწყისშივე ზოგადობის ხასიათს ატარებს, იმ თვალსაზრისით, რომ მას დაკარგული აქვს ერთჯერადობა. კოშკების ირგვლივ მტრედების ფრენა არა ამჟამად, არა ამ ერთხელ, არამედ მუდამ, რომელიც არსებობს როგორც ფენომენი. ამ სახით იგი უკვე შეიცავს ზოგადობას თავისთავში.

2. აზრი, განწყობილების ხატი (მაგალითად, მტრედების „ლამაზი შიში"), „შიში" — თავისთავად აბსტრაქტული სახელი — აქ, დამატებით, მრავლობით რიცხვშია და ზოგადობას [illegible].

3. ზოგადი, აბსტრაქტული სტრუქტურა, როგორც ყველას ერთიანი [illegible], რომელსაც მტრედები შემოხაზავენ) აქ უკვე აღარც მტრედებია და აღარც კოშკი, წარმავალი „შიშების" პარაბოლაა. წმინდა ხაზია, რომელსაც ვერა გაქრობდა, ყოველ დროს გაივლის აქ მტრედების „შიში". უკანასკნელი ბოლოს თან ამთლიანებს და ერთგვარად ნათს საფუძვლად, შინაგან სტრუქტურად გვევლინება. ამ „შიშით" (ვიმეორებთ „შიში" აქ მრავლობით რიცხვშია) მტრედების მიერ შემოხაზული წრეები, თუნდაც წრეები, კლებადი იქნება, დაღმავალი. პოეტი ამაზე აქ არ მსჯელობს და არც მიგვანიშნებს, მაგრამ ბუნება ამ „შიშისა" ქრომადია და შემოხაზული წრეების დინამიურობა და ფორმაც შესატყვისად შეიცვლება, და ბოლოს, გაქრება კიდეც. იგი ამ ემოციური და მშვენიერი სურათის დაფარული დედააზრია. ამ სახეში პირველი ორი მომენტი უფრო ძლიერადაა გამოკვეთილი. მესამე თითქოს ლექსის შინაარსის მიღმა და, საერთოდ, განწყობის მიღმა რჩება.

ეს სამივე მომენტი ყველა სახეში ერთნაირი ძალით არ არის გამოკვეთილი. ზოგჯერ სწორედ ზოგადი, აბსტრაქტული აზრი წამოიწევს წინა პლანზე:

„როგორც წელიწადი ფრინველებს მოისვრის, მძლევარ ფრინველთ გუნდებს,
უბნევს სითბო უმრწემესისკენ
გადატყორცნის ზღვათა გადაღმა.

ამ სახის უკან თითქოს უხილავი ბუნების თემაა. იგი გასროლილი ბურთის პარადიგმას მოგვაგონებს. ერთ წამს გადაიქროლებს ჩვენს თვალწინ ფრინველთა გუნდი და თავისი სილამაზით დაგვატყვევებს. ამ სურათში მკვეთრად მხოლოდ ზოგადი გამოიკვეთა. ამას აბსტრაქტული შედარებაც უწყობს ხელს, ამას გარდა, აქ ფრინველთა გუნდებია და ისეთი რამ, რაც მუდამ მეორდება, როგორც მოვლენა. ეს მოვლენის ზოგადობა და მარადიული განმეორებადობა ახასიათებს. ყველაზე მკვეთრი აქ ეს ერთი მოძრაობაა, ეს მრუდი, რომელსაც ფრინველთ გუნდები შემოწერენ, რომელიც აქ თითქოს ერთადერთ და ყველაზე ნათლად გამოკვეთილ რეალობად გვესახება. იქით გატყორცნა უკვე გულისხმობს პასუხს, — უკან გამოტყორცნას. მას თითქოს კანონის მარადისობა გააჩნია, რომელზედაც კერძო მოვლენები იკინძება.

აქ, როგორც დავრწმუნდით, სწორედ დედააზრი, აბსტრაქტულია, ყველაზე მკვეთრი, დანარჩენი ორი თითქმის ილუსტრაციაა.

აბსტრაქციის მკვეთრი ნიშნით ხასიათდება შემდეგი სახეც:

„... თუმცა წმინდად ყივი, როგორც ფრინველი / როცა მას წელიწადის დრო წამოაგდებს, ამღიმავალი/, ლამის დაავიწყდეს, / რომ იგი საწყალობელი არსებაა და არა მხოლოდ ცალკე გული / რომელსაც იგი სიხარულში მოისვრის, წრფელ ცათა სიღრმეში".

ერთბაშად ვიგრძნობთ გაზაფხულს, ცისკენ ჟივილით აჭრილ ფრინველებს. აქ სწორედ ეს გაზაფხულის ძალაა ყველაზე მკვეთრად გამოკვეთილი, ე. ი. პირობითად მეორე შრე. იგი მოისვრის ფრინველებს სიხარულისა და ცისაკენ. პოეტი თვითონ ამ ძალას ამკვეთრებს, ამისათვის იგი სიტყვა გაზაფხულს არ ხმარობს, ეს წელიწადის დრო არის „მისთვის" „ამღიმალი". აბსტრაქტული „სიხარული" აქ სავსებით არის დახატული, ამას „ში" თანდებული ადასტურებს, ცა კი რემატერიალიზებულია, პოეტი მას მრავლობით რიცხვში ხმარობს: „ცანი". რეალური სინამდვილის ამგვარი დაშლით ძალზე მკვეთრად, დინამიურად გამოიკვეთა აბსტრაქტული გაზაფხულის ძალა, რომელიც ამ ფრინველებს გასაოცარი ძალით გასტყორცნის ზევით, ცისაკენ. ფარული მიზეზი ფრინველთა ნავარდისა და ჟივილისა გაზაფხულზე, ფაქტიურად ერთადერთი რეალობაა, რომლის სახელდებაც პოეტის მიზანია. „ღრმე საგანთა სიღრმე", — სწერდა რილკე ერთ ახალგაზრდა პოეტს. რილკეს თითქოს სწორედ ეს სიღრმე ამოაქვს ზედაპირზე და გარკვეული თვალსაზრისით მხოლოდ მას ხატავს. სახეში ეს „სიღრმე" უშუალოდ მოჩანს, იგი ნათლადაა გამოკვეთილი. რა თქმა უნდა, ეს ყოველთვის არ არის ასე. ჩვენს მიერ ზემოთ პირობითად გამოყოფილი სამი ფენის მიმართება, როგორც ვნახეთ, არ არის უცვლელი და სტერეოტიპული, მათი განსხვავებული მოდულირება უშუალო ზეგავლენას ახდენს მხატვრულ სახეზე, მის აგებულებასა თუ გამომსახველობით თავისებურებაზე. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს შემდეგი სახეც:

„ესეც ნიშანია სივრცეში“ მტრედის დაფრენა / რომელიც დაბლა ფრენით წყლის მტევრში / ჭის მომრგვალებულ ნაპირს ეხებოდა / როგორ უახლოვდება იგი / უხვად გამცემ წყალს. /თავისი მშვიდი დაშვება გვერდით რომ მიუყენოს / [illegible] ვლის, რომელიც ტორტმანებს“.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ პოეტს აქ პლასტიკური ამოცანა ჰქონდა [illegible] დეტალურად გვიხატავს იგი მტრედის დაშვებას ჭის გვიმზე, როგორ [illegible] შხეფებში ჭის კიდეს ჩაეჭიდება. ამ სახეში აშკარად პირველი ფენაა წინ წამოწეული. მტრედის დაშვება და ჭის ნაპირზე მოჭიდება უშუალოდ არ გვაგრძნობინებს იმ აზრს, რომელიც პოეტმა ამ სურათში ჩადო და რომლის განსხეულებასაც იგი წარმოადგენს.

ამას პოეტის კომენტარი აკეთებს დასაწყისში: „იგი ნიშანია სივრცეში რაღაცის“. მტრედის დაფრენასაც დაკარგული აქვს თავისი ერთჯერადობა, ეს არ არის ერთხელ დანახული და აღბეჭდილი ფაქტი. ამას გარდა, მტრედი და ჭა არქაულია, მათ თითქოს მარადისობის განწყობა შემოაქვს. მტრედი ეშვება „უხვად გამცემი წყლის“ შესახვედრად. წყალი რილკესთან აბსოლუტური წარმავლობის ნიშანია. ხაზი, რომელსაც მტრედი დაფრენით შემოხაზავს, ძალზე მშვიდია და ქრობადი, ჩვენ არ ვიცით, რა ძალამ გასტყორცნა იგი ზევით, პლასტიკურია სწორედ ეს დაშვება, დაღმავალი ხაზი. პოეტი ამ ლექსს ასე ამთავრებს:

„თუ გაქვლიათ დღესასწაული. იზეიმეთ მისი დაფრენა. აღნიშნეთ / უჩინარი აღზევება დაფარული სიმძიმისა / რომელიც წმინდა დასვენებაში ცნაურდება /“.

აქ მთავარია,—„დაფარული სიმძიმის აღზევება — გაძლიერება“, სიმძიმე, რომელიც მტრედის ფრენაში არ ჩანს, წმინდა სახით ცნაურდება დასვენებაში. მთელი ეს სურათი, ე. ი. მტრედის დაშვება, არის ხატი სიმძიმის მოქცევისა, თუ შეიძლება ასე ითქვას. ეს მოქცევა არ არის „თვალში საცემი“, როგორც პოეტი იტყვის. სრულად იგი დასვენებაში ცნაურდება. სხვა ლექსში ასეთი სტრიქონები გვხვდება:

„ერთი რამ უნდა შეიძლოს კვლავ: ვარდნა,
მოთმინებით სიმძიმეში დაიყოვნოს“.

ვიდრე რაღაც ძალა მას კვლავ გამოსტყორცნის ამ სიმძიმეს ცოტა ხნით.

მაგალითების ანალიზს ამ სურათით დავასრულებთ. ფრინველის ფრენის ძირითადი მნიშვნელობა გამოკვეთილია. ჩვენ განზრახ არ შევეხეთ ფრინველის ფრენას უშუალოდ ადამიანთან მიმართებაში. აქ სრულიად ახალი საკითხები ჩნდება, რომლებსაც გვერდს ვერ ავუვლიდით. ისინი საგანგებო განხილვას მოითხოვენ. ერთზე კი არ შეიძლება არ შევჩერდეთ: ეს არის ადამიანის დამოკიდებულება ფრენის ფარული სტრუქტურისა — ზეაწევისა და ვარდნის მიმართ.

რილკე თავისი ცხოვრების ყველაზე დიდ ქმნილებას — დუინურ ელეგიებს — ასე ამთავრებს:

„და ჩვენ, ვინც აღმავალ ბედნიერებაზე / ვფიქრობთ, გულის აღელვებას განვიცდით,
რომელიც თითქოს შეგვაკრთობს,/ როცა ბედნიერი ვარდება“.

სიტყვები „აღმავალი“ და „ვარდება“ რილკეს ლექსში გამოყოფილია. წმინდა თანამედროვე ხედვაა. გასაოცარი სიღრმითაა გაშუქებული ადამიანის ბუნება. ბედნიერების წარმავლობა ყველა დროში იცოდნენ, შეიცვალა მხოლოდ დამოკიდებულება: თანამედროვე ადამიანმა მიიღო ეს წარმავლობა როგორც გარდუვალობა, რეაქცია „ბედნიერის ვარდნაზე“ ამ ოთხ სტრიქონში აღარ არის უარყოფითი, იგი დასასრულია კიდევ ერთი, ზევით, ცაში აჭრილი მრუდის.

ხის კენწეროთა რხევას, ფრინველის ფრთის გაშლას პოეტი არა მარტო სილამაზის და რეალობის განცდას დაესესხა, მან „გარდაქმნა ისინი“ და ყოფიერების უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა, უზოგადესი აზრის ხატად აქცია. ხე და ფრინველი, რეალური სამყაროს ცალკეულ განსხვავებული საგნები, უზოგადეს ასპექტში, ერთ აზრს ატარებს: ესაა მარადი სტრუქტურა ზეაწევისა და ვარდნის, მოქცევისა და უკუქცევის; ამდენად, მათში სრულად მართლდება პოეტის სიტყვები: „ყველა საგანი იმისათვის არსებობს, რომ ხატებად გვექცეს, რაღაც თვალსაზრისით“. მაგრამ ეს გარდაქმნილი რეალური სინამდვილე, მეორე მხრივ, თითქოს ბუნების ღრმა კავშირთა წიაღიდან ამოიზრდება. აქ კი არაფერია შემთხვევითი: „ყოველი მოწყვეტილი ფოთოლი თავისი ვარდნით ახორციელებს სამყაროს ერთ-ერთ უდიადეს კანონს“.

□

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ანატოლ იმერმანისი

თარგმნა ზაზა კვერცხიშვილმა

## დარჩება კი ბევრი ქარვა ქვიშაზე?

(სუბიექტური შენიშვნები თანამედროვე ლატვიურ პოეზიაზე)

რა ხდება ამჟამად ლატვიურ პოეზიაში, მის ავანგარდში? ჯერ ლიტველი კრიტიკოსის ვიტაუტას კუბილიუსის განსაზღვრებას მოვიტან (თუმცაღა იგი ახალგაზრდა ლიტველ პოეტებს ეხება):

„იპყრობენ პოეტური აზროვნების ახალ გზებს, რომელნიც მოითხოვენ გარედან დაკვირვებასა და მძაფრ, ენერგიულ აქცენტებს, მაქსიმალურ შეკუმშულობასა და კონტრასტთა ექსპრესიას, რომელთაც ლ. მიკუტის თქმით, ძალუძთ „აამოძრაონ სტატიური, ჩაწნეხილი სურათები აზროვნებისა, დაამახინჯონ ისინი, უკუაგდონ, შეაჯახონ — გამოავლინონ მათი წინააღმდეგობის ძალა დროისა და გარემომცველი სამყაროს ზემოქმედებისადმი" („დრუჟბა ნაროდოვ", 1978, № 1).

„აზროვნების სურათთა" „დამახინჯება", „უკუგდება", „შეჯახება" — ვფიქრობ, ყოველივე ეს დამახასიათებელია იმათთვისაც, ვინც ლატვიური პოეზიის „გაახალგაზრდავებას" მოითხოვენ. პირობით-ასოციაციური აზროვნების წარმომადგენლებს ვერც ენერგიის ნაკლებობას უსაყვედურებ, რომლითაც აღნიშნული მიმართულებით მიდიან, ვერც — თავისებურად — შთამბეჭდავი შედეგებისას. ოღონდ, ზოგჯერ მიიღება არასასურველი ეფექტი, „დამახინჯება" თვითმიზნური ხდება, სიცარიელედ იქცევა, იქცევა... უაზრობად.

კიდევ ერთი არასასურველი ეფექტი — ამგვარი „შემოქმედებითი მეთოდისა" — ადვილმისაწვდომობა. იქნებ ამიტომ იჩქარა ბევრმა დამწყებმა პოეტმა, იარაღად მოემარჯვებინა იგი? მაგრამ როდესაც მათ გაუგებარ, მერყევ ლექსებს კითხულობ (უმთავრესად ფსევდოვერლიბრით დაწერილს) — ხედავ, რომ ეს არსებითად პოეტური „განიარაღებაა"...

ყოველივე ამას პირველად მიაქცია ყურადღება ცნობილმა ლატვიელმა პოეტმა იმანტ აუზინმა, თავის სტატიაში „იდუმალების საზღვრებს მიღმა" („კაროგსი", 1976, № 9). სტატიაში ი. აუზინს მოჰყავს დამწყები ავტორის „ასოციაციური" ლექსი:

იგი წელში მოხრილი გამოვიდა ქუჩაში,
არც მარჯვნივ იყურებოდა, არც მარცხნივ,
მილასლასებდა მდნობარე თოვლის ღვარში,
არ ესმოდა მისალმებები და შეკრთა,
როცა სახელოზე ხელი წაავლეს.

აზრმა კვლავ წინ უნდა გაუსწროს საქმეს

მაგრამ უნდა ნახო მისი დაღლილი თვალები
და უნდა მოისმინო ჩახლეჩილი ხმით
როგორ ჰყვება ყველაზე ხუსტი ვარსკვლავების შესახებ.

ამ ლოკალურ მოთხოვნებში
გარკვეული საფრთხე იმალება.

მაჭერა სპილო მაწინეე აამოძრავებს კუდს,
ლოკო აყელდება,
ციდა გოგო კი ბერეტს იღებს.

ესაა პირველი ბგერები თიხის სიმღერისა.
განა შეიძლება მათი მოტყუება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ამ სტატიაში მოყვანილი ლექსები სიტყვასიტყვითაა თარგმნილი — ა. ი.)

შემდგომ ა. იუზინს მოჰყავს თავისი საუბარი დამწყებ ავტორთან, რომელიც მსოფლიო ავტორიტეტებზე დაყრდნობით ირიდებს ყველა საყვედურს და თვითვე სდებს თანამოსაუბრეს ბრალს ჩამორჩენილობასა და „ახალი პოეზიის" არსის გაუგებრობაში. ბოლოს სიურპრიზი გველის — საუბარი გამოგონილია, ციტირებული ლექსი თვით სტატიის ავტორს შეუთხზავს გაზეთის მორიგი ნომრის ცალკეული ფრაზებისაგან. ამ გონებამახვილური ხერხით იუზინმა ცხადად დაგვანახა იაფფასიანობა და შემთხვევითობის ელემენტი ზოგიერთი დამწყები პოეტის შემოქმედებაში, რომელნიც ამისდა მიუხედავად, პირობით-ასოციაციური პოეტური მიმდინარეობის „მეთაურის" როლზე აცხადებენ პრეტენზიას.

ამ გამოსვლით დაიწყო დისკუსია ჟურნალ „კარავოსის" ფურცლებზე, რომელიც აგერ უკვე ორი წელია გრძელდება. ამ დისკუსიის ბევრი მონაწილე გამოთქვამს უკმაყოფილებას იმ ახალგაზრდა ავტორთა მიმართ, რომელთაც ემჩნევათ ორიგინალობისა და სირთულისაკენ გადაჭარბებული მიდრეკილება. მსგავსი მიდრეკილებანი ნაწარმოებს ხშირად კარკაპ კალას ამსგავსებენ, რასაც რიგითი მკითხველის კბილები ვერა და ვერ დაამსხვრევს. თავის მხრივ „ახალი" პოეზიის დამცველებმა (ჯერ კიდევ დისკუსიის დაწყებამდე) საწინააღმდეგო არგუმენტად „გაშიფვრის სიხარული" დაასახელეს.

მოვუსმინოთ თუნდაც მონტა კროშას, რომელიც თვლის, რომ „...პოეზია და მისი მკითხველი, განაწილდნენ, ასე ვთქვათ, ორ პოლუსზე. ერთ პოლუსზეა — სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციით ნასაზრდოები მაღალი დონის მკითხველი და ჩვენი რთული პოეზია, რომელიც სრულად მოიცავს ახალ ეპოქას... რომელიც პირობითი და ხაზგასმით ასოციაციური ხდება. მეორე პოლუსზეა მკითხველთა ნაწილი, ანუ ჩამორჩენილი მსოფლმხედველობის მკითხველი და მისი სულიერი მოთხოვნილების შესაფერი პოეზია, რომელიც საშუალო, და შეიძლება კარგ, პოეზიადაც კი მივიჩნიოთ. ოღონდ იგი ასახავს უკვე ფორმირებულ მსოფლიოს და არა შექმნის სტადიაში მყოფს".

ეს არის, ასე ვთქვათ, „თეორიული საფუძველი".

ამ წესის პრაქტიკული განხორციელების ერთ-ერთი ცდა — „ლატვიური პოეზიის ანთოლოგიის" მეექვსე ტომში დაბეჭდილია მ. კრომის ვერლიბრით დაწერილი ლექსი:

ტუჩები. შენ. ტუჩები. მე.
ტუჩები. შენ.
ტუჩები. მე.
ქარისაგან მარილიანი ტუჩები. შენ.
ქარისაგან ქვიშიანი ტუჩები. მე.
ტუჩები. შენ.
ტუჩები. მე.
თვალები. შენ.
თვალები. მე.
ზღვის თვალები. შენ.
მიწის თვალები. მე.
თვალები. შენ.
თვალები. მე.
ჰორიზონტი. შენ.
ჰორიზონტი. მე.
ძირს მეარდნილი და აშრიალებული და ასე მაღალი და
მაღლა მავალი ჰორიზონტი. შენ.

გაშლილი ხელები, გრძელი, მოსახვევად, ხელები
ჰორიზონტივით. მე.
ჰორიზონტი. შენ.
ჰორიზონტი. მე.

მ. კრომას ნიჭისადმი პატივისცემის მიუხედავად, არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ეს ლექსი წმინდა ფორმალური ხერხებითაა გაწყობილი, განზრახაა უკუგდებული „ტრადიციული" პოეზია, თუმცა ავტორი მხოლოდ გარეგნულ ეფექტს აღწევს — გაუთავებელი განმეორებანი, შელოცვას რომ გვაგონებს, ჩემი აზრით, საჭირო ემოციურ დამუხტვას ვერ იძლევა.

რამდენადმე პრეტენციოზული მეჩვენება მ. კრომას საყვარელი „მოდერნული" ხერხიც — სიტყვის გახლეჩა, რომლის დროსაც ორი მოსაზღვრე სტრიქონიდან თითოეული იღებს ამპუტირებულ „მონაჩენს". ვთქვათ:

მძიმე სიტყვა ძლივილად წარმოითქ-
მება — წვრილი ასანთი,

წვრილი ხმა.
შენი ხმის დამსხვრევა შეიძლება.

ანდა:

ხომალდი. თეთრი ხომალდი, რომელიც ჰვინტის ხა-
ზით ჩემსკენ მოფრინავს.

(ციტატები ჟურნალ „დაუგავას" 1978 წლის მეათე ნომერში გამოქვეყნებული ლექსებიდან).

აქვე აღვნიშნავ, რომ ეს ხერხი — „აზრობრივი ერთეულის" გახლეჩა, ფრაზის დასასრულის გადატანა და ახლის დაწყება — ძალზე პოპულარულია. მას ბევრი ახალგაზრდა პოეტი მიმართავს. ასევე სიამოვნებით იყენებენ ისინი „გაუთავებელ განმეორებათა" ხერხსაც.

სანიმუშოდ მოვიყვან კიდევ ერთ ამგვარ, ვერლიბრით დაწერილ ლექსს, რომელიც ახალგაზრდა, უდავოდ ნიჭიერ პოეტ ქალს მარი ზელიტეს ეკუთვნის (ახლახან გამოვიდა მისი ლექსების პირველი კრებული „გუშინ მწვანე ბალახში"):

სიხარულის ჩიტი აღარ მოფრინდება. გვიანაა
უკვე. უკვე გაქანა დაისის ცხენების რემა,
სიხარულის ჩიტი აღარ მოფრინდება. ხვალ
იქნებ. იქნებ დაიბადონ ცხენები ვარსკვლავით შუბლში

ხვალ. მაგრამ დღეს
უკვე. სიხარულის ჩიტი აღარ მოფრინდება. გვიანაა
უკვე. ხვალ.
იქნებ.

აქაც ისეთივე, თითქმის უმიზნო განმეორებებსა ვხვდებით, როგორსაც მ. კრომას ლექსში „ტუჩები. შენ. ტუჩები. მე.", განმეორებებს, თითქოსდა „ნისლოვანი საბურველის" ფუნქციას რომ ასრულებენ. მაგრამ რა უნდა დაფაროს ამ „ნისლოვანმა საბურველმა?" ჩემის აზრით, ალბათ, არასაკმაო აზრობრივი სისავსე.

საინტერესოა აღინიშნოს: გარეგნული ემოციური შეუზღუდველობის მიღწევის ცდისას, როცა არ სურთ რაიმეთი „შებორკონ" ფანტაზიის თავისუფალი სრბოლა, ახალგაზრდა პოეტები ხშირად ექცევიან განსჯის ტყვეობაში, როდესაც თვით „ფანტაზიებიც"... კონსტრუირებული აღმოჩნდება ხოლმე.

ამ მხრივ დამახასიათებელია იურის ჰულდის ვერლიბრით დაწერილი ლექსი „ბუმბული" (კრებულიდან „ღამის ფრინველის ანდერძი").

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ბუმბული

კუნძულ ფანფარებს ეთხოვება გრიფი (ჩიტი).
ჰაერში თრთის ბუმბული.
როგორ უნდა დაიჭირო იგი, დაუკარგავად,
როგორ უნდა შეიპყროს სიტყვამ,
სიტყვის მისაწვდის
გარეშე?
ქარიშხლის რგოლებში თრთის ბუმბული —
ბელადის ცეკვა და ანდების თოვლი.
როგორ უნდა დაიჭიროს,
როგორ უნდა შეიპყროს იგი სიტყვამ,
დაღლილმა განცდილის (გამოცდილების) აბჯრის ტარებით.
როგორ ჩამოიშოროთ იგი
და კვლავ აღორძინდება
ნარცის ფანფარებში,
დილის ნამში,
არომატის ოქროს შარავანდედში,
როგორ?

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ი. ჰელდის (და ბევრი სხვა მსგავსადვე მომუშავე ავტორის) ლექსთა სიტყვასიტყვით თარგმნაც კი ერთობ ძნელია, რამდენადაც სიტყვათდაკავშირების ჭეშმარიტი აზრი (თუკი ის არსებობს) აქ შეიძლება მხოლოდ გამოიცნო. ი. ჰელდისთან, ჩემი აზრით, არ გვხვდება არავითარი კანონზომიერება, მას მთლიანად ცვლის აბსოლუტად ქცეული შემთხვევითობის ელემენტი.

ამასთან ეს ელემენტი არ არის სტიქიური (სტიქიურობას ხშირად გააჩნია შინაგანი ლოგიკა და ქვეცნობიერზე დაყრდნობისას იგი გარკვეულ ემოციურ შეფერილობას აძლევს პოეზიას), არამედ, სწორედ რომ გაცნობიერებულია. გარკვეული ცერებრაციონალიზმი სავსებით რაციონალურ საფუძველს ეყრდნობა — ლექსები არაჩვეულებრივი, ზეგენიალური უნდა გამოჩნდეს. აქედან მოდის კუნძული ფანფარები, ნარცისი ფანფარები (დაუკვირდით — ფანფარები ორივე შემთხვევაში სახელია), გრიფი, ბელადის ცეკვა, ანდების თოვლი, აქედან მოდის წინასწარგამიზნული სირთულე, შეგნებულად მიკიბულ-მოკიბული მეტაფორულობა.

ზემომოყვანილ პოეტურ ნაწარმოებებში (ჰელდი, კრომა, ზელიტე) იგრძნობა გარკვეული ხელოვნური გართულება, მაგრამ მკითხველს მაინც ძალუძს ჩაწვდეს თქმულის არსს. ჰელდის ლექსის, „ბუმბულის", მთელი გარეგნული დაშიფრულობის მიუხედავად, ავტორის პოეტური ხრიკები ხელს ვერ გვიშლიან გავიგოთ საკმაოდ უბრალო, მარტივი აზრი: „რა ძნელია მოიხელთო პოეტური იმპულსი, რომელიც ხელიდან გისხლტება!"

ლატვიურ „ახალ" პოეზიაში კი მრავლადაა ლექსებიც, რომელნიც მარტივი ასორტიმენტის მოშველიებით (გაბუნდოვანებული სიმბოლიკა, სათქმელის შუაზე შეწყვეტა, მრავლისმთქმელი ქვეტექსტის „ილუზია") თითქოსდა კროსვორდად იქცევა. აი ახალგაზრდა, საერთოდ ნიჭიერი პოეტის ვიქტორ ავოტინიას ლექსი:

პირველი წამაკაცები ამდგარიყვნენ დილის ხუთ საათზე,
პურის ხუთ ერაში შეთანხმებამდე,
მოუთოკავი სიბნელე, როგორც მთვლემარე ტყე,
გაიხსნა მათი თითის წვერებს ქვეშ.

წინასწარ მესმის გაოცებულ მკითხველთა შეკითხვები: „რას ნიშნავს „პურის ხუთ ერაში შეთანხმებამდე"? „იქნებ არასწორადაა თარგმნილი?" სამწუხაროდ, ვერ დაგეხმარებით, ზუსტადაა თარგმნილი.

მეთრევებმა დაიწყეს, ვიდრე ჯერ კიდევ სიბნელე და განთიადია,
ვიდრე ჯერ კიდევა დგას ცეცხლი შავი ქურთუკით —
ისინი უკან დასაბრუნებელი გზებისათვის,
ჩიხებისათვის, გზის ზიგზაგებისათვის,
ქვეყანას ცოდვებს უმსახურებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამენი, როდესაც მზე ამოვიდა, ნოტიოდ
სვამდნენ ცვარს დაუსრულებლივ, და ჭადრქარი
ცოცხლად თლიდა მათ სულებს —
ესენი იყვნენ უცნაური ხალხი, მსახიობები, წარმართები.

უკანასკნელნი გვიან საღამოს მღეროდნენ —
სიყვარულისგან იყო მათი ხმა,
და მათ გზას, ჩემო ალწოლებულო ძმაო,
ახლოდა შენი შვილები დაინახავენ.

(ალმანახი „დზეჯას დიენა", 1978.)

როგორც ხედავთ, ლექსი უფრო ნათელი არ გამხდარა... მაგრამ აი, რა არის საოცარი: ამგვარ ნაწარმოებებზე მსჯელობისას კრიტიკა როგორც ჩანს, შიშობს, ქვეყნის გამოთქმით უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავარდეს და ამჯობინებს ურიცხვი აზრი ეძებოს იქ, სადაც უეჭველია, რომ იგი არ არის.

ახალგაზრდა ლატვიური კრიტიკის ახალგაზრდა პოეზიისადმი არცთუ ყოველთვის ობიექტური დამოკიდებულების საჩვენებლად მოვიყვან ნაწყვეტს რ. ოქმანის სტატიიდან „გაიგე, როგორ ნაღვლობს და ოცნობს პოეტი" (ალმანახი „დზეჯას დიენა", 1975). იგი აანალიზებს მარის ჩაკლაისის ლექსს „გიტარისტები, მეფლეიტეები", რომელშიც ავტორი ირონიით აღწერს რესტორანში თავშეყრილ ხალხს. მ. ჩაკლაისი უდაოდ ძალზე ნიჭიერია, მაგრამ პირადად მე ამ ლექსს მისი შემოქმედების მწვერვალებს არ მივაკუთვნებდი, ხოლო თუ ოქმანს დავუჯერებთ, ნებისმიერი სტრიქონი აბსოლუტური სრულქმნილებაა:

„მომდევნო სტრიქონებში გვესმის ხმები გვერდიდან ძლიერი, ბანალურიც კი, მაგრამ ისე ცოცხალი, ისე პლასტიკური, რომ ავტორს ნებისმიერი პროზაიკოსი შენატრებდა. „მე... მე... წელავლით ამოსუნთქვა... ღრიჭული ვარ მოგასაგით, მაგრამ მეტისმეტად დაღონებული..." ანდა „ოხ, რა ბლუზია — (რა ბლუზი, რის ბლუზი, ჯანდაბა ბლუზსა!)" თითქოსდა გვეჩვენება, რომ მოცემულ გარემოში ისინი ქვეითი და მესხელყოფილი ელემენტები, მაგრამ როგორია ეს ვულგარული სინამდვილეში, ნათლადა ჩანს ირონიით გამოხატული ქვეტექსტიდან. იგი ძირითადად სატირული ბრაზიანია, მაგრამ იმავდროულად ალიანსიური გაგებითაა აღქმული, იგი ჩაკლაისისებურად ჩადიქრებულია, სათუთ-ირონიულია...

ეს იმ სტრიქონებიდანაც ჩანს, სადაც ნაჩვენებია, რა მოუთმენლად ელიან ყველაზე კოქტეილ კრისტაპს:

ხმა დამჭკნარი სიფათი:
„ჩვენც „კრისტაპი!"
მსხვილლოყებიანი ქალის რაზმი:
„კრისტაპი!"

თუმცაღა ეს სცენა სოპერეტო ფარსიდან აღებულსა ჰგავს, თემის დამუშავება პლასტიკურია, ლექსი გულმოდგინედაა ბგერწერულად დახვეწილი და მრავალხმიანია. პირველ სტრიქონს კოლორიტსა და არომატს ანიჭებს პარაფრაზი თუნდაც ფრიად პოპულარული შლაგერისა. „სამი დამჭკნარი ვარდი". ეს, ჩემი აზრით, ერთ-ერთი ბრწყინვალე მაგალითია იმისა, რას შეიძლება მიაღწიოს პოეტმა ძველი მასალის ჭეშმარიტად შემოქმედებითი გამოყენებისას. პოლიფონიზაციამ ძალზე გამოაცოცხლა მ. ჩაკლაისის ლექსის ჩვეულებრივ ოდნავ მონოლოგური მდინარება. თითქმის ისევე როგორც ანდრეი ბელისთან ან მაიაკოვსკის ადრეულ პოემაში, აქ მართლაც შეიძლება მოგესმას ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფების ხმები: „სიფათები"

ბოხი ხმით, ცხვირში ღუღუნებენ, „ქალთა რიგში"— უაღრესად მოუთმენლად, კივილით; ამაოდ როდი ჰყოფნის მათი მონდომება მხოლოდ ერთ სიტყვას..."

ეს ნაწყვეტი სტატიიდან იმისათვის როდი მოვიყვანე, რომ დამემცირებინა თავისთავად, დაფიქრებული და გონებამახვილი კრიტიკოსის, რ. რემსის, დამსახურება. მსურდა მხოლოდ მეჩვენებინა ახალგაზრდა ლატვიური კრიტიკის საყოველთაო გატაცება „მიკროსკოპული ანალიზით". აღფრთოვანებულნი იმით, რომ შესაძლებელია წყლის წვეთში ყოველი [illegible] დანახვა, ისინი უცილობლად იწყებენ ამ წვეთით აღფრთოვანებასაც. წვეთის [illegible] გადაქცევა ოკეანედ, რომლის შესახებაც (რაც ბუნებრივია ოკეანეზე საუბრისას) მხოლოდ აღმატებით ხარისხში შეიძლება ლაპარაკი.

ნუ იფიქრებთ, რომ რამდენიმე წარუმატებელი ლექსისა და ასევე წარუმატებელი კრიტიკული პასაჟის საფუძველზე ხელაღებით „უარს ვამბობდე" თანამედროვე პოეზიაში ახლის ძიებაზე. ეს გაუმართლებელი და, უბრალოდ, უცნაურობა იქნებოდა ჩემის მხრივ.

რაც არ უნდა ითქვას, ლატვიური პოეზიის „გაახალგაზრდავებაში" საქმიანი მონაწილეობა მიიღეს ისეთმა ცნობილმა პოეტებმა, როგორებიც არიან ო. ვაციეტისი და ი. ზიედონისი, მ. ჩაკლაისი, ი. პეტერსი, კ. სკუჯენიეკი, ვ. ბელშევიცი, მ. კრომე(?), რომლის ლირიკაშიც წარმატებები ბევრად აჭარბებს ხელმოცარვას, ღირსეულ ადგილსა დგას ამ რიგში. შეუძლებელია უარყო უ. ბერზინშის, ი. როკპელნისის, ლ. ბრიედისის ხიბლიერებაც, ყურადღება მიიპყრეს მ. მისინამ, ი. [illegible], ა. [illegible], ი. [illegible], ა. [illegible] და უფრო ახალგაზრდა თაობის სხვა წარმომადგენლებმა.

მათი პოეტური მიღწევებიც და პოეტური ცდომილებანიც საერთოა და, რაც მთავარია, [illegible] ორგანული [illegible] და [illegible] საფუძვლის ძიებით.

ხელოვნების განვითარებას თავისი კანონზომიერებანი გააჩნია. ჩვენი ნიჭიერი წინამორბედის წყალობით აქ გაკვალულია ათეული მაგისტრალური გზები, რომელთაც უმრავლესობა მიჰყვება. მაგრამ ყოველთვის გამოჩნდებიან ხოლმე გაბედული ახალგაზრდები, და ისინი უარს ამბობენ გათელილ გზაზე, რათა ბილიკებზე და ტრანშეებზე საკუთარი გზა თვითონ გაიკვლიონ.

ზოგჯერ „გვერდითი" ბილიკი ბოლოს და ბოლოს თვითონ იქცევა ახალ მაგისტრალად. უფრო ხშირად კი ამგვარი ბილიკი მხოლოდ ალამაზებს [illegible] ძირითად გზას. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ძველი მაგისტრალი სახეს იცვლის, გარდაიქმნება.

ბრმა უნდა იყო, „ახალი" ლატვიური პოეზიის დამსახურება რომ ვერ დაინახო. ჩამოვთვლით ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევებს:

1. ლექსიკური მარაგის გაფართოება.

თავის დროზე სიტყვათმცოდნე [illegible] გამოსცა განსაკუთრებული პოეტური ლექსიკონი. იმ ეპოქის ესთეტიკური კანონების მიხედვით ჭეშმარიტ პოეტს თავი უნდა აერიდებინა ვულგარული, „უბრალო ხალხის" სიტყვებისათვის. მაგალითად „ლობეს" ნაცვლად რეკომენდებული იყო გამოეყენებინათ რომელიმე უფრო ეფექტური, მეტაფორული ეპითეტი, „[illegible]" და ა. შ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ წარსულში ლატვიელი პოეტები იყენებდნენ ამგვარი ლექსიკონის რაღაც ანალოგს. ეს განსაკუთრებით ითქმის დეკლარაციული პოეზიის აყვავების ხანაზე, როცა ლექსიკურ მარაგში უმრავლესად გვხვდებოდა სიტყვები — „ნათელი", „ბრწყინვა", „მზე" და ა. შ. რომლებიც „ჩვენი რეალობისთვის" თუნდაც ოდნავ მიახლოებული სიტყვა დაუფიქრებლად იდევნებოდა თავის „ბრწყინავ" თანამოძმეთა წყებიდან საზოგადოებიდან.

„ახალმა" ლატვიურმა პოეზიამ გადამჭრელად დაძლია ამგვარი პრაქტიკა.

2. სიტყვის მრავალმნიშვნელობის გაზრდა:

იმპრესიონისტები სწავლობდნენ ფერისა და ჩრდილის ურთიერთდამოკიდებულებას, ერთი ფერის ნიუანსებს შორის; ანალოგიურად ამისა აკეთებს თანამედროვე პოეზია თავისი მასალის — სიტყვის, მიმართ. [illegible] პოეტი ხედავს ახალ ნიუანსებს, [illegible] ურთიერთმიმართებებს, ცალკეული სიტყვის აზრს, ახდა, ანიჭებს მას ახალ ემოციურ დატვირთვას.

3. ლექსის ლაკონურობა, „სიმკვრივე".

ეს არსებითი მიღწევაა „ახალი" პოეზიისა, რომელსაც ასოციაციური „ნახტომები" ურჩევნია მრავალსიტყვიან, თანდათანობით გადასვლას სახიდან სახეზე.

4. და ბოლოს, შესაძლოა, ყველაზე მნიშვნელოვანი დამსახურება „ახალი" პოეზიისა — ლირიკული ჰორიზონტის უსაზღვრო გაფართოება. აღვნიშნავთ, რომ ზოგიერთი, ძალზე თვალ-

საჩინო და ნიჭიერი წარმომადგენელი „ახალი" პოეზიისა სხვა ენებსაც ფლობს, ისინი იჩენენ გამძაფრებულ ინტერესს სხვა ერთა ლიტერატურებისადმი.

ენების ცოდნა უთუოდ უწყობს ხელს ურთიერთდაახლოებას, საერთაშორისო კავშირების დამყარებას.

სწორედ „ახალმა" პოეზიამ უზრუნველყო ლატვიური პოეტური სიტყვის ფართო გასვლა მსოფლიოში, რასაც გვიდასტურებენ მრავალრიცხოვანი თარგმანები საბჭოთა კავშირის და სოციალისტური ქვეყნების ხალხთა ენებზე. ამასთან ეს წმინდა პრაქტიკული გარემოებითაც აიხსნება. ბევრად უფრო ადვილია თარგმნო, თუნდაც ბწკარედიდან, „ახალი" პოეზიის თავისუფალი ლექსი, ვიდრე ტრადიციული, რითმიანი ლექსი. ტრადიციულ ლექსში ხომ სიტყვათა განლაგებასა და ბგერწერასაც კი თვით ერთი სტრიქონის ფარგლებში ხშირად ისეთივე განუზომელი მნიშვნელობა აქვს, როგორც შინაარსს.

მაგრამ საკითხავია: მართლა ასე ახალია სინამდვილეში „ახალი" პოეზია?

ვფიქრობ, არასწორი იქნებოდა ამ საკითხის მხოლოდ თანამედროვე ლატვიელ ავტორთა შემოქმედებაზე დაყრდნობით გადაჭრა, რამდენადაც ლატვიური პოეზია თავისი თავისებურებებით ასე თუ ისე ეხმიანება მთელ საბჭოურ და, თავისთავად, მსოფლიო პოეზიასაც, ასე თუ ისე მონაწილეობს ერთიან ლიტერატურულ პროცესში.

ამგვარად, შეიძლება თუ არა ასოციაციური პოეზია ნამდვილად ნოვატორულად ჩაითვალოს. არის თუ არა იგი თანამედროვე მოთხოვნილებებიდან გამომდინარე ძირფესვიანი გადატრიალება, ისეთი, როგორიც, ვთქვათ, [illegible] იყო იმპრესიონიზმი და პოსტიმპრესიონიზმი.

ფრანგი ფილოსოფოსი გიიო, ავტორი წიგნისა „ხელოვნება სოციოლოგიური თვალსაზრისით", თვლის რა მის მიერ განხილულ პოეტთა დამახასიათებელ თავისებურებად „სიტყვათ-[illegible]", ამბობს ამ პოეტთა შესახებ: „ისინი კი არ ფლობენ სიტყვას, არამედ სიტყვა ფლობს მათ; შემთხვევით მოგონებული ბგერების კომბინაცია არა მარტო იწვევს ასოციაციებს (ხაზი ჩემია — ა. ი.), არამედ ხშირად აზრსაც წარმართავს და მიმართულებასაც აძლევს მას".

ეს დახასიათება, რომელიც სავსებით მიესადაგებოდა ზოგიერთ თანამედროვე ლატვიელ პოეტს, დაწერილია 1900 წელს. მაგრამ დღესაც ბევრია დამწყები პოეტი, რომელთათვისაც პირობით-ასოციაციური პოეზია იმდენად პოეზია როდია, რამდენადაც აბსოლუტურად შეუზღუდველი „თვითგამოხატვის" პირობა.

არანაკლებ საგულისხმოდ ჟღერს სხვა, დიდი ხნის წინანდელი საუბარიც სახელგანთქმულ და დამწყებ პოეტს შორის. განთქმული პოეტი (ახალბედას ლექსების წაკითხვის შემდეგ): „მანერულია, გაპრანჭული, გაურკვეველი, ბუნდოვანი, პრეტენზიული". დამწყები (გაოცებით): „კი მაგრამ, ნუთუ თქვენ არ აღიარებთ პოეზიაში გონსმიღმურს? ახლა ამას ბევრი აღიარებს". განთქმული: „შესაძლოა, მაგრამ, ჩემი აზრით, რაკი იგი გონსმიღმურია, ესე იგი, გონების მიღმა დგას და, მაშასადამე, სისულელეა".

ეს საუბარი, ციტირებული ვ. კატაევის წიგნში „წყარო უკვდავებისა", გაიმართა ივან ბუნინსა და უცნობ ახალგაზრდა პოეტს შორის, სავარაუდოდ, 1913 ან 1914 წელს.

და კიდევ ერთი სავსებით კონკრეტული მაგალითი. ფედერიკო გარსია ლორკას „უძილო ქალაქში", რომელიც 1927 წელს გამოქვეყნდა, ვხვდებით ყველა იმ „ასოციაციურ" პოეტურ ხერხს, რომელსაც იყენებენ „ახალი" ლატვიური პოეზიის წარმომადგენლები (ამასთან, როგორც ჩანს, სავსებით დარწმუნებულნი, რომ ნოვატორები და პირველაღმომჩენნი არიან).

რით აიხსნება ის, რომ 1900, 1913, 1927 წლებში დაწერილი და თქმული საოცრად ეხმიანება დღევანდელ დღეს?

ჯერ კიდევ ეკლესიასტეშია ნათქვამი, რომ არაფერია ახალი მზისა ქვეშ, ყველაფერი თავის წრეს უბრუნდება, ყველაფერს თავისი დრო აქვს... ზეაღსვლა და დაცემა, მოქცევა და მიქცევა, გამუდმებით მეორდება „ძველი" და „ახალი", ტრადიციული და ავანგარდული პოეზიის ურთიერთდამოკიდებულებაში. მაგრამ აღვნიშნავთ: არსებობის დაახლოებით ოთხმოცი წლის მანძილზე „ახალმა" პოეზიამ (რომელსაც დღეს, ცხადია, მხოლოდ და მხოლოდ პირობითად თუ შეიძლება ვუწოდოთ „ახალი") ერთხელაც ვერ შეძლო ტრადიციულ პოეზიაზე გადამწყვეტი გამარჯვების მოპოვება.

„ახალი" პოეზია საუკუნის დასაწყისში იშვა. ჯერ კიდევ შორს იყო სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია თავისი წინამძღვრებით—ატომის დაშლითა და დედამიწის მიზიდულობის

დაძლევით, მაგრამ მაშინაც ლაპარაკობდა ხალხი ახალ ერაზე მეცნიერებაში, მაშინაც ამბობდა ზოგიერთი მწერალი, რომ პირველი ავტომობილებისა და თვითმფრინავების ეპოქაში დაუშვებელია ისე წერა, როგორც წერდნენ წინა საუკუნეების მანძილზე, როცა მიმოსვლის ყველაზე სწრაფ საშუალებას ცხენი წარმოადგენდა.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ეს ნოვატორები, როცა ცდილობდნენ შეექმნათ ეიფელის კოშკის ლითონის არშიის ბადალი პოეზიაში, უკვე მაშინაც (ზოგან გაუბედავად, ზოგან კი საკმაოდ თავდაჯერებით) იყენებდნენ თანამედროვე „ახალი“ პოეზიის ხერხებსა და [illegible] ფორმებს. ჯერ კიდევ მაშინ ბევრი პროგრესად მიიჩნევდა სასვენ ნიშანთა უგულვებელყოფას. ისინი საჭიროდ მიიჩნევდნენ არ დაეწყოთ წინადადება ასომთავრულით და არ დაესვათ ასომთავრული წერტილის შემდეგ, სამაგიეროდ ასომთავრულით აღენიშნათ აბსტრაქტული ცნებები (სიცოცხლე, ტკივილი, სიკვდილი), რითაც ამ ცნებებს თითქოსდა საკუთარ სახელებად აქცევდნენ, და რაც შეიძლება ხშირად გამოეყენებინათ ფრჩხილები „თანამედროვე“ აზრის (ან „თანამედროვე“ აბსურდის) და ერთიანი „ასოციაციური ნაკადის“ გამოსავლენად.

მაშინაც უკიჟინებდა „ჩამორჩენილი“ მკითხველი და კონსერვატიული კრიტიკა ზოგიერთ პოეტს, რომ მათი ლექსები გაუგებარი იყო. ზოგი პოეტი ლექსს ჩვეულებრივ მძიმეებითა და წერტილებითურთ წერდა, გამოქვეყნებით კი სასვენი ნიშნების გარეშე აქვეყნებდა, რათა ამით „გაუგებრობის“ ძვირადღირებული დაფნები მოეხვეჭა.

მაშინაც ამგვარ პოეტებს ყველაზე მეტად ტაშს უკრავდნენ „ავანგარდული“, ძირითადად მოინტელიგენტო მკითხველები. ტაშს უკრავდნენ, რადგან მოინტელიგენტობა არ კმაროდა აზრის ჩასაწვდომად. სწორედ ამგვარი, „მოდას აყოლილნი“ ხელოვნებაში შეადგენენ განსაკუთრებულ „კულტურულ“ მეშჩანებს. განსაკუთრებულს, რადგან მათ ამოძრავებთ პროგრესის ნიშნით სახეცვლილი მომხმარებლური ინსტინქტი. უგულვებელყოფენ რა ძველს, რაგინდ ფასეული არ უნდა იყოს იგი, ეს კულტურის მეშჩანები ესწრაფვიან ყოველივე ახალს, სენსაციურს, იმას, რაც ჯერ კიდევ არ გადასულა დეფიციტის უმაღლესი კატეგორიიდან ყველასთვის მისაწვდომის უმდაბლეს კატეგორიაში. უნდა დავუმატოთ, რომ „ახალი“ პოეზიის დაბადებამ მეტი გაუგებრობა გამოიწვია ვინემ მხარდაჭერა.

ის ვისაც ნამდვილად მოჰქონდა რაიმე ახალი აზროვნებაში და ცდილობდა აეხსნა საკუთარი თავისთვისაც და სხვებისთვისაც მსოფლიოში მომხდარი ცვლილებები (გუშინდელ დღესთან შედარებით), ყოველივე ამას აკეთებდა თამამად და ნიჭიერად, თუმცა კონსერვატიული კრიტიკის ყრუ კედელს ეჯახებოდა.

ეს პოეტები არ ყოფილან „გაუგებარნი“, მათ უბრალოდ სწორად ვერ გაუგეს.

მაგრამ ეს ძველთაძველი მწარე ჭეშმარიტება არ გამორიცხავს მეორე ჭეშმარიტებას — ჩვენი საუკუნის დასაწყისისა და შემდგომი ათწლეულების ბევრი მოლექსის შემოქმედებამ ვერ გაუძლო დროის დინებას — მათ შემოქმედებას იმთავითვე ფარვანას ბედი ეწერათ. და არც ის ფაქტი ჩაითვლება მათ გამართლებად, რომ ზოგიერთი ახალგაზრდა პოეტი დღესაც (და არა მხოლოდ ჩვენში) ისევე წერს, როგორც დიდი ხნის დავიწყებული წინაპრები.

როგორ და რა პირობებში წარმოიშვება ახალი მაგისტრალები, რომელნიც ხელოვნებაში ისეთ გადატრიალებაზე მიუთითებენ, რომ მათ შემდეგ ძველი გზები ჩიხებად გვეჩვენება.

იმპრესიონიზმისა და პოსტიმპრესიონიზმის ჩასახვა, ერთი შეხედვით, პირდაპირ როდი უკავშირდება (მიზეზი — შედეგი) შავ-თეთრი ფოტოგრაფიის გაჩენას, მაგრამ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი კი ამ თითქოსდა შემთხვევით დამთხვევაში უეჭველია. ფოტოგრაფიის კონკურენციამ აიძულა მხატვრები, ეძებნათ გარემომცველი სამყაროს ასახვის პრინციპულად ახალი, ფოტოგრაფიისათვის მიუწვდომელი ხერხები.

არ შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ შემთხვევითობად ჩაითვალოს ის ფაქტიც, რომ ფერადი ფოტოგრაფიის პირველი ნაბიჯები დაემთხვა ახალ შემობრუნებას ფერწერაში. ბევრი ნიჭიერი მხატვარი ამტკიცებდა, რომ ფერი არა მარტო ფორმაა, არამედ, გარკვეული აზრით, შინაარსიც. მათმა მცდელობამ ხელი შეუწყო იმას, რომ ფერწერა იმპრესიონიზმისა და პოსტიმპრესიონიზმის შემდეგ ბუნებაში არსებულ პროტოტიპთა შემოქმედებითი ტრანსფორმაციის გზით წავიდა, ასახავდა რა არა იმდენად გარეგნულ მსგავსებას, რამდენადაც მასში დაფარულ უფრო ღრმა აზრს.

ამის შედეგად ფერწერამ თავისი სრული დამოუკიდებლობა დაიცვა ფერადი ფოტოგრაფიისაგან.

ამგვარადვე, კინემატოგრაფიის გაჩენამ გავლენა მოახდინა თეატრზე, რომელიც ტექნი-

კურად უკეთ აღჭურვილი მოწინააღმდეგის შეტევის შედეგად, იძულებული გახდა ექებნა ახალი შემოქმედებითი გზები.

გაუჩნდა კი პოეზიას ასეთივე ძლიერი მოწინააღმდეგე, თითქმის ტყუპისცალი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ძველმოდური პეგასის ნაცვლად მის განკარგულებაში ტექნიკის საუკუნის ყველა სიკეთე იყოს? არა.

და რამდენადაც ახალი პოეზია არ ატარებს ისტორიული კანონზომიერებიდან გამომდინარე რევოლუციურ ხასიათს, მას, ვფიქრობ, არ ძალუძს ახალი მაგისტრალის შექმნა.

რით აიხსნება ტრადიციული პოეზიის სიცოცხლის უნარიანობა?

თითქმის საუკუნეა იგერიებს იგი ნონკონფორმისტთა თავდასხმებს, მის შერყევას ცდილობდნენ, მაგრამ იგი მაინც შეურყევლად დგას და ეწინააღმდეგება თანადროულობას. ამ საოცარი სიცოცხლისუნარიანობის მრავალი მიზეზიდან მხოლოდ ორს დავასახელებ.

პირველი: სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია, რომელზედაც ახლა ესოდენ ბევრს ლაპარაკობენ, ხატოვნად რომ ვთქვათ, ჯერჯერობით ჩვენი ცნობიერების მხოლოდ „ზედა“ ფენას ეხება, მაშინ როცა სიღრმისეული ემოციური ფენები, რომლებიც ქვეშეცნეულის სამანთან დგას, ხელშეუხებელი რჩება.

მეორე: ტრადიციული პოეზია მრავალი საუკუნის გამოცდილებასა და „ბუნებრივ შერჩევას“ ეფუძნება. როდესაც პოეზია მსოფლიოს მოევლინა, იგი გამოყოფილი იყო სიმღერისაგან, უფრო ზუსტად კი სავსებით დამოუკიდებელი გახდა. ჩვენმა შორეულმა წინაპრებმა რაღაც გრძნობის, მღელვარების, საკუთარი გრძნობებისა და აზრების გამომხატველის ღირსებას, თითონაც რომ არ იცოდა ისე, შექმნა, მართალია, — რითმასა და სხვა წვრილმანებს მოკლებული, მაგრამ უკვე მელოდიისა და რიტმის მქონე პირველი ლექსი.

სწორედ ეს, ყველაზე ძველი, ყველაზე ძლიერი, თითქმის მისტიკური აღმოჩენა (რაღაც პრომეთეული ცეცხლის მსგავსი) — ტრადიციულმა პოეზიამ შეინარჩუნა რიტმიკაში, სიტყვათშეწყობაში, და გაამდიდრა იგი კიდევ ერთი ვოკალური ელემენტით — რითმით.

ჩვენ ზოგჯერ ვივიწყებთ, რომ მუსიკა პოეზიის შემადგენელი ნაწილია, რომ ნაწილობრივ სწორედ მისი წყალობით მოიპოვა უკვდავება ბევრმა, ტრადიციული მიდგომით დაწერილმა, ძველმა თუ თანამედროვე ნაწარმოებმა.

ჩვენი საუკუნის მთელი პოეზიისათვის ერთი ძალზე მნიშვნელოვანი, ჭეშმარიტად ფუნდამენტური პერიოდი — პირველი ათწლეული ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, როცა რუსულ საბჭოურ პოეზიაში ერთმანეთს ებრძოდნენ ყველა ე. წ. ათასნაირი შესაძლო და წარმოუდგენელი მიმდინარეობები.

ეს იყო უზარმაზარი საექსპერიმენტო ლაბორატორია, მასში ჩატარებული ცდები კარგა ხანს აღელვებდნენ შემოქმედებას და კიდევ დიდხანს მოახდენენ გავლენას როგორც თვით რუსეთში, ისე მთელ მსოფლიოში. მაგრამ იმ დროს რამდენმა კოლუმბმა-პოეტმა გაიკვლია ამერიკის პირველაღმომჩენის — ვესპუჩის — ბედი, ბევრი საწყალობლად დაიღუპა, ბევრმაც დიდის წვალებით მოახერხა ეპოქის საკუთარი უხმაურო ლიტერატურის ისტორიაში.

ამავე დროს ყოველ ათწლეულში იბეჭდება ისეთი პოეტების მკვეთრად რიცხვი, როგორებიც არიან პასტერნაკი და ცვეტაევა. რატომ? ისინი ხომ სრულიად სხვადასხვაგვარი შემოქმედნი იყვნენ, მაგრამ მიზნად მაინც ნათლად გამოთქმას ისახავდნენ და არა ბუნდოვანებას.

თავს ნებას ვაძლევ, გამოვთქვა რამდენიმე პროგნოზი, ოღონდ ჯერ ძველთაძველ ჭეშმარიტებას გავახსენებთ, რომ „ყველაფერს თავისი დრო აქვს, დრო სიცოცხლისა და დრო სიკვდილისა“. ვფიქრობ, ლატვიაში „ახალი“ პოეზია რაღაც უმნიშვნელო საუკუნის მეოთხედის შემდეგ გარდაქმნილი ფორმით ისევ უკან დაიხევს და ნებას მისცემს ტრადიციას — კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმოს.

დარჩება კი ქვიშაზე ბევრი ქარვა, როცა მიქცევა დაიწყება და ასოციაციური ვერლიბრის ტალღები გამოსვლით დატოვებენ ნაპირს?

სავსებით შესაძლებელია, რომ ახალი ლატვიური პოეზიის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლებმა ათი-თხუთმეტი წლის შემდეგ სავსებით სხვაგვარად დაიწყონ წერა და გამორიცხული არ არის, რომ მათაც მოუხდეთ საყვედურის მოსმენა, ძალზე გასაგებად და, ამიტომ არათანამედროვედ წერით.

□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ვალდის კიპანსი

თარგმნა ანდრო ბუაჩიძემ

# წყალს რომ არ გადავაყოლოთ!

მუდმივი განახლება პოეზიის სიცოცხლისუნარიანობის საწინდარია. ხშირად ამგვარი განახლება ახალგაზრდების შემოქმედებით ძიებებთანაა დაკავშირებული. მაგრამ პოეტური შემოქმედების ახალ-ახალ მოვლენათა ანალიზის და შეფასების დროს აუცილებელია განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ავი და კარგი, ჭეშმარიტი ნოვატორობა და პრეტენზიული გრაფომანობა, რომელიც მოდური ფორმის მეშვეობით ოსტატურად ნიღბავს უსუსურ შინაარსს.

დღევანდელი ლიტერატურული პროცესის ამ აქტუალურ საკითხებზე მსჯელობს ლატვიელი კრიტიკოსი.

ჯერ გამოცანას გეტყვით:

ვიოლის გამჭვირვალე მშვიდი საღამოა
ვერ ხედავს
არ ესმის
ხელს არ ახებს
საღამოთი ხე ტოტებს ჩხვერს
მიწაში
საკუთარ სხივებში ეხუთება
სული ვარსკვლავს
მწყემსები საქონელს ერეკებიან
ნაპარავ საქონელს ერეკებიან
ჩვენი მწყემსები.

ახლა კი გამოიცანით, ვინ არის ეს ყრუ და უსინათლო გამჭვირვალე, რატომ ეხუთება სული ვარსკვლავს და ვის საქონელს ერეკებიან „ჩვენი მწყემსები"? ვშიშობ, რომ მილიციის ორგანოების გარეშე ვერაფერს გააწყობთ.

ტყუილად რომ არ გავაწბილო მკითხველი, განვუმარტავ: ეს ამბავი გუნტარ სტურნიეკას ლექსებში მოხდა („დზეიას დიენა“ — „პოეზიის დღე“, 1979. აქაც და ქვემოთაც თარგმანები სიტყვასიტყვითია). აქვე უნდა ითქვას: სასვენი ნიშნების გამოტოვებას უჩვეულობად ნუ მიიჩნევთ, ის მაინც ვინ აღარ იცის, რომ მძიმეები და სტანდარტული წერტილები თანადროულობის ელფერს უკარგავენ პოეზიას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფსევდოპოეზია ყოველთვის ფეხდაფეხ მისდევდა მოდას. ყველაზე უფრო გრაფომანები ამჟღავნებდნენ მოდურისადმი მოწიწებას. აი ნიმუში მოდური ფორმის თაყვანისცემისა. პოეზიის ასპარეზზე უფრო და უფრო ხშირად ვხვდებით ვერლიბრს. მე ვფიქრობ, რომ მის პოპულარობას ობიექტური საფუძველი აქვს. ტრადიციული პოეტური საზომი ზოგჯერ ვერ იტევს ჩვენი დროის მღელვარე მაჯისცემას. „ავწყვიტე რითმების ჯაჭვს, ხელახლა გამოვჭედე მეტაფორები გაცვეთილ სამჭედლოებში, დალეწილი [illegible] რიტმების ჩონჩხიდან“ — გულახდილად გვეუბნება ცნობილი ლატვიელი პოეტი იმანტ აუზინი, და მართლაც: ირგვლივ ამ „ჩონჩხების მსხვრევაა“ და ლაწალუწი გაისმის. ერთი ხელის მოსმით გაუქმდა რითმა. ასე უმტკიცდება სახელი თავისუფალ ლექსს და გულაცრუებული კრიტიკოსები თავგამოდებით ამტკიცებენ, რითმა პოეზიის აუცილებელი ატრიბუტიაო (იხ. მაგ. ა. იმერმანისის სტატია „Литературное обозрение“ 10, 1979), სწორედ ამ შემთხვევათაგანია, წყალს რომ ახალშობილს გადააყოლებენ ხოლმე.

ჭეშმარიტი პოეზია ყოველთვის ფილოსოფიური იყო. მაგრამ დღევანდელი სამყარო, ალბათ უჩვეულო სოციალური ძვრებით და ქარტეხილებით, დაჟინებით მოითხოვს პოეტისგან ღრმა განზოგადებებს ყოფიერების არსზე. ეს კი თავის მხრივ, სულ უფრო ჭარბად ზემოქმედებს პოეზიის ფორმაზე, მოითხოვს ასოციაციურ აზროვნებას, სახეობრივ სირთულეს. მიმდინარე პროცესი საგანზე ობიექტურია, მაგრამ ამ ტალღაზე ლამის დღეს მომრავლდა ფილოსოფიურობის პრეტენზიით გაჟღენთილი პოეტური „ნაწარმი“. მათი პრინციპი ამგვარია: რაც უფრო ბნელითაა მოცული ლექსი, მით უკეთესია. „წყვდიადი ყანები, ქვაბები, თითქოს სპილენძისაგან იყო გამოძერწილი... გამაყრუებლად ენარცხება მაღალში ცისფერი ქლიავი... თეთრი ვაშლები თოვლივით უჩუმრად ცვივიან... (ი. კაპტინში, კრებული „აცისი“ — „თვალი“ 1978). ეს რებუსს უფრო ჰგავს: რატომღაც ქლიავი გამაყრუებლად ენარცხება, ვაშლები კი თოვლივით უჩუმრად ცვივიან...

საკუთარი გამოცდილება მკარნახობს: [illegible] „პოეტურ“ გამოცანას და [illegible] ნებისმიერ უჩვეულო სახეს. მერე კი ამ ეჭვის პასუხად ენის წვერზე სალანძღავი სიტყვა „უაზრობა“ გეტრიალება.

მჯერა, რომ ობიექტურად განპირობებულია თანამედროვე პოეზიის ისეთი თავისებურება, როგორიცაა „ღია ფორმა“. ლექსი ერთბაშად იწყება, თითქოს გამოუთქმელ და იდუმალ ფიქრს აგრძელებსო და მკაფიო დასასრულსაც მოკლებულია.

მრავალ პოეტს დავასახელებთ, რომელთათვისაც ეს ხერხი მეტად ნაყოფიერი გამოდგა. თუმცა არანაკლებია მაგალითები, სადაც „ღია ფორმა“ უაზრობის და ულოგიკობის შემნიღბველ სამასკარადო სამოსელს ჩამოჰგავს („იმ ლექსისა“ არ იყოს, სტატიის თავში რომაა მოტანილი). მაშ რა ვქნათ — ამის გამო უარი ვთქვათ საერთოდ „ღია ფორმაზე“?

გრაფომანები არსებობდნენ ყველგან და ყოველთვის. ისინი თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში ზიანს აყენებდნენ ჭეშმარიტ პოეზიას. მაგრამ, როგორც ცნობილია, პოეზიამ გაუძლო მათ შემოტევებს, ე. ი. სავალალოდ არ ჰქონია საქმე, მაგრამ ზოგიერთები აშკარად ვერ ფარავენ შეშფოთებას... ალბათ იმიტომ, რომ ბოლო წლებში საგრძნობლად გაიზარდა გრაფომანთა ლაშქარი...

ახალგაზრდების შემოქმედებას ჩვენს ქვეყანაში გულისყურით ეკიდებიან. ახალგაზრდებისათვის ბეჭდვა დღეს უფრო ადვილია, ვიდრე ვთქვათ ორმოცდაათიან ან სამოციან წლებში. გაზეთებს და ჟურნალებს აქვთ მუდმივი რუბრიკები დებიუტანტებისათვის, იცემა აგრეთვე ახალგაზრდა პოეტების კრებულები. ლატვიაში მაგალითად, 1971 წლიდან გამოდის პოეტური კრებული „აცისი“ — შვიდი საავტორო თაბახი.

ნამდვილად მისასალმებელია! მაგრამ მივადევნეთ თვალი ჩვენი დებიუტანტების შემოქმედებითი დაღვინების პროცესს და გაირკვევა, რომ 1971 წლის „აცისის“ 14 ავტორიდან ექვსს ლექსების ერთი წიგნიც კი არ გამოუცია, დანარჩენმა ექვსმა თითო-თითო წიგნი გამოსცა (უმეტესწილად საშუალო დონისა) და ჩემი აზრით, მხოლოდ ორმა დაიმსახურა პოეტის სახელი.

აი საპირისპირო მაგალითიც: ნ. ავოტინიას, ა. კუკოისს და ხ. მეევსკის პერიოდული პრესა რილი ენანავებოდა. არც „აცისის“ ყოფილა მათი მფარველი კალთა, მაგრამ სამივემ კარგი, იმედისმომცემი ლექსების წიგნი გამოაქვეყნა. ეტყობა, მშობლიური მზრუნველობა ყოველთვის არ იხდის სასურველ ნაყოფს. ისიც უნდა ითქვას, რომ „აცისის“ მხატვრული დონე წლითიწლობით ქვეითდება. კრიტიკამ ეს ფაქტი ერთხმად აღიარა.

ორმოცდაათიანი წლების მანძილზე ლატვიურ პოეზიაში მხოლოდ და მხოლოდ [illegible] ლი პოეტი მოვიდა. მათი სახელებით დღესაც ვამაყობთ. ახლა წლის მანძილზე [illegible] ახალ პოეტს განიჭებს პოეტთა რიცხვი! ლიტვაშიც დაახლოებით მსგავსი სურათია და სხვა რესპუბლიკებშიც უეჭველად ასე იქნება. რაოდენობა მატულობს, მაგრამ ხარისხი? გვეხსომება კი რომელიმე მათგანის სახელი ათი წლის შემდეგ?

მართალია სიავკარგიადაც ხდება: არაერთი მაგალითი ვიცით იმისა, რომ კრიტიკოსების მიერ მაწესპირიდან აღვილი „უაზრობა“ დროთა განმავლობაში ჩინებულ ლექსებად ქცეულა, გულდასმულმეტვე „ნათელი და გულშემძვრელი მწკარების“ ნაცვლად კი პირდაპირი და იაფფასიანი დეკლარაცია შეგვრჩენია ხელთ. მარტო ერთ მაგალითს შევახსენებთ: 1963 წელს ყოველკვირეულმა „ლიტერატურა უნ მაკსლა“-მ „მეტისმეტი სირთულისა და ბუნდოვანების“ გამო მკაცრად გააკრიტიკა ოიარ ვაციეტისის პოემა „აინშტაინიანა“. გავიდა ათი წელი და იგივე ყოველკვირეულმა „თვალსაჩინო ქმნილებად“ შერაცხა ეს პოემა. ჭეშმარიტად: „დიადის ხილვას მანძილი ჭირდება“.

ო. ვაციეტისის, ი. ზიედონისის, მ. ჩაკლაისის, ი. პეტერსის და სხვათა ლექსების გამო მხოლოდ საყვედურება თუ გაისმოდა კრიტიკოსთაგან: ძალიან რთულიაო და გაუგებარი. ამ პოეტებს „მარტივად“ არ დაუწყიათ წერა, და მიუხედავად ამისა, ყოველწლიური „პოეზიის დღე“ და მაღაზიის თაროებიდან თვალსა და ხელს შუა გამქრალი წიგნები მკაფიოდ ადასტურებენ მათ პოპულარობას.

მახსოვს მწერალთა ერთ-ერთ სხდომაზე ლ. ოზიროვმა დარბაზში ამგვარი მოწოდება-ლოზუნგი გადმოისროლა: „ტალანტებს დახმარება ჭირდებათ, უნიჭოები კი თვითონ გაიკაფავენ გზას“. მაგრამ ტალანტებს თუ დავეხმარებით, ამით უნიჭობას არ მივცემთ გასაქანს. უნიჭოები უკანონოდ იკავებენ საბეჭდ ფართს, რყვნიან და აქვეითებენ გემოვნებას. მთავარი კი ისაა, რომ სახელს უტეხენ პოეზიას საზოგადოდ, მის ძიებებს და ექსპერიმენტებს.

იქნებ კრიტიკოსები ფხიზლად არ დარაჯობენ ჭეშმარიტი პოეზიის საზღვრებს? თუ ბრძოლას არიდებენ თავს?

უნდა ითქვას, რომ ამ ბოლო წლებში კრიტიკული ბატალიები განსაკუთრებით გამწვავდა. მთავარი ბრძოლები უეჭველად პოეზიის ტერიტორიაზე მიმდინარეობს. თითქმის ერთი წელი გასტანა დისკუსიამ პოეზიის შესახებ „ლიტერატურნაია გაზეტა“-ში, ყოველკვირეულმა „ლიტერატურა უნ მაკსლა“-მ კი მხატვრულობაზე მსჯელობისას მთავარი ადგილი პოეზიას მიუჩინა...

ყველაზე მწვავე კამათის საგანი ეგრეთწოდებული „ახალგაზრდული“ პოეზიაა. ოღონდ ჩემი აზრით, ეს ტერმინი ზედმიწევნით ზუსტად ვერ გამოხატავს სათქმელს. ვინ უნდა მივაკუთვნოთ ამგვარ პოეზიას? ასაკის მიხედვით ვიმსჯელოთ? მაგრამ ხომ არსებობენ ტრადიციის ერთგული ახალგაზრდები და არსებობენ აგრეთვე ვეტერანები, თავს რომ ესხმიან ტრადიციას. უკეთესი იქნებოდა გავვემიჯნა ტრადიციული და ახალი (არატრადიციული) პოეზია.

რაღა თქმა უნდა, ფსევდოპოეზიის გამოცნობა ყოველთვის იოლი არ არის. განათლების დონესთან ერთად გრაფომანობის დონეც ამაღლდა. დღეს უკვე ვერსად შეხვდებით ამგვარ სტრიქონებს „Служил Гаврила хлебопеком, Гаврила булку испекал...“ თანამედროვე გრაფომანის ლექსი გაცილებით ნატიფი და დახვეწილია. მაგალითად:

მე მივეახლე წმინდა პეტრეს,
მინდოდა მეთქვა, რომ დამეჯახა
არა რომელიღაც კრაზი ან მაზი
არა „გაზიკი“ ანდა „მოსკვიჩი“
და არც „ჟიგული“,
არამედ ყველაზე ძვირფასი „ვოლგა“

მაგრამ მისწინა მან და მერე
უკან გამოისტუმრა.
ჯერ რა დევნილი გაქვს ამ მიწაზე
მე რომ მესხელით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთგან ამოვიკითხე, რომელიღაც საერთაშორისო გამოფენაზე ძვირფასი თვლები, რომლებიმე ყალბი ბრილიანტი შეუპარებიათ. ეს ბრილიანტები ოსტატის გაწაფული ხელით იყო ნაკეთები, ამიტომ გამოცდილი ექსპერტ-იუველირებიც კი ვერ მიხვდნენ ყალბისმქმნელობას. თანამედროვე პოეზიაც ამ დღეშია: ძალზე ძნელია სიყალბის შემჩნევა. უცდომელი გემოვნება მოეთხოვებათ გამომცემლებს, კრიტიკოსებს, მკითხველებს, რათა როყორ ქვა ბრილიანტად არ მონათლონ. წლით თვალი გადავავლოთ სამოციანი წლების პოეზიას და ვნახოთ, როგორ შეიცვალა დღეს, სამოცდაათიანი-ოთხმოციანი წლების მიჯნაზე „მსოფლგანცდისა“ და „ჰარმონიის“ ცნებები, სახეობრივი პოეტური სისტემა.

სამოციანი წლების პოეზიისთვის ძირითადად ურთიერთგამომრიცხავი ცნებებია დამახასიათებელი: „შეეჯახება ერთურთს დიადი და არარაობა, განცდილი და განუცდელი“ (ოთარ ჭილაძისი, „აინშტაინიანა“). „თქვენ მხატვრებო ყველა დროისა! დღეზა თქვენა! თქვენ ბარბაროსნო ყველა დროისა! წყეული და კრულვა!“ (ანდრეი ვოზნესენსკი, „ოსტატები“).

სამოციანი წლების პოეზიაში ლირიკული გმირი პირისპირ რჩება მისი პროტესტის გამომწვევის მიზეზების, საზოგადოებრივი პროცესების და ისტორიის ბნელი ძალების წინაშე. ამგვარი მიდგომა შემოქმედებითი ჰარმონიის სრულ დაკარგვას ხომ არ ნიშნავს? რა თქმა უნდა, არა. მაგრამ ჰარმონია ამ კულტურულ-ისტორიულ კონტექსტში წარმოგვიდგებოდა, როგორც ბოროტის, ყალბის, მანკიერის უარყოფა, როგორც პოეტის ეთიკური „მე“-ს უმწიკვლობის დაცვა. ქარიზგი ოსტატები თავიანთ გზას ადგნენ: ა. ტვარდოვსკი, ე. მეჟელაიტისი, რ. გამზათოვი, ყ. ყულიევი კლასიკური მწერლობის ტრადიციებს აგრძელებდნენ.

სამოცდაათიან წლებში, ჩვენი აზრით, ეს ორი ტენდენცია ერთმანეთს უახლოვდება. ამ პროცესის ნიშანდობლივი მაგალითია ე. ევტუშენკოს ლექსი, რომელიც ეძღვნება დ. სამოილოვის წიგნს „ტალღა და ქვა“. ლექსის ბოლოში პოეტი ამბობს: «Наша знать эстрадная России важно, снисходительно кивала на «сороковые-роковые» и на что-то про царя Ивана», მაგრამ დადგა მოწიფულობის ხანა და «мы уразумели... становясь, надеюсь, глубже, чище» ვიგებთ ამგვარი პოეზიის მნიშვნელობა. და ბოლოს ძალზე თვითკრიტიკული დასკვნა: «мне... пора стихи писать учиться».

ამ სტრიქონების მიუხედავად ავტორის ძველი პოზიციები არ დაუთმია. ეს სწორედ შერწყმა და გამთლიანება იყო. „კლასიკური ხელწერის“ მქონე პოეტების შემოქმედებაც იცვლიდა სახეს. საინტერესო შევადაროთ ერთმანეთს ე. ისაევის ორი პოემა — „ხსოვნის სამსჯავრო“ და „ხსოვნის სიშორე“. უკანასკნელ პოემაში სახეები უფრო რთულია და მრავალგანზომილებიანი. ავტორი იკვლევს გმირთა ფსიქოლოგიის შინაგან პერსპექტივას, აანალიზებს მათი ხასიათის უფაქიზეს ნიუანსებს.

მრავალმნიშვნელოვანი პროცესები მოხდა ე. მეჟელაიტისის ლირიკაშიც. მონუმენტური, გმირული, მონოლითური ადამიანის სიმბოლურმა სახემ ადგილი დაუთმო წინააღმდეგობებით აღსავსე რეალურ პიროვნებას („მიკრომინიატურები“). ხომ არ დაირღვა ამის გამო სულიერი წონასწორობა? ხომ არ დაკნინდა სამოქალაქო კეთილშობილება? იქნებ „ჰარმონია“ დაიკარგა? რაზედაც ახლა ასე ხშირად ლაპარაკობენ? ვფიქრობ, რომ არა.

შეიძლება ითქვას, რომ დღეს ატიპიურად ვლინდება ლექსში კეთილი საწყისის რწმენით აღჭურვილი პოეტის პიროვნება. ამგვარი მიმართება კი ზოგადსაკაცობრიო, გლობალური პრობლემების გაშუქებას უწყობს ხელს: ირყევა მიწა განუწყვეტლივ, ქუხს ვულკანები, და მანთ ჩვენთ, იმუსრებიან ცხოველები, ქრება ბალახი და ჰაერიც ნაკლულოვანდება... ჩვენ კი მრავლდებით... (ო. ვაციეტისი).

ტრადიციული თვალთახედვით რომ მივუდგეთ, ძნელია ამ სურათში ჰარმონიის შემჩნევა, მაგრამ პოეტის მსოფლგანცდა მძაფრი ოპტიმიზმით კვებავს, რადგან ქვეყნის სატკივარი საკუთარ სატკივრადაა შეგრძნებული.

არ შეიძლება, რა თქმა უნდა, კლასიკური პოეზიის ესთეტიკური პრინციპების ღირებულებაში დავეჭვდეთ. ეს პირწავარდნილი უმეცრობა იქნებოდა. ყოველი თაობა საკუთარ

პოეტური კოსმოსს ქვეყნის ენის სტიქიაში და ამ გზაზე ცდომილებები გარდაუვალია. ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფია.

ამ სიძნელეების მიუხედავად (გრაფომანთა რიცხვი მატულობს და [illegible] გამოაშკარავება, ზოგჯერ საამისოდ კრიტიკოსებს საჭირო ხელსაწყო არა აქვთ მომარჯვებული და ა. შ.), მტკიცედ მჯერა პოეზიის ხვალინდელი დღისა.

მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს და მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე ლატვიაში [illegible] და მხოლოდ [illegible] ჭეშმარიტი პოეტი იყო. მაგრამ ნახეთ რა სახელებია: ვეიდენბაუმი, ასპაზია, პორუკსი, ბარდა, პლუდონსი, სკალბე, და რაღა თქმა უნდა, რაინისი. ქარვა იმიტომაცაა ძვირფასი, რომ ყველა ტალღას არ გამოაყვება.

დრო — უმკაცრესი მსაჯულია. მხოლოდ ის განსჯის უცდომლად, რამდენი ჭეშმარიტი პოეტი შეემატა ჩვენს ლიტერატურას. მათი არსებობა დღეს ეჭვს არ იწვევს. ამის დასტურია მკითხველთა ცხოველი დაინტერესება პოეზიით.

ფსევდოპოეზიასთან მებრძოლ კრიტიკას კი მუდამ უნდა ახსოვდეს ახალშობილი, წყალს რომ არ გადააყოლოს ...

□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხატვრული რედაქტორი გ. წერეთელი. მხატვარი ა. ვართაგავა. ტექრედაქტორი რ. იმნაიშვილი

გადაეცა წარმოებას 5/X-80 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/XI-80 წ. ქაღალდის ზომა 70×108¹/18. საალრ.-საგამომც. თაბახი 19,91. ნაბეჭდი თაბახი 21. ტირაჟი 10.000. შეკვ. № 1144.

**ფასი 1 მან.**

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.